

ადამიანის უფლებები საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველის
საანგარიშო მოხსენება

2006
წლის მეორე ნახევარი

თბილისი 2007

საქართველოს სახალხო დამცველის
2006 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება
იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)
და ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

1. შესავალი	9
2. სამართლიანი სასამართლოს უფლება	11
3. პროკურატურა	28
4. შინაგან საქმეთა სამინისტრო	51
5. ფინანსური პოლიცია	69
6. ადამიანის უფლებები ჯარში	71
7. ალტერნატიული შრომითი სამსახური	75
8. ალტერნატიული შრომითი სამსახური რეზერვში	80
9. ადამიანის უფლებები სასაზღვაო უსაფრთხოების სისტემაში	82
10. სიკვდილობის სპექტრი და მიზეზები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში	105
11. სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება	114
12. ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება	122
13. საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტები	126

14. ხანდაზმულთა დაცვა და პენსიები	153
14. კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვა	167
15. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები აფხაზეთში	169
16. ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტები ცხინვალის რეგიონში	181
17. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ	188
18. ლტოლვილების უფლებების დაცვის შესახებ	212
19. XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები	219
20. რუსეთის ხელისუფლების მიერ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაცია	224
21. საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ფედერაციიდან დევორტირებულთა დახმარება	231
22. საზღვარგარეთ საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი საქართველოს მოქალაქე პატიმრები	240
23. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება	242
24. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება	251
25. ინფორმაციის საზაროობა	267
26. რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტული გარემო	277
27. ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა	288
28. ბოშების მდგომარეობა საქართველოში	294
29. ბავშვის უფლებები	299

30. არასრულწლოვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა	327
31. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპის შემლახავი ცვლილება	340
32. გენდერული თანასწორობის საკითხები	343
33. ძალადობა ოჯახში	347
34. ძალთა სსსჯელაღსრულებითი დანესებულება	351
35. ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში	353
36. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	365
37. ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობა ფსიქიატრიულ დანესებულებებში	378
38. სამართალდარღვევები სამედიცინო მომსახურების დროს	384
39. მომხმარებელთა უფლებები	399
40. დანართი N1. სიკვდილობის სპექტრი და მიზეზები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში	408
41. დანართი N4. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების სტატისტიკა	436



მოკლე მიმოხილვა

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი ითვალისწინებს სახალხო დამცველის მიერ პარლამენტისათვის წელიწადში ორჯერ ადამიანის უფლებათა სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენას. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2006 წლის მეორე ნახევრის შესახებ მოხსენებას, რომელშიც გაანალიზებულია ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება და მოცემულია ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებათა რეკომენდაციები, მითითებულია იმ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელ პერიოდში.

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა სახალხო დამცველის ოფისში შემოსული განცხადებების რიცხვი. მთლიანად 2006 წლის განმავლობაში შემოვიდა 3467 განცხადება, რაც 1213 ერთეულით მეტია 2005 წელს შემოსულზე და 2187 ერთეულით მეტი – 2004 წლის მონაცემზე (იხ. ცხრილები დანართ N4-ში). ამასთან, 2006 წლის მეორე ნახევარში პირველ ნახევართან შედარებით იმატა განცხადებების რიცხვმა. მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ ეს მონაცემი სახალხო დამცველის ოფისის ცნობადობის ზრდას და მის მიმართ ნდობის ზრდაზე მიუთითებს, რაც არა ერთი გამოკითხვითაც დადასტურდა.

2006 წლის მეორე ნახევარში საჩივრების ყველაზე დიდი წილი მოდის სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე, სამაგიეროდ უმნიშვნელო კლება დაფიქსირდა სოციალურ-ეკონომიკურ უფ-

ლებებზე (დეტალები იხილე დანართ N4-ში).

გარდა ამისა, მკვეთრად იმატა იმ საქმეების რიცხვმა, რომელთა შესწავლა დაიწყო არა შემოსული განცხადებების საფუძველზე, არამედ უშუალოდ სახალხო დამცველის ინიციატივით.

ამავე დროს, გრძელდებოდა ინტენსიური მონიტორინგი პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში, სასჯელალსრულების დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ბავშვთა სახლებში და საჯარისო ნაწილებში, განსაკუთრებით ჰაუპტვახტებში. უნდა ითქვას, რომ ერთადერთი სფერო, სადაც მონიტორინგის განხორციელებაში დაბრკოლებებს გვიქმნიან, არის ჰაუპტვახტები. მას შემდეგ, რაც 2006 წლის დეკემბერში საჯარო გაგზადეთ მონიტორინგის შედეგები და აღენიშნეთ, რომ არსებული ექვსი ჰაუპტვახტიდან ოთხში მოთავსების პირობები წამების და არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია, პრაქტიკულად სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ ეძლევათ ჰაუპტვახტების მონახულებისა და მონიტორინგის ჩატარების უფლება. ამის გამო ჩვენ არაერთხელ მივმართეთ როგორც

შესავალი



უშუალოდ თავდაცვის მინისტრს, ისე პრემიერმინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს. საჯარისო ნაწილებში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა არმიაზე სამოქალაქო კონტროლის ერთ-ერთი სახეა და სფეროში დაბრკოლებები დაუშვებელია. მით უმეტეს იმ ქვეყნისთვის, რომელიც ნატოში განევრიაანების კანდიდატია. ნატოში წევრობა, ნატოს სტანდარტების შესაბამისი არმიის შექმნასთან ერთად, არმიაზე სამოქალაქო კონტროლის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებასაც გულისხმობს.

წლის განმავლობაში სახალხო დამცველის თანამშრომლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონიტორინგისას განახორციელდეს სულ 856 ვიზიტი (წლის პირველ ნახევარში – 307 ვიზიტი, მეორეში – 549 ვიზიტი), რა დროსაც მონიხულებული იქნა 1454 დაკავებული (შესაბამისად 321 და 1133).

მონიტორინგის შედეგად, დაკავებულთა განმარტებით, დაფიქსირდა პროცესუალური სახის დარღვევის 701 ფაქტი. სხეულზე ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა 261 დაკავებულს (წლის პირველ ნახევარში 178-ს, ხოლო მეორეში – 83-ს), მათ შორის 32 პირი (შესაბამისად 23 და 9) აცხადებდა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკურ ზეწოლას, რაც დაზიანებების მქონე პირთა 12%-ია. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში შემცირდა დაზიანებების მქონე იმ დაკავებულთა რაოდენობა, ვისაც პრეტენზია ჰქონდა პოლიციის თანამშრომელთა მიმართ. შესაბამისად, სახეზეა ზომავადაცილებული ძალის გამოყენების კლების ტენდენცია წინა პერიოდის სტატისტიკასთან შედარებით, რაც უდავოდ მისასაღებელია.

თუმცა, ამ დადებითი ტენდენციის გვერდით, სერიოზული პრობლემაა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დარღვევებზე, ადამიანის უფლებების უხეში შელახვის, ძალადობის, წამების, მტკიცებულებათა გაყალბებისა და მკვლელობის ფაქტებზე სათანადო რეაგირება და დამნაშავეთა სათანადო დასჯა, რაზეც ასევე ვრცლად არის საუბარი მოხსენებაში.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ოფისში მომზადდა რამდენიმე საკონსტიტუციო სარჩელი, ასევე საკანონმდებლო წინადადებები, რომელთა მიზანია ისეთი საკანონმდებლო სივრცის ჩამოყალიბება, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ ვთარგმნეთ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია, რომელიც გაერომ 2006 წლი 13 დეკემბერს მიიღო და რომელიც ხელმოწერებისთვის ღიაა 2007 წლის 30 მარტიდან. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს დროულად უნდა მოახდინოს ამ კონვენციის რატიფიკაცია, რადგან იგი ხელს უწყობს შშმ პირთა დისკრიმინაციის აღმოფხვრას და მათთვის თანაბარი შესეძლებლობების მიცემას. ზოგადად, მიმაჩნია, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრის თანასწორუფლებიანობა და საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს.

ერთ-ერთი სახე, რაც ამ მოხსენებას წინა მოხსენებებისგან გამოარჩევს, გახლავთ რუსეთში განხორციელებული საქართველოს მოქალაქეებისა და რუსეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველების დევნისა და დისკრიმინაციის ფაქტები. ამავე დროს, დავინტერესდით და გამოვითხოვეთ ინფორმაცია, თუ საქართველოს რამდენი მოქალაქე იხდის სასჯელს უცხოეთის ციხეებში. სამწუხაროდ, საკონსულოების უმრავლესობამ ინფორმაცია დროულად ვერ მოგვანოდა, თუმცა, იმედი გვაქვს, მომდევნო მოხსენებისთვის სრულ ინფორმაციას მივიღებთ, რაც უფრო მეტი ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რამაც საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, კერძო საკუთრების ჩამორთმევისა და განადგურების ფაქტები იყო.

გრძელდება განუკითხაობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები კონფლიქტის ზონებში. ჩვენ სურვილი გვაქვს, როგორც ცხინვალის, ისე აფხაზეთის რეგიონში მონაწილეობა მივიღოთ ოთხმხრივი შეხვედრების ფორმატში, რათა ადგილზე შეგვეძლოს ინფორმაციის მოპოვება და ყველა იმ ფაქტის გადამოწმება, რაც ადამიანის უფლებებს შეეხება. სამწუხაროდ, კონფლიქტების მოგვარების საკითხში სახელმწიფო მინისტრისგან ჩვენს ინიციატივაზე პასუხი ჯერჯერობით ვერ მივიღეთ – ვერც დადებითი და ვერც უარყოფითი.

2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში წარმოდგენილი სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი უცვლელი დარჩა 2006 წლის მეორე ნახევარშიც.

კვლავ სერიოზულ ეჭვს იწვევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. მოსამართლეთა მიერ თავიანთი ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელება, მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედება და მათ საქმიანობაში ჩაურევლობა კონსტიტუციით არის გარანტირებული, თუმცა პრაქტიკაში ეს ხშირად ირღვევა.

მოსამართლეებზე ზენოლის შესახებ საუბარია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ ანგარიშშიც, სადაც ნათქვამია: **„ხშირი იყო Ex parte მოლაპარაკებები ადვოკატებს, ცალკე მხარეებსა და მოსამართლეებს შორის, რაც საბჭოთა ტიპის „სატელეფონო მართლმსაჯულების“ განვითარებას უწყობდა ხელს. როგორც იტყობინებიან, იურისტები, მათ შორის პროკურორებიც, და დავის მონაწილე მხარეები იყენებდნენ ასეთ გზას მოსამართლეებზე ზენოლის განსახორციელებლად მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიზნით.“**

როგორც საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუციის 82-ე, 84-ე და 85-ე მუხლები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები, სისხლის სამართლის საპრო-

ცესო კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლები), ისე უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო აქტებით (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კონვენციის 14.1 მუხლი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ სუვა-ს 2004 წლის დეკლარაცია, ბანგალორის პრინციპები მოსამართლეთა ქცევის შესახებ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის რეზოლუცია მოსამართლეთა და იურისტთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე) გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა და ყველა პირის უფლება, მისი საქმე მიუკერძოებელმა სასამართლომ განიხილოს.

სახალხო დამცველის აპარატი შიმშის უფლებების ანა-

სამართლიანი სასამართლოს უფლება



ლიზის მიხედვით, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე კვლავ დიდია პროკურატურის გავლენა. ეს ჩანს მოსამართლეების მხრიდან სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებზე საკმაოდ არაადეკვატური სასჯელის შეფარდებით. რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეები, არც თუ იშვიათად, საქმის მასალების დეტალური შემოწმების გარეშე აკმაყოფილებენ პროკურატურის შუამდგომლობებსა და საჩივრებს, რითაც უხეშად ლახავენ ბრალდებულთა თუ განსასჯელთა უფლებებს.

გარდა იმისა, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლება არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებებს, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მეტად მნიშვნელოვან პრინციპს, ამასთანავე საფრთხის ქვეშ აყენებს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სასამართლო ქვეყანაში მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოა. სასამართლო არის ადამიანის უფლებების დაცვის უპირველესი და უმთავრესი გარანტი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რასაც დემოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრები ყოველი მოქალაქე სრულიად სამართლიანად მოელოს.

მოსამართლეთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეებში: მეჰმედ ალი ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ, ინკალი თურქეთის წინააღმდეგ, ფინდლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, დაქტარასი ლიტვის წინააღმდეგ – განმარტავს, რომ არსებობს მიუკერძოებლობის ორი ასპექტი. 1) მოსამართლეები უნდა იყვნენ სუბიექტურად მიუკერძოებლები და 2) სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, უნდა გაირკვეს, მოსამართლემ უზრუნველყო თუ არა შესაბამისი გარანტიები იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მიკერძოებასთან დაკავშირებით.

ქვევით მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, სადაც ჩნდება ეჭვი, რომ გადანყვეტილებების გამოტანა ხდებოდა აშკარად არა მოსამართლის შინაგანი რწმენისა და კანონის შესაბამისად, არამედ პოლიტიკური ნებისა და პროკურატურის სურვილის მიხედვით. მოსამართლემ, პროკურატურის მოთხოვნით, პირს მსუბუქი დანაშაულის ჩადენისთვის შეუფარდა ისეთი ოდენობის გირაო, რომელიც პრაქტიკულად მის პატიმრობაში დატოვებას ნიშნავდა, გირაოს შეფარდებას კი მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მეორე მხრივ კი, მძიმე დანაშაულზე მოსამართლემ არაადეკვატურად მსუბუქი გირაო შეუფარდა. კერძოდ:

კ. კობალაძისა და გ. ჯიქურის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა კ. კობალაძისა და გ. ჯიქურის ადვოკატმა ლ. ჭაჭუკაშვილმა. განცხადებიდან გაირკვა, რომ 32 წლის უკუკური რევაზის ძე კობალაძეს, ცოლშვილიანს, ნასამართლეობის არ მქონეს, ბრალი ედება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული „მოტოროლას“ ფირმის V3-ის ტიპის მობილური ტელეფონის შეძენაში, რის გამოც კ. კობალაძე 2006 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილით თანახმად („წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“) ბრალდებულის სახით მიეცა პასუხისმგებამი. 2006 წლის 25 ოქტომბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მ. ხარებავამ დააკმაყოფილა ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს გამომძიებლის ლ. დარახველიძის შუამდგომლობა და აღკვეთი ღონისძიების სახით კ. კობალაძეს შეუფარდა გირაო 170 000 ლარის ოდენობით და გირაოს შეტანის ვადად განუსაზღვრა 1 თვე, ხოლო გირაოს თანხის სრულ შეტანამდე წინასწარი პატიმრობა – 2 თვემდე ვადით.

ადვოკატ ლ. ჭაჭუკაშვილის ინფორმაციით, 22 წლის მე-3 კურსის სტუდენტს გ. ჯიქურს ასევე ბრალი ედება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული „მოტოროლას“ ფირმის V3-ის ტიპის მობილური ტელეფონის შეძენაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილით.

2006 წლის 25 ოქტომბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ლ. შკუბულიანმა ბრალდებულ გ. ჯიქურს აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 100 000 ლარის ოდენობით და გირაოს შეტანის ვადად განუსაზღვრა 14 დღე, ხოლო გირაოს თანხის უზრუნველსაყოფად 2 თვემდე ვადით წინასწარი პატიმრობა გირაოს სრულ შეტანამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორი წლით ან მეტი ვადით“.

აღნიშნულ პირებს ბრალად ედებათ სსკ 186 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რომელიც ითვალისწინებს მაქსიმუმ ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით“.

გირაოს თანხა იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდა კ. კობალაძისათვის და გ. ჯიქურისათვის შეუძლებელი იყო და აქედან გამომდინარე, მათ რეალურად შეფარდებული ჰქონდათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა და არა გირაო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კ. კობალაძისა და გ. ჯიქურის მიერ შეძენილი მობილური ტელეფონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს. ამასთან, გ. ჯიქური სტუდენტია და თავისთავად ცხადია, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდების შედეგად სასწავლო პროცესს ჩამორჩა.

ორივე მათგანი უაღრესად ღარიბი ოჯახიდან იყო და რეალურად, დასახელებული გირაოს თანხის მეთედესაც ვერ გადაიხდიდნენ.

2006 წელს საქართველოს შესახებ მოხსენებაში წინასწარ შენიშვნებსა და რეკომენდაციებში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე განაცხადა:

„შეიზღუდოს წინასწარი დაკავების ზომები სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში, განსაკუთრებით არაძალადობრივი, მცირე და ნაკლებად სერიოზული დანაშაულებებისათვის და მათ სანაცვლოდ შემოტანილი იქნეს ისეთი ზომები, როგორცაა გირაო და და პირადი თავდებობა“.

ინეზა ქობალიას საქმე

ინეზა ქობალია ფლობდა აფთიაქს, რომლის ლიცენზია ვადის გასვლის შემდეგ არ განუახლებია, რის გამოც 2006 წლის სექტემბერში ის ადმინისტრაციული წესით დააჯარიმეს. ინეზა ქობალიას მიმართ იმავე ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის I ნაწილით. 2006 წლის 17 ნოემბერს ინეზა ქობალიას აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 30 000 ლარის ოდენობით და გირაოს შეტანის ვადად განესაზღვრა 30 დღე.

სსკ-ი 192-ე მუხლის (უკანონო სამენარმეო საქმიანობა) თანახმად, „სამენარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ანდა ლიცენზირების პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.

ბრალდებულმა ი. ქობალიამ, 2006 წლის 15 დეკემბერს, ე.ი. მოსამართლის ბრძანებით განსაზღვრული ვადის ამონურვამდე ორი დღით ადრე, პროკურატურაში წარადგინა განცხადება და თანდარ-



თული მასალები გირაოს სანაცვლოდ უძრავი ქონების შეტანის შესახებ, მათ შორის აუდიტორული დასკვნა გაცემული აუდიტორული ფირმა „ენგურ-აუდიტის“ მიერ. დასკვნის მიხედვით, ხობის რაიონის სოფელ ხამისკურში მდებარე ინეზა ქობალიას მეუღლის, ომიანე ქირიას სახელზე რიცხული ქონების ღირებულება იდენტური ქონების საბაზრო ფასებთან შედარებით, ფაქტობრივი ცვეთის, ადგილმდებარეობის და ასევე მანდარინის, თხილისა და დაფნის საშუალო წლიური შემოსავლის გათვალისწინებით, შეფასების მომენტისათვის არსებულ საბაზრო ფასებში შეადგენდა 18 000 აშშ დოლარს, ანუ 31 500 ლარს. ე.ი. ხობის რაიონის სოფელ ხამისკურში მდებარე ომიანე ქირიას კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ღირებულება 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებულ საბაზრო ფასებში შეადგენდა 31 500 ლარს.

საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს გირაოს თანხის ნაცვლად შეუძლია შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ან მოძრავი ქონება“.

2006 წლის 21 დეკემბერს, ი. ქობალიას მიერ განცხადების წარდგენიდან 6 დღის შემდეგ, პროკურორმა მას წერილობით აცნობა, რომ ი. ქობალიას მიერ სასამართლო ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ვერ იქნა წარმოდგენილი გირაოს თანხის ეკვივალენტური უძრავი ქონება და წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, უძრავი ქონების ღირებულებაში შეყვანილია მანდარინის, თხილისა და დაფნის საშუალო წლიური შემოსავალი, რაც არ წარმოადგენს უძრავ ქონებას და ვერ იქნება მხედველობაში მიღებული, როგორც უძრავი ქონების მთლიანი ღირებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის (უძრავი ნივთის ცნება) თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული ნიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

გარდა ამისა, თუ სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პროკურორი განსაზღვრავს გირაოს ოდენობას, ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ეჭვმიტანილის ქონების შეფასებაც მის კომპეტენციაში შედის. ამ შემთხვევაში იგი უნდა დაეყრდნოს აუდიტორული ფირმის ოფიციალურ დასკვნას, ან კანონით განსაზღვრული პროცედურების გამოყენებით ეჭვქვეშ დააყენოს ამ დასკვნის მართებულობა და შესაბამისად, დასვას შემფასებლის პასუხისმგებლობის საკითხიც. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პროკურორმა თავად იტვირთა აუდიტის უფლებამოსილებები.

2006 წლის 23 ნოემბერს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ჯ.მორგოშიამ, დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ი. ქობალიასათვის აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის შესახებ. ინეზა ქობალიას დაპატიმრება ვერ მოხერხდა, რადგან ნერვიულობის ნიადაგზე მას ზედიზედ ორჯერ დაემართა ინსულტი და იგი დღემდე მძიმე მდგომარეობაშია.

ზემოაღნიშნული საქმეების ფონზე უფრო ნათლად ჩანს, თუ რამდენად შეუსაბამო თანხის ოდენობის გირაო შეუფარდა მოსამართლემ მეტად სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებულ პირებს, მოტივი გაუგებარია.

ი. სანადირაძის საქმე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მიერ აღიძრა სს საქმე N92060883 ივანე სანადირაძის და სხვათა მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე). აღნიშნული დანაშაული გამოიხატა 5 025 ლარის ოდენობის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით უსაქონლო ოპერაციის განხორციელებაში.

2006 წლის 15 ივლისს ივანე სანადირაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა სამართლის კოლეგიის მიერ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო (პატიმრობით) 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით და თანხა 1 თვეში უნდა დაეფარა. აღკვეთის ღონისძიების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბრძანება გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის გირაოს თანხა შეამცირა 500 000 (ხუთასი ათას) ლარამდე. გირაოს თანხა რა თქმა უნდა ვერ გადაიხადეს და ბრალდებული ი.სანადირაძე დარჩა პატიმრობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა ბრალდებულმა ი.სანადირაძემ მიიღო გულის მწვავე შეტევა და უგონო მდგომარეობაში სასწრაფო დახმარებით გადაიყვანეს თბილისის ყიფშიძის სახელობის კლინიკურ საავადმყოფოში.

ბონდო ტატუაშვილისა და ბესიკ ორკოდაშვილის საქმე

გამოძიების მასალების თანახმად, ახალგორის რაიონის შს განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის ინსპექტორ-გამომძიებელმა ბონდო ტატუაშვილმა და ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროსმა ინსპექტორ-გამომძიებელმა ბესიკ ორკოდაშვილმა, ახალგორის რაიონის ფოსტის შენობიდან ელექტროსადენის ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით, ახალგორის საბავშვო სახლის ეზოდან, პედაგოგებთან შეუთანხმებლად, პოლიციაში წაიყვანეს აღსაზრდელები – ლევან კოდუაკოვი და იასონ გელაძე. აღიარებითი ჩვენებების მიღების მიზნით, პოლიციელებმა მათზე განახორციელეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, კერძოდ, სცემეს მუშტებითა და წყლით სავსე პოლიეთილენის ბოთლით. ამის მიუხედავად, ლ. კოდუაკოვმა და ი. გელაძემ არ მისცეს აღიარებითი ჩვენება. სამართალდამცველებმა მოზარდები გარკვეული დროის შემდეგ გაათავისუფლეს.

ბონდო ტატუაშვილს და ბესიკ ორკოდაშვილს ბრალი წაეყენათ შემდეგი მუხლებით:

საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე);

144 -ე მუხლის (წამება) მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით(ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე);

369-ე მუხლის (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მე-2 ნაწილით (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე).

მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა ორი თვის ვადით. თუმცა მოგვიანებით გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათ აღკვეთი ღონისძიება, დაპატიმრება, შეეცვალათ უფრო მსუბუქი ღონისძიებით, გირაოს სახით 5-5 ათასი ლარის ოდენობის გადახდით და პატიმრობიდან გაათავისუფლდნენ.

საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი „გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში“.

დავით ასათიანის საქმე

2007 წლის 8 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის №6 საპყრობი-



ლეში განთავსებული განსასჯელის, დ. ასათიანის ცემის ფაქტთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს განსასჯელი დ. ასათიანი, რომელმაც განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 3 იანვარს ბადრაგის თანამშრომლებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ადვოკატის, ე. ბესელიას განმარტებით, განსასჯელ დ. ასათიანს ფიზიკური შეურაცხყოფა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმის ექვსმა თანამშრომელმა მიაყენა.

საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, მოეწოდებინათ ინფორმაცია აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან 2007 წლის 17 იანვარის მიღებული პასუხის თანახმად, 2007 წლის 3 იანვარს, დაახლოებით 18 საათზე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის №6-ე საპყრობილეში სასამართლო პროცესიდან შეიყვანეს ამავე საპყრობილეში განთავსებული განსასჯელი დავით თათარის ძე ასათიანი, რომელსაც შემონმების დროს აღენიშნებოდა დაზიანებები. განსასჯელის განმარტებით, აღნიშნული დაზიანებები მას სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა სასამართლო პროცესიდან დაბრუნების შემდეგ მიაყენეს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2007 წლის 04 იანვრის დასკვნის თანახმად, პატიმარ დავით თათარის ძე ასათიანს შემონმებით აღენიშნებოდა ახალი სისხლნაჟღერებები ზურგის არეში, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედებით, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებული შემთხვევის თარიღს (03.01.07წ.) და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის სასჯელალსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებს, მ. გიორგაძესა და კ.გულბანს, 2007 წლის 16 იანვარს წარედგინათ ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2007 წლის 18 იანვარს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით, აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო 3-3 ათასი ლარის ოდენობით.

წამების წინააღმდეგ კომიტეტის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კულტურის ჩამოყალიბებას. ამისათვის აუცილებელია, გატარდეს ნულოვანი ტოლერანტობა ყველა დონეზე, როგორც პოლიციელების მიერ ძალის გამოყენებისას, ასევე პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის.

დავით ბალათურიასა და მიხეილ ძიმციეშვილის საქმე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის №4 საპყრობილეში არასრულწლოვნების, ალექსანდრე კოვალჩუკისა და დავით ზარანდიას ცემა-წამება მათი თანასაკნელების (ვეფხია არდბილავა, იროდი აბსანძე და ისაკ თელია) მიერ 10 დღის განმავ-

ლობაში ხორციელდებოდა. ზემოაღნიშნული პირები პასუხისგებაში მიეცნენ სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ პუნქტებით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა: პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, ჯარიმით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.) 144³ მუხლი გამოიყენება მაშინ, როცა პირის ქმედებაში არ არსებობს ხანგრძლივი და ინტენსიური ტანჯვის (წამების) ნიშნები.

2006 წლის 4 დეკემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება ზუგდიდის №მე-4 საპყრობილის თანამდებობის პირების მიერ სამსახურეობრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე. 2007 წლის 19 იანვარს ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ზუგდიდი №4 საპყრობილის სარეჟიმო კორპუსის უფროსები, დავით ბაგათელია და გურგენ ძიმცივიშვილი, დანაშაულისათვის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის I ნაწილით (სამსახურეობრივი გულგრილობა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე).

2007 წლის 19 იანვარს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით დ. ბაგათელიასა და გ.ძიმცივიშვილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდათ გირაო 2 000 ლარის ოდენობით.

მიხეილ სვანიძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მანანა ონიანმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მისი შვილის, სკენდერ ხაბულიანის, მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით 2006 წლის 26 ოქტომბერს დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი მიხეილ სვანიძე, რომელსაც ბრალი წაეყენა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (განზრახ მკვლელობა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე).

2006 წლის 31 ოქტომბერს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. სვანიძის ადვოკატის შუამდგომლობა გირაოდ 30 000 ლარის შეფარდებაზე და დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ. 2006 წლის 10 ნოემბერს, ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღკვეთი ღონისძიება უცვლელი დატოვა. 2006 წლის 16 დეკემბერს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შ. გუნცაძემ დააკმაყოფილა ბრალდებულისა და მისი ადვოკატის შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების – დაპატიმრების 30 000 ლარის გირაოთი შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში“.

საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით“.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კანონის არცერთი მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

ვარლამ ფხაკაძის საქმე

2006 წლის 7 დეკემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, ივანე კაპატიძის, დავით მინაშვილის, ავალო გაბრიჭიძისა და კახა გაბუნიათს სამსახურეობრივ გულგრილობასა და ძალის გადამეტებულ გამოყენებას შეენირა ვარლამ ფხაკაძის სიცოცხლე. მიუხედავად ამისა, პატრულ-ინ-



სპექტორს, ივანე კაპატაძეს, რომელიც 14 დეკემბერს ბრალდებულის სახით მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, სსკ-ის 114-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით), აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება ორი თვით.

პატრულ-ინსპექტორები: დ.მინაშვილი, ა.გაბრიჭიძე და კ.გაბუნია მიეცნენ ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი). დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ შუამდგომლობით ითხოვა სასამართლოსაგან პატრულ-ინსპექტორებისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გიროს – 2000 ლარის გამოყენება, რაც დააკმაყოფილეს.



მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელშიც გაურკვეველია, თუ რატომ დაამტკიცა მოსამართლემ საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში დამნაშავედ ცნობილ პირსა და პროკურორს შორის. დამნაშავე 5 წლით გამოსაცდელი ვადით გაათავისუფლა და მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლა. კერძოდ:

ზ. გონაშვილის საქმე

2000 წელს ქ. თბილისში მარჯვენა სანაპიროს ქ. №5-ში მდებარეობდა შპს „სუპერსერვისი-ლი“, რომლის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი და გენერალური დირექტორი იყო ზ. გონაშვილი. ზ. გონაშვილის პარტნიორს, მ. ტაბალუას სურდა გონაშვილის საკუთრებაში არსებული ფირმის საკონტროლო პაკეტის შეძენა, რაზეც ზ. გონაშვილი უარს აცხადებდა. მ. ტაბალუამ იცოდა, რომ ახმეტის რაიონის სოფ. დუისში მცხოვრებ თ. ხანგოშვილს, სხვადასხვა პირებსა და ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით, ჩამოყალიბებული ჰქონდა მყარი შეიარაღებული ჯგუფი (ბანდა).

2000 წლის ნოემბრის თვეში მ. ტაბალუა დაუკავშირდა ბანდის ხელმძღვანელსა და მის წევრებს და შესთავაზა, ზ. გონაშვილი მძევლად ხელში ჩაეგდოთ და გამოსასყიდად მისთვის გარკვეული თანხა მოეთხოვათ. მ. ტაბალუას აზრით, ზ. გონაშვილს გამოსასყიდი თანხა არ ჰქონდა და ფინანსური დახმარებისთვის მას მიმართავდა. სანაცვლოდ, მ. ტაბალუა ზ. გონაშვილს გამოართმევდა შპს „სუპერსერვისი-ლი“-ს ქონებას.

2000 წლის 13 ნოემბერს, ზ. გონაშვილი თავისი კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით სხვა პირებთან ერთად იმყოფებოდა ახმეტის რაიონის სოფ. ფიჩხოვანის ცენტრში, რა დროსაც, თ. ხანგოშვილის ბანდამ ავტომატური და სხვა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით აიძულა ზ. გონაშვილი გადმოსულიყო მანქანიდან, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ჩასვეს მათ ავტომანქანაში და შემთხვევის ადგილიდან გაიტაცეს.

ზ. გონაშვილი ბანდის წევრებმა მიიყვანეს თ. ხანგოშვილის ბინაში, ახმეტის რაიონის სოფ. ხალა-ნანში. იგი მოათავსეს იმ ოთახში, რომელშიც დამწყვედელი ჰყავდათ თ. მოლახშია.

ბანდის წევრებმა მძევლის გათავისუფლების პირობით ზ. გონაშვილსა და მის ოჯახის წევრებს მოსთხოვეს 200 000 აშშ დოლარი.

2000 წლის 29 დეკემბერს მ. ტაბალუა ჩავიდა პანკისის ხეობაში, სადაც ბანდის წევრების მეშვეობით, მკვლელობის მუქარით აიძულა ზ. გონაშვილი დაენერა ხელწერილი, თითქოს იგი მისი კუთვნილი

ფირმის ქონებას გადასცემდა მ. ტაბალუას სანაცვლოდ, კი მ. ტაბალუა მას ტყვეობიდან დაიხსნიდა. აღნიშნული ხელნერილი მ. ტაბალუამ წამოიღო ქ. თბილისში და ცდილობდა მისი მეშვეობით თავის სახელზე გადაეფორმებინა ზ. გონაშვილის კუთვნილი ქონება.

მ. ტაბალუამ და ბანდის წევრებმა თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან 2001 წლის 11 იანვარს ზ. გონაშვილმა და მასთან ერთად ტყვეობაში მყოფმა ვ. მაკოევმა ბანდის ერთ-ერთ წევრს წაართვეს ცეცხლსასროლი იარაღი და მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. აღნიშნულზე შეიკრიბა პანკისის ხეობის მოსახლეობა და მძევლები პოლიციას გადასცა.

ზემოაღნიშნული დანაშაულის გარდა, მ. ტაბალუამ გამოძიებით დაუდგენელ დროს, დაუდგენელი პირისგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 50 ცალი 9 მმ კალიბრის „ლეგერის“ ტიპის ვაზნა, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში (თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონის დაბა წყნეთში).

მ. ტაბალუას ბრალი ედებოდა დანაშაულში: ორგანიზებული ჯგუფის მიერ შვიდ დღეზე მეტი ხნით, ანგარებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ პირი შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. მანვე მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა საბრძოლო მასალა.

ახმეტის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ლ. დუიშვილმა, 2006 წლის 16 თებერვლის განაჩენით დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორ გ. ბაჩიაშვილსა და ბრალდებულ მ. ტაბალუას შორის. მ. ტაბალუა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“, „ვ“, „ი“ პუნქტებით (შვიდ დღეზე მეტი ხნით, ანგარებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე), მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან თვრამეტ წლამდე) და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა ან შენახვა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე), სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე აღნიშნული სასჯელი მოსამართლემ ჩაუთვალა პირობით 5 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განუსაზღვრა 30 000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა.



სასამართლოზე პროკურატურის ზენოლას ხელს უწყობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლი (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა), რომელიც პროკურატურისთვის სასამართლოზე ზენოლის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემომწმების პრეროგატივა ეკისრება სწორედ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს, ხოლო სსკ 336-ე მუხლის არსებობა შესაძლებლობას ქმნის, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება გადასინჯული იქნას პროკურატურის მიერაც, რითაც პროკურატურა ფაქტობრივად გვევლინება მე-4 ინსტანციად, რაც ლახავს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გარანტირებულ პრინციპს, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე და ბათილია ყველა ის აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის არსებობით ილახება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პრინციპი, რომ სასამართლო ხელისუფლება



საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. აღიშნულ პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის ის გარემოება, რომ მოსამართლის უკანონო განაჩენზე საქმის გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა, რომელიც არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი.

ზემოაღნიშნულის გარდა, სსკ-ის 336-ე მუხლი პროკურატურას შესაძლებლობას აძლევს, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მუქარით, ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე და ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და უზენაესობის პრინციპს.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს პარლამენტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ევროპის საბჭო თავის რეკომენდაციაში Rec(2000)19, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სახელმწიფო ბრალმდებლის როლს, მიუთითებს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა იმისათვის, რომ პროკურატურის სამართლებრივი სტატუსი, კომპეტენცია, საპროცესო როლი ისე იყოს კანონით რეგლამენტირებული, რომ არ გაჩნდეს ეჭვი მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ.

მოსამართლეთა არაკვალიფიციურობა და სამსახურებრივი გულგრილობა

ზემოაღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გარდა, სასამართლო სისტემაში გვხვდება მოსამართლეთა არაკვალიფიციურობის პრობლემაც. ხშირ შემთხვევაში ზოგი მოსამართლე გულგრილად ეკიდება მასზე დაკისრებულ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობებს. მოვიყვანოთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე მაგალითს. კერძოდ:

ალექსანდრე ლ-ს საქმე

2006 წლის 21 ნოემბერს სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ლუიზა ყუფარაძემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის დარღვევისათვის 30დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა 1989 წლის 14 ნოემბერს დაბადებულ ალექსანდრე ლ-ს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ყუფარაძის მიერ გამოტანილი დადგენილების მიხედვით ირკვევა, რომ 2006 წლის 21 ნოემბერს, 13 საათსა და 10 წუთზე ქ. სამტრედიაში, წერეთლის ქუჩაზე, დააკავეს ალექსანდრე ლ., რომელიც შემონმდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე და დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების „მარიხუანას“ მოხმარება, ანუ ჩაიდინა სამართალდარღვევა, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით.

ა.ლ. ნასამართლევია, იგი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით იმავე ვადით. სწორედ მითითებული გარემოება დაედო საფუძვლად მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ალექსანდრე ლ. მიმართ არასაპატიმრო სახდელის გამოყენება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით: „ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც

ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, **თვრამეტ წელს მიუღწეველ პირებს**, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს“. მოსამართლის მიერ კი უხეშად დაირღვა კანონის აღნიშნული მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნით, რომ ლ.ყუფარაძის ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს („სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი და მოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია“).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალურ პროკურორს სახალხო დამცველმა გაუგზავნა მიმართვა ალექსანდრე ლ.-ს უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებისა და მოსამართლე ლ. ყუფარაძის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

როგორც გენერალური პროკურატურიდან მიღებული დოკუმენტით დასტურდება, სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის N74068449 საქმეზე, 2006 წლის 21 ნოემბერს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე ლუიზა ყუფარაძის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის არასრულწლოვან ალექსანდრე ლ.-სათვის პატიმრობის შეფარდებით, უკანონო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2006 წლის 29 ნოემბერს პრესკონფერენციის ჩატარების შემდეგ, იმავე დღეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ამავე დადგენილების გამომტანმა მოსამართლემ, ლ. ყუფარაძემ, და ითხოვა მისი გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა განცხადება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსამართლის მოთხოვნა. კერძოდ, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც გაუქმდა ალექსანდრე ლ.-ს მიმართ შეფარდებული სახდელი, ადმინისტრაციული პატიმრობა და მას დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა“.

დადგენილების გამომტანი მოსამართლე არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ პირთა კატეგორიაში. გაუგებარია, რა ნორმატიულ ბაზაზე დაყრდნობით იხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, როცა განსახილველად მიიღო მოსამართლე ლ. ყუფარაძის განცხადება და რა ნორმებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება 2006 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მაშინ, როცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 278-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს: 1. საჩივრის ან პროტესტის განხილვისას ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ;



- ბ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ;
- გ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ;
- დ) ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილების გაუქმებისა და პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ;
- ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის ზომის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში შეცვლის შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში შეიცვალა სახდელის სახე და არა სახდელის ზომა, როგორც ეს 278-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტშია მითითებული.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის სახეობებს განეკუთვნება:

- 1) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:
 - ა) გაფრთხილება;
 - ბ) ჯარიმა ;
 - გ) იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებას წარმოადგენდა;
 - დ) იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს, უშუალო ობიექტს ან საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებას წარმოადგენდა;
 - ე) მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამორთმევა;
 - ვ) გამასწორებელი სამუშაოები;
 - ზ) ადმინისტრაციული პატიმრობა

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადმინისტრაციული სახდელის ერთი სახეობის მეორე სახეობით შეცვლასთან კერძოდ, ადმინისტრაციული პატიმრობა შეიცვალა ჯარიმით, რასაც არ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ამას ემატება ის, რომ ალექსანდრე ლ. 7 დღე უკანონოდ იმყოფებოდა ადმინისტრაციულ პატიმრობაში და შემდგომში თანხაც გადაახდევინეს.

თემურ მიქიას საქმე

2001 წლის 14 ივლისს ქ. ფოთში ნაბადის გადასასვლელი ხიდის მახლობლად, სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა, კახა ლატარიამ და თემურ შურლულაიამ, დააკავეს აფხაზეთიდან დევნილი თემურ მიქია. კახა ლატარიამ და თემურ შურლულაიამ დაკავების ოქმისა და ყოველგვარი საპროცესო დოკუმენტაციის შედგენის გარეშე გადაიყვანეს დაკავებული თ. მიქია ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის შენობაში. საათ-ნახევრის შემდეგ, ქ. ფოთის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა, შ. ბერაიამ, ქ. ფოთის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილეს, მურთაზ მიგინეიშვილს, სატრანსპორტო პოლიციის შენობაში გადასცა ქ. ფოთის შს სამმართველოს უფროსის, თორნიკე საჯაიას მიერ გამოცემული დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკისა და ამოღების შესახებ. შოთა ბერაიას დავალებით მურთაზ მიგინეიშვილმა, ამავე სამმართველოს ინსპექტორებმა ემზარ სარსანიამ და კოტე ხარებავამ, გამოიყვანეს თ. მიქია სატრანსპორტო პოლიციის შენობიდან და გადაიყვანეს იგი ნაბადის ხიდთან, სადაც მოახდინეს მისი დაკავების ინსცენირება. კერძოდ, მათ თითქოს თ. მიქიასაგან ამოიღეს მოპარული

ვიდეო-მაგნიტოფონი და ტელევიზორი, რაზეც შეადგინეს საგამოძიებო ოქმი. მოპარული ნივთების „ამოღებით“ შექმნეს საფუძველი თ. მიქიას დაკავებისათვის. ამის შემდეგ, თ. მიქია გადაიყვანეს ქ. ფოთის შს სამმართველოს შენობაში, თუმცა, დაკავების ოქმი არც ნაბადის ხიდთან, არც თ. მიქიას შს სამმართველოს შენობაში მიყვანის შემდეგ არ შეუდგენიათ.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ეცნობა ქ. ფოთის პროკურორს, გიორგი ხარჩილავას. მისი დავალებით, გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა ქ. ფოთის პროკურორის მოადგილემ გოგი ფაჩულიამ. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ალექსანდრე გოგუაძემ მიიღო დადგენილება საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.

საქმეზე მოკვლევის წარმოება დაეწყო მ. მიგინიევილს. მან მოკვლევის მასალები წარუდგინა ფოთის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსს, მარლენ სმაგინს, რომელმაც გამოსცა დადგენილება თ. მიქიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. მოკვლევის მასალების გაცნობის დროს მურთაზ მიგინიევილმა მოახსენა მარლენ სმაგინს, რომ საქმის მასალებში არ იყო დაკავების ოქმი და დამკავებელი პოლიციელების პატაკები, რაზეც კრიმინალური პოლიციის უფროსმა უპასუხა, რომ მოგვიანებით უზრუნველყოფდა საქმეში დაკავების ოქმის ჩადებას.

ამგვარად, ჩხრეკის ოქმის დაკანონების მომენტისათვის საქმეში არ არსებობდა დაკავების ოქმი და მოსამართლეს არ უნდა ეცნო კანონიერად გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება.

დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე მარლენ სმაგინმა მურთაზ მიგინიევილს თავის კაბინეტში გადასცა საქმის მთელი მასალა, მათ შორის მოსამართლის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. მ. მიგინიევილმა ჩამოართვა თ. მიქიას ახსნა-განმარტება, გამოსცა დადგენილება თ. მიქიას დაკავებისა და ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ და ჩაიყვანა ეჭვმიტანილი სამმართველოს სამორიგეო ნაწილში. დაახლოებით სამი საათისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1994 წლის 15 მარტის №117 ბრძანების დარღვევით ფოთის შს სამმართველოს სამძებრო ნაწილის თანამშრომელმა, ავთანდილ სიხუაშვილმა, მარლენ სმაგინის მითითებით, ეჭვმიტანილი თ. მიქია გამოიყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორიდან და შეიყვანა მურთაზ მიგინიევილის სამუშაო კაბინეტში.

დაახლოებით 20 საათისათვის, თ. მიგინიევილის სიტყვიერი მითითებით, ელდარ მიქაძემ, ჰამლეტ კაპანაძემ და კახა ახალაიამ დაკავებული მიქია გადაიყვანეს ფოთის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების ინსპექტორ ზ. ხორავას კაბინეტში, სადაც ეჭვმიტანილმა ისარგებლა მეთვალყურე პოლიციელების უყურადღებობით, მოახერხა ოთახის ფანჯარასთან მდგარ სკამზე შედგომა, ჩაამსხვრია ფანჯრის მინები და გაქცევის მიზნით გადმოხტა 6 მეტრისა და 20 სანტიმეტრის სიმაღლიდან, დაეცა დროებითი მოთავსების იზოლატორის საჰაერო დამცავ მავთულბადაზე, რომელიც სიმძიმის შედეგად გაირღვა და ის ჩავარდა პატიმრების გასასეირნებელი ეზოს მიწაზე, რის შედეგადაც მიიღო სხეულის დაზიანებები. თ. მიქია გადაიყვანეს ქ. ფოთის საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

2006 წლის 28 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ქ. ფოთის პროკურორის მოადგილის, გოგი ფაჩულიასა და ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ალექსანდრე გოგუაძის პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.

მოსამართლეს აუცილებლად ევალებოდა სისხლის სამართლის საქმის მასალების შესაბამისად მიეღო გადაწყვეტილება. საქმის მასალებში კი დაკავების ოქმი არ იყო, რითაც თემურ მიქიას მიმართ საქმის შემდგომი წარმოება იყო უკანონო. მოსამართლის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო თემურ მიქიას თავისუფლების უკანონო აღკვეთაში დატოვებას, რასაც შედეგად მისი სიკვდილი მოჰყვა.



სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაენყო დისციპლინური სამართალწარმოება ზემოაღნიშნულ საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი სკოლა. 2007 წლის ტრენინგების გრაფიკი უკვე დაგეგმილია. 2007 წლის მაისიდან ამოქმედდება 2 რეგიონული სასწავლო ბაზა. მოსამართლეობის კანდიდატები ჩაირიცხებიან მსმენელებად, გაივლიან სრულ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს და მხოლოდ შემდეგ დაინიშნებიან მოსამართლეებად უვადაოდ. ამჟამად მიმდინარეობს ქართველი ტრენერების მომზადება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული სკოლის ამოქმედება მნიშვნელოვნად მოხსნის მოსამართლეთა არაკვალიფიციურობის პრობლემას.

დადებითად ვაფასებთ გასულ წელთან შედარებით საერთო სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ შუამდგომლობების კლების ტენდენციას. ადრე პროკურატურა ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობით, ა/ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე, რომელთა დიდი ნაწილი კმაყოფილებოდა სასამართლოს მიერ. 2005 წლის განმავლობაში სასამართლოებში შევიდა 9962 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებისა (პატიმრობა, პირადი თავდებობა, გირაო), მათგან პატიმრობის შესახებ იყო 9042 შუამდგომლობა ანუ სულ შესული შუამდგომლობების 90%. პატიმრობის შესახებ შესული შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილდა 7159 შუამდგომლობა, ანუ 79%.

2006 წლის პირველ 6 თვეში სასამართლოებში შევიდა სულ 8301 შუამდგომლობა სამივე სახის ა/ღონისძიებაზე (პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა). აღნიშნული რიცხვიდან 5868 შუამდგომლობა იყო პატიმრობის შესახებ, ანუ სულ შესული შუამდგომლობების 70% (20%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მათგან დაკმაყოფილდა 5156 შუამდგომლობა, ანუ დაახლოებით 90%, რაც მეტია 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2006 წლის პირველი ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოებში შევიდა 9418 შუამდგომლობა სამივე სახის ა/ღონისძიებაზე (პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა). აღნიშნული რიცხვიდან 5893 შუამდგომლობა იყო პატიმრობის შესახებ, ანუ სულ შესული შუამდგომლობების 62.5%, მათგან დაკმაყოფილდა 5202 შუამდგომლობა, ანუ დაახლოებით 88% პროცენტით.

ამასთან, აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით პროკურატურა პროცენტულად უფრო ხშირად ითხოვს აღმკვეთ ღონისძიებად არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას, ეს პატიმართა აბსოლუტურ რაოდენობაზე არ ახდენს გავლენას, რადგან მკვეთრად გაიზარდა მთლიანად დაკავებულთა რიცხვი. თუკი 2005 წელს მთლიანად პატიმრობის მოთხოვნაზე იყო 9042 შუამდგომლობა, 2006 წელს ეს რიცხვი 11761-ს შეადგენდა. თანაც 2006 წლის მეორე ნახევარში პატიმრობის მოთხოვნის რაოდენობა აღემატებოდა პირველ ნახევარს 25 ერთეულით.

სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასამართლომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე მაქსიმალურად შეზღუდოს აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება, რაც იმავდროულად გარკვეულწილად მოხსნის გადატვირთულობის პრობლემას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

საგულისხმოა, რომ 2005 წლისგან განსხვავებით იმატა გირაოსა და პირადი თავდებობის შესახებ დაკმაყოფილებულმა შუამდგომლობების რაოდენობამ, კერძოდ: 2006 წლის პირველ ნახევარში 2212 შუამდგომლობიდან გირაოს შესახებ დაკმაყოფილდა 2121, პირადი თავდებობის შესახებ 221 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 216. მეორე ნახევარში კი 3445 შუამდგომლობიდან გირაოს შესა-

ხეზ დაკმაყოფილდა 3362, პირადი თავდებობის შესახებ 80 შუამდგომლობიდან ყველა დაკმაყოფილდა. ზემოაღნიშნული რიცხვები ეხება მხოლოდ პროკურატურის შუამდგომლობებს. დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები ჩვენი ინფორმაციით თითქმის არასდროს კმაყოფილდება, სტატისტიკური ინფორმაცია ამის შესახებ, სამწუხაროდ, უზენაეს სასამართლოში ვერ მოვიპოვეთ.

ალკვეთის ღონისძიებების სტატისტიკა

	პროკურატურა სასამართლოში შევიდა შუამდგომლობით	დაკმაყოფილდა
2005 წელი	გირაო – 736 პირადი თავდებობა – 180 პატიმრობა – 9042	გირაო – 710 პირადი თავდებობა – 178 პატიმრობა – 7159
2006 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	გირაო – 2212 პირადი თავდებობა – 221 პატიმრობა – 5868	გირაო – 2121 პირადი თავდებობა – 216 პატიმრობა – 5156
2006 წლის 1 ივლისი-31 დეკემბერი	გირაო – 3445 პირადი თავდებობა – 80 პატიმრობა – 5893	გირაო – 3362 პირადი თავდებობა – 80 პატიმრობა – 5202

2005 წელთან შედარებით იკლო გამამართლებელი განაჩენების რიცხვმა. კერძოდ: 2005 წელს საერთო სასამართლოების პირველ ინსტანციაში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 64 საქმისა და 79 პირი მიმართ, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში დადგინდა გამამართლებელი განაჩენი 12 საქმისა და 17 პირის მიმართ; 2005 წ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი 7 საქმისა და 8 პირის მიმართ, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში კი – 5 საქმისა და 5 პირის მიმართ; 2005 წ. საკასაციო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი 11 საქმისა და 11 პირის მიმართ, ხოლო 2006 წ. 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი 4 საქმისა და 5 პირის მიმართ.

2006 წლის მეორე ნახევარში პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი 20 საქმის მიმართ, სააპელაციომ – 8 საქმის მიმართ და საკასაციომ – 2 საქმის მიმართ.

გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა

	პირველი ინსტანციის სასამართლოები	სააპელაციო სასამართლო	საკასაციო სასამართლო
2005 წელი	64 საქმისა და 79 პირის მიმართ	7 საქმისა და 8 პირის მიმართ	11 საქმისა და 11 პირის მიმართ
2006 წლის 1 იანვარი-30 ივნისი	12 საქმისა და 17 პირის მიმართ	5 საქმისა და 5 პირის მიმართ	4 საქმისა და 5 პირის მიმართ
2006 წლის 1 ივლისი-31 დეკემბერი	20 საქმის მიმართ	8 საქმის მიმართ	2 საქმის მიმართ

უზენაესი სასამართლოდან მიღებული კერძო განჩინებებთან დაკავშირებული სტატისტიკურ მონაცემები: 2006 წლის 6 თვეში გამოტანილია 16 კერძო განჩინება, მათ შორის, გამოძიებაში დაშვებულ დარღვევებზე – 15, დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებზე – 1; რაც შეეხება ინფორმაციას



განსასჯელის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე გამოტანილი კერძო განჩინების შესახებ, ასეთი მონაცემები სტატისტიკური ანგარიშების მოქმედ ფორმებში გათვალისწინებული არ არის. (2005 წელს გამოტანილ იქნა 25 კერძო განჩინება, მათ შორის გამოძიებაში დაშვებულ შეცდომებზე – 23, დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებზე – 2). ზემოაღნიშნული სტატისტიკა უცვლელი დარჩა 2006 წლის მეორე ნახევარშიც. **სტატისტიკური ინფორმაციიდან გამომდინარე, 2006 წლის მეორე ნახევარში გამოძიებაში დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.**

რაც შეეხება სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, 2006 წლის მეორე ნახევარში განხილულია მხოლოდ 86 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 40. 2006 წლის პირველ ნახევარში განხილულია 507 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 290 შუამდგომლობა, ანუ 57%-ი; ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი შეცვლის შესახებ 2006 წლის მეორე 6 თვეში საერთო სასამართლოებს არც ერთი საქმე არ განუხილავს. 2006 წლის პირველ ნახევარში განხილულია 2 საქმე, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა. 2005 წელს საერთო სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ განხილულია 2036 საქმე, მათ შორის დაკმაყოფილდა 1745, ანუ 85%-ი (2005 წელს აღნიშნული კატეგორიის საქმეები სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში აღირიცხებოდა ერთად). ამკარაა, რომ წინა წლებთან შედარებით მკვეთრად შემცირდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობა.

რაც შეეხება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, 2006 წლის მეორე ნახევარში განხილულია 5 საქმე, რომელთაგან 3 დაკმაყოფილდა.

2006 წლის პირველ 6 თვეში ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ განხილულია 10 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 2.

2005 წელს ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე სასამართლოებში სულ შევიდა 15 საქმე, რომელთაგან დაკმაყოფილდა 5.

რაც შეეხება ხანდაზმული ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, 2006 წლის პირველ 6 თვეში არც ერთი საქმე არ განხილულა (2005 წელს აღნიშნული კატეგორიის საქმეები სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში გათვალისწინებული არ იყო).

2006 წელს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესულია 2547 საქმე, ხოლო საბრალდებო დასკვნით – 13302 საქმე, საიდანაც 1330 საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. სულ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 3791 საქმეზე. ანუ, საპროცესო შეთანხმებით დამთავრდა მთელი საქმეების დაახლოებით 25 პროცენტი. საპროცესო შეთანხმებაზე პროკურატურას უარი ეთქვა და დაუბრუნდა საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად 10 საქმე.

საკანონმდებლო ცვლილებები

სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხიც:

საკონსტიტუციო ცვლილების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი აღარ დანიშნავს მოსამართლეებს. ისინი დაინიშნებიან უვაოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. ამ ცვლილებამ ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – მეჰმედ ალი ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ, ინკალი თურქეთის წინააღმდეგ, ფინდლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, დაქტა-

რასი ლიტვის წინააღმდეგ განმარტა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის გასარკვევეად ყურადღება უნდა მიექცეს მოსამართლეთა დანიშვნის წესს, მათი უფლებამოსილების ვადას და მათზე გარე ზეწოლისაგან დაცვის ღონისძიებების არსებობას.

ევროსაბჭოს რეკომენდაციაში No. R (94) 12 მითითებულია, რომ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადანყვეტილების მიმღები ორგანო არ უნდა იყოს მთავრობა ან ხელისუფლების სხვა ორგანო. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიისათვის, ნორმებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ის, რომ სასამართლოს წევრების არჩევა ხდებოდეს სასამართლო ხელისუფლების მიერ და თვითონვე იღებდნენ თავიანთი საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.

სასამართლო სისტემაში სხვა პრობლემებიცაა: სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურება, რაც ძირითადად გამოწვეულია მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობით და აისახება სასამართლოს ეფექტურობაზე, ტექნიკური პირობების არარსებობა. თუმცა, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და ეს საკითხები გათვალისწინებულია სასამართლო ხელისუფლების სამოქმედო გეგმაში. 2006 წლიდან მიმდინარეობს სასამართლოების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, ეს პროცესი 2008 წელს დასრულდება. **გაიზარდა მოსამართლეთა ხელფასები. შემუშავდა მოსამართლეთა დანიშნულების კარიერული პრიციპი. მაგრამ თუ არ მოგვარდება ყველაზე მთავარი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საკითხი – ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება სასურველ ეფექტს ვერ მოგვცემს.**

3

პროკურატურა

პროკურატურა არის ორგანო, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას. ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე. პროკურატურა დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას, ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას. მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში, ასაჩივრებს უკანონო და დაუსაბუთებელ განაჩენს, სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურის ერთ-ერთი უმ-

თავრესი მოვალეობაა, უზრუნველყოს კანონის დაცვაზე მაქსიმალური კონტროლი სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებისას. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველს ძალიან ხშირად მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც მიუთითებენ, რომ პროკურატურის ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებისას ირღვევა მათი საპროცესო უფლებები; ასევე, პროკურატურის მხრიდან არ ხდება სათანადო რეაგირება გამოძიების სხვა ორგანოების მიერ დაშვებულ დარღვევებთან დაკავშირებით. საუბარია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული დაცვის უფლების შეზღუდვაზე; უკანონო დაკავება-დაპატიმრების, საქმეზე ცალმხრივი და არაობიექტური გამოძიების, მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასების და უგულვებელყოფის, დამნაშავე პირთა დაუსჯელობის და სხვა მსგავს შემთხვევებზე.

პროკურატურა თავისი საქმიანობის განხორციელებისას უნდა ეყრდნობოდეს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივ პრინციპებს, თუმცა პრაქტიკაში ხშირად არ არის დაცული ხსენებული პრინციპები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლში ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ერთ-ერთი უმ-

თავრესი პრინციპი – საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა. საქმეზე მიმდინარე გამოძიებისას ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. აღნიშნული მოთხოვნის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნას აცილებული უდანაშაულო პირის მსჯავრდება. პროკურორის მიერ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრინციპის უგულვებლყოფის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი შემთხვევა:

დავით ბაძგარაძის საქმე

2005 წლის 16 დეკემბერს 23:00 საათზე ქ.თბილისში, ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მოქალაქე დავით ბაძგარაძე. მას გამოძიებამ ბრალი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის (ყაჩაღობა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 363-ე მუხლის (დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება) მე-2 ნაწილით, რისთვისაც მას ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2005 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. პროკურატურამ აღნიშნული ბრალდებით საბრალდებო დასკვნა გადაავზავნა სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ნანა მაისურაძემ 2006 წლის 20 აგვისტოს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი დავით ბაძგარაძის მიმართ. სასამართლო პროცესზე ბრალდებას მხარს უჭერდა ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნანა ციხისელი.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2005 წლის 16 დეკემბერს დ. ბაძგარაძემ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ასევე პირადობის დამადასტურებელი მონაბობისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტაციის გატაცება, რაც გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 16 დეკემბერს, **ის დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირებს**, შექმნეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს თავს დასხმოდნენ რომელიმე მოქალაქეს და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ სხვის ქონებას. საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, ისინი მივიდნენ ქ.თბილისში ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში №401 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაღში, რა დროსაც დ.ბაძგარაძე, გამოძიებით დაუდგენელ თანამონაწილეებთან ერთად, წინასწარ მომარჯვებული დანით თავს დაესხა მოქალაქე სოფო ზურაბიშვილს და გასტაცა შავი ფერის ხელჩანთა.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენით კი დადასტურებული იქნა, რომ დავით ბაძგარაძე 2005 წლის 16 დეკემბერს 20 საათზე ფიზიკურად არ იმყოფებოდა თბილისში. დ. ბაძგარაძის ჩვენებით: 2005 წლის 16 დეკემბერს დ.ბაძგარაძე, თავის მეგობარ გ.ლაღაძესთან ერთად, 17 საათზე ქ. ქუთაისიდან გაემგზავრა ქ. თბილისში. გამგზავრების მიზანს წარმოადგენდა მუშაობის დანყება მშენებლობაზე, სადაც მუშაობდნენ მისი ბიძა მ. ქვილითაია და ბიძაშვილი რ. ქვილითაია. ის სატელეფონო საუბრებით შეუთანხმდა ბიძას თბილისში ჩამოსვლასა და მუშაობის დანყების თაობაზე. მან აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა მობილური ტელეფონით მ. ქვილითაიასთან ქუთაისიდან გამომგზავრების წინაც. ასევე, მას თბილისში ასაღები ჰქონდა სამხედრო ბილეთი. სოფლიდან ქუთაისის ავტოსადგურში ჩასვლისას, მან და გ. ლაღაძემ ისაძილეს, რის გამოც ფული ცოტა დარჩათ და ავტობუსის მძღოლს სთხოვეს, ორივე წაეყვანა ცხრა ლარად, რაზეც მიიღეს უარი. დიდი ხვეწნის შემდეგ, მძღოლმა ისინი გაავზავნა ავტოსადგურის დისპეჩერთან, რომელმაც გაიზიარა მათი მდგომარეობა, მიჰყვა ავტობუსის მძღოლთან და სთხოვა წაეყვანა ისინი ცხრა ლარად. ავტობუსი ქუთაისიდან გამოვიდა ზუსტად 17 საათზე. ავტობუსში დ. ბაძგარაძესა და გ. ლაღაძეს ჩაეძინათ. გზაში ისინი გააღვიდა ძლიერი დარტყმის ხმამ. ავტობუსიდან ჩასულებმა ნახეს, რომ ავტობუსი დაჯახებოდა ორმოც წლამდე ასაკის მამაკაცს. დ. ბაძგარაძემ თავისი მობილური ტელეფონიდან დარეკა საპატრულო პოლიციაში. ავტოავარია მოხდა დაახლოებით 21 საათზე სოფელ ოკამის გადასახვევთან (კასპის რაიონი) ტერიტორიაზე. პატრულისა და სასწრაფო დახმარების მანქანების



მოსვლის შემდეგ, იგი, გ. ლალაძესთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობდა ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილი მამაკაცის სასწრაფო დახმარების მანქანაში მოთავსებაში. ამის შემდეგ მათ გააჩერეს თბილისში მომავალი სამარშრუტო ტაქსი და წამოვიდნენ თბილისში, ჩამოვიდნენ დაახლოებით 23 საათისათვის დიდუბეში. შემდეგ მეტროთი გავიდნენ მარჯანიშვილის მოედანზე, სადაც დ. ბაძგარაძე ბიძას და ბიძაშვილს უნდა შეხვედროდა. ის, მეგობარ გ. ლალაძესთან ერთად, შეხვდა მათ. მ. ქვილითაიას უნდოდა გამასპინძლება, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ყველაფერი იკეტებოდა. ბიძამ, მ. ქვილითაიამ შესთავაზა მათ, შეეველოთ იქვე პოკერ კლუბში მოთამაშე მის თანამშრომელ დ. ძოძუაშვილთან, ეყიდათ საჭმელი და წასულიყვნენ შინ. შევიდნენ თუ არა პოკერ კლუბში, შეცვივდნენ პოლიციის თანამშრომლები და დააკავეს დ. ბაძგარაძე.

სასამართლომ განსასჯელ დ. ბაძგარაძის ჩვენების სისწორეში ეჭვი არ შეიტანა, ვინაიდან საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც აშკარად მიუთითებდნენ დ. ბაძგარაძის უდანაშაულობაზე. კერძოდ: მონმე გ. ლალაძის ჩვენება, რომელიც იდენტურია დ. ბაძგარაძის ჩვენებისა; მონმე ი.ჭელიძის ჩვენება (ავტობუსის მძღოლი), რომელიც ანალოგიურია დ. ბაძგარაძის ჩვენებისა. მონმეების მ. ქვილითაიასა და რ. ქვილითაიას ჩვენებები; განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჯეოსელიდან“ ამოღებული დ. ბაძგარაძის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან განხორციელებული გამავალი და შემაგავალი ზარების დეტალური ნუსხა. ავტოავარიის შემდეგ, საპატრულო პოლიციაში დარეკა თავად დ. ბაძგარაძემ. ამონაწერიდან დასტურდება, რომ 2005 წლის 16 დეკემბერს დ. ბაძგარაძის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან განხორციელებულია გამავალი ზარები 022-ზე ოთხჯერ: 20:57 საათზე, 21:00 საათზე; 21:02 საათსა და 21:03 საათზე იგოეთის ანძიდან ავტოავარიის შემდეგ იმ დროისთვის, როცა დაზარალებული ს. ზურაბიშვილზე უკვე მომხდარი იყო ყაჩაღური თავდასხმა თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში. ის გარემოება, რომ დ. ბაძგარაძეს თავისი კუთვნილი ტელეფონი სხვისთვის არ გადაუცია დანაშაულის ჩადენის დღეს და უშუალოდ თვითონ ახორციელებდა და იღებდა ზარებს, გარდა დ. ბაძგარაძისა და შემოაღნიშნულ სხვა მონმეთა ჩვენებებისა, დასტურდება იმითაც, რომ ზარები განხორციელებულია მის უახლოეს ადამიანებთან: მეუღლესთან, მშობლებთან, მეგობრებთან. ამასთან, დაკავების დროს მას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა თავისი მობილური ტელეფონის დამტენი. დამტენის თან ქონა კიდევ უფრო ადასტურებს მისი მგზავრობის ფაქტს დანაშაული ჩადენის დღეს, ვინაიდან ქ. თბილისში ყოფნის შემთხვევაში ნაკლებ სავარაუდოა ახალგაზრდა კაცმა ქურთუკის ჯიბით სულ თან ატაროს მობილური ტელეფონის დამტენი.

ხსენებული მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ ბრალდების მხარეს დ. ბაძგარაძის დამნაშავეობის დამამტკიცებელ მტკიცებულებად ჰქონდა დაზარალებულ ს. ზურაბიშვილის ჩვენება, პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმი და პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები. **სასამართლო განაჩენში მითითებულია, რომ ეს მტკიცებულებები საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებების ფონზე ძალიან მაღალი ხარისხით იწვევს ეჭვს.** კერძოდ: „დაზარალებულის ჩვენებით ერთ-ერთ დამყაჩაღებელს – დ. ბაძგარაძეს თავდასხმის მომენტში თავზე ქუდი ეხურა. დაზარალებულმა, მიუხედავად იმისა, რომ დაყაჩაღება მოხდა 16 დეკემბერს დაახლოებით 20 საათზე და უკვე სრულიად ბნელოდა სკვერში, სადაც განათება არ არის, ქუდს ქვემოთ გააჩნია დ. ბაძგარაძის თმის ფერი და ვარცხნილობა. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დაზარალებული ს. ზურაბიშვილი აკონკრეტებს მის ჩაცმულობასა და თმის ვარცხნილობას ამ უკანასკნელის მისთვის წარდგენის შემდეგ. დაზარალებული ან კეთილსინდისიერად ცდებოდა ან შეგნებულად იძლეოდა ცრუ ჩვენებას. რაც შეეხება დ. ბაძგარაძის დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, უტყუარ მტკიცებულებად ვერ ჩაითვა, ვინაიდან მონმეები გ. ტაკაშვილი, გ. გვინიაშვილი და გ. პაპოშვილი თავის ჩვენებებში განმარტავენ, რომ დ. ბაძგარაძე დააკავეს დაზარალებულის მითითების საფუძველზე. რაც შეეხება მონმეების ე. მახრამოვასა და ა. ბაინდურაშვილის ჩვენებებს, აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებენ დაზარალებულ ს. ზურაბიშვილზე მხოლოდ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტს და არა ამ თავდასხმაში დ. ბაძგარაძის მონაწილეობას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი მტკიცებულებები, დაზარალებულისა და პოლიციელთა ჩვენებები, ასევე, მონმეების ე. მახრამოვასა და ა. ბაინდურაშვილის ჩვენებები არ იყო დადასტურებული და ისინი არ შეიძლება ყოფილიყო ბრალის შერაც-

ხვის საფუძველი. აქედან გამომდინარე, პროკურორმა ნ. ციხისელმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის (დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის („დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“) მოთხოვნები, სსსკ-ის მე-18 მუხლი.

საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ბრალდების მხარის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებული იქნა როგორც უკანონო განაჩენი.

პროკურორ ნ. ციხისელის მიერ კანონის უხეშად დარღვევამ გამოიწვია 21 წლის უდანაშაულო ახალგაზრდის 8 თვის განმავლობაში სრულიად უკანონოდ პატიმრობაში ყოფნა.

ვინაიდან პროკურორ ნ. ციხისელის ქმედებებში იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორთან გადააგზავნა სათანადო მასალები. გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს მიერ საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე გამოძიების დაწყება კანონშეუსაბამოდ მიიჩნია.

01.02.07-ში ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაიწყო სს საქმის განხილვა დ. ბაძგარაძის მიმართ. პროკურორმა ნ. ციხისელმა დააყენა შუამდგომლობა იმ მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, რომლებიც იმყოფებოდნენ ბაძგარაძესთან ერთად ავტოავარიის დროს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას დ. ბაძგარაძის ადვოკატმა დააყენა ანალოგიური შუამდგომლობა და მოითხოვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვა, რათა მომხდარიყო იმ საქმეში არსებული მოწმეების დაკითხვა, თუმცა შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირა თავად პროკურორმა ნ. ციხისელმა. პროკურორმა ნ. ციხისელმა შუამდგომლობით ასევე მოითხოვა სასამართლო სხდომის მდივნის – სოფიო ახალკაცის დაკითხვა, რაც დაასაბუთა იმით, რომ საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმში იყო უზუსტობები, კერძოდ: ოქმში დაფიქსირებულია, რომ დაზარალებულმა – ს. ზურაბიშვილმა განაცხადა, დ. ბაძგარაძეს ქუდი ეხურა. პროკურორ ნ. ციხისელის განმარტებით, ასეთი რამ ს. ზურაბიშვილს არ უჩვენებია, პირიქით, მან თქვა, რომ დ. ბაძგარაძეს ქუდი არ ეხურა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა, კერძოდ: მონმის ს. ახალკაცის დაკითხვის თაობაზე.

აღსანიშნავია შემდეგიც: ვინაიდან საქალაქო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენში აღნიშნული იყო, რომ „დაზარალებული ს. ზურაბიშვილი ან კეთილსინდისიერად ცდება, როცა დ. ბაძგარაძეს ამხელს, როგორც მასზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს ან შეგნებულად იძლევა ცრუ ჩვენებას“, პროკურორმა ნ. ციხისელმა საკუთარი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება ცრუ დასმენის ფაქტზე, რომელიც შეწყვიტა 2007 წლის 31 იანვარს სსსკ-ის 28-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება კვლავ განახლდა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში, რომელშიც დ. ბაძგარაძე ცნობილი იქნა დაზარალებულად.



საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის შესაბამისად, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სასამართლო, პროკურორი და გამოძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავი-



სუფლონ უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი“; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროკურორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს დაქვემდებარებული პირის გასათავისუფლებლად“; საქართველოს სსსკ-ის 395-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო, მოსამართლე ან პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, როგორც კი წარმოიშვეება ამ კოდექსის 28-ე მუხლში მითითებული საფუძველი“.

მოგელი ტყებუჩავას საქმე

2006 წლის 20 იანვარს მოგელი ტყებუჩავა დაკავებული იქნა და წარედგინა ბრალდება სსკ-ის 332-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) პირველი და მესამე ნაწილებით, მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. შემდგომ, მ. ტყებუჩავას შეეცვალა ბრალდება და მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) პირველი ნაწილით.

დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ბრალი წარედგინა მ. ტყებუჩავას და რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, მოხდა 2000 წლის 5 მაისს, მაშინ, როცა მოქმედებდა 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ხსენებული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა იყო 5 წელი. მ.ტყებუჩავა 2000 წლის 5 მაისს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 2006 წლის 20 იანვარს, როცა ხანდაზმულობის ვადა გასული იყო 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

ფოთის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს (უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში მ. ტყებუჩავას საკასაციო საჩივარი, იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არ განსხვავდებოდა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან), რომ ვინაიდან მ.ტყებუჩავას ბრალი წარედგინა 1999 წლის კოდექსის 333-ე მუხლით, მასზე ვრცელდებოდა ამავე კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა (ამ შემთხვევაში 6 წელი), რაც ბრალის წაყენების დროს არ იყო გასული. სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნულია, რომ ვინაიდან 1999 წლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია ითვალისწინებს უფრო ნაკლებ სასჯელს (3 წლით თავისუფლების აღკვეთა), ვიდრე 1960 წლის კოდექსის 187-ე მუხლის (ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) სანქცია (5 წელი), ამიტომ ახალ კანონს მიეცა უკუძალა და მოხდა მ. ტყებუჩავას ქმედების დაკვალიფიცირება 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ახ. რედაქცია).

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პროკურატურისა და სასამართლოს ხსენებული პოზიცია მ. ტყებუჩავასთან მიმართებაში მოკლებულია კანონიერ საფუძველს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი“. თუ სისხლის სამართლის კანონით გაიზარდა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, რა თქმა უნდა, დაამძიმება პასუხისგებაში მიცემული პირის სამართლებრივი მდგომარეობაც. აქედან გამომდინარე, ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა დაამძიმა მოგელი ტყებუჩავას მდგომარეობა და სასამართლოს,

სსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, მის მიმართ უნდა გამოეყენებინა ყველაზე მსუბუქი კანონი, კერძოდ, 1960 წლის კოდექსი, რომლის მიხედვით, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა იყო 5 წელი.

ასევე, აღნიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რითაც დადგენილია: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ აღნიშნული ნორმა სისხლის სამართალში ისე უნდა იქნას გაგებული, რომ მხოლოდ იმ კანონს უნდა მიეცეს უკუძალა, რომელიც ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას. ყველა სხვა შემთხვევაში მისი სხვაგვარი განმარტება კონსტიტუციის საწინააღმდეგო იქნება. გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში უკუქცევით ძალაზე საუბრისას მოხსენიებულია ტერმინი „პასუხისმგებლობა“ და არა სასჯელი ან ქმედების დანაშაულებრიობა, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან მე-3 მუხლისაგან. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არის ხანდაზმულობა. კანონმდებლის მიერ ამ ორ აქტში (კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი) გამოყენებულ ტერმინს – „პასუხისმგებლობა“ – ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და ერთნაირ კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულება – „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“ – თავისი შინაარსით უნდა გავრცელდეს სისხლის სამართლის ზოგად ნაწილზე (სადაც საუბარია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადაზე) და ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსში, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული, თუ პირის პასუხისმგებლობას გააუქმებს ან შეამსუბუქებს. შესაბამისად, ნებისმიერი ახალი ცვლილება, რომელიც არ ემსახურება პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გაუქმებას, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით უკუძალის მატარებელი ვერ იქნება. მ. ტყეშუჩავას შემთხვევაში მოხდა პირიქით: სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გაზრდამ (ახალი კანონისათვის უკუძალის მიცემამ) გამოიწვია მისი პასუხისგებაში მიცემა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა არის რა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, დანაწესი, რომელიც ზრდის მის ვადას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი, თავისი შინაარსით, ემსახურება პასუხისგებაში მიცემული პირის ინტერესებს და მაქსიმალურ გარანტიებს აწესებს, რომ არ მოხდეს ახალი მკაცრი ნორმების გავრცელება იმ ქმედებაზე, რომელიც ჩადენილი იქნა ამ ნორმების ამოქმედებამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლოს განმარტება – უკუძალა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როცა კანონი აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს – არასწორია და მიმართულია ისეთი საკანონმდებლო აქტებისათვის უკუძალის მინიჭებისაკენ, რომლებიც ამძიმებენ პასუხისმგებლობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველის მსგავსი მოსაზრება გააჩნიათ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს. ლ. ბეჟაშვილი ადვოკატ ე. ნონორიასადმი გაგზავნილ №1462/4-10/242 წერილში განმარტავს, რომ „1992 წელს ჩადენილი დანაშაულისათვის პირი ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში უნდა მიეცეს იმ მომენტისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად (1960 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი); ასევე დანაშაულის ხანდაზმულობის ვადაც განისაზღვრება იმ სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ვადის დინების დაწყებისას, ე.ი. 1960 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამძიმებს პირის



პასუხისმგებლობას, მას უკუძალა არა აქვს. ამდენად, თქვენთვის საინტერესო შემთხვევაში ბრალეული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის საკითხი უნდა გადაწყდეს 1992 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად“. ე.თვედორაძე, ასევე, ადვოკატ ე. ნონორიასადმი გაგზავნილ №8349/4-2/1110 წერილში მიუთითებს, რომ „1992 წელს ჩადენილი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება იმ სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს, ე.ი მოქმედებს 1960 წლის რედაქციით გამოცემული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი; სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამძიმებს დამნაშავე პირის პასუხისმგებლობას, უკუქცევითი ძალა არა აქვს“.

მ. ტყეზურავას მსგავს საქმესთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გენერალურმა პროკურატურამაც დააფიქსირა, კერძოდ: სამმართველოს უფროსი მ.ცაავა ადვოკატ ვ.ნონორიასადმი 2005 წლის 13 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში მიუთითებს, რომ „გ.სორდიას მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად“ (ადვოკატი ითხოვდა გ.სორდიას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო).

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის ე) პუნქტის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა“. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 395 მუხლის გათვალისწინებით, პროკურორს ან სასამართლოს უნდა შეეწყვიტა მ.ტყეზურავას მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.

სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნა სათანადო მასალები იმ პირთა მიმართ წინასწარი გამოძიების დასაწყებად, რომელთა უკანონო ქმედებების შედეგად მ. ტყეზურავა უკანონო პატიმრობაში იმყოფება. გენერალურმა პროკურატურამ არ გაიზიარა სახალხო დამცველის მიმართვა და გამოძიება არ დაიწყო.



საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლება უზრუნველყოფილია. ამდენად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი დაცვის უფლებით, მისცეს შესაძლებლობა დაცვის მხარეს დაიცვას თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით. თუმცა, რეალურად ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა თუ განსასჯელის კანონიერი ინტერესების დამცველებს ეზღუდებათ დაცვის შესაძლებლობა:

ირაკლი ბათიაშვილის საქმე

შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე ირაკლი ბათიაშვილის წინააღმდეგ (სსკ-ის 307 მუხლი – სახელმწიფოს ღალატი; 315 მუხლი – შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად; 376 მუხლი – დანაშაულის შეუტყობინებლობა). ბრალდებულის დაკავებამდე სატელევიზიო ეთერში ნაჩვენები იქნა ემზარ კვიციანთან ი. ბათიაშვილის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. ადვოკატმა სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამომძიებელ ზურაბ ბეიტრიშვილის წინაშე დააყენა შუამდგომლობა საქმის მასალების, მათ შორის ი. ბათიაშვილსა და ე. კვიციანს შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერის გაცნობის

თაობაზე. გამომძიებელმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, თუმცა ადვოკატს არ მისცა საშუალება გასცნობოდა ნივთმტკიცებად ცნობილ სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, მიუთითა, რომ ვიდეომასალა გაშიფვრის და შესაბამისი „კრებსების“ დამზადების მიზნით გადაგზავნილი იყო შს სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში. აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გ. ლაცაბიძეს, ასევე გენერალური პროკურატურის შს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამომძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსს რ. ჟღენტს, რითაც ეცნობათ, რომ სსსკ-ის 76 მუხლის თანახმად, მომხდარიყო ადვოკატისათვის ხსენებული საქმის მასალის სრულყოფილად გაცნობა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შს-ს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამომძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსმა ა. ხვადაგიანმა გვაცნობა, რომ ბრალდებულ ი. ბათიაშვილს და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს ი. ბარათაშვილს საქმეში არსებული მასალები გასაცნობად წარედგინათ 2006 წლის 29 ივლისს და განემარტათ, რომ საქმეზე დართული სატელეფონო საუბრები და ვიდეომასალა გასაცნობად წარედგინებოდათ კანონით დადგენილი წესით, მათი გაშიფვრისა და შესაბამისი „კრებსების“ მომზადების შემდეგ. სატელეფონო საუბრები და ვიდეომასალა ბრალდებულ ირაკლი ბათიაშვილს გასაცნობად წარედგინებოდა უმოკლეს ვადაში, №5 საპრობილეში შესაბამისი ტექნიკური პირობების უზრუნველყოფისთანავე.

შემდგომ ადვოკატმა კვლავ მიმართა გამომძიებელს შუამდგომლობით საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებების გადმოცემის თაობაზე: 1. ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერების ასლები; 2. ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული სატელეფონო საუბრების გაშიფრული ტექსტების ქსეროასლები; 3. ირაკლი ბათიაშვილის ბრალდების დადგენილებაში დასახელებული ყველა სატელეფონო გამოსვლების გაშიფრული ტექსტების ქსეროასლები. 4. 2006 წლის 23 აგვისტოდან 29 აგვისტომდე ი. ბათიაშვილის მობილური ტელეფონიდან გამავალი და შემავალი ყველა სატელეფონო ნომრის ნუსხა. გამომძიებელმა ზ. ბეიტრიშვილმა გამოიტანა დადგენილება ადვოკატის შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ: ბრალდებულ ი. ბათიაშვილს უახლოეს დროში ეძლეოდა საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლება ქ. თბილისის №7 საპრობილეში ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდეგ. აღნიშნული დადგენილებით დაცვის მხარეს უარი ეთქვა მიეღო: 1. ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული სატელეფონო საუბრების აუდიო ჩანაწერების ასლები; 2. ემზარ კვიციანსა და ირაკლი ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული სატელეფონო საუბრების გაშიფრული ტექსტების ქსეროასლები; 3. ირაკლი ბათიაშვილის ბრალდების დადგენილებაში დასახელებული ყველა სატელეფონო გამოსვლების გაშიფრული ტექსტების ქსეროასლები. გამომძიებელი თავის დადგენილებაში მიუთითებდა, რომ დაცვის მხარეს არ ჰქონდა უფლება, გადაედო სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფარული აუდიო ჩანაწერების ასლები.

აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გ. ლაცაბიძეს, სადაც მითითებული იყო, რომ სწორედ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით იყო გამაგრებული ირაკლი ბათიაშვილის საქმეში ბრალდება, ხოლო ბრალდებულისა და მისი დამცველის მიმართ აღნიშნული მტკიცებულებების გაცნობის შეზღუდვით ირღვეოდა საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილით გარანტირებული დაცვის უფლება; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილი (დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება); ამავე კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი (სასამართლო და თანამდებობის პირი, რომლებიც პროცესს ახორციელებენ, ვალდებული არიან ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით); 76-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილი (ბრალდებულს უფლება აქვს



ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის). რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა მოითხოვა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილიყო ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის კანონით გარანტირებული უფლებათა აღდგენა; ასევე დასმულიყო გამომძიებელ ზურაბ ბეიტრიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ გამომძიებლის მხრიდან დაკმაყოფილდა დაცვის მხარის მოთხოვნა და გადაეცა: ე. კვიციანსა და ი. ბათიაშვილს შორის 2006 წლის 23 ივლისიდან 29 ივლისამდე გამართული ყველა სატელეფონო საუბრის გაშიფრული ტექსტის ქსეროასლი და ი. ბათიაშვილის ბრალდებულად პასუხისმგებლობაში მიცემის დადგენილებაში დასახელებული ყველა სატელეფონო გამოსვლის გაშიფრული ტექსტის ქსეროასლი. წერილში ასევე მითითებული იყო, რომ „კომპაქტ-დისკი“, რომელზედაც ჩანერილი იყო სატელეფონო საუბრები, გამომძიებლის დადგენილებით ცნობილი იყო ნივთიერ მტკიცებულებად, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 84-ე მუხლის მესამე ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბრალდებულსა და დამცველს ნივთიერი მტკიცებულების გაცნობის საშუალება მიეცემოდათ საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ. გამომძიებელ ზ. ბეიტრიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი კი გენერალური პროკურატურის მიერ არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს არ მიეცა საშუალება გაცნობოდა სატელეფონო ჩანაწერებს. მართალია სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ ბრალდებულსა და დამცველს ნივთიერი მტკიცებულების გაცნობის საშუალება მიეცემათ საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ. თუმცა, ამავე მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარეს უფლება აქვს გაცნოს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და საკუთარი ხარჯით გადაიღოს საქმის მასალის ასლები“. ამდენად, სსსკ-ის მე-15 (სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა) და მე-18 (საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა) მუხლებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს უნდა მისცემოდა ნივთიერი მტკიცებულების გაცნობის საშუალება.

ირაკლი ბათიაშვილის საქმესთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგიც: საინფორმაციო საშუალებებით გამოსვლისას მაღალი თანამდებობის პირებმა საჯაროდ მიმოიხილეს ი. ბათიაშვილის ბრალეულობა, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული უდანაშაულობის პრეზუმფცია, კერძოდ: „ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.

აღსანიშნავია, რომ ტელეგადაცემებში ი. ბათიაშვილისა და ე. კვიციანს შორის სატელეფონო ჩანაწერები არასრულად იყო წარმოდგენილი, რითაც იქმნებოდა წარმოდგენა ი. ბათიაშვილის ბრალეულობისა. კერძოდ, სატელეფონო საუბარში ე. კვიციანი ი. ბათიაშვილს ეუბნება, რომ მას დაუკავშირდა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ. კუპალბა და შესთავაზა გარკვეული რაოდენობის ცოცხალი ძალით დახმარება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რაზეც ე. კვიციანიმა განუცხადა რომ დამოუკიდებლად იმოქმედებდა, თუმცა ე. კვიციანის უარი გ. კუპალბას მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე სატელეფონო ეთერში არ იყო გაშვებული.



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, „პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებულია დაინყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, „წინას-

წარი გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაული-სათვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა“. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, გამოძიების ორგანო ვალდებულია დაიწყოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ არ ხდება ხსენებული ნორმების დაცვა ისეთ თანამდებობის პირებთან მიმართებაში, როგორცაა მოსამართლე, თუმცა ყოფილა არაერთი შემთხვევა, როცა მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე (იხ. დ. ბაძგარაძის საქმე).

სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში საუბარია ქ. ქუთაისში მომხდარ შემთხვევაზე, როცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ანა ლელუყვამ ადმინისტრაციული წესით 14 დღით დააპატიმრა არასრულწლოვანი პირი – ზურაბ შალიკიანი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტ წელს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს“. ანა ლელუყვამ, მოსამართლემ, რომელიც უნდა იყოს სახელმწიფოში **მართლმსაჯულების განხორციელების გარანტი**, დაარღვია კანონის მოთხოვნა.

ვინაიდან მოსამართლის ქმედება შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს (სამსახურებრივი გულგრილობა), 2006 წლის 14 ივნისს სათანადო მასალა გადაეგზავნა გენერალურ პროკურორს ზ. ადგიშვილს წინასწარი გამოძიების დასაწყებად. 21 ივნისს გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ არასრულწლოვან ზ. შალიკიანის ადმინისტრაციული წესით დაპატიმრების ფაქტზე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით. 17 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა წერილი, რათა ეცნობებინათ გამოძიების შედეგების თაობაზე. 21 დეკემბერს გენ.პროკურატურის საგამოძიებო ნაწილიდან გვეცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება.

საქმე, რომელშიც გამოსაძიებელი არაფერი იყო (ბრალეულობის დამადასტურებელი მთავარი მტკიცებულება – მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილება) და პირდაპირ უნდა დამდგარიყო მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, დღემდე წინასწარი გამოძიების ეტაპზეა და სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა სამტრედიის რაიონშიც. სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ლუიზა ყუფარაძემ 30 დღიანი პატიმრობა შეუფარდა არასრულწლოვან ალექსანდრე ლ.-ს. სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად, საიდანაც სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2006 წლის 21 ნოემბერს დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. გამოძიებას მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაუწყია.



პროკურატურის ორგანოებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხიც: როდესაც პროკურატურა გამოძიებას იწყებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით (მომხდარ ფაქტზე), გამოძიების შემდგომ ეტაპზე აღარ ხდება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება კონკრეტული პირების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას უკვე ხელთ აქვს საკმარისი მტკიცებულებები ბრალდების გასამყარებლად, ან გამოძი-



ება, ნების ქონის შემთხვევაში, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა-შესწავლის შედეგად გამოავლენდა ცალკეულ პირთა ბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში. ასე მაგალითად:

ამირან რობაქიძის საქმე

2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში საუბარი იყო 2004 წლის 24 ნოემბერს წერეთლის გამზირზე საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მიერ დიდუბის ეკლესიასთან ჩატარებულ „ბმვ“-ს მარკის ავტომობილში მყოფი პირების დაკავების ოპერაციის შესახებ, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გ.ბაშაღიშვილის ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა ა. რობაქიძე. ხოლო დანარჩენი ხუთი პიროვნება: ა. ბართაია, გ. ქურდაძე, ი. მიქაბერიძე, კ. აზარიაშვილი და ლ. დანგაძე დააკავეს. მათ წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე პოლიციის თანამშრომლებისათვის წინააღმდეგობის განევისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით. საქმის მასალების შესწავლის შედეგად მრავალი საეჭვო გარემოება გამოვლინდა, მათ შორის იარაღის წარმომავლობასა და მათი ბრალდებულებზე კუთვნილებასთან დაკავშირებით (იხ. 2006წ. პირველი ნახევრის მოხსენება). სახალხო დამცველმა მიმართა გენერალურ პროკურორს, რომ დაუყოვნებლივ დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა იმ პოლიციელისა და სამართალდამცველის მიმართ, ვინც მონაწილეობა მიღო დაკავების ოპერაციაში, შემთხვევის ადგილზე ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასა და იქ ამოღებული მტკიცებულებების საპროცესო დამამტკიცებელი. გენერალურ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სსკ-ის 369-ე (მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტებზე, თუმცა გამოძიებას კონკრეტული პირები სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში დღემდე არ მიუცია.

2007 წლის 1 თებერვალს გარდაცვლილ ამირან რობაქიძის ოჯახის წევრებმა სახალხო დამცველს მიმართეს განცხადებით, სადაც მითითებულია რომ, თითქმის ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოძიება დაიწყო მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. მიუხედავად ამისა, არ ჩატარდა არავითარი საგამოძიებო მოქმედება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით და არც ერთი კონკრეტული პირი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არ მიცემულა.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ საქმეზე მტკიცებულებების გაყალბებას ჰქონდა ადგილი, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა შემთხვევის ადგილზე ა.რობაქიძის მკვლელობის შემდეგ იქნა მიტანილი, რაც დასტურდება შემდეგით: 2004 წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის გამოძიებელმა შ. ნიქაბაძემ მოახდინა შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება, რა დროსაც ავტომანქანა „BMW“ სახ. №AEB-710 უკანა ნაწილიდან 30 სანტიმეტრში, ასფალტზე აღმოჩნდა კალაშნიკოვის კონსტრუქციის 5,45 მმ კალიბრის „აკ-74“ მოდელის №2672593 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში, მჭიდში 27 ვაზნით. ავტომანქანიდან მარცხენა მხარეს 40 სმ-ში და ავტომატის საბარგულის ქვემოთ, ასფალტზე აღმოჩენილი იქნა ავტომატის ტყვიის 2 მასრა. აღნიშნული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, თავდაპირველად, გამოძიების მტკიცებით და პატრულ-ინსპექტორების ჩვენებების მიხედვით, ეკუთვნოდა გარდაცვლილ ამირან რობაქიძეს, აღმოჩენილი ორი მასრა კი ა. რობაქიძის მიერ გრიგოლ ბაშაღიშვილის მისამართით იყო გასროლილი ავტომატიდან, რაც შემდგომ თვითონ პატრულ-ინსპექტორების და გამოძიების მიერ უარყოფილ იქნა.

2004 წლის 30 ნოემბრის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კალაშნიკოვის კონსტრუქციის 5,45 მმ კალიბრის ორი მასრა ნასროლია წარმოდგენილი კალაშნიკოვის კონსტრუქციის 5,45 მმ კალიბრის „აკ-74“ მოდელის №2672593 ავტომატური იარაღიდან.

წინასწარი გამოძიებით და სასამართლო სხდომაზე დაკითხული განსასჯელი გ. ბაშალიშვილის, მონიშვნის – პატრულ-ინსპექტორების ი. ლობჯანიძის, გ. ჭანტურიას, დ. აბუაშვილის, ი. მიქაბერიძის და ა. ბართაიას ჩვენებებით დადგინდა, რომ 2004 წლის 24 ნოემბერს მომხდარი შემთხვევის დროს მასზე გაპროექტებული №34301337 „იერიხო“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან მხოლოდ გრიგოლ ბაშალიშვილმა. არც ამირან რობაქიძეს და არც შემთხვევის ადგილზე მყოფ სხვა პირებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა არ უნარმოებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა – თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი არავის ეკუთვნის (არც ა.რობაქიძეს და არც მასთან მყოფ სხვა პირებს) და აღნიშნული იარაღიდან არავის უსვრია, მაშინ საიდან გაჩნდა შემთხვევის ადგილზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და აღნიშნული იარაღიდან გასროლილი ორი მასრა?

აღნიშნულიდან გამომდინარე, 7 თებერვალს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა გენერალურ პროკურორს ზ.ადეიშვილს, რომ პირად კონტროლზე აეყვანა მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე დაწყებული წინასწარი გამოძიება, რათა საქმეზე ჩატარდეს სრულყოფილი, ობიექტური, მიუკერძოებელი გამოძიება და დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება.

დავით საყვარელიძის საქმე

2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში ასევე საუბარია 2003 წლის 22 ნოემბერს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების არაობიექტურობაზე (სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი). 2003 წლის 22 ნოემბერს კერძო მფლობელობაში მყოფ ავტომობილსა და სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორს შორის მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ მსუბუქ ავტომობილში მსხდომი 23 წლის დავით საყვარელიძე და ეთერ წულიაშვილი, ხოლო სხეულის დაზიანებები მიიღო ამ უკანასკნელის სამმა მცირეწლოვანმა შვილმა: ბადრი, გოჩა და სოფიკო წულიაშვილებმა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმეზე გამოძიება წარიმართა ტენდენციურად (იხ.2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენება). საქმეზე გამოძიება ორჯერ იქნა შეწყვეტილი და განახლებული. სისხლის სამართლის საქმე ამჟამად წარმოებაში აქვს ქ. თბილისის შს სამმართველოს. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებიდან აშკარად იკვეთება კონკრეტული პირის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ავთანდილ მამალაძის (მართავდა ჯავშანტრანსპორტიორს) ბრალეულობა, გამოძიებას მისი მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაუწყია.

2006 წლის 10 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში გაიგზავნა სახალხო დამცველის მიმართვა, მოცემულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით შექმნილიყო დროებითი საგამოძიებო კომისია, თუმცა პარლამენტმა, რეგლამენტიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ ჩათვალა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა.

2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაცია თბილისში

2006 წლის 2 მაისს, თბილისის ცენტრში, ხალხმრავალ ადგილას ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერაცია, რა დროსაც პოლიციის მხრიდან ძალის არაადეკვატური გამოყენების – ინტენსიური სროლის შედეგად დაიღუპა მანქანაში მსხდომი ორი ახალგაზრდა (ალექსანდრე ზუბული და ზურაბ ვაზაგაშვილი), ხოლო მძიმედ დაიჭრა ბონდო ფუთურიძე. აღნიშნულ ფაქტზე ქ. თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობის აუცილებელი ზომის გადაცილებით), მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დღემდე არ დაწყებულა.



გამოძიების მსვლელობისას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ ციალა შანავას (ზ. ვა-ზაგაშვილის დედა) ადვოკატმა გ. მოსიაშვილმა 2006 წლის 10 აგვისტოს მიმართა შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ი. ქადაგიძეს და მოითხოვა იმ ვიდეოფირის გაცნობა, რომელზეც დაფიქსირებული იყო ჩატარებული სპეცოპერაციის კადრები. 2006 წლის 18 აგვისტოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებელმა გ. კვინიკაძემ ადვოკატ გ. მოსიაშვილს ნერილობით უპასუხა, რომ ც. შანავა და მისი ადვოკატი არ წარმოადგენდნენ პროცესის მონაწილე მხარეს (ამ დროისათვის ც. შანავა ცნობილი იყო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) და მოცემულ სს საქმეზე არსებულ ვიდეომასალას ან სხვა სახის ინფორმაციას მათ არ გააცნობდნენ.

2006 წლის 4 ოქტომბერს ადვოკატმა გ. მოსიაშვილმა შუამდგომლობით მიმართა საქმეზე გამოძიების მწარმოებელ ორგანოს – ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო სამსახურის გამომძიებელს ვ. ლაცუზბაიას და მოითხოვა ხსენებული ვიდეო-მასალის გამოთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. 31 ოქტომბერს გამომძიებელმა ადვოკატს აცნობა, რომ ქალაქის პროკურატურამ მიმართა შსს-ს პრესსამსახურს აღნიშნული ვიდეოფირის გამოთხოვასთან დაკავშირებით, თუმცა 17 ოქტომბერს მიღებული იქნა პასუხი, რომ შს სამინისტროს პრესსამსახურს არ გააჩნია აღნიშნულ სპეცოპერაციის ამსახველი რაიმე ოპერატიული ვიდეო-მასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, დღეისათვის არსებობს თუ არა სპეცოპერაციის ამსახველი კადრების სრული ჩანაწერი. თუ არსებობს, რატომ არ იქნა გამოძიების ორგანოს მიერ გამოძიების დაწყებისთანავე ის გამოთხოვილი შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო თუ აღარ არსებობს ხსენებული ჩანაწერი, რატომ მოხდა მისი განადგურება. ცხადია, რომ სპეცოპერაციის ამსახველი კადრების ჩანაწერის შესწავლა ხელს შეუწყობდა საქმეზე ყოველმხრივ, ობიექტურ, სრულ გამოძიებას და საეჭვო კითხვებზე პასუხის გაცემას.

პროკურატურის მიერ გამოძიების ტენდენციურად წარმართვაზე მიუთითებს შემდეგი საქმეც:

ზურაბ კახელის საქმე

2004 წლის 26 აპრილს ზესტაფონის შს სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №5204062 საქმეზე მოქალაქე ზურაბ კახელის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით. ბრალდებას საფუძვლად დაედო ზესტაფონის პოლიციის მუშაკების მიერ 25 აპრილს ზ. კახელის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ორი გადაჭრილი გლუვფულიანი სანადირო თოფი და ექვსი ვაზნა. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, ამოღებული გადაჭრილი თოფების ნომრებია №A35283 და №36478-60. აღნიშნული თოფები შესამოწმებლად გაიგზავნა იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს კრიმინალისტიკურ განყოფილებაში, თუმცა ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ შემონმდა თოფები, რომელთა ნომრებია №123599 და №A35283 და რომლებიც ვარგისია სროლისათვის. ბრალდებულ ზ. კახელის ავტომანქანის ჩხრეკის ოქმში დაფიქსირებულ და ექსპერტის ცნობაში მითითებულ იარაღის ნომრებს შორის განსხვავების მიუხედავად, გამომძიებელმა ა. მაჩაიძემ (მას უკვე ხელთ ჰქონდა ექსპერტის ცნობა) გამოიტანა დადგენილება გადაჭრილი სანადირო №A35283 და №123599 თოფების ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ამდენად, ექსპერტიზის ცნობა საეჭვოს ხდის ჩხრეკის კანონიერებას (ჩხრეკის შედეგად ამოღებული №36478-60 გადაჭრილი თოფი ექსპერტიზაზე არ გადაიგზავნა, გაურკვეველია მისი ადგილსამყოფელი) და აჩენს ვარაუდს, პოლიციელთა მიერ ხომ არ მოხდა დალუქული ნივთმტკიცების გახსნა და სროლისათვის უვარგისი თოფის შეცვლა სროლისათვის ვარგისი თოფით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, „ნივთიერ მტკიცებულებას ინახავს პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მის დაკარგვას

და მისი თვისებების შეცვლას“. ამდენად, როგორც კი გაიგზავნა ექსპერტიზაზე სხვა ნომრიანი თოფი და ამის შესახებ ცნობილი გახდა, მაშინვე უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე მტკიცებულების განადგურების ან ფალსიფიკაციის მუხლით და დანაშაული ცხელ კვალზე გახსნილიყო, თუმცა მხოლოდ 2005 წლის 11 ნოემბერს, ერთი წლისა და შვიდი თვის შემდეგ, ზ. კახელის ბრალდების საქმიდან (ზ. კახელი ამჟამად ძებნილია) ცალკე წარმოებად გამოეყო სისხლის სამართლის №5205344 საქმე ნიეთმტკიცების განადგურების ფაქტზე. გამოძიებას ამ საქმეზე ზესტაფონის შს განყოფილება აწარმოებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2006 წლის 19 ოქტომბერს მიმართა გენერალური პროკურორის მოადგილეს გ. ლაცაბიძეს, რომლის 2006 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით ხსენებული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად დაექვემდებარა გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას. საქმეზე დღემდე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება და მომხდარზე არავინ დასჯილა.



სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები სისტემატურად ახორციელებენ პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. მონიტორინგის მიზანია თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ფაქტების დაფიქსირება და რეაგირება. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ისეთ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, როგორცაა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფსიქიკური იძულება, სახალხო დამცველი წინასწარი გამოძიების დასაწყებად მიმართავს შესაბამის უწყებებს და შემდგომ თვალყურს ადევნებს საგამოძიებო ორგანოებში გამოძიების მიმდინარეობას.



ზემოაღნიშნულ ფაქტებზე მიმდინარე წინასწარი გამოძიების დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია, რის საფუძველზეც შეიძლება ვიმსჯელოთ საგამოძიებო ორგანოების დამოკიდებულებაზე დაკავებულის (დაპატიმრებულის) მიმართ ცემის, წამების და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როცა გამოძიება ატარებს ფორმალურ ხასიათს და მთავრდება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტით პოლიციელთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. ასევე, ცემის ფაქტებზე დაწყებული გამოძიება არ არის სრულყოფილი და ობიექტური, არ ხდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რათა დადგინდეს საქმეზე ქეშმარიტება, არ ინიშნება სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ტარდება ექსპერტიზა, შემდეგ ხდება გამოძიების მხრიდან ალოგიკური ვერსიების შეთხზვა, რათა აიხსნას დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანების წარმოშობის მიზეზი. პოლიციელთა მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვის გაბათილება თავად პოლიციელთა ჩვენებებით ხდება. დაკავებულიც ხშირად გადათქვამენ თავდაპირველ ჩვენებას პოლიციელთა სასარგებლოდ, რაც მათ დაუცველობასა და პოლიციის მხრიდან წნეხზე მიუთითებს. პროკურატურაც ხშირად ხელს აფარებს და თვალს ხუჭავს პოლიციელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე. ასე მაგალითად:

გ. ტორიჭაძის საქმე

2005 წლის 30 ივნისს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №0705870 საქმეზე, ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმარ-



თველოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე | ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შესული მასალები, რომელიც ეხებოდა გელა ტორიტაძის სხეულის დაზიანების ფაქტს, რაც მონიტორინგის ჯგუფმა 2005 წლის 5 აპრილს შსს-ს დმინის მონიტორინგისას დააფიქსირა. სხეულის გარეგანი დათვალიერების ოქმში დაფიქსირებულია, რომ გ.ტორიტაძეს აღენიშნებოდა მარჯვენა ყვრიმალის ჰიპერემია, მარჯვენა ყბის კანის ჰიპერემია და ექსკორაცია, ორივე წვივის ზედაპირზე მრავლობითი ნაკანრები და ექსკორაციები. მისი განმარტებით, ხსენებული დაზიანებები დაკავებისას მიიღო.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2005 წლის 5 აპრილს, ქ. თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლების, ამავე სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმისა და ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია სსკ-ის 179-ე მუხლით (ყაჩაღობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი გელა ტორიტაძის დაკავებაზე. მის ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას აღმოჩნდა გ. ტორიტაძის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შექმნილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომელსაც უკანონოდ ინახავდა, რისთვისაც გ.ტორიტაძეს საბოლოოდ წარედგინა ბრალდება სსკ-ის 236-ე მუხლის | ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუველულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა-შენახვა. გელა ტორიტაძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება დასრულდა და საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა თბილისის №1 საპრობილის პატიმარმა გ. ტორიტაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში იგი მონახულეს სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებსაც გასაუბრებისას განუცხადა, რომ დაზიანებები მიაყენა ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში ვინმე ბაქსაძემ, ხოლო სინამდვილეში, კი აღნიშნული დაზიანება მიიღო ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში შეყვანისას, როდესაც სახის არეში შემთხვევით მოხვდა გაღებული კარი. რადგან იმ მომენტში, დაკავების გამო, ძალიან აღელვებული და განერვიულებული იყო, ჩათვალა, რომ ეს პოლიციელებმა განგებ გააკეთეს, მაგრამ ახლა ხვდება, რომ ეს შემთხვევით მოხდა და მისთვის არც დაკავებისას და არც შემდგომ, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში მიყვანისას რაიმე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. რაც შეეხება ნაკანრებს, რომელიც მას იზოლატორში შეყვანისას წვივებზე ჰქონდა, მან განმარტა, რომ აღნიშნული მიღებული აქვს ქავილის შედეგად საკუთარი ხელით. გ.ტორიტაძის განმარტებით, მას არავის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

გამოძიების მიერ, ასევე, მოწმის სახით დაკითხა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს ინსპექტორი კ. ტყეშელაშვილი, რომელმაც აჩვენა, რომ მონაწილეობა მიიღო ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი გ. ტორიტაძის დაკავებაში, რის შემდეგაც იგი წარადგინეს ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოში, სადაც შედგა მისი დაკავების ოქმი და იგი გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის შს სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში. მოწმის განმარტებით, გ. ტორიტაძისთვის, არც დაკავების და არც ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში გადაყვანისას, პოლიციის თანამშრომლებს ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. არც თავად დაკავებულს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მას არ დაუფიქსირებია, დაეჯახა თუ არა გ. ტორიტაძე სამმართველოს შესასვლელში გაღებულ კარს, ვინაიდან იგი უშუალოდ სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმა შეიყვანეს, ხოლო თავად დაკავებულს აღნიშნულის შესახებ არაფერი უთქვამს.

მონმე ჯ. ტყემელაშვილის ჩვენება თავისი ჩვენებებით დაადასტურეს ქ. თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა: ნ. გვიმრაძემ, მ. რუხაძემ და დ. ბიჩინაშვილმა. აღნიშნული პირები გ. ტორიტაძის დაკავებასა და პირად ჩხრეკაში მონაწილეობდნენ.

პროკურატურის წერილში აღნიშნულია, რომ გ.ტორიტაძეს სისხლის სამართლის საქმეზე არც წინასწარი გამოძიების პროცესში და არც სასამართლო სხდომაზე, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს, არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს პოლიციის თანამშრომლების მიმართ მისთვის სხეულის დაზიანების გამო. ზემოხსენებული გარემოებების გამო, 2005 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს სსსკ 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (დანაშაულებრივი ქმედების არ არსებობის გამო) გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

პროკურატურიდან მიღებული წერილის თანახმად, გ. ტორიტაძე დააკავეს, როგორც საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე. ხოლო მოგვიანებით მას ბრალი წაუყენეს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ამდენად, ამ ორი მუხლის სანქციას შორის განსხვავება აშკარაა. მართალია წინასწარი გამოძიების მანძილზე შესაძლებელია გამოძიებით დადგინდეს ისეთი გარემოებები, რამაც შეიძლება შეამსუბუქოს ან დაამძიმოს პირის ბრალი ან საერთოდ გაამართლოს იგი და, ბუნებრივია, გ. ტორიტაძისთვის უფრო მძიმე ბრალდების ნაკლებად მძიმე ბრალდებით შეცვლა აბსოლუტურად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნებს, რომ არა მისი არალოგიკური და აბსურდული განმარტება სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მას შემთხვევით მოხვდა გაღებული კარი, ხოლო ფეხის წვივებზე არსებული დაზიანებები კი ქავილის შედეგად მიიღო. ამასთან დაკავშირებით იბადება ლოგიკური კითხვა, ასეთი შეუსაბამო ჩვენების მიცემა, ხომ არ იყო გამოწვეული იმით, რომ გამოძიებამ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდების სანაცვლოდ გ. ტორიტაძეს შესთავაზა დათმობებზე წასვლა, რაც მისი მხრიდან პოლიციის მუშაკებისთვის ხელის დაფარებაში გამოიხატა.

გამოძიებამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სარწმუნოდ მიიჩნია გ. ტორიტაძის ეს განცხადება, თუმცა იმის დასადაგენად, დაზიანება კარზე შეჯახების თუ ქავილის შედეგად მიიღო, მონმეთა ჩვენებები არ კმარა და საჭიროა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა. თუმცა, როგორც ჩანს, გამოძიებისთვის აღნიშნული აუცილებლობას არ წარმოადგენდა. შესაძლოა, პოლიციის თანამშრომელმა დაკავებულის მიმართ გამოიყენოს ძალა, მაგრამ ძალის გამოყენება, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს გადაჭარბებული. სწორედ ამ საკითხის დასადაგენად აუცილებელია ექსპერტიზის ჩატარება. მართალია, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს ექსპერტიზის სავალდებულო დანიშვნას, რაც აუცილებელი იყო რიგი გარემოებების, მათ შორის სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის დასადაგენად. თუმცა, როდესაც დაკავებულის სხეულზე გარეგნული შემონმებით ჩანს ან თავად დაკავებულის განცხადებით, მას მიღებული აქვს დაზიანებები და იგი აცხადებს, რომ მის მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ასეთ შემთხვევაში სხეულზე არსებული დაზიანებების წარმოშობის და მათი სიმძიმის დადგენა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს და გამოძიების ორგანო ვალდებულია დანიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის პრინციპი.

ზ. კუჭუხიძის საქმე

2006 წლის 23 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ქ. ზუგდიდში შს სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულეს დაკავებული ზურაბ კუჭუხიძე, რომელსაც სხე-



ულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა. დმი-ში დაკავებულის გარეგანი დათვალიერების ოქმში დაფიქსირებულია, რომ ზ.კუჭუხიძეს სახის მარჯვენა მხარეს, ნიკაპსა და მუცელზე ჰქონდა დაჟეჟილობა.

დაკავებულის განმარტებით, ის მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა ქ.ზუგდიდში ნათესავის დაკრძალვაზე, საიდანაც ავტომანქანით ბრუნდებოდნენ სახლში. გამსახურდიას გამზირზე, ტელეკომპანია „ოდიშის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შენიშნეს საპატრულო პოლიციის ავტომანქანა და შეანელეს სვლა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მის მეუღლეს მოსთხოვეს საბუთები და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო შეადგინეს ოქმი. ზ. კუჭუხიძემ გააპროტესტა საპატრულო პოლიციელების გადაწყვეტილება. ამ დროს მათ მიუახლოვდათ ავტომანქანა „მერსედესი“, საიდანაც გადმოსულმა პირმა პოლიციელებს მისი პოლიციის განყოფილებაში გადაყვანა უბრძანა. მთელი გზის მანძილზე პოლიციელები ზ. კუჭუხიძეს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. შემდეგ ის მიიყვანეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს შენობის მეორე სართულზე, სადაც ერთ-ერთ კაბინეტში კვლავ გააგრძელეს მისი ცემა. საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსმა გ.ნინუამ ზ.კუჭუხიძეს სახეში შეაფურთხა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იმის გამო, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანისას მას სხეულზე მრავალი დაზიანება ჰქონდა, დმი-ის თანამშრომლებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც გასინჯა იგი და დააფიქსირა მის სხეულზე არსებული დაზიანებები.

2006 წლის 25 ოქტომბერს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისათვის. 20 ნოემბერს ზუგდიდის რაიონულმა პროკურატურამ სახალხო დამცველს შეატყობინა, რომ 2006 წლის 23 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №5306918 საქმეზე 2006 წლის 22 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელზეც 2006 წლის 15 ნოემბერს შეწყდა წინასწარი გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

პროკურატურის წერილში მითითებულია, რომ ზურაბ კუჭუხიძის მეუღლემ ნ. კუჭუხიძემ დარღვია სატრანსპორტო საშუალების დგომის წესი, რის გამოც, დაჯარიმების მიზნით, მასთან მივიდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, განუმარტეს, რომ მან დარღვია საგზაო მოძრაობის წესები და დაიწყეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. პატრულ-ინსპექტორის სამართლიანი მოთხოვნით განაწყენებულმა ზურაბ კუჭუხიძემ უცენზურო სიტყვებით მიმართა მათ. აღნიშნულს შეესწრო სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსი გიორგი ნინუა, რომელმაც, ვითარების შესაძლო გართულების თავიდან აცილების მიზნით, გამოიძახა საპატრულო პოლიციის მოძრავი ეკიპაჟი. მოსულმა პატრულ-ინსპექტორებმა სცადეს ზურაბ კუჭუხიძის დამშვიდება და სთხოვეს მართვის მონშობა, თუმცა ზ. კუჭუხიძემ კვლავ უკმაყოფილება გამოხატა და უცენზურო სიტყვებით მიმართა. აღნიშნულის შემდეგ პატრულ-ინსპექტორებმა კუჭუხიძეს საპატრულო პოლიციაში გაყოლა სთხოვეს, რასაც ზ. კუჭუხიძე არ დაემორჩილა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით ძალადობით და ძალადობის მუქარით წინააღმდეგობა გაუწია პატრულ-ინსპექტორებს, ხელი გაართვა პატრულ-ინსპექტორ დ. ჯიჭონაიას, აგინებდა ასევე იქ მყოფ პატრულ-ინსპექტორებს. პოლიციელებმა ძალის გამოყენებით ჩასვეს იგი საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში, რა დროსაც ზ. კუჭუხიძე აგრძელებდა წინააღმდეგობის განევას, მან მარცხენა ხელზე უკბინა ინსპექტორ მ. ჭეჯიას, რომელმაც მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნულ ფაქტზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №22060281 საქმეზე ზურაბ კუჭუხიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (წინააღმდეგობა, მუქარა ან

ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე). აღკვეთის ღონისძიების სახით ზ. კუჭუხიძეს შეეფარდა დაპატიმრება 2 თვის ვადით. პროკურატურის წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ზ. კუჭუხიძის სხეულზე არსებული დაზიანებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის დაზიანებებს.

წინასწარი გამოძიების პროცესში ზ. კუჭუხიძემ დამატებით დაკითხვა მოითხოვა, რა დროსაც განაცხადა, რომ დაკავების დროს იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მათ და არ დაემორჩილა პოლიციის მუშაკების კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც იგი დააკავეს. სხეულზე არსებული დაზიანებები მიიღო წინააღმდეგობის განწევისას და პოლიციის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნია.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსმა გ. ნინუამ განაცხადა, რომ 2005 წლის 22 ოქტომბერს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, შეესწრო ზ. კუჭუხიძის მიერ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის განწევის ფაქტს, რა დროსაც ზ. კუჭუხიძე წაბორძიკდა და ნაიქცა, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით ჩასვეს იგი ავტომანქანაში და გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის სამმართველოს შენობაში, სადაც ზ. კუჭუხიძემ გააგრძელა მათთვის წინააღმდეგობის განწევა, რა დროსაც იგი კვლავ წაბორძიკდა და ნაიქცა. წინააღმდეგობის განწევისას ზ. კუჭუხიძემ თითზე უკბინა პოლიციელ მ. ჭეჯიას და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის სხვა თანამშრომლებს, რომლებმაც სხეულის მსუბუქი დაზიანებები მიიღეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად ზ. კუჭუხიძის მიერ დამატებითი დაკითხვის დროს მიცემული ჩვენება, რომ მას არავითარი პრეტენზია პოლიციის მუშაკების მიმართ არ გააჩნია და სხეულის დაზიანებები მიიღო პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწევის დროს, ეჭვს ბადებს და საკმაოდ არადამაჯერებელია. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ პატიმრობაში მყოფი პირი დაუცველია და გამოძიებას ადვილად შეუძლია მასზე ზემოქმედების მოხდენა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პოლიციის მიერ ნაცემი დაკავებულები, წინასწარი გამოძიების მსვლელობისას, როგორც წესი, ცვლიან თავიანთ ჩვენებებს და უარყოფენ პოლიციის მხრიდან მათი ცემის ფაქტს. სავარაუდოდ, ასე მოხდა ზ. კუჭუხიძის შემთხვევაშიც.

პროკურატურის წერილში აღნიშნულია, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც ზ. კუჭუხიძე პოლიციის სამმართველოში მიიყვანეს, მიიღეს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები, თუმცა მოწოდებული ინფორმაციიდან არ ჩანს, რომ მათ ჩაუტარდათ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მიღებული დაზიანებების სიმძიმის ხარისხის დასადგენად.

იმის გამო, რომ ზ. კუჭუხიძის სხეულის დაზიანების ფაქტზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეში ბევრი გარემოება საეჭვოდ ჩანდა, 2006 წლის 7 დეკემბერს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა მიმართა ზუგდიდის რაიონულ პროკურატურას, მოეწოდებინა ზურაბ კუჭუხიძის მიმართ საპატრულო პოლიციელების მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. ზუგდიდის რაიონული პროკურატურიდან მიღებულ პასუხში მითითებულია, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ პუნქტი არ ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან სახალხო დამცველისთვის სისხლის სამართლის საქმეთა მასალების მინოდების ვალდებულებას. შესაბამისად, სახალხო დამცველს უფლება აქვს, ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში გაეცნოს №5306918 სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუმცა პროკურატურის ორგანოების მხრიდან აღნიშნული საქმის მასალების ასლების გადაცემის ვალდებულება არ არსებობს.



აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს უფლება აქვს, გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომელთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. შესაბამისად, სახალხო დამცველი როგორც ფორმით მიიჩნევა მიზანშეწონილად საქმის მასალების გაცნობას, იქნება ეს ადგილზე საქმის მასალების წაკითხვა თუ მათი ასლების გადაღების მოთხოვნა, პროკურატურა ვალდებულია, მოთხოვნისამებრ, მიაწოდოს მას ყველა საჭირო დოკუმენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 მუხლით, სახალხო დამცველს უფლება აქვს, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული საქმის მასალები სახალხო დამცველისთვის ხელმისაწვდომია და გაცნობის პროცესში შესაძლებელია საქმის მასალებიდან ამონაწერების გაკეთება ან მისი სიტყვასიტყვით გადაწერა. შესაბამისად, თუ საქმის მასალების შინაარსის გაცნობის უფლება აქვს სახალხო დამცველს, ბუნებრივია, რომ მას აქვს ასლების გადაღების უფლებაც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი, მისი საქმიანობის განხორციელების პროცესში, ხშირად მიმართავს პროკურატურას თუ სხვა საგამოძიებო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მოწოდების მოთხოვნით და აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ არავითარი პრობლემა არ შექმნილა. ამასთანავე, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის ამგვარი ქმედება შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1734-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა, კერძოდ სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა. ამის გამო, სახალხო დამცველმა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მოწოდების უზრუნველყოფისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორს მიმართა. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურიდან მიღებული იქნა იმავე შინაარსის პასუხი, რაც ზემოთ იყო ნახსენები.

გ. ჩიტისა და ლ. ხვედელიძის საქმე

2006 წლის 31 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს შსს-ს №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი დაკავებულები: გ. ჩიტისა და ლ. ხვედელიძე, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებმა. უფლებადარღვევის ფაქტზე რეაგირების მოხდენის მიზნით, 2006 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა ქ. თბილისის პროკურატურაში. მიღებული პასუხის თანახმად, სახალხო დამცველი აპარატის თანამშრომლების მიერ 2006 წლის 31 აგვისტოს შედგენილი უფლებადარღვევის ოქმის საფუძველზე, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება ლ. ხვედელიძისა და გ. ჩიტისა დაკავებისას დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები შემდგომი გამოძიებისთვის გადაიგზავნა ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. გამოძიებით დადგინდა, რომ 2006 წლის 30 აგვისტოს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ლ. ხვედელიძემ და გ. ჩიტისმა ქ. თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგურში არსებულ №62 კაფე-ბარში ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომ მამაკაცს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო სიტუაციის განსამუხტავად მისულ პოლიციის თანამშრომლებს კი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის გამოც პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული პირები ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც გ. ჩიტისმა და ლ. ხვედელიძემ ინსპექტორ-გამომძიებლის სამუშაო ოთახში დაამტვრიეს სამუშაო მაგიდა და სკამები, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებს. პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის განხორციელებისთვის გ. ჩიტისმა და ლ. ხვედელიძემ დააკავეს და შსს-ს №2 დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

საქმეზე მონმის სახით დაკითხულმა პოლიციის თანამშრომლებმა არ დაადასტურეს ლ. ხვედელიძისა და გ. ჩიტისისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. ასევე აღნიშნული

ფაქტი არ დაადასტურეს თავად დაკავებულებმა ლ.ხვედელიძემ და გ. ჩიტაძემ და განმარტეს, რომ ვინაიდან ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ, კონტროლი ვერ გაუწიეს საკუთარ მოქმედებებს, არ დემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ. გ. ჩიტაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაზიანებები, რომელთა შესახებაც დმი-ში შედგენილ ოქმში მიუთითა, **საკუთარ თავს თვითონ მიაყენა, როდესაც, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, პოლიციის განყოფილებაში შუბლს ურტყამდა კედელს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო, გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა. **გ. ჩიტაძის და ლ. ხვედელიძის საქმეშიც გამოძიებამ საჭიროდ არ ჩათვალა, სხეულზე არსებული დაზიანებების დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა.**

აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, გამოძიების ორგანოს მხრიდან კიდევ ერთ საინტერესო ტენდენციას ვაწყდებით. კერძოდ, სამართალდამცავი პირებისათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ის სხეულის დაზიანებების მიღების საკმაოდ არააღმაჯერებელ ვერსიას აყალიბებს.

დაკავებულთა ფიზიკური შეურაცხყოფისა და წამების ფაქტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც ნათქვამია: „როცა ადამიანი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ხვდება სრულიად ჯანსაღ მდგომარეობაში, ხოლო გათავისუფლების დროს ის აღმოჩნდება დაშავებული, საკითხი უკვე ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, გასცეს მომხდარ ფაქტზე ახსნა-განმარტება და დაადგინოს ადამიანის დაშავების მიზეზი“ („რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1995 წლის 4 დეკემბერი).

ზემოხსენებული საქმეები (სახალხო დამცველს გააჩნია სხვა მსგავსი საქმეებიც) იძლევა იმის საფუძველს, რომ ეჭვქვეშ დადგეს დაკავებულთა მიმართ განხორციელებულ კანონდარღვევებზე ჩატარებული გამოძიების ობიექტურობა. ამდენად, ცხადია, რომ დაკავებული პირების უფლებათა ხელყოფის ფაქტებზე საგამოძიებო ორგანო ვალდებულია ჩაატაროს ყოველმხრივი, ობიექტური, მიუკერძოებელი და სრული გამოძიება, რომლითაც დადგინდება სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულებრივი ქმედებანი და მოხდება მათი დასჯა, რაც, თავისთავად, განაპირობებს მომავალში მსგავსი ფაქტების შემცირებას.



წინასწარი გამოძიების პროცესში კონკრეტულ პირთა დაზარალებულად ცნობის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია. პროკურატურისა და შსს-ს საგამოძიებო ორგანოებში ადგილი აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის (დაზარალებულად ცნობა) არასწორ დეფინიციას და პრაქტიკაში მისი დამახინჯებული ფორმით გამოყენებას. კერძოდ, მომხდარ ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყებისთანავე საგამოძიებო ორგანოების მიერ არ ხდება სათანადო პირების ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ იმ მოტივით, რომ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი დადგენილი არ არის, ჯერ უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები, რომლის შემდეგაც გადაწყდება, ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულს, რის მიხედვითაც გადაწყდება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა. გამოძიების ორგანოს მიერ საკითხის ასეთი მიდგომა არასწორია. სსსკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა“. ამევე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს“. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, როგორც კი დაინყება წინასწარი გამოძიება საქმეზე



(მომხდარ ფაქტზე, სავარაუდოდ – დანაშაულებრივ ქმედებაზე), ავტომატურად უნდა მოხდეს სათანადო პირთა ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. აღნიშნული პრობლემა უმეტესად წარმოიშობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ეჭვმიტანილებისა თუ ბრალდებულების დალუპვის, დაკავებულ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფის, საპატიმრო ადგილებში პატიმართა თვითმკვლელობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების დროს. ვინაიდან გამოძიების ორგანოს მიერ არ ხდება შესაბამისი პირების ცნობა დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, მათ არ ეძლევათ საშუალება ისარგებლონ გამოძიების მიმდინარეობისას სსსკ-ის 69-ე მუხლით (დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებები) დადგენილი უფლებებით, რაც, სსსკ-ის მე-18 მუხლიდან გამომდინარე (საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული), ინვესტ გამოძიების ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენებას. მსგავს ფაქტებზე დაწყებული გამოძიების დროს, გამოძიების ორგანო თავად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ უფლებამოსილმა პირებმა დასვან გამოძიების წინაშე კითხვები საქმეზე არსებულ საეჭვო გარემოებებთან დაკავშირებით და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით მიიღონ მათზე ადეკვატური პასუხები, რაც, საბოლოო ჯამში, მოხსნის უნდობლობას გამოძიებისადმი. ამავდროულად, თუ გამოძიების მსვლელობისას გაირკვევა, რომ არ არსებობს დაზარალებულად ცნობის საფუძველი, სსსკ-ის 68-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას (დადგენილებას), რომლითაც გააუქმებს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინებას (დადგენილებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხი არ უნდა იყოს პრობლემატური გამოძიების ორგანოს მხრიდან.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ:

ვ. გოგისვანიძის საქმე

2006 წლის 12 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ბ.ქირია ზუგდიდის №4 საპყრობილეში შეხვდა ბრალდებულ (სსკ-ის 260-ე მუხლი) ვ.გოგისვანიძეს და ჩამოართვა ახსნა-განმარტება. ვ.გოგისვანიძე მიუთითებდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ მასზე განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტზე. სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, 22 სექტემბერს ჩატარდა ვ. გოგისვანიძის ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. დასკვნის თანახმად, ვ. გოგისვანიძეს აღენიშნებოდა დაზიანებები ორივე თვალის ირგვლივ სისხლნაჟღენთების სახით, ცხვირზე შესიება ნაჭდევებით, ბეჭის, წელისა და ბარძაყის უკანა ზედაპირის მარჯვენა მიდამოზე ნაჭდევები სისხლნაჟღენთით. ექსპერტის დასკვნით, სხეულზე არსებული დაზიანებები მიყენებული იყო რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და განეკუთვნებოდა სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და ხანდაზმულობით შეესაბამებოდა დაკავების თარიღს.

ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა, წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა სათანადო მასალები. 10 ოქტომბერს ფოთის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება №450639 სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ეჭვმიტანილ ვ. გოგისვანიძის მიმართ ჩადენილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლის პირველი ნაწილით და 144³-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა გამოძიების ორგანოს და მოითხოვა ხსენებულ საქმეზე ვ. გოგისვანიძის დაზარალებულად ცნობა, რაზეც უარი ეთქვა. ადვოკატმა დახმარებისათვის სახალხო

დამცველს მიმართა. 2007 წლის 7 თებერვალს სახალხო დამცველმა გენერალური პროკურორის მოადგილეს – გ. ლაცაბიძეს წერილობით მიმართა, რათა მიღებულიყო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება ვ. გოგისვანიძის დაზარალებულად ცნობის საკითხზე. გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ თუ დადასტურდებოდა სსსკ-ით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობა, მოხდებოდა ვ. გოგისვანიძის დაზარალებულად ცნობა.

2006 წლის 09 ივნისს რუსთავის №6 საპროცესო საკანში ნაპოვნი იქნა ზენარზე ჩამოკიდებული მსჯავრდებულ ნ. გვიჩიანის გვამი. მომხდარზე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება ნ. გვიჩიანის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 115-ე მუხლით. გარდაცვლილის დედამ – ლ. კორძაიამ არაერთგზის დააყენა შუამდგომლობა გამოძიების წინაშე სისხლის სამართლის საქმეზე ნუგზარ გვიჩიანის, როგორც დაზარალებულის, უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ, რაზეც უარი ეთქვა. სახალხო დამცველმა მიმართა გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსს გ. ფარულავას, რომ მიღებულიყო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება ლ. კორძაიას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხთან დაკავშირებით. პასუხი არ არის მიღებული.

ანალოგიურ საკითხზე 2006 წლის 01 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 2006 წლის 02 მაისს ქ. თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის დედის, ც. შანავას კანონიერ ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გ. მოსიაშვილმა. სსკ-ის 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით) დაწყებულ საქმეზე გამოძიებას ანარმოებდა ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამოძიებელი ვ. ლაცუზბაია, რომელმაც არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა ც. შანავას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს, მიღებულიყო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება ც. შანავას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საკითხთან დაკავშირებით. რეკომენდაციის პასუხად გენერალური პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ გამოძიების დადგენილებით ც. შანავა ცნობილ იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამოძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება“. ამავე კოდექსის 395-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ან პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, როგორც კი წარმოიშვება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძველი“. შესაბამისად, თუ გამოძიების ორგანო საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ ვერ დაადგენს დანაშაულის ნიშნებს, უნდა გამოიტანოს დადგენილება საქმის შეწყვეტის თაობაზე. ხსენებული ნორმების მიუხედავად, არის შემთხვევები, როცა არ ხდება გამოძიების დაწყება დანაშაულზე ინფორმაციის მიღების შემდეგ. მაგალითად:

ბ. კვიციანის საქმე

2006 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველს დაუკავშირდა აფხაზეთიდან დევნილი ბ. კვიციანი და აცნობა, რომ მას სამხედრო პოლიციის თანამშრომლები იძულების წესით ასახლებდნენ თავდაცვის სამინისტროს მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული საცხოვრებელი ბინიდან (ქ. თბილისი, ქ. ნამებულის ქ. №25). ადგილზე მისულ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს



დახვდნენ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს წარმომადგენლები, რომლებიც ამავე სამმართველოს უფროსის მ. ბაკაშვილის ხელმძღვანელობით ახორციელებდნენ ბ. კვიციანის იძულების წესით გამოსახლებას. სამმართველოს უფროსთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ გამოსახლება მიმდინარეობდა სასამართლოს გადანყვეტილებისა და გამოსახლების შესახებ სააღსრულებო ფურცლის გარეშე. მ. ბაკაშვილის განმარტებით, პოლიციელები ახორციელებდნენ საცხოვრებელ ფართში უკანონო „შეჭრის“ აღკვეთას, მაშინ როცა ბ. კვიციანის ადვოკატმა წარმოადგინა 2002 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ორდერი ბინის მფლობელობაში გადაცემის შესახებ. აღსანიშნავია, რომ **სამხედრო პოლიციის კომპეტენცია არ არის ზემოაღნიშნულ საკითხზე რეაგირება (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულება არ ითვალისწინებს სამხედრო პოლიციის მუშაკების მიერ ზემოხსენებული ფუნქციის განხორციელებას).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა, მ. ბაკაშვილის ხელმძღვანელობით, გადააჭარბეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რითაც ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ქ. თბილისის პროკურატურაში გაიგზავნა სახალხო დამცველის მიმართვა, რათა დაწყებულიყო გამოძიება შესაბამისი პირების მიმართ. მიღებული პასუხის თანახმად, „2005 წლის 23 ოქტომბრიდან ბ. კვიციანი დათხოვნილი იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების რიგებიდან, რის გამოც თავდაცვის სამინისტრომ გააფრთხილა იგი, გაეთავისუფლებინა ბინა (ირიცხებოდა თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე), ხოლო 2006 წლის 6 სექტემბერს მის მიერ **ნებაყოფლობით ხდებოდა ბინის დაცლა და გამოსვლა (რაც არ არის მართალი).** ამდენად, სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა მიმართ არ იქნა დაწყებული გამოძიება დანაშაულის ნიშნები არარსებობის გამო“.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ პროკურატურა ხშირად სათანადოდ არ ასრულებს მასზე კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და დაკისრებულ მოვალეობას, რაც საბოლოოდ იწვევს მოქალაქეთა ნდობის დაკარგვას ხსენებულ უწყებისადმი, როგორც გამოძიების წარმართველი და მასზე ზედამხედველი ორგანოსადმი. ამდენად, როდესაც მაკონტროლებელი უწყების მიერ ხდება კანონის დარღვევა და უგულვებელყოფა, შესაბამისად ხდება ქვემდგომი საგამოძიებო ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფა. ყველაფერი ეს კი უარყოფითად მოქმედებს მართლმსაჯულების ხარისხზე, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტზე და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე.

პოლიციას არსებითი როლი აკისრია სახელმწიფოში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. ამ ორგანომ პირნათლად უნდა შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობები, რათა თავიდან იქნას აცილებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და სახელმწიფოში მცხოვრებმა პირებმა დაცულად იგრძნონ თავი. პროფესიიდან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომლები განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ემსახურონ საზოგადოებას და დაიცვან უკანონობისგან ყველა ადამიანი, მათ შორის სხვადასხვა ნიშნით განსხვავების მიუხედავად. ამასთან, თავისი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

2007 წლის 26 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა პოლიციის ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ეთიკური და მორალური პრინციპების ერთობლიობას და ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით მიღებულ სხვადასხვა საერთაშორისო აქტს (გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, დეკლარაცია ყველა ადამიანის წამებისაგან და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებისაგან დაცვის შესახებ, პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სხვ.), ასევე

ეროვნულ კანონმდებლობას. ეთიკის კოდექსში ჩამოყალიბებული პრინციპები წარმოადგენს სახელმძღვანელოს პოლიციელებისათვის როგორც სამუშაო ისე არასამუშაო დროს. ესენია: კონსტიტუციურობა, კანონიერება, პასუხისმგებლობა, ჰუმანურობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება და კოლეგიალურობა სამსახურებრივ ურთიერთობებში.

სამწუხაროდ, პოლიცია, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის სამსახურში მდგომი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია ქვეყნის მოქალაქეების წინაშე, არცთუ იშვიათად თავად გვევლინება ადამიანის უფლებათა დამრღვევად. სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც მიუთითებენ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, უკანონო დაკავებაზე, შსს-ს საგა-

შინაგან საქმეთა სამინისტრო



მოძიებო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ტენდენციურად, არაობიექტურად წარმართვაზე და სხვ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური და ფსიქიკური იძულება“. მართალია, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იკლო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დაკავებულთა მიმართ ძალადობის ფაქტებმა როგორც დაკავების დროს, ისე პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ (ამას მოწმობს თავად სახალხო დამცველის აპარატში არსებული მონიტორინგის ჯგუფის მიერ შსს-ს განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების შემოწმების შედეგები), თუმცა არის არაერთი შემთხვევა, როცა სამართალდამცავები ამეტებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებს და ძალადობენ დაკავებულებზე. ყოველ ასეთ ფაქტზე, რომელიც ცნობილი ხდება სახალხო დამცველის აპარატისათვის, ხდება სასწრაფო რეაგირება. აპარატის თანამშრომლები ნახულობენ დაკავებულს, ართმევენ ახსნა-განმარტებას მომხდარზე, იღებენ სხეულის დაზიანებებზე შედგენილ ოქმებს ან თავად ადგენენ ოქმს, ინიშნება ალტერნატიული ექსპერტიზა (დაინიშნა რამდენჯერმე) ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის დასადგენად, ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება შემთხვევის შემსწრე პირებზეც (ასეთის არსებობისას), ასევე ხდება ეჭვიმტანილის დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა გამოკითხვა (თითქმის ყველა შემთხვევაში ისინი უარყოფენ ძალადობის ფაქტს). მოპოვებული მასალები იგზავნება გენერალურ პროკურატურაში გამოძიების დასაწყებად, მათ საფუძველზე იწყება გამოძიება სსკ-ის შესაბამისი მუხლებით მომხდარ ფაქტზე. ასე მაგალითად:

1. მოქალაქე მზია ბლიაძის განცხადებით, 2006 წლის 24 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნა მისი შვილი **გ. ლაცაბიძე**, რომელიც პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ სცემეს და ჩაუდეს ნარკოტიკი. მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის მიერ 2006 წლის 26 ივლისს გაცემული დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ „მოქალაქე გიორგი ლაცაბიძეს აღენიშნება დაზიანებები ნაჭდევის სახით, რომლებიც განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლავი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის დაზიანებას ჯანმრთელობის მოუშლელად. ის უჩივის თავის ტკივილს და აქვს გულის რევის შეგრძნება, აუცილებელია ნევროპათოლოგის მიერ მისი გასინჯვა“.

ზემოაღნიშნულ საქმეზე, სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დასაწყებად. მიღებული პასუხის თანახმად, 2006 წლის 4 სექტემბერს ხაშურის რაიონულ პროკურატურაში დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №3806838 საქმეზე გ.ლაცაბიძის დაკავებისას ხაშურის შს რაიგანყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. 2006 წლის 14 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში, სადაც ახსნა-განმარტება ჩამოართვეს პატიმრებს: **ზ. ზირაქიშვილსა** და **ზ. ჭანტურიას** (ბრალდებული არიან ძარცვაში). ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ 2006 წლის 10 დეკემბერს 18 საათისათვის ზ. ზირაქიშვილი და ზ. ჭანტურია ქ. თბილისში ძმობის ქუჩაზე მგზავრობდნენ ტაქსით, რა დროსაც მათი მანქანა გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და წაიყვანეს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს №5 განყოფილებაში. პოლიციის შენობაში მიყვანის შემდეგ, სამართალდამცველების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, მუქარას. ზ. ზირაქიშვილი და ზ. ჭანტურია აცხადებდნენ, რომ შეეძლოთ პოლიციის იმ თანამშრომელთა ამოცნობა, რომლებმაც მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ქ. თბილისის №2 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გამოთხოვილი იქნა დაკავებულების: ზ. ზირაქიშვილისა და ზ. ჭანტურიას სხეულის გარეგანი დათვალიერების ოქმები, რომლებშიც დაფიქსირებულია მიყენებული დაზიანებები,

ასევე მითითებულია, რომ ზ. ზირაქიშვილსა და ზ. ჭანტურიას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებმა.

სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას წინასწარი გამოძიების დასაწყებად. მიღებული პასუხის თანახმად, 2006 წლის 26 დეკემბერს ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს №10068261 საქმეზე ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლების მიერ ზ. ზირაქიშვილისა და ზ. ჭანტურიას დაკავებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.



არის შემთხვევები, როცა პოლიციის თანამშრომლები გულგრილობას იჩენენ მომხდარ სამართალდარღვევაზე და სათანადო რეაგირების ნაცვლად, თავად გვევლინებიან კანონდამრღვევებად, ასე მაგალითად:

2006 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ი. აბსანძემ. მისი განმარტებით, 5 ოქტომბერს, ღამით, იგი იმყოფებოდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სახინკლე „ელ-დეპოში“, სადაც მისთვის უცნობმა მამაკაცმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. იგი მაშინვე დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და მომხდარის შესახებ შეატყობინა. თუმცა, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ადგილზე მისვლის შემდეგ სახლში წასვლა ურჩიეს, ხოლო, როდესაც განმცხადებელმა მოითხოვა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

სახალხო დამცველმა აღნიშნული განცხადება შემდგომი რეაგირების მოთხოვნით გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, საიდანაც სახალხო დამცველს აცნობეს, რომ განცხადებაში მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის შედეგად პატრულისპექტორები ზ. გელაშვილი და გ. ჯაბახიძე დათხოვნილი იქნენ შს ორგანოებიდან, ხოლო დ. მალარაძე ჩამოქვეითებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.



სამართალდამცავი პირები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და განმტკიცებულია საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. სამართალდამცავ პირებს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს და იმ ფარგლებში, რაც მათი მოვალეობის შესრულებისთვისაა საჭირო. გამოყენებული საშუალება უნდა იყოს ადეკვატური კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. ამასთან, პოლიციელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან. ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა სათანადო პატივისცემის მოთხოვნებს.

გაეროს რეზოლუციაში – „ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ – ჩამოყალიბებულია ის უმნიშვნელოვანესი ზოგადი



პრინციპები, რომლებსაც ნევრი სახელმწიფოები ამკვიდრებენ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. მე-4 პრინციპის თანახმად, „თავიანთი მოვალეობის შესრულებისას სამართალდამცავმა პირებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ არაძალადობრივი საშუალებები, ვიდრე ისინი ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას მიმართავენ. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება ან მათი გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევის იმედი აღარ არსებობს“. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული 1979 წლის „პოლიციის შესახებ“ დეკლარაციის მე-12 და მე-13 პუნქტების თანახმად, თავისი მოვალეობების შესრულებისას პოლიციის თანამშრომელმა კანონით მოთხოვნილი თუ ნებადართული მიზნის მისაღწევად უნდა იმოქმედოს მთელი აუცილებელი სიმტკიცით, მაგრამ არასოდეს უნდა გამოიყენოს საჭიროზე მეტი ძალა. ასევე, პოლიციის თანამშრომლებმა უნდა მიიღონ გარკვეული და ზუსტი მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით და რა პირობებში უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას არეგულირებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, ასევე პოლიციის ეთიკის კოდექსის მე-4.2 პუნქტი, თუმცა ამ დადგენილი ნორმების დაუცველობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოში. სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა პოლიცია სიტუაციისა და გარემოებების აშკარად შეუსაბამოდ იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს, რასაც ადამიანის სიცოცხლე ეწირება:

ვარლამ ფხაკაძის საქმე

2006 წლის 7 დეკემბერს, 04:30სთ-ზე, საპატრულო პოლიციის ოპერატორისაგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, №31 ეკიპაჟის წევრებს დაევალიათ ქ. ქუთაისში ზ. ჭავჭავაძის ქუჩა №48-ში მდებარე ბინასთან გასვლა, საიდანაც მოქალაქე იტყობინებოდა, რომ ამავე ბინის სარდაფში იმყოფებოდნენ ქურდები. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ივანე კაპატაძე და დავით მინაშვილი მივიდნენ ადგილზე. ი. კაპატაძე იარაღშემართული შევიდა სადარბაზოში, რა დროსაც მას სარდაფიდან გამომავალი პიროვნება – ვარლამ ფხაკაძე შეეფეთა. პატრულ-ინსპექტორმა ი. კაპატაძემ, მოქმედებდა რა ვ. ფხაკაძის შეპყრობის მიზნით, მოახდინა მისი მიმართულებით სამი გასროლა, მიუხედავად იმისა, რომ ვ. ფხაკაძე შეიარაღებული არ ყოფილა და არც წინააღმდეგობას უწევდა პატრულის თანამშრომელს, თანაც, ამავე დროს, პატრულის მეორე თანამშრომელი დ. მინაშვილი სადარბაზოს გასასვლელთან იმყოფებოდა თავისი მენეჯერის დასახმარებლად. ი. კაპატაძემ და დ. მინაშვილმა დააკავეს ვ. ფხაკაძე და სადარბაზოს ბაქანზე დასვეს. იმავედროულად სამსახურებრივი ავტომანქანით შემთხვევის ადგილზე მივიდნენ იმერეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს №27 ეკიპაჟის წევრები ავალო გაბრიჭიძე და კახა გაბუნია. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილი დაჭრილი იყო, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, გამოიჩინეს რა უყურადღებობა, არ აღმოუჩინეს მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და შემოიფარგლნენ მხოლოდ დაკავებული ვინაობის გამოკითხვითა და გამომძიებელთა ჯგუფის გამოძახებით. დაჭრილი ვ. ფხაკაძის გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში მას შემდეგ მოხდა, რაც შემთხვევის ადგილზე მივიდა გამომძიებელთა ჯგუფი, ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ი. ლეკვეიშვილის მიერ გამოცემულ ბრძანებაში (დ. მინაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე) აღნიშნულია, რომ „პატრულ-ინსპექტორთა გულგრილი დამოკიდებულებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო, ცეცხლსასროლი ჭრილობის შედეგად ილიის არტერიისა და ვენის გაგლეჯით დაზიანებული ვარლამ ფხაკაძე დაუყოვნებლივ არ იქნა გადაყვანილი სამედიცინო დაწესებულებაში, არ გაენია დროული სამედიცინო დახმარება და განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობის შედეგად გარდაიცვალა საავადმყოფოში მიყვანიდან 5 დღის შემდგომ, 2006 წლის 12 დეკემბერს“. ასევე, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის სამედიცინო დირექტორი – რ. კვერნაძე ვ. ფხაკაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რწმუნებულისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ „ცეცხლსასროლი იარაღით მიყენე-

ბული ტრამვის, სისხლის დიდი რაოდენობით დანაკარგისა და ალბათ სტაციონარში დროულად ვერ მოყვანამ, შემდგომში განვითარებულმა ტრავმულუმორაგიულმა შოკმა გამოიწვია თავის ტვინის დიფუზიური შეშუპება (იშემიური ტიპით), ატონიური კომა, თირკმლების მწვავე უკმარისობა, ანურეა, გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა“.

პატრულ-ინსპექტორი ი. კაპატაძე 14 დეკემბერს მიცემული იქნა ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში, სსკ-ის 114-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით) და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება ორი თვით.

პატრულ-ინსპექტორები დ. მინაშვილი, ა. გაბრიჭიძე და კ. გაბუნია მიცემული იქნენ ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი). დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ შუამდგომლობით ითხოვა სასამართლოსაგან პატრულ-ინსპექტორებისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს – 2000 ლარის გამოყენება, რაც დაკმაყოფილებული იქნა (სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, პროკურატურა მსგავსი სიმძიმის დანაშაულებზე ითხოვს დაპატიმრებას).

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს შემთხვევის ადგილზე ანუ ქ. ქუთაისში ზ. ჭავჭავაძის ქუჩა №48-ში მცხოვრებ პირებს. ისინი აცხადებენ, რომ გამოაღვიძათ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმებმა, ხოლო როდესაც ფანჯრებიდან გადაიხედეს, სიბნელეში გაარჩიეს, რომ რამდენიმე კაცს ნაქცეული ჰყავდათ ერთი ადამიანი და გამეტებით სცემდნენ, ხოლო ნაქცეული ყვიროდა: „რას მერჩით“, „რატომ მირტყამთ“, „რატომ მკლავთ“. შემდეგ კი ეს ნაქცეული ადამიანი სადარბაზოს შესასვლელთან მიიყვანეს და ჩამოაჯინეს. მოგვიანებით შეიტყვეს, რომ ეს იყო ვარლამ ფხაკაძე.

გვხვდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოების გამომძიებელთა მხრიდან სისხლის სამართლის საქმეზე ძიებისას პროცესუალურ ნორმათა დარღვევის ისეთი ფაქტები, როგორცაა: შეუსაბამო სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტს შორის, დაცვის უფლების შეზღუდვა (სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმა), დაკავებულისათვის მისი უფლებების არ გაცნობა, დაკავებულისათვის მის ახლობელთან დაკავშირებაზე უარის თქმა (ამ უფლების რეალიზებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეჭვმიტანილისათვის, რათა დაკავებიდან უმოკლეს პერიოდშივე მოხდეს ადვოკატის ჩართვა საქმეში), საგამოძიებო მოქმედების ჩაუტარებლობა და სხვ. არცერთი მსგავსი შემთხვევა, რომელიც ცნობილი ხდება სახალხო დამცველის აპარატისათვის, არ რჩება რეაგირების გარეშე. შესაბამის უწყებაში იგზავნება სახალხო დამცველის წინადადება კანონის დამრღვევი პირის პასუხისმგებლობის დასმის თაობაზე. ასე მაგალითად:

1. ბრალდებულმა **ზ. ჩიკვილაძემ**, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მიმართა გამომძიებელს ლ.ჯღარკავას საქმეში არსებული მასალების გაცნობისა და საკუთარი ხარჯით ასლების გადაღების თაობაზე, მაგრამ მისი ეს კანონიერი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სახალხო დამცველმა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურორს მიმართა წინადადებით, დასმულიყო გამომძიებელ ლ.ჯღარკავას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. სახალხო დამცველის წინადადება გათვალისწინებული იქნა და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს დაშვებული დარღვევის გამო, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს ხელმძღვანელობის სახელზე შეტანილ იქნა წარდგინება გამომძიებელ ლ.ჯღარკავას მიმართ მკაცრი დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ.



2. **მ. გვალის** ბრალად ედებოდა ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა. სისხლის სამართლის საქმეს იძიებდა ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს გამომძიებელი ი.ხომტარია. ადვოკატ ზ.ფიცხელაურის მიერ გამომძიებლის წინაშე დაყენებული იქნა შუამდგომლობა მონმის სახით დაკითხულიყო მოქალაქე ი. ლაშქარაშვილი, ხოლო დამატებით დაკითხულიყვნენ მონმები: ზ. ხარატიშვილი და გ.ივანიშვილი, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. ზ. ფიცხელაურმა ანალოგიური შუამდგომლობით მიმართა ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორს თ. გურგენიშვილს, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა ხსენებული შუამდგომლობა და მითითება მისცა გამომძიებელს მოქალაქე ი.ლაშქარაშვილის დაკითხვის შესახებ. მიუხედავად ამისა, გამომძიებელმა ი. ხომტარიამ ისე დაამთავრა საქმეზე გამოძიება, რომ არ დაკითხა ი. ლაშქარაშვილი, რითაც დაარღვია საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა. ასევე საქმიდან ამოიღო თ. გურგენიშვილის წინაშე ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობა და მასზე გამოტანილი დადგენილება.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა ქ.თბილისის პროკურატურას, რათა დასმულიყო გამომძიებელ ი. ხომტარიას პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულის გამო, ი. ხომტარიას პროკურატურის შესაბამისი წარდგინების საფუძველზე, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის ი. ქადაგიძის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური.

3. **გ. ექვთიმიშვილს** ბრალად ედებოდა ყაჩაღობის ჩადენა. სისხლის სამართლის საქმის მასალიდან ირკვეოდა, რომ 2006 წლის 9 მაისს 7:15 სთ-ზე საპატრულო პოლიციის ინსპექტორის მ. ბერიძის მიერ შედგა ოქმი მოქალაქე თ.მეჭვერიშვილისაგან დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი ცნობის მიღების თაობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნენ ეჭვმიტანილები დ. თანდილაშვილი და გ. ექვთიმიშვილი. ანალოგიური დაფიქსირებულია პატრულ-ინსპექტორის რ. დოლიშვილის მიერ შედგენილ ოქმში რადიოსადგურ „რიონიდან“ დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი ცნობის მიღების შესახებ. მიუხედავად ამისა, გ. ექვთიმიშვილის ეჭვმიტანილად დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში ფაქტობრივი დაკავების დროდ მითითებულია 2006 წლის 9 მაისის 7:45 სთ.

ამდენად, სისხლის სამართლის საქმის მასალიდან ირკვევა, რომ ეჭვმიტანილის დაკავება რეალურად მოხდა 30 წუთით ადრე, ვიდრე ეს დაფიქსირებულია დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში. სახალხო დამცველის აპარატიდან ხსენებულ დარღვევასთან დაკავშირებით გაიგზავნა მიმართვა ქ. თბილისის პროკურატურაში, თუმცა ხსენებულმა უწყებამ არ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევას.

4. ადვოკატ **გ. ლამბარშვილის** განმარტებით, ი.ფხაკაძე დაკავებულ იქნა 2006 წლის 17 დეკემბერს ქ. ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის №2 განყოფილების „მუხნარის“ ქვეგანყოფილების თანამშრომლების მიერ. ის ეჭვმიტანილი იყო ყაჩაღობაში. პოლიციის განყოფილებაში დაკავებულის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფას დანაშაულის აღიარების მიზნით (დაზინებებზე არსებობს ოქმი). ი. ფხაკაძეს არ მისცეს ახლობლებთან დაკავშირების საშუალება. ადვოკატი ქუთაისის შს სამმართველოს №2 განყოფილებაში გამოცხადდა 18 დეკემბერს 12:45 საათზე და გამომძიებელ კ.ბაბუხაძის მოსთხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა და მისთვის ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის ასლის გადაცემა. მიუხედავად ორდერის წარდგენისა და საკუთარი ვინაობის დასახელებისა, გამომძიებელმა კ. ბაბუხაძემ და საგამომძიებო ნაწილის უფროსმა მას აღნიშნულ მოთხოვნაზე განუცხადეს უარი.

სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისათვის, საიდანაც ეცნობა, რომ ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში დაინყო წინასწარი გამოძიება ქუთაისის შს სამმართველოს №2 განყოფილების თანამშრომლების მიერ ი. ფხაკაძის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 144¹ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით.



აღსანიშნავია პოლიციის მხრიდან ისეთი სახის დარღვევები, როგორცაა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების გაჭიანურება, დანაშაულზე უმოქმედობა. პოლიცია ვალდებულია დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული. ამავე დროს, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. გამოძიების ზერელედ მიმდინარეობასა და დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეაგირების გარეშე დატოვებაზე მეტყველებს შემდეგი:

1. განმცხადებელი **ლ.ეფრემიძე** მიუთითებდა, რომ მცხეთის რაიონის შს სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება მისი კუთვნილი ნივთის (25 ტონა ტევადობის ავზი) ქურდობის თაობაზე, რომელიც 1999 წლის დეკემბრის თვეში მოხდა. გამოძიება მომხდარზე დაიწყო 2000 წლის მარტში. გამოძიების ორგანო შეგნებულად აჭიანურებდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. სახალხო დამცველმა 2006 წლის 27 ნოემბერს მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას მიმართა საქმეზე გამოძიების არაობიექტურად წარმართვასთან დაკავშირებით და საქმის გარემოებების შესწავლა მოითხოვა. მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურიდან სახალხო დამცველს აცნობეს, რომ პროკურატურამ გამოითხოვა და შეისწავლა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეში არსებული დოკუმენტები. დადგინდა, მცხეთის შს სამმართველოს გამოძიებლებმა **ზ. ხუროშვილმა** და **ლ. გაბისონიამ** გამოძიება უზარისხოდ და ზერელედ აწარმოეს, მათ არ შეასრულეს გენერალური პროკურატურისა და მცხეთის რაიონული პროკურატურის წერილობითი მითითებები. ამასთან დაკავშირებით, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ მცხეთის შს სამმართველოს გამოძიებლების **ზ. ხუროშვილისა** და **ლ. გაბისონიას** მიმართ დისციპლინური წესით დასჯა მოითხოვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოდან გვეცნობა, რომ გამოძიებლები **ზ. ხუროშვილის** და **ლ. გაბისონიას** მიმართ დისციპლინური წესით დასჯის ზომები ვერ იქნა გატარებული, ვინაიდან რეგიონული პროკურატურის მოთხოვნის პერიოდში ისინი აღარ მუშაობდნენ მცხეთის შს სამმართველოში.

სახალხო დამცველი დაინტერესდა გამოძიებელთა ამჟამინდელი სამუშაო ადგილებით და გარკვევა, რომ **ზ. ხუროშვილი** საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში მუშაობს გამოძიებლის თანამდებობაზე, ხოლო **ლ. გაბისონია** მუშაობს თბილისის შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ადამიანის მკვლელობების, ღირსებისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების გამომძიებლად. სახალხო დამცველმა გამოძიებელთა მიერ გამოჩენილი გულგრილობის შესახებ მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს ადმინისტრაციას გადაუგზავნა. გვეცნობა, რომ გამოძიებლებს **ზ. ხუროშვილისა** და **ლ. გაბისონიას** შს მინისტრის ბრძანებით შეეფარდათ დისციპლინური სახდელი – სასტიკი საყვედური.

2. 2006 წლის 10 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულ სამმართველოს წერილობითი განცხადებით მიმართეს წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანში მცხოვრებმა მოქალაქეებმა. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სოფელ მუხიანში გახშირდა ყაჩაღობის ფაქტები. გარდა ამისა, მუხიანის მცხოვრებთა მიმართ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ფორმით განხორციელებულ მუქარას. განცხადებაში მითითებული ფაქტების დაზუსტებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს სოფელ მუხიანში მცხოვრებ მოქალაქეებს. განმცხადებელთა თქმით, 2002 წლის ზაფხულში ერთდროულად რამდენიმე ოჯახს ყაჩაღურად დაესხნენ თავს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით პოლიცია მხოლოდ დაზარალებულების ზეპირი გამოკითხვით დაკმაყოფილდა და წინასწარი გამოძიება არ დაიწყო. შესაბამისად, არც დამნაშავეები გამოვლენილან და დასჯილან. როგორც ერთ-ერთი დაზარალებული



ბული აღნიშნავს, ბოროტმოქმედებს შემთხვევის ადგილზე დარჩათ ტყვია-ნამლით სავსე ჩანთა, რომელიც პოლიციის თანამშრომლების დაჭინებული მოთხოვნის საფუძველზე მათვე გადასცეს კანონით გათვალისწინებული ყოველგვარი პროცედურის დაცვის გარეშე.

მოსახლეობის განსაკუთრებული შიში გამოიწვია 2006 წლის ივნისის თვეში განხორციელებულმა მუქარის ზარებმა. ერთ-ერთი განმცხადებლის თქმით, უცნობი ადამიანები მის შვილს ფულს სძალავდნენ – კონკრეტულად კი მობილურ ტელეფონზე თანხის გადარიცხვას ითხოვდნენ. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობითა და ქონების განადგურებით ემუქრებოდნენ. მსგავსი მუქარის ზარები სოფელ მუხიანში მცხოვრები სხვა პირების მიმართაც განხორციელდა. განმცხადებლები უკმაყოფილონი იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობით. როგორც აღნიშნეს, 2006 წლის ივნისის თვეში დახმარებისათვის მიმართეს წყალტუბოს შს სამმართველოს, მაგრამ სამმართველოს წარმომადგენლებმა განცხადების ჩაბარებაზე უარი განაცხადეს. უფრო მეტიც, არ მოუსმინეს მოქალაქეებს და სასწრაფოდ შენობის დატოვება უბრძანეს.

სახალხო დამცველის აპარატიდან მოქალაქეთა განცხადებისა და ახსნა-განმარტებების შესწავლის საფუძველზე მომზადებული მიმართვები იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოსა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში გადაიგზავნა.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2000 წლის 6 აგვისტოს წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანში მცხოვრები მოქალაქის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 6 წლის შემდეგ, ანუ 2006 წლის 10 აგვისტოს დაიწყო. დაგვიანების მიზეზი უცნობია. ჯერაც გაურკვეველია, დაიწყო თუ არა გამოძიება 2002 წლის განმავლობაში სოფელ მუხიანში მომხდარ ყაჩაღობის ფაქტებზე. პროკურატურა ყურადღებას ამახვილებს პოლიციის მუშაკების მიერ შემთხვევის ადგილას ტყვია-ნამლით სავსე ჩანთის საპროცესო კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ ამოღებაზე. მონოდეტული ინფორმაციით, 2006 წლის ივნისში განხორციელებული სატელეფონო მუქარის ფაქტებიდან გამომდინარე მხოლოდ ერთზეა დაწყებული. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურიდან ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით ქუთაისის რაიონულ პროკურორს შესაბამისი ზომების მიღება ეთხოვა.

2006 წლის 1 სექტემბერს ქუთაისის რაიონული პროკურატურიდან შეგვატყობინეს, რომ სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონული სამმართველოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და შესწავლილი მასალების საფუძველზე, ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში 23 აგვისტოს დაიწყო გამოძიება წყალტუბოს შს სამმართველოს მუშაკების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) პირველი ნაწილით.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბარში სოფლის მაცხოვრებლები ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ პოლიციის უმოქმედობა მათი პირადი დაინტერესებით იყო გამოწვეული. პროკურატურის მიერ საქმის 332-ე მუხლით აღძვრა განმცხადებელთა ეჭვს ადასტურებს.



პოლიციის საქმიანობაში არსებული მანკიერი მხარეების აღმოფხვრა შესაძლებელია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის დანერგვით. პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა ხელყოფის ფაქტები ნათელი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის, მიეცეს შესაბამისი შეფასება და მოჰყვეს სახელმწიფოს სათანადო უწყებების მხრიდან ადეკვატური რეაგირება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას სამართალდამცავთა მიმართ.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები რეგულარულად ახორციელებენ პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. რეგიონებში ჩატარებული დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგისას გამოვლინდა არაერთი დარღვევა და პრობლემა, რაც საფუძვლიან შესწავლას და გადანყევტას საჭიროებს. საყურადღებოა დროებითი მოთავსების იზოლატორების (რომლებიც რაიონებში შს განყოფილებების შენობაშია განთავსებული) ტექნიკური მდგომარეობა. მართალია, ზოგიერთ შენობას ჩაუტარდა რემონტი და შედარებით გაუმჯობესდა პირობები, მაგრამ თითქმის არც ერთ იზოლატორში არ არის საშხაპე, სამედიცინო ოთახი, მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობის და სავენტილაციო სისტემა. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს დაკავებულთა კვებით უზრუნველყოფისა და გათბობის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს ახლობლები ვერ აწვდიან საკვებს, დმი-ის თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან საკუთარი ხარჯებით გამოკვებონ ისინი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში აღნიშნული კეთილი ნების გამოვლენა თანამშრომელთა მხრიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხდება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირთათვის, რომელთაც ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა.

2006 წლის დეკემბრის თვეში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, დაფიქსირდა შემდეგი:

ტყიბულის რაიონის დროებითი მოთავსების იზოლატორში ცხრა საკანიდან გამოსაყენებლად ვარგისია მხოლოდ სამი. დანარჩენი ხუთი ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო ერთ საკანში ინახება სხვადასხვა საგნები. შენობას დაზიანებული აქვს ქერი და იატაკი, არ არის აბაზანა, საპირფარეო გაუმართავ მდგომარეობაშია და საჭიროებს რემონტს, არ არსებობს პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობები. მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობის, გათბობისა და სავენტილაციო სისტემა. უმეტეს შემთხვევაში დაკავებულთა წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება იზოლატორის თანამშრომელთა მიერ. სანიტარული მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის სამი საკანი. საკანებში არ არის საპირფარეო და სველი ნერტილები. ისინი არის დერეფნის ბოლოს, თუმცა საშხაპე იქაც არ არის. განათების ნათურა, რომელიც დამონტაჟებულია შესასვლელი კარის ზევით, არ არის დამაკმაყოფილებელი ნორმალური განათების პირობებისთვის. სამი საკანიდან ორ საკანში არ არის გათბობა და ფანჯრის მინები არ არის ჩასმული, რის გამოც საკანებში სიცივეა.

დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის ოთხი საკანი. საკანებში არ არის გათბობა და სავენტილაციო სისტემა. საკნები ნათდება შესასვლელი კარის ზემოთ დამონტაჟებული ნათურებით. იზოლატორს არ გააჩნია ნორმალური საპირფარეო, არ არის საშხაპე. გარდა ამისა, იზოლატორში, ისევე როგორც პოლიციის შენობაში, არ მოდის წყალი. იზოლატორი საჭიროებს რემონტს.

გარდაბნის დროებითი მოთავსების იზოლატორში არის ხუთი საკანი. საკნები არ თბება, საკნების ფანჯრებზე არ არის ჩასმული მინები, რის გამოც სიცივეა; არ არსებობს სავენტილაციო და საშხაპე სისტემები; საკნები ნათდება შესასვლელი კარის ზემოთ დამონტაჟებული ნათურებით, რაც არასაკმარისია განათებისათვის. იზოლატორს ესაჭიროება რემონტი.

მონიტორინგის განხორციელებისას ყურადღება მიიქცია **სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში** ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირთა სიმრავლემ. დმი-ში ყოველდღიურად აღნიშნულ პირთა რაოდენობა ხუთიდან შვიდამდე მერყეობს. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში პატიმართა რიცხვმა ჩვიდმეტს მიაღწია. თითქმის ყველა მათგანს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შექმნა ან შენახვა, ან და ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე) გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის სამ-



ტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული აქვს ოცდაათ დღიანი პატიმრობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დმი-ში 4 საკანია, აქედან ერთი, ავარიული მდგომარეობის გამო, გამოსაყენებლად უვარგისია. დანარჩენ სამ საკანში მაქსიმუმ 13 პირის მოთავსებაა შესაძლებელი. სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დმი-ში საკნების გადატვირთულობის პრობლემა მწვავედ დგას იმის გამო, რომ იქ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა გარდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებსაც ათავსებენ.

სამტრედიის შს რაიონული განყოფილების დროებითი მოთავსების იზოლატორის დათვალიერების, დმი-ის თანამშრომელთა განმარტებითა და პატიმართა მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ დმი საჭიროებს რემონტს. არ არის სააბაზანო ოთახი, პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობები. მოუნესრიგებელია წყალგაყვანილობის, გათბობისა და სავენტილაციო სისტემები. დაზიანებულია ფიცარნაგის ფიცრები, სადაც პატიმრები თითქმის მთელი დღის მანძილზე წვანან. ადმინისტრაციას არა აქვს ლეიბები და თეთრეული. ასევე, ვერ ხდება პატიმრების საკვებით უზრუნველყოფა და იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულს ახლობლები ვერ აწვდიან საკვებს, დმი-ს თანამშრომლები იძულებულნი ხდებიან საკუთარი ხარჯებით გამოკვებონ ისინი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული კეთილი ნების გამოვლენა თანამშრომელთა მხრიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, პატიმრებს სახდელის მოხდა ფაქტობრივად არაადაამიანურ პირობებში უწევთ.

სამტრედიის შს რაიონული განყოფილება არ წარმოადგენს გამონაკლისს. მსგავსი პრობლემები არსებობს სხვა რაიონების შს განყოფილებებშიც. მართალია, ზოგიერთ რაიონულ განყოფილებას და დმი-ს შენობას ჩაუტარდა რემონტი, მაგრამ ჰიგიენის დაცვის კუთხით არც იქ გვხვდება სახარბიელო მდგომარეობა (არ არსებობს სააშხაპეები).

გასათვალისწინებელია, რომ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) რეკომენდაციის მიხედვით, ციხეში არსებული ყველა ქმედება და მომსახურება გაუარესდება, თუ ადმინისტრაციას მოეთხოვება მოემსახუროს უფრო მეტ პატიმარს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია. მართალია, აღნიშნულ რეკომენდაციაში საუბარია სასჯელალსრულების დაწესებულებებზე, თუმცა ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორი გვევლინება ის დაწესებულებად, სადაც ისინი შეფარდებულ სახდელს – დაპატიმრებას იხდიან, ამდენად აღნიშნული რეკომენდაცია თავისუფლად ესადაგება დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებულ მდგომარეობას.

საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ათავსებენ ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენისთვის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით პატიმრობაზე შეფარდებულ პირებს. ნევრ სახელმწიფოთათვის „ციხის ევროპული წესების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 12 თებერვლის №(87)3 რეკომენდაციის 99-ე პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც კანონით დაშვებულია დაპატიმრება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, ნებისმიერი არა-სისხლის სამართლის პროცესზე დაყრდნობით, ასეთი პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ იმაზე მეტ შეზღუდვებსა და სიმკაცრეს, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო განთავსებისა და წესრიგის დაცვისთვის. მათდამი მოპყრობა არ უნდა იყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობაზე უარესი.

განათება-ვენტილაციასთან დაკავშირებით გაეროს პატიმრებთან მოპყრობის „მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-11 წესის მიხედვით: დაწესებულებებში, რომლებშიც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: (ა) ფანჯრები უნდა იყოს ისეთი ზომის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე, და ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; (ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის ადგენს, რომ ჰაერისა და საკმარისი განათების უქონლობა ქმნის დამამცირებელი მოპყრობის პირობებს. ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ თითოეული პატიმრის შემთხვევა ცალ-ცალკე, რათა დადგინდეს, გამართლებულია თუ არა უსაფრთხოების ზომები ცალკეულ შემთხვევაში და თუ ასეთი ზომების მიღება საჭიროა, პატიმრები უნდა უზრუნველყონ საჭირო ჰაერითა და შუქით. და ბოლოს, ასეთი პირობების უქონლობა ისეთი დაავადების გავრცელების საფუძველია, როგორცაა ტუბერკულოზი“.

ასევე, პატიმრებთან მოპყრობის გაეროს „მინიმალური სტანდარტული წესების (წესი მე-20 და 26-ე) თანახმად, „პატიმრები ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭმელად ვარგისი, ჯანმრთელობისათვის და ძალღონისათვის უსაფრთხო, ხარისხიანი და კარგი საკვებით, ამასთან წყლის დალევა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პატიმრისათვის ნებისმიერ დროს“.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს „მინიმალური სტანდარტული წესების მე-13 წესის თანახმად, საბანაო მოწყობილობანი და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული იბანაოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ, ზომიერი კლიმატის პირობებში – კვირაში ერთხელ მაინც. ასევე, მსნ-ის მე-15 წესის თანახმად, პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ ყოველთვის იყვნენ სუფთად. ამისათვის საჭიროა მათი მომარაგება წყლით და პირადი ტუალეტისთვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად. სისუფთავის და პირადი ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ღირსების შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს მიეცეს შხაპით სარგებლობის და სხეულის სისუფთავის დაცვის საშუალება, რაც მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისთვის და ღირსების შენარჩუნებისთვის.

თეთრეულით მომარაგების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ყოველი პატიმარი ეროვნული და ადგილობრივი ნორმების შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით, აგრეთვე ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ციხის ევროპული წესების მე-17 წესის თანახმად, სანიტარული სათავსოები უნდა იყოს ადეკვატურად მოწყობილი და განლაგებული, რათა ყველა პატიმარს შეეძლოს ნორმალურად დაიკმაყოფილოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებები საჭიროებისამებრ სუფთა და მონესრიგებულ გარემოში.

სახალხო დამცველმა აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მოხდეს დროებითი მოთავსების იზოლატორების შენობების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და იქ არსებული მდგომარეობის გამოსწორება (აღნიშნულის შემდეგ, ტყიბულის დროებითი მოთავსების იზოლატორი გაუქმებული იქნა).



პოლიციის განყოფილებების მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა დააფიქსირეს ისეთი სახის დარღვევა, როგორცაა პროცესუალური ნორმების უგულვებელყოფით მოქალაქეთა მონმის სახით იძულებითი მიყვანა წინასწარი გამოძიების ადგილზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, „მონმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები“. მონმის გამოძახება უნდა მოხდეს კანონით დადგენილ წესით. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მონმეს გამომძიებელთან ან პროკურორთან იძახებენ



უნწყებით. უწყება იგზავნება ფოსტით ან შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება აგრეთვე ტელეფონოგრაფით, დეპუტით, რადიოგრაფით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებით. გამოძახების შესახებ უწყებასა და სხვა შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს, ვინ და რისთვის, ვისთან და რა მისამართზე არის პირი გამოძახებული, გამოცხადების დღე და საათი, აგრეთვე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები. უწყების (შეტყობინების) ხელზე მიღება გამოძახებულმა ხელის მონერით უნდა დაადასტუროს. თუ გამოძახებული ადგილზე არ იმყოფება, უწყება (შეტყობინება) მისთვის გადასაცემად ხელმონერით უნდა ჩაბარდეს მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს (სსსკ-ის 295-ე მუხლი).

ხშირ შემთხვევაში მონმეთა გამოძახება ზემოაღნიშნული ფორმით არ ხდება. პოლიციის თანამშრომლები მიდიან (ხშირად საცხოვრებელ სახლშიც) მონმედ დასაკითხ პირთან და სთხოვენ პოლიციაში გაყოლას ყოველგვარი განმარტების გარეშე – თუ ვინ, რისთვის, და რა საქმეზე იბარებენ. პოლიციელთა განმარტება მარტივია – „ჩვენ არ ვიცით, უფროსი გიბარებს, გაარკვევენ და გამოგიშვებენ“. ხშირად ასეთი წაყვანა ძალის გამოყენებითაც ხდება. სსსკ-ის თანახმად, მონმეს, გარდა იმისა, რომ უფლება აქვს იცოდეს, თუ რა საქმის გამოა გამოძახებული, ასევე უფლება აქვს საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება, გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება; გამოძიებლის უკანონო მოქმედება გაასაჩივროს პროკურორთან; არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში; სსსკ-ის 368-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული იძულებითი ექსპერტიზისას ისარგებლოს 366-ე მუხლის (ექვმიტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებები ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს) პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით (სსსკ-ის 94-ე მუხლი).

არის შემთხვევები, როცა აღნიშნული უფლებებით ვერ სარგებლობენ მონმედ გამოძახებული პირები, რადგან სათანადო ინფორმაცია არ მიეწოდებათ გამოძიებელთა მხრიდან. ნაცვლად იმისა, რომ კანონით დადგენილი წესით მოხდეს პირის გამოძახება და მონმის სახით დაკითხვა, ფაქტობრივად ხდება მისი დაკავება და პოლიციაში მიყვანა. როდესაც მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები პოლიციაში აწყდებიან ასეთ პირებს, პოლიციის თანამშრომლები განმარტავენ, რომ ისინი, მონმის სახით, ნებაყოფლობით გამოცხადდნენ, რაც არ არის მართალი, მაგრამ ამის აღიარება თავად ამ პირებს არ სურთ (პოლიციელთა მხრიდან ანგარიშსწორების ეშინიათ). ასეთი სახით პოლიციაში მიყვანილ პირს შეზღუდული აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება, ასევე, ის ვერ ახერხებს ადვოკატთან დაკავშირებასა და მისი დახმარებით სარგებლობას, რაც ინვესს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვას – **ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია**. სსსკ-ის 305-ე მუხლის თანახმად, მონმეს უფლება აქვს დაკითხვაზე დაისწროს ადვოკატი, მაგრამ მისი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. გამოძიებელს არ ეკისრება ვალდებულება მონმედ დასაკითხ პირს (მოთხოვნის მიუხედავად) მოუყვანოს ადვოკატი, ისე, როგორც ეს დაკავებულის შემთხვევაში ხდება. გამომდინარე იქედან, რომ პირი იძულებით (ან მოტყუებით) არის წაყვანილი პოლიციაში, მას არა აქვს ადვოკატთან დაკავშირებისა და მისი დახმარების შესაძლებლობა. თუ პირს კანონით დადგენილი წესით გამოძახებენ დაკითხვაზე, მას აქვს შესაბამისი დროც და საშუალებაც იყოლიოს ადვოკატი და სრულყოფილად განახორციელოს თავისი უფლებამოვალეობა.

სსსკ-ით (175-ე და 176-ე მუხლები) რეგულირდება მონმის იძულებითი მოყვანა. იმ შემთხვევაში, თუ მონმედ გამოძახებული პირი თავს არიდებს წინასწარი გამოძიების ადგილზე გამოცხადებას, გამოძიებელს უფლება აქვს, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, რომელიც გასცემს ბრძანებას მონმის იძულებით მოყვანის შესახებ. მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) აღსასრულებლად გადაეცემა პოლიციის ორგანოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია პოლიციას იძულებით მიყვანოს პირი შესაბამის ადგილზე. პროცესუალური ნორმების დაუცველად მონმის პოლიციაში მიყვანისას დიდია რისკი, რომ მასზე განხორციელდეს ზენოლა.

აღსანიშნავია რამდენიმე ისეთი შემთხვევა, რა დროსაც მოხდა მონმის ფაქტობრივი დაკავება და შესაბამისად ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას:

- 1. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ქუთაისის დმი-ში მონიტორინგისას შეხვდნენ გ.ჯ-ს, რომელმაც განაცხადა (ოფიციალურად ახსნა-განმარტების მოცემაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან შეეშინდა პოლიციის მხრიდან ანგარიშსწორებისა) შემდეგი:

2006 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით 10-11 სთ-ზე, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლები მივიდნენ ბაღდათის რაიონულ ცენტრში მცხოვრებ გ.ჯ-ს საცხოვრებელ სახლში და მოსთხოვეს გაყოლა. გ.ჯ-ს კითხვაზე, თუ სად მიჰყავდათ, უპასუხეს, რომ სურდათ რაღაცის გარკვევა. იგი ჩაისვენს ავტომობილში და წაიყვანეს ზესტაფონის მიმართულებით. გზაში პოლიციელები მას სთხოვედნენ სოდ-თან თანამშრომლობას, რაზედაც უარი მიიღეს. ასევე აიძულებდნენ, მიეცა ჩვენება ერთ-ერთი პიროვნების საწინააღმდეგოდ, რაზეც მან უარი განაცხადა. ამას სოდ-ის თანამშრომელთა მხრიდან მოყვა სიტყვიერი შეურაცხყოფა. იგი მიიყვანეს სოდ-ის იმერეთის სამხარეო სამმართველოში. სადაც გ.ჯ-ზე განხორციელდა მუქარა და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მოხდა სიტყვიერი შეურაცხყოფა. რამდენიმე საათის შემდეგ, იგი გამოძიებელმა დაკითხა მონმის სახით. იმავე დღეს, დაახლოებით 19 სთ-ზე გ.ჯ. გადაიყვანეს ნარკოლოგიურ თრობაზე შესამონმებლად. ანალიზმა დადებითი პასუხი აჩვენა (იმყოფებოდა ნარკოლოგიური თრობის ქვეშ). ამის შემდეგ, გ.ჯ. წაიყვანეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მოსამართლისა და სოდ-ის თანამშრომელთა შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის შემდეგ შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 25 დღის ვადით. ამის შემდეგ იგი ისევ წაიყვანეს სოდ-ის იმერეთის სამხარეო სამმართველოში და დაახლოებით სამი საათი გააჩერეს, მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანეს შსს ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

აღნიშნულ საქმეში, სხვა მრავალ დარღვევებთან ერთად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მონმედ წაყვანილ პირს იძულებით ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემონმება. გ.ჯ-ს განმარტებით, მისი ადმინისტრაციული წესით დაკავება არ მომხდარა და ნარკოლოგიურ დისპანსერში ის მონმის სახით გადაიყვანეს.

- 2. 2006 წლის 23 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ზესტაფონის შს რაიონული განყოფილების მონიტორინგისას დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალში აღმოაჩინეს, რომ დაკავებული პირის – მ.კვინიკაძის განყოფილებაში შეყვანის დრო 20 წუთით უსწრებდა დაკავების დროს, რაც ალოგიური იყო. გაჩნდა ეჭვი, რომ მ.კვინიკაძე უფრო ადრე იყო დაკავებული, ვიდრე ამას გამოძიებელი დაკავების ოქმში აფიქსირებდა. აღნიშნულზე გამოძიებელმა კ. ლავთაძემ განმარტა, რომ ძარცვის ფაქტზე დაწყებული იყო წინასწარი გამოძიება, ამოღებული იყო ნივთმტკიცება, დაზარალებული მიუთითებდა დანაშაულის ჩამდენზე, რის გამოც მან პოლიციის თანამშრომლები გაგზავნა მ. კვინიკაძის პოლიციაში წარმოსადგენად (წარმოდგენა, როგორც საპროცესო მოქმედება, 2003 წლიდან გაუქმებულია. ასეთ დროს პირი უკვე დაკავებულად ითვლება). პოლიციელებმა მ. კვინიკაძე ფაქტობრივად დააკავეს, მაგრამ შესაბამისი ოქმი არ შეუდგენიათ. მხოლოდ პოლიციაში გამოძიებლის მიერ მონმედ დაკითხვის შემდეგ აკავებენ მ.კვინიკაძეს ოფიციალურად.
- 3. 2006 წლის 10 დეკემბერს აჭარის ა/რ შს მთავარ სამმართველოში მონმის სახით დაკითხულ მამუკა ასკურავაზე დაკითხვის პროცესში განხორციელდა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა, რის შედეგადაც მან ტვინის შერყევა მიიღო.

მ. ასკურავას განმარტებით, მის საცხოვრებელ სახლში გამოცხადდნენ შს სამმართველოს თანამშრომლები, განუმარტეს, რომ მასთან გასაუბრება სურდა სამმართველოს უფროსს და ნახევარ საათში სახლში დაბრუნებას დაპირდნენ. პოლიციაში გაირკვა, რომ მ. ასკურავა მისი ძმის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მონმედ უნდა დაკითხულიყო. რაც მოხდა კიდევ. მ. ასკურავას განმარტებით, მისთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, თუ რა



სტატუსით მოხდა მისი დაკითხვა, არ ჩაბარებია უწყება და არ განემარტა უფლებები (ის, როგორც ბრალდებულის ძმა, არ იყო ვალდებული მიეცა ჩვენება).

აღნიშნულთან დაკავშირებით, აჭარის ა/რ პროკურატურაში 2006 წლის 11 დეკემბერს დაიწყო გამოძიება მ. ასკურავას სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ მ.ასკურავა პირდაპირ მიუთითებდა დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელ ერთ-ერთ პირზე.

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონეტა გამოძახება საპროცესო ნორმების დარღვევით დამკვიდრებული პრაქტიკაა.



სახალხო დამცველის რწმუნებულებს ბოლო პერიოდში იშვიათად, მაგრამ მაინც ექმნებათ დაბრკოლებები მონიტორინგის განხორციელების დროს, რისი მიზეზიც არის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლების სამართლებრივი ინფორმირებულობის დაბალი დონე. ისინი ნაკლებად იცნობენ სახალხო დამცველის (მისი რწმუნებულის) უფლებამოსილებას და ხელმძღვანელი პირების მითითების გარეშე, დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონიტორინგის განხორციელების საკითხს. ასე მაგალითად:

2006 წლის 23 ოქტომბერს შსს-ს ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსმა ხ. ყურშუბაძემ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს მონიტორინგის განხორციელების საშუალება არ მისცა. ხ.ყურშუბაძემ განაცხადა, რომ იგი ბათუმის №1 დმი-ის უფროსს ექვემდებარებოდა და რწმუნებულების იზოლატორში შესვლის საკითხს დამოუკიდებლად ვერ წყვეტდა. ბათუმის №1 დმი-ის უფროსმა ს.ბერიძემ ქობულეთის დმი-ში შესვლის ნება ტელეფონის საშუალებით მხოლოდ გ. ჩარკვიანს დართო, რის მიზეზადაც პირადი ნაცნობობა დაასახელა.

საკუთარი რწმუნების წარდგენის, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების განმარტებისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირების მიუხედავად, ხ. ყურშუბაძემ სახალხო დამცველის რწმუნებულს ქ. მესხიძეს დმი-ში შესვლისა და მონიტორინგის ჩატარების საშუალება არ მისცა. ხ. ყურშუბაძისა და ს. ბერიძის ქმედებით უხეშად დაირღვა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 1734 მუხლით ისჯება (სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა).

26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა შსს-ს ქობულეთის დმი-ის უფროსს ხ. ყურშუბაძეს, რომელიც გადაიგზავნა ქობულეთის რაიონულ სასამართლოში. 2006 წლის 26 ოქტომბერს ქობულეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ილია ქადაგიძემ განიხილა სახალხო დამცველის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი და მასალები, შსს ქობულეთის დმი-ის უფროსი ხ. ყურშუბაძე ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შეეფარდა ჯარიმა 15 ლარის ოდენობით (თუმცა ასეთი სამართალდარღვევისათვის მინიმუმი ზღვარი არის 30 ლარი).

რიგ რაიონებში კვლავ არსებობს ხარვეზები შს ორგანოებში დროებით დაკავებულ პირთა აღრიცხვის ნიგნებისა და საპრობილეში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალების წარმოების კუთხით. კერძოდ, არცთუ იშვიათად ნიგნში არასწორად მიეთითება ფაქტობრივი დაკავებისა და განყოფილებაში შემოყვანის ზუსტი დრო. ამის მიზეზი ზოგჯერ არის დაკავების ოქმის არასრულყოფილი ან არაზუსტი წარმოება, რა მონაცემებიც გადადის აღნიშნულ ჟურნალებში. ჟურნალებში ვხვდებით მონაცემთა

გადასწორების შემთხვევებს და უმეტესად ეს უკავშირდება დაკავებისა და განყოფილებაში შემოყვანის დროს. თავდაპირველად აღნიშნული ხარვეზების მიზეზად შესაბამისი ინსტრუქციის არარსებობა სახელდება. ინსტრუქცია რეალურად არსებობს, თუმცა ზოგ განყოფილებებში ისინი კანცელარიაში ინახებოდა და არ ხდებოდა მათი გამოყენება შესაბამისი პირების მიერ. გარდა ამისა, პოლიციის განყოფილებებში ხშირად აღნიშნავენ, რომ ჟურნალები მოწმდება ზედამხედველი პროკურორების მიერ და მათგან განსხვავებულ მითითებებს იღებენ. ფაქტი ერთია, რომ არ არსებობს ჟურნალების შევსების ერთგვაროვანი წესი, რაც სხვადასხვა სახის პრობლემებს ქმნის სხვადასხვა რაიონში. საჭიროა შემუშავებულ იქნას დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების შევსების ერთიანი ინსტრუქცია და შესაბამის პირებს მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით სრულყოფილი ინსტრუქტაჟი ჩაუტარდეთ.

2006 წლის 28 სექტემბერს ოზურგეთის შს რაიონული განყოფილების მონიტორინგის განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განყოფილებაში არ წარმოებდა შს ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნი და საპრობილეში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალი. ადგილზე მიღებული განმარტებით, მოქალაქე ბ. ფოლადაშვილის დაკავებისა და წამების ფაქტზე დაწყებულ გამოძიებასთან დაკავშირებით, 2006 წლის 18 აგვისტოს აღრიცხვის ჟურნალები განყოფილებიდან წაღებული იქნა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის წარმომადგენლების მიერ. აღნიშნულის გამო განყოფილებაში დაკავებულ პირთა დადგენილი წესით აღრიცხვა ვერ ხერხდებოდა. თითოეულ დაკავებულზე ინარმოებოდა სპეციალური ცნობა, რომელშიც მოცემული იყო აღრიცხვის ჟურნალებით გათვალისწინებული ძირითადი მონაცემები. 2007 წლის 31 იანვარს ოზურგეთის რაიონის შს განყოფილებაში ჩატარებული მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ ხსენებული ჟურნალები კვლავ არ იყო განყოფილებაში.

სახალხო დამცველის აპარატიდან შს სამინისტროს ადმინისტრაციას გაეგზავნა მიმართვა, რათა უზრუნველყოფილიყო ოზურგეთის შს განყოფილებისათვის დაკავებულ პირთა აღრიცხვის ახალი ჟურნალების გადაცემა.

2006 წლის 21 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ბათუმის შს №2 განყოფილებაში მონიტორინგის განსახორციელებლად. განყოფილების პასუხისმგებელმა მორიგემ გ. დავითაძემ სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ მისცა დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნისა და საპრობილეში გადაყვანილ პირთა ჟურნალის დათვალიერების ნება იმ მოტივით, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული არ იყო განყოფილების უფროსი. მისივე განმარტებით, მონიტორინგის თაობაზე წინასწარ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული განყოფილების უფროსთან.

სახალხო დამცველმა შს სამინისტროს ადმინისტრაციას გაუგზავნა მიმართვა იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარიყო შს-ს თანამშრომელთა ინფორმირება სახალხო დამცველის რწმუნებულების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, რათა შემდგომში მონიტორინგის ჩატარებისას მსგავს შემთხვევას აღარ ჰქონოდა ადგილი.



სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ 2006 წლის მეორე ნახევარში პოლიციის დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით 8 პოლიციის მუშაკი დაისაჯა დისციპლინური წესით:

1. გ. ქებაძის მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ვადის დარღვევის ფაქტის გამო ქ. თბილისის გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი ა.ბერძული დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან.



2. ბ. ლემონჯავას ეჭვმიტანილად დაკავებისას დარღვეული იქნა საქართველოს სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, გამომძიებელმა დაკავების ოქმში არ მიუთითა ეჭვმიტანილად დაკავების საფუძველი. ასევე, დარღვეული იქნა საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რაც გამოიხატა მასში, რომ ბეჟან ლემონჯავას ეჭვმიტანილად დაკავების შესახებ არ ეცნობა დაკავებულის ოჯახის წევრს. დაშვებული პროცესუალური დარღვევების გამო, ზუგდიდის შს სამმართველოს გამომძიებელს პ. გვილაფას გამოეცხადა საყვედური.
3. ზ. კვარაცხელიას ეჭვმიტანილად დაკავებისას დარღვეული იქნა საქართველოს სსსკ-ის 138-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა (ზ. კვარაცხელიას ეჭვმიტანილად დაკავება არ ეცნობა მისი ოჯახის წევრს), რის გამოც ზუგდიდის შს სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელ ლ. მამფორიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.
4. დაკავებულ ვაჟა ალანის არ გადაეცა დაკავების ოქმის ასლი, არ განემარტა მისი უფლებები. პროცესუალური დარღვევების გამო, ხობის შს რაიგანყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელ გ. გაბელაიას გამოეცხადა გაფრთხილება.
5. დაკავებულ დ. ონიანს არ ჩაბარდა დაკავების ოქმის ასლი, არ მიეცა განმარტება უფლებათა შესახებ. პროცესუალური დარღვევების გამო, სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორ ა. ჯანაშიას გამოეცხადა შენიშვნა.
6. ბორჯომისა და დედოფლისწყაროს შს განყოფილებებში დაკავებულთა აღრიცხვის წიგნის შემონემებისას აღმოჩნდა, რომ წიგნებში არ იყო მითითებული ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა განყოფილებიდან გადაყვანის დროები. შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემონემების დასკვნის საფუძველზე, ბორჯომის შს განყოფილების მორიგე ინსპექტორს ი. გოგოლაძეს და დედოფლისწყაროს შს განყოფილების მორიგე ინსპექტორებს: თ. ნათელაშვილს და თ. ლაპიაშვილს შს მინისტრის ბრძანებით შეეფარდათ დისციპლინური სახდევლები.

2006 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში არსებულ პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განახორციელეს სულ 85 წიგნი (პირველ საანგარიშო პერიოდში – 307 წიგნი, მეორე საანგარიშო პერიოდში 549 წიგნი), რა დროსაც მოინახულეს 1454 დაკავებული (პირველ საანგარიშო პერიოდში 321, ხოლო მეორე საანგარიშო პერიოდში 1133).

მონიტორინგის შედეგად, დაკავებულთა განმარტებით, დაფიქსირდა პროცესუალური სახის დარღვევის 701 ფაქტი (პირველ საანგარიშო პერიოდში 110, ხოლო მეორე საანგარიშო პერიოდში 591). ზოგჯერ თითოეული დაკავებულის მიმართ დარღვეულია რამდენიმე საპროცესო უფლება.

სხეულზე ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა 261 დაკავებულს (პირველ საანგარიშო პერიოდში 178-ს, ხოლო მეორე საანგარიშო პერიოდში 83-ს), მათ შორის 32 პირი (პირველ საანგარიშო პერიოდში 23, ხოლო მეორე საანგარიშო პერიოდში 9) აცხადებდა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკურ ზეწოლას, რაც დაზიანებების მქონე პირთა 12%-ია. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში შემცირდა დაზიანებების მქონე იმ დაკავებულთა რაოდენობა, ვისაც პრეტენზია ჰქონდა პოლიციის თანამშრომელთა მიმართ. შესაბამისად, სახეზეა ზომავად აღიქმული ძალის გამოყენების კლების ტენდენცია წინა პერიოდის სტატისტიკასთან შედარებით, რაც უდავოდ მისასალმებელია.

2006 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციორების მონიტორინგის დროს შედგენილ დაკავებულ პირთა უფლებადარღვევის ოქმების საფუძველზე:

1. პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაკავებულთა ფიზიკური შეურაცხყოფის 28 ფაქტზე დაინყო წინასწარი გამოძიება (21 საქმეზე 2006 წლის პირველ ნახევარში, ხოლო 7 საქმეზე – მეორე ნახევარში), მათგან: 26 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულებრივი ქმედების არ არსებობის გამო, ხოლო 2 საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.
2. პროცესუალური ხასიათის დარღვევებთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება დაინყო 2 საქმეზე (2006 წლის მეორე ნახევარში) რომლებიც შემდგომ შეწყვეტილი იქნა დანაშაულებრივი ქმედების არ არსებობის გამო.

2006 წლის განმავლობაში მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულ პროცესუალური სახის დარღვევებთან დაკავშირებით დისციპლინური წესით დაისაჯა სულ პოლიციის 31 თანამშრომელი (23 თანამშრომელი პირველ საანგარიშო პერიოდში, ხოლო 8 – მეორე საანგარიშო პერიოდში).



2006 წლის განმავლობაში პოლიციის თანამშრომელთა მიერ ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურიდან მიღებული იქნა შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

წამების ბრალდებით (სსკ-ის 144¹-ე მუხლი) სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 4 პირი.

წამების მუქარის ბრალდებით (სსკ-ის 144²-ე მუხლი) სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 4 პირი.

დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით (სსკ-ის 144³-ე მუხლი) სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 12 პირი.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით (სსკ-ის 332-ე მუხლი) სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 243 პირი, მათგან გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 146 პირის მიმართ (მოწოდებულ ინფორმაციაში არ იყო მითითებული ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით რამდენი პოლიციელი მიეცა პასუხისგებაში).

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით (სსკ-ის 333-ე მუხლი) სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 62 პირი, მათგან გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 55 პირის მიმართ (მოწოდებულ ინფორმაციაში არ იყო მითითებული ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით რამდენი პოლიციელი მიეცა პასუხისგებაში).

დროებითი მოთავსების იზოლაციორებში დაზიანებით შესახლებულ პირთა რაოდენობამ 2006 წლის მეორე ნახევარში შეადგინა 1605 (აქ იგულისხმება, როგორც დაკავების დროს მიყენებული დაზიანებები, ისე მანამდე არსებული დაზიანებებიც): თბილისი – 657 პირი; შიდა ქართლი – 242 პირი; ქვემო ქართლი – 184 პირი; იმერეთი – 154 პირი; აჭარა – 100 პირი; კახეთი – 84 პირი; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 70 პირი; სამცხე-ჯავახეთი – 50 პირი; მცხეთა-მთიანეთი – 33 პირი; გურია – 20 პირი; რაჭა-ლეჩხუმი – 11 პირი. სულ 2006 წლის განმავლობაში დაზიანებულთა რაოდენობამ შეადგინა 2962 პირი.

რაც შეეხება დაზიანებების მქონე იმ დაკავებულების რაოდენობას, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ პოლიციის თანამშრომელთა მიმართ ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით, 2006 წლის მეორე



ნახევარში შეადგინა **105 პირი**, ანუ დაზიანებების მქონე დაკავებულთა საერთო რაოდენობის (იყო **1605 პირი**) **6,5%**; 2006 წლის პირველი ნახევარში დაზიანებით იყო – **1357 პირი**, ხოლო პოლიციის მიმართ პრეტენზია ჰქონდა **86 დაკავებულს**, ანუ დაზიანებების მქონე დაკავებულების საერთო რაოდენობის **6%-ს**. აქედან გამომდინარე, წლის მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით, სტატისტიკური მონაცემი თითქმის არ შეცვლილა, თუმცა, წინა წლებთან შედარებით ეს მონაცემი მკვეთრად არის შემცირებული.

2006 წლის მეორე ნახევარში შსს-ს 714 თანამშრომელს დაეკისრა დისციპლინური სახდელი, კერძოდ: შენიშვნა – 117 პირს; საყვედური – 263 პირს; სასტიკი საყვედური – 133 პირს; თანამდებობიდან ჩამოქვეითება – 9 პირს; შს ორგანოებიდან დათხოვნა – 174 პირს; წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება – 3 პირს; თანამდებობიდან ჩამოშორება – 6 პირს; სარეკომენდაციო ბარათი – 3 პირს; სამსახურიდან გათავისუფლება – 6 პირს (მონოდებულ ინფორმაციაში არ იყო მითითებული ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით რამდენ პოლიციელს დაეკისრა დისციპლინური სახდელი).

2006 წელს სამართალდამცავებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განევის დროს გარდაცვლილ დასაკავებელ/შესაპყრობ პირთა რაოდენობამ შეადგინა 18 ადამიანი: 14 ადამიანი პირველ ნახევარში, 4 ადამიანი მეორე ნახევარში.

სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში საუბარი იყო ფინანსური პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა ხელყოფის ფაქტებზე, როგორცაა ეჭვმიტანილთა დაკავებისას გადაჭარბებული ძალის გამოყენება, საქმეზე მიმდინარე გამოძიებისას პროცესუალური ნორმების დარღვევა და სხვ. ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მიერ გაუმართლებელი ძალის გამოყენებისა და უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით (იხ. 2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება: ნ. ფოსურის საქმე; ქარელის რაიონის სოფელ დირბში ჩატარებული ოპერაცია; დ. ნასყიდაშვილის საქმე) სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურაში სათანადო მასალები გადააგზავნა წინასწარი გამოძიების დასაწყებად და შესაძლო დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

2006 წლის 18 ივლისს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს მუშაკების მიმართ ნ. ფოსურის დაკავებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). გამოძიება გრძელდება.

2006 წლის 21 თებერვალს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ტ. მუშკიაშვილისა და ნ. გულიაშვილის (სოფელ დირ-

ბში ჩატარებული ოპერაცია) სხეულის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება). გამოძიება გრძელდება.

2006 წლის 21 ივნისს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე პოლიციის მუშაკთა მიმართ დ. ნასყიდაშვილის განზრახ უკანონოდ დაკავების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2006 წლის 21 ოქტომბერს საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება დანაშაულებრივი ქმედების არ არსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის მეორე ნახევარში სახალხო დამცველის აპარატში იკლო ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ შესაძლო კანონდარღვევებზე შემოსული განცხადებების რაოდენობამ, თუმცა ცალკეულ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი:

5

ფინანსური პოლიცია



1. სახალხო დამცველს მიმართეს გორის რაიონის სოფელ ფლავისმანის მაცხოვრებლებმა, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ 2006 წლის 29 ივნისს, სოფელ ფლავისმანში მცხოვრები დ. გიუნაშვილის სახლში მივიდნენ შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლები ამავე სამმართველოს უფროსის ზ. არსოშვილის ხელმძღვანელობით. დ. გიუნაშვილი სახლში არ იმყოფებოდა, გამოკითხეს მისი მეუღლე, შემდგომ მოითხოვეს ეზოში მდგომი მანქანის საბუთები, რომლებიც თან წაიღეს. მეორე დღეს, 30 ივნისს, დილის 12 საათისათვის დ. გიუნაშვილის ეზოში შევიდა „ოპელის“ მარკის ორი ავტომანქანა სახელმწიფო ნომრებით №VOV-308 და №CAL-117. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო მოქალაქე ი.ლაბარი, რომელსაც სახლი ჰქონდა ჩაბარებული. ამ დროს სახლში იმყოფებოდა მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც პოლიციის წარმომადგენლებმა ჩაკეტეს ოთახში. ი.ლაბარმა ატეხა ხმაური, რის გამოც ეზოს კარებთან შეგროვდნენ მეზობლები, მაგრამ სპეცდანიშნულების რაზმმა მათ შესვლის საშუალება არ მისცა. განმცხადებელთა განმარტებით, მათ დაინახეს, თუ როგორ ალაგებდნენ სამართალდამცველები სიგარეტის ყუთებს ავტოფარების წინ. მოგვიანებით, აქტიური მცდელობის შედეგად, მეზობლები შევიდნენ ეზოში, თუმცა უკვე გვიან იყო, მათ ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ უკანონო ქმედებისათვის, ზემოაღნიშნულმა პირებმა მოასწრეს 10 ყუთი სიგარეტის დალაგება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისა და საკითხის შესასწავლად გაიგზავნა წერილი. მიღებული პასუხის თანახმად, 2006 წლის 2 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე, შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №8206864 საქმეზე, 29 ივნისს, გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში მცხოვრებ დ. გიუნაშვილის საცხოვრებელ სახლში ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამჟამად, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

2. საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გოლა ჩუბინიძემ. როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, 2004 წლის დეკემბერში მოქალაქე ბერიაშვილმა მოტყუებით წაიყვანა მისი კუთვნილი მიკროავტობუსი „მერსედეს-ბენცი 210“. 2005 წლის 31 იანვარს აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში, რომელსაც იძიებს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს გამომძიებელი მ.ციციაშვილი.

2006 წლის 30 აპრილს გ. ჩუბინიძემ თავად იპოვა კუთვნილი მიკროავტობუსი, რის შესახებაც შეატყობინა გამომძიებელ მ.ციციაშვილს, რომელმაც შეადგინა აქტი და მანქანა დააყენა ფინანსური პოლიციის ეზოში. განმცხადებლის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, მას ავტომანქანა არ დაუბრუნდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს: მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ პირუტყვს, ფრინველს, სხვა შინაურ ცხოველებს, სატრანსპორტო საშუალებებს, თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამომძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსს მ. გვარამიას, რათა, სსსკ-ის 123-ე მუხლის გათვალისწინებით, მესაკუთრეს დაბრუნებოდა მიკროავტობუსი. სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაზიარებული იქნა და გენერალური პროკურატურიდან ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს რ. ნიკოლაიშვილს მიეცა მითითება გ. ჩუბინიძისთვის აღნიშნული ავტომანქანის დაბრუნების შესახებ, რაც აღსრულდა.

2006 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო ჰაუპტვახტების მონიტორინგი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 და მე-19 მუხლების საფუძველზე. შემონმების ჩატარებისას საქართველოს სახალხო დამცველს (მის რწმუნებულს) უფლება აქვს, დაუბრკოლებლად შევიდეს სამხედრო ქვედანაყოფში, სადაც ამონმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. პირადად ხვდება და ესაუბრება პატიმრობაში მყოფ პირებს; ამონმებს აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი პირების მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის დროს, მათ მიმართ საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმის, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეებს ათავსებენ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებულ ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში – ჰაუპტვახტებში. გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა პირს შეიძლება შეეფარდოს მაქსიმუმ 30 დღემდე ვადით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სულ 6

(ექვსი) ჰაუპტვახტი ფუნქციონირებს – თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი (თბილისი), კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი (ვაზიანი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული პოლიციის სამმართველოს ოფისის ტერიტორიაზე განლაგებული ჰაუპტვახტი (სენაკი), აჭარის რეგიონულ სამმართველოს ჰაუპტვახტი (ბათუმი), სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი (ახალციხე) და შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი (გორი).

2006 წლის დეკემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ზემოთ ჩამოთვლილი ჰაუპტვახტების მონიტორინგი (გარდა თავდაცვის სამინისტროს სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე არსებუ-



ლი ჰაუპტვახტისა, რომლის შემონმების შესაძლებლობაც მონიტორინგის ჯგუფის წევრებს არ მიეცათ), რის შედეგადაც დაფიქსირდა ერთგვაროვანი სახის დარღვევები:

1. თბილისი-მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი: დაწესებულების შენობა მთლიანად სარემონტოა; არის ერთი საერთო და თოთხმეტი ერთადგილიანი საკანი. საერთო საკანში არ არის გათბობის სისტემა; საკანს აქვს 2 ფანჯარა, რომლის მინები ჩამსხვრეულია და არის სიცივე; კედლებზე არის ნესტი და სისველე; საკანში არ არის საპირფარეშო და სველი წერტილები; არის 10 დიდი ზომის საწოლი ფიცარნაგი; საკანი შიგნიდან არ ნათდება. განათება ხდება ერთი გარე ნათურით, რაც არასაკმარისია.

თოთხმეტი ერთადგილიანი საკანი: 14 საკნიდან ფუნქციონირებს 13 (ერთს კარი არ აქვს); შვიდ საკანში საწოლი ფიცარნაგი არის აღებული და პატიმრებს, შინაგანანესის მიხედვით, ეძლევათ საღამოს საათებში; ექვს საკანში საწოლი ფიცარნაგი არის ასანევი; საკნებში სველი წერტილები არ არის; არ არის გათბობის სისტემა.

2. კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი: არის ათი საკანი, აქედან რვა ორ ადგილიანი და ორი ოთხ ადგილიანი; საკნების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; არის გათბობის სისტემა; ჰაუპტვახტს საშხაპე არ აქვს.

3. შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი: არის 5 საკანი. საკნებში არ არსებობს გათბობის სისტემა, რის გამოც გათბობა ხდება დერეფანში დამონტაჟებული შეშის ლუმელით; საკნებს ფანჯრები არ აქვს და განათება ხდება გარედან, თითო საკანზე თითო ნათურით; საღამოს საათებში პატიმრებს ეძლევათ დასაწოლი ფიცრები, რომლებიც დღის განმავლობაში ინახება დერეფანში; როგორც ჰაუპტვახტის საკნები, ისე მთლიანად შენობა, სარემონტო მდგომარეობაშია.

4. აჭარის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი: არის სამი საერთო და ექვსი ერთკაციანი საკნები; საკნებში გათბობა არ არის, არის სიცივე; საღამოობით საკნებში შეაქვთ ფიცრები, რომლებსაც აწყობენ ბეტონის შემადგენელ ადგილზე, რაც დილით გააქვთ; ჰაუპტვახტის შენობაში არ არის საპირფარეშო და დაპატიმრებულები გაჰყავთ სამხედრო პოლიციის შენობაში; არ არის საშხაპეები, რის გამოც დაპატიმრებულები შხაპის მისაღებად მიჰყავთ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიის სამხედრო ნაწილში.

5. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ჰაუპტვახტი: არის ოთხი საკანი; საკნებში არ არის საპირფარეშო, სველი წერტილები; არ არის საშხაპე; საკნების განათება ხდება საერთო დერეფანში განლაგებული ნათურებით; საკნებს ათობენ დერეფანში დამონტაჟებული წყლის ე.წ. „ტენებით“ და შეშის ლუმელით; პატიმრებს საღამოს საათებში ეძლევათ დასაწოლი ფიცარნაგები, რომელიც დღის განმავლობაში დერეფანში ინახება; გასასეირნებელი ეზოს კუთხეში დგას ფიცრის საპირფარეშო და წყლის ონკანი; როგორც ჰაუპტვახტის ასევე სამმართველოს შენობა საჭიროებს რემონტს.

წვერი სახელმწიფოებისათვის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ციხის ევროპული წესების შესახებ 1987 წლის 12 თებერვლის №R(87)3 რეკომენდაციის 99-ე წესის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც კანონით დაშვებულია დაპატიმრება სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, ნებისმიერი არა სისხლის სამართლის პროცესზე დაყრდნობით, ასეთი პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ იმაზე მეტ შეზღუდვებსა და სიმკაცრეს, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო განთავსებისა და წესრიგის დაცვისთვის. მათდამი მოპყრობა არ უნდა იყოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობაზე უარესი; ასევე, 24-ე წესის თანახმად, ყოველ პატიმარს უნდა ჰქონდეს ცალკეული საწოლი და სათანადო თეთრეული, რომელიც კარგად უნდა ინახებოდეს, ხოლო მისი გამოცვლა უნდა ხდებოდეს ისეთი სიხშირით, რომ საწოლი ყოველთვის იყოს სუფთა.

გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტული წესების მე-19 წესის თანახმად, ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით ეროვნული და ადგილობრივი ნორმების შესაბამისად.

ის გარემოება, რომ ჰაუპტვახტის საკნებში საწოლების ნაცვლად სალამოს საათებში შეაქვთ ფიცრები, რათა პატიმრებმა დაიძინონ, მეტყველებს იმაზე, რომ ჰაუპტვახტში ადამიანის ნორმალური ყოფნისთვის შესაფერისი პირობები არ არის შექმნილი და აღნიშნულით პირდაპირ ირღვევა პატიმრებთან მოპყრობის ზოგადი პრინციპები. გამოდის, რომ ჯარისკაცს მთელი დღის განმავლობაში ფეხზე უწევს დგომა, ვინაიდან ზამთრის სიცივეში ნესტიანი ბეტონის იატაკზე დაჯდომა უბრალოდ შეუძლებელია. **ასეთი შინაგანაწესი პირდაპირ იწვევს პატიმართა გაუმართლებელ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს, განცდებს და ასეთი პირობები წარმოადგენს არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას და შეიძლება შეფასდეს როგორც წამება.**

გაეროს პატიმრობის მინიმალური სტანდარტული წესების მე-11 წესის თანახმად, დანესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები, ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუაზე, და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა. ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცუდად განათებულ ოთახში ყოფნამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მხედველობას. საჭიროა ძალისხმევა საკმარისი განათების უზრუნველსაყოფად. მხოლოდ ხელოვნური განათების პირობებში ხანგრძლივმა ყოფნამაც შეიძლება საზიანოდ იმოქმედოს, როგორც პატიმრის მხედველობაზე, ასევე მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამდენად, ყველა საკანს უნდა ჰქონდეს საკმარისი ხელოვნური განათება ბუნებრივი განათების წყაროსთან ერთად.

იმის გამო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რეგიონალური სამმართველოების ჰაუპტვახტებში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა პატიმართა ნორმალური ყოფნისთვის საჭირო პირობებს, რაც შესაძლოა განხილულიყო როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების – საშხაპეების, საპირფარეშოების, განათების და გათბობის სისტემის მოსაწესრიგებლად, ძილისათვის ნორმალური პირობებით უზრუნველსაყოფად გატარებულიყო სათანადო ღონისძიებები.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე, ასევე სახალხო დამცველის მიერ თავდაცვის მინისტრისადმი გაგზავნილი რეკომენდაციების შესახებ სახალხო დამცველის ოფისში მოეწყო პრეზენტაცია, რა დროსაც საზოგადოებას ეუწყა თავდაცვის სისტემაში არსებული ჰაუპტვახტების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა სახალხო დამცველს წერილით შეატყობინა, რომ მისი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა ჰაუპტვახტების ფუნქციონირების პროცესში. ასევე, 2006 წლის 19 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ა.სუხიტაშვილმა სახალხო დამცველს აცნობა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მომავალში მონიტორინგის განხორციელებისას თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები მზად იქნებიან, კანონის შესაბამისად აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება. აღნიშნულით, თავდაცვის სამინისტრომ გამოხატა მზადყოფნა, გამოესწორებინა არსებული პრობლემები, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა და მეტყველებს სამინისტროს სურვილზე, ითანამშრომლოს ჩვენს უწყებასთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

სახალხო დამცველის აპარატს დაგეგმილი ჰქონდა სისტემატურად განეხორციელებინა ჰაუპტვახტების მონიტორინგი, თუმცა 2007 წლის იანვარის თვეში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს აღარ მიეცათ განმეორებით ჰაუპტვახტების მონიტორინგის საშუალება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თბილისი-მცხეთა-მთიანეთის, შიდა



ქართლის, კახეთი-ქვემო ქართლის, აჭარის რეგიონული სამმართველოების ტერიტორიებზე მყოფმა სამხედრო პირებმა, პირადობის მონომოების და სახალხო დამცველის რწმუნებების წარდგენის მიუხედავად, არ მისცეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს ჰაუპტვახტში შესვლის შესაძლებლობა და მოსთხოვეს აღნიშნული ტერიტორიის დატოვება, რითიც უხეშად დაარღვიეს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნები და ეჭვის ქვეშ დადგა თავდაცვის სამინისტროს რეალური სურვილი, გამჭვირვალე გახადოს სისტემა და იქ არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საზოგადოებისთვის.

მიუხედავად თავდაცვის სამინისტროს მხრიდან მონიტორინგის განხორციელებისას შექმნილი დაბრკოლებებისა, სახალხო დამცველის მიერ არ იქნა აღნიშნული ფაქტები საჯაროდ გაცხადებული, არამედ 2007 წლის 15 იანვარს მან მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს წერილით, სადაც მიუთითა, რომ სურვილი ჰქონდა სახალხო დამცველისა და თავდაცვის სამინისტროს უწყებებს ეთანამშრომლათ და ასევე, მიმართა თხოვნით, ემსჯელათ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან კანონიერი მოთხოვნის ხელისშემშლელი პირების პასუხისმგებლობის თაობაზე. თავდაცვის სამინისტროდან გვეცნობა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებს მომავალში არ შეექმნებოდათ პრობლემები ჰაუპტვახტების მონიტორინგის განსახორციელებლად. თუმცა თებერვლის თვეში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სამხედრო პოლიციის სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონულ სამმართველოების ტერიტორიაზე ჰაუპტვახტების მონიტორინგის ჩასატარებლად, მაგრამ მათ კვლავ არ მიეცათ ამის საშუალება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაწესებულებები არის ერთადერთი ადგილი, სადაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს, ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ექმნებათ პრობლემები ჰაუპტვახტებში დაუბრკოლებლად შესვლასთან დაკავშირებით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველის ინსტიტუტი არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით მონიტორინგი განახორციელოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. ხოლო ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებს უფლება არ ეძლევათ ჰაუპტვახტების შემოწმებისა, არის აშკარა მცდელობა ხელი შეეშალოს სახალხო დამცველის აპარატს ეფექტურად განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული ფუნქციები და ასევე, აღნიშნული შესაძლოა განხილული იქნეს, როგორც თავდაცვის სამინისტროს მცდელობა, მისი სისტემა აქციოს საზოგადოებისათვის დახურულ სივრცედ, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ირღვევა გამჭვირვალეობის პრინციპი.



სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში საუბარი იყო საჯარისო ნაწილებში ჯარისკაცებს შორის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე (იხ. გ. შარიქაძის საქმე, ვ. სარიშვილის საქმე). თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება ხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით (სსკ-ის 386-ე მუხლი – ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა). **ვ. სარიშვილის** საქმესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს ეცნობა, თავდაცვის სამინისტროს №16106 სამხედრო ნაწილის რიგითს ვალერი სარიშვილს მისივე თანამოსამსახურეებმა ბ. მეფარიშვილმა, ი. რევიშვილმა, რ. სილაგაძემ, ა. მაისურაძემ, რ. ტეტელოშვილმა, უ. ვერულაშვილმა და ბ. ჭეიშვილმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო ამავე სამხედრო ნაწილის რიგითმა კუტივაძემ გამოსძალა ფული 50 ლარის ოდენობით. მითითებული პირები დანაშაულის ჩადენისთვის მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ-ის 181-ე მუხლის (გამოძალვა) პირველი ნაწილით, 120-ე მუხლითა (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) და 386-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. საქმე საბრალდებო დასკვნით წარიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოში და მასზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

რაც შეეხება გ. შარიქაძის საქმეს, მასზე გამოძიება გრძელდება.

1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს.

პირის უფლება, უარი განაცხადოს სავალდებულო სამხედრო სამსახურზე მისი რწმენისა თუ ცალკეული შეხედულებების გამო, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-18 მუხლითა და გაეროს საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მ.18).

სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება 2000 წელს ჩადებული იქნა, აგრეთვე, ევროკავშირის ქარტი-აში ფუნდამენტური უფლებების შესახებ (მუხლი 10.2), ხოლო ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 1990 წლის მეორე კონფერენციაზე სახელმწიფოები შეთანხმდნენ სამოქალაქო-ალტერნატიული შრომითი სამსახურის მნიშვნელობაზე.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციებში 1987/46, 1998/77, 2002/45 ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული და განმტკიცებული სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის უარის თქმის უფლება, როგორც აზრის, სინდი-

სისა და რელიგიის თავისუფლების განხორციელების სამართლებრივი საშუალება.

ამ უფლების შემდგომი გავრცობა და დახვეწა მოხდა მთელი რიგი საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამართლებრივი აქტებით: ჯერ კიდევ 1987 წლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციით R(87)8 წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, შესაბამისობაში მოიყვანონ ადგილობრივი კანონმდებლობა იმ პრინციპთან, როგორცაა პირის მიერ საკუთარი რწმენისა თუ შეხედულების საფუძველზე სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება. ასეთი პირობები შეიძლება დაექვემდებარონ ალტერნატიული სამსახურის გავლის ვალდებულებას. რეკომენდაცია, ასევე, ადგენს იმ მინიმალურ სტანდარტებს, როგორცაა დარეგისტრირება ნებისმიერ დროს ისეთ პირად, რომელიც უარს ამბობს სავალდებულო სამხედრო სამსახურზე, სამართლიანი სასამართ-

7 ალტერნატიული შრომითი სამსახური



ლოს უფლება, ალტერნატიულ სამსახურზე განცხადების არადისკრიმინაციული განხილვის პროცედურები და, რაც განსაკუთრებით აღნიშნულია, არასამხედრო (სამოქალაქო) ალტერნატიული სამსახურის არსებობა.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია იქცა საპარლამენტო ასამბლეის 2001 წლის მაისის რეკომენდაციის (№1518/2001) მიღების საფუძვლად, რომელშიც ნევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაბამისობაში მოიყვანოს არსებული რეკომენდაციების მოთხოვნებთან.

ზოგადი მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება სამართლებრივ დონეზე აღიარებულია უმრავლეს ევროპულ სახელმწიფოში, უმეტეს შემთხვევებში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა არ შეესაბამება R(87)8 და 1518/2001 რეკომენდაციებით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

2005 წლისთვის ევროპული ქვეყნების უმრავლესობა (29-დან 26) აღიარებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის უარის თქმის უფლებას. 3 ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ბელორუსი და თურქეთი) არანაირი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს ალტერნატიულ შრომით სამსახურზე, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანისა და ბელორუსიის კონსტიტუციებში 1990 წლიდან ჩადებულია მუხლები სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების შესახებ.

საქართველოში ამ უფლების აღიარება 1997 წელს მოხდა, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“, მაგრამ პრაქტიკაში ამის განხორციელება სათანადოდ არ ხდება. შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტი, რომელიც სამწლიანი მუშაობის შემდეგ გაუქმდა და მინისტრის 2007 წლის 22 იანვრის ბრძანებით მისი ფუნქციები გადაეცა იმავე სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს. არსებობის განმავლობაში დეპარტამენტმა სულ ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაიწვია 368 წვევამდელი, ხოლო 2006 წელს ალტერნატიულ შრომით სამსახურში დასაქმებულია 209 წვევამდელი.

2006 წელს განვეულთა ეროვნული მონაცემები ასეთია:

ქართველი	176
სომეხი	14
აზერბაიჯანელი	11
ასირიელი	4
რუსი	4

რელიგიური ნიშნით ალტერნატიული სამსახურის წვევამდელთა მონაცემების მიხედვით კი, მართლმადიდებელი რელიგიური მრწამსის მქონე არის განვეულთა საერთო რაოდენობის 62%, ხოლო სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა რაოდენობა 38%-ს შეადგენს.

დასაქმებულთაგან საჯარისო ნაწილის სამოქალაქო განყოფილებებში მხოლოდ 8 ადამიანი დასაქმებული, დანარჩენი მოსამსახურეები კი, როგორც ამ სამსახურის მუშაობის 3 წლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩართულნი არიან ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა-რეკონსტრუქციის საქმეში, ნაკრძალებსა და ტყე-პარკებში, უმწეო-ინვალიდებთან, საავადმყოფოებში, უმწეოთა და მოხუცებულთა თავშესაფრებში, კომუნალური მომსახურების პუნქტებსა და სხვ.

ყოფილი დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელება ამჟამად დაევალა ერთ პირს – ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს. არანაირი სხვა შტატი, არც რაიმე ფინანსები მას არა აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ რეგიონულ წარმომადგენლობებზე.

დეპარტამენტის საქმიანობაში ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ფინანსური პრობლემებიც. დეპარტამენტის ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არაა გათვალისწინებული არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის ფუნქციების განხორციელებისათვის.

დღეისათვის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან შესულია 8 განცხადება. აქედან 3 განმცხადებელი ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმის“ წევრია, ხოლო 5 წვევამდელის შესახებ შუამდომლობა წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა ეპარქიებსა და მღვდელმსახურებს.



ევროპის საბჭო თავისი რეკომენდაციით 1518(2001) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, შიდა კანონმდებლობაში ჩადონ ნორმა, რომელიც საშუალებას მისცემს, **ნებისმიერ დროს დარეგისტრირდნენ** ის პირები, რომლებიც უარს აცხადებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე თავიანთი მრწამსის გამო. იგივე მოთხოვნაზე საუბარი გაეროს 1998/77 რეზოლუციაში. საქართველოში, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად, დადგენილია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სამხედრო ძალებში განწვევის გამოცხადებიდან **10 დღის** განმავლობაში (მუხლი 7).

მიგვაჩნია, რომ წვევამდელებს რეალურად უნდა ჰქონდეთ არჩევანის გაკეთების საშუალება – იმსახურონ ჯარში თუ ალტერნატიულ შრომით სამსახურში. ამისათვის კი საჭიროა, რომ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის საქმეთა განყოფილება გახდეს ქმედითი, სტრუქტურულად მტკიცე და სათანადოდ დაფინანსებული.

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის შიდა-რეგულირების დოკუმენტით უნდა ჩამოყალიბდეს ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის საქმეებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვეტერანთა დეპარტამენტის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ, 2007 წლის 13 თებერვალს დეპარტამენტიდან წერილობითი შეტყობინებები დაიგზავნა თბილისის რაიონული გამგეობების სამხედრო განყოფილებებში, რითაც ეცნობათ სტრუქტურული ცვლილებების შესახებ. ბიუჯეტის არარსებობისა და სხვა ტექნიკური პრობლემების გამო, თბილისის გარდა ვერ ხერხდება ამ ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ამჟამად ალტერნატიული შრომითი სამსახურის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები და სამუშაო ადგილების დეფიციტი.

რეკომენდაცია

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს:

- ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის დებულებით უნდა შეიქმნას არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის საქმეთა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაკომპლექტდება რამდენიმე სპეციალისტით.



- დეპარტამენტის ბიუჯეტში უნდა განისაზღვროს დამატებითი ხარჯები, რათა აღნიშნულმა სტრუქტურულმა ერთეულმა სათანადოდ განახორციელოს მის კომპეტენციაში შემავალი საქმიანობა არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც.
- პოტენციურ და არსებულ დამსაქმებლებს უნდა ეცნობოთ მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფარგლებში. ამასთან, უნდა შეიქმნას მონაცემთა ელექტრონული ბაზა როგორც ალტერნატიულ მოსამსახურეთა შესახებ, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებზეც.
- უნდა განხორციელდეს საინფორმაციო კამპანიის წარმოება საზოგადოების ყველა დონეზე, რათა მოხდეს წვევამდებებისა და მათი მშობლების ინფორმირება მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების შესახებ არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურზე.
- სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს საზოგადოებაში ტოლერანტობის დონის ამაღლების მიზნით, რათა ალტერნატიული მოსამსახურეები საზოგადოებაში არ აღიქმებოდნენ როგორც სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის თავის ამრიდებლებად, არამედ დაცული იყოს მათი კანონით მინიჭებული უფლება, გაიარონ ალტერნატიული შრომითი სამსახური.

გურამ ტყემალაძის საქმე

გურამ ტყემალაძე ექვემდებარებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევას. იგი არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და საკუთარი რწმენისა და სინდისის საფუძველზე უარს აცხადებდა სამხედრო სამსახურზე. მან კანონით დადგენილ ფარგლებში მოითხოვა სამხედრო ვალდებულების მოხდა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმით. ამის შესახებ გ.ტყემალაძემ დადგენილი წესით მიმართა ადიგენის რაიონის სამხედრო განყოფილებას, საიდანაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღო უარი. ასევე, ადგილი ჰქონდა ტყემალაძის მიმართ მუქარას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მუხლით.

გ. ტყემალაძემ განცხადებით მიმართა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტს, რომელმაც განიხილა მისი მოთხოვნა და შუამდგომლობა აღძრა ადიგენის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსის სახელზე. აღნიშნული შუამდგომლობის მიუხედავად, ტყემალაძემ ისევ უარი მიიღო აღნიშნული უწყებიდან, რის შემდეგაც მან დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს ადიგენის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსს, თეიმურაზ თუმანიშვილს. თუმანიშვილის ინფორმაციით, წვევამდელი გ. ტყემალაძე გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებით ვარგისია სამხედრო სამსახურისთვის და იგი განწვეული იქნა საქართველოს სამხედრო ძალებში 2006 წლის 11 აგვისტოს, რაზეც ტყემალაძე პირადად იყო გაფრთხილებული სამხედრო განყოფილებაში დათქმულ რიცხვში გამოცხადების ვალდებულების შესახებ. გ. ტყემალაძე არ გამოცხადდა სამხედრო ნაწილში იმ მიზეზით, რომ იგი მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციით იყო ავად.

2006 წლის 31 აგვისტოს გ.ტყემალაძე გამოცხადდა სამხედრო განყოფილებაში და წარმომადგინა პირადი განცხადება და ალტერნატიული შრომითი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გაცემული მიმართვა №402 წვევამდელის არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურში განწვევის შესახებ.

აღნიშნული საქმის შესახებ ეცნობა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში განწვევის განყოფილების უფროსს, ჯ. ცომაიას, რომლის მითითების საფუძველზე გურამ ტყემალაძის პირადი საქმე გადაეცა სამხედრო პოლიციის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ სამმართველოს. აღნიშნული უწყებიდან საქმე რეაგირების გარეშე დაუბრუნდა ადიგენის რაიონის სამხედრო განყოფილებას, რადგან მისი შესწავლა სცილდებოდა სამხედრო პოლიციის კომპეტენციას.

ადიგენის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილებიდან 2006 წლის 8 სექტემბერს მიღებული პასუხით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ წვევამდელი გურამ ტყემალაძე განვეულია არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში და მისი საქმე გადაეგზავნა აღნიშნულ საქმეთა დეპარტამენტს.

მიგვაჩნია, რომ იმ პირთა განცხადებები, რომლებიც დაასაბუთებენ თავიანთ უარს სავალდებულო სამსახურში მონაწილეობაზე და საკუთარი აზრის, სინდისისა და რწმენის საფუძველზე მოითხოვენ ალტერნატიულ შრომით სამსახურში დასაქმებას, გართულებული პროცედურების გარეშე უნდა გადაეცეს ალტერნატიულ საქმეთა განყოფილებას, რომელიც დღეისათვის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის სტრუქტურულ დაქვემდებარებაშია.

ერეკლე მალრაძის საქმე

2007 წლის 24 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს წერილით მომართა ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსმა დავით დავლაშელიძემ, რომელიც ითხოვდა ერეკლე ამირანის ძე მალრაძის საკითხის გარკვევას. ე. მალრაძის განცხადებით, იგი არის რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების მიმდევარი, სადაც მსახურობს უზუცესად (ეპისკოპოსად) და ითხოვს ისარგებლოს სამხედრო სამსახურში განვევისაგან გადავადებით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად (არის მღვდელთმსახური).

სახალხო დამცველის პასუხში აღინიშნა, რომ ეს ნორმა უნდა განიმარტოს პირთა საკმაოდ ფართო წრის მიმართ. ამის საფუძველს იძლევა თვით ნორმის ფორმულირება, როდესაც ის მიუთითებს ზოგადად მღვდელთმსახურობაზე, ან სასულიერო სასწავლებელში სწავლებაზე. კანონმდებელი ამ შემთხვევაში არ აღნიშნავს რაიმე დამაზუსტებელ გარემოებას, არ ახსენებს არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას, შესაბამისად, არ ავინროებს ნორმის შინაარსს და ზოგადობის პრინციპით საუბრობს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი აღმსარებლობის პირს ეძლევა საშუალება, რათა მას გადაუვადდეს სამხედრო სამსახური, თუ ის მღვდელთმსახურია, ან სწავლობს სასულიერო სემინარიაში.

აღნიშნული ინტერპრეტაცია თავსდება ადამიანის უფლებათა კონსტიტუციურ სტანდარტებშიც. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი საუბრობს ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობაზე, განურჩევლად „...რელიგიისა.“ ეს არის ზოგადი დებულება დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, რომელიც იცავს ყველა ადამიანს, რათა იდენტური გარემოებების არსებობისას მას არ მოექცნენ განსხვავებულად. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად: „ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება...“. რელიგიის თავისუფლების აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ნებისმიერი სახით დასკრიმინაციული მოპყრობა მრწამსის საფუძველზე, ვინაიდან ის შექმნიდა მეტად არათავისუფალ გარემოს აღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის.

წერილში მითითებული იყო, რომ აღნიშნულ მოსაზრებას არ აქვს სავალდებულო ძალა და წარმოადგენს სახალხო დამცველის პოზიციას.

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილებაში ე.მალრაძეს მოსთხოვეს ოფიციალური წერილი (ტიტულოვან ფურცელზე ბეჭდით დამოწმებული), რომელიც დაადასტურებს რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეების“ წევრობასა, ასევე, მის სასულიერო წოდებას. ე. მალრაძის საქმის მასალები განსახილველად გამწვევ კომისიას გადაეგზავნა და ამჟამად განხილვის პროცესშია.



8

ალტერნატიული შრომითი სამსახური რეზერვში

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის უფლებასთან მჭიდრო კავშირშია საკითხი სარეზერვო სამსახურის შესახებ. საქართველოს კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2006 წლის 27 დეკემბერს.

„სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონის მიღების მიზანს წარმოადგენდა „ქვეყანაში კვალიფიციური შეიარაღებული ძალების რეზერვის ჩამოყალიბება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით“. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება მობილიზაციის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მხარდასაჭერად“, ხოლო მე-4 მუხლის 1

პუნქტის მიხედვით, პირი განვეული იქნება სამხედრო სარეზერვო სამსახურში საბრძოლო მომზადების მიზნით.

პარლამენტის მიერ მიღებული „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლით განისაზღვრა იმ პირთა სია, რომლებიც თავისუფლდებიან სარეზერვო სამსახურისაგან. კანონის მე-8 მუხლი, „თ“ პუნქტი ადგენს, რომ ამ სიაში ჩაითვლებიან „პირები, რომლებმაც მოიხადეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური“.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ალტერნატიული შრომითი სამსახურის საქმეთა დეპარტამენტი 2006 წლის 31 დეკემბრიდან ლიკვიდირებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. არასამხედრო სამსახურის საქმეთა განხილვა დაექვემდებარა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს, სადაც მხოლოდ ერთი საშტატო ერთეული იქნა (დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე) გათვალისწინებული.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი დეპარტამენტის მონაცემებით, 3 წლის განმავლობაში სულ 368 წვევამდელი იქნა განვეული არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში. ეს ციფრი კი გაცილებით მცირეა რეზერვში გასანვევთა საერთო რაოდენობასთან შედარებით.

პირის უფლება, უარი განაცხადოს საბრძოლო მომზადებაში მონაწილეობაზე მისი სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის

ნის თავისუფლების მოტივით, აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სამხედრო ძალების რეზერვში გასაწვევ პირებზე უნდა გავრცელდეს იგივე დებულება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ „სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის **(იმ პირთა წრის შესახებ, ვინც თავისუფლდება სარეზერვო სამსახურიდან)** „თ“ პუნქტის ფორმულირება უნდა მოხდეს შემდეგი შინაარსით: „მოქალაქე, რომელიც სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების მოტივაციით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე“.

9

ადამიანის უფლებები სასჯელაღსრულების სისტემაში

2006 წლის პირველ ნახევარში საპარლამენტო ანგარიშში ძალიან დეტალურად იყო ასახული სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ოფისი რეგულარულად ახორციელებდა მონიტორინგს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. 2006 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სულ განხორციელდა 216 ვიზიტი და ოქმი შედგა 503 პატიმრის მონახულების თაობაზე:

ივნისი	53	პატიმარი
ივლისი	44	პატიმარი
აგვისტო	153	პატიმარი
სექტემბერი	26	პატიმარი
ოქტომბერი	67	პატიმარი
ნოემბერი	73	პატიმარი
დეკემბერი	87	პატიმარი

აღნიშნულ რაოდენობას ემატება იმ პატიმართა რიცხვი (დაახ-

ლოებით 400), რომლებზეც ოქმი არ შემდგარა, მაგრამ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემათა უმრავლესობა კვლავ უცვლელი რჩებოდა 2006 წლის მეორე ნახევარშიც, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ. ხაზს გავუსვამთ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლში 2006 წლის 28 აპრილს შესული ცვლილებით, განისაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის განმასხორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიების სტატუსი. 2006 წლის პირველ ნახევარში კომისიები მუშაობდნენ მხოლოდ სამ, ქ. ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ქ. ზუგდიდის №4 საპყრობილესა და ქ. ბათუმის №3 საპყრობილეში. დადებითად ვაფასებთ, რომ 2006 წლის მეორე ნახევარში კომისიები დაკომპლექტდა ქ. რუსთავის №1 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში, გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ქსნის №7 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში, ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, თბილისის №5 საპყრობილეში, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებასა და რუსთავის №6 საპყრობილეში.

ამასთან, კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას,

რომ მიეცეთ საზოგადოებრივ კომისიებს საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეცეთ ფოტო გადაღებისა და აუდიო ჩანაწერის უფლება.

პატიმრების პაემნების უფლება და ვიდეოთვალი შეხვედრის ოთახებში

დღეს მოქმედი კანონმდებლობით კვლავ შემცირებულია მოკლევადიანი პაემნის დრო და გაუქმებულია ხანგრძლივი პაემნები. თუმცა მისასალმებელია, რომ აღნიშნულს ითვალისწინებს სასჯელ-აღსრულების კოდექსის პროექტი.

2006 წლის 16 ივნისის სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა ქუთაისის №2 და თბილისის №7 საპყრობილეში პატიმრებისა და ადვოკატების შეხვედრის ოთახებში დაყენებული ვიდეოკამერების დემონტაჟი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ „დამცველს უფლება აქვს შეხვედეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე“.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს დღემდე არ გაუზიარებია. ვიდეოთვალი ქუთაისის №2 და თბილისის №7 საპყრობილის გარდა, რუსთავის №6 საპყრობილეშიც დაამონტაჟეს. ვიდეოთვალი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადვოკატის დამცველთან კონფიდენციალურად შეხვედრის უფლებას.

რეკომენდაცია: მოიხსნას საპყრობილეებში ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის ოთახებში დაყენებული სათვალთვალოები.

ვიდეოთვალი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ პალატაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულნი არიან პაციენტები ე.წ. „კანონიერი ქურდები“ ჯ.შ. და მ.ზ. დაწესებულების დირექტორისგან, ა.მუხაძისგან, გვეცნობა, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ე.წ. „კანონიერი ქურდების“ საცხოვრებელ პალატაში დამონტაჟებულია ვიზუალური კონტროლის საშუალება.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ „დადგენილი წესით სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან სხვა სახის ტექნიკური კონტროლის საშუალებები დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით. სასჯელაღსრულების დაწესებულება ვალდებულია გააფრთხილოს მსჯავრდებულები დაცვისა და კონტროლის ამ საშუალებების გამოყენების თაობაზე.“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ ჯ.შ. აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს შემდეგი დიაგნოზით: ჰიპერტონიული დაავადება II სტადია; არასტაბილური სტენოკარდია II; გულის იშემიური დაავადება; პოსტინფარქტური კარდიოსკლეროზი. მ.ზ. არის ინვალიდი, დაზიანებული აქვს ზურგის ტვინი, წელს ქვემოთ მგრძნობელობა აქვს დაკარგული. არც ერთ მათგანს, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება, ისინი ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ მათსავე საცხოვრებელ პალატაში, რაც წარმოადგენს თვალთვალის ობიექტს.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტი ანიჭებს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას სრულ თავისუფლებას, გამოიყენოს აუდიო, ვიზუალური, ელექტრონული ან სხვა ტექნიკური



საშუალებები მისი გამოყენების ადგილის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია აუდიო-ვიზუალური კონტროლის ტექნიკური საშუალება განთავსდეს როგორც საკანში, კარცერში, ასევე სამკურნალო დაწესებულების პალატასა და საპირფარეოში.

პატიმრის უფლებას, დაცული იყოს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მათ პირად ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევისაგან, ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში მელოუნი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას, კერძოდ:

სასამართლომ, პირველ რიგში, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის შიდა სამართალში უნდა არსებობდეს ხელისუფლების ორგანოების თვითნებური ჩარევისაგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმი (67-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი). კანონი, რომელიც ანიჭებს სახელმწიფოს გარკვეულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, უნდა მოიცავდეს ამ დისკრეციის ფარგლებს (სიღვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). კანონის უზენაესობის პრინციპის საწინააღმდეგოდ იქნება მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დისკრეციული უფლებამოსილებამოსილება ხორციელდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამის გამო, კანონში დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები და მისი განხორციელების წესი. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ინგლისის და უელსის კანონმდებლობა არ უთითებს საკმარისი სიცხადით იმ ფარგლებსა და ხერხებზე, რომლებითაც ხელისუფლების ორგანოების აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება, საიდუმლოდ მოუსმინონ სატელეფონო საუბრებს. აქედან გამომდინარე, არ არსებობს პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან სამართლებრივი დაცვის მინიმალური საშუალება, რომლითაც სარგებლობენ მოქალაქეები კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე.“ თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ თვალთვალის მარეგულირებელი კანონი უნდა იყოს ნათელი, იმისათვის რომ პირს შეუქმნას წარმოდგენა იმ გარემოებების და პირობების შესახებ, რომლითაც საჯარო ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს უფლების შეზღუდვის კონკრეტული ღონისძიება (ხანი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ 26-ე პუნქტი). სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ იმ კანონებისა და პრაქტიკის არსებობა, რომლებიც ნებას რთავს და აფუძნებს კომუნიკაციების თვალთვალის განხორციელების სისტემას, წარმოადგენს მე-8 მუხლის ჭრილში ადამიანის უფლების დარღვევას.

„აუდიო და ვიდეო თვალთვალი და მიყურადება, პირადი ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეზღუდვაა და ამიტომ უნდა ემყარებოდეს „კანონს“, რომელიც განსაკუთრებით ზუსტია. მნიშვნელოვანია ზუსტი, დეტალური წესების არსებობა ამ საკითხთან დაკავშირებით (კრუსინი-საფრანგეთის წინააღმდეგ).

მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განხორციელების შეზღუდვის აუცილებლობა უნდა აღიქმებოდეს თავისუფლების აღკვეთის ჩვეულებრივი და გონივრული მოთხოვნების გათვალისწინებით (**გოლდერი-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**). პატიმრის პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, როცა არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ შეზღუდვის ღონისძიების გამოყენებლობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სასჯელსრულების დაწესებულების ან სხვათა უსაფრთხოებას, ან სხვაგვარად დანაშაულებრივი ხასიათისაა (**კემპბელი და სხვები-გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**). დასაბუთებულ ეჭვად მიიჩნევა ისეთი გარემოება, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს, რომ პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობა ბოროტად არ იქნება გამოყენებული. იგივე წესები გამოიყენება წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ (**შონენბერგერი და დურმაზი-შვეიცარიის წინააღმდეგ**).

პატიმრობის პირობები ზოგჯერ შეიძლება წარმოადგენდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ დაუდგენია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. „პატიმრობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტთან და მისგან გამომდინარე სასჯელსრულების პრაქტიკასთან ყველაზე შესაბამისია სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ (**Peers vs Greece**).

1994 წლის 14 აგვისტოს განმცხადებელი ჰერონის გადატანისათვის დააპატიმრეს. 1998 წლამდე იგი იმყოფებოდა საბერძნეთის სხვადასხვა ციხეში მიმღებ-გამანაწილებელი ერთეულის ჩათვლით. ამ დროის განმავლობაში ბ-ნ პირს უხდებოდა სხვა ადამიანების თანდასწრებით აზიური ტიპის საპირფარეოთი სარგებლობა. განსაკუთრებით მძიმე იყო მისთვის დელტის მიმღებ-გამანაწილებელ ერთეულში გატარებული ორთვიანი პატიმრობა, სადაც საპირფარეო საერთოდ არ იყო იზოლირებული საკნისაგან, მათ შორის არ არსებობდა არანაირი ტიხარი და პატიმარს თავისი თანამესაკნის, პეტროს დიმიტროსის თანდასწრებით უხდებოდა საპირფარეოთი სარგებლობა (პირსი-საბერძნეთის წინააღმდეგ პუნქტი 21). წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტმა, რომლის ანგარიში მტკიცებულებად მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, უარყოფითად შეაფასა ბერძნულ ციხეებში არსებული მდგომარეობა და თავისი მოხსენების 109-ე პუნქტით რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოს, უზრუნველყო პატიმრები საპირფარეოს სარგებლობის შესაძლებლობით.

სასამართლო დაეყრდნო პრეცედენტულ სამართალში დამკვიდრებულ პრინციპს, რომ ქმედების მოხვედრისათვის მე-3 მუხლის დაცვის სფეროში საჭიროა, მან მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს. ასეთი დონის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოპყრობის ხანგრძლივობა, ფიზიკური და მენტალური შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის **სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (67-ე პუნქტი).**

სასამართლომ იმსჯელა თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობებზე და მიიჩნია აღნიშნული არასათანადო მოპყრობად. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მოპყრობის ხასიათს, არამედ იმ გარემოებასაც, რომ ამგვარი მოპყრობა მიზნად ისახავს დაზარალებულის დამცირებას და ღირსების შელახვას. თუკი მოპყრობა თავისი ხასიათით არის არასათანადო, თუმცა მისი მიზანი არ არის მოპყრობის ობიექტის ღირსების შელახვა, ადგილი არა აქვს მესამე მუხლის დარღვევას.

ღირსების დაკნინების მიზნის განსაზღვრისას, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განმცხადებლის პატიმრობის განმავლობაში სახელმწიფომ არ გადადგა არც ერთი პოზიტიური ნაბიჯი მძიმე ვითარების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული უმოქმედობა პატიმრის უპატივცემულობით იყო განპირობებული.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ანიჭებს სასჯელალსრულების დანესებულებას დისკრეციულ უფლებამოსილებას დაამონტაჟოს აუდიო, ვიზუალური დაკვირვების მოწყობილობა მათ შორის მსჯავრდებულების და პატიმრების მოთავსების ისეთ ადგილებში, სადაც მათი ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და სხვა ინტიმურ მომენტებს აქვს ადგილი. ხსენებული ნორმა არ შეიცავს რაიმე დათქმას მისი გამოყენების ფარგლებისა და წესის შესახებ. ერთადერთი პირობა არის ის, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი გაფრთხილებული უნდა იყოს თვალთვალის სისტემის გამოყენების თაობაზე. თუმცა, აღნიშნული გარემოება ხელს არ უშლის იმას, რომ დაკვირვება და თვალთვალი განხორციელდეს იმ პირების მიმართ, რომელიც არ უქნიან საფრთხეს სასჯელალსრულების დანესებულებაში არსებულ მართლწესრიგსა და სხვა პირებს. კერძოდ, საუბარია პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში მოთავსებულ პირებზე, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო ხშირად არ შეუძლიათ რაიმე სახის საფრთხის წარმოშობას შეუწყონ ხელი, დაკვირვება კი ხორციელდება განურჩევლად ყველას მიმართ. ერთადერთი კრიტერიუმი არის ის, რომ თვალთვალის ობიექტს წარმოადგენენ ე.წ. „კანონიერი ქურდები.“ ამასთან ერთად, პირად ცხოვრებაში ჩარევის მეთოდი არის საკმაოდ მძიმე, კერძოდ, ვიზუალური დაკვირვება პატიმრის და მსჯავრდებულის ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების დროს.

აღნიშნული მახინჯი პრაქტიკის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც არ ზღუდავს დაკვირვების სისტემის



გამოყენებას გამოყენების ადგილისა და გარემოების მიხედვით. ამ ფორმით განხორციელებული თვალთვალი წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რადგანაც იგი ხორციელდება პატიმრის ცხოვრების მეტად ინტიმურ მომენტებზე. ამგვარი მოპყრობა მიზნად ისახავს თავისუფლებააღკვეთილი პირის დაკნინებას, რადგან გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას პატიმრების მიმართ, იმის დასაბუთების გარეშე, რომ მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ სასჯელსრულების დანესებულების მართლწესრიგს და სხვა პირთა უსაფრთხოებას. კანონის აღნიშნული ნორმა მოკლებულია იმის არგუმენტირებას, რომ ამგვარი ჩარევა აუცილებელია მწვავე სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საეჭვოა, რომ მძიმედ დაავადებულ პირი, რომელიც მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ხშირად ექვემდებარება სხვადასხვა სახის შემონმებას, სასჯელსრულების დანესებულების სპეციალური დანაყოფების მუდმივ კონტროლს, ისეთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს საპირფარეშოთი სარგებლობის დროს, რომ საჭირო გახდეს მისი ვიზუალური თვალთვალი.

პატიმართა კვება

სასჯელსრულების დეპარტამენტი კვების პრობლემის მოხსნას მალაზიების გახსნითაც ცდილობს.

მალაზიები გახსნილია რუსთავის №6, რუსთავის №2 სასჯელსრულების დანესებულებებსა და თბილისის №7 საპყრობილეში. პატიმრებს გახსნილი აქვთ პირადი ანგარიში ბანკში და პირადად შეიძენენ სასურველ საკვებსა და ნივთებს.

პატიმართა ჰიგიენა, ტანსაცმელი და თეთრეული

კვლავ რთული მდგომარეობაა პირადი ჰიგიენის თვალსაზრისით სასჯელსრულების უმეტეს დანესებულებაში. უმრავლეს შემთხვევაში პატიმრები პირადი ჰიგიენის მოხმარების საგნებით უზრუნველყოფილნი არიან საკუთარი ოჯახებიდან. ის პატიმრები, რომელთაც ოჯახი ვერ აწვდის პირადი ჰიგიენის საგნებს, მოკლებულნი არიან ასეთ შესაძლებლობას.

უმეტეს დანესებულებაში თეთრეულის პრობლემაა. პატიმრების განმარტებით, მათ თვეობით არ უცვლიან თეთრეულს.

სასჯელსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 დანესებულებაში ადამიანის უფლებათა კომისიის, თომას ჰამმარბერგის ვიზიტის დროს პატიმრებს ზენრები საერთოდ არ ჰქონდათ.

დასაქმება და განათლება

პატიმართა დასაქმებისა და განათლების საკითხი სასჯელსრულების დეპარტამენტისთვის კვლავ არაა პრიორიტეტული საკითხი. პატიმრები ვერ სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული შრომისა და განათლების უფლებით.

იმის გარდა, რომ ზემოაღნიშნული წარმოადგენს პატიმართა რეაბილიტაციისათვის საჭირო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ემსახურება პატიმართა მიერ დროის სასარგებლო ხარჯვასა და შემდგომში საზოგადოებაში მათ მარტივად ადაპტაციას, ასევე, პატიმრებს, რომლებსაც ოჯახი ვერ ჩაურიცხავს თანხას პირად ანგარიშზე, მიეცემათ საშუალება სწორედ გამომუშავებული თანხით შეძლონ მალაზიებით.

დადებითად ვაფასებთ, რომ სასჯელსრულების ზოგიერთ დანესებულებაში ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამები. კერძოდ, ქუთაისის ?2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში

(„D“ კორპუსი) მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში პატიმრებს ასწავლიან პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობას. პროგრამას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ტექნოლოგიების ცენტრის ქუთაისის ?2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მონიტორინგის კომისია.

საპატიმროთა გადატვირთულობა

მიუხედავად ახალი ციხეების გახსნისა, მდგომარეობა საკნების გადატვირთულობის მხრივ კვლავ საგანგაშოა. პატიმართა გადატვირთულობა საკნებში ზაფხულის პერიოდში იწვევდა უყანგბადობასა და სუნთქვის საშუალება არ იყო, რაც პატიმართა სიკვდილის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდა.

2006 წლის 1 ივლისისა და 16 ოქტომბრის მდგომარეობა ასეთი იყო:

- ქ. რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება – გათვალისწინებულია 950 პატიმარზე და **1 ივლისის** მოთავსებული იყო 1528, **16 ოქტომბერს – 1885;**
- ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება: არასრულწლოვანთა საპატიმრო განყოფილება – გათვალისწინებულია 108 პატიმარზე, **1 ივლისის** იმყოფებოდა 124; ქალთა საპყრობილე – გათვალისწინებულია 118 პატიმარზე, **1 ივლისის** იმყოფებოდა 167 პატიმარი, **16 ოქტომბერს – 170 პატიმარი;** ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულება – გათვალისწინებულია 220 მსჯავრდებულზე, **1 ივლისის** იმყოფებოდა **269 მსჯავრდებული, 16 ოქტომბერს – 357 მსჯავრდებული;**
- ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულება გათვლილია 1010 პატიმარზე. **16 ოქტომბრის** მდგომარეობით იქ იმყოფებოდა **1298 პატიმარი.**
- გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება გათვლილია 900 პატიმარზე. **1 ივლისის** მდგომარეობით იქ იმყოფებოდა **968 პატიმარი,** ხოლო **16 ოქტომბრის** მდგომარეობით – **1283;**
- ქ. თბილისის №1 საპყრობილე გათვლილია 600 პატიმარზე. **1 ივლისის** მდგომარეობით იქ იმყოფებოდა **841 პატიმარი, 16 ოქტომბრის** მდგომარეობით – **993 პატიმარი;**
- ბათუმის №3 საპყრობილე გათვლილია 250 პატიმარზე. **1 ივლისის** მდგომარეობით იქ იმყოფებოდა **563,** ხოლო **16 ოქტომბრის** მდგომარეობით **591 პატიმარი;**
- ზუგდიდის №4 საპყრობილე გათვლილია 305 პატიმარზე. **1 ივლისის** მდგომარეობით იქ იმყოფებოდა **382 პატიმარი, 16 ოქტომბრის** მდგომარეობით – **348;**
- თბილისის №5 საპყრობილე გათვლილია 2020 პატიმარზე. **1 ივლისის** მდგომარეობით იქ იმყოფებოდა **3774 პატიმარი, 16 ოქტომბერს კი – 3971.**

ის, რომ თბილისის №5 საპყრობილის ყველაზე გადატვირთულ საკნებში 1 სანოლზე საშუალოდ 4 პატიმარი მოდის სრულიად შეესაბამება ევროპის კონვენციის მესამე მუხლს (წამების აკრძალვა) და სამართლიანად შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც წამება და არაადამიანური მოპყრობა.

პატიმრების ცემა-წამება და ღირსების შეზღავანა მოპყრობა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პატიმართა ცემის, წამების, არაადამიანური და ღირსების შეზღავანა მოპყრობისა და ფიზიკური ძალის არაადეკვატური გამოყენების ფაქტებზე.

შიშველი პატიმრები №6 დაწესებულების კარცერში

განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ №6 საპყრობილეში მომხდარი შემთხვევა, როცა კარცერში დასჯის მიზნით შიშველი პატიმრები ჰყავდათ მოთავსებული. მდგომარეობა აშკარად შეესაბამებოდა წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.



2006 წლის 13 და 15 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სასჯელსრულების დეპარტამენტის ქ. რუსთავის №6 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელსრულების დაწესებულებაში, სადაც განახორციელეს კარცერების მონიტორინგი. მათ მოინახულეს მსჯავრდებულები: გენადი წურნუშია, იმედა ბუთხუზი და ბადრი ქეცბაია, რომლებიც საკანში იმყოფებოდნენ საცვლების ამარა. პატიმრების ტანსაცმელი დერეფანში, კარცერის მორიგის მაგიდის გვერდით, იატაკზე ეყარა.

გ. წურნუშიას განმარტებით, იგი 16 დღე იყო კარცერში საცვლების ამარა, რადგან ტანსაცმელი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს; მოთხოვნის მიუხედავად, მას არ მისცეს ჰიგიენური საშუალებები (პირსახოცი, საპონი, კბილის პასტა, კბილის ჯავრისი), სანერი კალამი და ფურცლები. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა შეამოწმეს კარცერში მოთავსებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა აღრიცხვის ყურნალი, რომელშიც გ. წურნუშია რეგისტრირებული არ იყო. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვერ წარმოადგინეს ბრძანება გ. წურნუშიას დისციპლინური წესით დასჯის შესახებ.

იმედა ბუთხუზის განმარტებით, იგი 14 სექტემბრიდან იყო კარცერში. მას ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ტანსაცმელი. მასაც არ მისცეს სანერი კალამი და ფურცლები.

ბადრი ქეცბაიას განმარტებით, იგი კარცერში იმყოფებოდა 11 სექტემბრიდან. კარცერში მიღებისას ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ტანსაცმელი და დატოვეს საცვლების ამარა.

კარცერების მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ არცერთ მათგანში არ იყო ლეიბი, თეთრეული და საბანი, რის გამოც პატიმრებს პირდაპირ ხის ნარებზე ეძინათ. ზემოაღნიშნულმა პატიმრებმა მიუთითეს, რომ ღამე, რადგან მათ არ ეცვათ ტანსაცმელი, ძალიან სციოდათ.



28 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ქ. რუსთავის №6 საპყრობილეში მოინახულეს პატიმრები: ვაჟა გეგენავა და რუდიკ ოვაკინიანი, რომლებიც ასევე 2006 წლის სექტემბრის თვეში იმყოფებოდნენ „კარცერში“.

ვ. გეგენავას განმარტებით, მას სრულად გახადეს ტანსაცმელი და მოათავსეს საკანში. საცვლები დაახლოებით 2 საათის შემდეგ დაუბრუნეს, ხოლო ტანსაცმელი 10 დღის – შემდეგ, როცა „კარცერში“ ყოფნის ვადა ამოწურა.

რ. ოვაკინიანის განმარტებით, ის „კარცერში“ რამდენიმე საათი გააჩერეს, თუმცა ამ პერიოდის მანძილზე იგი იყო სრულიად შიშველი.

ორივე პატიმარი აცხადებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სციოდათ, მათ ტანსაცმელი საპყრობილის თანამშრომლებმა არ დაუბრუნეს.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) პუნქტის ა) ქვე-პუნქტის თანახმად, „მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს ტანსაცმლით“; ამავე კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „...მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას პირადი ჰიგიენა ადამიანის პატივისა და ღირსების შეუღლებად“; „მკაცრი რეჟიმის დაწესებულების შინაგანანგის“ (მუხლი 25, პუნქტი 1 და 5) თანახმად, მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, ასევე სანერი კალმით, რვეულებით, ყურნალ-გაზეთებით და ა.შ.

ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, პატიმრებმა თავად თქვეს უარი ტანისამოსის ჩაცმაზე, რასაც თავად პატიმრები კატეგორიულად უარყოფდნენ. 15 სექტემბერს ჩატარებული განმეორებითი მონიტორინგის დროს პატიმრებს უკვე ეცვათ ტანისამოსი. მათ განაცხადეს, რომ ადმინისტრაციამ ტანსაცმელი სახალხო დამცველის რწმუნებულების მისვლამდე 10 წუთით ადრე დაუბრუნა.

კარცერში მოთავსებული პატიმრების გაშიშვლება, გაუსაძლისი პირობების შექმნა, პირადი ჰიგიენის დაცვისათვის აუცილებელი ნივთების, მიმონერისათვის საჭირო ქაღალდისა და სანერი კალმის აკრძალვა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს („საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ – მუხლი მე-7, მე-10; „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ“; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია“ – მუხლი მე-3). მსგავსი ქმედებები შეიძლება შეფასდეს როგორც წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე 2006 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველმა სათანადო მასალები გადააგზავნა გენერალურ პროკურატურაში წინასწარი გამოძიების დასაწყებად. 27 ოქტომბერს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება რუსთავის №6 საპყრობილის ცალკეული მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიება საქმეზე გრძელდება.



სასჯელალსრულების დაწესებულების კვლავ ვხვდებით პატიმართა ცემის ფაქტებს. კერძოდ:

მიხეილ კერესელიძის, ოთარ ბაბოევის, თამაზ შავეშოვისა და გურამ ვაშაკიძის საქმე

2006 წლის 7 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ინახულეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილის პატიმრები: მიხეილ კერესელიძე, ოთარ ბაბოევი, თამაზ შავეშოვი და გურამ ვაშაკიძე. პატიმრების განმარტებით, 2006 წლის 6 სექტემბერს მათ საკანში შევიდა რამდენიმე პიროვნება, რომელთაგან ერთ-ერთი წარედგინათ როგორც დაწესებულების ახალი დირექტორი, ლევან მარუაშვილი და მოსთხოვა მობილური ტელეფონების ჩაბარება და დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ „ჩაუდებდა“ სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ნივთს, რომლებითაც პატიმრებს სასჯელს დაუმატებდა. საკანში ჩაატარეს ჩხრეკა და უკანონო ნივთი არ აღმოჩნდა, რის შემდეგაც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ზემოაღნიშნული პატიმრები ცალ-ცალკე გაიყვანეს და მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გარეგნული დათვალეობის შადეგად, ზემოხსენებულ პატიმრებს აღენიშნათ სხეულის დაზიანებები ზურგისა და ფეხის არეში. რის შესახებაც შედგა ოქმი.

ამ საქმესთან დაკავშირებით 2006 წლის 7 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა: საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, გიორგი ლაცაბიძეს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს, თამარ თომაშვილს და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს ბ-ნ პავლე კოვზირიძეს.

2006 წლის 20 სექტემბერს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გ. გვარჯალაძემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება



და სისხლის სამართლის საქმე შემდგომი რევიზიისათვის გადაეგზავნა გენერალურ პროკურატურას.

დავით ასათიანის საქმე

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს განსასჯელი დ.ასათიანი, რომელმაც განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 3 იანვარს ბადრაგის თანამშრომლებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბაჩო ახალაიამ მეორე დღესვე ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ამ საქმეს აუცილებლად ძალიან მალე გამოიძიებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ასათიანის განცხადებით, მას ფიზიკური შეურაცხყოფა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმის 6 თანამშრომელმა მიაყენა, მხოლოდ 2 მიეცა პასუხისგებაში და შეუფარდეს არაადეკვატურად მსუბუქი სასჯელი. კერძოდ, მ. გიორგაძესა და კ. გულბანს, 2007 წლის 16 იანვარს წარედგინათ ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით: მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2007 წლის 18 იანვარს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით, აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო 3-3 ათასი ლარის ოდენობით.

ბესო მარუაშვილის საქმე

2007 წლის 13 თებერვალს სახალხო დამცველს დახმარებისათვის მიმართა მსჯავრდებულ ბესიკ მარუაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გ.ხაჩიძემ. მისი განმარტებით, 9 თებერვალს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს ბ. მარუაშვილს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და შემდეგ „ჩაუდეს“ მობილური ტელეფონი. გ. ხაჩიძის განცხადებით, ბ. მარუაშვილი უკანონოდ ცნეს ეჭვმიტანილად სსკ-ის 3782-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

14 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც მოინახულეს ბ. მარუაშვილის თანამოსაკნე მსჯავრდებულები: თემურ ქულუხაძე, მირზა ბაზაძე და ვეფხია ახალაძე. მსჯავრდებულების განმარტებით, 9 თებერვალს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, მათ საკანში შევიდნენ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები, მათგან ერთ-ერთი იყო გოჩა კვარაცხელია, რომელმაც მსჯავრდებულებს მოსთხოვეს ადგომა და შემდეგ ბ. მარუაშვილს უთხრეს, გაყოლოდა მათ. მან ჩაიცვა ტანისამოსი და გაჰყვა. ხსენებულმა პატიმრებმა არ იცოდნენ, სად წაიყვანეს ბ. მარუაშვილი, რადგან მას შემდეგ იგი აღარ უნახავთ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ბ. მარუაშვილისგან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთის ამოღებას საკანში ადგილი არ ჰქონია და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ბ.მარუაშვილისათვის მობილური ტელეფონის ჩაბარება არ მოუთხოვიათ.

15 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სასჯელალ-სრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპრობილეში მყოფ მსჯავრდებულს არუთ სარქისიანს. აღნიშნულ საპრობილეში იგი გადაიყვანეს 10 თებერვალს ქსნის №7 სასჯელალსრულების დანესებუ-ლებიდან მსჯავრდებულ ბ.მარუაშვილთან ერთად. ა.სარქისიანის განმარტებით, 2007 წლის 15 იან-ვარს, სალამოს, ის თავის კაბინეტში დაიბარა ქსნის №7 დანესებულების დირექტორმა – რობერტ არაქელოვმა, რომელმაც მას სთხოვა დახმარება ერთ საქმეში, კერძოდ: თუ ის მსჯავრდებულ ბ. მარუაშვილს ჩაუდებდა აკრძალულ ნივთს – მობილურ ტელეფონს ან ე.წ. შტირს, დირექტორი მას დაეხმარებოდა ყველაფერში და დაპირდა მობილურ ტელეფონს. ა. სარქისიანმა უარი განუცხადა რ. არაქელოვს თანამშრომლობაზე, რის გამოც იგი ათი დღით მოათესეს განცალკევებულ საკანში. 25 იანვარს მან გამოაცხადა მშრალი შიმშილობა. ა. სარქისიანი აღნიშნავს, რომ ამის გამო, რ. არაქე-ლოვის მითითებით, მის საკანში შევიდნენ დანესებულების თანამშრომლები, რომლებმაც წაიღეს სიგარეტები და ხატები, რის მიზეზადაც დაასახელეს მოშიმშილის ქცევა. მომხდარით განანყენე-ბულმა თანამოსაკნებმა ა.სარქისიანი სცემეს.

15 თებერვალს, ასევე, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს თბი-ლისის №5 საპრობილეში მოთავსებულ მსჯავრდებულს – ბ. მარუაშვილს. მისი განმარტებით, №5 საპრობილეში ქსნის №7 დანესებულებიდან გადმოიყვანეს 10 თებერვალს. მან მომხდარ ფაქტზე განაცხადა, რომ 9 თებერვალს, ქსნის №7 დანესებულებაში ყოფნისას, მის საკანში შევიდნენ გოჩა კვარაცხელია, ვინმე ალიკა და დანესებულების კიდევ შვიდი თანამშრომელი. მათ გაჩხრიკეს ბ. მა-რუაშვილი და როდესაც კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოუჩინეს, გამოიყვანეს საკნიდან. საკნიდან გამოყვანის შემდეგ, მას „ალიკამ“ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ბ. მარუაშვილი გადაიყვანეს ადმინისტრაციულ კორპუსში და შეიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც იმავე ალიკამ კვლავ სცემა და დაემუქრა, რომ იტყოდა, თითქოს მას მობილური ტელეფონი აღმოუჩინეს და დანესებულების თანამშრომლებს გაუჩნა წინააღმდეგობა. ხმაურზე ოთახში შევიდა დანესებუ-ლების დირექტორი რ. არაქელოვი, რომელიც ბ. მარუაშვილს დაემუქრა სასჯელის დამატებით. რო-დესაც მსჯავრდებულმა უარყო მობილური ტელეფონის ქონა და ადმინისტრაციის თანამშრომლე-ბისათვის წინააღმდეგობის განევა, რ. არაქელოვმა და „ალიკამ“ დაუწყეს ცემა. მათ გაიხსენეს 2003 წლის 10 სექტემბერს მსჯავრდებულ ბ. მარუაშვილის რუსთავის №2 საპრობილიდან გაქცევა, რა დროსაც მოკლული იქნა დანესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი (მსჯავრდებულის განმარტებით, იმ დროს რუსთავის №2 სასჯელალსრულების დანესებულების დირექტორის მოადგილედ რეჟიმის დარგში მუშაობდა რ. არაქელოვი, რომელიც მომხდარის გამო გათავისუფლდა თანამდებობიდან) და დაემუქრნენ სასჯელის დამატებით. შემდგომ, ბ. მარუაშვილს დაუდეს ოქმი, რათა ხელმოწერით დაედასტურებინა, რომ მობილური ტელეფონი მისი იყო, რაზეც პატიმარმა უარი განაცხადა.

ბ. მარუაშვილმა ასევე მიუთითა, რომ ის ა. სარქისიანმა გააფრთხილა იმის შესახებ, რომ რ. არაქე-ლოვი და „ალიკა“ აპირებდნენ მისთვის მობილური ტელეფონის ჩადებას, რაც პირადად მას დაავალეს, მაგრამ მან უარი განუცხადა მათ.

სახალხო დამცველმა გაუგზავნა წერილი გენერალური პროკურორის მოადგილეს, გ. ლაცაბიძეს, რომლითაც მიმართა, შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხი და მიეღოს შესაბამისი ზომები.

მიხეილ სომხიშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართეს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარ-ტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში მყოფი პატიმრის მიხეილ სომხიშვილის დედამ, ლეილა ჯაკობიამ და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის „ემპა-თიის“ პრეზიდენტმა, მარიამ ჯიშკარიანმა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთობლივი მონიტორინგის დროს განსასჯელს აღმოუჩინეს სხეულის დაზიანებები, რომლებიც, მისი გადმოცემით, მიყენებული ჰქონდა მრავალჯერადი დარტყმებით, ელექტროდენითა და რეზინის ხელკეტებით.



სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს მ. სომხიშვილი, რომელმაც ცემის ფაქტი ხელისმონერით დაადასტურა რწმუნებულების მიერ შედგენილ ოქმზე.

სახალხო დამცველმა მიმართა გენერალური პროკურორის მოადგილეს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხები.

იუსტიციის სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრის, მ. სომხიშვილის, ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინება არ შესულა.

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2006 წლის 20 ოქტომბერს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაინიშნა წინასწარი გამოძიება №74068391 საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნებით, განსასჯელ მიხეილ სომხიშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით.

2006 წლის 25 ოქტომბერს, მ. სომხიშვილის სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის და ხანდაზმულობის განსაზღვრის მიზნით დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

პასუხში ასევე ნათქვამია, რომ დასკვნის მიღების შემდეგ განსასჯელს ჩაუტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და რომ საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

სასჯელაღსრულების სისტემაში დანაშაულების პრევენციის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ და გენერალურმა პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუძიებელი და არც ერთი დამნაშავე – დაუსჯელი.

საჩივრები პატიმრებისთვის აკრძალული ნივთების „ჩაღების“ თაობაზე

აღსანიშნავია, რომ თბილისის №7 საპრობილემო რამდენიმე ე.წ. „კანონიერ ქურდს“ უმთავრდებოდათ სასჯელის მოხდის ვადა და მოულოდნელად მათ საკანში აკრძალული ნივთები აღმოაჩინეს. შედეგად მათ სასჯელი დაუმძიმდათ. ძნელად წარმოსადგენია, რომ პატიმრის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გასვლის წინ ამგვარ კანონდარღვევას ჰქონდეს ადგილი. მოვიყვანთ მაგალითს:

აკაკი ლანდიას, მალხაზ მგალობლიშვილისა და გიორგი ენდელაძის საქმე

სახალხო დამცველს ადვოკატებმა წარმოუდგინეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში ყოფილი 073060364 სისხლის სამართლის საქმის ასლები. დოკუმენტებში მითითებულია, რომ 2006 წლის 8 აგვისტოს 18 სთ-ზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპრობილის №23-ე საკნის შემონიშნულ-დათვალიერების დროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მსჯავრდებულები: აკაკი ლანდიას, მალხაზ მგალობლიშვილის და გიორგი ენდელაძის კუთვნილ ნარეზულ ქვეშაბეჭებში აღმოაჩინეს აკრძალული ნივთები, კერძოდ, სამი ფიქსატორიანი დანა.

სამივე ზემოაღნიშნული პიროვნება არის ე.წ. „კანონიერი ქურდი“. მათ სასჯელის ვადა უმთავრდებოდათ: ა. ლანდიას – 2006 წლის 15 აგვისტოს; მ. მგალობლიშვილის – 2006 წლის 29 ოქტომბერს; გ. ენდელაძეს – 2006 წლის 22 დეკემბერს;

ა. ლანდია, მ. მგალობლიშვილი და გ. ენდელაძე საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის პირველი

ნაწილით (აკრძალული საგნების შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მიეცნენ 2006 წლის 11 აგვისტოს.

ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ არ სცნეს და გამოიყენეს დუმის უფლება.

სამივე პიროვნების მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია სასჯელ-ალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შედგენილი ამოღებისა და დაკითხვის ოქმებით.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, 2006 წლის 12 აგვისტოს მათ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ დაპატიმრება.

საქმეზე წინასწარი გამოძიება დამთავრდა 2006 წლის 22 აგვისტოს;

საქმეზე საბრალდებო დასკვნა შედგენილია 2006 წლის 24 აგვისტოს. საქართველოს სსსკ-ის 48-ე და 416-ე მუხლების შესაბამისად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ამ შემთხვევაში ეჭვის საფუძველს იძლევა რამდენიმე გარემოება:

ჯერ ერთი, მე-7 საპრობილეში, სადაც პერიოდულად ტარდება შემონმებები და სადაც აკრძალული ნივთის შეტანა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია ადმინისტრაციის თანამშრომლების დახმარების გარეშე. ამასთან, ეს ნივთები აღმოჩენილი იქნა სწორედ მაშინ, როცა პატიმრების გათავისუფლების ვადა კარზე იყო მომდგარი.

კ.ბ-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულის, კ.ბ-ს (ე.წ. „კანონიერი ქურდი“), ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვლადიმერ ტაბალუამ. განცხადებაში მითითებული იყო, რომ კ.ბ. სასჯელს იხდიდა 2004 წლიდან და მისჯილი ჰქონდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა;

2006 წლის ივლისის თვეში მძიმე ავადმყოფი კ.ბ. ქ.რუსთავის №6 საპრობილიდან გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. მას დაკარგული ჰქონდა მხედველობა; უჭირდა გადაადგილება; აწუხებდა ჰიპერტონია.

განცხადების თანახმად, 2006 წლის 11 აგვისტოს, როცა მსჯავრდებულთა და პატიმართა დაწესებულების ავადმყოფები სასაეირნოდ იყვნენ გარეთ გაყვანილები, სასჯელალსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების თანამშრომლებმა კ.ბ-ს ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ „ჩაუდეს“.

ამ ფაქტის შემდეგ, რამდენიმე დღეში, მის საცხოვრებელ სახლში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ხომელში, რომელშიც არავინ ცხოვრობს და რომელშიც სამართალდამცველებმა 2004 წელს ჩხრეკა უკვე ჩაატარეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება და კ.ბ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა 2 თვიანი პატიმრობა.

ეჭვს იწვევს №1 საპრობილეში მყოფი პატიმრებისათვისაც აკრძალული ნივთების აღმოჩენის ფაქტი. კერძოდ:



თ. ქორთუას საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს 2006 წლის 12 დეკემბერს ახსნა-განმარტება მისცა მსჯავრდებულმა თ.ქორთუამ, რომლიც სასჯელს იხდიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის №1 საპყრობილეში. ახსნა-განმარტების თანახმად, 2006 წლის 5 დეკემბერს აღნიშნული საპყრობილის თანამშრომლებმა აკრძალული ნივთი (კერძოდ მობილური ტელეფონის სიმბარათი) ჩაუდეს თ.ქორთუასა და კიდევ ორ პატიმარს. აღნიშნული ახსნა-განმარტების საფუძველზე 2006 წლის 7 დეკემბრის შესაბამისი მასალები სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების დასაწყებად გაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2006 წლის 8 დეკემბერს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №74068471 საქმეზე ქ.თბილისის №1 საპყრობილის მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიება მიმდინარეობს.

ა. გამყრელიძის საქმე

2006 წლის 8 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეში მყოფ პატიმარს, ა. გამყრელიძეს. როგორც პატიმარი, ისე მისი ადვოკატი, გიორგი ამაშუკელი მიუთითებდნენ, რომ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ა.გამყრელიძის მიმართ ხორციელდებოდა მობილური ტელეფონის ან სხვა აკრძალული ნივთის „ჩადების“ შესახებ მუქარა.

ა. გამყრელიძის განმარტებით, 2006 წლის 6 დეკემბერს გვიან ღამით, ციხის თანამშრომლებმა მის საკანში ჩაატარეს ჩხრეკა, ყველა პატიმარი გარეთ გაიყვანეს, თავად კი საკანში დარჩნენ. ამის შემდეგ ა. გამყრელიძე ჩაიყვანეს ციხის ადმინისტრაციის შენობაში, მაგიდაზე დადეს მობილური ტელეფონი და უთხრეს, რომ აღნიშნული ტელეფონი მას ეკუთვნოდა. ა. გამყრელიძემ უარი განაცხადა. გამომძიებელმა მას ბრალი წაუყენა სსკ-ის 378² -ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტებები ა. გამყრელიძის თანამესაკნეებს: თ. ქორთუასა და ე. მელიქიანსაც ჩამოართვეს, რომლებმაც იგივე გაიმეორეს.

2006 წლის 12 დეკემბერს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას წერილობით მიმართა წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

2007 წლის 1 იანვარს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით.

სამედიცინო მომსახურება სასჯელალსრულების დანესაბუღებაში

2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში დეტალურად იყო აღწერილი სასჯელალსრულების სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების პრობლემები. 2006 წლის პირველი ივნისის შემდეგ ვითარება არ გაუმჯობესებულა. თითქმის გაორმაგდა სიკვდილობის მაჩვენებელი. კერძოდ, 2006 წელს სასჯელალსრულების დანესებულებებში გარდაიცვალა 92 პატიმარი, საიდანაც ერთი მესამედი გარდაიცვალა პირველ ნახევარში, დანარჩენი ორი მესამედი – მეორე ნახევარში.

ძირითადად გვხვდება პაციენტები ტუპერკულოზით, ვირუსული ჰეპატიტებით, გულსისძარღვთა სისტემისა და ნევროლოგიური დაავადებებით, რასაც ხელს უწყობს არსებული პირობები: სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, დანესებულებაში ცხოვრების არაადეკვატური რეჟიმი, გადატვირთულობა და სამედიცინო კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მწვავე დეფიციტი.

სახალხო დამცველის აპარატისა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის – „ემპათი“-ის თანამშრომლებმა ჩაატარეს ერთობლივი მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს ციხეებში არსებული სამედიცინო მომსახურების შესახებ და გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემა, კერძოდ:

1. ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულება – 1) კადრების დეფიციტი; 2) მედიკამენტებით არასაკმარისი და არასათანადო მომარაგება; 3) სამედიცინო ნაწილში არ ჰქონდათ გამოყოფილი ცალკე პალატა ფსიქიურად დაავადებულებისათვის; 4) არასრულყოფილი სტომატოლოგიური მომსახურება; 5) ადგილზე არ იყო კლინიკური ლაბორატორია, რაც შეუძლებელს ხდიდა დროულ და ხარჯეფექტურ დიაგნოსტიკას; 6) ექიმ-სპეციალისტების შეყვანა და კლინიკო-ლაბორატორიული კვლევების ჩატარება უმრავლეს შემთხვევებში პაციენტის ფინანსებით ხორციელდებოდა; 7) სტაციონარულ და ამბულატორულ სამედიცინო ბარათებში არასრულყოფილი ჩანაწერები; 8) არსად არ ფიქსირდებოდა ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების თაობაზე; 9) ნაწილი პაციენტთა შორის რამდენიმე პაციენტს ესაჭიროებოდა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა. გაურკვეველია, რატომ ხვდებიან ასეთი პაციენტები ციხეში ექსპერტიზის გარეშე ან შემდგომში რატომ არ ხდება მათი დიაგნოსტიკა და წარგზავნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე.
2. ზუგდიდის №4 საპყრობილე – 1) კადრების დეფიციტი; 2) მედიკამენტებით არასაკმარისი და არასათანადო მომარაგება; 3) არასრულყოფილი სტომატოლოგიური მომსახურება; 4) ანტისანიტარია; 5) ელემენტარული ქირურგიული იარაღების ნაკრების არარსებობა 6) არ ჰქონდათ კლინიკური ლაბორატორია ელემენტარული კლინიკური კვლევების ჩასატარებლად
3. ბათუმის №3 საპყრობილე – 1) კადრების დეფიციტი; 2) მედიკამენტებით არასაკმარისი და არასათანადო მომარაგება; 3) სამედიცინო ნაწილში არ ჰქონდათ გამოყოფილი ცალკე პალატა ფსიქიურად დაავადებულებისათვის; 4) არასრულყოფილი სტომატოლოგიური მომსახურება; ამბულატორულ სამედიცინო ბარათებში არასრულყოფილი ჩანაწერები; 5) დარღვეული იყო სამედიცინო ინფორმაციის გადაცემის საკითხები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამედიცინო მომსახურების მიწოდების უწყვეტობას; 6) სამედიცინო დოკუმენტაციის დამტკიცებული ფორმების უმრავლესობა (ყურნალების სახით) არსებობდა, თუმცა პრაქტიკულად არ იწარმოებოდა; 7) ადგილზე არსებული სამედიცინო აღჭურვილობის პირობებში შეუძლებელი იყო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (საინტუბაციო მილები, ამბუს პარკი, ლახტი, ტრაქეოტომის კომპლექტი, ლარინგოსკოპი, დეფიბრილატორი, არტაშენები და ა.შ.); 8) აღნიშნულ საპყრობილეში დაფიქსირდა აივ ინფიცირებულთა მაქსიმალური რაოდენობა სხვა დანესებულებებთან შედარებით. სამედიცინო ნაწილის წარმომადგენლის განმარტებით 2006 წლის იანვრიდან სულ რეგისტრირებული იყო 16 შემთხვევა. მათ შორის 3 პაციენტი უკვე გარდაიცვალა.

კვლავ პრობლემა ავადმყოფი პაციენტის სამედიცინო შემოწმება და მისი სამკურნალოდ სხვა დანესებულებაში გადაყვანა. ხშირად აღნიშნული მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად ხორციელდება. სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა და მიმართვების საფუძველზე 18 პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმეს და შემდგომი მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს მსჯავრებულთა და პაციენტთა სამკურნალო დანესებულებაში. აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა:

გ.ა-ს საქმე

სახალხო დამცველს ზეპირი განცხადებით მიმართეს პაციენტი გ.ა-ის მშობლებმა მათი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.



იუსტიციის სამინისტროს სასჯელსრულების დეპარტამენტის №5 საპრობილემო 2006 წლის 27 მარტს განვითარებულ მოვლენებში ბრალდებული გ.ა. გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის №7 საპრობილემო, სადაც იგი რამდენჯერმე მოინახულეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა და წამების მსხვერპლთა ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტმა მ. ჯიშკარიანმა.

სახალხო დამცველის აპარატიდან გაიგზავნა მიმართვა იუსტიციის სამინისტროს სასჯელსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო დეპარტამენტში, რათა შემოწმებულიყო პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მიღებული პასუხის თანახმად, რომ 3 მაისს №7 საპრობილემო ექიმ-ექსპერტთა მიერ კომისიური წესით შემოწმდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა. კონსულტირებულ იქნა სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტების მიერ. დაუდგინდა დიაგნოზი: კალკულოზური ქოლეცისტიტი.

28 ივნისს გ.ა. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან ოპერაციის ჩასატარებლად გადაიყვანეს ქ. თბილისის №1 საავადმყოფოში დიაგნოზით: კალკულოზური ქოლეცისტიტი, პოსტოპერაციული თიაქარი, ქრონიკული აპენდიციტი 30 ივნისს ჩაუტარდა ოპერაცია – ლაპარატომია, ქოლეცისტექტომია და აპენდექტომია, პოსტოპერაციული თიაქრის პლასტიკა რივეს ტოპას მეთოდით (მუცლის ღრუში ჩაედგა ორმაგი ბადე). ასევე, ჩაუტარდა თავის ტომოგრაფია და დაუფიქსირდა წარმონაქმნი მარჯვენა ჰაიმორის ნიაღში.

მკურნალი ექიმისა და ოპერატორის – თ. ჩართოლანის განმარტებით, ბრალდებული გარკვეული პერიოდის მანძილზე (ორი კვირა მაინც) საჭიროებდა სტაციონარის პირობებში მკურნალობას და დაკვირვებას, რადგან არ ჰქონდა ჭრილობიდან ამოღებული ნაკერები. თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 11 ივლისს ბრალდებული გ.ა. საბადრაგო სამსახურის მიერ გაყვანილ იქნა №1 საავადმყოფოდან №7 საპრობილემო, სადაც იგი არ მიიღეს და გადაწყდა მისი მიყვანა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მკურნალი ექიმი თავი ჩართოლანი ტელეფონით ესაუბრა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს – დ. ასათიანს, რომელმაც განაცხადა, რომ სამედიცინო თვალსაზრისით მსგავსი სიტუაციის კონტროლი მეტად რთული იყო პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. 11 ივლისს, საღამოს საათებში, ბრალდებული კვლავ დააბრუნეს ქ. თბილისის №1 საავადმყოფოში.

აღსანიშნავია, რომ გ.ა-ს შესაბამისი მკურნალობა არ ჩატარებია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და მხოლოდ სახალხო დამცველის ჩართვით მოხდა მისი საოპერაციოდ გაყვანა ქ. თბილისის №1 საავადმყოფოში. სახალხო დამცველმა დახმარებისათვის მიმართა წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტს მ.ჯიშკარიანს, რომლის ორგანიზაციამაც დაფარა ოპერაციის ხარჯები.

მ.ნ.-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მ.ქ-მ მისი შვილის პატიმრის, მ.ნ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

2006 წლის 4 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ სასჯელსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს დ. ასათიანს, რომლის განმარტებით, პატიმარს გაკეთებული ჰქონდა ოპერაცია მარჯვენა წვივზე და საჭიროებდა განმეორებით ქირურგიულ ჩარევას ლითონის საგნების ამოღების მიზნით. პაციენტის ოჯახის მიერ დაწესებულებაში შეყვანილ იქნა მინვეული ექიმ-სპეციალისტი სეფსისის სანინალმდეგო ცენტრიდან, რომლის დასკვნის საფუძველზეც ავადმყოფს ესაჭიროებოდა ოპერაცია, თუმცა პირობების არარსებობის გამო ექიმი მოითხოვდა პაციენტის გაყვანას ქალაქის საავადმყოფოში. დ. ასათიანის განმარტებით, ვინაიდან მ.ნ.-ის საოპერაციოდ გაყვანა გაურკვეველი მიზეზებით

ფერხდებოდა, ხოლო მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პაციენტის მკურნალობის გაგრძელება მიზანშეწონილი აღარ იყო, იგი გადაყვანილ იქნა თბილისის №5 საპყრობილეში.

სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ №5 საპყრობილეში, სადაც ესაუბრნენ ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის მთავარ ექიმს ავთანდილ ესვანჯიას. მან განაცხადა, რომ მ ივნისს მიმართა იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, გ.მიქანაძეს და ითხოვა პატიმრის ქალაქის საავადმყოფოში გაყვანის ნებართვა, მაგრამ პასუხი მიღებული არ ჰქონდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა №5 საპყრობილეში მოინახულეს პატიმარი მ.ნ. მას მარჯვენა წვივის მიდამოში აღენიშნებოდა დეფექტი, რომლის მედიალური ზედაპირი გაშიშვლებული იყო და მოჩანდა ოპერაციული გზით ჩანერგილი ლითონის ლერძი. მისი გადმოცემით, 2004 წელს ამავე მიდამოში მიღებული ჰქონდა ცეცხლნასროლი ჭრილობა, რის გამოც განუვითარდა წვივის ძვლების დამსხვრეული მოტეხილობა და ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში ჩაუტარეს აღნიშნული ოპერაცია. მ. ნიკლაურმა განაცხადა, რომ მას ასევე ჰქონდა ხერხემლის დაზიანებაც, რომელიც ამჟამად ნაწილობრივ აღდგენილია. დაზიანებულ კიდურში შენარჩუნებულია მოძრაობა (ტერფის), ამავე მიდამოში არის ტემპერატურის და ტკივილის შეგრძნება. იგი ითხოვდა, გარკვეულიყო მისი საერთო პროფილის საავადმყოფოში საოპერაციოდ გადაყვანის დამაბრკოლებელი მიზეზები.

სახალხო დამცველის აპარატიდან ზემოაღნიშნულ საქმეზე წერილი გაეგზავნა იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმ-სპეციალისტთა ერთობლივი კომისიის თავმჯდომარეს. პასუხად გვეცნობა, რომ მ.ნ.-ს სეფსისის ეროვნულ ცენტრში ჩაუტარდა ოპერაცია, ხოლო შემდგომ მ სექტემბერს გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

ა.ქ-ს საქმე

2006 წლის 30 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ე.ქ-მ, რომელიც მიუთითებდა მსჯავრდებულ ა.ქ.-ს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მსჯავრდებული იმყოფებოდა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ჩატარებული ჰქონდა რენტგენო-კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, თუმცა ესაჭირობოდა დამატებითი სახის გამოკვლევები, რისი საშუალებაც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ იყო. მსჯავრდებულ ა.ქ.-ს ესაჭირობოდა დამატებითი გამოკვლევები, რათა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ კომისიას ემსჯელა მისი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შესახებ.

სახალხო დამცველმა 1 ნოემბერს რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ. ახალაიას, რათა უზრუნველყოფილიყო ა.ქ.-ს გაყვანა სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში. სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მსჯავრდებული ა.ქ. გაიყვანეს ქ. თბილისის №4 კლინიკურ საავადმყოფოში გამოკვლევისა და შემდგომი მკურნალობის მიზნით.

ა.ვ-ს საქმე

2006 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მოინახულეს პატიმარი ა.ვ. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე. არსებობდა მარჯვენა ფეხის დაკარგვის საშიშროება. ა.ვ.-ს მკურნალი ექიმის მ.მჭედლიძის განმარტებით, ავადმყოფს ესაჭიროებოდა ნეირო-ქირურგის კონსულტაცია.



27 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გაეგზავნა მიმართვა წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის „ემპათიას“ პრეზიდენტს, მარიამ ჯიშკარიანს, რათა მომხდარიყო ავადმყოფ ა.გ.-ს კონსულტაცია და შემდგომი მკურნალობის ჩატარება. პასუხად გვეცნობა, რომ ექიმ-სპეციალისტების მიერ შემომდგმა პაციენტ ა.გ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაფიქსირდა შემდეგი დიაგნოზი: მარცხენა ნევივის ძვლების ცეცხლსასროლი მოტეხილობის გამო ჩატარებული ოსტეოსინთეზის შემდგომი მდგომარეობა. მარცხენა ტერფის პირველი – მეორე თითების ტრავმული ინფიცირებული ამპუტაცია. მარჯვენა მუხლქვეშა ფოსოს არის გამჭოლი შეხორცებული ჭრილობა. მარჯვენა მცირე ნევივის ნერვის ტრავმული დაზიანება.

მ. ჯიშკარიანის რეკომენდაციის თანახმად, დიაგნოზის დაზუსტების და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, აგრეთვე ოპერაციის ჩატარების მიზანშეწონილობის განსაზღვრისათვის, პაციენტი საჭიროებდა მარჯვენა ნევივის მიოგრაფიას, მარცხენა ტერფის ტაკვის ნაცხის მიკრობიოლოგიურ გამოკვლევას, ანტიბიოტიკოგრამას.

18 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ.ახალაიას, რათა მომხდარიყო პატიმარ ა.გ.-ის ბადრაგირება შესაბამისი პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში მიოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად. სახალხო დამცველს პასუხად ეცნობა, რომ 8 ნოემბერს პატიმარი გადაიყვანეს თსსუ ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების აკადემიის ნევროლოგიურ განყოფილებაში მიოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად.

გ.ჯ-ს საქმე

2006 წლის 3 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ქ. თბილისის №7 საპყრობილეში, სადაც მონიხსულეს პატიმარი გ.ჯ. მას მარჯვენა ფეხის ბარძაყის ძვალზე ჩაუტარდა ოპერაცია, რის შემდეგაც გაუკეთდა მეტალის აპარატი. მას ბარძაყის არის რამდენიმე ადგილიდან სდიოდა ჩირქი და განიცდიდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. გ.ჯ-ს ესაჭიროებოდა სპეციფიკური მკურნალობა (გამორეცხვა, გადახვევა), რის საშუალებაც აღნიშნულ დაწესებულებაში არ იყო.

სახალხო დამცველის აპარატიდან გაეგზავნა მიმართვა №7 საპყრობილეში, რათა საპყრობილის ექიმს დაუყოვნებლივ შეემონებინა გ.ჯ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროებისამებრ გადაეყვანათ პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. პასუხად გვეცნობა, რომ გ.ჯ 6 ოქტომბერს მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

დ.ლ-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მყოფი მსჯავრდებულის დ.ლ.-ს ძმამ. იგი მიუთითებდა, რომ პატიმარი იყო უმძიმესი ავადმყოფი (განუვითარდა ონკოლოგიური სახის დაავადება, რომელიც საჭიროებდა გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას) და აუცილებლად საჭიროებდა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს პირობებში მკურნალობას.

24 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომ უმოკლეს ვადაში გადაეყვანათ მსჯავრდებული მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაიზიარეს და დ.ლ. 11 ნოემბერს მკურნალობის მიზნით ქ. თბილისის №5 საპყრობილიდან გადაყვანილი იქნა სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

ჯ.შ.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა განსასჯელ ჯ.შ.-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ, საიდანაც ირკვეოდა, რომ პატიმარი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო იმყოფებოდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. ჯ.შ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად დაცვის მხარის მოთხოვნით, დანიშნული იყო ალტერნატიული საკომისიო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დავალებული ჰქონდა დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტიზის ცენტრს „ვექტორს“, თუმცა ექსპერტებს არ ეძლეოდათ საშუალება, შესულიყვნენ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებულია მხარის მიერ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება და დაპატიმრებულთა განთავსების ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს დაპატიმრებულის შეხვედრა ექსპერტთან, კერძოდ: სსსკ-ის 96-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „ექსპერტის დასკვნის მოპოვების უფლება აქვს მხარესაც“; 364-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მხარეს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას. საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა.“ სსსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია: „უზრუნველყოს დაკავებულისა და დაპატიმრებულის პირისპირ შეხვედრა ექიმთან ან ექსპერტთან.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის მიერ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას მოსდევს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა“.

2006 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მოითხოვა, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილიყო მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ექიმ-ექსპერტების შესვლა. სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ექსპერტებს ნება დართეს ჩაეტარებინათ ჯ.შ.-სთვის ექსპერტიზა.

სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილი მიმართვების საფუძველზე შემოწმდა 21 პატიმარი, რომლების შესახებაც გვეცნობა, რომ ისინი გადიოდნენ შესაბამის მკურნალობას და არ საჭიროებდნენ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას.



იყო შემთხვევა, როცა არ გაიზიარეს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შეიზღუდა მსჯავრდებულის კანონიერი უფლება მიეღო საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებადი დამატებითი სამედიცინო დახმარება. კერძოდ:

ა.ი.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილეში მყოფი მსჯავრდებულის, ა.ი.-ს, ინტერესების დამცველი ადვოკატის ეკა სურგულაძის განცხადება. ადვოკატის განმარტებით, ა.ი.-ს მუდმივად აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა, ხუთვის შეგრძნება და სისტემატურად ჰქონდა ტემპერატურა 37,5-37,6 გრადუსი. ე. სურგულაძის განცხადებით №7 საპყრობილის ექიმმა მას განუცხადა, რომ მსჯავრდებულს ესაჭიროებოდა რედგენოგრაფია და გამოკვლევა.



2006 წლის 27 სექტემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპრობოლის უფროსს, გ. კიკნაველიძეს და მოითხოვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, №7 საპრობოლეში (საკუთარი ანაზღაურებით) შეეშვათ ქ.თბილისის ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის ექიმები: ექიმი-ფთიზიატრი, ექოსკოპისტი, რედგენოლოგი და ლაბორანტი ა. იმედაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და შესაბამისი მკურნალობის დასანიშნად. ე. სურგულაძის მითითებით, მის კანონიერ მოთხოვნას შესაბამისი რეაგირება არ მოყოლია.

2006 წლის 10 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთან შეხვედრისას №7 საპრობოლის მსჯავრდებულმა ა.ი.-მ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჩაუტარდა რედგენოგრაფია და აუღეს სისხლის ანალიზი. 2006 წლის 9 ოქტომბერს №7 საპრობოლის ექიმმა ა. იმედაძეს აცნობა, რომ მისი ავადმყოფობა არ დადასტურდა. ა.ი.-ს განმარტებით, მას კვლავ აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა, ხუთვის შეგრძნება და სისტემატურად ჰქონდა ტემპერატურა 37,5-37,6 გრადუსი. ა.ი. ითხოვდა დამატებით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ა. ბ) ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს: „სამედიცინო დახმარებით და მომსახურებით“.

საპრობოლის რეჟიმის დებულების (დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის №367-ე ბრძანებით) 27-ე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებულს, თავისი სურვილით, შეუძლია მიიღოს ნებისმიერი, საკუთარი ხარჯებით ანაზღაურებადი, დამატებითი სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარება, რომელიც მათ აღმოეჩინებათ შესაბამისი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ დაწესებულებების სტაციონარულ სამკურნალო ან საექიმო-სამედიცინო პუნქტების პირობებში.“ ამავე მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად: „საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინება საპრობოლის სამედიცინო სამსახურის თანამშრომელთა აზრი. განცხადება განიხილება სამი დღის ვადაში და განისაზღვრება ექიმ-სპეციალისტის მოწვევის დრო. სპეციალისტის მოწვევისას მოწმდება, აქვს თუ არა მას სამედიცინო საქმიანობის უფლება.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 9 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა №7 საპრობოლის დირექტორს, რათა უზრუნველყოთ №7 საპრობოლეში ექიმ-სპეციალისტთა შეშვება მსჯავრდებულ ა.ი.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად.

2007 წლის 9 იანვარს სახალხო დამცველს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – ი. ცინცაძისაგან, ხოლო 2007 წლის 12 იანვარს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპრობოლის დირექტორ გ. კიკნაველიძისაგან ეცნობა, რომ მსჯავრდებული ა.ი. კონსულტირებულ იქნა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ექიმ-სპეციალისტთა მიერ და გადაიყვანეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ჩაუტარდა სპეციალისტების მიერ დანიშნული გამოკვლევა (რედგენოლოგიური, ულტრაბგერითი, სისხლისა და შარდის ლაბორატორიული გამოკვლევა, გულის ეკგ). მიღებული პასუხების მიხედვით, პატიმარ ა.ი.-ს სამედიცინო გამოკვლევის შედეგად რაიმე პათოლოგიური ცვლილებები არ აღენიშნებოდა, იგი იმყოფებოდა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდებოდა სიმპტომატური მკურნალობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაიზიარეს და შეიზღუდა პატიმრის კანონიერი უფლება.



საქართველოს სახალხო დამცველი დაინტერესდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებულ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობით. შემონმების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში იმყოფებოდნენ ისეთი პატიმრები, რომელთა ფსიქოფიზიკური მდგომარეობა იყო ძალზე მძიმე, მაგრამ მათ არც წინასწარი გამოძიებისა და არც სასამართლო განხილვის სტადიაზე არ ჩატარებიათ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და საბოლოოდ არ იყო დადგენილი მათი შერაცხადობის საკითხი. კერძოდ:

- 1) ი.ბ.
- 2) ზ.მ.
- 3) ვ.ჩ.
- 4) თ.გ.
- 5) გ.ბ.
- 6) კ.ნ
- 7) ს.ბ.
- 8) ტ.მ.
- 9) ზ.ჯ.
- 10) ო.მ.

2006 წლის 17 ოქტომბერს სახალხო დამცველმა ზემოაღნიშნულ პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შემონმებისათვის დახმარებისათვის მიმართა წამების, ძალადობისა და გამობატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათიას“ პრეზიდენტს მ. ჯიშკარიანს.

მ. ჯიშკარიანისგან მიღებული პასუხის თანახმად, ცენტრი „ემპათია“, პროგრამის „წამების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელება საქართველოში“, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მძიმე ფსიქიკური პათოლოგიით დაავადებულ პატიმართა გამოვლენა და მათი ადვოკატურა, მოახდენს აღნიშნული პატიმრების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შემონმებას, თუკი ამის საშუალებას მათ მისცემს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია.

2006 წლის 17 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან მიმართვა გაეგზავნა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რათა შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოთ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ზემოაღნიშნულ ექიმ-სპეციალისტების შესვლა პატიმრების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამონმებლად.

აღნიშნულზე პასუხი სახალხო დამცველს არ მიუღია, ამიტომ 2006 წლის 26 დეკემბერს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან გაიგზავნა შეხსენება, თუმცა მაინც უშედეგოდ.

ჩვენ მიერ ანგარიშში მოყვანილი ფაქტები ხაზს უსვამს სასჯელალსრულების სისტემაში არსებული არაადამიანური პირობების არსებობასა და სისტემაში მომუშავე პირების მხრიდან პატიმრებთან არაადამიანურ დამოკიდებულებას.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ 2006 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ წლის განმავლობაში გაიზარდა პატიმართა სიკვდილიანობის რიცხვმა. იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ 2006 წელს 92 პატიმარი გარდაიცვალა საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში (რომელთაგან ოთხმა თავი მოიკლა), მაშინ როცა 2005 წელს გარდაცვლილ პატიმართა რიცხვი 46 აღწევდა. თვით-



მკვლევარების მცდელობები და თვითდაზიანებების მიყენების შემთხვევები საპრობლემო არსებული პირობებისა და პატიმართა უფლებების დარღვევისადმი პროტესტის გამოხატულება იყო.

არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის Human Rights Watch-ის განმარტებით, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პატიმრები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სასამართლოს მითითების მიუხედავად, ასეთი პატიმრები არ გადაჰყავდათ სამკურნალო პალატებში. ზოგჯერ მათ საიზოლაციო პალატებში ათავსებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა დაწესებულებაში არსებული საიზოლაციო პალატები დილეგის ტიპის ადგილებია. კერძოდ:

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2006 წლის 15 აგვისტოსა და 2007 წლის 13 თებერვალს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებების მოქმედი საიზოლაციო პალატების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ თითოეულ მათგანში გაუსაძლისი მდგომარეობაა. იქ არსებული პირობები თბილისის №1 საპყრობილისა და №5 საპყრობილის კარცერების მსგავსია. სულ ასეთი 6 პალატაა. დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, მათგან მხოლოდ ერთი არ ფუნქციონირებს. დანარჩენ პალატებში სინესტეა, ძირს ყრია მყარი ნარჩენები, დგას უსიამოვნო სუნი, არც ერთ მათგანში არაა ჩასმული ფანჯარა, არ მოქმედებს ცენტრალური გათბობის სისტემა, სიცივეა, საპირფარეო ოთახისგან არაა გამოყოფილი და დაბინძურებულია, შთაბეჭდილება რჩება, რომ დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ იწმინდება, მეტად ანტისანიტარიული ვითარებაა.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ პალატებში ათავსებენ ფსიქიურად დაავადებულ პირებს, როცა მათ დაავადება განსაკუთრებით უმწვავედებით, უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზული საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ფანჯრების ადგილას გამოწეული რკინის გისოსები თვითდაზიანების მიყენების ძალიან მარტივი საშუალებაა. დაწესებულების ადმინისტრაციამ განგვიმარტა, რომ თუ პატიმარს დაზიანების მიყენება უნდა, კედელსაც მიარტყამს თავს, ამიტომ გისოსების გასწორებას აზრი არ აქვს. საიზოლაციო პალატები სწორედ ის ადგილია, რომელშიც რბილი კედლები უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულ პირობებში პატიმართა მკურნალობა შეუძლებელია. პატიმრის იქ გაჩერება კიდევ უფრო გაართულებს მათ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ზემოაღნიშნული პალატები თავად იხილა ადამიანის უფლებათა კომისარმა, თომას ჰამმარბერგმა, თუმცა მისი ვიზიტისა და ჩვენი უწინდელი ვიზიტის გამო პალატები შედარებით დალაგებულ მდგომარეობაში დაგვხვდა.



აღსანიშნავია თვალსაჩინო შემთხვევა, როცა სასჯელალსრულების დეპარტამენტმა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ გამოიჩინეს აშკარა გულგრილობა მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის მქონე პატიმრის მიმართ. პატიმარი საჭიროებდა გადაუდებელი წესით ფსიქიატრიულ დახმარებას სტაციონალურ პირობებში, რისი საშუალებაც სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში არ არსებობს, მათ შორის შეუძლებელია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების „ფსიქიატრიულ განყოფილებაში“, ვინაიდან, იგი არ აკმაყოფილებს არც საერთაშორისო და ერც ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს. იქიდან გამომდინარე, რომ პატიმარი თავის დროზე რა გადაიყვანეს საერთო პროფილის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მისი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნა წარმომადგენდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მაგალითს:

გიორგი მიქიაშვილის საქმე*

2005 წლის 29 ოქტომბერს ქ. თბილისში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს გიორგი მიქიაშვილი. მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ). დაკავებულს თავის არეში აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც, მისი განმარტებით, დაკავების დროს პოლიციელთა მიერ ცემის შედეგად მიიღო. 20 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველი დაინტერესდა გიორგი მიქიაშვილის საქმით, მის ფიზიკური შეურაცხყოფასთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება პოლიციის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით. მოგვიანებით საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო. მიქიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილეში. 2005 წლის 11 ნოემბერს იგი საპყრობილიდან გადაიყვანეს ციხის რესპუბლიკურ სავადმყოფოში და მოათავსეს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მიქიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმეს ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათის“ ექიმ-ფსიქიატრებმა (მ. ჯიშკარიანი, გ. ბერულავა, ხ. ჭყოიძე), რომელთა 2005 წლის 15 ნოემბრის დასკვნით მიქიაშვილის დაუდგინდა „მწვავე აფექტურ-ბოღვითი მდგომარეობა, ქალა-ტვინის დაზიანებული ტრავმული დაზიანება და თავის ტვინის შერყევა“. მიუხედავად ცენტრ „ემპათი“-ას ექსპერტთა არაერთი გაფრთხილებისა და წერილობითი დასკვნისა იმის შესახებ, რომ ავადმყოფი საჭიროებდა სრულყოფილ გამოკვლევას და შემდგომ მკურნალობას, ავადმყოფი სტაციონარიდან განერეს. განერის შემდეგ, მდგომარეობის გაუარესების გამო, იგი სამ დღეში კვლავ დააბრუნეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

2006 წლის 15 აგვისტოს, გიორგი მიქიაშვილის განმარტებით, იგი სცემეს სად-ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მათ შორის, დირექტორის მოადგილემ გ. ბუთლიაშვილმა. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ასისტენტის, ექიმ ლევან ლაბაურის დათვალეობით პატიმარს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აღენიშნებოდა სისხლნაჟღერებები და ექსკორიაციები; ასევე შუბლის ძვლის მარჯვენა მიდამოში, თავის თმოვან ნაწილში აღენიშნებოდა ტრავმის შედეგად განვითარებული ბორცვისებური წარმონაქმნები. ზემოაღნიშნულის შესახებ შედგა შესაბამისი ოქმი. მიქიაშვილი უსაფრთხოების მიზნით გადაიყვანეს საიზოლაციო პალატაში. უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. საიზოლაციო პალატები წარმოადგენს ტიპიურ „კარცერს“, სადაც საშინელი საყოფაცხოვრებო პირობებია და თავისთავად, იქ ყოფნა უკვე წარმოადგენს წამებას და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

გიორგი მიქიაშვილის ცემასთან დაკავშირებით 2006 წლის 15 აგვისტოს სახალხო დამცველმა ჩაატარა პრესკონფერენცია, სადაც მიქიაშვილის მიმართ მოპყრობა და მისი არაადამიანურ პირობებში გაჩერება წამებად შეაფასა. ამასთან დაკავშირებით იმავე დღეს სახალხო დამცველმა მიმართა იუსტიციის მინისტრს, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესა და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. სახალხო დამცველმა, ასევე, მოითხოვა, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ ექსპერტებს მისცემოდათ საშუალება, სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი მიქიაშვილისთვის ჩაეტარებინათ ექსპერტიზა ფიზიკური დაზიანებების ხარისხის დასადგენად.

იუსტიციის სამინისტროდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 16 აგვისტოს დაიწყო წინასწარი გამოძიება მიქიაშვილის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით; ასევე, რომ ექსპერტებს მიეცემოდათ საშუალება ექსპერტიზის ჩასატარებლად. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მიქიაშვილს მიყენებული ჰქონდა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოუშლელად, რომლებიც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებოდა საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს (15 აგვისტო).

* პაციენტის გვარიდა სახელი დასახელებულია მისი ოჯახის წევრების თანხმობით.



2006 წლის 16 აგვისტოს გიორგი მიქიაშვილი, უსაფრთხოების მიზნით, რუსთავის №6 საპყრობილეში გადაიყვანეს და მოათვსეს სამედიცინო ნაწილში. აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის ექიმ-ფსიქიატრი. სექტემბრის თვეში მიქიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა (რვა სანოლი დაამტვრია, კედლიდან კაფელი ჩამოყარა, უნიტაზი მოგლიჯა, საკვების მიღებაზე უარი განაცხადა, ოჯახის წევრებთან შეხვედრა არ სურდა, იმდენად აგრესიული იყო, რომ მასთან შესვლას ციხის თანამშრომლები ვერ ახერხებდნენ). ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტის, ექიმ-ფსიქიატრის – მ. ჯიმკარიანის დასკვნით, საჭირო იყო მიქიაშვილის ქალაქის სპეციალიზირებულ ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაყვანა.

ვინაიდან გიორგი მიქიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა იყო მძიმე და მისთვის სათანადო მკურნალობის აღმოუჩენლობა ნამების ტოლფასი იყო, სახალხო დამცველმა 2006 წლის 31 ოქტომბერს რეკომენდაციით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ.ახალაიას, რათა მომხდარიყო მიქიაშვილის გადაყვანა საერთო პროფილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში კვალიფიციური ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის მიზნით; ასევე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გენერალურ პროკურორს ზ.ადიშვილს, რათა პროკურატურა შესულიყო სასამართლოში შუამდგომლობით გ. მიქიაშვილისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით განისაზღვრებოდა, შეიძლებოდა თუ არა მიქიაშვილის გაჩერება სასჯელალსრულების დაწესებულებაში. გენერალური პროკურატურიდან პასუხი არ იქნა მიღებული. 13 მარტს სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ მიქიაშვილი გადაყვანილი იქნა ქვიტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 31 იანვარს პატიმრის გადაყვანა ქვიტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხდა სასამართლო დადგენილების საფუძველზე. სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ მანამდე არანაირი ზომა არ იქნა მიღებული პატიმრის საერთო პროფილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით.

28 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი მიქიაშვილს თავისუფლების აღკვეთის სახით მიუსაჯა წელიწადი და ექვსი თვე, განაჩენი მხარეების მიერ გასაჩივრდა; პროკურორი მისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, დაცვის მხარე კი – მის გამართლებას) მოსამართლე მ. ჩოხელმა ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნა გ. მიქიაშვილის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა. 2006 წლის 23 იანვარს სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით მიქიაშვილს დაუდგინდა რეაქტიული ფსიქოზის სახით დროებითი ფსიქიკური აშლილობა და მდგომარეობიდან გამოსვლამდე განესაზღვრა ქვიტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნა.

ამჟამად პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და დღითი-დღე უმჯობესდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისთვის რომ უფრო ადრე აღმოეჩინათ კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, მისი მდგომარეობა ასე არ გამწვავდებოდა.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია და მეტად მნიშვნელოვანია, რომ წინა პლანზე წამოიწიოს პატიმართა არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების საკითხი, რაც გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით.

სიკვდილობის სპექტრი და მიზეზები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

2006 წლის 2-ი ნახევრის მონაცემების ანალიზი

2006 წლის განმავლობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებსა და საპყრობილებებში, 2007 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია პატიმართა სიკვდილობის 92 შემთხვევა. ეს არის იუსტიციის სამინისტროს მიერ ოფიციალურად გაკეთებული განაცხადი, თუმცა, გადამონმების დროს მხოლოდ 89 გარდაცვლილის გვარი-სახელის დადგენა შეეძლო. მათგან, შემთხვევათა 37% (33) მოდის წლის პირველ ნახევარზე, ხოლო რაც შეეხება წლის მეორე ნახევარს, ამ პერიოდში სიკვდილობის მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა (56 შემთხვევა) და 63% შეადგინა.

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
6	3	10	6	3	5	8	12	14	6	10	6
I ნახევარი სულ - 33 37%						II ნახევარი სულ - 56 63%					

სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა მარტის, აგვისტოს, სექტემბრისა და ნოემბრის თვეები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მარტში გარდაცვლილი 10 პატიმრიდან 7 გარდაცვალება დაკავშირებულია ე.წ. ამოხთან, მაშინ ნათელი ხდება, რომ სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეული ყველა თვე 2006 წლის მეორე ნახევარს ემთხვევა. ამასთან, სიკვდილობა პიკს აღწევს აგვისტო-სექტემბრის პერიოდში, რაც გარკვეულწილად ალბათ დაკავშირებული უნდა იყოს სეზონურ თვისებებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2006 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილი 56 პატიმრიდან 30 პატიმარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა; 5 პატიმარი გარდაიცვალა სადის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში; 9 პატიმარი გარდაიცვალა სადის სხვადასხვა საპყრობილებში; ხოლო 12 პატიმარი გარდაიცვალა თბილისის და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სხვადასხვა სამკურნალო

დანესებულებაში. აღნიშნული სტატისტიკა თვეების მიხედვით (2006 წ. მეორე ნახევარი) შემდეგნაირად გამოიყურება:

თვე	გარდაცვალების ადგილი			
	მსჯავრდებულთა და პატ. სამკ. დან.	ტუბერკ. მსჯავრდ. და პატ. სამკ. დან.	სად - ის საპრობილეები	სხვადასხვა სამკურნ. დანესებ.
ივლისი	5	-	2	1
აგვისტო	4	-	2	6
სექტემბერი	4	3	3	4
ოქტომბერი	4	1	1	-
ნოემბერი	9	-	1	-
დეკემბერი	4	1	-	1
სულ:	30	5	9	12

სად-ის საპრობილეებიდან, 2006 წლის მეორე ნახევარში სიკვდილობის ფაქტების მაქსიმალური რიცხვი დაფიქსირდა №1 საპრობილეში (4 შემთხვევა); შემდეგ მოდის №5 საპრობილე (2 შემთხვევა); ხოლო ბათუმის №3, ქუთაისის №2 საპრობილეებსა და ქსნის №7 დანესებულებაში თითო-თითო შემთხვევა დაფიქსირდა.

ადგილი	რაოდენობა
სად №1 საპრობილე	4
სად №5 საპრობილე	2
სად ბათუმის №3 საპრობილე	1
სად ქუთაისის №2 საპრობილე	1
სად ქსნის №7 დანესებულება	1

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გარდაცვლილ პატიმართა სიკვდილის მიზეზების შესწავლა. ჩვენ დავინტერესდით იმ ფაქტით, რომ სიკვდილის 56 შემთხვევიდან, ოფიციალური მონაცემებით, 40 შემთხვევაში სიკვდილის მიზეზად სახელდება „გულ-სისხლძარღვთა“ უკმარისობა (27) ან „გულ-ფილტვის უკმარისობა“ (9). შედარებით უფრო მოკრძალებითაა გამოყენებული – „გულის უკმარისობა (2 შემთხვევაში); ხოლო სუნთქვის უკმარისობა მხოლოდ 1 შემთხვევაში. თუ აღნიშნულ სტატისტიკას დავეყრდნობით, ცხადია, რომ გარდაცვლილ პატიმართა დიდი უმრავლესობა დაავადებული უნდა ყოფილიყო გულის ან სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადებით, რაც ასე არ არის. ამ შემთხვევაში გულ-სისხლძარღვთა ან ფილტვ-გულის უკმარისობა გამოყენებულია როგორც ძირითადი დაავადების გამოსავალი და ეს წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის სიკვდილის ძირითად მიზეზზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქაინაძემ, 2006 წლის 10 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე განცხადა, რომ „პატიმართა უმრავლესობას აწუხებდა გულ-სისხლძარღვთა დაავადება“. როგორც უკვე აღინიშნა, სამედიცინო თვალსაზრისით აღნიშნული ტერმინი არაფრის მთქმელია და საერთოდ ვერ ასახავს სიკვდილობის მიზეზებს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. თუ იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციას დავეყრდნობით, შესაძლებელია მაინც შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა იმ დაავადებების შესახებ, რომლებიც პატიმართა სიკვდილით დასრულდა. კერძოდ, აღნიშნული მონაცემების დამუშავებით იკვეთება, რომ გარდაცვლილი 56 პატიმრიდან სიკვდილი დადგა სხვადასხვა

ორგანოსა და სისტემების დაავადებების შედეგად. ამ მხრივ გარკვეული ნარმოდგენის შესაქმნელად მოგვყავს სისტემების მიხედვით დაავადებათა სპექტრი:

ნოზოლოგიათა ჯგუფები	რაოდენობა
1 გაურკვეველი ეტიოლოგიის ინტოქსიკაცია	8
2 მოხუცებულობითი დაძაბუნება	2
3 ტუბერკულოზი (მათ შორის ფილტვის გარდა სხვა ფორმები)	10
4 გულის დაავადებები (ძირითადად გიდ-ის სხვადასხვა ფორმები)	8
5 ტრავმა და უბედური შემთხვევა (მათ შორის სუიციდი)	6
6 ავთვისებიანი დაავადებები	3
7 ინფექციური დაავადებები (მათ შორის ნეიროინფექციები)	4
8 ანემიები (მწვავე, ქრონიკული), მათ შორის გასტროდუოდენური სისხლდენის შედეგად	4
9 ნევროლოგიური დაავადებები (მათ შორის თავის ტვინში სისხლის მიმოქც. მოშლით)	7
10 აივ/შიდსი	3
11 ფილტვისა და პლევრის დაავადებები (გარდა ტუბერკულოზისა)	3
12 სისხლძარღვთა დაავადებები და სისხლძარღვოვანი გართულებები	3
13 საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (მათ შორის ლვიძლის პათოლოგია) და პერიტონიტი	4

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნოზოლოგიური დაჯგუფებები საკმაოდ პირობითია, თუმცა იგი გამომდინარეობს ოფიციალურად გამოცხადებული ნოზოლოგიური ერთეულებიდან და საკმარის წარმოდგენას ვვაძლევს იმისათვის, რომ ვივარაუდოთ, რომ პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სიკვდილობა გამომწვეულია არა გულ-სისხლძარღვთა ან ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობით, არამედ ტუბერკულოზით, გაურკვეველი ეტიოლოგიის ინტოქსიკაციებითა და კომებით, ნევროლოგიური დაავადებებით, უბედური შემთხვევებითა და ტრავმებით და ასე შემდეგ. რაც შეეხება გულის დაავადებებს, გულის იშემიური დაავადების სხვადასხვა ფორმის დიაგნოზი დასმულია მხოლოდ 8 შემთხვევაში, თუმცა თანმხლები ნოზოლოგიების გამო სადავოა, თუ რა გახდა კონკრეტულ შემთხვევაში სიკვდილის გამომწვევი მიზეზი.

პენიტენციურ სისტემაში პატიმართა ავადობისა და განსაკუთრებით სიკვდილობის მიზეზების შესწავლა წარმოადგენს მეტად აუცილებელ და მნიშვნელოვან ეტაპს, რათა სამომავლოდ დაინერგოს ეფექტური პრევენციული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ციხეში პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და ავადობის შემცირებას. მეორე მხრივ, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევათა გარკვეულ ნაწილში, ჩვენი აზრით, არის რიგი შემთხვევები, რომლებიც სავსებით შესაძლებელია რომ არ დამთავრებულიყო ადამიანის სიკვდილით. ასეთ შემთხვევაში, სიკვდილობის სპექტრის დეტალური შესწავლა და განხილვა ხელს შეუწყობს სამართალდამცავ სტრუქტურებს, ეფექტურად წარმართონ საგამოძიებო საქმიანობა კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაში.

ზემოთ დასახული ამოცანების შესასრულებლად, დეტალურად შევისწავლეთ პენიტენციურ სისტემაში გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, ყოველი კონკრეტული შემთხვევა დეტალურად განალიზდა და საბოლოო შემაჯამებელი რეზიუმეს სახით



ჩამოყალიბდა. ჩატარებული საქმიანობის წარმართვისათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართეთ წერილობით და გამოვითხოვეთ გარდაცვლილ პატიმართა საექსპერტო დასკვნები. პირველ ეტაპზე მოხერხდა 29 შემთხვევის დეტალური ანალიზი (იხ.დანართი N1).

ექსპერტა დასკვნების საერთო ანალიზი

„ექსპერტის დასკვნის“ შესავალი ნაწილისადმი გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

- 18 შემთხვევაში არ არის მითითებული დადგენილების ნომრები – 613, 603, 630, 632, 646, 645, 657, 658, 671, 677, 678, 679, 682, 720, 742, 749, 760, 795;
- 15 შემთხვევაში არ არის მითითებული მიცვალებულის ასაკი - 603, 630, 1299/1-გ, 677, 678, 679, 682, 742, 744, 745, 749, 750, 760, 771, 784;
- 15 შემთხვევაში არ არის აღნიშნული ექსპერტიზის დანყების საათი (გვამის გაკვეთის დრო) – 603, 630, 658, 1299/1-გ, 677, 678, 679, 682, 742, 744, 745, 749, 750, 760, 31;
- 11 შემთხვევაში ექსპერტების მიერ დაცული არ არის ექსპერტიზის ჩატარების ვადა 30 დღე და დაგვიანების მიზეზიც არ არის ახსნილი, კერძოდ:

646	—	23.07	—	13.09,
97	—	31.07	—	6.09,
658	—	4.08	—	15.09,
1299/1-გ	—	7.08	—	19.09,
677	—	9.08	—	6.10,
678	—	9.08	—	6.10,
679	—	9.08	—	6.10,
682	—	12.08	—	10.10,
742	—	2.09	—	12.10,
744	—	2.09	—	11.10,
745	—	2.09	—	10.10.

„ექსპერტის დასკვნის“ აღწერილობითი ნაწილისადმი გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

- არ არის მითითებული გვამის სიგრძე – 677, 679, 682, 742;
- არ არის აღწერილი გვამური მოვლენები – 679, 682, 742;
- არ არის მითითებული რომელი ჯგუფის კუნთებშია გამოხატული გვამური გაშეშება – 671, 677, 678, 795;
- ზოგიერთ დასკვნაში ორგანოთა ზომები საერთოდ არ არის მითითებული, ხოლო წყვილი შინაგანი ორგანოების ზომები ყველა დასკვნაში მითითებულია ერთად, რაც არ ასახავს სინამდვილეს;
- როგორც წესი, არ იწონება შინაგანი ორგანოები და არცერთ დასკვნაში არ არის მოყვანილი შინაგანი ორგანოების წონა;
- 8 შემთხვევაში ზოგიერთი შინაგანი ორგანო არ არის აღწერილი – 657, 677, 678, 679, 682, 720, 742, 771;
- ხშირად ორგანოების ფერი ან მათი განაკვეთის ზედაპირების ფერი არ ასახავს ორგანოში არსებულ პათოლოგიას; ორგანოს ფერის აღწერას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც შესავალ ნაწილში მითითებულია როგორი განათების - ბუნებრივი თუ ხელოვნური განათების პირობებში გაიკვეთა გვამი. არც ერთ დასკვნაში განათების შესახებ მითითებული არ არის, და თუ გვამის გაკვეთის საათიც არ არის მითითებული, გაუგებარია დღე გაიკვეთა თუ ღამის განათების პირობებში, რაც საერთოდ შეუძლებელს ხდის ორგანოების ფერის მიხედვით პათოლოგიის შეფასებას;
- 613 – ექსპერტი აღნიშნავს, რომ გვამი ცივია, „გვამური გაშეშება გამოხატულია სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში... გვამური ლაქები თითის დაჭერით ფერმკრთალდებიან და აღიდგენენ

პირვანდელ ფერს 1,5 წუთის გასვლის შემდეგ“; დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ „სიკვდილის დადგომიდან გვამის გამოკვლევამდე გასულია არანაკლებ 4 და არაუმეტეს 6 საათისა“; საქმის გარემოებიდან კი ირკვევა, რომ გვამი ნანახი იქნა 17 ივლისს 07.30 სთ-ზე, ხოლო ექსპერტიზა დაიწყო 29-30 სთ-ის შემდეგ. შეუძლებელია ექსპერტს ენახა ისეთი გვამური ლაქები, როგორიც აღწერილია, რადგან სიკვდილიდან 30 სთ-ის გასვლის შემდეგ გვამური ლაქები ფერს აღარ იცვლის.

ზოგიერთ დასკვნაში შინაგანი ორგანოების აღწერისას დაშვებულია უხეში შეცდომები:

- 655 – „შუასაძგიდის გუმბათის დგომა მარჯვნივ VI და მარცხნივ V ნეკნების დონეზე“; ასეთივე შეცდომაა 720-შიც – „დიაფრაგმის მდებარეობა მარჯვნივ VI და მარცხნივ IV ნეკნების დონეზე“; სავარაუდოდ, დიაფრაგმის გუმბათების მდებარეობა პირიქით უნდა იყოს;
- 1299/1-გ – „ორივე სასუნთქი მილები თავისუფალი“ – გაუგებარია, რა არის სასუნთქი მილი; თავის ტვინის „რბილი გარსის აცლის შემდეგ მისი ლორწოვანი ღია მორუხო-მოვარდისფრო ფერის“ – თავის ტვინზე რა უნდა ლორწოვან გარსს? „თავის ტვინი ზედმეტად სველი“ და ა.შ. – საერთოდ არ ჰგავს ექიმის მიერ გაკეთებულ ჩანაწერს.
- 682 – „პლევრალურ ღრუებში აღინიშნება მოყვითალო-მომღვრიო სითხე უპირატესად უკანა და ქვემოთა წილებში“; „აორტისა და ფილტვის არტერიების ინტიმა აჭრელებული“; „ღვიძლის ზედაპირი მოყვითალო ელფერის, ტალღოვანი“.
- 749 – „ენის ქვეშა ძვლის მარცხენა ტოტის არეში...“ – ინის ძვალს გააჩნია რქები, და არა ტოტები.
- 750 – „თავის ტვინისა და ნათხემის შრეებს შორის საზღვარი ნაშლილია“ ალბათ, იგულისხმება რუხი და თეთრი ნივთიერება; „ღვიძლის კაფსულა ძნელად სცილდება“ – ღვიძლის კაფსულა ორგანოს არ უნდა სცილდებოდეს და არც ექსპერტი უნდა ცდილობდეს ამას!
- 31 – „თავის ტვინის ნაოჭიანობა კარგად არის განვითარებული“ – რა არის ნაოჭიანობა? „ორივე ნათხემები და მოგრძო ტვინი პათოლოგიის გარეშე“ – ადამიანს აქვს ერთი ნათხემი!

ძალიან ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცევა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აღწერას. თითქმის ყველა შემთხვევაში მითითებულია მოკლედ, რომ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები არის პათოლოგიური ცვლილებების გარეშე, ზოგან ისინი ნახსენებიც კი არ არის (657). კუჭქვეშა ჯირკვლი ზოგიერთ დასკვნაში მოხსენებულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში (744, 745, 760, 31, 784) (ნაცვლად საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოებისა, რომლებთანაც ერთად ეს ორგანო განხილულია ყველა კლასიკურ სახელმძღვანელოში), ზოგან კი – საერთოდ არ არის აღწერილი (677, 678, 679, 682, 720, 742, 771).

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზები ძალიან ხშირად შედგენილია დაბალკვალიფიციურად. დიაგნოზი უნდა იწყებოდეს სიკვდილის უშუალო მიზეზით, ძირითადი ავადმყოფობით, შემდეგ უნდა მოსდევდეს თანმხლები ავადმყოფობა და ფონური ავადმყოფობა. ხშირად ეს თანმიმდევრობა არ არის გათვალისწინებული; ზოგიერთ შემთხვევაში კი დიაგნოზები კრიტიკას ვერ უძლებს, კერძოდ:

- 1299/1-გ – „სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. მიოკარდიული მწვავე იშემია, სისხლის არათანაბარი გადანაწილება მიოკარდიუმში. გამონეული სისხლის მიმოქცევის შეგუბებით მცირე წრეში. ფილტვებში მკვეთრად გამოხატული სისხლსავსეობა და სისხლჩაქცევები. თავის ტვინის შეშუპება. ფილტვებში მწვავე ანთებითი პროცესი. თავის ტვინის გარსების სისხლსავსეობა, თავის ტვინის კანზე (?) ეპითელიუმის გასქელებით. შინაგანი ორგანოების სისხლსავსეობა, ფილტვებში, თირკმლებში, ღვიძლში, ელენთაში, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში“;
- 679 – „გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა. ფილტვების და ღვიძლის ადენოკარცინომა /კიბო/. კორონაროათეროსკლეროზი. კარდიოსკლეროზი. წვრილი და მსხვილკეროვანი პოსტინფარქტული ნაწიბურები მიოკარდიუმში. მრავლობითი კიბოს მეტასტაზები გულმკერდის და მუცლის ღრუში. ნეკროზული და ათელექტაზური უბნები ფილტვებში. შინაგანი ორგანოთა სისხლსავსეობა“.



ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი გამოკვლევები არ არის ჩატარებული და არ არის დასაბუთებული, რატომ; ზოგჯერ კი დამატებითი გამოკვლევის მონაცემები არ არის გათვალისწინებული და არც მიზეზია ახსნილი, რატომ არ გაითვალისწინეს, კერძოდ:

- 657 – საჭირო იყო ჰისტოლოგიური კვლევის ჩატარება და კიბოს დიაგნოზის დადასტურება მიკროსკოპული გამოკვლევით;
- 1299/1-გ – ექსპერტი დასკვნის ნაწილში არ ითვალისწინებს ჰისტომორფოლოგიის მიერ მონოდეზულ კვლევის შედეგებს – ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევით ნანახი იქნა „ფილტვებში დიფუზური სისხლჩაქცევები, სისხლსავსეობა... თავის ტვინი... ალაგ ლოკალურად (მცირე ზომის) სისხლჩაქცევები...“, ექსპერტი აღნიშნავს – „მარცხენა ყურიდან სდის მუქი მონითალო ფერის სითხე (სისხლი)“, ხოლო დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა მარცხენა ყურის სასმენი აპკის დაზიანებას (თვით აპკის დაზიანება აქტში აღწერილი არ არის) და სიკვდილის მიზეზად მითითებულია გულის მწვავე იშემიური ავადმყოფობა. გარდა ამისა, ექსპერტი არ ასრულებს დადგენილებაში დასმულ დავალებას, რომ გამოეკვლია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების არსებობა, და მიუთითებს უსაფუძვლო მიზეზს;
- 682 – ჰისტოლოგიური გამოკვლევა არ არის ჩატარებული, რაც, მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო; გარდა ამისა, ექსპერტი არ ასრულებს დადგენილებაში დასმულ დავლებას, რომ გამოეკვლია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების არსებობა, გამოსაკვლევი მასალა არ იქნა ექსპერტის მიერ აღებული;
- 742 – დადგენილებაში დასმულ კითხვაზე, სიკვდილის წინ მიღებული ჰქონდა თუ არა ალკოჰოლი ან ნარკოტიკული ნივთიერება, პასუხი გაცემული არ არის, რადგან არ ყოფილა აღებული მასალა დამატებითი ლაბორატორიული გამოკვლევისათვის;
- 749 – ექსპერტს აღწერილი აქვს სისხლჩაქცევები სტრანგულაციური ღარის შესაბამისად კისრის რბილ ქსოვილებში, ხოლო ჰისტოლოგიური გამოკვლევით კანში სიცოცხლისდროინდელი დაზიანებისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ცვლილებები მითითებული არ არის;
- 745 – ექსპერტს დიაგნოზში გამოაქვს ელენთის ამილოიდოზი, რის საფუძველი აღწერილობით ნაწილში და მიკროსკოპული გამოკვლევით არ ჩანს.
- 750 – აღწერილობით ნაწილში ექსპერტი აღნიშნავს სპლენომეგალიას, რაც მიკროსკოპული და მაკროსკოპული აღწერილობით დადასტურებული არ არის;
- 760 – დადგენილებაში დასმულ შეკითხვაზე, იმყოფებოდა თუ არა გარდაცვალებამდე ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, დასკვნაში პასუხი გაცემული არ არის და ამ საკითხის გასარკვევად არც მასალა არის აღებული ქიმიური გამოკვლევისათვის;
- 795 – ჰისტოლოგიური გამოკვლევით დადგენილია ფილტვებში კრუპოზული პნევმონია, ექსპერტს კი დასკვნაში გამოაქვს კეროვანი ბრონქოპნევმონია, რაც სულ სხვა დიაგნოზია, სხვა პათოლოგია – ექსპერტი არ ასაბუთებს, თუ რატომ არ ითვალისწინებს მიკროსკოპული გამოკვლევის შედეგებს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში 2006 წლის 17 ივლისიდან 19 სექტემბრამდე გარდაიცვალა 29 მსჯავრდებული, მათგან ნაძალადევი სიკვდილით – 6 და არანაძალადევი სიკვდილით – 23. ზემოაღნიშნული ზოგადი შენიშვნების გარდა საჭიროდ მივიჩინეთ მოგვეყვანა ზოგიერთი პრინციპული ხასიათის შენიშვნაც.

ნაძალადევი სიკვდილით გარდაცვლილი 6 მსჯავრდებულის შემთხვევაში ექსპერტთა დასკვნების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- 613 – სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია მარყუჟზე ჩამოკიდებით. შენიშვნები:
 1. აქტის აღწერილობით ნაწილში სტრანგულაციური ღარის მდებარეობა არის „ქვემოდან ზემოთ მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული“, ხოლო დასკვნით ნაწილში გამოტანილია საპირისპირო – „ქვემოდან ზემოთ მარცხნიდან მარჯვნივ“.

2. აქტის აღწერილობით ნაწილში არ არის აღწერილი მარცხენა მტევნის I-II თითებს შორის ხელზურგის ზედაპირზე არსებული ნაჭდევი, ხოლო დასკვნით ნაწილში ჩნდება აღნიშნული დაზიანება.
3. დასკვნაში მითითებულია, რომ მარჯვენა წინამხრის ზემო მესამედში არსებული სწორკიდებიანი ჭრილობები განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე დროის უახლოეს პერიოდში, მაგრამ აქტის აღწერილობითი ნაწილიდან გაუგებარია, როგორ დაადგინა ექსპერტმა ამ დაზიანებების სიცოცხლისდროინდელი და ხანდაზმულობა.

■ 630 – სიკვდილის მიზეზია ელექტროტრავმა.

შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული ექსპერტიზის დაწყების საათი.
2. დადგენილებიდან ირკვევა, რომ მიხეილ თ. მოკვდა 23.07.2006, 14 სთ 05 წთ-ზე. გვამის გარეგნული დათვალიერებით ექსპერტი აღნიშნავს, რომ „ხელის შეხებით ყველგან თბილია, გვამური გაშეშება გამოხატული არ არის, გვამური ლაქები გამოხატული არ არის“ და არსად არ არის აღწერილი სიკვდილის დამადასტურებელი უტყუარი ნიშნები. როგორც ცნობილია, გვამური ლაქები ოთახის ტემპერატურაზე ვითარდება სიკვდილიდან 2-4 საათში, ხოლო გვამი გაიკვეთა ივლისში და გარემოს მაღალი ტემპერატურის გამო გვამური ლაქები უნდა განვითარებულიყო უფრო ადრე. გაუგებარი რჩება, როგორ და ვის მიერ მოხდა სიკვდილის კონსტატაცია და რატომ გაიკვეთა გვამი ასე მალე.

■ 646 – სიკვდილის მიზეზია მწვავე ნარკოტიკული ინტოქსიკაცია გამონვეული ჰეროინით.

შენიშვნები:

1. გვამი გაიკვეთა სიკვდილიდან სამ საათში, რატომ?

■ 658 – „სიკვდილის უშუალო მიზეზია სუნთქვის მწვავე უკმარისობა განვითარებული გულმკერდის მიდამოში გამჭოლი ცეცხლნასროლი დაზიანების შედეგად, გამონვეული მარჯვენა ფილტვის და მარცხენა პლევრალური ღრუს დაზიანების გამო. ჯაბა ჯ.-ს გვამს სხეულზე აღენიშნება ცეცხლნასროლი ჭრილობის შესავალი ხვრელის სახით მარჯვნივ მხრის ზემოთა მესამედში, გამოსავალი ხვრელის სახით მარცხნივ გულ-მკერდის უკანა ზედაპირზე (ლოკალიზაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში)“.

შენიშვნები:

1. აქტის დასკვნით ნაწილში ექსპერტი ადგენს, რომ შემავალი ხვრელი არის მარჯვენა მხრის არეში, ხოლო გამოსავალი – მარცხნივ გულმკერდის მიდამოში. სამედიცინო დოკუმენტებში ქირურგები მიუთითებენ პირიქით. ექსპერტს არ ჩაუტარებია რაიმე სპეციფიკური გამოკვლევა, რის მიხედვით შეცვალა ჭრილობის მიმართულება.

■ 749 – სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია ზემო სასუნთქი გზების „მარყუჟით გადაკეცივით“.

შენიშვნები:

1. შეუსაბამობაა მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ აღწერილობებს შორის: სტრანგულაციური ღარიდან (სავარაუდოდ!) აღებულ კანის ნაჭერში მიკროსკოპული გამოკვლევით სისხლჩაქცევები ან სიცოცხლიდროინდელი დაზიანებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სურათი აღწერილი არ არის.
2. სხეულზე არსებული დაზიანებების ხანდაზმულობა დასკვნაში მითითებული არ არის.
3. სიკვდილის მიზეზად უნდა ეწეროს არა „მარყუჟით გადაკეცივით“, არამედ მარყუჟზე ჩამოკიდებით.

■ 784 – სიკვდილის მიზეზია დაზიანება განვითარებული რაიმე მკვრივი ბლავგი საგნის ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია „თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება, ღეროს დისილოკაცია“.



ცხრილი. შემთხვევათა რაოდენობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით.

№	სიკვდილის მიზეზი	დასკვნის №	შემთხვევა
ნაკალაღევი			6
1.	მექანიკური ასფიქსია	613, 749	2
2.	მექანიკური დაზიანება	658, 784	2
3.	ელექტროტრავმა	630	1
4.	ქიმიური მონამვლა	646	1
არანაკალაღევი			23
5.	ტუბერკულოზი	603, 645, 670, 742, 745, 771	6
6.	ფილტვების ანთება	671, 677, 682, 720, 750, 795	6
7.	გულის პათოლოგია	632, 97, 655, 1299/1-გ, 678,	5
8.	კიბო	657, 679, 760	3
9.	ღვიძლის ციროზით	31	1
10.	სამედიცინო ჩარევის გართულება	708, 744	2
სულ			29

არანაკალაღევი (ავადმყოფობით გამოწვეული) სიკვდილის მიზეზები იყო: 6 შემთხვევაში ტუბერკულოზი (603, 645, 670, 742, 745, 771), 6 შემთხვევაში ფილტვების ანთება (671, 677, 682, 720, 750, 795), 5 შემთხვევაში გულის პათოლოგია (632, 97, 655, 1299/1-გ, 678,), 3 გარდაიცვალა კიბოთი (657, 679, 760), 1 – ღვიძლის ციროზით (31), 2 — სამედიცინო ჩარევის გართულების შედეგად (708, 744).

ექსპერტთა დასკვნების ანალიზის შედეგადაც კი გაუგებარია ზოგიერთ შემთხვევაში მსჯავრდებულის სიკვდილის მიზეზი, კერძოდ:

■ 655 – სიკვდილის მიზეზია სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რომელიც განვითარდა უცნობი ეტიოლოგიის ინტოქსიკაციის შედეგად.

შენიშვნები:

1. თანატოგენები ექსპერტის მიერ არ არის დასაბუთებული.

■ 1299/1-გ – „1. ანზორ ჩ.-ს გვამზე აღენიშნება მარცხენა ყურის სასმენი აპკის დაზიანება. (დაზიანება აქტში აღწერილი არ არის).. 2. ანზორ ჩ.-ს სიკვდილის უშუალოდ გამომწვევი მიზეზია ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობით განვითარებული სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში შეგუბებით, რამაც გამოიწვია გულ-სისხლძარღვთა მწვავე იშემიური დაავადება“ (კომენტარი ზედმეტია!)... 3. ანზორ ჩ.-ს გარდაცვალებამდე ჰქონდა თუ არა მიღებული ალკოჰოლი ან თუ იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. პასუხი შეგიძლიათ მიიღოთ ნარკოლოგიურ განყოფილებაში, რომელსაც გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ჩატარებული აქვს გამოკვლევები ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე“.

შენიშვნები:

1. სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი არ გამომდინარეობს აქტის აღწერილობითი ნაწილიდან და ჰისტოლოგიური დიაგნოზიდან (!).
3. დოკუმენტის სამედიცინო ტერმინოლოგიაში და დიაგნოზში არის უხეში შეცდომები.
4. სიკვდილის მიზეზი აბსოლუტურად გაუგებარია.

5. დასკვნით ნაწილში კითხვაზე დაზიანებების შესახებ ექსპერტი პასუხობს: გვამზე აღენიშნება მარცხენა ყურის სასმენი აპკის დაზიანება, რომელიც აქტში აღწერილი არ არის. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ ადგენს ამ დაზიანების ხანდაზმულობას.
6. არ არის შესრულებული გამოძიების დავალება ალკოჰოლისა და ნარკოტიკების არსებობაზე და მითითებულია უსაფუძვლო მიზეზი.
7. არ უკეთებს უკეთებს ინტერპრეტაციას თავის არეში ორ სისხლჩაქცევას, ფილტვებში და თავის ტვინში სისხლჩაქცევებს, ღვიძლის პათოლოგიურ გადაგვარებას, ხოლო ამავე დროს რას ეყრდნობა დიაგნოზში მოყვანილი „თირკმელებში მწვავე ანებიითი პროცესი“, აბსოლუტურად გაუგებარია.

ექსპერტის დასკვნა №97-ის გაცნობისას ჩამოგვიყალიბდა მოსაზრება, რომ ეს შემთხვევა მოითხოვს უფრო ღრმად შესწავლას, რადგან მსჯავრდებულს უარი ეთქვა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე, რაც ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით!

აღსანიშნავია, რომ ზაფხულის პერიოდში, ეპიდემიის არარსებობისას, XXI საუკუნეში ფილტვების ანთებით ორ თვეში კვდება 6 მსჯავრდებული!

აღსანიშნავია, რომ მძიმე ფორმის ტუბერკულოზით, გულის მძიმე ქრონიკული პათოლოგიით და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, განუკურნებელი სნეულებით – კიბოთი იხოცებიან ავადმყოფები, რომელთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა აზრს კარგავს და მიგვაჩნია, რომ უაღრესად არაჰუმანურია!

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ სასამართლო ხელისუფლებისა და სასამართლო აქტებისადმი განსაკუთრებული პატივისცემის და მორჩილების მოთხოვნები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციასა და სხვადასხვა კანონებში.

ოფიციალური მონაცემებით 2006 წლის განმავლობაში სააღსრულებო დეპარტამენტის სააღსრულებო ბიუროების მიერ აღსრულდა 26 166 საქმე. სხვადასხვა მიზეზით დამთავრდა 10 631 საქმე, ხოლო ბიუჯეტის წინააღმდეგ აღსრულდა 302 საქმე.

სულ შესრულებულ საქმეთა პროცენტმა საერთო ჯამში შეადგინა დაახლოებით 44%, რომელიც შეეხებოდა არამხოლოდ თანხის გადახდევინებას, არამედ სხვა კატეგორიის საქმეებსაც (გამოსახლება-შესახლება,

სამუშაოზე აღდგენა, ალიმენტი და ა.შ.). ბიუჯეტის ან საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ აღსრულებულ საქმეთა პროცენტმა შეადგინა 12%, რომლის თანხობრივი გამოხატულებაა 3 513 658, 92 ლარი და 80 443 აშშ დოლარი.

როგორც ვხედავთ, აღსრულებული საქმეებიდან ბიუჯეტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საქმეების მხოლოდ მცირე ნაწილია აღსრულებული, რაც მხოლოდ 12% პროცენტს შეადგენს, სწორედ ამიტომ ყველაზე ბევრი საჩივარი სწორედ ამ კუთხით არის მიმართული. მოქალაქეები სახალხო დამცველისადმი მიმართვაში ხშირ შემთხვევებში მიუთითებენ, მაგალითად, აღსრულებულ სახელფასო დავალიანებებზე და ა.შ.

ზაურ ამილახვარის საქმე

2006 წლის 28 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ზაურ ამილახვარმა სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიების საქმეთა პალატის 2006 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. 2006 წლის

15 მარტს გაიცა №ბს-991-577(2კ-05) სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმადაც ზ.ამილახვარის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 2 აგვისტოს №5-1407 ბრძანება „ზაურ ამილახვარის გათავისუფლების შესახებ“ და დაევალა ფინანსთა სამინისტროს ზ. ამილახვარისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლებიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე.

სააღსრულებო ფურცელი, დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში, თუმცა, განმცხადებელი მიუთითებს, რომ აღსრულება დიდი ხნის განმავლობაში არ მომხდარა.

საქართველოს კონსტიტუციით და სხვა კანონებით აღიარებულია, რომ „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება ევალება სასამართლო აღმასრულებელს. შესაბამისად, როდესაც არ სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება, იწყება იძულებითი საქმის აღსრულების წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს საქმის აღსრულების მოთხოვნით. აღნიშნული დეპარტამენტის პასუხის თანახმად, 2006 წლის 15 მარტს გაცემული №ბს-991-577(2კ-05) სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სასამართლო აღმასრულებელმა, ო. ჩალათაშვილმა 28.03.06 წელს ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნა წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების 3 თვის ვადაში ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ. მათ თანხა უნდა ჩაერიცხათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სპეციალური ჯგუფის სადეპოზიტო ანგარიშზე.

2006 წლის 27 ივნისს ფინანსთა სამინისტროს განმეორებით გაეგზავნა წერილი, რომელშიც მოთხოვნილი იყო ინფორმაცია ზ. ამილახვარის განაცდური ხელფასის ოდენობის შესახებ გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური აქტის გამოცემამდე, რაზედაც პასუხი სააღსრულებო დეპარტამენტს არ მიუღია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის სპეციალურ ჯგუფს მიეცა მითითება, კვლავ მიმართოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნით, სასამართლო გადაწყვეტილების დროულად აღსრულების მიზნით.

ომერ მელაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ომერ მელაძემ სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 11 სექტემბერის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ომერ მელაძის სასარჩელო მოთხოვნა ხელვაჩაურის რაიონში კომლის წევრად ცნობაზე და დაბლობში საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე. ხელვაჩაურის რაიონის შარაბიძეების საკრებულოს გამგეობას დაევალა მოსარჩელე ომერ მელაძის კომლად დარეგისტრირება და სარეფორმო-სარეზერვო ფონდში რიცხული მიწებიდან მისთვის საკარმიდამო ნაკვეთის ზღვრული ნორმის გამოყოფა.

2004 წლის 9 ივნისს გაიცა №2-479 სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილ იქნა აჭარის სააღსრულებო ბიუროში, თუმცა, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ აღსრულება არ მომხდარა.

საქმის შესწავლის შემდეგ, აღსრულების გაჭიანურების საფუძველი არ გამოიკვეთა, რის გამოც „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო



დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აჭარის სააღსრულებო ბიუროს №2-479 სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით.

რეკომენდაციის პასუხის თანახმად, მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინადადება ჩაბარდა ხელვაჩაურის რაიონის შარაბიძეების საკრებულოს, ასევე გაიმართა შეხვედრა რაიონის გამგეობასთან. შარაბიძეების საკრებულო და რაიონის გამგეობა გადაწყვეტილების აღსრულებლობის მიზეზად ასახელებს მინების სარეფორმო ფონდში ჩარიცხვის პროცესის შეჩერებას და აღნიშნავენ, რომ მისი განახლებისთანავე დააკმაყოფილებენ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნებს.

ნათელა მენტეშაშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნათელა მენტეშაშვილი. მისი განმარტებით, არ აღსრულებულა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ნათელა მენტეშაშვილის სააპელაციო სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2004 წლის 20 ივლისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მოპასუხე შოთა მარტიაშვილს დაეკისრა მოსარჩელისათვის 20 000 აშშ დოლარის ლარებში შესაბამისი ექვივალენტით გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და სააღსრულებო ფურცელი №2ბ/143-05 წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში. მოქალაქე განცხადებაში მიუთითებდა, რომ სასამართლო აღმასრულებლები ხელოვნურად აჭიანურებდნენ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, მრავალი განცხადების წარდგენის მიუხედავად არ აყადალებდნენ მოვალის ქონებას (სახლი დაბა წყნეთში, აღმაშენებლის ქ. №41^ა) და არ ახდენდნენ მის იძულებით რეალიზაციას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი განსაზღვრავს სასამართლო აღმასრულებლის უფლებამოვალეობებს და იძულებითი აღსრულების პირობებში მისი მოქმედების წესებს, რომლის თანახმად, სასამართლო აღმასრულებელმა, კრედიტორის დასაკმაყოფილებლად გადახდევინება უნდა განახორციელოს:

- „ა.ა) მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ხოლო თუ საკითხი ეხება სახელმწიფო ქონებას, აცნობოს ამის შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის ადგილობრივ ორგანოს;
- ა.ბ) მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლებიდან;
- ა.გ) მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან: აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.“

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ფულის ან ქონების გადახდევინებას, სასამართლო აღმასრულებელი მოვალისათვის გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების წინადადების ჩაბარებასთან ერთად, დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას და დაყადალებას, რომლის (როგორც უძრავი ისე მოძრავი ქონების) იძულებითი წესით რეალიზაცია უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით.

ვინაიდან, სასამართლო გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებული და კრედიტორის კანონიერი მოთხოვნები დღემდე არ დაკმაყოფილებულა, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ უხეშად დაირღვა მოქალაქე ნათელა მენტეშაშვილის უფლებები, რის გამოც რეკომენდაციით მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს საქმის დროული აღსრულების მოთხოვნით.

სააღსრულებო დეპარტამენტის ცნობით, წარმოების მიმდინარე ეტაპზე აღწერილ იქნა და დაყადალდა მოვალის საცხოვრებელ ბინაში არსებული მოძრავი ნივთები, დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნისა და მოქალაქის წარმომადგენლის გამოცხადების შემდეგ მიიღებდნენ სათანადო ზომებს.

ცენტერაძე-ქავთარაძის საქმე

2006 წლის 26 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მარგალიტა ცენტერაძე-ქავთარაძემ სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წლის 15 ოქტომბერს გაცემულია №2/791-04 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმადაც დაკმაყოფილდა მარგალიტა ცენტერაძე-ქავთარაძის შეგებებული სარჩელი. გიორგი ქავთარაძეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის, ქეთი ქავთარაძის და მისი მეუღლის სასარგებლოდ ყოველთვიურად ალიმენტის სახით 50 ლარის გადახდა.

სააღსრულებო ფურცელი დადგენილი წესის თანახმად წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში, თუმცა, აღსრულება დღემდე არ მომხდარა.

აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა ახსნა-განმარტებისთვის მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს. დეპარტამენტის უფროსის ახსნა-განმარტების მიხედვით, საქმე №2/791-04 აწარმოებდა სასამართლო აღმასრულებელი კახაბერ ფეიქრიშვილი. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მოვალე მხარეს, გიორგი ქავთარაძეს ჩაბარდა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. ამის შემდგომ მოვალის უძრავ-მოძრავი ქონების მოძიების მიზნით, სასამართლო აღმასრულებლის მიერ გაეგზავნა შესაბამისი მიმართვები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და შსს საინფორმაციო ცენტრს. სასამართლო აღმასრულებლის მიერ გატარებული სააღსრულებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი №14-ში მდებარე უძრავი ქონება არ ირიცხება გიორგი ქავთარაძის სახელზე. ასევე დადგინდა, რომ სექტემბრის თვეში მოვალე გ. ქავთარაძემ შესაბამის ანგარიშზე გადარიცხა საალიმენტო თანხა – 200 ლარი. ზემოაღნიშნული საქმის აღსრულების მიმდინარეობა სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე კონტროლზე აიყვანა სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

გოდერიძის, ჯავახიშვილის, ბექაურის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა ნათელა გოდერიძემ, მანანა ჯავახიშვილმა და ელეონორა ბექაურმა სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ 2004 წლის 15 იანვარს გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კორპორაცია „ქოლორის“ მენაბრეთა ჯგუფის რწმუნებულის ნ. გოდერიძის სასარჩელო მოთხოვნა. მოპასუხეებს: პ. ტოხიშვილს, გ. ქავთარაძეს, თ. ბურდულს, ნ. პაპიაშვილს, გ. ხუციშვილს და ა. მურჯიკნელს დაეკისრათ ქონების კანონიერი მფლობელებისთვის გადაცემა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 49-ე მუხლების შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2004 წლის 20 მაისს გაიცა №2/29 სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში, თუმცა, განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ აღსრულება წლების განმავლობაში არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა კახეთის სააღსრულებო ბიუროს №2/29 სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, თუმცა აღნიშნულ საკითხზე არაერთი შეხსენების მიუხედავად სახალხო დამცველს პასუხი არ მიუღია, მოქალაქეები კი აცხადებენ, რომ საქმე კვლავ არ არის აღსრულებული.



ზურაბ ხახვიაშვილის საქმე

2006 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ზურაბ ხახვიაშვილი სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ 2006 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ლუბა ხახვიაშვილის, ფედოსია ვერიგინას და ნარგიზა ვერიგინას სასარჩელო მოთხოვნა. მოპასუხეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელებსათვის თანხის ანაზღაურება; კერძოდ ლ. ხახვიაშვილისთვის 1277 ლარისა და 40 თეთრის, ფ. ვერიგინასთვის 1361 ლარისა და 64 თეთრის და ნ. ვერიგინასთვის 1363 ლარისა და 74 თეთრის გადახდა.

2006 წლის 10 აპრილს გაიცა №3/1898-06 სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში, თუმცა, განმცხადებელი მიუთითებს, რომ აღსრულება თვეების განმავლობაში არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს ზემოაღნიშნული საქმის აღსრულების მოთხოვნით. დეპარტამენტის თავმჯდომარის, ს. ელისაბედაშვილის პასუხით ცნობილი გახდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსასრულებლად წარმოებაში ჰქონდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღმასრულებელ სპეციალურ ჯგუფს. თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს ჩაბარდათ წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რაც მოვალის მხრიდან არ შესრულებულა. აქედან გამომდინარე, საქმე იმყოფებოდა იძულებითი აღსრულების სტადიაზე. ამასთან, სააღსრულებო დეპარტამენტის სპეციალურ ჯგუფს სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მიეცა მითითება, დროულად უზრუნველყოს აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

მარინა ნადარეიშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საადვოკატო ბიურო „ნიქვაძე და კუპატაძის“ ადვოკატმა მ. ნიქვაძემ, მოქალაქე მარინა ნადარეიშვილის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების არაღსრულების თაობაზე.

განცხადებიდან და თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 მარტის №2/937-02 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ნადარეიშვილის სარჩელი, მისი შვილის მამუკა კობხეიძის სამხედრო სამსახურის შესრულების დროს ავტოკატასტროფაში დაღუპვის გამო ერთჯერადი დახმარების შესახებ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასახდელად დაეკისრა 13388 ლარი და 40 თეთრი.

გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2004 წლის 12 ივლისს, რაც დადგენილი წესის თანახმად, წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში, თუმცა, განმცხადებელი მიუთითებს, რომ აღსრულება დიდი ხნის განმავლობაში არ მომხდარა.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაირღვა მოქალაქის უფლებები, რის გამოც რეკომენდაციით მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს საქმის აღსრულების მოთხოვნით.

სააღსრულებო დეპარტამენტის 2006 წლის 1 აგვისტოს წერილიდან გაირკვა, რომ სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორია – მარინა ნადარეიშვილი, ხოლო მოვალე – შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოებაში აქვს სააღსრულებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალურ ჯგუფს, რომელსაც სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე მიეცა შესაბამისი მითითება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის და სააღსრულებო მოქმედებების დროულად გატარების შესახებ.

ყოჩიაშვილისა და ნათელაძის საქმე

2006 წლის 18 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: ჯ.ყოჩიაშვილმა და გ.ნათელაძემ.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, განმცხადებლები მუშაობდნენ დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის №52 ბრძანებით ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

განმცხადებლებმა სარჩელით მიმართეს დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 15 აპრილის ბრძანება, ჯ.ყოჩიაშვილი და გ.ნათელაძე აღდგენილ იქნენ სამუშაოზე და დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაეკისრა მათ სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარეს არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად იგი შევიდა კანონიერ ძალაში და ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი №07/1237.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №145 ბრძანების თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 2 სექტემბრის №2-200 ბრძანებით ლიკვიდირებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – რაიონული სამმართველოები და კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა საამისოდ უფლებამოსილ პირს – მინისტრის მოადგილეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სასამართლო აღმასრულებელმა მიმართა სოფლის მეურნეობის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს მოთხოვნით, სალიკვიდაციო ბალანსში გათვალისწინებული ყოფილიყო აღნიშნული დავალიანება, რაც კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

ლიკვიდაციის დასრულების შემდგომ სააღსრულებო ფურცელი განმცხადებელს დაუბრუნდა შეუსრულებელი სახით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ქმედების საფუძველად მითითებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-1-16/1830 წერილი, რომლითაც მინისტრის მოადგილე ლ. ბეგიაშვილი აღნიშნავს, რომ სამინისტროსთვის უცნობია, თუ ვინ წარმოადგენს სამმართველოს სამართალმემკვიდრეს.

სახალხო დამცველის წერილის პასუხად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე მირიან დეკანოსიძე განმარტავს, რომ სალიკვიდაციო კომისიის მიერ შედგენილ ქონების აღწერის აქტის წარმოდგენა შეუძლებელია, ვინაიდან ორგანიზაციას საბალანსო მონაცემებით ქონება ლიკვიდაციის მომენტისთვის არ ერიცხებოდა. რაც შეეხება სამართალმემკვიდრეობის საკითხს, სამინისტრომ განმარტა, რომ დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს ლიკვიდაციის შემდეგ (ლიკვიდაცია კი ნიშნავს საწარმოს გაუქმებას) სამმართველოს არ გააჩნდა არავითარი ქონება, ამდენად, არ განისაზღვრა მისი სამართალმემკვიდრე.“

უპირველეს ყოვლისა, საწარმო წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია აღნიშნული კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საქმიანობას ახორციელებს ორგანიზებულად, დამოუკიდებლად და მოგების მიღების მიზნით, ხოლო სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები წარმოადგენენ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ წარმონაქმნს.



რაც შეეხება სამართალმემკვიდრეობის საკითხს, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №38 დადგენილებით განსაზღვრულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა, რომელიც მოიცავს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს. აღნიშნული ტერიტორიული ორგანოები საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებამდე წარმოადგენდნენ რაიონულ სამმართველოებს.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 იანვრის №19 დადგენილებით განისაზღვრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმდროინდელი ტერიტორიული ორგანოების – რაიონული სამმართველოების დაფინანსება, რაც ხორციელდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 21 აპრილის №2-108 ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – რაიონული სამმართველოების ტიპური დებულება. აღნიშნული დებულებით განსაზღვრული იყო, რომ სამმართველო წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს შესაბამის რაიონში. სამმართველოს უფროსს, მის მოადგილეს და სამმართველოს მოხელეებს ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა სოფლის მეურნეობის მინისტრი, სამმართველო ანგარიშვალდებული იყო მინისტრის წინაშე, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციით, სხვა კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და განკარგულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი უფლებამონაცვლეობის საკითხი აშკარა იყო. განმცხადებლებზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება, უნდა აენაზღაურებინა ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომლის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა იმჟამად ლიკვიდირებული სამმართველო.

სააღსრულებო ფურცლის დაბრუნებით დაირღვა განმცხადებლის კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული და უზრუნველყოფილი შრომითი უფლებები. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“

სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა აღუსრულებელი, რის გამოც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობით დაცული ადამიანის უფლებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს, დაევალებინა შესაბამისი თანამდებობის პირებისთვის სააღსრულებო წარმოების განახლება დასახელებულ საქმესთან დაკავშირებით და განეხორციელებინა კონტროლი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებზე.

რეკომენდაცია შესრულდა. სააღსრულებო დეპარტამენტის ცნობით საქმეზე განახლდა წარმოება და დაიწყო სააღსრულებო მოქმედებები.

კოლექტიური განცხადება მერიის წინააღმდეგ

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ქ.თბილისში მცხოვრებმა 1992-93 წლების მოვლენების შედეგად დაზარალებულმა მოქალაქეებმა.

განცხადებისა და თანდართული მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულმა მოქალაქეებმა 2002 წელს სარჩელით მიმართეს ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ.თბილისის მერიისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების, 4606845 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის სოლიდარულად დაკისრება.

მოსარჩელეთა მოთხოვნა ემყარებოდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულებას „ქ. თბილისში 1991-2 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა მშენებლობისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების პროგრამის შესახებ“.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა მათი სარჩელი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიას დააკისრა 4 606 845 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის მერიისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გასაჩივრებულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი საკასაციო საჩივარი და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გაიცა სააღსრულებო ფურცლები სულ 157 ცალი და ჩაბარდა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ ასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას, ხოლო სააღსრულებო დეპარტამენტი არ ახორციელებდა იძულებით აღსრულებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ახსნა-განმარტებისათვის მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს და მოითხოვა ამომწურავი ინფორმაცია, რატომ ჭიანურდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება, აგრეთვე, მიუთითა ადამიანის უფლებათა დარღვევის თაობაზე და სათანადო ღონისძიებების გატარებაზე.

სააღსრულებო დეპარტამენტიდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ აღნიშნული საქმე წარმოებაში აქვს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა აღსასრულებლად შექმნილ სპეციალური ჯგუფს, რომლის მიერაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის თანახმად, მოვალე მხარეს ჩაბარდა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რაც მოვალის მხრიდან არ იქნა შესრულებული. წერილში ასევე ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული საქმე იმყოფება იძულებითი აღსრულების სტადიაში.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ აღსრულებელ საქმეთა უმეტესობა ბიუჯეტის წინააღმდეგ მიმართული საქმეებია, რომელთა თაობაზეც სააღსრულებო დეპარტამენტი სტანდარტული პასუხებით შემოიფარგლება, რეალურად კი მოქალაქეები შემდგომში კვლავ მიმართავენ სახალხო დამცველს და აღნიშნავენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებანი კვლავ აღსასრულებელია.

დეპარტამენტის ცნობით, 2007 წლის ბიუჯეტში გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად ათი მილიონი ლარია გამოყოფილი.

მიუხედავად ამისა, ეს არ არის საკმარისი ყველა გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაფაროს წლების განმავლობაში დაგროვილი დავალიანება.





ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება

ევროსასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქმის გადასინჯვის მექანიზმის დამკვიდრების აუცილებლობა

ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების გარკვეული ნაწილი ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობას ეხება, რაც ევროსასამართლოს მიერ ევროკონვენციის მე-6 მუხლში მოცემული სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევად განიხილება¹.

საქართველოში ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების ან გადახედვის მექანიზმის არარსებობაა.

იმის გამო, რომ ევროპის საბჭოს ბევრი წევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებდა ამგვარ პროცედურას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2000 წლის 19 იანვარს მიიღო რეკომენდაცია No. R(2000)2 „ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განაჩენების საფუძველზე ეროვნულ დონეზე ზოგიერთი საქმის გადასინჯვის ან ხელახალი წარმოების შესახებ“.

რეკომენდაციის მთავარი პრინციპია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გზით უნდა მიიღწეოდეს კონვენციის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება (*restitutio in integrum*); ხოლო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ შედეგის მიღწევის ერთ-ერთი, ზოგ შემთხვევაში კი ერთადერთი ეფექტური გზა სწორედ საქმეების გადასინჯვაა.

რეკომენდაციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ გადასინჯვა ზოგადი ტერმინია და მოიცავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვის მექანიზმსაც. იმავე განმარტებით ბარათის მიხედვით, მართალია თავად რეკომენდაციის ტექსტი არ აზუსტებს, თუ ვინ შეიძლება მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს ან სასამართლოს საქმის გადასინჯვის მოთხოვნით, მაგრამ ლოგიკური იქნებოდა, რომ ეს უფლება მიეცეს დაინ-

¹ 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“; 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებები „შპს „იზა“ და მაკრაზიძე საქართველოს წინააღმდეგ“ და შპს „ამატ-ს“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ; 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“.

ტერესებულ პირებს, კერძოდ კი მათ, ვისაც უშუალოდ ეხება ევროსასამართლოს გადაწყვეტილება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა კონსტანტინე კორკელიამ გვაცნობა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთ ზოგად ღონისძიებად დაგეგმილია საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა, რომლის თანახმადაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელი იქნება საქმის ხელახალი გახსნა, ხოლო კრედიტორისათვის შესაძლებელი იქნება აღსრულების დაგვიანებისათვის კომპენსაციის მიღება. ჩვენი აზრით, იუსტიციის სამინისტროს ეს ინიციატივა მისასალმებელია და სასურველია, უმოკლეს დროში მომზადდეს აღნიშნული პროექტი და დაიწყოს მისი განხილვა.

რაც შეეხება აღსრულების ფინანსურ მხარეს, კერძოდ კი ამ მიზნებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილებას სახელმწიფო კრედიტორებს შორის, ბატონმა კორკელიამ გვაცნობა, რომ ეს საკითხი სცილდება მათი უწყების კომპეტენციას და მიუხედავად მათი მხრიდან ფინანსთა სამინისტროსადმი არაერთგზის მიმართვისა, ამ უკანასკნელს ჯერაც არ შეუშუშავებია წლობით აღსრულებელი იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სამოქმედო გეგმა, რომლებშიც მოპასუხე მხარეს საბიუჯეტო ორგანიზაციები წარმოადგენს.

2007 წლის საბიუჯეტო კანონით ზემოაღნიშნული დავალიანების დაფარვისათვის გათვალისწინებულია 10 მილიონი ლარი. აღსრულებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ზრდა მისასალმებელია, თუმცა გამოყოფილი თანხის ოდენობა არ უნდა იყოს განხილული, როგორც სააღსრულებო ლიმიტი და იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება ამ თანხას გადააჭარბებს, გადაწყვეტილებების აღსრულება არ უნდა შეფერხდეს.

იმისათვის, რომ ზუსტად გაირკვეს სახელმწიფო დავალიანებების გადახდის პრინციპები და ვადები, აუცილებელია შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

რეკომენდაციით მივმართავთ ფინანსთა სამინისტროს, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს აღნიშნული სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც მოხდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობასთან დაკავშირებული სახელმწიფო დავალიანებების აღმოფხვრა. მით უმეტეს, რომ 2006 წლის 7 აგვისტოს წერილით საქართველოს ოფიციალურმა უწყებებმა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს უკვე აცნობა, რომ აღნიშნული გეგმა მომზადების პროცესშია.

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სისტემის სრულყოფა

ზემოაღნიშნული პრობლემის გარდა, საქართველოს წინააღმდეგ 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, გამოიკვეთა საქართველოში არსებული სააღსრულებო წარმოების მექანიზმის კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის და კერძოდ კი მისი 26-ე და 113¹ მუხლების შესაბამისობას სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან. აღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, „სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს, კრედიტორის მიერ კანონით გათვალისწინებული წინასწარი ხარჯის გაუღებლობის შემთხვევაში უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე.“ 113¹ მუხლის თანახმად „მოვალისგან მოსაკრებელი ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად.“

ევროპელი მოსამართლეების აზრით, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ხარჯების



წინასწარი გადახდის ვალდებულება წმინდა ფინანსური სახის დაბრკოლებას წარმოადგენს, რის გამოც, ეს პროცედურა, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღებით გადახედვას². სასამართლო მიიჩნევს, რომ აღსრულების პროცედურის ორგანიზებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების მოსარჩელესათვის დაკისრებით სახელმწიფომ არ შეასრულა აღსრულების როგორც სამართლებრივი, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით ეფექტური სისტემის შექმნის პოზიტიური ვალდებულება³.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის (2004)5 რეკომენდაციის გათვალისწინებისათვის, რომელიც წვერი სახელმწიფოების კანონპროექტების, მოქმედი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიერ დაწესებულ სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს შეეხება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „სააღსრულებო წარმოებების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ, წინასწარ გადასახდელი აღსრულების მოსაკრებლის განსაზღვრა მოხდეს კრედიტორის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან შეიქმნას საფუძვლიანი გარანტიები მოსაკრებლის გადაუხდელობასთან დაკავშირებული არააღსრულების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

კონვენციის პროცედურული გარანტიების დარღვევა

პროცედურული გარანტიების დარღვევის საკითხი უშუალოდ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას არ შეეხება, თუმცა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ორგანოების მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოთხოვნების შესრულებასთან.

იმისათვის, რომ ევროსასამართლომ დაადგინოს კონვენციის დარღვევა, ყოველთვის არ არის აუცილებელი, რომ დადასტურდეს უშუალოდ მსგავსი დარღვევების ფაქტების არსებობა. საკმარისია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სავარაუდო დარღვევების გამოძიებაზე ან მათზე მსჯელობაზე უარის თქმა ან მოქალაქეების შესაბამისი საჩივრის იგნორირება. საქართველოს შემთხვევაში, ამის დასტურია 2006 წლის 17 ოქტომბრის ორი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებაში „დანელია საქართველოს წინააღმდეგ“, ევროსასამართლომ დაადგინა საქართველოს მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა. მომჩივანის, ბატონი დავით დანელიას განცხადებით, წინასწარი პატიმრობის დროს იგი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. მართალია, ევროსასამართლოსთვის მიწოდებულმა მასალებმა არ დაადასტურეს უშუალოდ ამ დარღვევების არსებობა, თუმცა საქართველოს მიმართ მინც გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი იმის გამო, რომ მიუხედავად დანელიას თხოვნისა, აღნიშნული ფაქტების გადამოწმებისა და შესაძლო დარღვევების გამოამჟღავნების მიზნით არავითარი გამოძიება არ ჩატარებულა, რაც, თავისთავად, უკვე ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს⁴.

გადაწყვეტილება „გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ შეეხება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ შიდა სასამართლოს მიერ მომჩივანის პირადი ცხოვრების ხელყოფის საკითხის განუხილველობა თავისთავად წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლით მონიჭებული გარანტიების დაუცველობას სახელმწიფოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ თავად სავარაუდო დარღვევები არა სახელმწიფო ორგანოების, არამედ კერძო პირებისაგან მოდიოდა.

² § 60

³ § 64

⁴ §§ 64-65

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციით მივმართავთ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს, ყოველთვის ყურადღებით გამოიძიონ ან განიხილონ მოქალაქეთა საჩივარი კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია:

- ფინანსთა სამინისტრომ უმოკლეს დროში უზრუნველყოს წლობით აღუსრულებელი სასამართლო გადანყვეტილებების აღსრულების მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- იუსტიციის სამინისტრომ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის (2004)5 რეკომენდაციისა და ევროსასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადანყვეტილების გათვალისწინებით, მოამზადოს ცვლილებები „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლებიც სააღსრულებო მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესებს შესაბამისობაში მოიყვანს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან;
- ყველა განცხადება ან საჩივარი, რომელიც ევროკონვენციის პრინციპების დარღვევის ფაქტებს ასახავს, კომპეტენტური ორგანოების მიერ სათანადო ყურადღებით იქნას განხილული და გამოძიებული.

13

საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტები

საკუთრების უფლება ერთერთი ყველაზე მყარად დაცული და გარანტირებული უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

საკუთრების უფლებას განმარტავენ, როგორც აბსოლუტურ უფლებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა მესამე პირი ვალდებულია თავი შეიკავოს სხვისი საკუთრების დარღვევისაგან. კერძო საკუთრების დაცვა არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი წინაპირობა და გარანტი.

კანონით დადგენილი მოთხოვნების მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც სწორედ საკუთრების უფლების ხელყოფას ეხება.

მარინა ბოჭორიშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ზ. ფოფხაძემ მისი მარნმუნებლების მ. ბოჭორიშვილისა და ნ. წერეთლის საკუთრების უფლების ხელყოფის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ მარინა ბოჭორიშვილს, ვაჟა ზაქარაშვილს და ნოდარ წერეთელს საერთო საკუთრებაში აქვთ მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით მდებარე ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №81-ში. აღნიშნულს ადასტურებს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საქმეში, აგრეთვე, წარმოდგენილია არქიტექტორის მიერ შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელმა, თავდაპირველად, მესაკუთრეები ზეპირად გააფრთხილა შე-

ნობის მოსალოდნელი დემონტაჟის შესახებ, ხოლო მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს მოქალაქე მ. ბოჭორიშვილმა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან მიიღო მინერილობა, რითაც ითხოვდნენ ობიექტის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენას ან ობიექტის დემონტაჟს.

საქართველოს კანონმდებლობით, დემონტაჟის წესი ზუსტად არის განსაზღვრული. კერძოდ, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟისა და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივი შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები იღებენ დადგენილებას.“ ამავდროულად მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნული დადგენილება უნდა იყოს დასაბუთებული და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, აღნიშნული ორგანოს მისამართს და გასაჩივრების ვადას, აგრეთვე ნორმატიული აქტის იმ ნორმას, რომლის დარღვევითაც მიმდინარეობდა მშენებლობა. დასახელებული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის დროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გაცნოს დადგენილებაში მითითებულ მხარეს. გაცნობად ჩათვლება აქტის განთავსება თვალსაჩინო ადგილზე. მხარეს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში გაასაჩივროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილება. ამასთან, კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ დადგენილების გასაჩივრება აჩერებს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების აღსრულებას. ამდენად, თუკი მხარე, დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივრებს შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, საბოლოო გადაწყვეტილება შენობის დემონტაჟის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მოქალაქეს გაუგზავნა მინერილობა, რასაც კანონი არ ითვალისწინებს.

საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებაში არსებულ ნივთს ისე, რომ არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონების ხელყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №81-ში მდებარე შენობის დემონტაჟის პროცესი მიმდინარეობდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც შეილახა მესაკუთრის კანონიერ უფლებებს. ამდენად, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერიას სათანადო რეაგირებისათვის.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, 2006 წლის 29 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის 2 საათზე განხორციელდა ამ ობიექტის დემონტაჟი, რასაც სახალხო დამცველის წარმომადგენელიც ესწრებოდა. შედგა ოქმი, რომელშიც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა, რომ მესაკუთრეს შესთავაზებენ ადგილმონაცვლეობას.

2007 წლის 8 იანვარს, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ქ.თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან მივიღეთ დაუსაბუთებელი და არაკომპეტენტური პირის მიერ შედგენილი პასუხი,



სადაც აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისში გაუმართლებელია ისეთი შენობა-ნაგებობების არსებობა, რომელთა იერსახე არ შეესაბამება ქალაქის განაშენიანების მოთხოვნებს, ხოლო გამოთავისუფლებულ ან ადგილმონაცვლე ტერიტორიაზე მის მესაკუთრეს უფლება აქვს განათავსოს ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელიც მისაღები იქნება დედაქალაქისათვის და რომლის პროექტიც შეთანხმებული იქნება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურთან და გაცემული იქნება მშენებლობის ნებართვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ქალაქის იერსახესთან შეუსაბამობის გამო. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერს და თავად ქალაქის მერია იყო ვალდებული განეხილა იგი და კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში ეცნობებინა პასუხი სახალხო დამცველისათვის. როგორც აღვნიშნეთ, პასუხი მივიღეთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ პასუხის მომზადებისას არც რეკომენდაცია და არც თანდართული მასალები არ იქნა შემოწმებული, ვინაიდან ჩვენს მიერ გადაგზავნილი იქნა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა, შესაბამისად, გორგასლის №81-ში მდებარე ობიექტის მშენებლობისას კანონის ყველა მოთხოვნა დაცული იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მარინა ბოჭორიშვილმა თხოვნით მიმართა თბილისის მერიას, მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე „კოკა-კოლას“ ჯიხურის განთავსების თხოვნით, რაზედაც უარი მიიღო. ამდენად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითება, რომ მესაკუთრეს სხვა ობიექტის განთავსების უფლება აქვს, სიმართლეს არ შეესაბამება.

დავით ასათიანის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე დ.ასათიანმა საკუთრების უფლების ხელყოფის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ დავით ასათიანმა 1997 წელს კონკურსის წესით შეიძინა პუშკინის სკვერში მდებარე პავილიონი და არქიტექტურულ სამსახურთან შეთანხმებით მოახდინა ამ შენობის რეკონსტრუქცია. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ დავით ასათიანი არის თავისუფლების მოედანზე პუშკინის სკვერში მდებარე შენობის (კაფე-ბარი „ია“) მესაკუთრე, ხოლო მინის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას.

განმცხადებლის განმარტებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელმა მესაკუთრე ზეპირად გააფრთხილა შენობის მოსალოდნელი დემონტაჟის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრში მესაკუთრეთა რეგისტრაცია განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს.“ ამდენად, დაუშვებელია პუშკინის სკვერში 16 კვ.მინის ნაკვეთის მესაკუთრედ სახელმწიფოს დარეგისტრირება და ამავე მიწაზე განთავსებული ობიექტის სხვის საკუთრებაში გადაცემა. თუმცა, დასახელებული კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.“ რეესტრის ჩანაწერის უზუსტობაზე არ უმსჯელია სასამართლოს, შესაბამისად, დავით ასათიანი ითვლებოდა ზემოაღნიშნული შენობის მესაკუთრედ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე, ზუსტად არის განსაზღვრული დემონტაჟის წესი, რაც მოცემულ შემთხვევაშიც არ იქნა დაცული.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ამჯერად მოქალაქე გააფრთხილა ზეპირად, რასაც კანონი არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერში მდებარე შენობის დემონტაჟის პროცესი მიმდინარეობდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რითაც შეილახა მესაკუთრის კანონიერი უფლებები. ამდენად, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიას და მოითხოვა საკითხის შესწავლის შემდეგ მიიღოთ სამართლებრივი გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული და ასათიანის საკუთრებაში არსებული ობიექტი დაინგრა.

რეკომენდაციაზე პასუხი მიღებულ იქნა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და კვლავ მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან. წერილში აღნიშნული იყო, რომ ვინაიდან კაფე-ბარი „ია“ წარმოადგენდა მსუბუქი ტიპის კონსტრუქციას, მასზე არ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი და „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, დავით ასათიანს მინა არ ჰქონდა საკუთრებაში, ის ფლობდა მას იჯარით და აღნიშნულ იჯარას ვადა 2005 წლის 10 აპრილს გაუვიდა. შესაბამისად, შენობა ექვემდებარებოდა დემონტაჟს.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილია დასათიანის მიმართვა ქ.თბილისის მერიის სახელზე, რომლითაც ითხოვდა იჯარის ვადის გაგრძელებას, თუმცა აღნიშნულზე პასუხი არ მიუღია. ამის საწინააღმდეგოდ არავითარი დოკუმენტაცია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან წარმოდგენილი არ ყოფილა. სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის თანახმად, დავით ასათიანმა ჩათვალა, რომ იჯარის ვადა გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით.

ამდენად, დავით ასათიანის უფლებების დარღვევას რეალურად ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო, როგორც შენობის მესაკუთრე და ამის კანონიერების შესახებ არ უმსჯელია სასამართლოს. შენობის დემონტაჟიც განხორციელდა მისი ნების საწინააღმდეგოდ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

შპს „ნიას“ საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს შპს „ნიას“ პარტნიორებმა მათი საკუთრების უფლების ხელყოფის შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ იურიდიულ პირს, შპს „ნიას“ საკუთრებაში აქვს მინის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით მდებარე ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №2-ში, რკინიგზის გადასასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულს ადასტურებს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საქმეში, აგრეთვე, წარმოდგენილია არქიტექტორის მიერ შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა.

თავდაპირველად ბრძანება გაიცა დროებითი მსუბუქი ტიპის პავილიონის მოწყობის პროექტის დამტკიცების თაობაზე, რაც შემდგომში შეიცვალა ნაძალადევის გამგეობის მიმართვის საფუძველზე და მესაკუთრეებს ნება დაერთოთ, მშენებლობა გაეგრძელებინათ სამშენებლო ბლოკით.

განმცხადებლების განმარტებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელმა, თავდაპირველად, მესაკუთრეები ზეპირად გააფრთხილა შენობის მოსალოდნელი დემონტაჟის შესახებ,



ამიტომ მათ განცხადებით მიმართეს დასახელებულ სამსახურს და მოითხოვეს ეცნობებინა მათთვის, რა სამართლებრივი საფუძვლით უნდა განხორციელდეს მათ საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟი. აღნიშნულთან დაკავშირებით, განმცხადებლებს მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან 18 დეკემბრის №20-5/02-3430 წერილით ეცნობათ, რომ ც. დადიანის ქ. №2-ში მდებარე ობიექტის დემონტაჟთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმის წარმოება არ დაწყებულა. ამის შემდეგ, მესაკუთრეთა განმარტებით, ისინი კვლავ გააფრთხილეს, რომ 2007 წლის 5 იანვრისთვის მოხდებოდა შენობის დემონტაჟი, საფუძვლად კი ქ. თბილისის მერის სიტყვიერი ბრძანება მიუთითეს.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ამჯერადაც უგულებელყო „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დემონტაჟის მოთხოვნები. აღნიშნული სამსახური მესაკუთრეს აფრთხილებს ზეპირად, რითაც მეორე მხარეს ერთმევა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება საკუთრების უფლების დაცვის მოტივით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2006 წლის 26 დეკემბერს კვლავ მიმართა რეკომენდაციით ქალაქ თბილისის მერიას და მოითხოვა საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, აგრეთვე, მოითხოვა ემსჯელა იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც მოქმედებენ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

დასახელებული რეკომენდაციის მიუხედავად, 2007 წლის 16 იანვარს შპს „ნიას“ მესაკუთრეებმა კვლავ მიმართეს სახალხო დამცველს და აცხადებდნენ, რომ კანონის უხეში დარღვევით ზედამხედველობის საქალაქო სამსახური იმავე დღეს 20 საათზე იწყებს მათი ობიექტების დემონტაჟს.

ადგილზე მივიდნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და დააფიქსირეს, რომ სამუშაოები დაწყებული იყო, კერძოდ, ენერგოკომპანიის თანამშრომლებმა გადაჭრეს ელექტროგაყვანილობა, თუმცა დემონტაჟი მიმდინარე წლის 17 იანვრის ღამეს განხორციელდა.

ყოველივე ამის შემდეგ, ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციიდან მიღებულ იქნა 22 იანვრის საპასუხო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ც. დადიანის ქ. №2-ში, გადასასვლელი ხიდის მიმდებარედ განთავსებული შპს „ნიას“ კუთვნილი სავაჭრო ობიექტის დემონტაჟის შესახებ მერიის არც ერთ სამსახურში რაიმე სახის სამართლებრივი აქტი არ გამოცემულა, ასევე, არ მომხდარა ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყება. სავაჭრო პავილიონის მესაკუთრეებს მიეცათ სიტყვიერი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში, კანონით დადგენილი წესით, შესაძლოა, მოხდეს პავილიონის დემონტაჟი. ბოლოს კი მითითებულ იყო შემდეგი: „იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მთავრობა, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტს აღნიშნული ობიექტის დემონტაჟს, დემონტაჟის პროცედურა განხორციელდება კანონის სრული დაცვით, ისე, რომ არ შეილახოს მესაკუთრეთა კანონიერი უფლებები.“

კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ დასახელებული წერილი თბილისის მერიიდან გამოგზავნილია 2007 წლის 22 იანვარს, მაშინ როდესაც 17 იანვარს, ხუთი დღით ადრე შპს „ნიას“ ობიექტები უკვე დანგრეული იყო.

სახალხო დამცველმა სხვისი საკუთრების უკანონო განადგურების გამო საქმეში არსებული მასალები გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა სათანადო რეაგირებისათვის.

2007 წლის 2 თებერვალს საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილიდან გაირკვა, რომ დოკუმენტაცია შპს „ნიას“ საკუთრების უფლების ხელყოფის თაობაზე გადაეგზავნა ქ. თბილისის პროკურატურას და დაევალა გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს და გენერალურ პროკურატურას.

წერეთლის მეტროსთან მდებარე სავაჭრო ცენტრის საქმე

2006 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდა ფოტოს ქ. №12-ში, მეტრო წერეთლის წინ მდებარე ტერიტორიაზე განთავსებული შენობის დემონტაჟი, რომელიც აგებული იყო შპს „ვოტუმის“ მიერ.

აღნიშნულ ფაქტს წინ უსწრებდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოხელეთა მიერ შპს „ვოტუმის“ მესაკუთრის სიტყვიერი გაფრთხილება დემონტაჟთან დაკავშირებით. აღნიშნულს ადასტურებს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს დიდუბე ჩუღურეთის პატრულ-ინსპექტორის მიერ 2006 წლის 14 ნოემბერს შედგენილი ოქმი.

2000 წლის 29 თებერვალს ქ. თბილისის მერიასა და შპს „ვოტუმს“ შორის 20 წლის ვადით დაიდო წერილობითი ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ. ხელშეკრულების დადების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 10 ივნისის №04.18.94 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული იყო შემდეგი: „შპს „ვოტუმს“ დაემაგროს მიწის ნაკვეთი დაახლოებით 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წერეთლის სახელობის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც დროებითი ღონისძიება, სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად.“

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მოიჯარის უფლება, საიჯარო მიწის ნაკვეთზე დემონტაჟებინა ყველა აუცილებელი და სხვაგვარი მოწყობილობა, რაც მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. მართალია ხელშეკრულებით უშუალოდ არ იყო განსაზღვრული იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობების აღმართვის წესი და პირობები, თუმცა ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ მოიჯარეს უფლება აქვს, ქვეიჯარით გასცეს საიჯარო ნაკვეთზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები. გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2000 წლის 7 მარტის №63 ბრძანებით შპს „ვოტუმსა“ და თბილისის მერიას შორის შეთანხმებული იქნა სავაჭრო ობიექტის მშენებლობის პროექტი იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო თბილისის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის 2000 წლის 9 მარტს გაცემული მშენებლობის ნებართვის შემდეგ ობიექტი მიღებული იქნა ექსპლუატაციაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.“ რამდენადაც ქ. თბილისის მერიასა და შპს „ვოტუმს“ შორის დადებული იქნა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულება, ხოლო ამის შემდგომ მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ შეთანხმებული იქნა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით არსებული პროექტი და გაცემული იქნა ნებართვა, აღნიშნული აქტები შეფასებული უნდა იქნეს, როგორც ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული იყო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, ხოლო შპს „ვოტუმს“ არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდის როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, ვინაიდან იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის მიხედვით მართლზომიერად ფლობდა მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობას.

1999 წლის 10 ივნისის დადგენილებით მიწის ნაკვეთი გაცემულია სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად, როგორც დროებითი ღონისძიება, ხოლო გაცემული ნებართვით განსაზღვრული არ არის მოიჯარის მიერ შენობა-ნაგებობებით სარგებლობის კონკრეტული ვადა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოიჯარეს შეეძლო გაცემული ნებართვის საფუძველზე განეხორციელებინა შენობა-ნაგებობაზე ფაქტობრივი ბატონობა ხელშეკრულების ვადით.



„საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ განსაზღვრულია იჯარის ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძვლები. ზოგადი წესების მიხედვით, ვადიანი ხელშეკრულების მოშლა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ რომელიმე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და ამ მიზნით შეუძლებელი ხდება საიჯარო მეურნეობის სწორად წარმართვა.

მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული იყო დავის განხილვის წესი. აღნიშნული მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, „მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ყოველგვარ სადავო საკითხს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეეძლოთ სასამართლოსათვის მიმართვა.

ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პირობა დარღვეული იქნა თბილისის მერიის მიერ. ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ ყოველგვარი შეთანხმების გარეშე მოხდა უძრავი ნივთის განადგურება. აღნიშნულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული უფლების მართლზომიერი განხორციელების პრინციპი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“ აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი გულისხმობს დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის მიზანშეწონილობას. „სამოქალაქო კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ადმინისტრაციული ორგანო, ქ.თბილისის მერია ვალდებული იყო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დასაბუთებული პრეტენზიით (სასარჩელო განცხადებით) მიემართა სასამართლოსთვის, ხოლო აღნიშნული მშენებლობის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა მოხდებოდა სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა-შეფასების შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოხელეების უკანონო ქმედებების შედეგად დაირღვა ადამიანის მოქმედი კანონმდებლობით დაცული უფლებები. კერძოდ, შელახულია განმცხადებლის, როგორც მენარმის და კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 160-ე მუხლის მიხედვით, კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება (მოცემულ შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა) მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით.

ხელშეკრულების მე-6.1. მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იყო მეიჯარის ვალდებულება, ხელი შეეწყოს მოიჯარისათვის მის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ქ.თბილისის მერიის მიერ დარღვეული იქნა, რაც განმცხადებელს ანიჭებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილებას.

სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დარღვევას, აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერიას, რათა სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლების თანახმად, უზრუნველყონ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია სათანადო ანაზღაურება.

აქვე უნდა აღინიშნოს, სახალხო დამცველის წინა პერიოდის ანგარიშებში ასახული იყო კანონმდებლობის დარღვევით დანხორციელებული დემონტაჟის არაერთი ფაქტი, მაგალითად, ირინა ნერგაძისა და ზურაბ ტალახაძის საქმე, დილმისა და ბათუმის ავტოფარეხები, ნოდარ მაისურაძის საქმე და ა.შ. აღნიშნულ ფაქტებს არავითარი სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია შესაბამისი ორგანოების მხრიდან და კანონის დარღვევისათვის არავინ დასჯილა.

გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის საქმე

2006 წლის 13 ივნისს „სააქციო საზოგადოება საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ აქციონერთა სახელით სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე სულიკო მაშიამ.

განმცხადებელი მიუთითებდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 533-ე პრიმა მუხლის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის და, შედეგად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შელახვის შესახებ. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესს. კანონის მიხედვით, „თუ აქციების შექმნის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს (ამ მუხლის მიზნებისთვის „მყიდველს“) უფლება აქვს გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები ამ კანონის 532 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს რჩებათ აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი ფასის მიღების უფლება.“

საქმის განხილვის შედეგად, „მენარმეთა შესახებ“ კანონის აღნიშნული მუხლი სახალხო დამცველის მიერ შეფასებული იქნა როგორც ადამიანის უფლებების შემლახავი საკანონმდებლო დანაწესი. კერძოდ, კანონის 533 მუხლით ილახება საკუთრების უფლება, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად აღიარებული და უზრუნველყოფილია, დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობის საყოველთაო უფლების გაუქმება.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, ამა წლის 19 სექტემბერს სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 533 მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი, შეჩერდა სადავო აქტის მოქმედება და ამჟამად მიმდინარეობს საქმის განხილვა.

ლაშა მორჩილაძის საქმე

2006 წლის 17 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლაშა მორჩილაძემ.

განმცხადებლის ახსნა-განმარტებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად გაირკვა, რომ განმცხადებელი არის ქ. ოზურგეთში განთავსებული 2475 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. აღნიშნული მიწის ნაკვეთზე მესაკუთრესთან შეთანხმების, კომპენსაციისა და ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე სამხარეო და ადგილობრივი ორგანოების შეთანხმებით მიმდინარეობს ორი ხუთიათას ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობა.

ლ. მორჩილაძემ განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონის გამგეობას და მოითხოვა უკანონო მშენებლობის შეწყვეტა, ან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი კომპენსაცია.

ოზურგეთის რაიონის გამგეობის 2006 წლის 08 სექტემბრის პასუხის შესაბამისად, გამგეობის მხრიდან აღნიშნული ქმედება დასაბუთებულია ქ. მახარაძის (ამჟამად ოზურგეთის) სახალხო დებუტატთა



რაისაბჭოს მიერ 1983 წელს მიღებული გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, მინის ნაკვეთი გამოყოფილი იყო წყალსადენის სამარაგო რეზერვუარებისა და წყალსადენის ტრასის მშენებლობისთვის და არც ამჟამად შეცვლია დანიშნულება. რაიონის გამგეობის არგუმენტის თანახმად, გადაწყვეტილების შესაბამისად, მინის ნაკვეთი არ უნდა შესულიყო საპრივატიზაციო მიწების ფონდში და მისი კერძო საკუთრებაში გადაცემა მინის რეფორმის კომისიის მიერ, კანონდარღვევაა, ხოლო ლ. მორჩილადის მოთხოვნა – საფუძველს მოკლებული.

ოზურგეთის რაიონის გამგეობის პასუხი ყოველად უკანონოა და ვერ ასაბუთებს ქმედების კანონიერებას. ლ. მორჩილადის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე განხორციელებული მოქმედებები უხეშად არღვევს საქართველოს შიდა კანონმდებლობით და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ საკუთრების უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების, ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან ორგანული კანონით დაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

უსაფუძვლოა გამგეობის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მინის ნაკვეთი არ უნდა შესულიყო საპრივატიზებო ფონდში და აღნიშნულიდან გამომდინარე მისი კერძო საკუთრებაში გადაცემა უკანონოა.

მინის ნაკვეთის გადაცემის კანონიერებაზე შესაბამის ორგანოს არ უმსჯელია. არავის მიუშართავს სასამართლოსთვის აქტის კანონიერების შესახებ დავის განხილვის მოთხოვნით, შესაბამისად არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მინის ნაკვეთის მიმართ მოქმედებს საჯარო რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმპცია. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 313-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“.

მოცემულ შემთხვევაში არ არის დადასტურებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და არც განმცხადებლის მიერ შეთავაზებული პირობა არის განხილული კომპენსაციასთან დაკავშირებით. ადგილობრივი ორგანოების მიერ დარღვეულია განმცხადებლის მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული უფლება, ფლობდეს და სარგებლობდეს მის საკუთრებაში არსებული ქონებით და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ მისით სარგებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართა პრზიდენტის რწმუნებულს გურიაში და ოზურგეთის რაიონის გამგებელს, შეესწავლოთ აღნიშნული საქმე და უზრუნველყოთ განმცხადებლის დარღვეული უფლების აღდგენა.

გურიიდან მიღებული პასუხის თანახმად, რწმუნებულის აპარატი ადასტურებს წყლის რეზერვუარების მშენებლობის ფაქტს. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ რეზერვუარის მშენებლობა მიმდინარეობს სახელმწიფო ბიუჯეტისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით. საპროექტო ღირებულება შეადგენს 4 500 000 ლარს და მას მოსახლეობისთვის უდიდესი სოციალური დანიშნულება აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი ეთანხმება გამგეობის 2006 წლის 8 სექტემბრის წერილში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მინის ნაკვეთს გააჩნია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და მის მიმართ ჯერ კიდევ 1983 წელს დაფიქსირებული მიზნობრივი დანიშნულება რეალურად ზემოაღნიშნულმა პროექტმა იტვირთა.

წერილით პასუხგაუცემელი დარჩა მრავალი საკითხი, კერძოდ სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებდა განმცხადებლის ისეთი ფუნდამენტური უფლების დარღვევაზე, (და ეს ყველაფერი დასაბუთებული იყო) როგორცაა საკუთრების უფლება. უფლების დარღვევაზე რწმუნებულის აპარატისგან მიღებულ წერილში საერთოდ არ არის საუბარი. გარდა ამისა, დარღვეული უფლების აღსადგენად, სახალხო დამცველი პრეზიდენტის რწმუნებულს მოუწოდებდა სათანადო რეაგირების საკენ, პასუხიდან არ ჩანს თუ რაში გამოიხატა რწმუნებულის აპარატის რეაგირება. თუმცა განმცხადებლის განმარტებით, ის დაიბარეს პროკურატურაში, მოხდა მისი დაკითხვა, თუ რა სტატუსით – დაუდგენელია. ამის შემდეგ განხორციელდა მისი სახლის ჩხრეკაც.

შპს „ადათის“ საქმე

2006 წლის 17 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ასოციაცია „აქციონერთა უფლებები და კორპორაციული მართვა“-ს გამგეობის თავმჯდომარემ მ. ოთარაშვილმა.

საქმეზე თანდართული მასალებიდან გაირკვა, რომ 2006 წლის 05 მაისის №01/18-1/6-1154 წერილით თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ნიქაცაძემ მიმართა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსს ნ. ბახტაძეს. აღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის №0605924 საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ მოხდეს ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის გამზირი №103-ში მდებარე შპს „ადათის“ კუთვნილი ქონების გასხვისება სხვა პირებზე.

ზემოაღნიშნული წერილის შემდეგ შპს „ადათის“ გენერალურმა დირექტორმა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ ამონაწერის აღების მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღო. განმცხადებლის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოხელეთა მიერ უარი დასაბუთებული იქნა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 5 მაისის წერილით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე თავი განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების წესს, რაც მესაკუთრეს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას. ყადაღის დადება დასაშვებია სარჩელის, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებით.

2006 წლის 5 მაისის №01/18-1/6-1154 წერილი არ წარმოადგენს ქონების გასხვისების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად იგი კანონსაწინააღმდეგოა. გარდა ამისა, წერილის შინაარსიდან გამომდინარე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოხელეთა ქმედებების შედეგად დაირღვა ადამიანის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 170-ე მუხლის შესაბამისად, „მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი, ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა და განკარგოს იგი, თუ ამით არ ილახება მეზობლების, ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს ქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“



„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს.“

განმცხადებლის განმარტებით, საკუთრების უფლების შეზღუდვის და საჯარო ინფორმაციის დაბლოკვის მსგავსი ფორმები პროკურატურის მუშაკების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოხელეთა მიერ პრაქტიკაში დამკვიდრებულია და ანალოგიურ შემთხვევებს სხვა დროსაც ჰქონია ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ემსჯელა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურის პროკურორის კ. ნიქაცაძის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

რეკომენდაციაზე პასუხი არ არის მიღებული კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში. აღნიშნულთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში გაგზავნილია შეხსენების წერილიც, თუმცა პასუხი სახალხო დამცველს მაინც არ მიუღია.

ამხანაგობა „ამირეჯიბი-89“-ის საქმე

2006 წლის 9 აგვისტოს სახალხო დამცველს წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა კობა დავითაშვილმა და გადმოუგზავნა ინდემნაშენეთა ამხანაგობის „ამირეჯიბი-89“-ის წევრთა განცხადება, სადაც ისინი მიუთითებენ საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ინდემნაშენეთა ამხანაგობა „ამირეჯიბი-89“-ს საკუთრებაში აქვს ქ. თბილისში, ამირეჯიბის ქ. №26-32-ში არსებული ფართი, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. განმცხადებლის მითითებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდა სპორტული მოედნის მონტაჟი მესაკუთრეთა ნებართვის გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სრულყოფილი ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მივმართეთ ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას, საიდანაც გვაცნობეს, რომ ამირეჯიბის ქუჩაძე №26 და №32 შორის წლების განმავლობაში არსებობდა თავისუფალი ტერიტორია, რომელიც გადაქცეული იყო ნავაგასაყრელად. 2005 წელს ტერიტორია გაინმინდა და სპორტის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყო სპორტული მოედანი. აქვე აღნიშნულია, რომ ტერიტორიის საკუთრება იმ დროისათვის ცნობილი არ ყოფილა, ვინაიდან საკუთრება მხოლოდ 2006 წლის 24 აპრილს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. დღეისათვის სპორტული მოედნის დემონტაჟს კატეგორიულად ეწინააღმდეგება უბნის მოსახლეობა.

საკუთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მყარად დაცული და გარანტირებული უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში სასამართლოს გადანყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებაში არსებულ ნივთს ისე, რომ არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონების ხელყოფა. სარგებლობის თავისუფლება ნიშნავს, რომ მესაკუთრე თვითონ წყვეტს, ისარგებლოს თუ არა საკუთრების ობიექტით და თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს იგი.

სპორტის საქალაქო სამსახური ვალდებული იყო, სპორტული მოედნის მშენებლობის დაწყებამდე გაერკვია, ვის საკუთრებას წარმოადგენდა დასახელებული ტერიტორია, ვინაიდან ამხანაგობა „ამირეჯიბი-89“ ჩამოყალიბდა 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის 1989 წლის 20 დეკემბრის №25119303 გადაწყვეტილებით და მის შესახებ მონაცემები ინახება ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს არქივში, შესაბამისად, მართებულად არ მიგვაჩნია ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მითითება იმის შესახებ, რომ ამხანაგობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მხოლოდ 2006 წელს. შესაბამისი სამსახურებისთვის ხელმისაწვდომი იყო ტექ.ბიუროს მონაცემები, საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ამირეჯიბის ქ. №26-32-ის მიმდებარე ტერიტორია არ წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მფლობელად მითითებულია ამხანაგობა „ამირეჯიბი-89“. ამასთან, არ უნდა იქნას გათვალისწინებული უზნის მოსახლეობის პრეტენზია მოედნის დემონტაჟთან დაკავშირებით, ვინაიდან ამით ილახება მესაკუთრეთა კანონიერი ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია ამირეჯიბის ქ. №26-32-ის მესაკუთრეთა საკუთრების უფლება, რის გამოც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ.თბილისის მერიას, დაევალებინა მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისთვის კანონის მოთხოვნათა დაცვით განეხორციელებინა სპორტული მოედნის დემონტაჟი, ამასთან, დასახელებული კანონის 21-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე ემსჯელა იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა ქმედებაც გამოიწვია ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლების დარღვევა.

რეკომენდაციაზე პასუხი მიღებულ იქნა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ზედამხედველობის სამსახური მოკლებულია სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობას, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება სპორტული მოედნის დემონტაჟთან დაკავშირებით, ვინაიდან, საქმე ეხება საკუთრების და უძრავი ქონებით სარგებლობის უფლების ხელყოფას, მხარეებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობები წარმოადგენს კერძოსამართლებრივი დავის საგანს, რომელზეც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა სასამართლოში უნდა იდავონ.

ყოველივე ამის შემდეგ ამხანაგობის თავმჯდომრის, მაია კანდელაკის განმარტებიდან გაირკვა, რომ ის დაიბარეს ზედამხედველობის სამსახურში და შესთავაზეს ადგილმონაცვლეობა, მის საკუთრებაში არსებული მიწის სახელმწიფოსათვის გადაცემის სანაცვლოდ. ვინაიდან კონკრეტულ შეთავაზებას ადგილი არ ჰქონია, ეს იყო არაოფიციალური, მხოლოდ ზეპირი დაპირება, მაია კანდელაკმა უარი განაცხადა და აღნიშნული საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა.

ნერონ მამალაძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნერონ მამალაძის წარმომადგენელმა, მზია პატარაშვილმა მისი მარწმუნებლის მფლობელობაში არსებული ქონების განადგურების შესახებ.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ 1992 წლის 1 მარტს მოქალაქე ნერონ მამალაძესა და ამხანაგობა „ხუროთმოძღვარ-89-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება და ამ უკანასკნელმა აიღო ვალდებულება, რომ ნ. მამალაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ანაგის ქ. N29-ში, სადაც განთავსებული იყო სხვადასხვა ნაგებობები აშენებოდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი და მოქალაქე სანაცვლოდ მიიღებდა ხუთოთახიან ბინას. მშენებლობა 1998 წლის ბოლოს უნდა დასრულ-



ლებულიყო. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დათქმულ ვადაში არ განხორციელდა, რითაც დაირღვა ხელშეკრულების პირობები. გამომდინარე აქედან ნერონ მამალაძემ 2006 წლის 16 იანვარს მიმართა სასამართლოს, მოითხოვა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხვა.

მოპასუხე მხარემ, ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89“ საქმის განხილვის პროცესში აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა იგივე ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ ნერონ მამალაძე არასოდეს ყოფილა სადავო მიწის მესაკუთრე და იგი არ იყო უფლებამოსილი დაედო ხელშეკრულება მათთან მიწის ნაკვეთის გადაცემაზე. ამასთანავე ამხანაგობამ ტერიტორიის სხვადასხვა ნაგებობებისაგან გათავისუფლება მოითხოვა ნ.მამალაძის ხარჯებით.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ნერონ მამალაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო ამხანაგობის-სრულად. ბათილად იქნა ცნობილი მხარეებს შორის 1992 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულება; ნერონ მამალაძეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, შარტავას (ყოფილი ანაგის) ქუჩის N29-ში მდებარე 1400 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღიარებასა და აღრიცხვაზე იმ საფუძველით, რომ მას არ წარმოუდგენია აღნიშნულ ფართზე საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამხანაგობა მიჩნეულ იქნა სადავო მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერ მფლობელად, რადგან მას ნაკვეთი თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით გადაეცა.

ნერონ მამალაძემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობასა და აღრიცხვაზე, დაევალა ნაგებობის დანგრევა და ტერიტორიის გათავისუფლება. ასევე მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ამხანაგობის სარჩელზე უარის თქმა.

სააპელაციო პალატამ ნერონ მამალაძის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ: გააუქმა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი, რომლითაც ნერონ მამალაძეს დაევალა საკუთარი ხარჯებით, კომპესაციის გარეშე შენობა-ნაგებობების აღება საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89“-ის მიერ მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

აპელანტის ზემოაღნიშნული მოთხოვნა სადავო მიწის ნაკვეთის მისთვის დაბრუნების და საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რადგან მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი არასოდეს ირიცხებოდა აპელანტის საკუთრებად.

ასევე, არ დაკმაყოფილდა ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89“-ის შეგებებული სარჩელი ნერონ მამალაძის მიმართ ქ. თბილისში, შარტავას N29-ში მდებარე შენობა-ნაგებობების თავისი ხარჯებით აღებისა და ტერიტორიის გათავისუფლების შესახებ, რადგან იგი არ წარმოადგენდა კეთილსინდისიერ მფლობელს და მოთხოვნა ნაკვეთის გამოთავისუფლების თაობაზე იყო უსაფუძველო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89“.

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მტკიცებულებათა შეფასებით სასამართლომ დაადგინა არასწორი ფაქტობრივი გარემოება და მას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება არასრულია, ამდენად, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა

სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამჟამად საქმე სააპელაციო პალატის წარმოებაშია, სადაც იხილება ნერონ მამალაძის კომერციული ნაგებობის აღების საკითხი.

2005 წლის 25 ივლისს ნ. მამალაძის კომერციული ნაგებობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში თავის სახელზე დაარეგისტრირა ამხანაგობამ „ხუროთმოძღვარი-89“, რაც ნ.მამალაძის მიერ გასაჩივრებული იქნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. ზემოაღნიშნულ საქმეზეც სასამართლოში მიმდინარეობს საქმისწარმოება.

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან გადმოგზავნილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ აღნიშნული ორგანოს მხრიდან 2006 წლის 28 ნოემბერს ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89-ს“ მიმართ გაიგზავნა ე.წ. „მინერილობა“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული მინერილობით, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური აფრთხილებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომ ნაგებობის დემონტაჟი განახორციელოს 5 კალენდარული დღის ვადაში. აქვე მითითებულია, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის შესაბამისად, ამხანაგობა ვალდებულია გატარებული ღონისძიების შესახებ ერთი თვის ვადაში აცნობოს მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.“

გაურკვეველია რა სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას აქვს ადგილი მაშინ, როცა აქტში არ არის მითითებული მოთხოვნის კონკრეტული მიზეზი, გარდა ზემოაღნიშნულისა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში კომპეტენტური ორგანო ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს და არა „მინერილობას“. მსგავსი დოკუმენტის ცნება გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“, რომლის თანახმად, მინერილობა არის ადმინისტრაციულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებული აქტი, რომელიც გაიცემა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებით დაშვებული დარღვევების გამოსწორების მიზნით, ხოლო მინერილობაში აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს მთელ რიგ სანქციებს, რომელიც გათვალისწინებულია აღნიშნული კანონით.

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილ მინერილობაში მითითებული მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევის აღმოჩენისას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები დამრღვევს სთავაზობენ დარღვევის ნებაყოფლობით გამოსწორებას იმ ვადაში, რაც საჭიროა დარღვევის გამოსწორებისათვის. თუ დამრღვევი უარს აცხადებს დარღვევის გამოსწორებაზე, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები იღებენ დადგენილებას დამრღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ.“

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ წარმოუდგენია არც ერთი დოკუმენტი და არც აქტში არის მითითებული კონკრეტული დარღვევა და „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის ის მუხლი, რომელიც დასაბუთებდა მინერილობის მიზანშეწონილობას.

მინერილობაში აღნიშნული ვადის გასვლის შედეგ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდა დემონტაჟი, რისთვისაც წინააღმდეგობა არ გაუწევია მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს – ამხანაგობა „ხუროთმოძღვარ 89-ს“ და ბუნებრივია დემონტაჟი განხორციელდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმებით, თუმცა ფაქტია, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული ნაგებობა ფაქტობრივად არ ეკუთვნოდა „ხუროთმოძღვარ 89“-ს. ზედამხედველობის სამსახური მინერილობის გაგზავ-



ნას ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89“-ის მიმართ ასაბუთებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, კაპიტალური ნაგებობანი, რომელიც მყარად არის დაკავშირებული მიწასთან, წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს.

სავარაუდოდ, ზედამხედველობის სამსახურმა არ შეისწავლა ნაგებობის მფლობელის ვინაობა და მხოლოდ საჯარო რეესტრიდან მიღებული ამონაწერის საფუძველზე მოითხოვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ნაგებობის დემონტაჟი.

საინააღმდეგოს ამტკიცებს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების: სალომე ვარდიაშვილისა და გიორგი მშვენიერაძის მიერ შედგენილი ოქმი, რომლის სისწორეს ადასტურებს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელი ვ. გვათუა.

ოქმის შესაბამისად, მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი განმარტავს შემდეგს: ამხანაგობა „ხუროთმოძღვარი-89“-ს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაში ხელს უშლიდა ნ. მამალაძის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ობიექტი, რის გამოც ამხანაგობამ განცხადებით მიმართა მერიის ზედამხედველობის სამსახურს და მოითხოვა შენობის დემონტაჟი.

აღნიშნული ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ფლობდა ამომწურავ ინფორმაციას ნაგებობის ნამდვილი მფლობელის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს („ხუროთმოძღვარი-89“-ს) ჰქონდა პრეტენზია შენობის მფლობელთან, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით. აღნიშნულ ქმედებას უძრავი ნივთის მესაკუთრის მხრიდან არ ჰქონია ადგილი. ხელშეშლის შემთხვევაში „ამხანაგობა ხუროთმოძღვარი-89“-ს ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი უფლება განეხორციელებინა მართლზომიერად შესაბამის სამართალდამცავი ორგანოსადმი მიმართვის გზით. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდოდ ხელყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.“ როგორც ვხედავთ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ხელშეშლის აღკვეთის უფლებამოსილება დადგენილი წესით აქვს მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოს და არა მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

მიუხედავად იმისა, რომ პასუხგაუცემელია მრავალი კითხვა და მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ოფიციალური ინფორმაციები ურთიერთგამომრიცხავია, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ნერონ მამალაძის მფლობელობაში არსებული ობიექტის დემონტაჟი მოხდა კანონის მოთხოვნათა სრული იგნორირებით.

მაია კანდელაკის საქმისგან განსხვავებით, სადაც ზედამხედველობის სამსახური აცხადებს, რომ ისინი ვერ ჩაიერევიან კერძო პირთა შორის წარმოშობილ დავაში, ნერონ მამალაძის მფლობელობაში არსებული ქონება დაანგრიეს შპს „ხუროთმოძღვარის“ განცხადების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილი იყო სასამართლოში მხარეთა დავის შესახებ. დღეისათვის, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ვის მიაკუთვნოს ქონება და განხორციელდეს თუ არა ამ შენობის დემონტაჟი, მაშინ როცა ეს ობიექტი უკვე დანგრეულია.

ჰუსეინ ალის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალის საქმე და მიაჩნია, რომ სამართალდამცავ ორგანოთა მიერ განხორციელებული უკანონობის, მართლმსაჯულების არამართებულად განხორციელებისა და გამოძიების გაჭიანურების შედეგად არსებითად შეილახა კანადის მოქალაქის ჰუსეინ ალის, როგორც მესაკუთრის უფლება. ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის ურთიერთობას, ვინაიდან უცხოელ ინვესტორებთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.



2005 წლის 6 აპრილს და 2006 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალის ინტერესების დამცველმა ალექსანდრე ბარამიძემ, მისი დაცვის ქვეშ მყოფის დარღვეულ უფლებებთან დაკავშირებით.

2004 წლის 6 სექტემბერს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს ბატონი ჰუსეინ ალის წინააღმდეგ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახმედ იუნესის წარმომადგენელმა დავით ლანჩავამ და ვალის დაფარვის მიზნით, მისთვის 8 მილიონი აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა. ადვოკატ ა. ბარამიძის განცხადებით, აღნიშნული სასარჩელო განცხადება სასამართლოსგან ჰუსეინ ალის არასდროს ჩაბარებია.

სასამართლოს მთავარი სხდომა აღნიშნულ სარჩელზე გაიმართა 2004 წლის 16 სექტემბერს, რომელზედაც ჰუსეინ ალი, როგორც მოპასუხე, დაბარებული არ ყოფილა და მას არავითარი უწყება არ მიუღია.

სასამართლოზე ჰუსეინ ალის მაგივრად მიწვეული იქნა მისი წარმომადგენელი“ თამაზ მელქაძე, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა 2001 წლის 16 აგვისტოს ჰუსეინ ალის სახელით გაცემული ყალბი მინდობილობა, დამონებული ნოტარიუს ქეთევან ჩხიკვაძის მიერ, რომლითაც თითქოს ჰუსეინ ალი თამაზ მელქაძეს ანიჭებდა სრულ უფლებამოსილებას, ეწარმოებინა მისი სამოქალაქო საქმეები ყველა სასამართლო ორგანოში, მათ შორის უფლებას, საქმე დაეთმავრებინა მორიგებით, ეცნო ან უარეყო მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები და ა.შ.

სასამართლო სხდომაზე ბატონ ჰუსეინ ალის ცრუ წარმომადგენელმა – თამაზ მელქაძემ აღიარა, თითქოს ჰუსეინ ალის ახმედ იუნესის მიმართ 8 მილიონი აშშ დოლარი მართებდა.

სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე ბაქრაძის წინადადებით, მხარეებმა შეადგინეს მორიგების აქტი, რითაც თამაზ მელქაძემ, როგორც ჰუსეინ ალის წარმომადგენელმა, ახმედ იუნესის საკუთრებაში გადასცა ჰუსეინ ალის კუთვნილი 90%-იანი წილი შპს საქართველოს თამბაქოს წარმოებაში. აღნიშნული მორიგების აქტი მოსამართლე ბაქრაძის მიერ განჩინებით იმავე სასამართლო სხდომაზე იქნა დამტკიცებული.

2004 წლის 17 სექტემბერს ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ სამენარმო რეესტრში შეტანილი იქნა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს ზემოთ აღნიშნული 2004 წლის 16 სექტემბრის განჩინების შესაბამისი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ახმედ იუნესი გახდა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ სანქსდებო კაპიტალის 90%-ის მფლობელი.

თავის მხრივ, 2004 წლის 18 სექტემბერს ახმედ იუნესმა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ სანქსდებო კაპიტალის 90% საკუთრებაში გადასცა ავთანდილ წერეთელს, რომელიც ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით და სამენარმო რეესტრის



ჩანაწერით გახდა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ სანესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი.

აქედან ჩანს, რომ ეს არის თაღლითობა და მომხდარია დანაშაული, რადგან ცხადია, რომ იუნესი არ აჩუქებდა მის კუთვნილ ქონებას ავთანდილ წერეთელს. ასევე, საინტერსო დეტელია, ისიც, რომ სარჩელის შეტანიდან ასე მოკლე დროში, 10 დღეში, მოხდა სამოქალაქო საქმის განხილვა და დასრულება, როდესაც სხვა შემთხვევებში თვეები და წლებიჭირდება.

2004 წლის 26 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა 2004 წლის სექტემბერში განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები მის წინააღმდეგ, ბატონმა ჰუსეინ ალიმ განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს.

ჰუსეინ ალის განცხადების შეტანიდან მეორე დღეს, 2004 წლის 27 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ჰუსეინ ალის კუთვნილი დიდი ოდენობით შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ 90% წილის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეს მიენიჭა №9204822.

გამოძიება ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა მდორედ და არაეფექტურად. თუმცა საქმეზე ჩატარდა ორი ექსპერტიზა, რომლებმაც დაადასტურეს ქეთევან ჩხიკვაძის მიერ დამოწმებულ და თამაზ მელქაძისათვის გაცემულ მინდობილობაზე ჰუსეინ ალის ხელმოწერის გაყალბების ფაქტი.

2005 წლის 01 ივლისს თამაზ მელქაძეც და ქეთევან ჩხიკვაძეც ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემული. თუმცა, მოგვიანებით, 2005 წლის 14 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ნ. სალიამ მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის №9204822 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

2006 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილმა თავისი დადგენილებით გააუქმა საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის ნ. სალიას 2005 წლის 14 სექტემბრის დადგენილება სისხლის სამართლის №9204822 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ და ხსენებული სისხლის სამართლის საქმე გამოძიების განსახლებლად საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

2006 წლის 20 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილება საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს პროკურორმა ნ. სალიამ გაასაჩივრა.

2006 წლის 23 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ ომარ ჯორბენაძემ თავისი დადგენილებით არ დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურატურის საჩივარი და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2006 წლის 20 მარტის დადგენილება.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიღებულ იქნა ნაჩქარევად, ისე რომ არ იქნა ამოწურული ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

შესაძლებლობა და რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იქნა უზრუნველყოფილი საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა.

2006 წლის 24 მარტს დაინიშნა ხელმოწერის განმეორებითი გრაფიკული ექსპერტიზა, რომლის №20/01/13-2568 დასკვნის თანახმად დადგენილ იქნა შემდეგი:

1. ხელმოწერები ჰუსეინ ალის სახელით, ინგლისურ ენაზე (ტექსტის სახით) განლაგებული შემდეგ საბუთებზე მინდობილობებზე 2001 წლის 16 აგვისტოს თარიღით (ტ.1 ს.ფ. 134 და ტ. 4. ს.ფ. 319) და სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრში, სანოტარო მოქმედების ნომერი №1-2510 20.08.2001წ. თარიღით, გრაფაში, სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის მიმღები პირის ხელმოწერა, შესრულებულია ერთი და იგივე პირის მიერ.
2. დასკვნის პირველ პუნქტში აღწერილი ხელმოწერები ჰუსეინ ალის სახელით, შესრულებულია არა ჰუსეინ ალის, არამედ სხვა პირის მიერ, მის რომელიმე ნამდვილ ხელმოწერასთან მიმსგავსებით.
3. ხელმოწერა ჰუსეინ ალის სახელით (მოკლე ხელმოწერა) განლაგებული: მინდობილობაზე 2001 წლის 16 აგვისტოს თარიღით (ტ. 1, ს.ფ. 134), შესრულებულია არა ჰუსეინ ალის, არამედ სხვა პირის მიერ, მის რომელიმე ნამდვილ ხელმოწერასთან მიმსგავსებით.

2006 წლის 24 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს III სამმართველოს უფროსმა გამომძიებელმა ალექსანდრე ჯიბლაძემ გამოიტანა დადგენილებები თამაზ მელქაძისა და ქეთევან ჩხიკვაძის ბრალდებულის სახით პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ.

2006 წლის 13 აპრილს ბრალდებულმა თამაზ მელქაძემ გამოძიებას მისცა ჩვენება, რომლის დროსაც ბრალდებულმა აღიარა დანაშაული:

ვმუშაობდი რა შპს საქართველოს თამბაქოს წარმოების იურიდიული სამსახურის უფროსად, 2001 წლის ზაფხულის ბოლოდან წარმოიქმნა საჭიროება, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში დამეცვა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ 90%-იანი წილის მფლობელის, კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალის ინტერესები. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ იმყოფებოდა საქართველოში, მე ჩემს ნაცნობ ნოტარიუსს ქეთევან ჩხიკვაძეს გავაკეთებინე ყალბი მინდობილობა ჰუსეინ ალის სახელით ჩემს სახელზე, 2001 წლის 16 აგვისტოს თარიღით. ამ მინდობილობით მე წლების განმავლობაში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში წარმოვადგენდი ჰუსეინ ალის და ვიცავდი მის ინტერესებს. შემდგომ მე პირადი მოსაზრებების გამო დამოკიდებულება ჰუსეინ ალის მიმართ და გადავწყვიტე სხვა პირებთან ერთად, რომელთა დასახელება ამჟამად არ მსურს, ჰუსეინ ალი ჩამომეცილებინა საწარმოს მართვას, როდესაც მომეცემოდა ამის საშუალება. ჩემთვის ცნობილი გახდა 2004 წლის სექტემბრის დასაწყისში, რომ ახმედ იუნესის სახელით სარჩელი ჰქონდა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში შეტანილი ამ უკანასკნელის წარმომადგენელს დავით ლანჩავას. სასამართლოში ჰუსეინ ალის წარმომადგენლად გამოვედი მე ზემოაღნიშნული მინდობილობით და სასარჩელო მოთხოვნის 8,0 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ დავთმე ჰუსეინ ალის 90%-იანი წილი „საქართველოს თამბაქოს წარმოებაში, რის შესახებაც არ ვიყავი შეთანხმებული ჰუსეინ ალისთან. მეტი ჩვენებაზე რაიმეს დამატება არ მსურს.

- 2006 წლის 13 აპრილს 13:30 სთ-დან 14:30 სთ-მდე, შედგა ქეთევან ჩხიკვაძის დამატებითი დაკითხვა, რომლის დროსაც ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და აჩვენა, რომ ჰუსეინ ალის სახელით შედგენილი ყალბი მინდობილობა მან თამაზ მელქაძის თხოვნით დაამოწმა.
- იმავე დღეს 15:40 სთ-დან 16:15 სთ-მდე შედგა ბრალდებულ თამაზ მელქაძის დამატებითი დაკითხვა, რა დროსაც ბრალდებულმა აღიარა დანაშაული.
- იმავე დღეს 16:15სთ-ს შემდეგ შედგა საპროცესო შეთანხმების ოქმები ორივე ბრალდებულთან,



რომლებსაც ხელს აწერენ საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორი მ. ჩიკვაიძე, სამმართველოს უფროსი გ. კაკულია, ბრალდებულები და მათი ადვოკატები.

- ამის შემდეგ, იმავე დღეს საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა მ. ჩიკვაიძემ გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად ბრალდებულების თ. მელქაძისა და ქ. ჩხიკვაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ.
- ამის შემდეგ, იმავე დღეს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა მ. ჩიკვაიძემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს გიორგი შავლიაშვილს და ბრალდებულებთან თ. მელქაძესთან და ქ. ჩხიკვაძესთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება მოითხოვა.
- ამის შემდეგ, იმავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწემ ია შენგელიამ ქ. თბილისის №1 საპრობილის დირექტორს გაუგზავნა 2 შეტყობინება პატიმრების ქეთევან ჩხიკვაძისა და თამაზ მელქაძის სასამართლოში წარმოდგენის შესახებ.
- ამის შემდეგ, იმავე დღეს 19:30სთ-ზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლ. მურუსიძემ გახსნა სასამართლო სხდომა ქ. ჩხიკვაძისა და თამაზ მელქაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვის მიზნით. ცოტა ხნის შემდეგ მოსამართლემ გამოაქვეყნა განაჩენი და სხდომის გახსნიდან ზუსტად ნახევარ საათში, 20:00 სთ-ზე სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.
- სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება და განსასჯელები თ. მელქაძე და ქ. ჩხიკვაძე ცნობილ იქნენ დამნაშავედ და თითოეულს მიესაჯა პირობითად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით, ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

საინტერესოა შემდეგი გარემოებები:

კერძოდ, საპროცესო შეთანხმების ასეთ მოკლე დროში დასრულება. 4 საათზე ნაკლებ დროში, ანუ 16:15სთ-დან 20სთ-მდე პროკურორმა და მოსამართლემ მოასწრეს:

1. დაკითხვის ოქმების გამომძიებლისათვის გამორთმევა;
2. დაკითხვის ოქმების გაცნობა;
3. საპროცესო შეთანხმების შესახებ გადანყვეტილების მიღება;
4. ზემდგომ პროკურორთან შეთანხმება;
5. საპროცესო შეთანხმებების ოქმების შედგენა;
6. ოქმების ბრალდებულებისა და მათი ადვოკატებისათვის გაცნობა და ხელის მოწერა;
7. შემდეგ ზემდგომი პროკურორისათვის გაცნობა და ხელის მოწერა;
8. სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ დადგენილების მიღება;
9. სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე 2 შუამდგომლობის შედგენა;
10. სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობების ბრალდებულებისა და მათი ადვოკატებისათვის წარდგენა და ხელის მოწერა;
11. შუამდგომლობების სასამართლოში მიტანა და ჩაბარება;
12. პროკურორის შუამდგომლობებისა და საქმის სხვა მასალების გაცნობა;
13. თანაშემწისათვის დავალების მიცემა, მათ შორის განსასჯელების სასამართლოში წარმოსადგენად შეტყობინებების გაგზავნასთან დაკავშირებით; ბრალდებულების, მათი ადვოკატებისა და პროკურორის მოყვანა სასამართლოში; სასამართლო სხდომის გახსნა და ჩატარება;

14. ბრალდებულების ვინაობის დადგენა;
15. პროკურორის შუამდგომლობებისა და ბრალდებულების განმარტებების მოსმენა; საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან დაკავშირებით სხვა საპროცესო გარემოებების გამოკვლევა;
16. საათობრო ოთახში გასვლა და გადაწყვეტილების მიღება;
17. განაჩენის გამოქვეყნება

საქართველოს სახალხო დამცველმა ეჭვქვეშ დააყენა ბრალდებულებთან თ. მელქაძესა და ქ. ჩხიკვაძესთან ზემოთ აღწერილი წესით დადებული საპროცესო შეთანხმებები და სასამართლოს განაჩენი, რაზეც მან 2006 წლის 21 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველი შეუძლებლად მიიჩნევდა საპროცესო შეთანხმებების დადებისა და სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების მთელი პროცედურის განხორციელებას 4 საათზე ნაკლებ დროში. უცნაურად ეჩვენა საქართველოს სახალხო დამცველს ისიც, რომ საპროცესო შეთანხმებები ისე დაიდო, რომ არ იქნა დადგენილი, თუ ვისთან ერთად და ვისი შეკვეთით მოქმედებდნენ თამაზ მელქაძე და ქეთევან ჩხიკვაძე. იმავე დღეს, სახალხო დამცველმა შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს მიმართა. თუმცა, 2006 წლის 7 დეკემბერს და 2007 წლის 17 იანვარს გაგზავნილი განმეორებითი მიმართვების მიუხედავად, სახალხო დამცველს პასუხი დღემდე არ მოუღია.

ჯერ კიდევ 2005 წლის 24 მაისის სახალხო დამცველმა მიმართა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს რ. ნიკოლეიშვილს და მოითხოვა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საქმის სრული და ობიექტური გამოკვლევისთვის მოენოდებინა ჰუსეინ ალის 2004 წლის 16 აგვისტოს მინდობილობის დედანი, რომლის საფუძველზეც მას სასამართლო პროცესზე თ. მელქაძე წარმოადგენდა. ამის მიუხედავად სახალხო დამცველს ფინანსური პოლიციიდან არც მინდობილობის დედანი და არც წერილობითი უარი არ მიუღია.

2006 წლის 21 სექტემბერს, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს გამოეყენებინა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილება და ჰუსეინ ალის საქმეზე სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობების პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, დაეყენებინა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის პასუხში აღნიშნულია, რომ:

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 54-ე მუხლის თანახმად, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია: ა) სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ინტერესებს; ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ; გ) რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.“

განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად საქმის რეზონანსულობისა, ვფიქრობთ არც ერთ საფუძველს არ აქვს ადგილი. წარმოდგენილი მასალების თანახმად შეიძლება ვისაუბროთ სამართალდამცავი ორგანოების ცალკეულ პირთა მიერ თავიანთი უფლებამოსილების არამართებულად განხორციელებაზე. მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას შესაძლო კანონის დარღვევა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი განხილვის საგანი უნდა გახდეს.“

2006 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე თ. ალანიამ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის



სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლ.მურუსიძის 2006 წლის 13 აპრილის განაჩენი, რომლითაც დამტკიცდა განსასჯელებთან თ. მელქაძესა და ქ. ჩხიკვაძესთან დადებული საპროცესო შეთანხმებები და საქმე შემდგომი გამოძიებისათვის კვლავ ფინანსურ პოლიციას დაუბრუნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 13 აპრილის განაჩენის გაუქმებას საფუძვლად დაედო ქ.ჩხიკვაძისა და თ.მელქაძის განცხადებები იმის შესახებ, რომ მათ მიერ გამოძიებისათვის მიცემული აღიარებითი ჩვენებები იყო „შეგნებულად არასწორი და ისინი მათ მისცეს პატიმრობაში ყოფნისას, ოჯახის წევრებზე უცხო პირების მიერ განხორციელებული სიცოცხლის მოსპობის მუქარის შიშით, როდესაც რეალურად არსებობდა მუქარის განხორციელების საფრთხე“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს არ შეუმომნებია რაიმე ობიექტური მტკიცებულებებით, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო მსჯავრდებულების მითითებები მუქარის შესახებ. ასევე გაუგებარი დარჩა – თუ თ.მელქაძისა და ქ.ჩხიკვაძის განცხადებები სიცოცხლის მოსპობის მუქარის შესახებ მართლაც რეალური იყო, რატომ აღარ არსებობს ასეთი რეალობა დღეს, როდესაც გამოძიების მიერ არათუ არ ყოფილა გამოვლენილი და განეიტრალებული ამ მუქარის წყარო, არამედ დღემდე დაუდგენელია ის პირები, რომლებიც ემუქრებოდნენ ბრალდებულების ოჯახებს.

ამასთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნულია: „ამჟამად, მსჯავრდებულების აზრით, ისინი შეეცდებიან დაადასტურონ თავისი უდანაშაულობა, რაშიც მათ ხელს ვერ შეუშლის გარეშე პირთა ზეწოლა, რადგანაც დღეს ასეთი სახის ქმედებები რეაგირების გარეშე არ რჩება“. ანუ, სასამართლოს აზრით, ასეთი ქმედებები რეაგირების გარეშე არ რჩება მხოლოდ დღეს, თუმცა, 8 თვის წინ, 2006 წლის აპრილში, ისინი რჩებოდა რეაგირების გარეშე. არადა, ცხადია, რომ გასული წლის აპრილიდან დეკემბრამდე ქვეყანაში ვითარება ამ მხრივ არ შეცვლილა.

2006 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა ნუგზარ სალიამ მიიღო დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო.

პროკურორმა სალიამ 2006 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების საფუძვლად მიუთითა იმავე გარემოებებზე, რომელთა გამოც მან ანალოგიური დადგენილება მიიღო ჯერ კიდევ 2005 წლის 14 სექტემბერს. ამით მან მთლიანად უგულვებელყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგინაშვილის 2006 წლის 20 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ჯორბენაძის 2006 წლის 23 მარტის დადგენილებები, რომლებითაც გაუქმდა პროკურორ სალიას 2000 წლის 14 სექტემბრის დადგენილება.

პროკურორმა არ შეასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგინაშვილის 2006 წლის 20 მარტის დადგენილებაში მითითებული კონკრეტული დავალებები: საერთოდ არ დაკითხა ახმედ იუნესი და სხვა პირები, რომლებსაც შეეძლოთ გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ჩვენებების მიცემა. ასევე მან არ მისცა სათანადო შეფასება ჰუსეინ ალის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნას. სამაგიეროდ, სრულიად უკრიტიკოდ გაიზიარა ბრალდებულების ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ალტერნატიული გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა.

ადვოკატის განცხადებით, პროკურორმა ასევე არ მიიღო მხედველობაში დაზარალებული ჰუსეინ ალის მოთხოვნები, რომლებიც მან თავის მრავალრიცხოვან შუამდგომლობებსა და საჩივრებში განაცხადა. კერძოდ, ჰუსეინ ალი მოითხოვდა თავისი წარმომადგენლებისა და პირადად მის დასწრებას

ბრალდებულებისა და მთელი რიგი მონმეების დაკითხვაზე, რისი უფლებაც მას აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. უცნაურია, რომ დაზარალებულის არცერთი შუამდგომლობა და საჩივარი არ დევს საქმის მასალებში, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა ისინი დადგენილი წესით ჩააბარა შესაბამის ორგანოებს.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ პროკურორმა სალიამ გასაჩივრებული დადგენილება გამოიტანა ზუსტად 8 დღეში მას შემდეგ, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2006 წლის 13 აპრილის განაჩენი. ცხადია, რომ ასეთ მოკლე დროში სრულიად შეუძლებელია უზრუნველყოფა იმისა, რომ საქმის გარემოებათა გამოკვლევა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. შესაბამისად, პროკურორ ნ.სალიას 2006 წლის 28 დეკემბრის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ იმდენადვე ნაჩქარევი, დაუსაბუთებელი და უკანონოა, როგორც იყო მისივე 2005 წლის 14 სექტემბრის დადგენილება, აგრეთვე თ.მელქაძესა და ქ.ჩხიკვაძესთან დადებული 2006 წლის 13 აპრილის საპროცესო შეთანხმებები და ამავე თარიღით გამოტანილი სასამართლოს განაჩენი.

საქართველოს მართლმსაჯულებისა და საგამოძიებო ორგანოების უკანონო ქმედებების შედეგად ავთანდილ წერეთელს მიეცა შესაძლებლობა, მთლიანად გაესხვისებინა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოებაში“ 100%-იანი წილი, მათ შორის 90%-იც, რომელიც ბატონ ჰუსეინ ალის დანაშაულებრივი გზით ჩამოერთვა. დღეისათვის აღნიშნული საწარმოს საწესდებო კაპიტალის 100% ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული ფირმის „კოპპოლა ვენჩერს ლიმიტედ“-ის საკუთრებაშია, რაც ჰუსეინ ალის ურთულეს ან საერთოდ უსპობს შესაძლებლობას, დაიბრუნოს თავისი ქონება.

ჰუსეინ ალის საქმე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეთაგანია, რომელშიც საქართველოს მართლმსაჯულებისა და საგამოძიებო ორგანოების უკანონო და, შესაძლოა, დანაშაულებრივი მოქმედებებისა და უმოქმედობის გამო არსებითად შეილახა მესაკუთრის, უცხოელი ინვესტორის ინტერესები.

„ბადაგონის“ საქმე

2006 წლის 14 ნოემბერს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ ფინანსური ფოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სამმართველოს საგამოძიებლების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წამომადგენლების და „სამტრესტის“ თანამშრომელთა მონაწილეობით ღვინის მწარმოებელ კომპანია შპს „ბადაგონის“ ღვინის ქარხანაში განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი, რაც გამოიხატა კომპანიის №19 და №23 რეზერვუარების დალუქვაში და №23 რეზერვუარიდან გარკვეული რაოდენობის ღვინო-მასალის განადგურებაში (დაღვრაში).

ვინაიდან ცნობილი გახდა, რომ შემონმების პროცესში ადგილი ჰქონდა მენარმის უფლებების დარღვევას, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით, სახალხო დამცველმა დაიწყო დასახელებული ფაქტის შემონმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ფინანსურ პოლიციას, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ვაზისა და ღვინის დეპარტამენტს (სამტრესტი).

2006 წლის 21 ნოემბრის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტიდან მიღებული წერილის თანახმად, რომ 2006 წლის 14 ნოემბერს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა წერილით მიმართა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს. დასახელებულ წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის საგანგებო დავალებით (ვინ მოიაზრება, არ არის ცნობილი), „სამტრესტის“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ



2006 წლის 5 მაისს განხორციელდა შპს „ბადაგონის“ ღვინომასალის, ღვინის და ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლი და ამოღებულ იქნა სულ 40 სახის საანალიზო ნიმუში, რაც გადაიგზავნა „მულტიტესტის“ საგამოცდო ლაბორატორიაში. ლაბორატორიული კვლევის მასალებში მითითებული იყო, რომ შპს „ბადაგონის“ მიერ ადგილი აქვს ფალსიფიცირებული ღვინის მასალების დამზადების ფაქტს. წერილს თანდართული აქვს „სამტრესტის“ მიმართვა, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომრის მოადგილე, ქალბატონი ქეთევან ჟღენტი.

აღნიშნული მასალების საფუძველზე, საქართველოს სსსკ-ის 261-ე და 263-ე მუხლების თანახმად, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მიერ დაიწყო წინასწარი გამოძიება შპს „ბადაგონის“ მიერ ფალსიფიცირებული ღვინო-მასალების დამზადების ფაქტზე.

საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები. გადაუდებელი აუცილებლობის გამო ამოღებულ იქნა ღვინის მასალები, რაც დაკანონდა ახმეტის რაიონული სასამართლოს მიერ.

ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის წერილში კი აღნიშნულია, რომ კანონმდებლობის საფუძველზე „სამტრესტი“ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს, რის შედეგადაც დგინდება ყურძნის წარმოების, გადამუშავების, ღვინისა და ღვინის ბრენდის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების, აგრეთვე ხარისხისა და მახასიათებლების შესაბამისობა მევენახეობა-მელვინეობის დარგში მოქმედი წარმოების წესების, რეგლამენტები ტექნოლოგიური ინსტრუქციების მოთხოვნებთან. შემონმების შედეგების საფუძველზე ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას ღვინისა და ღვინის ბრენდზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის ან არგაცემის შესახებ.

წერილში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ 2006 წლის 13 ნოემბერს „სამტრესტის“ თანამშრომლები კვლავ იქნენ მივლინებულნი შპს „ბადაგონის“ ღვინის ქარხანაში „მულტიტესტიდან“ მიღებული ანალიტიკური შედეგების დამატებით შესწავლისათვის, თუმცა ამის შესაძლებლობა არ მიეცათ საწარმოს წარმომადგენლების წინააღმდეგობის გამო.

ამის საწინააღმდეგოდ, შპს „ბადაგონის“ წარმომადგენელი განმარტავს, რომ „სამტრესტის“ თანამშრომლებისა და ფინანსური პოლიციის თანდასწრებით 14 ნოემბერს განადგურდა მათი ქარხნის რეზერვუარებში დაცული ღვინო. აღნიშნული აღბეჭდილია ვიდეოფორზე ტელევიზიების მიერ.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია სურსათის ხარისხზე სახელმწიფო კონტროლის წესები და ამავე კანონის მესამე მუხლის „რ“ ქვეუნიქტით განმარტებულია სახელმწიფო კონტროლის ცნება: „სახელმწიფო კონტროლი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნიქტო დანესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედება სურსათის ან ცხოველის საკვების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ან გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის უზრუნველყოფის მიზნით“. აქედან გამომდინარე, სურსათის უვნებლობაზე მაკონტროლებელი ორგანო არის **სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური**.

როგორც დოკუმენტებიდან არის ცნობილი, „ბადაგონის“ საქმესთან ფიგურირებს ღვინისა და ვაზის დეპარტამენტი, რომლის უშუალო მიმართვით ფინანსურმა პოლიციამ დაიწყო წინასწარი გამოძიება. ვინაიდან მენარმის საქმიანობაზე და სურსათის ხარისხზე კონტროლი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ევალება „სამტრესტს“ (მაგალითად, შესაბამისობის, ექსპორტ-ინპორტის სერტიფიკატის გაცემა), მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაამეტეს მათ სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რითაც ზიანი მიადგა კომპანია „ბადაგონს“.

ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,
„სურსათის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან მათ ერთობლიობას:

- ა) დადგენილი წესით ნიმუშების აღებას და დასახელებულ ლაბორატორიაში გამოცდის ჩატარებას;
- ბ) დოკუმენტური მასალის შემოწმებას.“

34-ე მუხლი კი ადგენს, რომ კონტროლის განხორციელებისას სამსახურის უფლებამოსილ მოხელეს უფლება აქვს:

- ა) „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ წესით შევიდეს და აიღოს ნიმუშები ლაბორატორიული გამოცდისათვის უფლებამოსილებაში განსაზღვრულ კონკრეტულ ობიექტზე;
- ბ) გამოითხოვოს სარეგისტრაციო წიგნი, დოკუმენტი ან სხვა მონაცემები, რომლებიც შეიცავს ამ კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას სურსათის ან ცხოველის საკვების შესახებ, გადაიღოს მათი ასლები და გააკეთოს ამონაწერები;
- გ) უვნებლობის მაჩვენებლების შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში შეაჩეროს სურსათის ან ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება.

32-ე მუხლით განსაზღვრულია საგანგებო ზომები სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ,

„თუ დასაბუთებულია, რომ სურსათი ან ცხოველის საკვები შეიცავს სერიოზულ რისკს ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის და არსებული საშუალებებითა და რესურსებით ვერ ხერხდება მისი თავიდან აცილება, შექმნილი ვითარების სიმძიმის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახური ვალდებულია განახორციელოს შემდეგი ზომები:

- ა) ადგილობრივი წარმოშობის სურსათის ან ცხოველის საკვებთან მიმართებაში:
 - ა.ა) გარკვეული ვადით შეაჩეროს სურსათის ან ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება;
 - ა.ბ) მოახდინოს მოსახლეობის დროული ინფორმირება სურსათის ან ცხოველის საკვების მოხმარებისგან დროებით თავის შეკავების შესახებ;
 - ა.გ) განსაზღვროს სპეციალური მოთხოვნები მაღალი რისკის სურსათთან და ცხოველის საკვებთან დაკავშირებით;
 - ა.დ) მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო და საგანგებო ზომები;
- ბ) იმპორტირებული სურსათის ან ცხოველის საკვებთან მიმართებაში:
 - ბ.ა) გარკვეული ვადით შეაჩეროს სურსათისა და ცხოველის საკვების იმპორტი ექსპორტიორი ქვეყნიდან ან ამ ქვეყნის რომელიმე ნაწილიდან, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიტის ქვეყნიდან;
 - ბ.ბ) განსაზღვროს სპეციალური მოთხოვნები ექსპორტიორ ქვეყანასთან, ამ ქვეყნის რომელიმე რეგიონთან ან ტრანზიტის ქვეყანასთან მიმართებაში მაღალი რისკის სურსათის ან ცხოველის საკვებთან დაკავშირებით;
 - ბ.გ) მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო საგანგებო ღონისძიებები.“

დასახელებული საგანგებო ზომების განსახორციელებლად „მავნებელი სურსათის განადგურების წესის შესახებ“ სოფლის მეურნეობის მინისტრის № 2-146 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს მავნებელი სურსათის განადგურების შემდეგ მეთოდებს:

- ა) დაწვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;
- ბ) დამარხვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე;
- გ) ბიოთერმულ ორმოში მოთავსება;
- დ) საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვება;
- ე) დენატურაცია.



ხოლო ამავე მუხლის მე-4, მე-5 ნაწილებით კი განსაზღვრულია სურსათის განადგურების წესი, რომლის თანახმად, „მავნებელი სურსათის ან ცხოველის საკვების განადგურებაზე გადაწყვეტილებას კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს სამსახური. გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს მავნებელი სურსათის ან ცხოველის საკვების განადგურების მეთოდები, ვადები და პირობები, რაოდენობრივი (წონა/მოცულობა, პარტიის რაოდენობა და ნომერი), სახეობრივი (დასახელება, დამზადების თარიღი და ცვლის ნომერი პარტიების მიხედვით) და შეფუთვა-მარკირების (შეფუთვის ერთეულთა რაოდენობა პარტიების მიხედვით) მონაცემები, რომელთა სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს/დისტრიბუტორს. მავნებელი სურსათის ან ცხოველის საკვების განადგურების თაობაზე სამსახურის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება მწარმოებელს/დისტრიბუტორს.“

იგივე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „მავნებელი სურსათის ან ცხოველის საკვების განადგურება ხორციელდება მწარმოებლის/დისტრიბუტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით სამსახურის უფლებამოსილი მოხელის თანდასწრებით. მწარმოებელი/დისტრიბუტორის მიერ დგება განადგურების აქტი ორ ეგზემპლარად, დანართი 1-ის შესაბამისად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სამსახურის უფლებამოსილ მოხელეს, ხოლო მეორე ეგზემპლარი მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ ინახება 2 წლის განმავლობაში. განადგურების აქტის მწარმოებლის/დისტრიბუტორის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებული ასლები გადაეცემა სხვა დაინტერესებულ პირებს.“

„ბადაგონის“ მიერ წარმოებული ღვინის განადგურების დროს არ იქნა დაცული კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული წესები.

მინისტრის ბრძანებით გარანტირებულია, აგრეთვე, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, რისი შესაძლებლობაც კომპანია „ბადაგონს“ არ მისცემია.

მოცემულ შემთხვევაში კომპეტენტურ მაკონტროლებელ ორგანოს შეეძლო, გამოძიების დასრულებაამდე და ჭეშმარიტების დადგენამდე დროებით შეეჩერებინა „ბადაგონის“ მიერ წარმოებული პროდუქცია, მას არ ჰქონდა უფლება გაენადგურებინა „ბადაგონის“ რეზერვუარებში დაცული ღვინო. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტროლი განახორციელა არაუფლებამოსილმა ორგანომ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა, „სამტრესტმა“, მაშინ როცა საამისოდ უფლებამოსილი ორგანო არის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური. ღვინის მასალების განადგურება განხორციელდა 2006 წლის 14 ნოემბერს, როდესაც „სამტრესტის“ თავმჯდომარის მოვალეობას ვასილ მანაგაძის სამსახურებრივი მივლინების გამო ასრულებდა მისი მოადგილე, ქეთევან ჟღენტი. ამავე დროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰყავდა ახლად დანიშნული მინისტრი, პეტრე ცისკარიშვილი, რომელიც ახორციელებს კონტროლს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე „სამტრესტზე“. პეტრე ცისკარიშვილმა ისე გააკეთა სატელევიზიო კომენტარი კომპანია „ბადაგონის“ წინააღმდეგ, რომ არ გარკვეულა საქმის ვითარებაში. გარდა იმისა, რომ ადგილი ჰქონდა კონკრეტულ პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უსაფუძვლო განცხადებების გამო ზიანი მიადგა კომპანიის საქმიან რეპუტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებულ მასალები სათანადო რეაგირებისათვის საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

„შირნჰოფერის“ საქმე

სამწარმოო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ავსტრიელი ბიზნესმენი შირნჰოფერი ჩამოვიდა საქართველოში. „შირნჰოფერი“ არის ევროპაში ცნობილი ძეხვების მწარმოებელი ფირმა, რომელიც საქართველოშიც გეგმავდა ბიზნესის გაფართოვებას.

2006 წლის იანვარ-თებერვალში „ავსტრიულმა შირნჭოფერმა“ საქართველოში შპს „შირნჭოფერს“ სარეალიზაციოდ გამოუგზავნა სხვადასხვა დასახელებისა და ასორტიმენტის ძეხვი, რომლის შემოტანა მოხდა 3 ავტომანქანა-მაცივრით. პირველი პარტია შემოვიდა 2006 წლის 22 თებერვალს (33E7007/FP432), მეორე – 2006 წლის 3 მარტს (33HZ930), ხოლო მესამე – 2006 წლის 16 მარტს (33HZ973). საქონლით დატვირთული მანქანები შემოვიდნენ საბაჟო „ნატახტარში“, სადაც უნდა მომხდარიყო ტვირთის განბაჟება. მიუხედავად იმისა, რომ შპს „შირნჭოფერმა“ ტვირთის თითოეული პარტიის შემოსვლისთანავე დაუყოვნებლივ წარადგინა შემოსული საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტაცია, საბაჟო „ნატახტარში“ ტვირთის განბაჟება 2006 წლის 10 აპრილამდე არ მოახდინა. საბაჟო დეპარტამენტის უფროსისადმი წერილობით მიმართვებს (2006 წლის 24 თებერვალი, 2006 წლის 16 მარტი, 2006 წლის 30 მარტი), აღმოეფხვრათ განბაჟებისას არსებული შეფერხება და მოეხდინათ საქონლის დროული განბაჟება, შედეგი არ მოყოლია. საბაჟო დეპარტამენტის ბრალით საქონლის განუბაჟებლობამ, შპს „შირნჭოფერს“ მატერიალური ზიანი მიაყენა.

ყოველივე ამას წინ უძღვოდა ფინანსური პოლიციის უფროსის 2005 წლის 27 დეკემბრის (წერილი №26-1/3642) მოწოდება საბაჟო დეპარტამენტის თავჯდომარისადმი, განბაჟებამდე მოეხდინათ საქონლის შემოწმება. საბაჟოს უფროსმა მერაბ თავართქილაძემ, რომელიც მოქმედებდა ფინანსური პოლიციის უფროსის 2005 წლის 27 დეკემბრის №26-1/3642 წერილობითი დავალებით, შპს „შირნჭოფერს“ არ გადასცა საქონლის შიდა საბაჟო ტრანზიტის ფორმა №1 რაც აუცილებელი იყო დეკლარაციის შევსებისათვის. შესაგებლის განხილვის დროს ეს დაადასტურა თავად მერაბ თავართქილაძემაც.

ამავდროულად, 2006 წლის 23 თებერვალს საბაჟო დეპარტამენტისა და ვეტერინარიის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, გახსნეს ავტომანქანა-მაცივარი სარეგისტრაციო ნომრით 33E 7007/FP432 (პირველი პარტია) და 10 სახეობის ძეხვიდან აიღეს სხვადასხვა რაოდენობის სინჯები, რომლებიც გამოკვლევისათვის გაეგზავნა ვეტერინარიის დეპარტამენტის საქართველოს ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიას. აღნიშნულს ადასტურებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისი წერილით. ჩემ ოფიციალურ მიმართვაზე დასახელებული სამინისტროდან მიპასუხეს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის წერილის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტმა შეამოწმა ავსტრიული ფორმა „შირნჭოფერის“ მიერ დამზადებული ძეხვეული.

შპს „შირნჭოფერის“ წარმომადგენლის განმარტებით, მიუხედავად მათი 2006 წლის 16 თებერვლისა და 2006 წლის 6 მარტის წერილობითი მოწოდებისა ვეტერინარიის დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი, ხელი აეღოთ იმპორტირებული საქონლის შემოწმებაზე, რომელსაც ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატი გააჩნდა და ხელი არ შეეშალათ საქონლის განბაჟებისათვის, პასუხი არ მოყოლია. ასევე რეაგირება არ მოყვა შპს „შირნჭოფერის“ 2006 წლის 17 მარტის მიმართვას ვეტერინარიის დეპარტამენტისადმი. აღნიშნულ მიმართვაში, შპს „შირნჭოფერი“ ითხოვდა, იმპორტირებულ პროდუქციაზე რეფერენტული (შედარებითი) გამოცდის ჩატარებას და მასში ავსტრიიდან ჩამოსული მიკრობიოლოგის მონაწილეობას.

მას შემდეგ რაც შპს „შირნჭოფერმა“ ამონურა დროული განბაჟების ყველა მცდელობა, იგი იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსათვის, რისთვისაც 2006 წლის 31 მარტს სარჩელი იქნა შეტანილი საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ საქონლის განბაჟების მოთხოვნით.

როგორც შპს „შირნჭოფერის“ წარმომადგენელი განმარტავს წარმოშობილი პრობლემა რეალურად გადაწყდა საქმეში საქართველოს პრეზიდენტის უშუალო ჩართვის შემდეგ. 2006 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 10 საათზე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ანთელიძის პირადი თხოვნით საბაჟო „ნატახტარში“ გამოცხადდა შპს „შირნჭოფერის“ წარმომადგენელი საქართველოში გივი ამირანაშვილი, რომელსაც დაუყოვნებლივ განუბაჟეს საქონელი.



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ლაბორატორიულმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ სხვადასხვა სახეობის ძეხვებში მიკრობთა საერთო რაოდენობა იყო ნორმაზე ზევით. ამ დასკვნების საფუძველზე, „შირნჰოფერს“ აეკრძალა წარმოებული პროდუქტის ბაზარზე გატანა.

მიუხედავად ამისა, იმ დროისათვისაც და დღესაც საქართველოში წარმატებით იყიდება ამ ფირმის პროდუქცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ კონკრეტულმა პირებმა შეგნებულად შეუშალეს ხელი „შირნჰოფერის“ ლეგალურ საქმიანობას, რაც კონკურენციის შეზღუდვაზე მიანიშნებს. გარდა ამისა, დაიკარგა სამი ათასი სამუშაო ადგილი და შეილახა საქართველოს იმიჯი, ვინაიდან შირნჰოფერის მიერ წარმოებულ პროდუქციას იცნობს ევროპის ყველა წამყვანი ქვეყანა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს მეწარმის საქმიანობისთვის უკანონოდ ხელისშეშლა და მისთვის, როგორც მატერიალური ზარალის მიყენების, ისე რეპუტაციის შელახვის ფაქტი, ამის გამო დღემდე არავინ დასჯილა.

დღესდღეობით გაეროს ცნობით მთელ მსოფლიოში არის 60 წელს გადაცილებული 606 მილიონი ადამიანი, მსოფლიო მოსახლეობის 10%. მათი რიცხვი 2050 წლისათვის 1,6 მილიარდამდე გაიზრდება და მსოფლიო მოსახლეობის 19%-ს შეადგენს. 62% ამ მოსახლეობის განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, მაგრამ 2050 წლისათვის ხანშიშესულთა 80% იცხოვრებს განვითარებად ქვეყნებში. ამ ქვეყნებში საკმაოდ რთულია პენსიონრების სოციალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ამიტომ ისინი შეიძლება სიღარიბის რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ.

დღეისათვის საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფა დარეგულირებულია ერთიანი ნორმატიული აქტით, საქართველოს კანონით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც ადგენს სახელმწიფო პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძვლებს, განსაზღვრავს პენსიის ოდენობას, მისი ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, მისი შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, არეგულირებს პენსიის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

ამ კანონის შესაბამისად პენსიის დანიშვნის საფუძვლებია:

- ა) საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;
- გ) მარჩენალის გარდაცვალება.

პენსიის მინიმალური ოდენობაა თვეში 28 ლარი.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს ენიშნებათ პენსია 35 ლარის ოდენობით. ასეთივე პენსია ენიშნებათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას.

მარჩენალის გარდაცვალების საფუძვლით პენსია ენიშნება ყოველ მარჩენალდაკარგულს:

- ა) ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში – თითოეულს 28 ლარის ოდენობით, მარჩენალდაკარგულების საერთო რაოდენობის მიუხედავად;
- ბ) უდემამო ბავშვებს – თითოეულს 35 ლარის ოდენობით, მარჩენალდაკარგულების საერთო რაოდენობის მიუხედავად.

სახალხო დამცველის აპარატში განხილულია არაერთი შემთხვევა, რომელიც ეხება სწორედ



საპენსიო უზრუნველყოფის უფლების დარღვევას, ადმინისტრაციული ორგანოების სახელფასო დავალიანებას მოქალაქეების მიმართ. მათი განმარტებით, ისინი წლობით ელოდებიან კუთვნილ ხელფასს, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ვერ იღებენ. აგრეთვე, ძალიან ხშირად მოქალაქეები საჩივარში მიუთითებენ, რომ მიუხედავად მათი უკიდურესი მატერიალური გაჭირვებისა, ისინი ვერ ხვდებიან სიღარიბის დაძლევის სოციალურ პროგრამაში. ყოველივე ეს ამ მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფის უფლების დარღვევაა.

თიკო ასკილაშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.გორიდან მოქალაქე ზვიად ვანიევმა მოქალაქე თიკო ასკილაშვილისათვის პენსიის დანიშვნისა და სოციალური დახმარების დანიშვნის თაობაზე. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მოქალაქე თ.ასკილაშვილი ცხოვრობს გორის რაიონის სოფელ წედისში. იგი არის 82 წლის, სამამულო ომის მონაწილის ქვრივი, რომელსაც არ აქვს დანიშნული თავისი კუთვნილი პენსია, ასევე სახელმწიფოს მხრიდან არ ღებულობს არავითარ დახმარებას. აღნიშნულით არ ინტერესდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რისთვისაც ზ.ვანიევმა, აგრეთვე, განცხადებით მიმართა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საიდანაც განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად რეაგირებისათვის გადაეგზავნა გორის გამგეობას, თუმცა განმცხადებლისათვის გამგეობიდან პასუხიც არ გაუციათ.

მოქალაქე ზვიად ვანიევის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა გორის რაიონის გამგეობას. ამასთან, აპარატის თანამშრომლები ადგილზე ჩავიდნენ საქმის ვითარების გასარკვევად.

2006 წლის 06 სექტემბრის №901 პასუხით გვეცნობა, რომ თ. ასკილაშვილის, როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახად აღრიცხვას და დაწესებული დახმარების გაცემას მოახდენენ მისი პირადობის მონმობის წარდგენისთანავე. როგორც ამ წერილიდან გაირკვა, თ. ასკილაშვილს პირადობის მონმობა არ გააჩნია, აღნიშნული საკითხის მოგვარებაში დახმარებას გაუწევს გორის რაიონის გამგეობა.

რაც შეეხება პენსიის დანიშვნას, განმცხადებელს მიეცა წერილობითი განმარტება, რომ პირადობის მონმობის მიღების შემდგომ უნდა მიმართოს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს თ. ასკილაშვილისათვის პენსიის დანიშვნას.

ძევრის ინვალიდთა სახლის თანამშრომლების საქმე

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი იქნა შპს „ძევრის ინვალიდთა სახლის“ თანამშრომელთა კოლექტიური განცხადება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მისაღები აქვთ 1998, 1999 და 2000 წლების სახელფასო დავალიანება. ამასთანავე არ მიუღიათ 2003 წლის დეკემბრის თვის ხელფასი.

განცხადების საფუძველზე მივმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს. ამ უკანასკნელიდან 2006 წლის 24 აგვისტოს №04-02/8728 პასუხით გვეცნობა, რომ, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ ითვალისწინებს შპს „ძევრის ინვალიდთა სახლის“ მიმართ არსებულ კრედიტორულ დავალიანებას, ფინანსთა სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული უწყების თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2006 წლის 13 სექტემბრის №01-05/08/8393 პასუხში მითითებულია, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში შემავალი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაციის პროცესის გაჭიანურების გამო, 2001 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს ფინანსთა მინისტრების №364 და №228 ბრძანებებით, ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის საფინანსო ვალდებულებების გარკვევის მიზნით, შეიქმნა მისი სარეორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებული ფინანსური და საბუღალტრო დოკუმენტების მიმღები და განმხილველი ერთობლივი კომისია, მაგრამ რიგი მიზეზების, კერძოდ, არსებულ სამინისტროებში ჩატარებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების, ასევე, კომისიის წევრთა სამუშაო დროის დეფიციტის (მაღალი თანამდებობიდან გამომდინარე) გამო, საკითხი ღიად დარჩა, ისე, რომ დღემდე გაურკვეველია ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის დებიტორული და კრედიტორული დავალიანება. აგრეთვე, არ არის გადაწყვეტილი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის სამართალმემკვიდრის საკითხი. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, დეპარტამენტმა შესთავაზა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება მითითებული სამინისტროების თანამშრომლებისაგან და დაევალება სამი თვის ვადაში ინვალიდების საქმეთა ყოფილი დეპარტამენტის სარეორგანიზაციო კომისიის მიერ შედგენილი საფინანსო ანგარიშებისა და საბუღალტრო ბალანსის განხილვა, დანესებულების დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების დაზუსტება, სამართალმემკვიდრის შესახებ დასკვნის მომზადება და აღნიშნული დასკვნის დასახელებულ სამინისტროებში წარდგენა. თუმცა აქვე მითითებულია, რომ ძველის ინვალიდთა სახლის 1998-2000 წლების კრედიტორული დავალიანება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე არ ირიცხება, რის გამოც არ არსებობს მათი მხრიდან მისი გასტუმრების ვალდებულება.

ამავე პასუხში განმარტებულია 2003 წლის დეკემბრის თვის სახელფასო დავალიანების გაუცემლობის მიზეზები.

დასახელებული პასუხის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მოვითხოვეთ ინფორმაცია, როდის მოხდება მითითებული კომისიის შექმნა და როგორ განისაზღვრება კომისიის მუშაობის ვადა.

მ/ნ 21 ნოემბრის №01-05/08/10667 წერილით დამატებით გვაცნობეს, რომ დღეისათვის მზადაა ფინანსთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანების პროექტი ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის რეორგანიზაციის ფინანსური შედეგების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. აქვე მითითებულია, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები ბრძანების პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებისათვის და კომისიის მუშაობის ვადა მისი შექმნიდან სამი თვით განისაზღვრება. პასუხი გაეგზავნა განმცხადებლებს.

სახალხო დამცველი თვალს ადევნებს აღნიშნული საქმის მიმდინარეობას მოქალაქეთა უფლებების საბოლოო აღდგენამდე.

მზია ბრეგვაძის საქმე

სახალხო დამცველმა შეისწავლა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მზია ბრეგვაძის დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი კომპენსაციის ანაზღაურების საკითხი.

უნივერსიტეტიდან და მ. ბრეგვაძის მეუღლის, ნ. ჭანტურიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად გაირკვა, რომ სასამართლო მომხდარ ავტოავარიაში დამნაშავე პირად ცნო შემხვედრი ავტომანქანის მძღოლი მ. ჩაჩანიძე და გააუქმა ნ. ჭანტურიას სამოქალაქო სარჩელი



მისივე უარის გამო. ამ ფაქტის საფუძველზე უნივერსიტეტი უარს აცხადებს გარდაცვლილის ოჯახს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი და დაზარალებულს უთითებს, რომ სასამართლო პროცეზე ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ედავა მ. ჩაჩანიძესთან, რაც არასწორია.

სამოქალაქო მოსარჩელისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა, გარდაცვლილის მეუღლეს უფლებას არ ართმევს უნივერსიტეტისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საქმეში არსებობს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ უნივერსიტეტის მიერ 2005 წლის 08 ივნისს შედგენილი აქტი №1 (ფორმა ტ-1), შრომის ინსპექციის მთავარი ინსპექტორების დასკვნა და მისი უფროსის ა.მორჩილაძის 2005 წლის 27 ივნისის №24 წერილი, რომლის თანახმად დადგენილია, რომ შემთხვევა ნამდვილად განეკუთვნება საწარმოო ტრავმის კატეგორიას და ექვემდებარება აღრიცხვას. აქედან გამომდინარე, საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების შესაბამისად, რომლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია „დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე იმ საწარმოო ტრამისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე სამუშაოზე ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე.“ ხოლო, ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის შესახებ ბრძანებულების 39-ე მუხლით დადგენილია, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურეობრივი სარგოს ოდენობით, აგრეთვე დაკრძალვის ხარჯები, ხოლო დაღუპული საჯარო მოსამსახურე იკრძალება სახელმწიფოს ან შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხარჯზე.“ დაწესებულების პასუხისმგებლობა მოსამსახურეებისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ, განსაზღვრული იყო შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლში, რომლის თანახმად „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-4 მუხლის საფუძველზე, აუნაზღაურებინა ნ. ჭანტურიასთვის მისი მეუღლის, მ. ბრეგვაძის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების გამო მიყენებული ზიანი ამავე ბრძანებულების 39-ე და 51-ე მუხლების თანახმად დადგენილი თანხის ოდენობის შესაბამისად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

ბადრი ჩუბინიძის საქმე

2006 წლის 20 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ბადრი ჩუბინიძემ სახელფასო დავალიანების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 1995 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის აეროპორტის განყოფილებაში. სამსახურში განხორციელებული რეორგანიზაციის გამო 2004 წლის 01 აგვისტოდან გადაყვანილი იქნა კადრების დაქვემდებარებაში. 2005 წლის 15 თებერვალს გავიდა

პენსიაზე ინვალიდობის გამო. როგორც განმცხადებელი მიუთითებს მისაღები აქვს 1998-2001 წლები, 2004 წლის ნოემბრის თვის და კადრების განკარგულებაში ყოფნის რამოდენიმე თვის სახელფასო დავალიანება, რომელიც, როგორც განაცხადა, თქვენი დაპირებისამებრ უნდა მიეღო 2005 წლის მარტის თვეში.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე მიემართეთ საქართველოს შინაგან სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსს, ბატონ დ.ფრუიძეს, საიდანაც გვაცნობეს, რომ ბ.ჩუბინიძეს მისაღები აქვს ხელფასი 965,72 ლარის ოდენობით, გამოუყენებელი შვებულებისა და ორგანოდან განთავისუფლებულთა გამოსასვლელი კომპენსაციები 444,73 ლარის ოდენობით, სულ 1410,45 ლარი, რაც დაკრედიტებულია. აღნიშნული სახელფასო დავალიანება დაიფარება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროდან მიზნობრივად საჭირო ასიგნებების დამატებით გამოყოფის გათვალისწინებით, ვინაიდან ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ითვალისწინებს სახსრებს მხოლოდ მიმდინარე საჭიროებისათვის და აღნიშნული ხარჯის განევა გამოიწვევს ახალი დავალიანების წარმოქმნას.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით ყოველთვის იგზავნება ასეთი სტანდარტული პასუხები.

ნოდარ რეზესიძის საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე ნოდარ რეზესიძემ. იგი აღნიშნავს, რომ 1973 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა შს-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. 2004 წლის ივნისიდან იგი მუშაობდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, საიდანაც ასაკის გამო, 2005 წლის 29 დეკემბერს დათხოვნილი იქნა რეზერვში. როგორც თავად განმცხადებელი აღნიშნავს, მიუხედავად მისი არაერთგზის მიმართვისა, გათავისუფლების შემდეგ, დღემდე არ მიუღია მისი სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, კანონით დადგენილი სხვადასხვა დანამატები და კომპენსაციები. კერძოდ, 2005 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვის და კუთვნილი შვებულების ხელფასი.

საკითხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ იმ დროისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლით „მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, სანარმოსგან, დანესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს. თუ მუშაკი დათხოვნის დღეს არ მუშაობდა, მაშინ შესაბამისი თანხა გაცემული უნდა იქნეს არა უგვიანეს შემდეგი დღისა დათხოვნილი მუშაკის მიერ ანგარიშსწორების შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან.“ გარდა ამისა, მოქალაქე ნოდარ რეზესიძე მსახურობდა აჭარაში, რომელიც მაღალმთიან ადგილს წარმოადგენს და მას ეს სამსახური, საქართველოს პრეზიდენტის იმ დროისათვის მოქმედი 2003 წლის 8 მაისის №192 ბრძანებულების თანახმად, ეთვლებოდა სამხედრო სამსახურის გავლის განსაკუთრებულ პირობად, ხოლო პრეზიდენტის 2005 წლის 2 მარტის №124 ბრძანებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს მაღალმთიან ადგილებში სამსახურისათვის ყოველთვიურად ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს პროცენტული დანამატი: დ) ზღვის დონიდან 2500-დან და ზევით – 40%.“

დასახელებული ნორმატიული აქტები კანონიერ საფუძველს აძლევს განმცხადებელს, განსაკუთრებულ პირობებში და მაღალმთიან ადგილებში მუშაობის გამო, მოითხოვოს ფულადი დანამატების მიღება.

დაირღვა მოქალაქე ნოდარ რეზესიძის კანონიერი უფლებები, რის გამოც „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობას, დაუყოვნებლივ გაეცათ



ნოდარ რეზესიძეზე კუთვნილი ხელფასი და საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებების შეასაბამისად დადგენილი თანამდებობრივი სარგოები და დანამატები.

რეკომენდაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციიდან მიღებულ პასუხში ვკითხულობთ, რომ ვინაიდან „ნოდარ რეზესიძე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ხოლო ეს სამინისტრო არ შედის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, მასზე კანონით გათვალისწინებული დანამატები წელთა ნამსახურობისათვის გავრცელდება მხოლოდ სამხედრო ძალებში ნამსახურობის პერიოდში“. ფაქტობრივად, ამ პასუხით ეჭვქვეშაა დამდგარი, რომ შს სამინისტრო განეკუთვნება ძალოვან სტრუქტურათა კატეგორიას და მის თანამშრომლებზე ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რასაც „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს.

ძნელია ამ შემთხვევაში ნოდარ რეზესიძე და სხვა მის მსგავსად გაურკვეველობაში ჩავარდნილი მოქალაქეები დააჯერო, რომ მათი ბედი საქმიანი და კომპეტენტური ადამიანების ხელშია. სშირად კომპეტენტური პასუხი, თუნდაც არასასურველი, მოქალაქეებს უქმნის კანონიერებისა და დაცულობის განცდას. თითოეული მოხელე, როცა მას ათავისუფლებენ სამუშაოდან და სოციალური გარანტიების არმქონე საზოგადოების ნაწილი ხდება, მინიმუმ სხაელმწიფოსგან სოციალური უფლებების დაცვის გარანტიებს მაინც უნდა ღებულობდეს.

სახელმწიფომ არაერთხელ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ყველა დავალიანება, რაც სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების მიმართ გააჩნდა სახელმწიფოს, გასტუმრებული და ანაზღაურებული იქნებოდა. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საკითხი ბოლომდე არაა ამოწურული, რადგან ჯერ კიდევ არიან მოქალაქეები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ სამუშაო ადგილები დაკარგეს, ვერ იღებენ საკომპენსაციო თანხებს, ძველ სახელფასო დავალიანებებს და უწევთ უწყებიდან უწყებაში სიარული ან გაურკვეველი პასუხებისა და დაპირებების მოსმენა.

თამარ ფარჩუკაშვილის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე თამარ ფარჩუკაშვილმა იძულებით განაცდური დღეების ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ ქ.თბილისის მსუბუქი მრეწველობის კოლეჯის დირექტორმა აბრამ ბაზელმა 2003 წლის 01 სექტემბრის №03-06/36, 37, 38, 39 ბრძანებებით უკანონოდ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან საწარმოო სწავლების განყოფილების გამგე თ. ფარჩუკაშვილი და კიდევ სამი თანამშრომელი: მარინა ქაჯაია, ლუდმილა გარდაფხაძე და მაია მოდებაძე, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2004 წლის 16 სექტემბრის №166 ბრძანებით, ბათილად იქნა ცნობილი. ამის შემდეგ აბრამ ბაზელმა სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს. 2004 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ბრძანება შეჩერებული იქნა საქმის არსებით განხილვამდე, თუმცა თ. ფარჩუკაშვილის კერძო საჩივრის საფუძველზე, ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 04 მარტის განჩინებით გაუქმდა სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება. ამდენად, სამინისტროს №166 ბრძანება დარჩა ძალაში და დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას. მიუხედავად ამისა, პირვანდელ თანამდებობაზე მათი აღდგენა მხოლოდ 2005 წლის 08 აგვისტოს №15/კ ბრძანებით განხორციელდა.

აღნიშნული დროიდან კოლეჯის თანამშრომლები ითხოვენ იძულებით განაცდური დღეების ხელფასის ანაზღაურებას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის თ. სამადაშვილის 2005 წლის 24 ოქტომბრის №01-17-12/12454 წერილში პირდაპირ არის მითითებული, რომ ვინაიდან სასამართლოს არ უმსჯელია დავის საგანზე და ასანაზღაურებელ პერიოდზე, ამიტომ საკითხი უნდა გადაწყვიტოს სამინისტრომ კანონის

საფუძველზე. იმ დროისათვის მოქმედი შკკ 208-ე მუხლის თანახმად, შრომითი დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ, ხოლო დაყოვნების შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს სხვაობა აღსრულებამდე, მთელი დაყოვნების ვადით. ამდენად, შკკ 214-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურება უნდა მომხდარიყო 2003 წლის 14 სექტემბრიდან 2004 წლის 14 სექტემბრამდე, ხოლო შკკ 208-ე მუხლის საფუძველზე, 2004 წლის 14 სექტემბრიდან 2005 წლის 03 აგვისტომდე და კრედიტორული დავალიანება უნდა ასახულიყო კოლეჯის 2005 წლის ცხრა თვის ანგარიშში (ბალანსი).

აღნიშნულის საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საიდანაც 2006 წლის 20 დეკემბრის №01-16-07-1/21071 პასუხით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქალბატონ თ. ფარჩუკაშვილის იძულებითი განაცდური დღეების ხელფასის ანაზღაურებისათვის თბილისის მსუბუქი მრეწველობის კოლეჯს გაეზარდა დაფინანსება 1 500 ლარის ოდენობით 2006 წლის 13 სექტემბერს. ხოლო 2006 წლის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეშვეობით ქალბატონმა თამარ ფარჩუკაშვილმა მიიღო განაცდური თანხა.

ციური ზოტოვას საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე ციური ზოტოვამ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი არის შაქრიანი დიაბეტით დაავადებული, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, განიცდის უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას.

ც. ზოტოვა მიუთითებს, რომ შემონმეხული იქნა სიღარიბის დაძლევის პროგრამის კომისიის წევრთა მიერ, მაგრამ მიუხედავად მძიმე სოციალური პირობებისა, ვერ მოხვდა აღნიშნულ პროგრამაში, თუმცა მას მიაჩნია, რომ მიეკუთვნება უღარიბესთა კატეგორიას.

ც. ზოტოვას განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საიდანაც მიღებულ პასუხში მითითებულია, რომ განცხადებაში დასმული საკითხი სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ განსახილველად და გადასამონმეხლად გადაეგზავნა აღნიშნული სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრს.

2006 წლის 7 ნოემბრის (№2/02-461/1) პასუხით ცნობილი გახდა, რომ სოციალური აგენტის მიერ ხელმოწერად შეივსო ც. ზოტოვას ოჯახის დეკლარაცია და შემდგომში განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები.

ნვართ მარტიროსიანის საქმე

2006 წლის 10 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნვართ მარტიროსიანმა. იგი აღნიშნავს, რომ არის პირველი ჯგუფის ინვალიდი. მისი მეუღლე გარდაცვლილია და ზრდის სამ შვილს. ოჯახი არის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში, რისთვისაც განცხადებით მიმართა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს. მის ოჯახში იმყოფებოდა სოციალური აგენტი, რომელმაც შეავსო დეკლარაცია. მიუხედავად არაერთგზის მიკითხვისა ისანი-სამგორის რაიონულ სამსახურში, მას აღნიშნულის თაობაზე არავითარი დოკუმენტი არ მიუღია. სახალხო დამცველის აპარატის დახმარებით ნ. მარტიროსიანმა აიღო რეგისტრაციის მონმობა, რომელშიც მხოლოდ თვითონ და მისი უფროსი შვილი იყო დარეგისტრირებული. განმცხადებელი მიუთითებს, რომ ოჯახში მისულ სოციალურ აგენტს დეკლარაციის შევსებისას გარკვევით ჩაანერინა დანარჩენი ორი შვილიც და წარუდგინა მათი დაბადების მონმობები.



აღნიშნული განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა განმეორებით შეემოწმებინათ ნ. მარტიროსიანის ოჯახის სოციალური მდგომარეობა, რათა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაერეგისტრირებინათ მისი ოჯახის ოთხივე წევრი, რათა დახმარება მიეღოს ოჯახის ოთხივე წევრს.

2006 წლის 13 დეკემბრის №2/02-550 წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ნ. მარტიროსიანმა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში შეიტანა განაცხადი 2005 წლის 17 აგვისტოს 4 სულზე, თუმცა, ვინაიდან მისი ორი შვილი იმყოფება თავშესაფარში და მუდმივად არ ცხოვრობენ ნ. მარტიროსიანთან, აღნიშნული სააგენტოს ინსტრუქციის თანახმად, სოციალური აგენტის მიერ ოჯახის ორი წევრი არ იქნა შეყვანილი დეკლარაციაში.

ამდენად, ოჯახმა მიიღო სამედიცინო დახმარების ბარათი და დაენიშნა შემწეობა ოჯახის ორ წევრს, ნვართ და ანდრანიკ მარტიროსიანებს 42 ლარის ოდენობით.

საბინაო პრობლემები

სახალხო დამცველის აპარატში განხილულია არაერთი საქმე, რომელიც ეხება ან თავშესაფრის პრობლემებს ან სათანადო საცხოვრებელ დონეს. მოქალაქეები ხშირად მიუთითებენ იმ გაუსაძლის პირობებზე, სადაც ფაქტობრივად არსებობაც შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ უფლებებიდან უმნიშვნელოვანესია ცხოვრების სათანადო დონის უფლება, რაც გულისხმობს, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს აუცილებელი საარსებო მინიმუმი — სათანადო კვება, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და მოვლის საჭირო პირობები, დახმარების მიღების უფლება. ძირითადი მოხმარების სხვა საგნების შესაძენად საჭირო სახსრების არსებობა.

ცხოვრების სათანადო დონე გულისხმობს მოცემულ საზოგადოებაში სიღარიბის ზღვარს ზემოთ პირობებში ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს განმტკიცებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით. ამ აქტებზე მიერთებით საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის ზემოაღნიშნულ უფლებათა განხორციელება.

საბინაო პრობლემების გასარკვევად სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ქ.თბილისის, რუსთავის, ბათუმისა და ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობებს და მოითხოვა ინფორმაცია, 2006 წლის განმავლობაში რამდენმა ადამიანმა მიმართა მათ საბინაო საკითხებთან დაკავშირებით, რამდენი დაკმაყოფილდა და რა თანხები იყო გამოყოფილი ადგილობრივ ბიუჯეტში საბინაო პრობლემების მოსაგვარებლად.

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით ცნობილი გახდა, რომ 2006 წლის ბიუჯეტში საბინაო პრობლემების გასაუმჯობესებლად გამოყოფილი იყო დაახლოებით 21 000 660 ლარი, რაც გამოყენებულ იქნა ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთებისთვის, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების, წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის, ლიფტების აღდგენა-შეკეთებისთვის, რიგი დანგრეული სახლებიდან გაყვანილ მობინადრეებზე საკომპენსაციო თანხების გასაცემად და სხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის.

ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახურიდან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ 2006 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშე-

წყობი პროგრამის დაფინანსებაზე გათვალისწინებული იყო 1 260 000 ლარი. პროგრამულ დაფინანსებაზე ქ. ბათუმის მერიას მიმართა 155 ამხანაგობამ სხვადასხვა საბინაო პრობლემაზე და აქედან დაფინანსდა 103 ამხანაგობა. 2004-2006 წლებში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 20 ოჯახი, ბინის საკომპენსაციო თანხა გაიცა 60 ოჯახზე. მერიის სამანევრო სახლში დროებით შესახლებული იქნა 5 ოჯახი.

ქ. ქუთაისის მთავრობიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2006 წელს ქ. ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას ბინით დაკმაყოფილების თაობაზე მიმართა 94 მოქალაქემ, დაზიანებული სახლების შეკეთებისათვის – 184 მოქალაქემ. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ადგილობრივ ბიუჯეტში არსებობდა მხოლოდ 1 131 500 ლარი, შესაბამისად დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი და შეკეთდა 29 მაღლივი სახლი, 2006 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მიმდინარეობდა კიდევ 39 სახლის სარემონტო სამუშაოები.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა აღმოჩნდა ქ. რუსთავში. რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის ცენტრალური მართვის ტერიტორიული სამსახურის წერილში მითითებულია, რომ 2004-2006 წლებში ადგილობრივ ბიუჯეტში საბინაო საკითხებთან დაკავშირებით თანხა არ გამოყოფილა, რადგან არ ყოფილა ამის საჭიროება, თუმცა აქვე მითითებულია, რომ 2006 წლის 7 სექტემბრისათვის ბინით დაკმაყოფილების თხოვნით ტერიტორიულ სამსახურს მიმართა 98-მა ოჯახმა. ამის შემდეგ უკვე გაუგებარია, რატომ ფიქრობს აღნიშნული სამსახური, რომ თანხის გამოყოფის საჭიროება არ არსებობს. რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის მართვის ტერიტორიულ სამსახურის წერილის თანახმად, ბინით დაკმაყოფილების მსურველთა რიცხვი 2006 წელს იყო 185, თუმცა თანხა არც მათ ჰქონიათ. ჟიული შარტავას სახელობის მართვის ტერიტორიულ სამსახურში ბინით უზრუნველყოფის თაობაზე შევიდა 141 განცხადება და არცერთი დაკმაყოფილებულა, რადგან ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებული არც აქ ყოფილა. შოთა რუსთაველის სახელობის ტერიტორიულ სამსახურს კი იგივე თხოვნით მიმართა 67-მა ოჯახმა, თუმცა ბიუჯეტში თანხები არც მათ გააჩნიათ. განსხვავებული მდგომარეობა დაფიქსირდა ვახტანგ გორგასლის სახელობის მართვის ტერიტორიულ სამსახურში, სადაც მოზინადრეთა საყოფაცხოვრებო გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტული თანხები ასე თუ ისე მაინც მოიძებნა. 2005 და 2006 წლებში აღნიშნულმა სამსახურმა სახურავის აღდგენის მოთხოვნით 210 განცხადებიდან დააკმაყოფილა 151 განცხადება, წყლისა და კანალიზაციის რემონტზე 75 განცხადებიდან – 68, შემინულ იქნა 36 საცხოვრებელი სახლის სადარბაზო, ხოლო ბინით უზრუნველყოფის თაობაზე შესული 106 განცხადებიდან, საერთო საცხოვრებლებში მოძიებულ იქნა ფართი 17 განმცხადებლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ყველგან საბინაო პრობლემა და, აგრეთვე, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მეტად აქტუალურია, ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ადგილობრივ თვითმმართველობებში მხოლოდ მიზერული თანხებია გამოყოფილი, ხოლო რუსთავის შემთხვევაში, მიუხედავად ასეულობით განცხადებისა, ადგილობრივი თვითმმართველობა მიიჩნევს, რომ ამის საჭიროება არ არსებობს.

ლილი ბეროშვილის საქმე

2006 წლის 2 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლილი ბეროშვილი, საბინაო საკითხთან დაკავშირებით. განცხადებაში მითითებულია, რომ იგი არის პენსიონერი, არ აქვს საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის თაობაზე მან ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინ მიმართა ქ. თბილისის ყოფილ მერს ვ. ზოდელავას, რომელიც დაჰპირდა დახმარებას და ბინის შესაძენად გამოუყო თანხა 6000 ლარის ოდენობით, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა ბინების გაძივრების გამო. ამის შემდეგ მიმართა ყოფილ მერს, ზ. ჭიაბერაშვილს, რომელმაც აღნიშნული საკითხის მოგვარება დაავალა ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობ ცენტრს, თუმცა პრობლემა დღემდე გადაწყვეტილი არ არის.



როგორც ლ. ბეროშვილი აღნიშნავს, იგი კვლავ ნაქირავებ ბინაშია, განიცდის უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას, ვინაიდან თავის მიზერულ პენსიას იხდის ბინის ქირაში და საარსებოდ არ რჩება არცერთი თეთრი.

ლ. ბეროშვილის განცხადების საფუძველზე მივმართეთ ქ.თბილისის მერს, საიდანაც როგორც ჩანს ჩვენი წერილი გადაგზავნილი იქნა მთაწმინდა-კრწანისის გამგეობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობიდან მ/ნ 07 დეკემბრის №ბ-3078 პასუხით გვეცნობა, რომ დღეის მდგომარეობით გამგეობას არა აქვს შესაძლებლობა ლილი ბეროშვილის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა მუნიციპალური ფონდის გამოთავისუფლებული საცხოვრებელი ფართის უქონლობის გამო. აქვე მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება კუთვნილებისამებრ ევალება ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმეორებით მივმართეთ ქ. თბილისის მერს, რათა აღნიშნული საკითხის მოგვარება დაავალოს ადგილობრივ შესაბამის სამსახურს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხი გვაცნობოს.

იაშვილის ქუჩის საქმე

2006 წლის 19 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ.თბილისში იაშვილის ქ. №16-ში მცხოვრებმა მოალაქეებმა.

2002 წლის მინისტრის შედეგად დაზიანდა განმცხადებლების საცხოვრებელი სახლი, რომლის რეკონსტრუქციისთვის თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურისგან გამოყოფილი იყო ფულადი თანხა. სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. გამაგრებული იქნა პირველი სართული, ხოლო მეორე და მესამე სართული არ გარემონტდა დაუფინანსებლობის გამო.

2006 წლის 07 მაისის წერილით სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვნილი იქნა დეტალური ინფორმაცია, რამდენს შეადგენდა მერიის მიერ გამოყოფილი ფულადი თანხა და რა სამუშაოები იქნა შესრულებული.

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მოწოდებული ხარჯთაღრიცხვის ნუსხის შესაბამისად, გამოყოფილი სახსრები ძირითადად შენობის დანგრეული ფლიგელის და სახლის საკანალიზაციო სისტემის აღსადგენად დაიხარჯა. გამაგრებული იქნა სახლის პირველი სართული, ხოლო მე-2 და მე-3 სართული არ გარემონტებულა.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ შესწავლილი იქნა საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა. გამოვლინდა, რომ სახლის მე-2 და მე-3 სართულზე მოქალაქეებს უმძიმეს პირობებში უწევთ არსებობა. მათ შორის არიან პენსიონერები და არასრულწლოვანი ბავშვები. სავალალო მდგომარეობაა სახლის მე-3 სართულზე, სადაც ერთ-ერთი კედელი არის ჩამონგრეული, იატაკი ჩაზნექილია, კედლებზე შეინიშნება უზარმაზარი ბზარები. არსებობს სახლის დანგრევის და მოქალაქეების ღია ცის ქვეშ დარჩენის რეალური საშიშროება. ზოგიერთი მაცხოვრებელი გახიზნულია, ხოლო ვისაც არჩევანი არა აქვს, მას არც სახლის გარემონტების შესაძლებლობა გააჩნია. სახლის მდგომარეობა აღიბეჭდა ფოტოებზე.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით“. ამავე უფლებას განამტკიცებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი.

საერთაშორისო სამართლებრივ ლიტერატურაში ცხოვრების სათანადო დონის უფლება წარმოჩენილია, როგორც სოციალურ უფლებათა ბირთვი. ტერმინი „ცხოვრების სათანადო დონე“ – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ნიშნავს „ცხოვრების ისეთ დონეს, საკვების, ტანისამოსის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური უზრუნველყოფის ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისთვის და მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“, ხოლო ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტს მე-11 მუხლის მიხედვით იგი მოიცავს „სათანადო კვებას, ტანისამოსს და საცხოვრებელს. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების სათანადო დონე უფრო მეტს მოითხოვს, ძირითადი მაჩვენებელი არის კვება ტანისამოსი და საცხოვრებელი.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლებს არ აქვთ შესაძლებლობა თავად უზრუნველყონ სათანადო საცხოვრებელი პირობები. უფრო მეტიც, ჩამონგრევის პირზე არსებული შენობა საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დაირღვა იაშვილის ქუჩის მცხოვრებთა სათანადო საცხოვრებლის უფლება, რის გამოც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, რეკომენდაციით, მიმართა ქ. თბილისის მერიას, შეესწავლა საკითხი და მოეხდინა სათანადო რეაგირება. მისხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით უზრუნველყოთ იაშვილის ქ. №16-ში მდებარე სახლის სრულფასოვანი რეაბილიტაცია.

აღნიშნულ დაკავშირებით, ძველი თბილისის რაიონის გამგეობიდან მიღებული პასუხის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ გამგეობის თანამშრომლებმა შეისწავლეს სახლის მდგომარეობა და დაადგინოს, რომ ის მართლაც არის ძლიერ დაზიანებული. უახლოეს მომავალში დაიწყება სარემონტო სამუშაოები.

ნარგიზ გულიაშვილის საქმე

2006 წლის 7 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნარგიზ გულიაშვილი. განცხადებაში აღნიშნულია, რომ განმცხადებელი თავის ობოლ შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობდა ქ. თბილისში, საქანელას ქ. №35-ში, სარდაფის ტიპის ბინაში, რომელიც დაიტბორა ძლიერი წვიმის შედეგად და საცხოვრებლად გახდა უვარგისი. აღნიშნული საკითხის ტელევიზიით გაშუქების შემდეგ ისინი შესახლებული იქნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ საცხოვრებელ ბინაში.

როგორც განმცხადებელი მიუთითებს, ამჟამად მას აკითხავენ მინისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდიდან და ემუქრებიან გამოსახლებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმართა მინისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის თავმჯდომარეს, ბატონ ა. გონგლაძეს, რომ ახალი თავშესაფრის გამოძენამდე გულიაშვილების ოჯახი არ გამოასახლონ აღნიშნული ბინიდან, თუმცა უახლოეს მომავალში იგეგმება ფონდის ლიკვიდაცია და შეიქმნება ამ ადამიანთა გამოსახლების აუცილებლობა, ამდენად, სახალხო დამცველმა, ასევე, მიმართა ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას.

პასუხად, გამგეობამ აღნიშნა, რომ საბინაო საკითხის გადაწყვეტა, თუნდაც თავშესაფრის გამოყოფის გზით, გამგეობას ამ ეტაპზე არ შეუძლია საცხოვრებელი ფართობის არარსებობის გამო. აქვე მითითებულია, რომ ნ. გულიაშვილის საბინაო პრობლემა მათთვის ცნობილია და როგორც კი რეალური შესაძლებლობა მიეცემა, დაეხმარებიან თავშესაფრის გამოყოფაში.

ნინო ნიკლაურის საქმე

2006 წლის 2 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო ნიკლაურმა. განცხადებაში მითითებულია, რომ მისი საცხოვრებელი სახლი დაზიანდა მინისძვრის შედეგად. გახს-



ნილია კედლები, ჩამონგრეულია ქერი, დაზიანებულია წყალგაყვანილობა და ელექტროგაყვანილობა. იგი არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, მწოლიარე მდგომარეობაში, მარტოხელა. ხშირად ავადმყოფობს და მუდმივად უტარდება მედიკამენტოზური მკურნალობა. მას არ შეუძლია აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად არც ხელოსნის მოყვანა და არც მისთვის საფასურის გადახდა, რისთვისაც ითხოვს უშუამდგომლოთ ქ. თბილისის მერიასთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, საიდანაც გვაცნობეს: მიუხედავად იმისა, რომ ვაკე-საბურთალოს გამგეობას ბიუჯეტიდან არ აქვს თანხები გამოყოფილი აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად მას დაუმონტაჟეს ელექტროენერგია და წყალგაყვანილობა, ამასთანავე, დაპირდნენ, რომ დარჩენილ სამუშაოებს ჩაატარებენ მომავალ წელს.

ნატალია პოსტილოვას საქმე

2006 წლის 21 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 92 წლის ნატალია პოსტილოვამ. განცხადებაში მითითებულია, რომ არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, რომელიც გამუდმებით საჭიროებს სამედიცინო დახმარებას.

ამასთანავე აღნიშნავს, რომ უკიდურესი გაჭირვების გამო განცხადებით მიმართა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს. მასთან იმყოფებოდა აგენტი და შეავსო ოჯახის დეკლარაცია, თუმცა ამის შემდეგ მისთვის არაფერია ცნობილი და არავითარი დოკუმენტი არ მიუღია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის მინისტრს, საიდანაც გვაცნობეს, რომ ჩვენი რეკომენდაციის შემდეგ შესწავლილ იქნა ნ. პოსტილოვას საქმე და იგი მიიღებს ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

სოციალურად დაუცველი ფენა

აბო მახარეიშვილის საქმე

2006 წლის 19 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე აბო მახარეიშვილი.

საქმეზე თანდართული საბუთების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის 06 აპრილს ს.ს. „თბილგაზის“ თანამშრომლების მიერ განმცხადებლის მიმართ შედგენილი იქნა სამართალდარღვევის ოქმი №002662, რომლის საფუძველზე, მოქალაქეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ჯარიმა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 961 მუხლის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტებით, მან მართლაც დაამონტაჟა მრიცხველი საკუთარი სახსრებით, თუმცა, მისი აზრით აღნიშნული არ ადასტურებს ბუნებრივი გაზის დატაცების, ან აღრიცხვის წესების დარღვევით მოხმარების ფაქტს. განმცხადებელი ასევე განმარტავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის მიზეზი იყო უწყების დაგვიანებით მიღება, რაც სასამართლოს მხრიდან საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოება წარიმართა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ამოინერა სააღსრულებო ფურცელი. სასამართლო აღმასრულებლის მიერ განისაზღვრა ვადა ვალდებულების ნებაყოფლობით

შესასრულებლად 2006 წლის 10 ნოემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მოვალის უძრავ- მოძრავი ქონების რეალიზაცია აუქციონის წესით.

განმცხადებელი ა. მახერეიშვილი არის 82 წლის სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერი. მის საკუთრებაშია ერთ ოთახიანი საცხოვრებელი ბინა მაგალობლიშვილის ქუჩაზე. განმცხადებელს არ გააჩნია მოძრავი ქონება, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით აღსრულებას ექვემდებარება. მის საკუთრებაში შედის მხოლოდ პირადი მოხმარების და უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო მოძრავი ნივთები. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მოხდებოდა უძრავი ქონების რეალიზაცია, რის შედეგადაც მარტოხელა მოხუცი დაკარგავდა თავშესაფარს და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველია კრედიტორის მიერ გადახდევინებაზე უარის თქმა, ან კრედიტორსა და მოვალეს შორის სხვაგვარი მორიგება.

განმცხადებლის უმძიმესი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა სააღსრულებო დეპარტამენტს მიმართა სააღსრულებო წარმოების შეჩერების მოთხოვნით და ამავე დროულად, მიმართა ქ. თბილისის მერიას, განეხილა აღნიშნული საკითხი და კომპეტენციის ფარგლებში მიეღო ზომები საკითხის ალტერნატიული გზით გადასაწყვეტად.

რეკომენდაცია დაკმაყოფილდა. ქ.თბილისის მერიამ უზრუნველყო ა.მახარეიშვილისათვის დაკისრებული თანხის გადახდა.

განათლება

ირაკლი გურგენიძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მადონა კირკიტაძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისმა შვილმა სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის გამოცდები ექსტერნატის ფორმით წარმატებით ჩააბარა ზესტაფონის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. მიუხედავად ამისა, ცენტრი განმცხადებელს უარს ეუბნება სერტიფიკატის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მისი შვილი ჩარიცხვის მომენტისთვის არ იყო 16 წლის, რასაც ითხოვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 22 მაისის №452 ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების გზით საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასის დაძლევის მსურველის ასაკი განცხადების შეტანის დროს არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები.“ აღნიშნულთან დაკავშირებით, მადონა კირკიტაძემ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომლისგანაც მიღებულ №01-12-09-2/12755 07.08.2006 წ. წერილშიც უარის საფუძველად მითითებულია მინისტრის ზემოაღნიშნული დებულების იგივე მუხლი და პუნქტი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 ქვეპუნქტით დადგენილია, რომ „ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმით. ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.“ აღნიშნულ საკითხს ამ კანონის მიღების მომენტისთვის არეგულირებდა „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული საქართველოს განათლების მინისტრის 2003 წლის 15 ოქტომბრის №207 ბრძანება „ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც მეთერთმეტე კლასში ჩასარიცხი ექსტერნის მიმართ ასაკთან



დაკავშირებით არანაირ შეზღუდვას არ ითვალისწინებდა. ამდენად, 2006 წლის იანვარში ირაკლი გურგენიძის ექსტერნად მიღება მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აქედან გამომდინარე, ცენტრის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს უარი სერტიფიკატის გაცემაზე ზემოაღნიშნული მოტივით უსაფუძვლოა, რამდენადაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ „ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით“. აღნიშნულის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 22 მაისის №452 ბრძანებაში არ არის მითითებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლების და მეცნიერების სამინისტროს, დაევალებინა სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრისთვის“ მოქალაქე ირაკლი გურგენიძეზე სრული ზოგადი განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2006 წლის 31 ოქტომბერის წერილით ცნობილი ცნობილი გახდა, რომ სამინისტრო უზრუნველყოფს ირაკლი გურგენიძისათვის ატესტატის გადაცემას.

კონფლიქტურ ზონებში მცხოვრებთა უფლებების დაცვის შესახებ

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ 2006 წლის მეორე ნახევარში კვლავ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, სადაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. ამასთან, ამ რეგიონებში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ეთნიკური ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებსა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, რაც თავის მხრივ მიუთითებს სამშვიდობო ძალების დანაშაულებრივ უმოქმედობაზე. ვინაიდან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფლიქტების დროს მოქმედებას იწყებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები, ხოლო იმ ხელშეკრულებების მიხედვით, რომლის საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან სამშვიდობო ძალები, სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას“.

ამასთან, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა შეიძლება იქცეს იმ ქვაკუთხედად, რომელზეც აიგება სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი და არსებული კონფლიქტები მშვიდობიანი გზით მოგვარდება, საქართველოს ხელისუფლება კი სწორედ ასეთი გზით გეგმავს ამ კონფლიქტების მოგვარებას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ადამიანის უფლებათა და

თავისუფლებათა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტების მონიტორინგისა და შესაბამისი შეფასებებისათვის ეფექტური იქნებოდა, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის დასწრება-მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში, როგორც ჭეშუმხინჯის ოთხმხივ ყოველკვირეულ და შენევის პროცესის, ასევე შერეული საკონტროლო კომისიის სამუშაო შეხვედრებში.

პერმანენტული მონაწილეობა აღნიშნულ შეხვედრებში სახალხო დამცველს საშუალებას მისცემდა უტყუარ ინფორმაციას ადგილზე გაცნობოდა და შესაბამისად, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას მოახდენდა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ხშირია მცდარი ინფორმაციის გავრცელება კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც თავის მხრივ, ხელს არ უწყობს კონფლიქტების სრულმასშტაბიან და მშვიდობიან მოგვარებას.



ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმართა როგორც საქართველოს სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მონესრიგების საკითხებში, ასევე ამ პროცესში ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციებს. თუმცა, სახალხო დამცველისათვის სახელმწიფო მინისტრის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო დამცველისათვის უფრო ადვილია ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გაცნობა. სახალხო დამცველს კონტაქტები აქვს, როგორც კოკოითის, ასევე სანაკოევის ე.წ. მთავრობებთან. მას ასევე კონტაქტები აქვს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც საქმიანობას კონფლიქტის ზონაში ახორციელებენ. განსაკუთრებით პროდუქტიულია თანამშრომლობა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისთან.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დე-ფაქტო მთავრობების მიერ ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა აშკარა დარღვევების აღმოფხვრასთან მიმართებაში. ხოლო ადამიანის უფლებების დამცავი სხვა დემოკრატიული ინსტიტუტები ამ რეგიონებში ფაქტობრივად არ არსებობს.

სახალხო დამცველი ასევე მადლობას უხდის კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ მოქალაქეებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახურს, ბატონ დიმიტრი სანაკოევის და ყველას, ვინც აწვდის ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მათ შორის ე.წ. სამშვიდობო ზონაში მომხდარი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ.

სახალხო დამცველი შეეცადა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისათვის მიეცა კონკრეტული სამართლებრივი შეფასება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, თუმცა, არსებული ვითარება იმდენად მძიმეა, რომ ხშირად ერთი ფაქტის შემთხვევაში ადგილი აქვს რამდენიმე ფუნდამენტური უფლების დარღვევას და ძნელია გაავლო ზღვარი, თუ კონკრეტულად რომელი სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლების დარღვევის ფაქტთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ხშირად თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ სასტიკი მოპყრობა დისკრიმინაციისა და თვითნებური დაპატიმრებების გაგრძელებაა.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა არაერთი მიმართვა და განცხადება გაავრცელა.

ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტები აფხაზეთში

ღირსების შემლახავი მოპყრობის, დისკრიმინაციისა და ტრეფიკინგის, სამოქალაქო თავისუფლებებისა და პოლიტიკური უფლებების დაუცველობის, ადამიანთა გაუჩინარების ფაქტები ხშირია აფხაზეთის ტერიტორიაზე.

დისკრიმინაციული ზომები და სტიქიურად დაბრუნებულ ქართულ მოსახლეობაში არსებული დაუცველობის გრძნობა, ინფრასტრუქტურისა და პირველადი მოხმარების საშუალებების არ არსებობა ხელს უშლის დევნილების დაბრუნებას, რითაც უგულვებელყოფილია ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება სრული უსაფრთხოებისა და ღირსების შენარჩუნებით.

არსებულ ვითარებაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს სიცოცხლის დაცვის პოზიტიურ ვალდებულებას, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ე.წ. „სამართალდამცველი სტრუქტურები“ ხშირ შემთხვევაში თავად არიან კრიმინალები ან მათი მფარველები ან უმოქმედობით ხელს უწყობენ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებს ე.წ. კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც 2005 წლის ოქტომბერში აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა მიიღო. „კანონი“ განსაზღვრავს, რომელ პირებს აქვთ უფლება მიიღონ „აფხაზეთის მოქალაქეობა“, არეგულირებს მისი მიღების პროცედურას და ჩამოთლილია მიზეზები, რომელთა შესაბამისად შეუძლიათ უარი განუცხადონ მოქალაქეობის მიღებაზე. ეს კანონი პირდაპირ მოქმედებს სტიქიურად დაბრუნებულ ეთნიკურ ქართველებზე.

ურად დაბრუნებულ ეთნიკურ ქართველებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის მარტში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ცალმხრივად გამოაცხადა თანხმობა ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნებაზე გალის რაიონში, რეალური შედეგი ამას არ მოყოლია. ხოლო რაც შეეხება გალის რაიონის საზღვრებს მიღმა ტერიტორიას, როგორც ხშირად აცხადებენ დე-ფაქტო მაღალი რანგის ჩინოვნიკები, „უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება ქართველი დაბრუნებული პირებისათვის ვერ იქნება უზრუნველყოფილი“.

წამებისა და სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყროვის ფაქტები

წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ფაქტობრივად დამკვიდრებული პრაქტიკაა. რა თქმა უნდა, ზედმეტია საუბარი ამ ფაქტების გამოძიებაზე.



7 სექტემბერს, გალის რაიონის სოფ. ლუმურში „რეიდის“ ჩატარების მიზნით, აფხაზური „მილიციის“ გალის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილის ოთარ ტურანბას ხელმძღვანელობით, სეპარატისტთა „სამართალდამცავი“ ორგანოების თანამშრომელთა 50 კაციანი ჯგუფი შევიდა. „რეიდის“ შედეგად სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან თავის არიდების ბრალდებით დააკავეს თემურ ცაგურია, რომელიც ქ.გალის მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. თ. ცაგურიას მამა, გურგენ ცაგურია სეპარატისტებმა 2006 წლის მარტის შუა რიცხვებში დააკავეს. მას ბრალად წაუყენეს ყაჩაღობა და ქართველ პარტიზანებთან კავშირი. მოგვიანებით გ. ცაგურია საკანში ჩამომხრჩვალნი აღმოაჩინეს. ოჯახის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ გ.ცაგურია წამების შედეგად გარდაიცვალა.

28 დეკემბერს დილის 9 საათზე სოფლებში პირველი და მეორე ოტობაიაში შევიდა ასკაციანი სპეცრაზმი, რომლებიც საცხოვრებელ სახლებში უვარდებოდნენ მოსახლეობას, სასტიკად სცემდნენ ხალხს, ართმევდნენ მობილურ ტელეფონებს, ამტვრევდნენ კარებსა და ფანჯრებს, ავეჯს. აკავედნენ თითქოს საეჭვო პირებს. მათ დააკავეს ჯუმბერ და კახა წარალბაიები, რომლებიც შიშვლები გამოიყვანეს სახლიდან, უმონყალოდ სცემეს და შეიყვანეს სოფლის სკოლის შენობაში, სადაც ჰყავდათ სხვა დაკავებულებიც. გალის რაიონის სხვა სოფლებში ჯერჯერობით სადამსჯელო რაზმები არ შესულან.

ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია

გუდაუთის რაიონის მკვიდრის, ეროვნებით ქართველის სვეტლანა ჩალაძე-ბრიტანოვას და მისი ოჯახის წევრების მიმართ აფხაზთა მხრიდან ადგილი აქვს ეროვნული ნიშნით დევნას. აღნიშნულის გამო, ს. ჩალაძე-ბრიტანოვა იძულებული გახდა თავისი საცხოვრებელი სახლი დაეტოვებინა. იგი ამჟამად შვილებთან ერთად ქ.თბილისში იმყოფება.

7 დეკემბერს აფხაზებმა დილით სკოლაში მიმავალი სამი ქართველი ბავშვი გააჩერეს, ქართულად ლაპარაკი აუკრძალეს და იარაღითაც დაემუქრნენ. შეშინებული ბავშვები უკან დაბრუნდნენ, თუმცა მოგვიანებით სკოლაში მისვლა შემოვლითი გზით მაინც მოახერხეს.

ადამიანის უფლებათა პატივისცემა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები

თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გატაცება, მძევლად აყვანა და ადამიანთა გაუჩინარება ფართოდ გავრცელებულია აფხაზეთში. ეს კი სტიქიურად დაბრუნებულ ქართულ მოსახლეობაში ამძაფრებს დაუცველობის გრძნობას და ხელს უშლის დევნილების დაბრუნებას, რითაც უგულბელყოფილია ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება სრული უსაფრთხოებისა და ღირსების შენარჩუნებით.

ე.წ. სამხედრო სამსახურში განწევის დროს, ქართულ მოსახლეობაზე ახორციელებენ ზეწოლას, რათა ახალგაზრდებმა „ნებაყოფლობით მოიხადონ სამხედრო ვალი აფხაზეთის წინაშე“.

ვითარება განსაკუთრებით იძაბება, როცა მოსახლეობა თბილის და ციტრუსების მოსავალს იღებს.

საზოგადოების წევრებისათვის შეურაცხყოფის მიყენებისა და დისკრიმინაციის და ადამიანის უფლებების იგნორირების ფაქტები ამ ტერიტორიაზე თითქმის ყოველ დღე ხდება. მეტიც, ხშირად აფხაზი „მილიციელები“ თავად არბევენ სოფლებს.

8 ივლისს, გალის რაიონში სოფ. შეშელეთში დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ გუგავების ოჯახს და გამოსასყიდის გამოძალგის მიზნით ოჯახის 4 წევრი გაიტაცეს. ადგილობრივი „მილიციისა“ და კრიმინალების ჩარევის შემდეგ, გატაცებულები რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს.

19 ივლისს გალის რაიონში დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა სამგზავრო ავტობუსი დააყარა-
ლეს. სოფ.თაგილონში დააყარა ადგილობრივი მცხოვრები ბელქანია. ამავე სოფელში სამმა ნილ-
ბიანმა შეიარაღებულმა პირმა ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალი აბასთუმნის მცხოვრები, 18 წლის
რომეო შონია ფეხის არეში დაჭრა. აღნიშნული ფაქტი ქუბურხინჯის 20 ივლისის ოთხმხრივ შეხ-
ვედრაზე იქნა განხილული. გალის მილიციის უფროსის მოადგილემ ო.ტურანბამ, გალის რაიონის
სოფ. ლეკუხონაში, ამავე სოფლის მკვიდრი, ბადრი შალიკოს ძე ქობალია დააკავა, რომელიც სეპა-
რატისტთა „უშიშროების სამსახურის გალის რაიონულ განყოფილებას“ გადასცა. დაკავების მიზეზი
უცნობია. „უშიშროების სამსახურის გალის რაიონული განყოფილების უფროსმა“ ჯუმა ქუთელიამ
ბ. ქობალიას ნათესავებს, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, გარკვეული თანხა მოსთხოვა. 3 აგ-
ვისტოს, ბ. ქობალია გაათავისუფლეს. განხორციელებული ფიზიკური ზენოლის გამო, მისი ჯანმრ-
თელობის მდგომარეობა დამძიმდა.

26 ივლისს, გალის რაიონის სოფ.დიხაზურგაში გალის მილიციის თანამშრომელთა 10 კაციანმა
ჯგუფმა ოთარ ტურანბას ხელმძღვანელობით რეიდი ჩაატარა. შედეგად დააკავეს პალიკო გვაგვალა
და ომარ ხარჩილავა. ისინი ქ. გალის „მილიციის“ წინასწარი დაკავების იზოლაცორში მოათავსეს.
დაკავებულები 27 აგვისტოს გაათავისუფლეს. ამავე სოფელში 21 აგვისტოს დააყარა დიგუას
ოჯახი.

30-31 აგვისტოს სეპარატისტთა შსს-ს თანამშრომლებმა გალის რაიონის სოფლებში – ცხირში,
რეჩხში და ქვემო ბარლებში რეიდი ჩაატარეს. შედეგად ქართველი პარტიზანებისათვის დახმარების
განევის საბაბით, დააკავეს სოფ.ცხირის მაცხოვრებლები: ნოდარ ნაყოფია(65 წლის), მერაბ ნაყოფია
(40 წლის), კობა ნაყოფია(28 წლის), გენო ციტავა(50 წლის), გონელი როდონია(65 წლის) და გელა
შაფანსკი (40 წლის), რომლებიც ქ.სოხუმის მიმართულებით წაიყვანეს.

31 აგვისტოს, გალის რაიონის სოფ. ქვემო ბარლებში, საპასპორტო რეჟიმის შემოწმების საბაბით,
სეპარატისტთა შსს-ს 120-მდე თანამშრომელი შევიდა. შედეგად, დაახლოებით 10 პიროვნება იქნა
დაკავებული, რომლებსაც პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ აღმოაჩნდათ. დაკავებულთა
შორის არიან: ზვიად კვიციანი, ლევან ბუთბაია და ვინმე ლუკავა. ისინი გალის მიმართულებით
წაიყვანეს.

10 ოქტომბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში, მდ.ენგურის მარცხენა სანაპიროზე, აფხაზებმა
გაიტაცეს პოლიციის ოფიცრები კახა გოგონია და ბადრი ბაკარანძე. შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის
სამხარეო პოლიციის ჩარევის შემდეგ, ისინი გაათავისუფლეს.

6 ივლისს ქ.გალში, საბჭოს ქუჩაზე მცხოვრებ ყორა უბილავას ოჯახს, დაღარალების მიზნით
დაუდგენელი პირები დაესხნენ თავს.

9 ივლისს, ნალენჯიხის რაიონის სოფ.ქალაღალში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან გალის
რაიონიდან გადმოსულმა დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა სამგზავრო ავტობუსი დააყარა.

11 ივლისს, გალის რაიონის სოფ.ქვიშონაში 2 ერთეული ნაღმი იქნა აღმოჩენილი, რომლებიც
„რუსეთის სამხედრო ძალების“ სარეზერვო ჯგუფის მიერ, გალის რაიონის მილიციის შენობაში იქნა
გადატანილი.

9 აგვისტოს სოფ.თაგილონში, ადგილობრივი აჩიკო მირცხულავა დააყარა, რომელსაც ფული და
ოქროს ნაკეთობები წაართვეს.

20 აგვისტოს გალის რაიონის სოფ. ზემო ბარლებში შოთა გულორდავა დააყარა, რომელსაც ფული
წაართვეს.

27 აგვისტოს სოფ. ნაბაკევი ომარ ხასაია დააყარა და 700 კგ. თხილი წაართვეს. ამავე მიზეზით
28 აგვისტოს გალის რაიონის სოფ. სიდაში, 9 ადგილობრივი მცხოვრები დააყარა, რომლებსაც
1500 კგ. თხილი წაართვეს.



3 სექტემბერს ქ. სოხუმის მკვიდრის, რაისა მიხეილის ასული ტონიას საცხოვრებელი ბინა ტყვარჩელელმა აფხაზმა ოთარ ჩერქეზიამ მიისაკუთრა. ვითარებაში გარკვევის მიზნით, რ.ტონია დაუკავშირდა ოთარ ჩერქეზიას, რომელსაც საბინაო წიგნაკი წარუდგინა და ბინის დაბრუნება მოსთხოვა. ო. ჩერქეზიამ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, წიგნაკი და სხვა საბუთები, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი წაართვა, რის შემდეგაც ძალის გამოყენებით ავტომანქანაში ჩასვა და მდ. ენგურის ხიდის მიმართულებით წაიყვანა. რ. ტონია, ასევე ძალის გამოყენებით, მდ. ენგურს აქეთ გადმოიყვანეს და განუცხადეს, რომ მას აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოართმევენ პასპორტს და აფხაზეთში არ შეუშვებენ. იმავე დღეს გალის რაიონის სოფ. ზემო ბარლებში ოთხმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა სარეისო ავტობუსი დაცხრილა. სეპარატისტთა მხარის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ხოლო გალის რაიონის სოფ. თავილონის საშუალო სკოლიდან დაუდგენელი პირების მიერ 300 კგ. თხილი აგრეთვე მატერიალური ფასეულობანი და სადურგლო ჩარხი იქნა გატაცებული.

11 სექტემბერს გალის რაიონში დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა ზაურ ქირია დააყაჩაღეს.

14 სექტემბერს გალის რაიონის სოფ. ნაბაკევეში მდ.ენგურის სანაპიროზე, ზუგდიდის რაიონის სოფ. ხურჩასთან დამაკავშირებელ ე.წ. სასაზღვრო ხიდთან დაუდგენელმა პირებმა სოფლის მკვიდრი მითუმა ბიგვავა გაძარცვეს.

16 სექტემბერს გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში ადგილობრივი მცხოვრები ბონდო ქაძანია დააყაჩაღეს, რა დროსაც 1700 კგ. თხილი გაიტაცეს.

17 სექტემბერს გალის რაიონის სოფ. ხუმუშქურიდან ყაჩაღებმა, სოფ. ოტობაიას მკვიდრის იაშა თოდუას კუთვნილი 700კგ. თხილი გაიტაცეს.

17 სექტემბერს, გალის რაიონის სოფლებში პირველ და მეორე ოტობაიში, აფხაზური საგუშაგოს თანამშრომელმა ავტომატური იარაღიდან ჰაერში გაისროლა.

27 და 30 სექტემბერს, სოფ.ნაბაკევეში განლაგებული აფხაზური საგუშაგოს თანამშრომლები ავტომატური იარაღიდან ჰაერში ისროდნენ, რაზეც მათ სიახლოვეს განლაგებული „რუსეთის სამხედრო ძალების“ №209 საგუშაგოს სამხედრო მოსამსახურეებს არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ.

1 ოქტომბერს სოფ. ჭუბურხინჯში განლაგებული აფხაზური საგუშაგოს თანამშრომლებმა, რომლებიც „რუსეთის სამხედრო ძალების“ №201 საგუშაგოს ახლოვლად იმყოფებოდნენ, ქ. ზუგდიდის მიმართულებით „რპგ-7“-ის ტიპის ყუმბარმტყორცნიდან გასროლა განახორციელეს. ჭურვი ქართული სამართალდამცავების საგუშაგოდან 300 მ-ის დაშორებით, მდინარეში აფეთქდა.

1 ოქტომბერს სოფ.ნაბაკევეში, დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა დააყაჩაღეს „კავზ-ის“ მარკის ავტობუსით დაკრძალვაზე მიმავალი მგზავრები, რომლებსაც ფული და მობილური ტელეფონები წაართვეს.

6 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ. ზემო ბარლებში ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი პირი თავს დაესხა გრიკო გითოლენდიას ოჯახს. ბოროტმოქმედებმა წინააღმდეგობის განწევსას ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე დაჭრეს.

7 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ.თავილონში დაუდგენელმა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ამავე სოფლის მკვიდრი ზაზა მირცხულავა დააყაჩაღა, რომელსაც 780 ლარი წაართვეს.

სექტემბრის თვეში გამართულ ჭუბურხინჯის ყველა ოთხმხრივ შეხვედრაზე ზემოჩამოთვლილი კრიმინალური ფაქტები იქნა განხილული, თუმცაღა ამას რაიმე პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია.

11 ოქტომბერს სოფ.ნაბაკევეში, დაუდგენელმა პირებმა 4 ქალბატონი გაძარცვეს.

12 ოქტომბერს სოფელ ჭუბურხინჯში 3 ნილბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა მაია ყოლბაიას, რომელსაც 70 ლარი წაართვეს.

13 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული 3 ბოროტმოქმედი თავს დაესხა რამინ გოგობიას ოჯახს. ამ უკანასკნელმა სანადირო თოფიდან მოახდინა გასროლა, რის შემდეგაც ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ამავე სოფელში, 14 ოქტომბერს, ასევე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული 3 ბოროტმოქმედი სამხედრო ფერის უაზის მარკის ავტომანქანით მოძრაობდა და არშალიონ ჩხაპელიას ოჯახის დაყაჩაღებას შეეცადა.

16 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ.პირველ თავილონში დაყაჩაღების მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ნილბიანი ბოროტმოქმედი ამავე სოფელში მცხოვრებ ჭიჭიკო ჩხეტიას საცხოვრებელ სახლში შეიჭრნენ. ოჯახის წევრებისგან წინააღმდეგობის განწევასა, ერთ-ერთი მათგანი შეიპყრეს და დასახმარებლად მისულ აფხაზური „მილიციის“ თანამშრომლებს გადასცეს.

18 ოქტომბერს გალის რაიონის სოფელ დიხაზურგიდან გადმოსულმა სამმა აფხაზმა „მესაზღვრემ“ წალენჯიხის რაიონის მოსაზღვრე სოფელში მომუშავე მუშებს მობილური ტელეფონი და 7 ლარი წაართვა.

19 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ.საბერიოში „ენგურჰესის“ არსებული ჰიდროელექტროსადგურის სარელეო დაცვის შენობიდან 30 მეტრი ძვირადღირებული ძალოვანი კაბელი გაიტაცეს.

23 ოქტომბერს გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში მცხოვრებ ონერ ძიგუას ოჯახს 3 ნილბიანი ბოროტმოქმედი დაესხა თავს, რომლებმაც მას და მის მეუღლეს ხელ-ფეხი შეუკრეს და 1,5 ტონა თხილი წაართვეს.

გალის რაიონის ზედა სოფლები გადაცემულია ტყვარჩელის რაიონისათვის და მას ემსახურება ტყვარჩელის მილიცია, ხოლო მილიციის უფროსის მოადგილე პირადად სისტემატურად ატარებს რეიდებს. მის მიერ ხორციელდება ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დაკავება ფულის გამოძალვის მიზნით.

2 დეკემბერს გალის რაიონის სოფლებში დიხაზურგაში და საბერიოში მოენყო „სამხედრო კომისარიატისა“ და ე.წ. მილიციის ერთობლივი რეიდი, რომლის დროსაც დააკავეს ახალწვეულები, რომლებიც ჯერ გალის მილიციაში წაიყვანეს და შემდეგ იძულებით გაიწვიეს აფხაზურ ჯარში.

3 დეკემბერს სოფელ თავილონში შევიდა ადგილობრივი მილიციის თანამშრომელთა ჯგუფი. ისინი მივიდნენ მოქ. ვახტანგ ოკუჯავას საცხოვრებელ სახლში და მას მოსთხოვეს ერთი კვირის ვადაში გალის მილიციაში თავისი შვილის ჯონი ოკუჯავას მიყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ, რომ ოჯახს გაასახლებდნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან. აღნიშნულმა მილიციის ჯგუფმა ჩაატარა ე.წ. „რეიდი“. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ფულის გამოძალვის ფაქტებს. სოფელ სიდაში მცხოვრებ მოქ. გელა წულაიას გამოსძალეს 2500 რუსული რუბლი იმ მიზეზით, რომ მას ზუგდიდის რაიონში გადაჰქონდა თხილი.

5 დეკემბერს ენგურის ხიდზე, ე.წ. საბაყოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. გუდავას მცხოვრები გული ქარდავა, რომელსაც გადაჰქონდა საქართველოდან აფხაზეთში ჰუმანიტარული დახმარება – მედიკამენტები. საბაყოს თანამშრომლებმა ჩამოართვეს საბუთები. აფხაზურმა მხარემ აღნიშნულ ტვირთს დაარქვა „კონტრაბანდული ტვირთი“ და ის გ. ქარდავას ჩამოართვა.



5 დეკემბერს გალის მილიციის თანამშრომლებმა ოთარ ტურამბას ხელმძღვანელობით გალის რაიონის ქვედა ზონის ყველა სოფელში ჩაატარეს ე.წ. რეიდი. სოფელ პირველ ოტობაიაში მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს ორი პირი: ხვიტია და ხალვაში, რომლებიც გადაიყვანეს გალის შს რაიგანყოფილების იზოლატორში. აღნიშნული ფაქტის შემსწრე პირები ირწმუნებიან, რომ დაკავებულ პირებს არავითარი დანაშაული და დარღვევა არ ჩაუდენიათ, ისინი უსაფუძვლოდ დააკავეს და გადაიყვანეს მილიციაში.

11 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. პირველ გალში მცხოვრებ ომარ აბაშიას ოჯახს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული პირი, ორი მათგანი იმყოფებოდა ეზოში, ხოლო ორი სახლში შევიდა და ოჯახის წევრებს ფული და ძვირფასეულობა მოთხოვა. ერთმა ყაჩაღმა დაჭრა ომარ აბაშია გულმკერდის არეში, რის შემდეგ ბანდიტები მიიმალნენ. მძიმედ დაჭრილი ომარ აბაშია უმძიმეს მდგომარეობაში გადმოიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში, სადაც მას გაუკეთდა ოპერაცია. ამ დანაშაულს მილიციის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

11 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. ოტობაიას ქვეგანყოფილების მილიციის ახალ დანიშნულმა უფროსმა ალიკ ხიშბამ სოფელში ჩაატარა თათბირი, სადაც დაისვა საკითხი ყოველ ოჯახზე გაიხსნას საკომლე წიგნი. თითოეულ ოჯახზე გადასახადია 1000 რუსული რუბლი. გადასახადი მოსახლეობას 2006 წლის ბოლომდე უნდა გადაეხადა.

12 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. ოტობაიაში დააკავეს 24 წლის პაატა ქირია და მის ოჯახს წაუყენეს ულტიმატუმი – შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვეს 1500 აშშ დოლარი.

იმავე სოფელში სასტიკად სცემეს დედა-შვილი გვარამიები. სოფლის მოსახლეობას გასაყიდად გამზადებული მანდარინი წაართვეს.

25 დეკემბერს აფხაზეთში დააკავეს რუსეთიდან მომავალი საქართველოს მოქალაქეები: ქაჩიბაია ავთანდილ მაქსიმეს ძე – მცხოვრები ქ. სენაკში, დაბადებული 1956 წლის 22 ოქტომბერს; კიკაჩი-იშვილი მირიანი ოთარის ძე – მცხოვრები ქ.ქუთაისში, დაბადებული 1976 წლის 13 ივლისს; სიჭინავა ლაშა ჭიჭიკოს ძე – მცხოვრები ქ. სენაკში, დაბადებული 1978 წლის 3 სექტემბერს. სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელმა ვ. სტეფანოვმა მოინახულა უკანონო პატიმრები და აღმოუჩინა მათ დახმარება. ვ. სტეფანოვის ინფორმაციით, ზემოაღნიშნული პირები 2007 წლის მარტის ბოლოსთვის სავარაუდოდ გათავისუფლდებიან.

25 დეკემბერს გალის რაიონის სოფ. მეგობრობის ტერიტორიაზე ააფეთქეს ავტომანქანა, რომელშიც იმყოფებოდნენ აფხაზური მილიციის გალის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ოთარ ტურანბა და კიდევ ორი თანამშრომელი. აფეთქების შედეგად მძიმედ დაჭრილები გადაიყვანეს სოხუმის ჰოსპიტალში. მიყვანისთანავე ოთარ ტურანბა გარდაიცვალა.

იმავე დღეს, საღამოს, მოკლეს აფეთქების ადგილზე მისული გალის შს რაიგანყოფილების ქვედა ზონის ქვეგანყოფილების უფროსი, აფხაზეთის ორგზის გმირი ალიკა ხიშბა. თავდასხმა განხორციელდა სოფელ ოტობაიასა და ნაბაკევეს შორის, როცა ა. ხიშბა ოთარ ტურანბას მკვლელობის ადგილს ათვალიერებდა.

ოთარ ტურანბა ქართველი მოსახლეობის მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდა. გადასახადების აკრეფისას დაუნდობლად აწიოკებდა გალის დაბალი და მაღალი ზონების მოსახლეობას. რისთვისაც ის გალის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს. ის გალში არსებულ თხილისა და ციტრუსის ბიზნესს აკონტროლებდა. გალის რაიონის ადგილობრივი მოსახლეობისაგან თხილსა და ციტრუსს ჩალის ფასად ყიდულობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალით ართმევდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ტურანბას სიკვდილი კლანურ გარჩევებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, გალის რაიონის სოფ. აჩიგვარაში აშენებულია ციტრუსის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლის მფლობელი ვინმე რუსი ბიზნესმენია. წილის გაყოფასთან დაკავშირებით მოსკოვიდან ჩამოსული იყვნენ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, მოლაპარაკებები ვერ შედგა.

გალის რაიონის სოფელ პირველ და მეორე ოტობაიაში შევიდა ე.წ. ანტიტერორისტული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვალმერ ვოუბა. მათ დააკავეს მეორე ოტობაიას მკვიდრი ხვიჩა, პაატა და გოჩა ჩიტაიები, ონისე ბიგვავა, მამუკა კორკელია, თენგიზ კორკელია, სპეცრაზმის წევრები აღნიშნულ დაკავებულ პირებს ფარად იყენებდნენ და ასე გადაადგილდებოდნენ ქუჩებში, შედიოდნენ საცხოვრებელ სახლებში და ატარებდნენ ჩხრეკას.

28 დეკემბერს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში შემოსული 200-მდე შეიარაღებული ერიკ ვოუბასა და ვალმერ ბუტბას სპეცრაზმის მიერ 50 დაკავებული ადგილობრივი მკვიდრი გადაიყვანეს გალის მილიციის განყოფილებაში, მოგვიანებით 46 გაათავისუფლეს. დააკავეს ოტობაიას მცხოვრებლები: რობერტ ფარულავა, თემურ ტუფურია, სოფ. სიდას მცხოვრები გელა გერგედავა და ერთი ზუგდიდელი, რომელიც სტუმრად იყო სიმამრთან. მოგვიანებით, ისინიც გაათავისუფლეს, ხოლო თემურ ტუფურია დატოვეს პატიმრობაში. მოგვიანებით ისიც გაათავისუფლეს. თ. ტუფურია იყო სასტიკად ნაცემი, მას მთელ სხეულზე აღენიშნებოდა დაჟეჟილობა და ზუგდიდის საავადმყოფოში მოათავსეს.

ადგილობრივი მილიციის ძალები ხშირად ახორციელებენ პატრულირებას ქვედა ზონის სოფლებში, ამ დროს ქუჩაში მყოფ მოქალაქეებს საბუთებს უმონმებენ.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან არავითარი რეაგირება არ ყოფილა.

ტრაფიკინგი, იძულებითი შრომა

ძალდატანებითი შრომის ფაქტები მრავლადაა აფხაზეთის რეგიონში. 2006 წლის აგვისტოს დასაწყისში, გალის მოსახლეობას სანგრების გათხრას აიძულებდნენ. ეს ფაქტები სახალხო დამცველთან შეხვედრისას დადასტურა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელმა ვლადლენ სტეფანოვმა.

გალის რაიონის სოფ. აჩიგვარას მოსახლეობას, აფხაზები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობას აიძულებენ, რის გამოც აგვისტოს თვეში სოფელი ექვსმა ოჯახმა დატოვა. ისინი საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე მშობლიურ სოფელში დაბრუნებაზე უარს აცხადებენ. აღნიშნული ფაქტი ქართული მხარის მიერ 31 აგვისტოს ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე იქნა განხილული, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თავისუფალი გადაადგილების უფლება

საქართველოს მოქალაქეს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩასვლა მხოლოდ დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ან მის უფლებამოსილ სტრუქტურებთან შეთანხმებით შეუძლია.

აფხაზეთში ჩასასვლელად საჭიროა აფხაზეთის დე-ფაქტო უშიშროების სამსახურის ცენტრალური აპარატის ნებართვა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრებმა ნათესავმა ან ნაცნობმა უნდა გააკეთოს.



აფხაზეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გადასაკვეთად, სოფ. რუხში, ენგურის ხიდამდე, ძველი ავტონისპექციის საგუშაგოს შენობაში განთავსებულია საქართველოს შსს თანამშრომლების საგუშაგო.

შემდეგ განთავსებულია რუსეთის სამშვიდობო ძალების შლაგბაუმი. ისინი მხოლოდ ავტოტრანსპორტს ამონებენ.

სამშვიდობოების შემდეგ განლაგებულნი არიან აფხაზი მესაზღვრეები, რომლებიც ამონებენ საბუთებს, ხოლო შემდეგ არის ე.წ. „კარანტინის“ სამსახური, შემდეგ „საბაჟო“, სადაც ე.წ. მეზაჟეები ახორციელებენ გადატანილი საქონლის შემოწმებასა და დაბეგვრას.

ბოლოს განლაგებულია აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახური. აქ აფხაზეთში უკან დაბრუნებულ მცხოვრებლებს რეგისტრაციაში ატარებენ, უმონებენ საშვს, ხოლო აფხაზეთიდან მომავალთ აძლევენ ამ საშვს, რაშიც 50 რუსულ რუბლს ართმევენ.

მოსახლეობა ხშირად სარგებლობს მდინარეზე გადასასვლელი ფონებით, რომლებსაც ისევ აფხაზური მხარე აკონტროლებს.

აფხაზეთში მცხოვრები საქართველოში გამგზავრების მსურველი პირებისათვის სეპარატისტების უშიშროების სამსახურმა დაადგინა ე.წ. საშვის გაცემის ახალი წესები. კერძოდ, საქართველოში გამგზავრების მსურველმა უშიშროების სამსახურის ადგილობრივ განყოფილებაში უნდა შეავსოს სპეციალური ანკეტა, რომელშიც უნდა მიუთითოს თავისი და ოჯახის წევრების დემოგრაფიული მონაცემები: სად, ვისთან და რა მიზნით მიემგზავრება, ასევე უნდა უჩვენოს, თუ რა საქმიანობით იყო დაკავებული (ახლო ნათესავებიც) აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. იმ პირებმა კი, რომლებსაც სისტემატურად უწევთ მგზავრობა საქართველოს მიმართულებით, დამატებითი გასაუბრება უნდა გაიარონ განყოფილების ხელმძღვანელთან. მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ამ პროცედურის გვერდის ავლით მაინც ახერხებს ენგურსაქეთა ტერიტორიაზე გადმოსვლას.

აფხაზეთიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოსასვლელად აფხაზეთში მცხოვრებმა უნდა აიღოს საშვი უშიშროების ადგილობრივ სამსახურში, სადაც გარკვეული პროცედურების ანუ გასაუბრების გავლის შემდეგ აძლევენ საშვს, რომლის ღირებულება 100 რუსული რუბლია, რაც აფხაზი მესაზღვრეებისათვის საზღვარზე მათი გატარების საფუძველს წარმოადგენს. ენგურის ცენტრალურ ხიდზე გადასვლისათვის აფხაზური მხარე მოქალაქეებს ახდენინებს 3 ლარს ან 50 რუსულ რუბლს. თუ მოქალაქეს გადააქვს ტვირთი, მაშინ ის საკარანტინო სამსახურში იხდის 2 ლარს ან 30 რუბლს ერთ კილოგრამ ტვირთზე. გალის რაიონის ქვედა ზონაში არსებული გადასასვლელებზე კი 2 ლარია გადასახდელი. ტვირთის გადატანაზე გადასახადის რაოდენობა დგინდება მეზაჟეებთან მოლაპარაკების საფუძველზე. ტვირთის სახეობას მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანია მანქანის გადაადგილების ბოლო პუნქტი. თუ ის არის გალის ბაზარი – გადასახადი ნაკლებია, თუ ფსოუ – მაშინ გადასახადი შესაბამისად მეტია. ეს გადასახადი არაოფიციალურია და მეზაჟეებისა და მესაზღვრეების ჯიბეში მიდის.

აქვე აღსანიშნავია ის, რომ აფხაზეთში დარჩენილმა ქართველმა მოსახლეობამ ფსოუს საკონტროლო გამშვები პუნქტი რუსეთის მიმართულებით რომ გადალახოს, სპეციალური საშვი უნდა შეიძინოს, რომლის ღირებულება 50 რუსული რუბლია, მაშინ როდესაც სხვა ერის წარმომადგენლები საზღვარზე ყოველგვარი საშვის გარეშე გადადიან.

ფსოუს საზღვარზე რუსეთიდან აფხაზეთში შემოსვლა საქართველოს ეროვნული პასპორტით შეზღუდულია, ყველა საგუშაგოზე მორიგეობენ სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის თანამშრომლები. ფსოუს საზღვარზე რუსი მესაზღვრეები იღებენ 300-400 აშშ დოლარს, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიის გავლა კი 400-500 აშშ დოლარი ჯდება.

შედარებით გაიოლებულია მიმოსვლა გალის რაიონის მოსახლეობისთვის.

თუმცა, ხშირად, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. მესაზღვრეები ენგურის ხიდზე ადმინისტრაციული საზღვრის გადაკეტვას სადამსჯელო ღონისძიებად იყენებენ. გალის რაიონის მკვიდრ მოსახლეობას არ ეძლევა საშუალება გადმოკვეთოს ენგურის ხიდი, რითაც ირღვევა ამ ადამიანების გადაადგილების თავისუფლება. ხშირ შემთხვევაში, აფხაზი ე.წ. მესაზღვრეები ითხოვენ თანხას, 300 რუბლიდან 1000 დოლარამდე.

ასეთი ვითარების შედეგია ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც 2006 წლის 25 დეკემბერს მოხდა. დილის 6 საათზე, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას ორი მცხოვრები, ბაბუა და შვილიშვილი ვითო-ლენდიები ზუგდიდის მიმართულებით წამოვიდნენ. აფხაზი ე.წ. ძალოვანებისათვის თავის არიდებისა და ფულის დაზოგვის მიზნით, მათ მალულად სცადეს მდ.ენგურზე გადმოსვლა, რის შედეგადაც ორივე დაიხრჩო.

18 სექტემბერს გალის რაიონის სოფ. თავილონში განლაგებული აფხაზური საგუშაგოს თანამშრომლებმა, აფხაზეთში თხილის „დამზადების გეგმის შეუსრულებლობის“ მიზეზით, ზუგდიდის რაიონის მიმართულებით მოძრავი თხილით დატვირთული ტრანსპორტი არ გაატარეს.

27 სექტემბერს სოფ. ჭუბურხინჯის აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს საქართველოს საპატრიარქოს მისიის ოჩამჩირის რაიონის სოფ.ილორის ეკლესიის მიმართულებით გატარებაზე, რათა გადაესვენებინათ ხატი და ქართველი და აფხაზი ხალხის შერიგებისათვის ლოცვა აღევიწინათ. მათ გატარებაზე ასევე უარი განაცხადა „რუსეთის სამხედრო ძალების“ ხელმძღვანელობამ.

8 დეკემბერს აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა გადაკეტეს ენგურის ხიდი. ამის გამო გალის რაიონის სოფ. საბერიოდან მოსწავლეებს წაღწევის რაიონის სოფ. ჩხოუშიას საშუალო სკოლაში მისვლა შემოვლითი გზით მოუწიათ.

17 დეკემბერს მდინარე ენგურის ცენტრალური საავტომობილო ხიდი აფხაზურმა მხარემ გადაკეტა. ხოლო გალის რაიონის მაღალი ზონის სოფლებში ოთარ ტურანბას დაჯგუფების წევრებმა გალიდან ზუგდიდის მიმართულებით მიმავალი ყველა შემოვლითი გზა გადათხარეს, რის გამოც პრობლემები შეექმნათ ქართველ მოსწავლეებს, რომლებიც წაღწევის რაიონის სოფლის სკოლებში სწავლობდნენ.

აფხაზურმა მილიციამ სოფ. საბერიოში დამატებითი საგუშაგოც გახსნა, სადაც საშვის ღირებულება დაანესა 300 რუსული რუბლის ოდენობით, რაც 18 ლარს შეადგენს.

18 დეკემბერს გალის რაიონის მაღალი ზონის სოფლებში (დიხაზურგა, საბერიო, ქალაღალი) აფხაზებმა რუსეთის სამშვიდობოების ტექნიკის გამოყენებით გადაკეტეს ყველა გადასასვლელი, გააბეს მავთულხლართები, ასევე ჩააყენეს ცოცხალი ძალა და მოსახლეობას ზუგდიდში გადასვლის საშუალება არ მისცეს. შეზღუდეს გალის რაიონის ტერიტორიაზე შესვლაც და ე.წ. „მეზაჟეები“ გადაადგილების უფლების სანაცვლოდ ხალხს ფულს სძალავდნენ.

განათლების მიღების შეზღუდვა

კვლავ მძიმეა ვითარება გალის რაიონის ქართულ სკოლებში. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ გალის რაიონის მაღალი ზონის მასწავლებლებს. გალის რაიონში დღეისათვის 30 საშუალო სკოლაა, მაშინ როცა ომამდე 58 სკოლა ფუნქციონირებდა. ამჟამად, გალის რაიონის სკოლებში 3 852 მოსწავლე სწავლობს, დასაქმებულია 657 პედაგოგი და 137 ტექნიკური მუშაკი. სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო სისტემა არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემას. სკოლებში არა აქვთ თანამედროვე სახელმძღვანელოები.



მხოლოდ თექვსმეტ სკოლაში მიმდინარეობს სწავლა ქართულ ენაზე, დანარჩენ სკოლებში – რუსულ ენაზე და ქართული ენისთვის, როგორც უცხო ენისთვის მცირეოდენი საათებია დათმობილი, აკრძალულია საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლება. პედაგოგებს ფარულად უწევთ ქართული ენის სწავლება, ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად. გაკვეთილებზე მოსაჩვენებლად გადაშლილი აქვთ რუსული წიგნები (მოსალოდნელი შემონმები გამო), დამალული აქვთ ქართული სახელმძღვანელოები. მეცადინეობის დროს იყურებიან ფანჯარაში, ვინმე ხომ არ მოდის ან, ხომ არ აყურადებს.

2005 წელს აფხაზეთის ე.წ. განათლების სამინისტროს ბრძანებით (ბრძ. №75, 03.06.05) გალის რაიონის სკოლებში აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება და საქმის წარმოება. აქედან გამომდინარე, სკოლებს ჩამოხსნეს ქართულენოვანი აბრები, საკლასო ჟურნალები ივსება რუსულად.

აფხაზური ადმინისტრაცია ატარებს აგიტაციას და აფხაზურ უნივერსიტეტსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ სწავლის გასაგრძელებლად იწვევს გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულებს. რუსულ სკოლებში ხელფასის სახით პედაგოგებს უხდის 60-65 ლარის ეკვივალენტ რუსულ რუბლს.

სამწუხაროა, რომ გალის რაიონის ქართული სკოლების დირექცია და მასწავლებლები გამოხატავენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ 2006 წლის განმავლობაში არც ერთ სკოლას არ მიუღიათ კომპენსაცია ქართული მხრიდან, ზოგიერთ სკოლას კი მიღებული აქვს მხოლოდ აგვისტოს თვემდე.

2006 წლის 28 ნოემბერს გალის რაიონის რამდენიმე სკოლის პედაგოგებმა გამართეს საპროტესტო აქცია ქართულ-აფხაზურ საზღვარზე, რომლის დროსაც ითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დავალიანებების გასტუმრებასა და ხელფასების მომატებას.

საკუთრების უფლების დაცვა

არსებული ვითარების გამო იძულებით გადაადგილებული პირები ვერ ბრუნდებიან საკუთარ სახლებში, შესაბამისად კვლავ ვერ სარგებლობენ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით. თუმცა ეს უფლება არ არის დაცული იმ პირებისათვის, ვინც სტიქიურად დაბრუნდნენ აფხაზეთში.

2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში ვაგრიდან გააძევეს ცოლ-ქმარი, ცისანა მუშკუდიანი-შათირიშვილი და ვალიკო შათირიშვილი. ამ ოჯახმა აფხაზეთის დაცემის დროს აფხაზ ნათესავებს შეაფარა თავი, შემდეგ დაბრუნდა თავის, ზღვისპირას მდებარე სახლში. ჰყავდათ დამსვენებლები და ჰქონდათ გარკვეული შემოსავალი.

10 ოქტომბერს, მდ. ენგურის ცენტრალური ხიდის გავლით, აფხაზეთიდან ქართველი ეროვნების ორი მოქალაქე – ვალერიან ალექსანდრეს ძე შათირიშვილი (დაბ. 05.10.31წ., მცხ. ქ. ვაგრა რუსთაველის ქ. №157-ში) და მისი მეუღლე ცისანა პავლეს ასული მუშკუდიანი-შათირიშვილი (დაბ. 16.08.44 წ., მცხ. ქ. ვაგრა ლენინის ქ. №16-ში) გადმოვიდა, რომლებიც სამმდლიანი მძევლობის შემდეგ აფხაზეთიდან გამოაძევეს. მათივე განმარტებით, 7 ოქტომბერს, დღის საათებში, აფხაზი ეროვნების ორი უცნობი პირი (დაახლოებით 35-40 წლის ასაკის) ქ. ვაგრაში, ლენინის ქუჩაზე მდებარე შათირიშვილების კუთვნილ ბინაში შეიჭრა და ცოლ-ქმარს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ზაფხულის პერიოდში სახლის გაქირავების შედეგად მიღებული 100 ათასი რუბლის ოდენობით თანხა წაართვეს. შემდგომ ისინი ავტომანქანაში იძულებით ჩასვეს და მათთვის უცნობი მიმართულებით წაიყვანეს (სავარაუდოდ გუდაუთის რაიონში). ორი დღის განმავლობაში ცოლ-ქმარი მიტოვებულ სახლში გამოკეტეს, სადაც მათ ორი აფხაზი უწევდა მეთვალყურეობას. შათირიშვილებს ნოტარიალურად გაფორმებულ ხელშეკრულებაზე იძულებით მოაწერინეს ხელი, რომლის თანახმად მათი ბინა იჯარით მათთვის უცნობ პირს გადაეცა. 10 ოქტომბერს აფხაზმა გამტაცებლებმა ცოლ-ქმარი

ავტომანქანაში ჩასვებს და ქ. სოხუმში ჩაიყვანეს, პირადობის დამადასტურებელი საბუთები ჩამოართვეს და მდ. ენგურის ცენტრალურ ხიდთან მიიყვანეს.

გამტაცებლებმა შათირიშვილები გააფრთხილეს რომ აღნიშნული ფაქტი არ გაეხმაურებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი რუსეთსა და უკრაინაში მცხოვრებ მათ შვილებს ფიზიკურად გაუსწორებდნენ. ასევე განუცხადეს რომ მათ პასპორტებს ორი კვირის შემდეგ ქ. ადლერში მცხოვრებ მათ ახლობლებს გადასცემდნენ. აღსანიშნავია, რომ შათირიშვილებს ჰქონდათ რუსეთის მოქალაქეობის პასპორტები და ჩანერილები იყვნენ ქ. სანქტ-პეტერბურგში, ქალიშვილის ბინაში. ამჟამად ცოლქმარი შათირიშვილები ქ.თბილისში, იყალთოს ქ. № 1-ში მცხოვრებ ნათესავთან იმყოფებიან.

საკუთარი სახლიდან ასევე გამოაძევეს ტარიელ ესართია და გალინა ტაგანოვა, ხოლო თვითონ ტარიელ ესართია, როგორც ქართველი სამსახურიდან გაათავისუფლეს. გ. ტაგანოვამ (ეროვნებით რუსი) დახმარებისათვის მიმართა ყველა ინსტანციას, მათ შორის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აპარატს, საიდანაც უარყოფითი პასუხი მიიღო. თვითალიარებული აფხაზეთის სასამართლოებმა უარყოფითი დადგენილებები მიიღო. ამის შემდეგ, ტ. ესართიამ და გ. ტაგანოვამ სარჩელით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. საქმე განხილვის სტადიაშია.

მას შემდეგ, რაც გამოიცვალა გაგრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც ტ. ესართიას სახლში შეჭრილი პირის ნათესავი იყო და რომლის ზეგავლენითაც სასამართლოებმა დადგენილება მისი ნათესავის სასარგებლოდ გამოიტანეს, გაგრის სასამართლოს დადგენილებით, ტარიელ ესართიას დაუბრუნდა მისი და მისი მამის სახლი, ხოლო არაკანონიერად მფლობელი, ეროვნებით აფხაზი გამოასახლეს, რომელმაც, ამ ფაქტით გაბრაზებულმა, ჯერ სახლი გაძარცვა, ხოლო წასვლის წინ კი დაწვა.

მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

ფაქტობრივად მიუწვდომელია ინფორმაცია, თუ რა ვითარებაა აფხაზეთის საპატიმროებში. რამდენი პატიმარია და რა პირობებში იმყოფებიან. ასევე უცნობია, რა ბრალდებით იმყოფებიან ეთნიკური ქართველები ამ საპატიმროებში. თუმცა დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები თავად საუბრობენ იმ მძიმე პირობებზე, რაც არსებობს აფხაზეთის ტერიტორიაზე საპატიმროებსა და დაკავების ცენტრებში.

ლევან მამასახლისი ხუთი წელი იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში აფხაზეთში, დრანდის საპყრობილეში, მძიმე პირობებში და ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე. მას აფეთქების შედეგად დაკარგული აქვს მარჯვენა ხელის მტევანი, ხოლო მარცხენა ხელზე ცერის გარდა ყველა თითი, აგრეთვე დაზიანებული აქვს ფილტვები და დაავადებულია ეგზემით. ლ.მამასახლისის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და მას ძვირადღირებული მედიკამენტები ესაჭიროებოდა. სახალხო დამცველის შუამდგომლობის შედეგად, 2005 წლის სექტემბრიდან უკანონო პატიმარი ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით პერმანენტულად იღებდა შპს „ავერსი ფარმას“ მიერ მონოდებულ მედიკამენტებს.

რაც შეეხება ლ. მამასახლისის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის ჩატარებას, სახალხო დამცველმა არაერთგზის მიმართა გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში და ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელს, რათა მათი მხარდაჭერით მედიკოსებს მოენახულებინათ უკანონო პატიმარი და მისი ჯანმრთელობის შესახებ ობიექტური დასკვნა გაეკეთებინათ, დაგვხმარებოდნენ საჭირო მედიკამენტების მიწოდებასა და მკურნალობის შესაბამისი კურსის ჩატარებაში. შედეგად, გაეროს მისიის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მოინახულეს ლევან მამასახლისი დრანდის ციხეში.



პრესისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება

24-25 ოქტომბერს საქართველოს ტელევიზიით გალელი სტუდენტი გოგონას – ნინო კვეკვესკირის გამოსვლის შემდეგ, გალში ჩასული იყვნენ სპეცსამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებდნენ ნინო კვეკვესკირის ოჯახის წევრების დაკითხვას და ცდილობდნენ მათზე ზეგავლენის მოხდენას, რათა მათ დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია.

5-6 დეკემბერს აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელები აქტიურად ამზადებდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს – ქართველებს, რათა ორგანიზებულად წასულიყვნენ სოხუმში მიტინგზე მონაწილეობისათვის. ამისათვის სოხუმიდან ჩამოვიდა 4 „იკარუსის“ მარკის ავტობუსი. იძულებისა და დაშინების შედეგად მიტინგზე დასასწრებად დაახლოებით 250 ადამიანი წაიყვანეს.

დემოკრატიული ინსტიტუტები

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით გალის რაიონში დღესდღეობით მოქმედებს 3 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობა. ისინი რეაგირებას ახდენენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, მხარს უჭერენ და შეძლებისდაგვარად იცავენ კონფლიქტურ რეგიონში უმძიმესი ზეწოლისქვეშ მცხოვრებ ადგილობრივებს, რომელთაც არ ეძლევათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი.

ხშირ შემთხვევაში ეს ორგანიზაციები დასახელებებს იცვლიან, ან საერთოდ ხურავენ თავიანთ წარმომადგენლობას, რადგან მათზე სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან მუდმივი ზეწოლა ხორციელდება.

ცხინვალის რეგიონში ხშირია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. რაზეც ადგილობრივი დე-ფაქტო ხელისუფლება რეაგირებას არ ახდენს, არ ხდება ძარცვის, ყაჩაღობისა და სხვა სისხლის-სამართლებრივი დანაშაულებების გამოძიება. მეტიც, სიცოცხლის ხელყოფის, თვითნებური დაპატიმრებებისა და დაკავების ფაქტები ძირითადად ე.წ. დე-ფაქტო სამართალდამცველების მიერ ხორციელდება.

17

ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტები ცხინვალის რეგიონში

ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია

სეპარატისტული რეჟიმის მიერ წარმოებული პროპაგანდის შედეგად, რესპუბლიკის მოსახლეობა ეთნიკური ნიშნით – ოსებად და ქართველებად დაიყო. ე. კოკოითის ხელისუფლება სასტიკად ეწინააღმდეგება ყველა ქმედებას, რომელიც ქართველი და ოსი ერის ურთიერთდობის აღდგენას ემსახურება და ყოველნაირად ცდილობს ეთნიკური შუღლის გაღვივებას.

2006 წლის აპრილის ბოლოს ქ. ცხინვალში შეიქმნა ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებისაგან შედგენილი სპეციალური ჯგუფი ქალაქში სტუმრად მყოფი ქართველების დასაშინაობის მიზნით. მათ დანიშნულ დაჭრეს სოფ. ზემო ნიქოზის მკვიდრი გოჩაშვილი, სცემეს ამავე სოფლის მცხოვრები გალუსტაშვილი (მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში), ხოლო მჭედლიშვილი, რომელსაც ავტომანქანა „ნივა“-ს წართმევას და ფიზიკურ ანგარიშსწორებას უპირებდნენ, ინციდენტის ადგილზე შემ-

თხვევით მისულმა ახლობელმა გადაარჩინა.

2006 წლის 12 ივნისს ზნაურის რაიონში დისლოცირებული ე.წ. თავდაცვის სამინისტროს დანაყოფის წევრებმა: ვანია გაგლოევმა და მიშიკ თედეევმა, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, სასტიკად სცემეს დაბა ზნაურში სტუმრად მყოფი ორი ქართველი, იმ მიზეზით, რომ მათ მალაზიაში ქართულ ენაზე დაილაპარაკეს.

ე.წ. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, „მილიციას“, საკითხში გარკვევის მიზნით, ქართველების დროებითი დაკავების იზოლატორში გადაყვანა სთხოვეს, რაზედაც დე-ფაქტო მინისტრმა მიხეილ მინძაევმა უარი განაცხადა იმის შიშით, რომ ქართველები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მათი გარდაცვალების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ცხინვალის მთავრობის შსს-ს დაეკისრებოდა.

ს
2006
თ

ე. კოკოითის განკარგულებით, 2006 წლის ივნისიდან აიკრძალა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხე-ტყის გადატანა. განკარგულების შესრულება დაევალათ როგორც შესაბამის „სამსახურებს“, ისე შეიარაღებულ ფორმირებებს. აღნიშნულის გამო, ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ვეღარ ახერხებს ზამთრის პერიოდისათვის შეშით მომარაგებას.

ოსური მხარის ზენოლის შედეგად, 2006 წლის განმავლობაში ზნაურის რაიონის სოფ. ნედლათი რამდენიმე ქართულმა ოჯახმა დატოვა. დაძაბულობის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა სოფელი დანარჩენებმაც მასობრივად დატოვონ.

ქ.ცხინვალში, დგვრისის დასახლებაში (სოფელ თამარაშენის მიმდებარე ტერიტორია), ქართველების მიერ მიტოვებულ ბინაში ცხოვრობს ვინმე გურამ ბესტაევი, რომელსაც ჰყავს ქართველი ეროვნების მეუღლე, წარმოშობით სოფელ ერედვიდან. გ.ბესტაევი განიცდის შევიწროებას. ოსი ეროვნების შეიარაღებული პირები აიძულებენ მას, ოჯახთან ერთად, დატოვოს ბინა. გ. ბესტაევი არ არის შეიარაღებული ფორმირების წევრი და მონაწილეობა არ მიუღია საომარ მოქმედებებში, რაც წარმოადგენს დაშინების მიზეზს. ქ. ცხინვალის „მილიცია“ კი აცხადებს, რომ ვერ აკონტროლებს შეიარაღებულ დაჯგუფებებს.

იმ ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც ოსურ მხარეს გათხრილი აქვთ სანგრები, ქართულ მოსახლეობას უკრძალავენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებას;

ჰუმანიტარული დახმარების დარიგებისას იგნორირებულია ქართული მოსახლეობა. ქართული მხრიდან მსგავსი აქციების ჩატარებას კი ხელს უშლის ე. კოკოითის რეჟიმი.

ე. კოკოითის ბრძანებულებით, 2006 წლის დასაწყისიდან აიკრძალა ქ. ცხინვალში ქართულ სოფლებიდან რძის ნაწარმის შეტანა-რეალიზაცია.

2006 წლის ნოემბერში ოსურმა მხარემ შემოიღო „სამხრეთ ოსეთის“ შიდა მოხმარების, ახალი პასპორტები, რომლებიც იძულების წესით დაურიგეს ადგილობრივ ოსურ მოსახლეობას. იმის გამო, რომ რეგიონის ქართულმა მოსახლეობამ უარი განაცხადა ახალი პასპორტების აღებაზე, მათ აეკრძალათ ე. წ. არჩევნებსა და რეფერენდუმში (გაიმართა 2006 წლის 12 ნოემბერს) მონაწილეობის მიღება.

ადამიანის უფლებათა პატივისცემა/ თავისუფლების უკანონო აღკვეთა / დევნა პოლიტიკური შეხედულებების გამო/ წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სრულიად უგულვებელყოფილია ადამიანის უფლებათა პატივისცემა, როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო უფლებების დარღვევის ფაქტები სახალხო დამცველის განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევს.

2006 წლის 10 ნოემბერს დაკავებულ იქნა „სამხრეთ ოსეთის“ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე – აღან ფარასტაევი. დაკავების შემდეგ, იგი აწამეს „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის“ თანამშრომლებმა და აიძულეს მიეცა „აღიარებითი ჩვენება“, თითქოს მას დავალებული ჰქონდა ე.კოკოითის ფიზიკური ლიკვიდაცია. ა.ფარასტაევის დაკავება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: ა. ფარასტაევი სისტემატურად გამოდიოდა ე. კოკოითის წინააღმდეგ და უმტკიცებდა მას, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის კუთხით არჩეული პოლიტიკური კურსი მცდარია. იგი ასევე ურჩევდა ე.წ. პრეზიდენტს, რომ მოენახა საქართველოს ხელისუფლებასთან საერთო ენა, რის გამოც მათ შორის რამდენჯერმე მოხდა დაპირისპირება. პირველი დაპირისპირების შემდეგ, ე. კოკოითმა გაათავისუფლა იგი დე-ფაქტო შს მინისტრის თანამდებობიდან.

2005 წლის თებერვალში ა. ფარასტაევის შვილი სერგო ფარასტაევი დააკავეს ქ. ცხინვალში ავტომანქანის გატაცების ყალბი ბრალდებით. ს.ფარასტაევი ე. კოკოითის დავალებით დააკავეს, რაც ე.ნ. პრეზიდენტსა და ალან ფარასტაევს შორის პოლიტიკურ უთანხმოებასთან იყო დაკავშირებული. ე. კოკოითმა შესთავაზა ა. ფარასტაევს, შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, გადამდგარიყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტიდან, რაზედაც უარი მიიღო.

ა. ფარასტაევი 2005 წლის ივლისამდე ინარჩუნებდა პოსტს, რის შემდეგაც იძულებული გახდა გადამდგარიყო. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა ე. კოკოითის მიერ განხორციელებული შანტაჟის შედეგს და უკავშირდებოდა ციხეში სერგო ფარასტაევის სიცოცხლის ხელყოფას.

ქ. ვლადიკავკაზში ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები – გიორგი ბასიევი და ოლეგ ბაგაევი ცდილობდნენ ალან ჩოჩიევის დაპატიმრებას. ა. ჩოჩიევი აცხადებს, რომ აღნიშნულმა პირებმა მოტყუებით შეაღწიეს მის სახლში და „სამხრეთ ოსეთიდან“ მიღებული „საბუთის“ საფუძველზე მოითხოვეს „დასაკითხად“ წაყვანა, თუმცა, მათ რეალურ მიზანს მისი „სამხრეთ ოსეთში“ დეპორტაცია წარმოადგენდა. ა. ჩოჩიევი დაკავების მცდელობას ე.ნ. რეფერენდუმთან დაკავშირებით მის განსხვავებულ მოსაზრებას უკავშირებს. იგი აცხადებდა, რომ „რეფერენდუმის“ შედეგებს არავიან აღიარებს და ხელისუფლებას შეგნებულად შეჰყავდა მოსახლეობა შეცდომაში.

დიმიტრი სანაკოევის გადაწყვეტილების შემდეგ – კენჭი ეყარა ე.ნ. ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში, მისი ოჯახის წევრებისა და გარემოცვის წინააღმდეგ განხორციელდა რეპრესიული ღონისძიებები:

- ე.ნ. „სახელისუფლებო სტრუქტურები“ პრობლემებს უქმნიან დ.სანაკოევის ახლო ნათესავებს (სამსახურიდან დათხოვნა, ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე და ა.შ.). ე. კოკოითის მითითებით, ქ. ცხინვალში ჩატარდა სანაკოევთა გვარის შეკრება, სადაც დ.სანაკოევის ქმედება შეფასდა როგორც ღალატი;
- ფიზიკური ზეწოლის შედეგად, დ. სანაკოევის ძმა ტამერლან სანაკოევი იძულებული გახდა დაეგმო დ. სანაკოევის ქმედება;
- ე.ნ. „უშიშროების კომიტეტის“ თანამშრომლები საცხოვრებელ სახლებში აკითხავენ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ ლოიალურად განწყობილ ადამიანებს. „უშიშროების კომიტეტის“ თანამშრომლები მისულები იყვნენ „სოცუზრუნველყოფის“ სამსახურის ყოფილ უფროსთან – ელვა ხეთაგუროვასთან, რომელსაც კატეგორიულად აუკრძალეს კონტაქტები ქართულ მხარესთან. თანამშრომლები მიმართავენ „პრევენციულ“ ზომებს, რათა თავიდან აიცილონ ასეთი კატეგორიის პირების გადასვლა დ. სანაკოევთან სამუშაოდ;
- მოსახლეობის იმ ნაწილს (ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ ძალოვან სტრუქტურებში), რომლებიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ დ. სანაკოევთან, ათავისუფლებენ სამუშაო ადგილებიდან, შტატების შემცირების საბაბით.
- ე.ნ. გენერალური პროკურატურის გამომძიებლის – ალექსეი ლიპინის ინფორმაციით სისხლის-სამართლის საქმეა აღძრული ურუზმაგ ქარქუსოვის, ვლადიმერ სანაკოევისა და პრეზიდენტობის „ალტერნატიული“ კანდიდატების წინააღმდეგ. აღნიშნულ პირებს ბრალად ედებათ ექსტრემისტული ორგანიზაციის შექმნა, სამშობლოს ღალატი და ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდების მცდელობა;
- ქ. ვლადიკავკაზში მცხოვრები დ.სანაკოევის და მისი მთავრობის სხვა წევრების ოჯახების მიმართ პერმანენტულად ხორციელდება ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან ზეწოლა;
- „ალტერნატიული მთავრობის“ ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი – ნინა ხუთაგუროვა, ქ. ცხინვალში, საცხოვრებელ ბინაში მისვლისას, დააკავეს „სამხრეთ ოსეთის“ სამართალდამცავმა ორგანოებმა და აიძულეს განეტყუებინა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე მისი თანხმობის გარეშე დაინიშნა.

2006 წლის ნოემბერში ე. კოკოითის დავალებით, გადანვეს ალტერნატიული მთავრობის წევრების – ქარქუსოვების საცხოვრებელი სახლი დაბა ჯავაში.



2006 წლის 5-6 ნოემბერს ზნაურის რაიონის ადმინისტრაციამ რაიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობა იძულების წესით წაიყვანა ქ.ცხინვალში და მათზე გასცა ე.წ. „მოქალაქის“ პასპორტები. პასპორტების აღების პერიოდში მათ შეავსებინეს სპეციალურ ფურცლები ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობისა და რუსეთის ფედერაციაში შესვლის მოთხოვნით. იმ ადამიანებს, რომლებმაც უარი განაცხადეს „პასპორტების“ აღებაზე, ადგილობრივი „სახალხო ლაშქრის“ წევრი – ვაჟა იკოევი, სოფელ ძალინის საბჭოს თავჯდომარე – როსტიკ ჯაგაევი, ზნაურის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი – ოლეგ ფილიევი დაემუქრენ, რომ ხელმძღვანელობისაგან მიღებული მითითების საფუძველზე, ყველა საშუალებას გამოიყენებდნენ, რათა მათ დატოვონ საცხოვრებელი ადგილები.

2006 წლის 11 ივლისს, კონფლიქტის ზონაში, სოფ.ძარის მახლობლად, ოსმა შეიარაღებულმა პირებმა იარაღის მუქარით გააჩერეს და დააკავეს ეუთოს ორი სამხედრო დამკვირვებელი.

2006 წლის 5 სექტემბერს შეშის დამზადების ერთ-ერთი მცდელობის დროს, ნიღბებში მყოფმა ოსი ეროვნების ადამიანებმა ქართველებს წაართვეს ორი სატვირთო ავტომანქანა, ორი ელექტროხერხი და მობილური ტელეფონები. მძარცველები ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების სანაცვლოდ 2 ათას აშშ დოლარს ითხოვდნენ.

2006 წლის 9 ოქტომბერს ქ.ცხინვალში, „მილიციის“ თანამშრომლებმა ავნიევი-ცხინვალის სამგზავრო ავტობუსიდან ჩამოიყვანეს სოფ. ავნიევი მცხოვრებნი: პალმრო ზედგენიძე, მზია კვინიკაძე და ავტობუსის მძღოლი შავლეგო კაპანაძე. ერთი საათის შემდეგ შ.კაპანაძე და პ. ზედგენიძე გაათავისუფლეს, ხოლო მზია კვინიკაძე დაიტოვეს და მხოლოდ გამოსასყიდი თანხის (500 აშშ დოლარი) მიტანის შემდეგ გაათავისუფლეს.

2006 წლის 27 სექტემბერს დილის ცხრა საათზე ცხინვალში ნიღბიანმა დაუდგენელმა პირებმა გააჩერეს გორი-კეხვის სამარშუტო ავტობუსი და მძღოლი, თამაზ ხეთაგური გაძარცვეს.

2006 წლის 4 ნოემბერს კონფლიქტის ზონაში, კოხეთის საგუშაგოზე რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა გააჩერა შეშით დატვირთული სატვირთო ავტომობილი და სასტიკად სცემეს ოთხი ქართველი, ავტომობილი კი წაართვეს, რომელიც მოგვიანებით მფლობელებს ტვირთის გარეშე დაუბრუნეს.

2006 წლის 5 აგვისტოს სოფ. ტბეთთან დააკავეს ეუთოს სამხედრო დამკვირვებლები, რომლებიც ახორციელებდნენ არაკანონიერი საფორთიფიკაციო ნაგებობების მონიტორინგს.

2006 წლის 4 დეკემბერი – კონფლიქტის ზონაში დააკავეს შერეული სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის ორი წევრი, რიგითი გიორგი დეფაევი და სერჟანტი რობინზონ გუზიტაევი. ისინი სოფ. ტირძნისში მათი მეთაურის, სოსლან კოზიევის, ბრძანებით აცილებდნენ კონტრაბანდული სურსათით დატვირთულ ავტომობილს.

2007 წლის 4 იანვარს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცავებმა ცხინვალში სატვირთო მანქანის საყიდად ჩასული სამი ქართველი, რამინ ლეკიშვილი, ლუხუშ მილდიანი და სანდრო ბუქური დააკავეს, რომელთაც ედავებოდათ ყალბი ათი ათასი აშშ დოლარის ცხინვალში შეტანას.

საპატიმრობისა და დაკავების ცენტრებში არსებული მდგომარეობა

ფაქტობრივად მიუწვდომელია ინფორმაცია, თუ რა ვითარებაა საპატიმროებში. რამდენი პატიმარია და რა პირობებში იმყოფება. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად ცხინვალის რეგიონში პატიმრობაში 7 ეთნიკური ქართველი იმყოფება, თუმცა უცნობია, რა კონკრეტული ბრალდებით.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს საპატიმროებსა და დაკავების ცენტრებში დაკავებულთა და პატიმართა მონახულება. საპატიმროში მყოფი ა.ფარასტაევის მონახულების უფლება არ მისცეს მის ადვოკატსაც.

დემოკრატიული ინსტიტუტები / პრესისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება

ე. კოკოითის ავტორიტარული ე.წ. მმართველობის პირობებში ცხინვალის რეგიონში არ ჩამოყალიბებულა საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების დამცველი არც ერთი დემოკრატიული ინსტიტუტი. პოლიტიკური პროცესებიდან საზოგადოება სრულიად იგნორირებულია, ფორმალურ ხასიათს ატარებს ადამიანის უფლებების საკითხებში „პრეზიდენტის“ რწმუნებულის ინსტიტუტი.

ე. კოკოითს მუდმივი ზენოლის ქვეშ ჰყავს არასამთავრობო სექტორი და სრულიად აკონტროლებს მის საქმიანობას. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, დღესდღეობით მოქმედებს მხოლოდ ხუთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობა.

განსხვავებული მოსაზრებების გამო, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები – თემურ ცხოვრებოვი და აღან ჯუსოევი ე. კოკოითმა მოლაღატეებად გამოაცხადა.

2006 წლის აპრილში, დამოუკიდებელი ტელევიზია „ალანიას“ გასართობ გადაცემაში გამარჯვებული ოსი ეროვნების ორი გოგონა: ლუდა ბესტაევა და ალბინა ფარასტაევა ტელევიზია „ალანიამ“ სტუმრად მიიწვია ქ. თბილისში. ცხინვალის რეგიონში დაბრუნებისას, ე.წ. „სამართალდამცავებმა“ გოგონებს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. დე-ფაქტო ხელისუფლებამ აღნიშნული ფაქტი ოსი ხალხის შეურაცხყოფად ჩათვალა და გოგონები ერის მოლაღატეებად გამოაცხადა; აღსანიშნავია, რომ კოკოითის მთავრობა პერიოდულად ახშობს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ალანიას“ სიხშირეს, რომელიც ვრცელდება ცხინვალის რეგიონზე, განსაკუთრებით, როცა ეთერში გადის საინფორმაციო ან ანალიტიკური გადაცემები.

კოკოითის მთავრობის ე.წ. „ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტის“ წარმომადგენელი ირინა გაგლოევა საკუთარი ნება-სურვილით წყვეტს ჟურნალისტების შეშვებას ცხინვალის რეგიონში, ითხოვს აკრედიტაციას. ეს ეხება, როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო მედიას.

2006 წლის 10 მაისს, სტუდენტებთან და პენსიონერებთან ე. კოკოითის შეხვედრის დროს დასმული „არაკორექტული“ კითხვების გამო, ცხინვალის უნივერსიტეტიდან გარიცხეს ოსი ეროვნების სტუდენტი, რომელიც მოგვიანებით „სუკის“ თანამშრომლებმა დააკავეს. შეხვედრის დროს სტუდენტმა აღნიშნა, რომ რუსი მომღერლის (აბრამ რუსოს) ჩამოყვანაზე დახარჯული თანხა (15 000 აშშ დოლარი) უმჯობესი იქნებოდა დახარჯულიყო პენსიონერებზე და საბავშვო ბაღების შეკეთებაზე;

გავშვითა/არასრულწლოვანთა უფლებები

2006 წლის 29 დეკემბერს დ.სანაკოევის მთავრობამ ს. ქურთაში კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ბავშვებისათვის გამართა საახალწლო ზეიმი, რომელსაც დაესწრო და საჩუქრები მიიღო 200-მდე ბავშვმა. ზეიმზე დასწრება ვერ შეძლეს სოფლების ახალგორის, არნევისა და ერედვის მაცხოვრებელმა 150-მდე ბავშვმა. ისინი არ გამოუშვა ცხინვალის ხელისუფლებამ, რითაც დაარღვია 27 დეკემბერს შერეული საკონტროლო კომისიის არაფორმალურ შეხვედრაზე მიღებული შეთანხმება. ე.წ. საგუშაგოსთან გაჩერებული ბავშვები ავტობუსებში იყინებოდნენ 14.30 სთ-მდე, რის შემდეგაც ისინი სახლებში დააბრუნეს, ცხინვალის ე.წ. ვიცე-პრემიერის ბორის ჩოჩიევის უარის გამო. ამ ზეიმს ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველიც, რომელმაც დაგმო „ბავშვების პოლიტიკურ იარაღად გამოყენება“.



სისტემატური ხასიათი აქვს საბრძოლო მომზადების გასავლელად, ქ. ვლადიკავკაზში 15 წლის მოზარდთა გაგზავნას, ხშირია „სახალხო ლაშქარში“ 18 წლამდე ასაკის პირთა განევრიანების ფაქტებიც.

სიცოცხლის უფლება

9 ივლისს დილის 7:15 სთ-ზე საკუთარ სახლთან აფეთქების შედეგად დაიღუპა თვითღიარებული სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ ალბოროვი.

2006 წლის 14 ივლისს დილის 9:00 სთ-ზე ბალა ბესტაუთის სახლთან აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი მოზარდი.

2006 წლის 15 ივლისს სამშვიდობოების საგუშაგო „პაუკთან“ ნალმზე აფეთქებისას მძიმედ დაშავდა რუსი სამშვიდობო რიგითი კონდრატიევი.

2006 წლის 7 აგვისტოს სოფ. ავნევთან დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს სამი ქართველი სამართალდამცავი.

2006 წლის 13 აგვისტოს კონფლიქტის ზონაში, სოფ. კეხვთან, ნალმზე აფეთქების შედეგად დაიჭრა რუსი სამშვიდობო.

2006 წლის 3 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვერტმფრენს, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი თანმხლებ პირებთან, ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს.

2006 წლის 8 სექტემბერს, დღისით, ოსმა შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართველ სამართალდამცავებს, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი ქართველი პოლიციელი, ვახტანგ კომახიძე და სამი ოსი ეროვნების მოქალაქე, დაიჭრა ორი ქართველი პოლიციელი.

2006 წლის 24 სექტემბერს გორის რაიონის სოფ. ქვეში მუცლის არეში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს ამავე სოფლის მკვიდრი თამაზ ხადური. თავდამსხმელები იყვნენ სოფ. არცევეში მცხოვრები ოსები.

2006 წლის 25 სექტემბერს კონფლიქტის ზონაში, სოფ. ფრისის მახლობლად, ნალმზე აფეთქებისას დაშავდა ხვიჩა ნიკორაშვილი.

2006 წელი 1 ოქტომბერს კონფლიქტის ზონაში, სოფ. არცევეში მოკლეს სოფ. ქვეშის მკვიდრი ბესო ელიზბარაშვილი.

2006 წლის 9 ოქტომბერს სოფელ კეხვის მკვიდრი ზურაბ ბლიაძე სოფლის მახლობლად შეშის შეგროვებისას ნალმზე აფეთქდა, რის შედეგადაც დაკარგა ერთი კიდური.

2006 წლის 9 ოქტომბერს, ღამის 11 საათზე, სოფელ კეხვში მდებარე პოლიციის საგუშაგოზე განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა. ისროდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარმტყორცნიდან. თავდასხმის შედეგად, ავტომატური იარაღიდან დაიჭრა პოლიციის თანამშრომელი გორა გოგიძე, ხოლო მეორე პოლიციელმა, შადიმან კაზარიაძემ ყუმბარმტყორცნის ნამსხვრევისაგან სხეულის დაზიანება მიიღო.

2006 წლის 11 ოქტომბერს, დაახლოებით 16 საათზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს დიდი ლიახვის ხეობის სოფელ აჩაბეთს. სამიზნეს წარმოადგენდა სოფ. აჩაბეთის

საშუალო სკოლა და ამავე სოფელში განლაგებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის პოსტი. სროლის შედეგად არავინ დაზიანებულა.

2006 წლის 11 ოქტომბერს, დაახლოებით 21 საათზე, დიდი ლიახვის ხეობის სოფ. აჩაბეთზე ოსურმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა განახორციელა თავდასხმა. სროლის შედეგად მუცლის არეში დაიჭრა სოფ. აჩაბეთის მკვიდრი 14 წლის ვანო ოთიაშვილი.

2006 წლის 26 ოქტომბერს, 15 საათზე, სოფ. კეხვთან ნალმზე აფეთქდნენ მამა-შვილი შადიმან და ბიჭიკო ბლიაძეები. მოგვიანებით გარდაიცვალა შადიმან ბლიაძე.

2006 წლის 5 ნოემბერს, გვიან საღამოს, სოფ. ვანათში მცხოვრებ გასიევეების ოჯახს თავს დაესხა სოფ. დმენისის მილიციის შვიდკაციანი შეარაღებული ჯგუფი ნოდარ ბიბილოვის მეთაურობით (სოფ. დმენისის მილიციის უფროსი). მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მამა-შვილ გასიევეებს და დაუზიანეს კუთვნილი ავტომობილი.

2006 წლის 9 ნოემბერს, დიდი ლიახვის ხეობაში, სოფ. მონასტერთან ნალმზე აფეთქდა 47 წლის ავთანდილ ზოზიაშვილი.

2006 წლის 23 ნოემბერს ქ. ცხინვალში აფეთქების შედეგად დაშავდა დელიზა შორტავა, რომელმაც ინციდენტის შედეგად დაკარგა ხელი.

2006 წლის 18 დეკემბერს ოსმა შეიარაღებულმა პირებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფ. ავნევის პოლიციის შენობას, რომელიც რუსი სამშვიდობოების პოსტის მახლობლად მდებარეობს.

2007 წლის 15 იანვარს სოფ. თლიყანაში აფეთქდა სამშვიდობოების ავტომობილი. აფეთქებისას დაშავდნენ წვერიასხოს საგუშაგოს მეთაური ლეიტენანტი პავლე ჩასტიკოვი და რიგითი სერგეი სერიაკოვი.

2007

2006 წლის მეორე ნახევრის მონაცემებით დევნილთა-სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორებულა. პირიქით, სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაცია იძლევა საფუძველს, მდგომარეობის გაუარესებაზე ისაუბროს. სახალხო დამცველის მიერ 2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში არსებული პრობლემები კვლავ მოუგვარებელია და არცერთი რეკომენდაცია არ გათვალისწინებულა.

2006 წლის ბოლოსათვის მომზადდა „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის“ პროექტი საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №80 განკარგულების შესაბამისად, რომელიც საქართველოს მთავრობის №47 განკარგულებით დამტკიცდა 2007 წლის 2 თებერვალს. სამწუხაროდ, თითქმის ერთწლიანი მუშაობის შედეგად სტრატეგიის შესაბამისი სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების პრო-

ექტები არ წარმოდგენილა. თუმცა მისასაღმებელია, რომ ამ სფეროში პრობლემების მოგვარების სტრატეგიული ხედვის გამოკვეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის არ არსებობა და შესაბამისი კანონმდებლობის არასრულყოფილობა არ უხსნის პასუხისმგებლობას სახელმწიფოს იმ ვალდებულებებზე, რომელიც მას გააჩნია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად.

საქართველოს კანონმდებლობა იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა (შემდგომში იგპ) უფლებრივ მდგომარეობას ორი სახის სამართლებრივი აქტით აწესრიგებს, კერძოდ:

- ა) სამართლებრივი აქტები, რომელთა მოქმედების სფერო შემოიფარგლება მხოლოდ იძულებით გადაადგილებული პირებით და არ ვრცელდება სხვა პირებზე. ეს აქტები არეგულირებს დევნილთა სპეციფიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი თუ სოციალური ხასიათის საკითხებს. აქტებში იგულისხმება საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ და 1992 წლიდან დღემდე გამოცემული 200-ზე მეტი კანონქვემდებარე აქტი, როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური ხასიათის.
- ბ) სამართლებრივი აქტები, რომელთა მოქმედების სფერო არ არის შეზღუდული პირთა წრის მიხედვით ანუ დევნილებით. ამ აქტების მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ მოსახლეობაზე, მათ შორის იგპ-ზეც.

ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს დევნილთა სამართლებრივ სტატუსს საქართველოში, ადგენს მათ სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, არის 1996 წელს მიღებული კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ. ამ უკანასკნელში ცვლილებები და დამატებები შევიდა 06.04.2005 წ.-ს და 09.06.2006 წ.-ს. ცვლილებების მიუხედავად, აღნიშნულ კანონში გამოცემული ნორმები, შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში არის ბუნდოვანი და ნაკლებად კონკრეტული, რაც ქმნის კანონში გადმოცემული სამართლებრივი ნორმების ეფექტურად გამოყენების პრობლემას.

აღნიშნული კანონი საერთოდ არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის თანასწორობის დაცვა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია. მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების „სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების“ შესახებ ადგენს ზოგადი ხასიათის პრინციპს, რომელიც უშუალოდ ეხება ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვა დანარჩენ პირებთან თანასწორობას.

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ წარმოადგენს შიდა კანონმდებლობის შემუშავების დროს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც დევნილების პრობლემა გააჩნიათ. მოცემულ კანონში ამ პრინციპისა და დისკრიმინაციის აკრძალვის არარსებობა ართულებს პრაქტიკაში იგპ-თა უფლებების დაცვას. ხოლო სახელმწიფოს მცდელობას, მოექცია დევნილები სხვა დანარჩენ მოსახლეობასთან სოციალური დაცვის ერთიან სისტემაში, არ მოყვა მოსალოდნელი შედეგები. ვინაიდან, არ მოხდა დევნილთა სპეციფიკური მდგომარეობის გათვალისწინება. მაგალითად, იმ მიზეზით, რომ კომპაქტური ჩასახლების ობიექტები არ არის აღჭურვილი ინდივიდუალური მრიცხველებით, დევნილები ვერ სარგებლობენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული „გაზრდილი ტარიფის ანაზღაურების ვაუჩერით“ (ხელმოწერილი შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის და საქ. ენერგეტიკის მინისტრების მიერ). ხოლო იმის გამო, რომ დევნილებისათვის არ მომხდარა შესაბამისი ახსნა-განმარტებისა და ინფორმაციის მიწოდება, ბევრი მათგანი უარს ამბობს იმ დახმარებებზე, რასაც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სახელმწიფო პროგრამა (კერძოდ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარების პროგრამა). ვინაიდან, მათ აქვთ შიში, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ მიიღებენ დევნილთა შემწეობებს, დაკარგავენ დევნილის სტატუსს.

ეს და სხვა ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დიფერენციაციის არარსებობისა, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული, დევნილები ვერ სარგებლობენ ყველა არსებული შეღავათითა და დახმარებით, განსახვავებით საქართველოს დანარჩენი მოქალაქეებისაგან.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა“ შესახებ კანონი არ მოიცავს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს არა მარტო დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში, არამედ ის საერთოდ არაფერს ამბობს დევნილთა შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე. სწორედ ამ კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანია იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული გაეროს მე-4 სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის თანახმად:

„ეს პრინციპები უნდა გამოიყენებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე-განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის თუ მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, სამართლებრივი თუ სოციალური მდგომარეობის, ასაკის, ქმედუნარიანობის, საკუთრების, დაბადების თუ სხვა მსგავსი მარკერებისა“.

ეს პრინციპი ეხება დისკრიმინაციის დაუშვებლობას არა მარტო იძულებით გადაადგილებულ პირებსა და სხვა მოქალაქეებს შორის, არამედ იგპ-ებს შორისაც.



კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“ არ ითვალისწინებს იგპებს შორის უფლებების და შეღავათების მინიჭების თვალსაზრისით დისკრიმინაციის აკრძალვას. მსგავსი ნორმის არარსებობა სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელია, რადგან პრაქტიკაში არაერთხელ შეგვხვედრია დევენილთა შორის დისკრიმინაცია, რომლის საფუძველი სხვადასხვა ხასიათის იყო. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სახელმწიფო ორგანოების მიერ ჰუმანიტარული დახმარების არათანაბარი გადანაწილება, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში შეღავათების ხელმისაწვდომობაზე თანაბრობის პრინციპის დარღვევა, არათანაბარი გადანაწილება შეღავათების (კომუნალური მომსახურების, შეღავათები ელ. ენერჯის მოხმარებაზე, წყლის გადასახადები) ორგანიზებულად და კერძო სექტორში ჩასახლებულ დევენილებს შორის, ასევე დისკრიმინაციული იყო თბილისში 2004 წელს მეტროს წლიური სამგზავრო ტალონების გაცემის წესი, როდესაც 80 წელს გადაცილებულ პირებზე არ გაიცემოდა მეტროს ტალონები.

რაც შეეხება პრივატიზაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, იგი უამრავი ხარვეზით ხასიათდება და მასში ბევრი რამ არის ბუნდოვანი და გაურკვეველი. აქედან გამომდინარე, კომპაქტური ცენტრების შესაძლო პრივატიზაციის შემთხვევაში, დევენილთა უფლებების სრულყოფილი დაცვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. 2005 წლის მთავრობის №157 დადგენილების „ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა რეგისტრაციისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფო ფულადი შემწეობის, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარების გაცემის მონესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა:

„უზრუნველყოს, რომ იმ შენობების პრივატიზაციის დროს, რომლებშიც იმყოფებიან კომპაქტურად განსახლებული დევენილები, გათვალისწინებულ იქნეს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დევენილთათვის მინიჭებული სახელმწიფო გარანტიები და მათი გამოყვანა განხორციელდეს მითითებული ნორმებით გათვალისწინებული წესების დაცვით.“

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე, დევენილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევენილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ა) დევენილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევენილის საყოფაცხოვრებო პირობები;
- გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
- დ) დევენილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

აღნიშნული ნორმა, განსაკუთრებით (ბ) ქვეპუნქტი, რომელზეც ხდება ძირითადად აპელირება, არის საკმაოდ ზოგადი და მისი ინტერპრეტირება შესაძლებელია სხვადასხვანაირად. მაგალითად, მასში არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს საცხოვრებელი პირობების გაუარესება – საუბარია საცხოვრებელი ფართის სიდიდეზე, კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილსამყოფელზე თუ სხვა; შესაძლოა, ქ. თბილისის რომელიმე კოლექტიური ცენტრიდან გამოსახლებული დევენილისათვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ იქნეს დროებითი საცხოვრებელი ფართი ნალკაში ან სხვა ნებისმიერ რაიონში და ეს შესაძლოა ჩაითვალოს ზემოთაღნიშნული ნორმის (შესაბამისად დევენილთა უფლებების) დაცვად. ამავე დროს, დადგენილების ამ კონკრეტული პუნქტის შინაარსი პრაქტიკულად ადასტურებს, დევენილებით განსახლებული ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზების შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი დათქმის დაცვით. დადგენილების მე-4 პუნქტის დასკვნითი ნაწილის თანახმადაც,

აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებშიც დევნილები იმყოფებიან უკანონოდ. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკანონო ჩასახლებაში კანონმდებელმა იგულისხმა სხვადასხვა ობიექტში თვითნებურად შეჭრილი დევნილები (ანუ ის ცენტრები, რომლებშიც სახელმწიფოს არ განუხორციელებია ჩასახლება). ძალიან ბევრი, დღეისათვის დევნილებით განსახლებული კოლექტიური ცენტრი სწორედ თვითნებურად არის დაკავებული. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი იყო ის რომ, სახელმწიფოს, კონკრეტულად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ ჰქონდა თავის ძირითად ფუნქციაში – დევნილთა განსახლების საკითხში, გარკვეული პოლიტიკა. გამოდის, რომ ამ ობიექტების პრივატიზების დროს იქ მცხოვრები დევნილების უფლებები საერთოდ არ არის დაცული და გათვალისწინებული.

განსახლების პროცესი ვითარდება ქაოტურად და კონკრეტული სახელმწიფო უწყებები მხოლოდ დამკვირვებლის როლში გამოდიან; მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა დროს გამოცემული განსხვავებული ძალისა და იერარქიის ნორმატიული აქტები, რომლებიც ავალებს თვითმმართველობის ორგანოებს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს გამოთავისუფლებული შენობების სამინისტროსთვის გადაცემას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ ნორმატიულ აქტთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და ვერც იმ რეალურად არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც აქვთ დევნილებს. ამას ემატება ისიც, რომ არსებული ბაზის რეალიზებაც ვერ ხერხდება და, ხშირ შემთხვევაში, ხდება იგნორირება ამ სამართლებრივი აქტების. დღემდე მოუგვარებელია დევნილთა პრობლემატიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებულობა. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, სახალხო დამცველს სურდა მიეღო ინფორმაცია დევნილთა იმ კომპაქტური ჩასახლების ობიექტების შესახებ, რომლებიც შეტანილია საპრივატიზაციო ნუსხაში. თუმცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კ. დამენია წერილობით პასუხში სახალხო დამცველს ურჩევდა, მიემართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის, თავის მხრივ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე ი. გორგაძემ წერილობით პასუხში სახალხო დამცველს ურჩია, მიემართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2006 წლის მეორე ნახევარში დევნილთა ყოველთვიურ შემწეობაზე გაცემულია თანხა 18108976 ლარის ოდენობით. ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში მაცხოვრებელ დევნილებზე დარიცხულია: ელექტორენერჯის, წყლისა და სანიტარული დასუფთავების თანხა 7129685, 59 ლარის ოდენობით, აგრეთვე კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებზე დევნილთა სხვა ხარჯებისათვის 597 919, 80 ლარის ოდენობით. წლიური ერთჯერადი დახმარების სახით გაიცა 166 300 ლარი. ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების 60 ობიექტზე, მოხდა 5 ობიექტის გაზიფიცირება, 79 ობიექტზე დამონტაჟდა ელექტრომრიცხველები, ერთ ობიექტზე განხორციელდა პილოტური პროგრამა დევნილთა ოჯახების ინდივიდუალური გამრიცხველიანებისა და დარეგისტრირებისათვის. სამინისტროს მიერ საქართველოს რეგიონებში განსახლებულია 12 ოჯახი. პილოტური პროგრამით ჩატარდა დევნილთა რეგისტრაცია ქ. რუსთავში.

სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ირიცხება 246 458 დევნილი, აქედან დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებში ცხოვრობს 102 683 დევნილი. ხოლო დევნილთა სავალდებულო, სრულმასშტაბიანი რეგისტრაციის ჩატარება სამინისტროს მიერ დაგეგმილია 2007 წლის გაზაფხულიდან.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ზემოთაღნიშნული თანხებიდან კომუნალური მომსახურებისთვის გათვალისწინებულ თანხებს ურიცხავს დასუფთავების სამსახურს და წყალკანალს, რათა ამ სამსახურებმა წყლით უზრუნველყონ კომპაქტური ცენტრები და დაასუფთაონ ისინი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მონაშობი ინფორმაციის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულ სამსახურებში ეს თანხები დავალიანების გარეშე მიემართება. თბილისში კომპაქტური ცენტრების წყლით მომარაგების პრობლემა ასე თუ ისე გადაჭრილია, ასევე, თბილისის რიგ



რაიონებში დასუფთავების სამსახური ახორციელებს მათზე დაკისრებულ ვალდებულებას; რიგ უბნებში კი ბოლო ორი წელია კომპაქტური ცენტრებიდან არ გაუტანიათ ნაგავი. სავალალო მდგომარეობა რეგიონებში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია კომუნალური მომსახურების ხარჯები, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონებში არსებულ დასუფთავების სამსახურების უმრავლესობასთან არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება და, შესაბამისად, არ ხორციელდება მომსახურება. იმ ობიექტებთან, რომლებთანაც ხელშეკრულება არის გაფორმებული, ჯეროვნად არ სრულდება დაკისრებული ვალდებულება, დასუფთავების სამსახურების გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო.

რაც შეეხება რეგიონებში წყალმომარაგებას და დასუფთავებას, იქ არსებულ 50% -ზე მეტ კომპაქტურ ცენტრს უკვე რამდენიმე წელია არ მიენოდება წყალი. ერთ-ერთ მიზეზად მოყვანილია, ასევე, მოძველებული წყალგაყვანილობის სისტემა ან ასეთი სისტემის საერთოდ არ არსებობა. ამ ადგილებში თავად დევენილების, და ზოგ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაითხარა ქები. ზოგ რეგიონში შემონების შედეგად დადგინდა, რომ ეს ქები ჯანმრთელობისათვის საზიანოა. დასუფთავების სამსახურებს უმეტესწილად საერთოდ არ ჩაუტარებიათ შესაბამისი სამუშაოები. ყოველივე ეს იწვევს მძიმე სანიტარული მდგომარეობის წამოქმნას საცხოვრებლად ისედაც უვარგის შენობებში, რაც, თავის მხრივ, მძიმე ინფექციური დაავადებების გავრცელების ხელსაყრელ პირობებს ქმნის. (კონკრეტულად, ქ. ზუგდიდში კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტში გახშირებულია ინფექციური დაავადებები).

საფუძველს მოკლებული არ არის კითვა: რისთვის ან ვისთვის ირიცხება ეს თანხები?

იგივე შეიძლება ითქვას დევენილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებისათვის (თბილისში – საშუალოდ, თითო დევენილზე 12,4 ლარი, ხოლო რეგიონებში – საშუალოდ, თითო დევენილზე 8 ლარი) მიმართულ ხარჯებზე. რეგიონებში არსებულ ბევრ ობიექტში გამრიცხველიანება ფაქტობრივად გაკეთებულია. თბილისში კი მოხდა გამრიცხველიანება, მაგრამ მრიცხველზე მიერთებულია არა მარტო დევენილთა კომპაქტური ცენტრები, არამედ სხვა დაწესებულებებიც (საცხოვრები, პოლიკლინიკა, სამრეცხაო, ლაბორატორიები და სხვა), რის შედეგადაც არსებითად იზრდება ხარჯი, რომელიც ერიცხება დევენილთა კომპაქტური ჩასახლების ცენტრებს და დასაფარია დევენილთათვის გამოყოფილი ელექტროენერჯის თანხებით. შედეგად, სახეზეა დევენილთა ჩასახლების ობიექტებზე დარიცხული დავალიანება და გამორთული ობიექტები. დევენილთა მცდელობას, გააკონტროლონ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამისად თანხის გადახდის პროცესი, შედეგი ხშირ შემთხვევაში არ მოყვება, თუნდაც უბრალოდ ტექნიკური საშუალებების არ არსებობის გამო.

ხოლო რეგიონებში ობიექტებისათვის ფიქსირებული გადასახადის მიხედვით გახარჯული ელექტროენერჯის გადასახადის დარიცხვა ხორციელდება 2002 წლის 30 დეკემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1/3/136 გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლად. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2001 წლის 31 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესის“ არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესი“.

ამასთან, არ არის გამოკვეთილი კონკრეტული პასუხისმგებელი ორგანო ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის მცდელობას, სიცხადე შეეტანა ამ საკითხში, კვლავ მოყვა სხვადასხვა უწყებების მიერ პასუხისმგებლობის ერთი-მეორეზე დაკისრება.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება თანაბრად ვრცელდება საქართველოს ყველა მოქ-

ლაქეზე, მათ შორის იგპ-ზეც. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობის მიხედვით, კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული იგპ-ების მიმართ გათვალისწინებულია დევნილის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი, ამ უკანასკნელთა მიმართ არ გამოიყენება საქართველოს მოქალაქეთა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საერთო წესით საცხოვრებელი რეგისტრაციის სისტემა. სახეზეა სპეციალურად დევნილის სტატუსის მქონე იგპ-თვის შექმნილი განსხვავებული რეგისტრაციის სისტემა, რაც კანონმდებლობაში არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული და, რაც შემთხვევაში, იწვევს კანონთა შორის კოლიზიასა და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, რუსეთიდან დეპორტირებულ დევნილ მოქალაქეს მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მიანიჭეს დევნილის სტატუსი – სამინისტრო უარს აცხადებდა მისთვის ამ სტატუსის მინიჭებაზე იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ დევნილს არ გააჩნდა დროებითი საცხოვრებელი ადგილი. აღსანიშნავია, რომ სტატუსის მინიჭებას წინ არ უნდა უსწრებდეს დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის ქონა. ვინაიდან, დევნილის სტატუსის მინიჭების შემდეგ მას წარმოეშობა უფლება დროებით საცხოვრებელ ადგილზე.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია დევნილთა ყოველწლიური რეგისტრაციის წესი, რომელსაც განსაზღვრავს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ბრძანება. დევნილი მოწმობის მისაღებად უნდა გამოცხადდეს კომისიაში. ამ ბრძანებაში არ არის გათვალისწინებული უცხოეთში მყოფი დევნილების საკითხი. ამ კატეგორიის დევნილები ფიზიკურად ვერ გაივლიდნენ რეგისტრაციას და, ცხადია, კანონის შესაბამისად, შეუჩერდებოდათ და შეუჩერდათ კიდევ სტატუსი.

თუმცა შესაძლებელია, საზღვარგარეთ დროებით (სამუშაოდ თუ სასწავლებლად) მყოფ დევნილთა ყოველწლიური რეგისტრაცია და მათზე შესაბამისი მოწმობების გაცემა გაკეთდეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით. ვინაიდან, საქართველოს კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 44-ის, მეორე პუნქტის მიხედვით, „სხვა სახელმწიფოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, რეგისტრაციის მოწმობას და პასპორტს გაცემის საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება“.

ამ მექანიზმის ამოქმედების წყალობით, საზღვარგარეთ მყოფ დევნილებს არ შეუჩერდებათ სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დევნილის მიერ დროებით საქართველოს ტერიტორიის დატოვება, ყოველწლიური რეგისტრაციის პერიოდში, გამოიწვევს მისი სტატუსის შეჩერებას, რაც ხელს შეუწყობს დევნილთა რეალური რაოდენობის ხელოვნურად შემცირებას. ხოლო დევნილი, რომელსაც სურს სტატუსის შენარჩუნება, იძულებული იქნება რეგისტრაციის პერიოდში არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია ან/და, ქვეყანაში არყოფნის შემთხვევაში, სპეციალურად დაბრუნდეს საქართველოში, რათა დათქმულ ვადებში გაიაროს რეგისტრაცია. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი განსაზღვრავს: „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება; ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან“. და ამ თავისუფლებით სარგებლობა არ უნდა აუარესებდეს პირის სამართლებრივ მდგომარეობას და არ უნდა შექონდეს ნეგატიური კორექტივები მის სამართლებრივ სტატუსში.

კანონმდებლობის არასრულყოფილებასთან ერთად, არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სათანადო შესრულება. 2006 წლის მანძილზე არ ჩატარებულა დევნილთა სავალდებულო რეგისტრაცია. შესაბამისად, სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაცია ვერ იქნება რეალური მდგომარეობის ადეკვატური. სახალხო დამცველისათვის გაუგებარია, რა მიზეზით არ დაარეგისტრირა სამინისტრომ ის დევნილები, რომელთა გამოსახლება მოხდა აჭარაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წერილიდან სახალხო დამცველმა შეიტყო, რომ აჭარაში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესით დევნილების რიგი ოჯახები გამოთქვამდნენ გარკვეულ მოტივირებულ უკმაყოფილებას და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი შეასახლა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ფართში, კერძოდ, დ/ს „ქობულეთში“ 72 ოჯახი და



ყოფილ შპს ნარკოლოგიური ცენტრის შენობაში – 42 ოჯახი. მიუხედავად ამისა, დევენილების განცხადებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დღემდე არ განახორციელა მათი რეგისტრაცია აღნიშნულ მისამართზე.

ამასთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ხდება არა მარტო სპეციფიკური საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების უგულებელყოფა, არამედ სხვა კანონებისაც. კერძოდ, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების იგნორირება, დევენილთა მიმართვის საფუძველზე ინფორმაციის გამოთხოვისა და განცხადების განხილვის ვადებისა და პროცედურის დარღვევა და სახალხო დამცველის რეკომენდაციების განუხილველობა და დაუსაბუთებელი უარყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ გახშირდა შემთხვევები, როცა დევენილები მიმართავენ სასამართლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით, მაშინ როცა სამინისტრო თავადაა პასუხისმგებელი ასეთ დაცვის უზრუნველყოფაზე. სახალხო დამცველისთვის მოწერილ ერთ-ერთ პასუხში სამინისტროს პასუხისმგებელი პირები ამტკიცებენ, რომ ისინი არ არიან ვალდებული დევენილთა ყველა უფლების დაცვაზე და მიუთითებენ უფლების სასამართლო წესით დაცვის გზას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში თავად სამინისტრო არ ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიდგომა გალის რაიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებთან. ფაქტობრივად არ ხდება იმ მდგომარეობის გათვალისწინება, რა ვითარებაში უნევთ ცხოვრება იქ სტიქიურად დაბრუნებულ დევენილებს, ასევე მათ, ვინც სეზონურად ბრუნდება საკუთარ სახლებში. ის, თუ როგორ ეკიდება სამინისტრო გალის რაიონის მაცხოვრებლების პრობლემებს ნათლად ჩანს გალის რაიონში მაცხოვრებელი დევენილების რეგისტრაციის საქმეში.

გალის რაიონში მაცხოვრებელი დევენილების რეგისტრაციის საქმე

2006 27 ივლისს სახალხო დამცველს მიმართა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა, მეორე ჯგუფის ინვალიდმა, 65 წლის ლევთერ ჯობავამ, მცხოვრებმა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის სასტუმრო „ამირანში“, ოთახი №1010. მისი განმარტებით, მას ყავს დედა საშა ნესტორის ასული ჩეხერია-ჯობავა დაბადებული 14.03.1903წ, რომელიც არის მრავალშვილიანი დედა და მეუღლე სამამულო ომის დროს დაეღუპა. განმცხადებელს ყავს მარტოხელა და, შაფიკო ელიზბარის ასული ჯობავა, დაბადებული 05.01.1936 წ, ინვალიდი. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მისი ოჯახის წევრები დევენილებად ირიცხებოდნენ ზუგდიდში, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილია გალის რაიონის სოფ. პირველი გალი.

2004 წლის დევენილთა რეგისტრაციის დროს ავადმყოფობის გამო მათ ვერ შეძლეს გამოცხადება ზუგდიდში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამის სამსახურში, რის გამოც მოქალაქე ლ. ჯობავამ თავად მიმართა სამინისტროს წარმომადგენლებს, შეეცა ბლანკები და დატოვა წარმომადგენლებთან, თუმცა პასუხი არ მიუღო. შედეგად, ვინაიდან ს. ჩეხერია-ჯობავას და შ.ჯობავას არ გააჩნდათ დევენილის მოწმობა, ისინი ვერ ლეგალიზდნენ შემწეობას და პენსიას.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შეესწავლათ ზემოაღნიშნული გარემოებები და კანონით დადგენილ ვადაში ეცნობებინათ მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

2006 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, ირაკლი გორგაძის წერილით გვეცნობა, რომ სამინისტროში არსებული წესის თანახმად სტატუსის

მისანიჭებლად საჭიროა მოქალაქის პირადად გამოცხადება სარეკომენდაციო კომისიაზე. თუმცა მათ გაითვალისწინეს ქალბატონების შაფიკო ჯობავასა და საშა ჯობავას ასაკი და ჯანმრთელობა და განცხადება გადაეგზავნა აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს, რათა გამოიყოს სარეკომენდაციო საკომისიო ჯგუფი ვითარების ადგილზე შესასწავლად.

სახალხო დამცველმა ეს ინფორმაცია მიანოდა მოქალაქეს და საქმისწარმოება დაიხურა. თუმცა 2007 წლის 13 თებერვალს ლ. ჯობავამ განმეორებით მიმართა სახალხო დამცველს და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ მის მიერ დაყენებული მოთხოვნების უგულებელყოფაზე ისაუბრა. ფაქტობრივად, სამინისტროსადმი მიმართვის 4 თვის შემდეგაც, პრობლემა არ მოგვარებულა.

სს „ბამბის ნართში“ ჩასახლებული დევნილების საქმე

2006 წლის 18 აგვისტოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3-ში მდებარე სს „ბამბის ნართის“ შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა. მათი განცხადებით, პრობლემები შეექმნათ, სს „ბამბის ნართის“ მფლობელთან. კერძოდ, ა.ნ. 12 აგვისტოს, გამთენიისას, ზემოაღნიშნული შენობის სახურავს ცეცხლი გაუჩნდა, რომლის ჩაქრობა მეხანძრეთა დახმარებით მოხერხდა. განმცხადებლების განმარტებით, კორპუსის დათვალიერებისას ივარაუდეს, რომ ცეცხლი ხელოვნურად იყო გაჩენილი ს/ს „ბამბის ნართის“ ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ.

საქმის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველმა მიმართა ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილების უფროსს გია კოდალაშვილს. მან ხანძრის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა. მისივე განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია გადაეგზავნა გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს.

სახალხო დამცველმა მიმართა გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს უფროსს ლევან ჭაბუკიანს, მოენოდებინა ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს მე-9 განყოფილების გამომძიებლის დ. ნიკოლაიშვილის წერილიდან გაირკვა, რომ 2006 წლის 12 აგვისტოს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს მე-9 განყოფილებაში საქართველოს სსკ-ის 187 მუხლის II ნაწილით დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთან, საქმეზე დანიშნული იყო სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა და ტარდებოდა ოპერატიულ-საგამომძიებო ღონისძიებები დანაშაულის გახსნისა და დამნაშავე პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

ნაზი მარგიანის საქმე

2006 წლის 27 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოში მცხოვრებმა, აფხაზეთიდან დევნილმა, ნაზი მარგიანმა. განმცხადებელი განმარტავდა, რომ მისი შვილი ნ.მარგიანი დაავადებულია ჰეპატიტით და მისი მკურნალობისათვის საჭიროა ძვირადღირებული პრეპარატები, რომელთა შეძენის საშუალება მას არ გააჩნია, ვინაიდან მეუღლე გარდაეცვალა, თვითონ კი უმუშევარია.

საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ქალბატონ დალილა ხორავას და ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსს მამუკა ქაცარავას.



ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ წერილობით გვიჩვენა, ქ. თბილისში მცხოვრებ დევენილთათვის არსებული შეღავათებისა და დახმარებების შესახებ ინფორმაცია საქალაქო სამსახურის ინტერნეტ-საიტზე მოგვეძია. აღნიშნულ საიტზე კი მითითებულია, რომ მიმდინარე წელს უკვე დასრულებულია ის პროგრამები, რომლითაც შექმნილი ესარგებლა განმცხადებელს. სავარაუდოდ, ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში 2007 წლის ბიუჯეტით კვლავ დაფინანსდება ის შეღავათები და დახმარებები, რომლითაც ისარგებლებენ დევენილის სტატუსის მქონე თბილისის მაცხოვრებლები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ქალბატონ დალილა ხორავას გამოგზავნილი წერილიდან ცნობილი გახდა, რომ სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა მოინახულა მოქალაქე ნ. მარგანი ბინაზე. ასევე გაირკვა, რომ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება არ არის ხელმისაწვდომი, რადგან საქართველოს კანონში „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მოქალაქეთა ინდივიდუალური დახმარება გათვალისწინებული არ არის. თუმცა არსებობს სხვა პროგრამები, კერძოდ: მწვავე ჰეპატიტის სტაციონალური მკურნალობა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო ქრონიკული ჰეპატიტის სტაციონალური მკურნალობა ცალკეულ ნოზოლოგიებზე კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია თანაგადახდა 90 ლარის ოდენობით, განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში – თანაგადახდა 20% – პაციენტის მხრიდან.

ქ. ქუთაისში კომპაქტურად ჩასახლებული დევენილების საქმე

2006 წლის 10 ნოემბერს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ვეფხია მიქაუტაძემ, მარინა პაპავამ, მედეა რატიანმა და ზინაიდა რიგვავამ სადაც ისინი განმარტავდნენ, რომ 1993 წლიდან ცხოვრობდნენ ქ. ქუთაისში დროებით საცხოვრებელში, სხვადასხვა მისამართზე. ამ საკითხთან დაკავშირებით დევენილებმა არაერთხელ მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების მთავარ რეგიონალურ სამმართველოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ლტოლვილთა და განსახლების ქ. ქუთაისის განყოფილებას, თუმცა ამ საკითხს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო დევენილებმა გადაწყვიტეს ქ. ქუთაისში აღმაშენებლის N20-ში მდებარე ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ყოფილი სამხედრო პროკურატურის შენობა დაეკავებინათ საცხოვრებლად. მათივე განმარტებიდან შევიტყვევით, რომ აღნიშნულ შენობაში მათ შესახლებასთან დაკავშირებით დროულად აცნობეს და თხოვნით მიმართეს ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურებს: საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელს იმერეთში, ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურს, ადგილობრივი თვითმმართველობის ლტოლვილთა და განსახლების ქ. ქუთაისის განყოფილებას, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას იმერეთში, ქ. ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატს, რათა მომხდარიყო მათი, როგორც კომპაქტურად ჩასახლებულ დევენილთა აღნიშნულ მისამართზე რეგისტრაცია. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მათი მოთხოვნა არ გაითვალისწინა და ფართი გაასხვისა.

განმცხადებელთა განმარტებიდან გაირკვა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეებმა: ვეფხია მიქაუტაძემ, თამარ ჯალალონიამ, მარინა პაპავამ, მედეა რატიანმა და ზინაიდა რიგვავამ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოთხოვნით მომხდარიყო მათი, როგორც დევენილთა კოლექტიურ ცენტრებში რეგისტრაცია.

2006 წლის 16 ოქტომბრის სასამართლოს გადაწყვეტილებით ვეფხია მიქაუტაძის, მარინა პაპავას, მედეა რატიანისა და ზინაიდა რიგვავას სარჩელი დაკმაყოფილდა. შედეგად, ქუთაისის მთავრობას, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების

რების სამინისტროს, ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს დაევა დააკმაყოფილონ მოქალაქეები საცხოვრებელი ფართით. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ მომხდარა.

საქართველოს სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რეგიონულ სამმართველოს თანამშრომლებმა მიმართეს ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და გამოითხოვეს მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული სააღსრულებლო ფურცელის ასლი.

შედეგად სახალხო დამცველის აპარტმა მიიღო ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ანა ლეყეყას მიერ გამოტანილი და ხელმოწერილი აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული 2006 წლის 21 დეკემბერს გაცემული სააღსრულებლო ფურცელის ასლი.

2007 წლის 16 იანვარს მოქალაქეებს ეცნობათ, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ ზემოაღნიშნულ სასამართლოს და მიიღონ სააღსრულებო ფურცელი, ხოლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად შეუძლიათ მიმართონ იმერეთის სააღსრულებო ბიუროს განცხადებით (რასაც თან უნდა ერთვოდეს სააღსრულებო ფურცლის ასლი).

ლექსების საქმე

2006 წლის 21 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნათელა მახარობლიძემ. მან განცხადებაში აღნიშნა, რომ დევნილია აფხაზეთიდან და ცხოვრობს თბილისში, იუმაშვილის №5-ში. ამავე შენობაში ცხოვრობდა მისი ქალიშვილი, ლალი ლეჟავა სამ არასრულწლოვან შვილთან (ნატო, დათო და დიმიტრი ლეჟავები) ერთად, რომლის საცხოვრებელი ფართიც 200 ლარის სანაცვლოდ დაიკავა მოქალაქე თამარ მანჯავიძემ. ლ. ლეჟავას ამჟამად მეუღლესთან არანაირი ურთიერთობა არა აქვს და არც მისი ადგილსამყოფელის შესახებ იცის რამე. ის და მისი არასრულწლოვანი შვილები კი განთავსებულნი არიან ჯიხურში, სადაც ცხოვრებისათვის არანაირი პირობები არ არსებობს. მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ბავშვები აღარ დადიან სკოლაში, არა აქვთ ჩასაცმელი, წიგნები, ვერ ახერხებენ პირადი ჰიგიენის დაცვას.

ქალბატონმა თ. მანჯავიძემ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთან (სატელეფონო) საუბარში აღნიშნა, რომ იუმაშვილის №5-ში მდებარე შენობა პრივატიზებულია და ამჯერად მის კანონიერ საკუთრებას შეადგენს. რაც შეეხება თანხას, ეს არ იყო უძრავი ქონების სანაცვლოდ მიცემული ფული, რადგან ბინა მისი საკუთრებაა. მას ამოძრავებდა მხოლოდ დახმარების სურვილი და გამოხატა კიდევ კეთილი ნება ამისათვის.

საქმის რეალური ვითარების გამორკვევის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2006 წლის 30 ნოემბერს წერილით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გორგაძეს და გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, იყვნენ თუ არა ნ. მახარობლიძე და ლ. ლეჟავა რეგისტრირებულნი იუმაშვილის №5-ში მდებარე კომპაქტური განსახლების ობიექტში („საქკოოპმშენი“).

მეორეს მხრივ, 2006 წლის 1 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ილია გოცირიძეს და გამოითხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და რა პირობებით განხორციელდა იუმაშვილის №5-ში მდებარე შენობის („საქკოოპმშენი“) პრივატიზება, მოხდა თუ არა ამ პროცესში დევნილების ინტერესების გათვალისწინება და რა ფორმით.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ საქმეში საფრთხე ექმნებოდა ბავშვთა უფლებების დაცვას, 2006 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ზრუნვის სამმართველოს უფროსს, თამარ გოლუბიანს. აღნიშნულ უწყებას გადაეგზავნა ნ. მახარობლიძის განცხადების ასლი შემდგომი რეაგირებისათვის და მიეთითა, რომ ქვეყანაში დაწყებული დედინსტიტუციონალიზაციის პროცესის ფარგლებში შესაძლებელია ბავშვებისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, მათი საზოგადოებრივი და სასწავლო ინკლუზია.

2006 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს, გიორგი ქორქაშვილს და მოითხოვა შესაბამისი ზომების მიღება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ბავშვების განათლების უფლების რეალიზაციისა და მათი სოციალური პრობლემების გადაჭრის კუთხით.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის, გ.ქორქაშვილის პასუხის თანახმად, გამგეობას ლ. ლეჟავას ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ გააჩნია. საქმის სხვა ასპექტები გამგეობას არ განუხილავს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული და რეგიონალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ბერიკა შუკაკიძის პასუხის თანახმად, ლ. ლეჟავას ოჯახის შესწავლა დაევალა თბილისის სოციალურ სამსახურს. აღნიშნულ წერილს თან ერთვის სოციალური მუშაკების – ანა ბაკაშვილისა და თეა ტყემალაძის დასკვნა. მოცემული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ნატო ლეჟავა ამჟამად ცხოვრობს ბებიასთან, ნათელა მახარობლიძესთან. ძმების მსგავსად, ისიც არ დადის სკოლაში, თუმცა ბებია მეორე ტრიმესტრიდან გეგმავს ბავშვის სკოლაში მიყვანას. ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შედეგად სოციალურმა მუშაკებმა გადანიჭეს გააგრძელონ მუშაობა ლეჟავების ოჯახთან. კერძოდ, ნატო ლეჟავას გაუნიონ რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ბავშვთა დედინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა მიტოვების პრევენციის“ ქვეპროგრამაში ჩასართავად. რაც შეეხება დათო და დიმიტრი ლეჟავებს, მათი რეკომენდაციაა, მაქსიმალურად სწრაფად გამოარიდონ ისინი არსებულ გარემოს და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, შესთავაზონ დახმარება.

2007 წლის 8 იანვარს სახალხო დამცველმა შეხსენებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გორგაძეს. აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხიდან (29.01.07წ) ირკვევა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მონაცემთა ბაზაში ლ. ლეჟავა და ნ.მახარობლიძე დევნილად რეგისტრირებულნი არიან სამგორის რაიონში, იუმაშევის ქ. №5-ში მდებარე „საქკოოპმშენის“ შენობაში.

2007 წლის 27 თებერვალს სახალხო დამცველმა შეხსენებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, კახა დამენიას. აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხიდან (01.03.07 წ.) ირკვევა, რომ ინფორმაცია ქ. თბილისში, იუმაშევის ქ. №5-ში მდებარე შენობის („საქკოოპმშენის“) პრივატიზების თაობაზე სამინისტროს საუწყებო არქივში არ მოიპოვება.

საქმე ამჟამად წარმოებაშია.

მეტროსადგურ „დელისის“ მინისქვეშა გადასასვლელში მოვაჭრე დევნილების საქმე

2006 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მომართეს აფხაზეთიდან დევნილმა საქართველოს მოქალაქეებმა.

განმცხადებლებმა განმარტეს, რომ დევნილობის მანძილზე ცხოვრობენ ქ. თბილისში, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში. მძიმე სოციალური პირობების გამო, ოჯახების რჩენის მიზნით, დევნილთა აღნიშნულმა ნაწილმა გადაწყვიტა თვითონ მოეძია სამუშაო ადგილი. 1996 წელს ისინი განთავსდნენ

მეტროსადგურ „დელისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ენეოდენ გარე ვაჭრობას. იმავე წელს, ქალაქის მთავრობასთან დადებული ზეპირი შეთანხმების ძალით, დევნილებისათვის სავაჭრო ადგილები გამოიყო მეტროსადგურ „დელისის“ მინისქვეშა გადასასვლელში, სადაც ისინი დღემდე აგრძელებენ მუშაობას.

7 დეკემბერს, შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ადმინისტრაციის სახელით, ამავე მეტროპოლიტენის თანამშრომლების მიერ დევნილები ზეპირად იქნენ გაფრთხილებულნი, რათა მომდევნო 3 დღის მანძილზე დაეტოვებინათ აღნიშნული ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა მათი ძალის გამოყენებით გაყვანა. განმცხადებლები განცხადებაში მიუთითებენ, რომ აღნიშნულის გამო ემუქრებათ უმუშევრად დარჩენა, ოჯახების რჩენის მიზნით კი აუცილებლად საჭიროებენ რაიმე ტიპის სტაბილურ სამსახურს. ბევრ მათგანს ბანკებიდან კრედიტი აქვს აღებული, რაც უფრო ამწვევებს მათსავე სოციალურ მდგომარეობას.

სახალხო დამცველმა განცხადება წარმოებაში 18 დეკემბერს მიიღო. ამავე დღეს ერთ-ერთი განმცხადებელს, ლუარა ჟვანიას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მეტროსადგურის ტერიტორიაზე მოვაჭრე დევნილების საერთო რაოდენობა 74 ერთეულს შეადგენს.

2006 წლის 20 დეკემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გორგაძეს. დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილთა უფლებების უზრუნველყოფა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კომპეტენციაა. სწორედ აღნიშნული უწყებამ პასუხისმგებელი მათი პრობლემების მოსაგვარებლად ჯეროვანი და ეფექტური ღონისძიებების გატარებაზე. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია იზრუნოს თითოეული დევნილის „დროებით დასაქმებაზე, მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით“.

ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად კი, სამინისტრო ვალდებულია გადაწყვიტოს მათი „დასაქმებისა და სხვა სოციალური საკითხები“ აღმასრულებელი ორგანოს შესაბამის უწყებებთან. ვინაიდან, ზემოთ აღნიშნულ საქმეში დევნილებს ემუქრებოდათ უმუშევრობა, სახალხო დამცველმა 2006 წლის 20 დეკემბერს მიმართა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გორგაძეს, რათა განეხილა განმცხადებლების დასაქმების საკითხი. აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხის (29.01.07 წ.) თანახმად, სამინისტრომ დევნილებისათვის ალტერნატიული სავაჭრო ადგილის გამოყოფის მიზნით საქმის მასალები გადაუზავნა ქ. თბილისის ვიცე-მერს, მამუკა ახვლედიანს. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა ქ. თბილისის ვიცე-მერისგან გამოითხოვა ინფორმაცია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ, თუმცა პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

2006 წლის 25 დეკემბერს სახალხო დამცველმა მიმართა ქ. თბილისის საზედამხედველო საქალაქო სამსახურის უფროსს ლაშა მაქაცარიას. აღნიშნულ უწყებას ეთხოვა დევნილებისათვის ალტერნატიული დასაქმების საკითხის გადაწყვეტა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მოგვიანებით, 2007 წლის 6 თებერვალს საზედამხედველო საქალაქო სამსახურმა სახალხო დამცველის წერილი ქვემდებარეობის წესით გადააგზავნა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურში.

2006 წლის 29 დეკემბერს მეტროსადგურ „დელისის“ მინისქვეშა გადასასვლელში გამოკრულ იქნა შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ გენერალური დირექტორის მიერ ხელმოწერილი გაფრთხილება (№გლ-12/1131). აღნიშნული დოკუმენტით გარემოვაჭრეებს მოეთხოვათ მათ მიერ დაკავებული ფართის გათავისუფლება 2007 წლის 20 იანვრამდე. ასევე განემარტათ, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ადმინისტრაცია არ აგებდა პასუხს დევნილების მიერ დატოვებულ ქონებაზე.



2007 წლის 12 იანვარს სახალხო დამცველმა მიმართა რეკომენდაციით ქ. თბილისის მერს გიგი უგუ-
ლავას. ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2004 წლის 30 იანვარს მიღებული №2-6 გადაწყვეტილებით,
რომელიც ეხება ქ.თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის აკრძალვის ღონისძიებებს, ქ. თბილისის
მერს დაევალა „უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს გარემოვაჭრეებისათვის ალტერნატიული სამუშაო
ტერიტორიების გამოყოფა“. სახალხო დამცველმა მიუთითა ასევე საკითხის დაუყოვნებლივ გა-
დაწყვეტის საჭიროებაზე, რათა აცილებულ იქნეს დევენილების ძალისმიერი მეთოდებით გამოყვანა
შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ტერიტორიიდან. სახალხო დამცველმა განმეორებით, 2007 წლის
16 თებერვალს მიმართა ქ.თბილისის მერს, თუმცა პასუხი ჯერაც არ მიუღია.

2007 წლის 12 იანვარს სახალხო დამცველმა მიმართა შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ გენერალურ
დირექტორს ლევან კობლატაძეს და სთხოვა გადაავადოს მეტროსადგურ „დელისის“ ტერიტორიაზე
მოვაჭრე დევენილების აღნიშნული ტერიტორიიდან გაყვანის ღონისძიება, ვიდრე არ მოხდება კომპე-
ტენტური ორგანოების მიერ მათი დასაქმების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა.

2007 წლის 27 თებერვალს, ღამის 2 საათზე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქალაქის
საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დევენილები ძალის გამოყენებით გამოყარეს მეტროსადგურ
„დელისის“ მიწისქვეშა გადასასვლელის ტერიტორიიდან, რა დროსაც სერიოზული ზიანი მიაღდა
გარემოვაჭრეების ქონებასაც (დევენილების განმეორებითი განცხადება).

2007 წლის 26 თებერვალს სახალხო დამცველმა მიმართა ქ. თბილისის საკრებულოს ეკონომიკური
რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეს, ბერდია გველებიანს და გამოით-
ხოვა ის ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ შპს „თბილისის მეტროპოლიტენისა“ და
მისი ადმინისტრაციის საქმიანობას, ასევე ამ უკანასკნელის კომპეტენციის, არჩევის წესისა და ანგა-
რიშვალდებულების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი წესდების ასლი.

ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 30 იანვრის №2-6 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის ტერიტორიაზე
გარე ვაჭრობის აკრძალვის ღონისძიებათა შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის
საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-27 გადაწყვეტილებით „ქ. თბილისში გარე ვაჭრობის
რეგულირების შესახებ“, თუმცა ის ძალაში იყო მთელი 3 წლის განმავლობაში. 2007 წლის 26 თებერ-
ვალს სახალხო დამცველმა მიმართა ქ. თბილისის ვიცე-მერს, მამუკა ახვლედიანს გამოითხოვა ინ-
ფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული ქალაქის მთავრობის მიერ აღნიშ-
ნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ჰქონდა თუ არა ადგილი ალტერნატიული სამუშაო ტერი-
ტორიის გამოყოფას და დეტალური ინფორმაცია ამ აქტივობების შესახებ. ამავე შინაარსის წერილით
სახალხო დამცველმა მიმართა ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ზაზა ბეგაშვილს, ვინაიდან
„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბა-
მისად, სწორედ საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება „ქალაქ თბილისის მერის და ქალაქის
მთავრობის სხვა თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი; მერის ანგარიშების მოსმენა და
შეფასება“.

აღნიშნული უწყებებიდან სახალხო დამცველს პასუხი ჯერ არ მიუღია. საქმე წარმოებაშია.

ლილოს დასახლებაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევენილთა საქმე

2006 წლის 19 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს
ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში კომპაქტურად ჩასახლებულმა დევენილებმა.

განცხადების თანახმად, ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქ. №21-ში კომპაქტურად ჩასახლებულ
დევენილებს 2002 წლიდან არ მიეწოდებათ ელექტროენერგია ელექტრომეურნეობის მოუწესრიგებ-
ლობის გამო. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ მიმართეს პრეზიდენტს, აგრეთვე ლტოლვილ-

თა და განსახლების სამინისტროს, მაგრამ დახმარება მათთვის არავის აღმოუჩენია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ მრავალშვილიანი ოჯახები, პენსიონერები, ომის მონაწილეები, 100 წლის მარტოხელა მოხუცი. დევნილთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ს/ს „თელასის“ ანგარიშზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გადარიცხულია დაახლოებით 16000 (თექვსმეტი ათასი) ლარი, ს/ს „თელასის“ თანამშრომელმა თ. წირქვაძემ დევნილების საცხოვრებელი ადგილი „მკედარ ზონად“ გამოაცხადა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველ მოადგილეს ირაკლი გორგაძეს, სააქციო საზოგადოება „თელასის“ გენერალურ დირექტორს იური პიმონოვს და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს დავით მიქაუტაძეს.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველის დავით მიქაუტაძის საპასუხო წერილით დადასტურდა, რომ სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი მოხმარებული ელ.ენერჯის საფასურის ნაწილი და დევნილების მიერ დამატებითი თანხების ჩარიცხვა არათუ მთლიანად, არამედ დავალიანების ნახევარსაც ვერ ფარავს. ამასთან ანგარიშსწორება კომპანიასთან წარმოებს ერთი მრიცხველით. აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ინიციატივით არაერთგზის გაიმართა ზეპირი მოსმენა ს/ს „თელასთან“ და დევნილების წარმომადგენლებთან ერთად. სადაც ზოგ შემთხვევასთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა შეთანხმება, დაიდგას ინდივიდუალური მრიცხველები კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა საერთო საცხოვრებელში, რათა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ჩარიცხული თანხით დაიფაროს დევნილთა მიერ რეალურად მოხმარებული ელ.ენერჯის საფასური.

2006 წლის 27 ნოემბრის ს/ს „თელასი“ ენერგოგასაღების გენერალური დირექტორის მოადგილის ბატონი დ. ქართველიშვილის წერილიდან შევითქვეთ, რომ ს/ს „თელასის“ წარმომადგენლების მიერ ქ. თბილისში იუმაშვიის ქ. 21-ში ს/ს „დუზანი“-ს ადმინისტრაციულ კორპუსში ჩატარდა მოკვლევითი სამუშაოები, სადაც დადგინდა რომ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა ელ. ენერჯით მომარაგება ტექნიკურად შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნულ მისამართზე არ გადის ს/ს „თელასის“ ელექტრო-ხაზები.

2006 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გორგაძის საპასუხო წერილის თანახმად, აღნიშნული ობიექტის ელ.მომარაგება მისი ტერიტორიული განკერძოების გამო პრობლემატურია, რადგან უახლოესი მოქმედი ობიექტი და დასახლება, საიდანაც შესაძლებელია ელ.კვების მიღება 2 კილომეტრითაა დაშორებული დევნილთა ჩასახლების შენობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ თხოვნით მიმართა უახლოეს ტერიტორიაზე არსებული მოქმედი ობიექტის, შპს „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი კარბელაშვილს, თხოვნით, რომ „საქაერონავიგაციის“ განათების სისტემაზე მოხდეს დევნილთათვის განკუთვნილი ელ.კვების მიერთება.

2006 წლის 22 სექტემბრის შპს „საქაერონავიგაციის“ დირექტორის გ. ედიშერაშვილის მიერ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გორგაძის მისამართით გაგზავნილი საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ შპს „საქაერონავიგაცია“ თანახმაა, მათ ბალანსზე არსებულ სატრანსფორმატორო ?14-ე ქვესადგურს დააერთოს 0.4კვ. ძაბვის სამფაზა ელექტროსადენი. ამასთან, სამონტაჟო სამუშაოებისთვის აუცილებელია პროექტის შექმნა და იმ ორგანიზაციების თანხმობა, რომელთა ტერიტორიაზეც გაივლის საკაბელო გადამცემი ხაზი. ელექტროენერჯის მიწოდება უნდა მოხდეს N14-ე სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან ს/ს „დუზანის“ ადმინისტრაციულ შენობამდე, მინისქვეშა საკაბელო გადამცემი ხაზით (4x35 მმ²). გარდა ამისა დევნილთა საცხოვრებელ შენობაში ადგილზე დამონტაჟებულ უნდა იქნას 0.4 კვ. გამანაწილებელი ფარი და ელ. ენერჯის ინდივიდუალური მრიცხველები.



აღნიშნული წერილიდან არ ირკვევა, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას გეგმავს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იმისათვის, რომ იუმაშვილის ქუჩა №21-ში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს ელექტროენერჯია მიეწოდოს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა დევილითა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევილითა უფლებების უზრუნველყოფა დროებით საცხოვრებელ ადგილზე ეკისრება პირველ რიგში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევილითა უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“ (მე-5 პუხლის მე-2 პუნქტი); ამავე კანონის მე-5 მუხლის, 11 პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ემარებიან დევილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, თუ რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას გეგმავდა იმისთვის, რომ იუმაშვილის ქუჩა №21-ში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს ელექტროენერჯია მიეწოდოს. სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია, მოხდა თუ არა სამინისტროს მიერ 2007 წლის ბიუჯეტის კანონში იმ თანხების გათვალისწინება, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

საქმე წარმოებაშია.

№4 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილებისათვის ელექტროენერჯიის მიწოდების პრობლემა

სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. №4) მცხოვრებმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებმა. დევნილები აღნიშნავენ, რომ 2006 წლის 28 ნოემბერს მათ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეუწყდათ ელ-ენერჯიის მიწოდება. სს „თელასში“ მისვლისას კი 10,000 ლარის გადახდა მოსთხოვეს, რათა დენის მიწოდება აღდგენილიყო.

დევილი მოსახლეობის განცხადებით, ამ საკითხზე მათ 2 წელზე მეტია პრობლემები ექმნებათ, რადგან ხდება ელ-ენერჯიის დატაცება მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა თუ საცხოვრებლისა და მაღაზია-აფთიაქების, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ. ამ დარღვევებზე 2004 წელს მათ რეაგირებისთვის მიმართეს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტსა და „თელასის“ რაიონულ წარმომადგენლობას, ასევე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს. 2004 წლის 30 დეკემბერს მოსამართლე შ. კვარაცხელიამ გამოიტანა განჩინება სს „თელასის“ მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ელ. ენერჯიის მიწოდების აკრძალვის შესახებ ძველ დავალიანებაზე არსებული დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. აღნიშნული განჩინება და სააღსრულებო ფურცელი დევნილებმა წარადგინეს სააღსრულებო ბიუროში. დღემდე სს „თელასი“ მათ პერიოდულად უწყვეტდა დენს, თუმცა დევილი მოსახლეობის მიერ თანადო საბუთების წარდგენის შემდეგ ხდებოდა დენის ხელახალი ჩართვა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ყოველთვიურად ხდება 5000 ლარის გადარიცხვა სს „თელასში“ აღნიშნული კოლექტიური განსახლების ცენტრის ელექტროენერჯიის დავალიანების დასაფარად, თუმცა ეს საკმარისი არ არის, რადგან ზემოაღნიშნული მიზეზების გამო დენის დატაცების შედეგად გადახარჯული თანხის რაოდენობამ ოქტომბერში შეადგინა 10,000 ლარი, ხოლო ნოემბერში კი – 21,000 ლარი.

ამ პრობლემის გადასაჭრელად მიმდინარე გასული წლის სექტემბერში დევილმა მოსახლეობამ წერილით მიმართ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სადაც ისინი ითხოვენ შუამდგომ-

ლობას თავიანთი ხარჯებით მეორადი მოხმარების მრიცხველების კალიდორული სისტემით დამონტაჟების საქმეში. სამინისტრომ მხარი დაუჭირა დევნილი მოსახლების ამ წინადადებას, თუმცა აღნიშნულ ინიციატივა არ სცნო სს „თელასის“ ხელმძღვანელობამ.

ვინაიდან, ზამთრის პერიოდში დევნილთა კოლექტიურ საცხოვრებელში გაურკვეველი ვადით ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტამ შესაძლებელია გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს; ხოლო „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“ (მე-5 პუბლის მე-2 პუნქტი)“.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარესა და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს.

სახალხო დამცველის მიმართვაზე რეაგირების სახით გაიმართა შეხვედრა ზემოთაღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეხვედრაზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებს არ წარმოუდგენიათ საკუთარი მოსაზრებები. სს „თელასის“ წარმომადგენლების წინადადების თანახმად, კი გადაწყდა, რომ დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში შეიქმნება საინიციატივო ჯგუფები, რომელებიც მოსახლეობასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ელ-ენერჯის მიწოდების გრაფიკს, რაც გადაჭრის არსებულ პრობლემას დავალიანების გადახარჯვასთან დაკავშირებით. შემდგომ კი, არსებული გრაფიკით დარეგულირდება ეს პრობლემა და დევნილებს პერიოდულად მიეწოდებათ ელექტრო-ენერჯია. საქმე წარმოებაშია.

ბაგების სტუდენტულ ჩასახლებული დევნილების საქმე

სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ. თბილისში, ბაგების სტუდენტულ მე-4 კორპუსში ჩასახლებულმა დევნილებმა. განმცხადებლები განმარტავენ, რომ 2006 წლის 15 ივლისიდან აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში ელექტროენერჯია მიეწოდებათ შეზღუდული გრაფიკით (კერძოდ, დღეში 2 საათი), რაც აფერხებს მათი წყალმომარაგებით უზრუნველყოფას. დევნილებმა აღნიშნეს, რომ ელექტროენერჯის ასეთი გრაფიკით მიწოდება გამოწვეულია მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხული დავალიანების გადაუხდელობის გამო. გარდა ამისა, აღნიშნულ მისამართზე არსებულ კორპუსებში არ არის ჩატარებული დევნილი მოსახლეობისა და სხვა მაცხოვრებელთა (არადევნილთა, პენსიონერთა და სტუდენტთა) აღწერა, რაც იწვევს დევნილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ზუსტი ოდენობის ვალის დადგენის შეფერხებას. ასევე ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად რჩება შენობაში არსებული ანტისანიტარია.

სახალხო დამცველმა საქმის შესწავლის მიზნით მიმართა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს დ.მიქაუტაძეს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ი. გორგაძეს.

საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის დ.მიქაუტაძის პასუხიდან ირკვევა, რომ მათ უკვე მიმართეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს გ. ხევიაშვილს, რათა მოგვარდეს ბაგებში არსებული საერთო საცხოვრებლის გამრიცხველიანების საკითხი. ამასთან, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ს/ს „თელასი“-ს და სხვა უწყებების მონაწილეობით შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელიც შეისწავლის ს/ს



„თელასი“-ს მომართ ბაგების სტუდენტულ მცხოვრები დევენილების დებიტორული დავალიანების ოდენობის საფუძვლიანობას. გარდა ამისა, ადგილზევე ჩატარდება აღრიცხვის კვანძის შემოწმება, რის შედეგადაც გამოავლინდება ელ.ენერჯის არალეგალური მოხმარების ფაქტები.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ბატონ ირაკლი გორგაძის პასუხიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ს/ს „თელასი“-ს წარმომადგენლებთან გამართა კონსულტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ბაგებში არსებული სტუდენტების ადმინისტრაციისა და ზემოაღნიშნულ მისამართზე მაცხოვრებელ დევენილებთან წარმომადგენლები.

სტუდენტების ადმინისტრაცია მზადყოფნას გამოთქვამს მე-4 და მე-5 კორპ. (დევენილთა განსახლების ობიექტებზე) ყველა არადევენილ პირზე გადაიხადოს სამინისტროს მიერ დევენილებზე დაწესებული ელექტროენერჯის გადასახადის თანაბარი თანხა. ამას გარდა ს/ს „თელასი“-ს წარმომადგენლების მოთხოვნით, სტუდენტების ადმინისტრაციასა და დევენილების მხრიდან გაფორმდა წერილობითი თანხმობა მასზე, რომ მიმდინარე წლის დავალიანება დაიფარება შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით და მაცხოვრებელთა მხრიდან ელექტროენერჯის თვითნებურად ჩართვის შემთხვევები აღიკვეთება.

ანტისანიტარიის საკითხთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ სამინისტრო, დადგენილი წესის მიხედვით, შესაბამის სამსახურებს ყოველთვიურად უხდის ბაგების სტუდენტების სანიტარული დასუფთავების თანხას 1970 ლარის ოდენობით.

2006 წლის სექტემბრის თვეში სამინისტროს, დევენილთა წარმომადგენლებისა და ბაგების სტუდენტების ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა მე-4 და მე-5 კორპუსების კომისიური შესწავლა (აღწერა), რის შედეგადაც გამოირკვა, რომ ზემოაღნიშნულ კორპუსებში, ყოველ სართულზე დევენილები სხვა მოზინადრებთან (სტუდენტები და სხვა მოქალაქეები) ერთად შერეულად ცხოვრობენ და ერთი საერთო მრიცხველით სარგებლობენ. აღნიშნული გარემოების გამო, ამ ეტაპზე შეუძლებელია დეტალურად აღირიცხოს მხოლოდ დევენილთა დავალიანება.

„სპეცავტომეურნეობის“ შენობაში, შ. პეტეფის ქ. №15-ში განთავსებული დევენილების საქმე

სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის №15-ში, „სპეცავტომეურნეობის“ შენობაში მცხოვრებმა დევენილებმა. განცხადებიდან ირკვევა, რომ დევენილები: როლანდ ახალაია, ხათუნა შენგელია, სულიკო კვეკვესკირი და გიორგი იჭინავა ოჯახის წევრებთან ერთად, 2003 წლიდან ცხოვრობენ ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის №15-ში. ისინი აღნიშნულ მისამართზე ჩასახლდნენ არა თვითნებურად, არამედ მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე და რეგისტრირებულნი არიან დევენილებად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. შესაბამისად აღნიშნულ მისამართზე ერიცხებათ დევენილთათვის გათვალისწინებული ყველანაირი შეღავათები, მათ შორის დენის გადასახადიც.

დევენილები ასევე მიუთითებენ, რომ მათ დააყენეს ინდივიდუალური მრიცხველები, აკონტროლებდნენ ელექტროენერჯის ხარჯვას და, შესაბამისად, არასოდეს ჰქონიათ დავალიანება ს/ს „თელასის“ მიმართ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ყოველთვიურად რიცხავდა შესაბამის ანგარიშზე მოხმარებული ელექტროენერჯისა და სხვა კომუნალური გადასახადების თანხას. ამასთან, დევენილები თავადაც იხდიდნენ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს, რაც დასტურდება ელექტროენერჯის გადახდის ქვითრებით.

მიუხედავად ამისა, ს/ს „თელასმა“ 2006 წლის ოქტომბრის თვის დასაწყისში, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მათ ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყვიტა.

ამავე საკითხზე სახალხო დამცველს მიმართა „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის“ თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა. განცხადებაში

მითითებულია, რომ „ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო“ იჩენს ინდიფერენტულ და არა-ადეკვატურ დამოკიდებულებას აღნიშნული პრობლემის მიმართ გარკვეული ტექნიკური და დოკუმენტალური ხარვეზების არსებობის გამო.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიმართა სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს ი.პიმონოვს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ი. გორგაძეს. მიმართვის ასლი გადაეგზავნა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს დ. მიქაუტაძეს.

„თელასისგან“ მიღებული ინფორმაციით გაირკვა, რომ შენობას არ გააჩნდა დენის დავალიანება, უბრალოდ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრომ შეწყვიტა თანხის გადარიცხვა.

სახალხო დამცველის წერილობით მიმართვაზე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან მიღებული პასუხიდან (2006 წლის 13 ნოემბრის № 01/01-171725) ირკვევა, რომ „სამინისტრომ შეისწავლა შანდორ პეტეფის №15-ში დამისამართებული დევნილების ანკეტური მონაცემები, სადაც საჭირო დოკუმენტაცია არ არის. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ობიექტზე განსახლებულ დევნილებს შეუჩერდათ სამინისტროს მიერ დაფინანსებული კომუნალური გადასახადები“.

უკვე რამდენიმე თვეა რაც დევნილები იმყოფებიან ელექტროენერჯის გარეშე, შენობაში განთავსებული არიან მოხუცები, ბავშვები, ომის ინვალიდები, მათ არა აქვთ საშუალება, რომ ჰქონდეთ გათბობის ალტერნატიული წყაროები, დენის მიუწოდებლობით არიან უმწეო მდგომარეობაში, სახელმწიფოს მიერ გაცემული ყოველთვიური შემწეობის თანხა არ არის საკმარისი შეიძინონ გათბობის სხვა საშუალებები, ასევე მოამზადონ საკვები.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ი. გორგაძის იმავე წერილში (№01/01-17/7420) აღნიშნულია, რომ სამინისტრომ დევნილებს შეუჩერა სამინისტროს მიერ დაფინანსებული კომუნალური გადასახადები, შანდორ პეტეფის №15-ში მდებარე შენობის მესაკუთრის მინდობილი პირის მოქალაქე გიორგი გიუაშვილის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიუთითებდა, რომ დევნილები აღნიშნულ შენობაში იმყოფებოდნენ მესაკუთრის ნებართვის, მისი წერილობითი თანხმობის გარეშე. ი. გორგაძე მიუთითებს, რომ სამინისტროს შიდა კონტროლის სამმართველომ შეისწავლა შანდორ პეტეფის №15-ში დამისამართებული ექვსივე პირის ანკეტური მონაცემები. შესწავლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ამ მონაცემებში საჭირო დოკუმენტაცია არ მოიპოვება. სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით, მესაკუთრემ რეაგირებისათვის პროკურატურას მიმართა.

იგივე ინფორმაცია დასტურდება მოქალაქე გ. გიუაშვილისათვის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მიერ გაგზავნილი წერილითაც (01/01-17/6729), თუმცა აქ უკვე მითითებულია, რომ სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე, აღნიშნულ ობიექტს სამინისტროს მიერ დაფინანსებული კომუნალური გადასახადები შეუჩერდა და საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადაეცა.

სახალხო დამცველმა განცხადების შესწავლისას გამოარკვია, რომ 2003 წლის 07 ოქტომბერს შენობის მესაკუთრესა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც იჯარის გამცემმა გადასცა არენდატორს (სამინისტროს) ყოფილი შ.პ.ს. „სპეცავტომეურნეობის“ ერთსართულიანი შენობა 320 კვ.მ ფართი, ხოლო არენდატორმა აიღო ვალდებულება გადაეხადა დევნილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და წყლის საფასური დადგენილი წესის შესაბამისად. ხელშეკრულება დაიდო ერთი წლის ვადით, შემდგომში ვადის გაგრძელების უფლებით. ხელშეკრულება არ გაუქმებულა, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობა გრძელდებოდა 2006 წლის ოქტომბრამდე.



სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და გამოითხოვა იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი, რომლის შესაბამისად ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრები დევნილებისათვის ხდებოდა კომინალური გადასახადის გადახდა, ასევე გადაწყვეტილება ამ აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რის შედეგადაც დევნილებს შეუჩერდათ კომუნალური გადასახადების გადახდა. ასევე ის დოკუმენტაცია, რომელის თანახმად 2003 წელს აღნიშნულ მისამართზე დევნილების დარეგისტრირება განხორციელდა.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, „დევენილის უფლებას იცავს სახელმწიფო“.

ამავე კანონის მე-52 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.

სამართლებრივად ძალიან მნიშვნელოვან გარანტიებზე საუბრობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის მე-4 ნაწილი: „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს“.

ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დაარღვია ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის №15-ში ჩასახლებული დევნილების უფლებები. კერძოდ:

საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დროებით საცხოვრებელ ადგილზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, რომლებიც:

- ბ) დევნილობის პერიოდში აძლევენ ერთჯერად და ყოველთვიურ შემწეობას დადგენილი წესითა და ოდენობით;
- გ) ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში;
- ზ) უზრუნველყოფენ დროებით საცხოვრებლითა და სურსათით საქართველოში დაწესებული ნორმის ფარგლებში...“

ნაცვლად იმისა, რომ სამინისტრომ განახორციელოს მისი აღნიშნული ვალდებულებები, რისი ავტომატური შედეგიც იქნებოდა დევნილების უფლებების დაცვა, პირიქით, მან უხეშად უგულვებელყო ისინი, რითაც ადამიანები ჩააგდო უმწეო მდგომარეობაში.

სამინისტროს მიერ დევნილებისადმი მიწერილი წერილიდან (2006 წლის 13 ნოემბრის №01/01-171725) ირკვევა, რომ „სამინისტროს შიდა კონტროლის სამმართველომ შეისწავლა შანდორ პეტეფის №15-ში დამისამართებული ექვსივე პირის ანკეტური მონაცემები, სადაც დამისამართებისათვის საჭირო დოკუმენტაცია არ არის. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ობიექტზე განსახლებულ დევნილებს შეუჩერდათ სამინისტროს მიერ დაფინანსებული კომუნალური გადასახადები.

თუმცა სამინისტრომ საკითხის შესწავლისას არ გაითვალისწინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ: ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხ-

ვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა“.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში“.

სამინისტრომ ისე გადაწყვიტა საკითხი და ისე შეუწყვიტა დაფინანსება დევნილებს, რომ მათთვის საერთოდ არ უცნობებია განხილვის დრო და ადგილი, შესაბამისად არ მიუცია შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ საქმის განხილვაში. რითაც კიდევ ერთხელ დაარღვია მათი კანონიერი უფლებები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა „არსებითი დარღვევის“ სამართლებრივ დეფინიციას: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ... კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.“ იმ პირობებში, როდესაც დევნილებს საერთოდ არ მიეცათ საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ სანინააღმდეგო შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, სამინისტრო ასევე ვერ უთითებს, თუ რომელი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება, რითაც ჩაიდინა უკანონო ქმედება, კერძოდ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია.“ ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება,“ რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტრომ არ გაითვალისწინა და კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელა ქმედება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დარღვეულია დევნილთა კანონიერი უფლებები, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. სამინისტრომ უკანონოდ შეაჩერა ელექტრო-ენერჯის საფასურის დაფინანსება, რის საფუძველზეც სს „თელასმა“ შეწყვიტა დენის მიწოდება.
2. სამინისტრომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციული წარმოების წესების არსებითი და უხეში დარღვევით, რითაც გამოირიცხა დევნილების შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ იმ საქმის განხილვაში, რომელიც მათ კანონიერ და სასიცოცხლო ინტერესებს შეეხებოდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ პრობლემებს, რომელიც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის კუთხით.
3. სამინისტრომ თავის დროზე გასცა წერილობითი დოკუმენტი – დევნილის მონმობა. ამ მონმობაში, სპეციალურ გრაფაში ფიქსირდება იმ დროებითი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, რომელზეც დევნილს გარკვეული უფლებები გააჩნია. შესაბამისად, ადამიანებს აქვთ იმის მოლოდინი, რომ ეს უფლებები აუცილებლად და უპირობოდ განხორციელდება. ამ შემთხვევაში დევნილის მონმობა, როგორც წერილობითი დოკუმენტი, წარმოშობს მისი მფლობელის კანონიერ ნდობას სამინისტროს მიმართ. მიუხედავად მსგავსი სამართლებრივი რეგულაციის არსებობისა, სამინისტრომ უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული ვალდებულებები.
4. სამინისტროს პოზიცია, რომ დევნილებს „ამ ეტაპზე შეუწყდა დენის საფასურის გადახდა“, ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ საკითხი ბოლომდე არ არის გამორკვეული და გადაწყვეტილება მიღებული გარკვეული ვარაუდით.



აღნიშნული ქმედებებით სამინისტრო არღვევს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობას. ბავშვები, მოხუცები და ინვალიდები კი იმყოფებიან შეგნებულად უმწეო მდგომარეობაში, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი ახალი ტრაგედიისა. უნდა აღინიშნოს, რომ დევენილები აფხაზეთის ომის შემდეგ გახდნენ ახალი ძალადობის მსხვერპლი. სამინისტრო, რომელიც უნდა იცავდეს დევენილების უფლებებს, პირიქით, არღვევს მათ. სამწუხარო ფაქტია, რომ დევენილებს თავის დაცვა უწევთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსაგან.

აღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე დევენილებმა მიმართეს სასამართლოს. საქმე ამჟამად სასამართლო განხილვის სტადიაზეა.

„რესპუბლიკურ საავადმყოფოში“ მცხოვრები დევენილის ოლეგ მიშინის საქმე

2006 წლის 21 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან დევენილმა, დროებით ქ. თბილისში „რესპუბლიკურ საავადმყოფოში მცხოვრებმა მოქალაქემ ოლეგ მიშინმა. ო. მიშინი აფხაზეთში ომის დანაშაულებიდან იბრძოდა ბატალიონ „სამურზაყანოს“ რიგებში. 1992 წლის 5 ივლისს გალის რაიონი სოფელ მიშველის გათავისუფლების დროს ბრძოლის ველზე ორივე ფეხში მძიმედ დაჭრეს. პირველადი დახმარება აღმოუჩინეს ქ. გალში, რის შემდეგაც გადმოიყვანეს ქ. თბილისში რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ზედიზედ რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც სხვა დაჭრილებს, მასაც გამოუყვეს საცხოვრებელი ფართი რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ ის გადავიდა ბატალიონ „სატურინში“, რომელიც 2005 წელს გაუქმდა. ბატალიონში, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდს, აღმოუჩინეს კვალიფიციური დახმარება და სამკურნალოდ გადავიდა სტაციონარში. სტაციონარიდან გამონერის შემდეგ დაბრუნდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც მისი ფართი დაკავებული დახვდა ავადმყოფების მიერ. ამის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა ქირით. შემდგომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისთვის ერთი ოთახი გამოიძებნა, სადაც გადავიდა საცხოვრებლად და დღემდე ცხოვრობს ამ ფართზე.

2006 წლის 18 ივნისს მოხდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მცხოვრებ დევენილთა აღწერა, რადგან იგეგმებოდა საავადმყოფოდან დევენილთა გამოსახლება და სანაცვლოდ თანხის გაცემა. აღწერის განხორციელების დროს ადგილზე არ იმყოფებოდა ო. მიშინი და შესაბამისად, აღწერის სიაშიც ვერ მოხვდა. ამ საფუძველზე კომისიამ უარი განუცხადა მას კუთვნილი კომპენსაციის მიღებაზე და დაარღვია მისი კანონიერი უფლებები. მან რამდენჯერმე მიმართა, როგორც კომისიას, ასევე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და სთხოვა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და კუთვნილი კომპენსაციის გაცემა, თუმცა მათ მიერ არ იქნა გათვალისწინებული ო. მიშინის კანონიერი მოთხოვნები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განმცხადებელი იბრძოდა აფხაზეთის ომში, და აქ მიღებული სხეულის მძიმე დაზიანებების შედეგად განესაზღვრა ინვალიდობის I ჯგუფი. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად კი, საავადმყოფოში მცხოვრებმა დევენილებმა კომპენსაცია მიიღეს ოთახების რაოდენობის მიხედვით (ერთ ოთახზე 10000 აშშ დოლარი), ხოლო აფხაზეთის ომში მონაწილე I ჯგუფის ინვალიდებისათვის განისაზღვრა დამატებით 1000 აშშ დოლარი. თუმცა კომისიამ უგულვებელყო თავისივე გადაწყვეტილება და ო. მიშინს სთავაზობს არა საკომპენსაციო თანხას, არამედ დევენილთა კომპაქტურ ჩასახლებაში საცხოვრებელ ფართს, რომელიც ო. მიშინს არც უნახავს და არც ეუბნებოდა, თუ სად მდებარეობს. აღნიშნული ფაქტი უხეშად არღვევს კანონს და სამართლის საყოველთაო პრინციპებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად: „1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. 2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. 3. საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.“

ო. მიშინი დღემდე ითხოვს მისი კუთვნილი ოთახის სანაცვლოდ თანხის ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ფაქტობრივად ქუჩაში რჩება. ზემოთ ხსენებული მდგომარეობა მას აიძულებს საკითხის გადაწყვეტამდე არ დატოვოს რესპუბლიკური საავადმყოფო, რისი სამართლებრივი საფუძველიც გააჩნია, ვინაიდან „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;
- ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
- გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
- დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად: „დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო“, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო“. ეს უკანასკნელი კი სამწუხაროდ, არ უზრუნველყოფს ო. მიშინის უფლებების განხორციელებას.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ო. მიშინმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და დღეს საქმის წარმოება სასამართლო სტადიაშია.

ზემო ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები დევნილების საქმე

2006 წლის 6 ნოემბერს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს თბილისში, კრწანისის რაიონში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე №21-ე დაუმთავრებელ კორპუსში მცხოვრებმა დევნილებმა, რომელთა 74 ოჯახი სხვა საცხოვრებელი ფართის არქონის გამო შესახლდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებულ საცხოვრებელ შენობაში. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ ჩაატარეს გარკვეული გამაგრებითი სამუშაოები, თუმცა ელექტროგაყვანილობის მოწყობისა და სხვა საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად საჭირო გახდა დროებითი რეგისტრაცია აღნიშნულ მისამართზე.

დევნილების განმარტებით, მათ არაერთხელ მიმართეს სხვადასხვა ოფიციალურ სტრუქტურას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წერილი განსახილველად გადაუგზავნა თბილისის მერიას იმ მოტივით, რომ „აღნიშნული შენობა წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ინფორმაციით, ზემო ფონიჭალის დასახლების №21-ე კორპუსზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, „ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე კორპუსი მშენებარეა. მისი მშენებლობა შეჩერებულია წლების წინ და იგი გამგეობის ბალანსზე არ ირიცხება“.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსმა ლევან ალაფიშვილმა 2006 წლის 23 მარტს წინადადებით მიმართა ქ. თბილისის ვიცე-პრემიერს გიორგი მელაძეს, განეხილათ აღნიშნული საკითხი საქალაქო საბინაო კომისიაზე. დევნილებს პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

აღსანიშნავია, რომ დევნილებმა ანალოგიური განცხადებით უკვე მომართეს სახალხო დამცველს 2006 წლის 23 აგვისტოს. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა წერილი გაუგზავნა ქ. თბილი-



სის პრემიერს თემურ ქურხულს, რათა კანონით დადგენილ ვადაში განეხილა მოქალაქეების განცხადება.

2006 წლის 6 ოქტომბერს თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის ლ. ალაფიშვილის პასუხის თანახმად, 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ცნობისა და თბილისის მთავრობის ფორმირების შემდგომ, ადგილობრივი ქონების საქალაქო სამსახური კვლავ დააყენებდა ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე №21 კორპუსში მცხოვრებ დევენილთა საკითხს.

2007 წლის 10 იანვარს თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსის ს. ქავთარაძის ნერილის (№3-05/3577) თანახმად, 2005 წლის ოქტომბერში აფხაზეთიდან დევენილებმა მას მიმართეს კოლექტიური განცხადებით. განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ დაიკავეს ზემო ფონიჭალის დასახლებაში მდებარე №21, 9-სართულიანი დაუმთავრებელი შენობა და ითხოვდნენ დაკავებული ფართის დაკანონებას, რაც თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურმა 2005 წლის ნოემბერში არ დააკმაყოფილა. იხელმძღვანელა რა თბილისის საკრებულოს 2003 წლის 9 სექტემბრის №12-7 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისში საცხოვრებელი ფონდის შექმნისა და განკარგვის წესის“ მე-14 მუხლით „საცხოვრებელი ფართობების მიღებას არ ექვემდებარებიან მოქალაქეები, რომელთაც თვითნებურად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი და არ ათავისუფლებენ მას“. ს. ქავთარაძე განმარტავს, რომ მიუხედავად ამისა, სამსახურმა გაითვალისწინა აფხაზეთიდან დევენილების მიძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათ მიერ განმეორებით (2006 წლის მარტში) შემოტანილ განცხადებას შემდგომი მსვლელობა მისცა. მაგრამ იმის გამო, რომ მოქალაქეები მიუთითებდნენ კორპუსის სავარაუდო ნომრებს (№21, №22), შენობის ბალანსმფლობელის დადგენა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, სამსახურს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სამართლებრივად გადაეწყვიტა ეს საკითხი.

დამატებითი ინფორმაციის მოძიების შედეგად გაირკვა, რომ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ კორპუსთან დაკავშირებით გამოცემულია შესაბამისი ბრძანება №226 2006 წლის 3 ოქტომბერს „მთანმინდა-კრწანისის რაიონში ფონიჭალის IV მ/რ №11 – კორპ. მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტის შეთანხმების თაობაზე“.

შპს ტერიტორიათა განვითარების სააგენტო „თბილქალაქპროექტის“ მიერ შესრულებულია დაკვეთა №1119/06 – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა – „ფონიჭალის IV მ/რ №11 მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსზე მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტი“. აღნიშნულ პროექტში დევენილებმა გადაიხადეს 1.350 ლარი (ერთი ათას სამას ორმოცდაათი ლარი). პროექტის თანახმად, აღნიშნულია აფხაზეთიდან დევენილების მიერ დაკავებული კორპუსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაციის თანახმად, „თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, ზემო ფონიჭალის IV მ/რ, კორპ. №11, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არ არის“. ინფორმაციას თან ერთვის სიტუაციური ნახაზი.

ამასთან, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევენილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევენილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, დევენილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში“. ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „დევენილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.

მითითებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, და გამომდინარე იქიდან, რომ კორპუსის ნომერი უკვე გარკვეულია, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის ვიცე-მერს, რათა უმოკლეს ვადებში განახლდეს ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული უწყებიდან პასუხი ჯერ არ მიგვიღია. ამასობაში კი, დროებითი რეგისტრაციის არ არსებობის გამო დევნილები ვერ ახერხებენ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების (ელექტროგაყვანილობა, წყალგაყვანილობა) შექმნას.

„სპორტნანარმის“ ფაბრიკის ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილების საქმე

სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მიმართეს ქ. თბილისში, ქსნის ქ. №36-ში მცხოვრებმა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილმა მოქალაქეებმა.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ 1991 წლიდან დევნილთა 10 ოჯახი საცხოვრებლად შესახლდა „სპორტნანარმის“ ფაბრიკის ტერიტორიაზე მდებარე შენობაში ქსნის ქ. №36-ში (ამჟამად სს „ლელოს“ ტერიტორია), გენერალური დირექტორის რომან რურუას თანხმობით.

განმცხადებელთა განმარტებით, მეპატრონე უკვე დიდი ხანია, ითხოვს ზემოაღნიშნული შენობის გათავისუფლებას. მიუხედავად ამისა, იძულებით გადაადგილებული პირები ვერ ახერხებენ ამ მოთხოვნის შესრულებას, რადგან არ აქვთ სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2006 წლის 2 ნოემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მოითხოვა სათანადო ზომების გატარება დევნილების უფლებების სათანადო დაცვის მიზნით.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში“.

ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადანყვეტას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად“.

ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად, „დევნილის უფლებას იცავს სახელმწიფო“.

საერთაშორისო დოკუმენტის „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებული პირი ადეკვატური საცხოვრებელი ფართით. აგრეთვე, ხელი შეუწყოს მას დროებითი განსახლების ადგილას ადაპტაციაში.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული სამინისტროს მიერ უგულებელყოფილი იქნა სახალხო დამცველის მიმართვა, სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა დეტალური ინფორმაციის მიწოდება მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ, თუმცა პასუხი აღნიშნული უწყებიდან ჯერ არ მიგვიღია.



საქართველოში ლტოლვილების უდიდესი ნაწილი ჩეჩნეთიდან მოდის, რომელთა უმრავლესობა ჩამოვიდა 1999 წელს. მათი ნაწილი წარმოშობით ჩეჩენია, ნაწილი – ქისტი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში ჩეჩენი ლტოლვილების რაოდენობა, რომელიც 2004 წლის იანვარში 2860-ს შეადგენდა, 2006 წელს სექტემბრისთვის 1320-მდე შემცირდა.

გასულ წლებთან შედარებით შემცირდა ჩეჩენი ლტოლვილების შევინროების ფაქტები. არ მომხდარა ჩეჩენი ლტოლვილების გატაცება ან ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ მიმართული სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. თუმცა სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება არ მომხდარა და შესაბამისად, არც დაფიქსირებული

პრობლემები მოგვარებულია. მეტიც, ქვეყანაში არსებული ინფლაციისა და სამომხმარებლო კალათის გაძვირების გათვალისწინებით, გაუარესდა ლტოლვილების სოციალური ყოფა. სახელმწიფოს მხრიდან არ ხორციელდება ლტოლვილთა დახმარების, სოციალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებული სახელმწიფოს სხვა ვალდებულებების შესრულება ლტოლვილთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

კვლავ არ მომხდარა საქართველოს კანონში „ლტოლვილთა შესახებ“ ცვლილებების შეტანა იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო კანონმდებლობასთან და შეუქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები ქვეყანაში მყოფ ლტოლვილებს. ამ შემთხვევაში მათ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და დასაქმების იმედი გაუჩნდებათ. ეს შეცვლის ლტოლვილების მდგომარეობას არსებულთან შედარებით.

1951 წლის „კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და 1967 წლის „ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ განსაზღვრავს ლტოლვილის ცნებას, უფლებებსა და სახელმწიფოთა ვალდებულებებს. საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ არ არის ჰარმონიზებული საერთაშორისო კანონმდებლობასთან, მაგრამ საქართველოს მთავრობა დღემდე არ ახორციელებს თვით საკუთარი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებსაც კი.

აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის ტერიტორია ჩეჩენი ლტოლვილების ძირითადი საცხოვრებელი ადგილია. ხეობაში მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარებაა, რაც მეტად საგრძნობია იქ მცხოვრები ლტოლვილებისათვის. უმუშევრობა, არადაამაკმაყოფილებელი სანიტარული პირობები, ცუდი კვება (მხოლოდ ძირითადი მოხმარების პროდუქტები). ლტოლვილები გამოთქვამენ სურვილს დასაქმდნენ, თუმცა, როგორც თავად აცხადებენ, სამუშაო ადგილების განაწილებისას ადგილობრივი მოსახლეობა ახლობლებსა და ნათესავებს ასაქმებს. ლტოლვილები ამ მოვლენას მათ მიმართ განხორციელებულ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციად აღიქვამენ.

ლტოლვილთა დასაქმება ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხად რჩება, ასევე ისიც, თუ რატომ ცხოვრობენ ეკონომიურად ასეთ მძიმე პირობებში, როცა მათ შესაძლოა უკეთესს პირობებში იცხოვრონ და იმუშაონ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორცაა თბილისი და ბათუმი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ითხოვს მათ პანკისის ხეობაში დარჩენას, სანამ საქართველოს მოქალაქეობას არ მიიღებენ. საქართველოს „ლტოლვილთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, სამინისტრომ ლტოლვილები უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელითა და სამუშაო ადგილით, თუმცა აღნიშნულ კანონის იშვიათად თუ იყენებს ადმინისტრაციული ორგანო. ხოლო ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის მე-17 მუხლი განმარტავს: ხელმომწერი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს დაქირავებულ შრომაზე უფლების საკითხში უქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ გარემოს, რომლითაც იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები.

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 26-ე მუხლი ასევე განმარტავს: ყოველი ხელმომწერი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებს მისცემს საცხოვრებელი ადგილის არჩევის და მის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებას იმავე პირობებით, რომლებსაც მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრივ იყენებენ უცხოელთა მიმართ.

საქართველოს ხელისუფლების მიერ არ მომხდარა საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების ადგილობრივი ინტეგრაციის შესაძლებლობის საკითხის წინ წამოწევა, რაც შესაბამისად, პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ადგილობრივი ინტეგრაცია გულისხმობს იმას, რომ ლტოლვილს მიენიჭება გარკვეული გრძელვადიანი სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მას მისცემს პირველადი თავშესაფრის ქვეყანაში განუსაზღვრელი ვადით დარჩენისა და ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების საშუალებას. ძალიან ბევრია წარმოშობით ქისტი ჩეჩენი ლტოლვილი, რომლებსაც მჭიდრო ნათესაური კავშირი აქვთ საქართველოსთან და რომლებმაც უკვე მიაღწიეს ადგილობრივ საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციის მაღალ დონეს. მათ შეუძლიათ წარმოაჩინონ საკუთარი თავი საზოგადოების სასარგებლო წევრებად იმ შემთხვევაში, თუ მიეცემათ მუშაობის სრული უფლება და შესაბამისი ხელშემწყობი პირობები, მაგალითად, როგორცაა მათი პროფესიული გადამზადება.

ლტოლვილები მიიჩნევენ, რომ მესამე ქვეყანაში მათი გადაყვანა ამ ჩიხიდან საუკეთესო გამოსავალია. ხოლო საქართველოში მცხოვრები ქისტი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საქართველოს მთავრობამ ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადადგას.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უმოქმედობაზე მიუთითებს ის შემთხვევაც, რომელიც სახალხო დამცველის წინა მოხსენებაში იყო აღნიშნული. პანკისის ხეობაში ყოფილ საბავშვო ბაღში შესახლებულ 5 ოჯახს დროებითი საცხოვრებლის დაკარგვა ემუქრებოდათ, ვინაიდან, ადგილობრივი მოსახლეობა საბავშვო ბაღის აღდგენას ითხოვდა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პრივატიზირებული ყოფილი ბაღის შენობის მეპატრონესთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ შენობების სამინისტროსათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ და ლტოლვილებს შენობიდან გამოსახლება აღარ ემუქრებოდათ. თუმცა 2006 წლის დეკემბერში ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა და ჩეჩენი ლტოლვილები აღმოჩნდნენ



თავშესაფრის გარეშე დარჩენის საფრთხის წინაშე. სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა ჩეჩენი ლტოლვილებისათვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება, შესაბამისად ადგილობრივ მოსახლეობასაც არ ეძლევა საშუალება, აღადგინოს საბავშვო ბაღი. შედეგად, სამინისტროს უმოქმედობით, ნებით თუ უნებლიეთ ხდება ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირების ინსცენირება.

ჩეჩენი ლტოლვილები ვარაუდობენ, რომ კიდევ დიდხანს არ მოხდება მათი რეპატრიაცია რუსეთის ფედერაციაში. ამჟამად ისინი ცხოვრობენ პანკისის ხეობის ერთ-ერთ დასახლებაში. სამწუხაროდ, მათ არ შესწევთ ძალა დაბრუნდნენ სახლში, მათ ინტეგრაციაზე მესამე ქვეყნები ხშირ შემთხვევაში უარს ამბობენ, საქართველოში მათთვის სამუშაო ადგილების პოვნა რთული პროცესია, ხოლო საქართველოს მოქალაქეობის მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია. ლტოლვილების უმეტესობა ომის შემდგომ ტრავმირებულია და დღესაც მუდმივ შიშში ცხოვრობენ, არ აქვთ მომავლის იმედი და მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური თამაშის მსხვერპლნი გახდნენ.

ამასთან, რუსეთის ფედერაციაში ჩეჩნების დაბრუნებას ჯერ კიდევ სახიფათოდ მიიჩნევენ საერთაშორისო ორგანიზაციები. გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისარი არ ურჩევს ლტოლვილებს იქ დაბრუნებას, რადგან უახლოეს მომავალში სიტუაცია არ გაუმჯობესდება.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ მიიღო განცხადებები რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ჩეჩენთა უსამართლო დეპორტაციის შესახებ და შეახსენა მთავრობებს პრინციპი, რომ არ შეიძლება დეპორტაცია ან ექსტრადაცია ქვეყანაში, სადაც მას აწამებენ ან არაჰუმანურად ან დამამცირებლად ეპყრობიან (იხ. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მეორე მოხსენება საქართველოს შესახებ, პ. 65, 2006 წ. 30 ივნისი).

რაც შეეხება ლტოლვილთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას, კარგი გამოსავალია, განსაკუთრებით იმ ქისტი მოსახლეობისათვის, რომელთა რამდენიმე თაობა ნამდვილად დაიბადა და დღემდე ცხოვრობს პანკისში. სამწუხაროდ ეს ხანგძლივი პროცესია. თუმცა, ლტოლვილთა უმრავლესობას უკვე აღარ აქვს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილი. მათი თქმით, თავდაპირველად როცა ისინი ჩამოვიდნენ, მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი ეჩვენათ, თუმცა წლების განმავლობაში ხელისუფლებამ არანაირი ღონისძიება არ გაატარა ამ კუთხით, მათ იმედი აღარ აქვთ, რომ ოდესმე გახდებიან საქართველოს მოქალაქეები. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლი კი განმარტავს, რომ „ხელმომწერი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას“.

რაც შეეხება ლტოლვილთა მესამე ქვეყნებში გამგზავრებას, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გადასახლებისათვის შერჩეულ ლტოლვილთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ. განსაკუთრებით ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში აღინიშნა. ტერორის წინააღმდეგ მიმდინარე ომის ფარგლებში ხალხის გლობალური გადაადგილების მიმართ შეზღუდვითი ზომები გამოიყენება. გლუკის ძალისხმევის მიუხედავად, ამ ტენდენციამ იმოქმედა საქართველოში მყოფ ლტოლვილებზეც: 2006 წელს მესამე ქვეყნების მიერ მიღებულ იქნა 19 ლტოლვილი (ყველა ჩეჩენიდან, რუსეთის ფედერაცია), მაშინ როდესაც 2005 წელს 113 პიროვნება (უმრავლესობა ჩეჩენი, 6 ირანელის გარდა) იყო გადასახლებული, 2004 წელს კი – 155 პიროვნება (უმრავლესობა ჩეჩენი, 3 იემენის მოქალაქის გარდა).

ლტოლვილების ნებაყოფლობითი რეპატრიაციის პროცესის შესაძლო გაგრძელებასთან ერთად, ასევე იქნებიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი წარსულის გამო ვერ შეძლებენ შინ დაბრუნებას. ასევე, თანდათან ნათელი ხდება ისიც, რომ როდესაც ლტოლვილები არიან წლობით დამწყვდეული ბანა-

კებში, მომავლის იმედის გარეშე, მოსალოდნელია მათი ჩართვა კრიმინალურ და ანტისოციალურ ქმედებებში, რომელიც ზიანის მომტანია არამართო მათთვის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც, რამაც შეიძლება შეარყიოს ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოება.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩენი ლტოლვილები პრეტენზიას გამოთქვამენ საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მიმართ. ამ საკითხზე სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი განცხადებით მომართეს პანკისის ხეობაში ჩასახლებაზე ლტოლვილების ლტოლვილებმა. მათი განმარტებით, ისინი ცდილობდნენ, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თბილისის ოფისის საშუალებით მიემართათ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის. თუმცა, როგორც განმცხადებლები მიუთითებენ, აღნიშნული ოფისის თანამშრომლები მათ მოთხოვნებს ხშირად უგულვებელყოფდნენ, მათი საბუთები არ იგზავნებოდა შესაბამის სახელმწიფოებში, უარის მიზეზად ხშირად სახელდებოდა მიწოდებული დოკუმენტაციის ხარვეზიანობა, რასაც განმცხადებლები არ ეთანხმებოდნენ. ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობისაგან ასევე ითხოვდნენ დახმარებას პატიმარი ლტოლვილების ოჯახებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

აღნიშნულ წერილში სახალხო დამცველი ასევე მიუთითებდა, რომ ჩეჩენი ლტოლვილების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არ გრძნობს უსაფრთხოდ. მართალია, ისინი საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ მადლიერებას გამოხატავენ იმის გამო, რომ რთულ მდგომარეობაში შეიფარეს და დახმარების ხელი გაუწოდეს, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ისინი საქართველოშიც შეიძლება გახდნენ რუსეთის სპეცსამსახურების თვალთვალის, დევნისა და შევიწროების ობიექტები. ამის გამო მათ უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს საქართველოდან წასვლა მესამე ქვეყანაში.

ვინაიდან ეს დამატებით შესწავლას მოითხოვდა და სცილდებოდა სახალხო დამცველის კომპეტენციას და დაეყრდნო რა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც განმარტავს, რომ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას“, სახალხო დამცველმა მიმართა თხოვნით საგარეო საქმეთა სამინისტროს, შეესწავლათ აღნიშნული გარემოებები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ მიმართა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას. შესაბამისად, სამინისტროს მიერ გამოგზავნილი იქნა აღნიშნულ საკითხზე კომისრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ „სახელმწიფოებმა, საკუთარი დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეიძლება მიიღონ ან უარყონ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მიერ წარდგენილი საქმეები. 2005 წლის მდგომარეობით, გაეროში შემავალი 191 წევრი სახელმწიფოდან გლუკის (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის) გადასახლების პროგრამებსა და ლტოლვილების ქვოტების ყოველწლიურ დადგენაში, მხოლოდ 16 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას.

ლტოლვილებს როგორც წესი, არ შეუძლიათ შინ დაბრუნება ან არ სურთ ამის გაკეთება, ვინაიდან, შეიძლება იქ ისინი საფრთხეში აღმოჩნდნენ ან მათ მიმართ განხორციელდეს დევნა. ასეთ ვითარებაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი ეხმარება მათ ახალი სახლების პოვნაში იმ თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობენ, ან მესამე ქვეყანაში, სადაც მათი სამუდამო განსახლება არის შესაძლებელი. თუ პირველად თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში ლტოლვილები აწყდებიან განსაკუთრებულ პრობლემებს, ან მათ იქ რაიმე საფრთხე ემუქრებათ, მათ შეუძლიათ ისარგებლონ სხვა ქვეყანაში გადასახლების შესაძლებლობით.“



გლუკის წარმომადგენლის წერილში ასევე განმარტებულია, რომ გადასახლებით ლტოლვილები იძენენ სამართლებრივ დაცვას – ბინადრობის უფლებას და, შემდგომ, ხშირად, მოქალაქეობასაც – იმ მთავრობებისგან, რომლებიც, ცალკეული საქმეების შესწავლის საფუძველზე, თანხმდებიან მიიღონ თავის საზოგადოებაში ახალი წევრები.

ამასთან, „გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი აცხადებს, რომ იგი მოხარული იქნება, ეროვნულ პარტნიორებთან ერთად, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის ოფისის ჩათვლით, განიხილოს ლტოლვილების შესაძლებლობები მიიღონ იმ სოციალური, ეკონომიკური და სამოქალაქო უფლებების ფართო სპექტრი, რომლითაც სარგებლობენ მიმღები სახელმწიფოს საზოგადოების სხვა წევრები, რასაც ცალსახად ითვალისწინებს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია“ – ნათქვამია წერილში.

სახალხო დამცველი ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს, გაამახვილოს ყურადღება რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის საქართველოს შესახებ მეორე მოხსენებაში მითითებულ გარემოებაზე, როცა „სამართალდამცველ ორგანოებს ჩეჩენი ლტოლვილები განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზედამხედველობის ქვეშ ჰყავთ ორგანიზებული კრიმინალსა და ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით“.

შესაბამისად, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას მიიღოს ყველა საჭირო ზომას, რათა აღკვეთოს ნებისმიერი თვითნებური და დისკრიმინაციული ქმედებები, გადაჭრას ყველა ჰუმანიტარული პრობლემა და გაატაროს კამპანია, რათა ქართველ მოხელეებს, კერძოდ პოლიციას, გაუქარვოს ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ არსებული სტერეოტიპები (იხ. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მეორე მოხსენება საქართველოს შესახებ, პ. 69, 70, 71. 2006 წ. 30 ივნისი).

იახა დუდაევას საქმე

სახალხო დამცველს მომართა ჩეჩენიდან ლტოლვილმა იახა დუდაევამ. მას, მეუღლის მაგომედ მახოევის დაპატიმრების შემდეგ, არ გააჩნია ბინის ქირის გადახდის საშუალება. ი. დუდაევას განმარტებით, ის და მისი ოთხი შვილი დროებით შეიკედლა ასევე ლტოლვილის, ბახარჩიევის ოჯახში, რომლებიც თავადაც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში ცხოვრობენ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ასეთი პირობების გამო მისი შვილები ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობენ.

ი. დუდაევამ არაერთგზის მიმართა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას საქართველოში, რათა დახმარებოდნენ მას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაში. მას შესთავაზეს პანკისის ხეობაში ჩასახლება. მან მოითხოვა უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფა მისი ოჯახისათვის, რადგან, როგორც განმცხადებელი განმარტავს, მათ უგზავნიდნენ მუქარის წერილებს, სადაც მოითხოვდნენ თანხის გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ.

ი. დუდაევა განმარტავს, რომ ამ ფაქტების შესახებ აცნობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის თანამშრომლებს. თუმცა, მას კვლავ შესთავაზეს ოთახი, მაგრამ უსაფრთხოების გარანტია არც ამჯერად დამდგარა დღის წესრიგში.

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ლტოლვილის უფლებებს იცავს სახელმწიფო. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ 21-ე მუხლის თანახმად, ხელმომწერი სახელმწიფოები თავის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შეესწავლა აღნიშნული გარემოებები და გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

საქმე წარმოებაშია.

ლუიზა კილოევას საქმე

სახალხო დამცველს მომართა ჩეჩნეთიდან ლტოლვილმა ლუიზა კილოევას განცხადება. ის 1999 წლიდან იმყოფება საქართველოში, პანკისის ხეობაში. მიმდინარე წლის სექტემბერში კალოევას ოჯახის სასწრაფო წესით ევაკუაცია მოახდინა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობამ და გადმოიყვანა ქ. თბილისში. მათ გადასცეს 240 ლარი. თუმცა მოგვიანებით, როგორც განმცხადებელი მიუთითებს, დახმარებაზე უარი უთხრეს.

ლ. კალოევა აცხადებს, რომ მან არა ერთგზის მიმართა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას საქართველოში, ასევე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რათა დახმარებოდნენ მას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასა და დასაქმებაში. თუმცა უშედეგოდ, ლ. კალოევას პრობლემები არ მოგვარებულა, ის და მისი მეუღლე ორ კვირაზე მეტია აღმოჩნდნენ ქუჩაში და დროებით შეიფარეს უცხო ადამიანებმა. ლტოლვილები იმყოფებიან შენობაში, სადაც არ არის ელექტროენერჯია, წყალმომარაგება და გაზი.

განმცხადებელი ასევე მიუთითებს, მისი უფლებების სხვა დარღვევებზე საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის თანამშრომლების მხრიდან. კერძოდ, მათი მესამე ქვეყანაში გამგზავრებისათვის საჭირო პროცედურის არასწორ წარმართვაში.

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ლტოლვილის უფლებებს იცავს სახელმწიფო. ამავე კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან „ლტოლვილს წარუდგინონ სამინისტროს მიერ საცხოვრებელ ადგილად რეკომენდებული დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი, აგრეთვე ინფორმაცია ამ პუნქტებში საცხოვრებელი პირობებისა და შრომითი მოწყობის შესაძლებლობათა შესახებ“. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ 21-ე მუხლის თანახმად, ხელმომწერი სახელმწიფოები თავის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შეესწავლა აღნიშნული გარემოებები და გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

საქმე წარმოებაშია.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ამ ორივე მიმართვაზე გამოაგზავნა ერთი წერილი, რომლის თანახმად, იმის გამო, რომ საქართველოში 200 000-ზე მეტი დევნილია, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ იკისრა ლტოლვილთა ფინანსური დახმარების ვალდებულება. „ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილთა დახმარებას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა საქართველოში“ – განმარტებულია წერილში. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე ი. გორგაძე ასევე აღნიშნავს, რომ იახა დუდაევასა და ლუიზა კილოევას შესთავაზეს სამინისტროს ბალანსზე არსებული, წალკის რაიონში მდებარე საცხოვრებელი ფართი, რაზეც ლტოლვილებმა უარი განაცხადეს.

თუმცა იახა დუდაევასა და ლუიზა კილოევას განმარტებით, მათ არანაირი შეთავაზება არ მიუღიათ სამინისტროსგან.



ვახიდ ბორჩალოვის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა, რომელსაც თავის მხრივ მიმართა ვალიკო ეელის ძე ბორჩაშვილმა (ლტოლოგიის მონმობა №01434-02) დროებითი საცხოვრებელი ადგილი: საქართველო, ახმეტის რაიონი, ს.ჯოყოლო.

ვ. ბორჩალოვის განცხადებით, მისი ვაჟი ვახიდ ბორჩალოვი გაიწვიეს საქართველოს შეიარაღებულ ძალების სავალდებულო სამსახურში მიუხედავად იმისა, რომ ის ლტოლვილია და არ არის საქართველოს მოქალაქე. ვალიკო ბორჩალოვი ასევე განმარტავს, რომ ვახიდ ბორჩალოვი დაიბადა 1988 წელს 14 მაისს ქ. კიევიში, ჩანერილია შემდეგ მისამართზე: ქ. გროზნო, კოსიორის ქ. №8, ბ. 93. მას არა აქვს აღებული საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის მონმობა და 1999 წლიდან საქართველოში იმყოფება, როგორც ჩეჩნეთიდან ლტოლვილი (ლტოლოგიის მონმობა № 01434-01).

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მოეწოდებინათ ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სარგებლობდა თუ არა ვახიდ ვალიკოს ძე ბორჩალოვი (დაბ.1988 წ./14.05) ლტოლვილის სტატუსით.

სამინისტროს ინფორმაციით, ვახიდ ვალიკოს ძე ბორჩალოვი არ იყო რეგისტრირებული სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირად. ხოლო აღნიშნული ნომრით 01434-01 დაფიქსირებულია ვახიდ ვალიკოს ძე ბორჩაშვილი. მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ მისი მშობლების საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მათი რუსეთის ფედერაციის მათი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ცხოვრების ფაქტს. ასევე ვახიდ ბორჩაშვილის დაბადების მონმობა, რომელიც გაცემულია უკრაინაში.

ხოლო სამინისტროს პროტესტის შემდეგ, ადგილობრივმა გამწვევმა კომისიამ სამინისტროს გადმოუგზავნა მისი ავტობიოგრაფია და საქართველოში გაცემული დაბადების მონმობა.

პოლიციის დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობდა ძიება ყალბი დოკუმენტაციის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეში ფიგურირებს ვახიდ ვალიკოს ძე ბორჩაშვილის სხვადასხვა ქვეყანაში გაცემული ორი დაბადების მონმობა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ი.გორგაძის განმარტებით, ვახიდ ბორჩაშვილის საქართველოს მოქალაქეობის დადასტურების შემთხვევაში მას ჩამოერთმევა ლტოლვილის სტატუსი.

საქმე წარმოებაშია.

1944 წლის დასასრულს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობა გასახლებული იქნა ცენტრალურ აზიაში. 15 ნოემბერს ერთ დღეში მოხდა 90 ათასამდე თურქი მესხის, ხიმშინების, თარაქამელებისა და ბათუმელი ქურთების გადასახლება ფერღანის ტერიტორიაზე, უზბეკეთში – ტაშკენტსა და სამარყანდში, ასევე, სამხრეთ ყაზახეთში.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს, ამ ადამიანებს უკან დაბრუნების იმედი გაუჩნდათ, თუმცა იძულებით გადასახლებული სხვა ხალხებისგან განსხვავებით, თურქ მესხებს არ მიეცათ სამშობლოში დაბრუნების საშუალება.

1989 წლის ივნისში, ფერღანის მოვლენების დროს, დაახლოებით 17 ათასი თურქი მესხი იქნა ევაკუირებული ცენტრალურ რუსეთში. მომდევნო 2 წლის განმავლობაში 70 ათასამდე მესხი გადავიდა აზერბაიჯანში, უკრაინაში, ყაზახეთსა და რუსეთში.

დღევანდელი მონაცემებით თურქი მესხების რაოდენობა 400-450 ათასს შეადგენს. საქართველოდან 1944 წელს იძულებით გადასახლებული ადამიანები ეთნიკური ქართველები არიან. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ 8 ქვეყანაში: უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში. რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქეთში, საქართველოსა და აშშ-ში. ყაზახეთსა და ყირგიზეთში ისინი კარგად არიან ინტეგრირებული როგორც მოსახლეობაში, ასევე, საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებში. უზბეკეთში კი, ფერღანის მოვლენების

XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები

შემდეგ, მხოლოდ მცირე რაოდენობა დარჩა, რომელთა უფლებებიც დღემდე ირღვევა. ისინი არ არიან ჩართულები ადგილობრივ ეკონომიკაში. უკრაინაში, სადაც მესხები მხოლოდ 15 წლის წინ ჩასახლდნენ, ისინი თავს საკმაოდ ინტეგრირებულად გრძნობენ. მათ უმრავლესობას მიღებული აქვს მოქალაქეობა, მატერიალური მდგომარეობაც საკმაოდ ნორმალურია. ამ თვალსაზრისით ვითარება რთულია რუსეთში. მხოლოდ რუსეთის ცენტრალურ ნაწილში შეიძლება სიტუაციის დადებითად შეფასება, სადაც მესხების, როგორც ეთნიკური უმცირესობის, უფლებები არ ირღვევა. სამხრეთ რუსეთში კი, განსაკუთრებით კრასნოდარის მხარეში, ეს ხალხი დაუცველია. ისინი ხშირად ხდებიან ადგილობრივი მმართველობის შოვინისტური დამოკიდებულების მსხვერპლი. მათ მიმართ ადგილი აქვს ეთნიკური ნიშნით ზენოლას. ამ მხარეში 16000 მესხი ცხოვრობს. 2005 წელს დაწყებული ლტოლვილთა გა-



დასახლების ამერიკული პროგრამის ფარგლებში 10 ათასამდე ადამიანი კრასნოდარის მხარიდან აშშ-ში გადასახლდა.

XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მესხი მოსახლეობის რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და რეპატრიაციის საკითხი საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადასანყვეტ პრობლემათა შორის კვლავ აქტუალურია და იგი დროულად უნდა იქნეს მოგვარებული. მესხეთიდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობა ათეული წლების განმავლობაში მონყვეტილი იყო საქართველოს, რამაც ფაქტობრივად წარმოშვა გაუცხოება საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებსა და იძულებით გადასახლებულ ადამიანებს შორის. ამან ხელი შეუწყო სტერეოტიპებისა და ნეგატიური განწყობის დამკვიდრებას მესხთა რეპატრიაციის მიმართ.

უმცირესობების საკითხების ევროპული ცენტრის კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში დაბრუნება სურს იძულებით გადასახლებული მესხების 70%-ს, უფრო სწორად, ისინი ამ ეტაპზე ითხოვენ მათთვის დაბრუნების უფლების მინიჭებას. იმავე კვლევების მიხედვით, სავარაუდოდ დაბრუნდება იძულებით გადასახლებული მოსახლეობის მხოლოდ 8% და უმთავრესად ისინი, რომლებიც ცხოვრობენ უზბეკეთსა და კრასნოდარის მხარეში, სადაც მათი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა.

საერთაშორისო ვალდებულებები

1999 წელს საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე იძულებით გადასახლებული მოსახლეობასთან დაკავშირებით შემდეგი ვალდებულებები იკისრა:

- განვერიანებიდან ორი წლის განმავლობაში სამართლებრივი ბაზის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა რეჟიმის მიერ იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციისა და ინტეგრაციის საკითხებს;
- ევროპის საბჭოსთან კონსულტაციების წარმოება სამართლებრივი ბაზის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- განვერიანებიდან სამი წლის განმავლობაში რეპატრიაციისა და ინტეგრაციის პროცესის დანყება, ხოლო განვერიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში – მესხი მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესის დასრულება.

საქართველოს მიერ ნაკისრი ეს ვალდებულება აღნიშნულია საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რამდენიმე დოკუმენტში, მათ შორის 1257(2001), 1415(2005) რეზოლუციებსა და 1570(2002) რეკომენდაციაში. 1415(2005) რეზოლუციით ამ ვალდებულების შესრულების გადასინჯული ვადები განისაზღვრა, რის შედეგადაც რეპატრიაციის პროცესის დასრულების საბოლოო ვადად 2011 წელია დასახლებული. ეს გულისხმობს, რომ რეპატრიაციის საკითხების სამართლებრივი და პრაქტიკული მხარეები დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოგვარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში რეპატრიაციის პროცესის 2011 წლისათვის დასრულება შეუძლებელია.

საპარლამენტო ასამბლეის ბოლო 1477(2006) რეზოლუციაში „საქართველოს მიერ ევროსაბჭოს მოთხოვნათა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე მიღებული 1415(2005) რეზოლუციის განხორციელების შესახებ“, ასამბლეამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას:

„...10.3. მესხეთიდან იძულებით გადასახლებულ მოსახლეობასთან მიმართებაში: დანყებული მუშაობა გააგრძელოს რეპატრიაციის სახელმწიფო კომისიამ; საქართველომ აქტიურად უნდა მოიძიოს საერთაშორისო დახმარება და დააჩქაროს შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რათა შექმნას სათანადო პირობები რეპატრიაციის პროცესის 2011 წლისთვის დასასრულებლად; სრულად უნდა შეს-

რულდეს საპარლამენტო ასამბლეის 1428-ე (2005) რეზოლუციაში მესხეთიდან იძულებით გადასახლებულ მოსახლეობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული რეკომენდაციები⁶.

რეპატრიაციის საკითხთა შემსწავლელი კომისია

ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის 02.03.2005 წ. №144 განკარგულებით შეიქმნა „XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხთა შემსწავლელი კომისია“, რომლის თავმჯდომარეობა დაევალა მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში – გიორგი ხაინდრავას.

კომისიის გადამწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ადგილზე შეისწავლა იძულებით გადასახლებული მესხების მდგომარეობა, მათი დღევანდელი განსახლების ძირითად ადგილებში. ჯგუფი იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონებში (ყაზან-ბალყარეთი, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეები, როსტოვის ოლქი), აზერბაიჯანში (ბაქო, საათლი-საბირაბადის რ-ნი), ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში. რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანში შესწავლილ იქნა იძულებით გადასახლებული მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებული განწყობილებები და მოსაზრებები. კომისიის 2005 წლის ანგარიშის თანახმად, დღესდღეობით იძულებით გადასახლებულთა საქმეები ისევ საიდუმლო გრიფით ინახება და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების გარეშე შეუძლებელია არქივებიდან იძულებით გადასახლებულთა პირადი საქმეების ამოკრება, სისტემატიზაცია და საინფორმაციო ბანკის შექმნა, ხოლო უზბეკეთში, სადაც ყველაზე მეტი (30.000-ზე მეტი) პირადი საქმეა, ჩასვლა ვერ მოხერხდა.

2006 წლის დასაწყისში, კომისიის ინიციატივითა და ევროპის უმცირესობათა საკითხების ცენტრის მხარდაჭერით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განაახლა მუშაობა 2000 წელს შექმნილ „XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ“ კანონპროექტზე, ხოლო 2001-2002 წლებში გაიმართა კონსულტაციები იმავე საკითხზე. ჯერჯერობით სამუშაო ჯგუფის საქმიანობას არავითარი კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია. კომისიამ 2006 წელს შეწყვიტა არსებობა. იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზა კვლავ არ არსებობს, რაც სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს პროცესის 2011 წლისთვის დასრულების შესაძლებლობას.

კანონპროექტი „მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ“

2001 წლის მარტში საქართველოს ოფიციალური დელეგაციის მიერ სტრასბურგში განსახილველად წარმოდგენილი იყო კანონპროექტის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვერსია. კანონპროექტის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობა მიმდინარეობდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებითა და აქტიური კონსულტაციებით.

კანონპროექტის შემუშავებიდან დღემდე დოკუმენტმა 2-ჯერ გაიარა ევროსაბჭოს ექსპერტიზა. 2006 წელს ჩატარებულ საქესპერტო მუშაობაში ჩართულები იყვნენ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, კონფლიქტების დარეგულირების საქმეში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ასევე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ტერი დევისის საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს, 2007 წლის თებერვალში, ქვეყნის ვალდებულებებზე საუბრისას ერთ-

¹ Resolution 1477(2006), Committee on the honoring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe (Monitoring Committee), Parliamentary Assembly, Council of Europe



ერთ საკითხად უახლოეს მომავალში პარლამენტში რეპატრიაციის კანონპროექტის წარდგენა-განხილვა დასახელდა.

კანონპროექტის განხილვისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ 2006 წლის 25 აპრილის შემაჯამებელ მოხსენებაში გამოთქმული შენიშვნები.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელია მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. საქმე ისაა, რომ საქართველოს გარეთ მცხოვრები იძულებით გადასახლებული მოსახლეობის მხოლოდ 5-10%-ს აქვს მიღებული სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ხოლო რუსეთში, კრასნოდარის მხარეში მცხოვრები მესხები ითვლებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად.

გარდა ამისა, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი იმგვარად უნდა დაზუსტდეს, რომ იმ პირებმა, რომლებიც უკვე იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, შეძლონ, ადგილზევე მიმართონ კომპეტენტურ ორგანოებს რეპატრიანტის სტატუსის მოთხოვნით.

სასურველია, რომ რეპატრიანტებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად შეღავათიანი პირობები იქნას გათვალისწინებული.

რეპატრიაციის პროცესის სახელმწიფო დარეგულირების მიზნით, კანონპროექტის მე-10 მუხლი ითვალისწინებს ყოველწლიური სარეპატრიაციო კვოტის დადგენას. მსგავსი დარეგულირების საჭიროება რეპატრიანტების მასობრივი შემოსვლისაგან გამონეული დამატებითი ეკონომიკური პრობლემების თავიდან ასაცილებლად უდავოა, თუმცა სასურველია, იქვე იყოს მითითებული რეპატრიაციის პროცესის დასრულების ვადაც, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წლის ბოლოსთვისაა ნაგარაუდები და საბოლოო ვადის გათვალისწინებით მოხდეს ყოველწლიური კვოტების დადგენაც.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს რეპატრიაციის ადგილიც. იძულებით გადასახლებული მოსახლეობის სურვილია, დაბრუნდეს იმ ადგილებში, სადაც გადასახლებამდე ცხოვრობდა, თუმცა შემუშავებული კანონპროექტით გათვალისწინებულია და სახელმწიფო პოლიტიკაც მიმართულია იქით, რომ მათი დასახლება მოხდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სასურველია, ჩამოყალიბდეს ობიექტური კრიტერიუმების ნუსხა, რომელთა მიხედვითაც მოხდება რეპატრიანტების საცხოვრებელი ადგილის შერჩევა, რათა შედარებით სახარბიელო და ეკონომიკურად ნაკლებად მიმზიდველ რეგიონებს შორის არჩევნის თავისუფლად გაკეთების შესაძლებლობა ადმინისტრაციის მხრიდან თვითნებობისა და კორუფციის საფრთხე არ წარმოშვას.

აღსანიშნავია კანონპროექტის ფინანსური მხარის დაზუსტების აუცილებლობაც. კერძოდ, მე-11 მუხლში უნდა მიეთითოს, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო რეპატრიაციის ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალურად ამ მიზნებით გამოყოფილი თანხების საფუძველზე. დასაზუსტებელია მე-12 მუხლით გათვალისწინებული რეპატრიაციის ფონდის დაფინანსების საკითხიც.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი, მისი მიღების შემთხვევაში, მოაწესრიგებს იძულებით გადასახლებული მოსახლეობის დაბრუნების სამართლებრივ ასპექტებს, თუმცა ნაკლებად შეეხება მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებს. ამ პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისათვის მართებული იქნება, თუ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და განათლების სამინისტროსთან ერთად, შეიმუშავებს ამ ადამიანების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც შემდგომში

დაეხმარება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, კოორდინირებულად იმოქმედონ და სწორად განსაზღვრონ და გაატარონ რეპატრიანტებთან დაკავშირებული პოლიტიკა. ამავე სტრატეგიის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს რეპატრიანტების მიერ ქართული ენის შესწავლის დამხმარე პროგრამების შემუშავებაც.

საქართველოს მოსახლეობაში არსებული საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება მესხების დაბრუნებასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, დაკავშირებულია საკითხის არცოდნასა და საკმარისი ინფორმაციის არარსებობასთან. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მხრიდან სასურველი იქნებოდა, რეპატრიანტების მასობრივ დაბრუნებამდე ეწარმოებინა საინფორმაციო კამპანია საკითხის სწორად წარმოჩენისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. სახელმწიფო კომისიის მიერ დაწყებული იყო მუშაობა დიდ მედიაპროექტზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც 2006 წლის ბოლოს შეჩერდა კომისიის გაუქმებასთან ერთად. ამ პროექტის აღორძინება დიდ დახმარებას გაუწევდა რეპატრიაციის პროცესის უმტკივნეულო წარმართვას.



რუსეთის ხელისუფლების მიერ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაცია

დიპლომატიური ურთიერთობების გამწვავება არ უნდა აისახოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაზე და არ უნდა გადაიზარდოს მოქალაქეების დისკრიმინაციაში. სამწუხაროდ, საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გართულებას, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა მოჰყვა და ქსენოფობიისა და რასიზმის სახე მიიღო. ქართველების დევნა-შევიწროებამ სრულიად რუსეთი მოიცვა. რუსეთში მცხოვრები, რუსეთისა თუ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ქართველები ვერ ბედავდნენ ქუჩაში გასვლას, რადგან მათი გარეგნობა შეიძლება გამხდარიყო სამართალდამცავთა მხრიდან მათი ჩხრეკის, უკანონო დაკავების ან ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდების მხრიდან მათი შეურაცხყოფის ან ლიკვიდაციის მიზეზი. ეთნიკური ქართველები გახდნენ დეპორტაციის ობიექტები, მიუხე-

დავად მათი მოქალაქეობის, ასაკის, პროფესიის თუ სოციალური სტატუსისა. იდეგნებოდნენ რუსეთის ის მოქალაქეებიც, რომელთაც საქართველოსთან მხოლოდ წინაპრები აკავშირებთ.

დეპორტაციის პროცესს წინ უძღოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უკიდურესი დაძაბულობა; რუსეთის მხრიდან დაწესებული ემბარგო 2005 წლის დეკემბერში ქართულ ხელ-ბოსტნეულზე, 2006 წლის მარტში ღვინოსა და 2006 წლის აპრილში მინერალურ წყლებზე, ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვა 2006 წლის ივლისში.

ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა, როცა ქართველმა სამართალდამცველებმა 2006 წლის 27 სექტემბერს ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთის სამხედრო დაზვერვის 4 ოფიცერი დააკავეს (თუმცა ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს დიდი ხნის და ღრმა საფუძვლები აქვს). ამ ფაქტს რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოყვა ელჩის განწვევა; სრული ეკონომიკური ბლოკადა – 2006 წლის 2 ოქტომბრიდან რუსეთმა შეწყვიტა ყველა სახის სატრანსპორტო, საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლა, შეაფერხა საფოსტო და საბანკო ოპერაციები საქართველოსთან;

დაიწყო ზეწოლა მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომელსაც ეთნიკური ქართველები ეწოდნენ, მათ შორის რუსეთის მოქალაქეები. გაიცა ეთნიკური ქართველებსა და მათ ბიზნესზე შეტევის პირდაპირი სანქცია.

რუსეთის საიმპერატორო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუსეთი საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთში ცხოვრებასა და საქმიანობაზე კვოტებს არ გასცემს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ოფიციალურად იკრძალება საქართველოს მოქალაქეების სამსახურში მიღება. რამდენიმე რეგიონის, მათ შორის მოსკოვის მილიციის განყოფილებებმა დალუქეს მრავალი სანარმო, რესტორანი, მაღაზია, რომელიც ქართველებს ეკუთვნოდათ. სამართალდამცველებმა მოსკოვში მდებარე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც კი შეამოწმეს.

2006 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის დუმამ მიიღო სპეციალური განცხადება, რომელშიც საქართველოში კონფლიქტის ზონებში საქართველოს ხელისუფლების მოქმედება შეაფასა, როგორც „სახელმწიფო ტერორიზმი შესაბამისი დასკვნებითა და შედეგებით“.

რუსეთის ფედერაციამ ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე განაცხადა გაზის საფასურის გაზრდის შესახებ 110 აშშ დოლარიდან 230 აშშ დოლარამდე ყოველ 1000მ³.

დაიწყო ფართომასშტაბიანი, ყოვლისმომცველი და საყოველთაო ანტიქართული კამპანია, რაც გამოიხატა საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკური ქართველების მასობრივ ჩხრეკაში, დაპატიმრებაში, დევნასა და ქვეყნიდან გაძევებაში. ქსენოფობიისა და შევიწროების ტალღამ მოიცვა არა მხოლოდ რუსეთში არალეგალურად მყოფი ეთნიკური ქართველები, არამედ ლეგალურად მყოფი და თვით რუსეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველებიც.

ქალაქ ჩელიაბინსკიდან სახალხო დამცველს დაუკავშირდა საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც ისევე როგორც ამ ქალაქის არაერთი მაცხოვრებელი ქართველი, ადგილობრივმა მილიციელებმა გააფრთხილეს: ჩვენ მივიღეთ ბრძანება მოსკოვიდან, რომ თქვენ ყველას დეპორტაცია გაგიკეთოთ, მაგრამ კარგად ვიცით, რომ ერთადერთი დანაშაული თქვენი წარმომავლობაა და ამისთვის თქვენს დასჯას არ ვაპირებთ. თუმცა, იქვე დაამატეს, რომ თავს მხოლოდ მანამ შეიკავებდნენ, სანამ ამგვარი მფარველობის გამო თავად მათ არ შეექმნებოდათ პრობლემები.

მთელი ეს ანტიქართული კამპანია მიმდინარეობდა სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობითა და კოორდინაციით. რასაც მოწმობს სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის შინაგან საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს (ГУВД) უფროსის მ.შ. ბრძანება, რომლითაც ქვეყანაში მყოფი იქნებოდა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე არაკანონიერად მყოფი საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციის ინიცირებას სასამართლოში უცხოელი მოქალაქეების ყოფნის წესების დარღვევის საქმის განხილვის დროს. / მოცემული ღონისძიებების გატარება შეთანხმებულია სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის მიგრაციის სამსახურის ფედერალური სამმართველოსთან (УФМС), ხოლო გადაწყვეტილების მიღება სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის სასამართლოსთან... ყოველდღიურად წარმოადგინოთ 01.10.2006 -დან გატარებული სამუშაოს ანგარიში შინაგან საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს (ГУВД) №0215 30.09 2006 (6.1; 6.2, 7) ბრძანებით დადგენილი 078 ფორმის შესაბამისად, ზრდადი შედეგებით...“

ამ ბრძანების არსებობა უკვე თავისთავად გამოიხატავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას (ეგრ. კონვ. მე-6 მუხლი). ეთნიკურ ქართველებს, მათ შორის მათაც, ვინც ლეგალურად იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში, უკანონოდ აკავებდნენ ქუჩებში და აძევებდნენ ქვეყნიდან. დაკავებულ მოქალაქეებს არათუ ადვოკატის, თარჯიმნისა და გასაჩივრების უფლებასაც უზღუდავენ, პროცესები რამდენიმე წუთი გრძელდებოდა, ხშირად მათ საერთოდ არ ასწრებდნენ პროცესებს და აჩერებდნენ დერეფნებში ან იმ მანქანებში, რომლითაც მიყავდათ სასამართლომდე. იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს განხილვისა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, პირდაპირ აეროპორტიდან განხორციელდა ლეგალურად ჩასული მოქალაქის გამოძევება.



ჯამში რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე 3297 საქართველოს მოქალაქის, ეთნიკური ქართველისა და ქართული გვარის რუსეთის მოქალაქის გაძევებაზე გამოიტანა გადაწყვეტილება. მათგან 1500-ზე მეტის დეპორტაცია განხორციელდა უკვე 2006 წლის 28 ნოემბრამდე. აქედან 440 ადამიანი სატვირთო თვითმფრინავებით გამოამგზავრეს. **სატვირთო თვითმფრინავებით**, სადაც დასაჯდომი სკამებიც კი არ იყო, მოხდა არასრულწლოვნების დეპორტაციაც.

დეპორტირებულ ქართველთა ნაწილს, რომელთა შორის ქალები და ბავშვებიც იყვნენ, მოუწიათ აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიის გავლით დაბრუნება. ისინი გახდნენ გამოძალავის მსხვერპლნი, რომ არაფერი ვთქვათ უსაფრთხოების გარანტიებსა და ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. იმისათვის, რომ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ემგზავრათ, თითოეულ დეპორტირებულ ქართველს მოსთხოვეს დაახლოებით 1000 აშშ დოლარის გადახდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ რომ 2006 წლის 25 დეკემბერს აფხაზეთში დააკავეს რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეები: ავთანდილ ქაჩიაია, მირიან კიკაჩიშვილი და ლაშა სიჭინავა. არსებული ინფორმაციით, აღნიშნული პირები იმყოფებიან ქ. სოხუმის იზოლატორში, რაც დაადასტურა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წარმომადგენელმა.

სანკტ-პეტერბურგიდან მოსკოვისაკენ მგზავრობისას ავტობუსში გარდაიცვალა საქართველოს მოქალაქე 48 წლის თენგიზ ტოგონიძე. ის ხუთი დღის მანძილზე სხვა ქართველებთან ერთად დაპატიმრებული ჰყავდათ, შემდეგ ხალხით გადატვირთული ავტობუსით გადაიყვანეს მოსკოვში. ჯერ კიდევ სანკტ-პეტერბურგში დაკავების დროს ტოგონიძე ითხოვდა უკეთეს მოპყრობას, ვინაიდან მას ასთმა ჰქონდა. მაგრამ მის მოთხოვნას ყურადღება არავინ მიაქცია. ეს ფაქტი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ არაადამიანურ მოპყრობად და მკვლელობად.

მოსკოვის №2 დაწესებულებაში გარდაიცვალა 52 წლის საქართველოს მოქალაქე, მანანა ჯაბელია. ორი თვის პატიმრობის მანძილზე მას არ გაუწიეს სამედიცინო დახმარება.

დეპორტაციის შედეგად 9 თვის ფეხმძიმე საქართველოს მოქალაქეს ლ.შ.-ს, 2 დღე-ღამე ქუჩაში, 2 კვირა მძიმე პირობებში ყოფნისა და საზღვარზე ფეხით გადამოსვლის შედეგად, ნაყოფი დაეღუპა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მან რამდენიმე დღის მკვდარი ბავშვი იშობოიარა.

ასეთივე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აფხაზეთიდან დევნილი საქართველოს მოქალაქეები. არ ყოფილა გათვალისწინებული მათი სტატუსი. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ დევნილს ჰქონდა ძველი საბჭოთა პასპორტი, მას არ ეხებოდნენ. მაგრამ თუ გააჩნდათ საქართველოს ახალი, ლეგალური პასპორტი, ისინი ექვემდებარებოდნენ დეპორტაციას.

დაპატიმრებისა და დეპორტაციის ტალღა არასრულწლოვნებსაც შეეხო. რუსეთის ფედერაციის მრავალი საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ მიიღო მითითება რუსეთის შს სამინისტროდან, რომ მილიციისათვის გადაეცათ მონაცემები იმ მოსწავლეების შესახებ, რომელთაც ქართული გვარები აქვთ. ასევე მათი მშობლების შესახებ ინფორმაციის გაცემა მოთხოვა, რათა ამ გზითაც დაედგინათ ეთნიკური ქართველების საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები.

2006 წლის 4 ოქტომბერს, დილის 9:00 საათზე, თბილისში, საქართველო, არსებულ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ საშუალო სკოლის შენობაში არ დაუშვეს საქართველოს მოქალაქეები – 80 მოსწავლე და 20 მასწავლებელი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მათ არ მიეცათ ახსნა-განმარტება. მომხდართან დაკავშირებით სკოლის დირექციამ კომენტარი არ გააკეთა. სკოლის ჭიმკარზე გამოკრული იყო განცხადება, რომ „საქართველოს მოქალაქეებს ეკრძალებათ სკოლის ტერიტორიაზე შესვლა“. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სკოლის დირექციამ რუსეთიდან მიიღო სპეციალური განკარგულება, სკოლიდან საქართველოს ყველა მოქალაქის გაძევების თაობაზე.

ანალოგიური მითითება ამიერკავკასიის რუსული დაჯგუფების დაქვემდებარებაში არსებულ თბილისს, ბათუმისა და ახალქალაქის რუსულ სკოლებში მიიღეს (იხ. ბავშვთა უფლებების თავი).

რუსეთის ფედერაციაში ეთნიკური ქართველების მიმართ დაირღვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით მინიჭებული მთელი რიგი უფლებები, კერძოდ: თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი მართლმსაჯულების, პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის, უფლებებელყოფილი იყო ისეთი მოთხოვნები, როგორცაა წამების აკრძალვა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა და ა.შ.

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია – მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-12, მე-13, მე-15, მე-17, მე-18, 22-ე და 23-ე მუხლები;
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-6 მუხლის 1 პუნქტი და მე-11 მუხლი;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-5; მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-12, მე-13, მე-16, მე-17, მე-20 მე-2 პუნქტი, 24-ე მუხლის პირველი პუნქტი; 26-ე; 27-ე მუხლები;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია – მე-3, მე-5, მე-6, მე-8, მე-14, მე-17 მუხლები;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი №7 პირველი მუხლი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებითი №1 ოქმის პირველი მუხლი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი №4 მე-2, მე-4 მუხლები;
- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) კონვენციის მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-20 (2) მუხლები;

ასევე დარღვეულია საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, იგულისხმება არალეგალურ მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა უკანონო დაკავება და გაძევების ოპერაციების მონაწილეობა, საკუთარი აზრი მწვავედ დააფიქსირეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიც არიან გაეროს უმაღლესი კომისარი დევილიდა საკითხებზე, გაეროს მიგრანტთა უფლებების დაცვის შესახებ სპეციალური მომხსენებელი და ევროსაბჭო.

უფლებადამცველი ორგანიზაციები სახელმწიფოებს ურჩევენ დანერგონ მიგრანტთა დაბრუნების (იგულისხმება დაკავებისა და ქვეყნიდან გაძევების ოპერაციები) ისეთი პოლიტიკა, რომელიც მთლიანად დაემყარება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ღირსებისა და პატივის დაცვას.

აღნიშნული დოკუმენტი ემყარება იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც უნდა აისახოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაბრუნების ნებისმიერ აქტში, ასევე ევროკავშირის ყველა დირექტივაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გაძევების სტანდარტები უნდა იყოს ერთიანი როგორც ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისთვის, ასევე ე.წ. სატრანზიტო ქვეყნებისათვის, სასაზღვრო ზონებსა და აეროპორტის ტერიტორიებზე.

ნებაყოფლობითი დაბრუნება ყოველთვის უნდა იყოს პრიორიტეტული, რაც გულისხმობს სათანადო კონსულტაციებსა და მატერიალურ დახმარებას. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაბრუნებისათვის ეს ფორმა უნდა იყოს უფრო პრიორიტეტული, ვიდრე მათი ძალადობით გაძევება. პირს, როცა მისი ქვეყნიდან დაბრუნების საკითხი დგება, წინასწარ უნდა ეცნობოს, მას უნდა გამოეყოს გასამგზავრებლად მოსამზადებელი ვადა, რათა მოახერხოს საკუთარ ქვეყანაში უსაფრთხოდ დაბრუნება.



უმწეო პირები გაძევებისგან უნდა იყვნენ დაცული – ყველა ქმედება უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (მე-5 მუხლი; არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ არაჰუმანურ მოპყრობას ან სასჯელს), ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციისა და მასთან არსებული 1967 წლის ოქმის (კონვენცია ლტოლვილთა შესახებ) და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სხვა მოთხოვნების შესაბამისად. მოქალაქეთა დევნის თავიდან აცილება უნდა იქნეს აღიარებული ყველა განვითარებული სახელმწიფოს მიერ.

საერთაშორისო სამართალი **მასობრივ დევნას** კრძალავს. (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე არსებული საერთაშორისო კონვენცია მუხლი მე-13; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 ოქმი, მუხლი მე-4; ევროკავშირის წესდება ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე, მუხლი მე-19;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უკან დაბრუნების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს მიღებული, როცა დაცვის მექანიზმების ყველა საერთაშორისო ბერკეტი ამოიწურება, რაც ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში, რომელიც ეფუძნება ლტოლვილთა მიმართ წამების, არაჰუმანური, შეურაცხმყოფელი მოპყრობისა და დაკავებისაგან დაცვას.

ბავშვთა (ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მიხედვით 18 წლამდე ასაკის ადამიანები ითვლებიან არასრულწლოვნებად) ძალადობით გაძევება და დაკავება აკრძალულია. გაეროს 1989 წელს მიღებული ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის მიხედვით ბავშვები (18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც ჩამოშორებულნი არიან საკუთარ მშობლებს, სამშობლოს ან კანონიერ მეურვეს, მათ ენიშნებათ მეურვე) საკუთარ ქვეყანაში მხოლოდ მათი პირადი ინტერესების გათვალისწინებით და უსაფრთხო პირობებში უნდა დაბრუნდნენ.

კატეგორიულად იკრძალება **მძიმე ავადმყოფობით დაავადებული** ნებისმიერი პირის დევნა, მანამდე სანამ მისთვის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შემდგომ რაელურად ხელმისაწვდომი („რეალურად ხელმისაწვდომი“, როგორც განმარტავს გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ მომზადებული ზოგადი კომენტარი №14, მუხლი მე-12: *ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამედიცინო და სხვა აუცილებელი საჭიროების საქონელი და მომსახურება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე იმ სახელმწიფოს იურისდიქციის გათვალისწინებით, სადაც ეს ხორციელდება. ამ დებულებას 4 ძირითადი და ერთმანეთთან დაკავშირებული მიმართულება აქვს: ყველა ადამიანს დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება ეკონომიკურ და ნებისმიერ ინფორმაციაზე მიუწვდებოდეს ხელი) არ გახდება საჭირო სამედიცინო მკურნალობით სარგებლობა.*

გაძევებისა თუ დეპორტაციის სუბიექტებისათვის ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეფექტური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. დეპორტაციისა და გაძევების თითოეულ სუბიექტს არ უნდა ჩამოერთვას უფლება, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ გამოტანილი ესა თუ ის გადაწყვეტილება. რაც თვალსაჩინოდაა ასახული ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლსა და წამების წინააღმდეგ არსებულ კონვენციაში. ამრიგად, ყველა შესაძლო სამართლებრივი ბერკეტები უნდა იქნეს შემუშავებული და გამოყენებული, რათა მოქალაქეები საკუთარ ქვეყანაში უსაფრთხოდ დაბრუნდნენ.

უცხო ქვეყნის მოქალაქის გაძევების მიზნით დაკავების მექანიზმი უკიდურეს შემთხვევაშია დასაშვები. ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაკავება უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული. სასჯელის ეს ზომა არ უნდა გახდეს ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივი მექანიზმი. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს მეთოდი უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული. ადამიანის დაკავება დასაშვებია მხოლოდ მოკლე ვადით, რომელსაც ადგენს სასამართლო, ხოლო თუ ოქმის გამოტანიდან პირის დაკავების

ოპერაცია მაშინვე არ აღსრულდა, იგი უპირობოდ უნდა გათავისუფლდეს. იკრძალება ისეთი უმწეო კატეგორიის ადამიანების დაკავება, როგორებიც არიან ობოლი ბავშვები, ბავშვიანი ოჯახები, ორსული ქალები, მეძუძური დედები, ტრავმირებული ადამიანები და წამების მსხვერპლნი (ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მუხლი 37-ე განმარტავს, რომ დაკავება იკრძალება კატეგორიულად. გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ ბოლო რეკომენდაცია შესაბამის კრიტერიუმებსა და სტანდარტების შესახებ, რომელიც თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებას კატეგორიულად კრძალავს. 1999 თებერვალი) რეკომენდაციის მე-6 ნაწილი. „კატეგორიულად იკრძალება იმ ეთნიკურ უმცირესობათა კატეგორიის დაკავება, რომლებიც ეძებენ თავშესაფარს“; მე-7 ნაწილი: ყოველთვის უნდა მოეძებნოს ალტერნატივა დაკავების ნებისმიერ ბრძანებას, განსაკუთრებით შემდეგი კატეგორიის ადამიანების: „უმწეო მოხუცები, წამებისა და ტრავმის მსხვერპლნი, ფიზიკურად უუნარო ადამიანები“. მე-8 ნაწილი: ქალების დაკავება: „მკაცრად დაცული უნდა იყვნენ ორსული და მეძუძური დედები, რომელთაც სჭირდებათ განსაკუთრებული მოფრთხილება“.

ამავე მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, დაკავებულის სასამართლო პროცესი მოსამართლის მხრიდან სრული ობიექტურობის დაცვით უნდა ჩატარდეს. ამასთან, დაკავებულს უფლება აქვს, გაასაჩივროს გამოტანილი გადაწყვეტილება. ხოლო არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს და უპირობოდ აუნაზღაურდეს ზარალი. თავშესაფრის მაძიებლები სხვა მსჯავრდებულებისაგან (კრიმინალური დანაშაული) უნდა იყვნენ გაცალკევებული, მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე უნდა მოთავსდნენ, თუმცა წყვილების ერთად მოთავსება დასაშვებია. მათ აქვთ უფლება ჰქონდეთ უფასო იურიდიული კონსულტაციის, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების მიღების საშუალება, საკუთარ ოჯახებთან, შესაბამისი აღმსარებლობის მოძღვართან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის უფლება დაკავების ყველა დანესებულებაში უნდა იქნეს უპირობოდ დაცული. გარდა ამისა, მათ ადგილზე, დანესებულების ტერიტორიაზე აქვთ უსაფრთხო გადაადგილებისა და ელემენტარული ჰიგიენური პირობით დაკმაყოფილების უფლება.

დაუშვებელია ოჯახიდან ერთი რომელიმე წევრის დეპორტაცია ან ოჯახის წევრების დაცალკევება, (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მე-8 პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება) კატეგორიულად იკრძალება ბავშვების დევნა, ამასთან განსაკუთრებით თუ აღნიშნულმა ბავშვმა გადაიტანა რაიმე სახის ფიზიკური ტრავმა, აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ან იმ შემთხვევაში თუ ლეზულობს განათლებას და არ დაუსრულებია სასწავლო წელი.

ძალის გამოყენება, სადამსჯელო ღონისძიებების გასატარებლად დასაშვებია მხოლოდ ევროსაბჭოს წევრების საფუძველზე. დეპორტირებულებთან დაკავშირებით, საკუთარი ინიციატივით დაბრუნებულ მოქალაქეთა ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვა უნდა იყოს პრიორიტეტული. მათი მშობლიურ ქვეყანაში გადაყვანა უნდა მოხდეს ევროსაბჭოს 1957 წლის რეკომენდაციის დებულებათა გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მოქალაქეთა უსაფრთხო პირობებში ცხოვრებას, ამასთან მათი ძირითადი უფლებების და თავისუფლებების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა, სიცოცხლის უფლებისა და სხვა უფლებების დაცვას.

იმ შემთხვევაში თუ ამა თუ იმ პირის გაძევება არ განხორციელდება, მას უნდა მიენიჭოს ამ ქვეყანაში ცხოვრების ლეგალური სტატუსი. თუ სასამართლო წესით დადგენილი დროის განმავლობაში არ აღსრულდება გაძევების ან უკან დაბრუნების გადაწყვეტილება, პირის მიმართ გაუქმებულ უნდა იქნეს ამგვარი გადაწყვეტილება. ამასთან, მას უნდა გამოეყოს თავშესაფრის სახით საცხოვრებელი ფართი. ამ შემთხვევაში, კი მის მიმართ გამოტანილი ორდერი უქმდება და პირს ეძლევა შესაძლებლობა, ისარგებლოს ამ ქვეყნის სხვა მოქალაქეებისთვის მინიჭებული ყველა უფლებით.

რუსეთის ფედერაციაში ეთნიკური ქართველების მიმართ განხორციელებული ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა გაავრცელა არა ერთი განცხადება



და მიმართა მსოფლიოს ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, ეუთოს (HDIM), მსოფლიოს ყველა ქვეყნის ომბუდსმენსა და უფლებათა დამცველს, ევროპის ბავშვთა ომბუდსმენტსა ქსელის (ENOC) წევრებს, რეაგირება მოეხდინათ რუსეთის ფედერაციაში ეთნიკური ნიშნით ქართველების დისკრიმინაციისა და მათი უფლებების შელახვის გამო და რუსეთის ხელისუფლებას, შეეწყვიტა რასიზმისა და ქსენოფობიის პოლიტიკა.

„ეს ის შემთხვევაა, როცა მსოფლიოს ყველა უფლებადამცველმა ხმა უნდა აიმაღლოს რასიზმისა და ქსენოფობიის პოლიტიკის წინააღმდეგ. დღეს გაჩუმება ნიშნავს, რომ ხვალ ყველა ჩვენგანს მოგვიწევს ისეთ ევროპაში ცხოვრება, სადაც უცხოადადმი, ყოველივე განსხვავებულიადმი სიძულვილი, რასიზმი, ქსენოფობია ცხოვრების წესად იქცევა. ის რაც დღეს ქართველების მიმართ ხდება, თუ დროზე არ შეჩერდა, ხვალ ყველა ეროვნულ უმცირესობას შეეხება“ – ნათქვამია სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

სახალხო დამცველმა მიმართა რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარს, მისი უფლებამოსილების ფარგლებში დაეცვა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების უფლებები და თავისუფლებები.

აღსანიშნავია, რომ ქსენოფობიისა და რასიზმის პოლიტიკა, რომელიც ხორციელდებოდა ეთნიკური ქართველებისა თუ სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რუსეთის არაერთმა მოქალაქემ და უფლებადამცველმა ორგანიზაციამ დაგმო.

სახალხო დამცველმა მიმართვის პასუხად გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირმა მარია-ფრანცისკა იზე-ჩარინიმ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სახელით აცნობა სახალხო დამცველს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი ყურადღებით ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას და მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს, რათა განხილვის საგანი გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებით ისეთი დაუცველი ადამიანებისა, როგორც ბავშვები და მიგრანტები არიან. აღნიშნული იყო, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი დაუკავშირდა ამ საკითხში ჩართულ ყველა მხარეს, იმ მიზნით, რომ დაძაბულობას არ მოეხდინა მძიმე გავლენა ჩვეულებრივი ადამიანების სიცოცხლეზე. ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი ესაუბრა მონაწილე მხარეებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ადამიანები დაცულნი იქნებიან ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან და რომ ახლანდელი განხეთქილება კონსტრუქციული დიალოგის გზით გადაიჭრება. მარია-ფრანცისკა იზე-ჩარინიმ აღნიშნა, რომ კომისარი ყურადღებას არ მოადუნებს მოვლენების განვითარებასთან მიმართებაში.

ამასთან, ამ მოვლენებმა ძალიან ობიექტური და მკაცრი ასახვა პოვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე მომხსენებელთა მიერ მომზადებულ ანგარიშში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაართულებას არ მოჰყოლია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური რუსების ან საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეების უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციისა და შეურაცხყოფის არც ერთი ფაქტი, არც საქართველოს ხელისუფლებისა და არც საზოგადოების მხრიდან.



საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულთა დახმარება

საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება და კომპეტენცია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება. შესაბამისად, სახალხო დამცველს მიმართულებისა და საჯარო გამოსვლების გარდა სხვა საშუალება არ გააჩნია, რათა დაიცვას საქართველოს მოქალაქეების უფლებები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. რადგანაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტში საგანგებოდ შექმნილი რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ პირთა საქმეების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია აგროვებდნენ მასალებს შემდგომი რეაგირებისათვის, სახალხო დამცველმა მათ გადაუგზავნა მის ხელთ არსებული, რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ მოქალაქეთა განცხადებები და ახსნა-განმარტებები.

ასევე სახალხო დამცველის თხოვნით, წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის „ემპათიას“ ექსპერტებმა მოინახულეს ქ. მოსკოვიდან 2006 წლის ოქტომბერში დეპორტირებული მოზარდები და სახალხო დამცველს წინასწარი სამედიცინო მონიტორინგის შედეგები მიაწოდეს. ეს მონაცემებიც გადაეგზავნათ დროებით საგამოძიებო კომისიასა და იუსტიციის სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ ამზადებს სარჩელს ადამინის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად.

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა მიიღო გადანყვეტილება, განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ მოექცია დეპორტი-

რებულების მიმართ საქართველოს სახელმწიფოს მიერ სიტყვიერად აღებული ვალდებულებები და გატარებული ღონისძიებები. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ ადამიანების დასახმარებლად სახელმწიფოს მხრიდან რაიმე განსაკუთრებული ზომები არ გატარებულა.

აღსანიშნავია, რომ ყველა დეპორტირებულის განცხადებაში მითითებული იყო, რომ სწორედ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციაში.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში შექმნილია ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული მოქალაქეებისათვის პროგრამის განხორციელებას. ასევე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მოიძია დამატე-



ბიტი ფინანსური საშუალებები და რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ დევნილებზე, რომლებმაც წარმოადგინეს დეპორტაციის საბუთები, გაცემული იქნა თანხა – თითოეულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი წლის მანძილზე საქართველოდან წასული მოქალაქეებისათვის არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია სოციალური დაცვის რა მექანიზმები მოქმედებს საქართველოში, ვისთვის და რა სახის დახმარებისათვის შეეძლოთ მიემართათ. ამასთან, არ არსებობდა არავითარი კოორდინაცია და პოლიტიკა ამ განმარტებების მიღებისას.

გარდა ამისა, მათ პრობლემები შეექმნათ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას. კერძოდ, მხოლოდ სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ შეძლო დეპორტირებულმა დევნილმა დევნილის მონობის მიღება, ასევე დეპორტირებულმა დევნილმა ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღება, ასევე დეპორტირებულ დევნილ სტუდენტს მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად ეცნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იმ წესის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მისი გადაყვანა სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამ შემთხვევაში, დეპორტირებული დევნილი მე-3 კურსის სტუდენტი იყო, ანუ იგი სტუდენტი გახდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე. შესაბამისად, მას არ მოეთხოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადასასვლელად.

თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა არსებული კანონმდებლობით, დეპორტირებულების დახმარება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში სახალხო დამცველი უფლებამოსილი არ არის დახმარება გაუწიოს დეპორტირებულ მოქალაქეებს და რეკომენდაციით მიმართოს ამა თუ იმ უწყებას. სახალხო დამცველისათვის ასევე უცნობია, ვინ განიხილავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებები ამ ადამიანების საქართველოში დახმარების გასაწევად.

კერძოდ, როგორ უნდა განხორციელდეს იმ დეპორტირებული სტუდენტის გადაყვანა სხვა უმაღლეს სასწავლებელში, თუ ის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ ჩაირიცხა. ვინ უნდა უზრუნველყოს ამ სტუდენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მათ არათუ მასწავლებლისათვის გადასახდელი თანხა, მუდმივი საცხოვრებელიც არ გააჩნიათ.

ვინ უნდა დაეხმაროს დეპორტირებულ 4 შვილიან მოქალაქეს, რომელსაც 9 თვის ფეხმძიმეს, 2 დღე ქუჩაში, 2 კვირა მძიმე პირობებში ყოფნისა და საზღვარზე ფეხით გადამოსვლის შედეგად, ნაყოფი დაეღუპა. მას ერთჯერადი დახმარება 50 ლარი მისცეს და განუცხადეს, რომ ის ვერ ისარგებლებს მრავალშვილიანების დახმარებით, რადგან გურჯაანის რაიონში „მრავალშვილიანობის ფულს მხოლოდ 5 შვილის ზევით ვიძლევიო“.

როგორ უნდა მოხდეს მანქანის აღრიცხვაზე აყვანა, როცა დეპორტირებული მოქალაქე იძულებული გახდა აფხაზეთის გავლით ჩამოსულიყო იმ მანქანით, რომლის აღრიცხვიდან მოხსნა ვერ გაბედა რუსეთის ფედერაციაში დაპატიმრების შიშით.

როცა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აჭიანურებს დეპორტირებული დევნილის სტატუსის მინიჭებას იმ მიზეზით, რომ დევნილს არ შეუძლია წარმოადგინოს ცნობა მისი დროებითი საცხოვრებლის შესახებ, ვინაიდან მას არ გააჩნია თავშესაფარი.

ასეთ შემთხვევებში სახალხო დამცველი სცილდება მისთვის კანონით დაწესებულ ფარგლებს და ხშირად უხდება დეპორტირებულ მოქალაქეებისათვის კონსულტაციებს განევა, თუ ვის უნდა მიმართოს განცხადებით და რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს მას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე მომხსენებელთა მიერ მომზადებულ ანგარიშში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების თაობაზე, საქართველოს მთავრობას მიეცა რეკომენდაციები. მათ შორის დაუყოვნებლივ შესასრულებელი – **უზრუნველყოს სათანადო მორალური, სამართლებრივი და ფინანსური დახმარება სამშობლოში დაბრუნებულებისათვის; გაატაროს გრძელვადიანი ინტეგრაციის პოლიტიკა დევნილთათვის მოკლევადიანი ერჯერადი გადაუდებელი აუცილებლობის ღონისძიებების ნაცვლად.**

დასაქმება

2007 წლის 1 თებერვალს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ირაკლი გიორგობიანს, მიანოდოს ზუსტი ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კონკრეტულად რა ღონისძიებების გატარებას აპირებს და რა სახის დახმარებებს ითვალისწინებს 2007 წლის ბიუჯეტში რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული მოქალაქეების დასახმარებლად.

შესაბამისად, 2006 წლის 29 ნოემბერს, 2006 წლის 19 დეკემბერს და 2007 წლის 11 იანვარს, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორს ლევან ფერაძეს და ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელს მერაბ ლომინაძეს და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება – რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის დახმარებას დასაქმების კუთხით. მათ გაეგზავნათ ყველა იმ დეპორტირებულის საკონტაქტო ტელეფონი და ინფორმაცია სავარუდო პროფესიის შესახებ, რაც მოიპოვებოდა სახალხო დამცველის აპარატში.

ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის მოადგილის შ. ბერაიას პასუხის თანახმად, აღნიშნული უწყება მზად არის თავის კომპეტენციის ფარგლებში სახალხო დამცველის მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ მოქალაქეებს დაუკავშირდეს საკონტაქტო ტელეფონებზე და აღმოუჩინოს დახმარება. რამდენიმე დეპორტირებულმა პირად საუბარში დაადასტურა, რომ მათ დაუკავშირდნენ აღნიშნული სააგენტოდან. თუმცა დღეისათვის ზემოაღნიშნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ ერთი დეპორტირებული მოქალაქე დაასაქმეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის ლევან ფერაძის პასუხის თანახმად, ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში შექმნილია ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული მოქალაქეებისათვის პროგრამის განხორციელებას. ეს მაშინ, როცა სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ იგივე წერილი უკვე გაეგზავნა ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს.

იგივე დასტურდება საქართველოს პრეზიდენტის კორესპონდენციის განხილვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსის ვახტანგ ცეცხლაძის წერილითაც, რომელსაც თავის მხრივ მიმართა დეპორტირებულმა მოქალაქემ. „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ ღონისძიებების შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ინფორმაცია არ შემოსულა, რის გამოც სააგენტოს გაეგზავნა შესაბამისი შეხსენება“, – ნათქვამია წერილში.

სახალხო დამცველს არ მიუღია პასუხი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან პასუხი



თენგიზ ჯღამაძის საქმე – ავტომანქანის აღრიცხვაზე აყვანა

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენტის დირექტორს დიანა ჟღენტს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეისწავლოს აღნიშნული შემთხვევა და კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება მოქალაქე თ. ჯღამაძეს.

აფხაზეთიდან დევნილი, რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული მოქალაქე თენგიზ ჯღამაძე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით ოჯახით იმყოფებოდა ქ. სანკტ-პეტერბურგში, სადაც მუშაობდა სამარშუტო ტაქსის მძღოლად. აღნიშნული ავტომანქანა იჯარით ჰყავდა აყვანილი, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ მან დაფარა იჯარისთვის განკუთვნილი თანხის სრული ოდენობა.

თ. ჯღამაძე განმარტავს, რომ თავდაპირველად ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს მისი 18 წლის ვაჟიშვილი, რომელიც მხოლოდ დიდი ოდენობის თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. ამ ფაქტიდან მესამე დღეს დააკავეს თ. ჯღამაძე და მისი მეუღლეც. ამის შემდეგ ქ. სანკტ-პეტერბურგის ვიბორგის რაიონის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მათი ოჯახის რუსეთის ფედერაციიდან ადმინისტრაციული გაძევების შესახებ. თ. ჯღამაძეს მისცეს 15 დღიანი ვადა, რათა დაეტოვებინა რუსეთის ფედერაციის ტერიტორია.

მოქალაქე აღნიშნავს, რომ მან საქართველოში მოხვედრა რუსეთში მცხოვრები აფხაზი ეროვნების პირის დახმარებით შეძლო, საზღვარი ფსოუს მონაკვეთზე გადმოლახა და გარკვეული ანაზღაურების ფასად აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ზუგდიდის რაიონში ჩამოაღწია.

თ. ჯღამაძე განმარტავს, რომ მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა, აღნიშნული პიროვნების რჩევით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის აღრიცხვიდან არ მოხსნა, იმ მოტივით, რომ რუსეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მას ჩამოართმევდნენ ამ ავტომანქანას. თ. ჯღამაძე აღნიშნავს, რომ მას საქართველოში არ აქვს კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ზუგდიდის რ-ნის მკვიდრმა მოქალაქე ინდიკო ქირიამ საკუთარ ბინაში თ. ჯღამაძე და მისი ოჯახი დროებით შეიფარა.

დეპორტირებული მოქალაქე ითხოვს დახმარებას, რათა შეძლოს აღნიშნული მანქანის საქართველოში აღრიცხვაზე აყვანა.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა თხოვნით მიმართა საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს გიორგი გრიგალაშვილს, რათა კანონის ფარგლებში დახმარება აღმოეჩინა დეპორტირებული მოქალაქე თ. ჯღამაძისათვის.

საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პასუხში განმარტებულია, რომ თ. ჯღამაძის ა/მანქანა „გაზ-322132“ რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. ხოლო საქართველოში რეგისტრაციისათვის ის უნდა მოიხსნას აღრიცხვიდან რუსეთის ფედერაციაში და საქართველოს საბაჟო სამსახურში განბაჟების შემდეგ უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია საპატრულო პოლიციის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

ვინაიდან, თ. ჯღამაძის მიმართ ქ. სანკტ-პეტერბურგის ვიბორგის რაიონის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი ოჯახის რუსეთის ფედერაციიდან ადმინისტრაციული გაძევების შესახებ, ის ფაქტობრივად ვერ შეძლებს რუსეთის ფედერაციაში აღნიშნული მანქანით გამგზავრებას. შესაბამისად, ვერც აღრიცხვიდან მოხსნას.

საგარეო საქმეთა სამინისტროდან პასუხი არ მიგვიღია.

ლ. ნაჭყებიას საქმე – დევნილის ფულადი დახმარება

2006 წლის 7 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა მოქალაქე ლიანა ნაჭყებიამ. განმცხადებლის განმარტებით, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 10 წლის განმავლობაში იგი სამუშაოდ იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში, სადაც მუშაობდა მოვაჭრედ. მისი განმარტების თანახმად, რომ 2006 წლის 3 ოქტომბერს ქ. მოსკოვში სამუშაოს შესრულების დროს თავს დაესხნენ მილიციის 43-ე განყოფილების თანამშრომლები და დააკავეს, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, ხოლო 2006 წლის 17 ოქტომბერს მოახდინეს მისი დეპორტაცია.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე სოციალური დახმარების მიღების მოთხოვნით განცხადებით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, თუმცა სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მომხდარა. ლ. ნაჭყებიამ სახალხო დამცველს მიმართა თხოვნით გაეწია შუამდგომლობა, რათა მისთვის ფინანსური დახმარება აღმოეჩინათ.

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციის შემდეგ, სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ირაკლი გორგაძეს იმის გასარკვევად, თუ რა სახის დახმარების განეწიება გეგმავდა აღნიშნული სამინისტრო დეპორტირებული პირების მიმართ. მიღებული პასუხიდან სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ სამინისტროში წლიური ერთჯერადი დახმარების ფონდის რესურსებიდან დღის წესრიგში იდგა რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ დევნილთა ფინანსური დახმარების საკითხი.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, განეხილა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე შეტანილი განცხადება და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება და კანონით დადგენილი წესით ეცნობებინა განმცხადებლისთვის მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეაგირებისათვის.

სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ, დეპორტირებულმა მოქალაქემ ლ. ნაჭყებიამ აღნიშნული თანხის მიღება შეძლო. ამასთან, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ირაკლი გორგაძის წერილით გაირკვა, რომ სამინისტრომ მოიძია დამატებითი ფინანსური საშუალებები და რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ დევნილებზე, რომლებმაც წარმოადგინეს დეპორტაციის საბუთები, გაცემული იქნა თანხა – თითოეულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ნუგზარ ჯალალონიას საქმე – სტუდენტი-დევნილი

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ალექსანდრე ლომაიას აფხაზეთიდან დევნილი, რუსეთიდან დეპორტირებული, ქ. მოსკოვის „სახელმწიფო ლია უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტის მოქალაქე ნუგზარ ჯალალონიას საქმესთან დაკავშირებით.

ნ. ჯალალონიამ ქ. მოსკოვში დაამთავრა ქართულენოვანი ლიცეუმი „კოლხეთი“, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო „მოსკოვის სახელმწიფო ლია უნივერსიტეტში“ იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც მან გაიარა მხოლოდ ორნობიანი სასწავლო აკადემიური კურსი.



დეპორტირებულ ნ. ჯალალონიას აქვს ზემოხსენებული სასწავლებლის მიერ გაცემული სტუდენტის ბილეთი; სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი №1704897 და პირველი-მეორე სასწავლო აკადემიური წლების ნიშნების ფურცელი №9117.

განმცხადებელი ითხოვს, მიეცეს მას საშუალება, სწავლა განაგრძოს შესაბამისად საქართველოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში.

აღსანიშნავია, რომ პირველი წერილი და არსებული მასალები მინისტრს გაეგზავნა 2006 წლის 24 ნოემბერს. სახალხო დამცველი ითხოვდა აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებას.

მხოლოდ მეორედ, 2007 წლის 11 იანვარს გაგზავნილი წერილის შემდეგ, სახალხო დამცველმა მიიღო პასუხი საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურიდან. ნ. ჯალალონიას დეტალურად ეცნობა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მისი გადაყვანა სხვა სასწავლებლებში.

ხათუნა ძაძამიას საქმე – სტუდენტი-დევნილი

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ლომიას აფხაზეთიდან დევნილი, რუსეთიდან დეპორტირებული, ქ. მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტის ხათუნა ძაძამიას განცხადებასთან დაკავშირებით.

დეპორტირებულ ხ.ძაძამიას აქვს მხოლოდ ზემოხსენებული ინსტიტუტის მიერ 2002 წლის 1 სექტემბერს გაცემული სტუდენტის ბილეთი №012-ИЯ და 2002 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულება №112 სპეციალისტის ფასიანი მომზადების შესახებ ერთი მხრივ ხ. ძაძამიას მშობელს ნ. ჭაავასა და მეორე მხრივ ქ. მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორს შორის. ხელშეკრულების შესაბამისად, ინსტიტუტი იღებს სპეციალისტის მომზადების, ხოლო მშობელი სწავლის საფასურის (სემესტრში 800 აშშ დოლარის ექვივალენტს რუსულ რუბლებში) გადახდის ვალდებულებას, სწავლის ვადა განსაზღვრულია 2002-2007წწ.

განმცხადებელი ითხოვს, მიეცეს მას საშუალება, დაასრულოს სწავლა საქართველოს რომელიმე შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში.

სახალხო დამცველმა პირველი წერილი სამინისტროს გაუგზავნა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შემდეგი 2007 წლის 11 იანვარს, თუმცა სახალხო დამცველს პასუხი არ მიუღია.

ნუგზარ ჯალალონიას საქმე – დევნილი-სტატუსი

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გორგაძეს აფხაზეთიდან დევნილი, რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული მოქალაქე ნუგზარ ჯალალონიას საქმესთან დაკავშირებით.

განმცხადებლის განმარტებით 2006 წლის ივლისის თვეში მან განცხადებით (N11543) მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილის სტატუსის მოსაპოვებლად, თუმცა პასუხი არ მიუღია. შედეგად მას დღემდე არ გააჩნია დევნილის სტატუსი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის ლ.პრეგვაძის პასუხით (№06/01-17/8258) დასტურდება, რომ ნუგზარ ჯალალონიას არ გაუვლია 2003 წელს ჩატარებული დევნილთა სავალდებულო რეგისტრაცია და კანონის შესაბამისად შეუჩერდა დევნილის სტატუსი, რომლის აღდგენა შესაძლებელია სამინისტროში საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი წერილში (№3303/05-2/1843-06/1), არ ითხოვდა იმის განმარტებას, თუ როდის და რა მიზეზით შეუჩერდა ნ.ჯალალონიას დევნილის სტატუსი. არამედ, ითხოვდა იმის გარკვევას, თუ რატომ არ გაეცა პასუხი ნ.ჯალალონიას მის მოთხოვნაზე მიეღო დევნილის სტატუსი. აგრეთვე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, უნდა ეცნობებინათ აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე შეტანილი განცხადება და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კანონით დადგენილი წესით უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის №127 ბრძანების მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, „პირს, რომელიც განცხადებით მიმართავს სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება ჩაუტარდეს გასაუბრება „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებულ პირის დევნილად ცნობის საფუძვლებთან დაკავშირებით“. ხოლო მე-2 მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პირის განცხადება არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-7 და მე-9 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, დეპარტამენტი და ტერიტორიული ორგანო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში აცნობებს განმცხადებელს ხარვეზის შესახებ. ხარვეზის გასწორების ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მოითხოვს ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადის გაგრძელებას, დეპარტამენტი ან ტერიტორიული ორგანო მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით უფლებამოსილია გაუგრძელოს ხარვეზის გამოსწორების ვადა“. ხოლო 23-ე მუხლის თანახმად, „დევნილი, რომელიც დადგენილ ვადებში ვერ გაივლის რეგისტრაციას, განცხადებით მიმართავს სამინისტროს რეგისტრაციის გასაწვლელად ყოველი თვის 10 რიცხვამდე. სამინისტრო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში ახორციელებს პირის რეგისტრაციას დადგენილი წესით“.

აღნიშნულ შემთხვევაში უგულვებელყოფილია როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ასევე, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის №127-ე ბრძანების მოთხოვნა.

სახალხო დამცველის განმეორებითი წერილის შემდეგაც, სამინისტროს არ უცნობია შედეგების შესახებ, თუმცა დეპორტირებულმა პირად საუბარში დაადასტურა, რომ სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ, მან მიიღო აღნიშნული სტატუსი. მოგვიანებით იგივე დაადასტურა სამინისტრომაც, რომ ნ. ჯალალონიას 2006 წლის 12 დეკემბერს მიენიჭა დევნილის სტატუსი.

დავით კალანდას საქმე – დევნილი-სტატუსი

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს ირაკლი გორგაძეს აფხაზეთიდან დევნილი, რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებული მოქალაქე



დავით კალანდიას (დაბ. ადგილი: აფხაზეთის ა/რ, გულრიფშის რაიონი, სოფ. ბაბუშარა, დაბ. თარიღი: 14.06.1968) განცხადებასთან დაკავშირებით.

განმცხადებლის განმარტებით, 1995 წლიდან ცხოვრობდა ქ. მოსკოვში. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში ის გამოაძევეს რუსეთის ფედერაციიდან. დ. კალანდია დაბრუნდა საქართველოში, სადაც, განცხადების თანახმად, მას არ ჰყავს ახლობლები და ნათესავები.

დ. კალანდია აღნიშნავს, რომ მან ამა წლის 6 ნოემბერს განცხადებით (№15232) მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რათა მიეღო იძულებით გადაადგილებული პირის მონაწილეობა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას მოსთხოვეს ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან – ბინის მფლობელის ნოტარიალურად დადასტურებული თანხმობა. დ. კალანდიას განცხადებით, მან ყველა მოთხოვნილი საბუთი წარადგინა, თუმცა მას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განუმარტეს, რომ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეძლებს დევნილის მონაწილეობის მიღებას.

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონაწილეობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად პირის საცხოვრებელ ადგილად „მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად ირჩევს“. ამავე კანონის მე-5 მუხლის 1 ქვეპუნქტის თანახმად, „რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება, პირადობის (ბინადრობის) მონაწილეობა და საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის დამქირავებლის წერილობით თანხმობას შესაბამისად საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამონემების გარეშე“. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად „პირი, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრაციას გაივლის იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იმყოფება.“

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ტერმინი „დევნილის მონაწილეობა“ განსაზღვრულია, როგორც „საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას“. ხოლო „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი განმარტებულია, როგორც „დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, ან ადგილი, სადაც იგი დროებით იქნა განსახლებული“. ამავე კანონის 1 მუხლის თანახმად იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის, ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო“.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2006 წლის 2 ოქტომბრის №127 ბრძანებით განსაზღვრულია იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესი. ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია რაიმე სახის საბუთის ან ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც არ არის დაკავშირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლში განსაზღვრულ გარემოებებთან“.

ამავე ბრძანების მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, „პირს, რომელიც განცხადებით მიმართავს სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე, განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება ჩაუტარდეს გასაუბრება იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“

საქართველოს კანონის 1 მუხლით გათვალისწინებულ პირის დევნილად ცნობის საფუძვლებთან დაკავშირებით“. ხოლო მე-2 მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პირის განცხადება არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-7 და მე-9 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, დეპარტამენტი და ტერიტორიული ორგანო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში აცნობებს განმცხადებელს ხარვეზის შესახებ. ხარვეზის გასწორების ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მოითხოვს ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადის გაგრძელებას, დეპარტამენტი ან ტერიტორიული ორგანო მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით უფლებამოსილია გაუგრძელოს ხარვეზის გამოსწორების ვადა“. ხოლო 23-ე მუხლის თანახმად, „დევნილი, რომელიც დადგენილ ვადებში ვერ გაივლის რეგისტრაციას, განცხადებით მიმართავს სამინისტროს რეგისტრაციის გასაწვლელად ყოველი თვის 10 რიცხვამდე. სამინისტრო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში ახორციელებს პირის რეგისტრაციას დადგენილი წესით“.

რაც შეეხება, ბინის ქირავნობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, არ არის აკრძალული ქირავნობის შესახებ ხელშეკრულების ზეპირი შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირისათვის დევნილის მონუმბის მისაღებად დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან ნოტარიალურად დადასტურებული დოკუმენტის იმპერატიული მოთხოვნა უკანონოა. იმ შემთხვევაში, როცა დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებია, დასაშვებია წერილობით თანხმობის მოთხოვნა შესაბამისად საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამონების გარეშე. სხვა შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილიდან ცნობად შესაძლებელია ჩაითვალოს მოქალაქის მიერ განცხადებაში მითითებული მისამართი. ამასთან, დაუშვებელია კანონით და შესაბამისად ბრძანებით დადგენილი ვადების დარღვევა. განსაკუთრებით ისეთ ვითარებაში, როცა საქმე ეხება რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულ დევნილ მოქალაქეებს.

სახალხო დამცველისათვის სამინისტროს არ უცნობია შედეგების შესახებ, თუმცა დეპორტირებულმა პირად საუბარში დაადასტურა, რომ სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მან მიიღო აღნიშნული სტატუსი.



23

საზღვარგარეთ საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი საქართველოს მოქალაქე პატიმრები

საანგარიშო პერიოდში უცხოეთში საქართველოს ყველა საკონსულოდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია საქართველოს იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც უცხოეთში პატიმრობაში იმყოფებიან. სამწუხაროდ, პასაუხების მიღება დაგვიანდა და, ჯერჯერობით, მხოლოდ 6 ქვეყნის მონაცემი მივიღეთ, რაც ანალიზისა და დასკვნების გაკეთებისთვის არ არის საკმარისი. იმედი, მომდევნო მოხსენებისთვის მოხერხდება უფრო სრული მონაცემების შეგროვება.

სომხეთი

2006 წლის 30 მაისის მდგომარეობით, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასჯელს იხდიდა 18 საქართველოს მოქალაქე, აქედან 11 მათგანი 20-35 წლისაა, ხოლო 7 მსჯავრდებული 35-55 წლის ასაკისაა. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გასამართლებულნი არიან სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძირითადად

სასჯელს იხდიან ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის, ასევე საბაჟო წესის დარღვევისთვის.

აზერბაიჯანი

2006 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასჯელს იხდიდა 38 საქართველოს მოქალაქე. აქედან 14 არის 20-35 წლის ასაკის, ხოლო დანარჩენი 35-55 წლის ასაკის. მხოლოდ ერთი მათგანი არის ქალი. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გასამართლებულნი არიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძირითადად სასჯელს იხდიან ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის, ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებისათვის, ასევე მკვლელობისათვის.

ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკა

2006 წლის 19 აპრილისათვის ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკაში სასჯელალსრულების დანესებულებებში საქართველოს მოქალაქეები არ იმყოფებოდნენ.

უკრაინა

2006 წლის 1 იანვრისათვის უკრაინის სასჯელალსრულების დანესებულებებში სასჯელს იხდიდა 254 საქართველოს მოქალაქე.

რუსეთის ფედერაცია

2006 წლის 26 ივლისისათვის

რუსეთის ფედერაციის სასჯელალსრულების დაწესებულებაში სასჯელს იხდის დაახლოებით 2000 საქართველოს მოქალაქე, ამათგან 58% არის 18-40 წლის, 21% 41-61 წლის ასაკის. საქართველოს მოქალაქეები რომლებიც გასამართლებულნი არიან რუსეთის ტერიტორიაზე ძირითადად სასჯელს იხდიან – ქურდობისათვის, ძარცვისა და ყაჩაღობისათვის, 18% სასჯელს იხდის ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვისა და გავრცელებისათვის, მსჯავრდებულთა დაახლოებით 2% გასამართლებულია განზრახ მკვლელობისათვის, დანარჩენი კი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის.

ავსტრია

2005 წლის მონაცემებით, ავსტრიის სასჯელალსრულების დაწესებულებებში იმყოფებოდა 2614 საქართველოს მოქალაქე. აქედან მსჯავრდებულია 1610 მამაკაცი და 3 ქალი, განსასჯელია 996 მამაკაცი და 5 ქალი. დაპატიმრებული პირების 80% ძირითადად სასჯელს იხდის ქურდობისათვის, ძარცვისათვის. დაპატიმრებული პირების უმრავლესობა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელია. გამომდინარე იქიდან, რომ ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება არ არის დასჯადი ქმედება, აღიარების შემთხვევაში ისინი გადიან სპეციალურ მკურნალობის კურსს.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ ფასეულობებთან დაკავშირებულია ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებული მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება.

აღნიშნული უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლითა და საქართველოს პარლამენტის 1997 წლის კანონით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. კონსტიტუციით აღიარებული პრინციპი გულისხმობს მოქალაქეთა შესაძლებლობას, თავიანთი შეხედულებები გამოთქვან და მოისმინონ საჯაროდ, სხვა მოქალაქეებთან ერთად. ეს პრინციპი ადამიანური ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების პატივისცემასაც გულისხმობს.

გასული წლის მეორე ნახევარში რამდენჯერმე მოხდა ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიან აქციაში უკანონოდ ჩარევა.

2006 წლის 31 ოქტომბერს სახალხო დამცველს მიმართეს „ვეტერანთა დარბაზის“ წევრებმა. მათი განმარტებით, ისინი მე-5 დღეა შიმშილობდნენ კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე და მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს ვეტერანთათვის დადგენილი შეღავათების გაუქმების თაობაზე.

„ვეტერანთა დარბაზის“ თავმჯდომარის ჩიორა ნიკლაურის განცხადებით, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის დილას საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მოშიმშილეებს აქციის დაშლა მოსთხოვეს. წაართვეს საბნები, გაანადგურეს ტრანსპარანტი და აიძულეს ჩამსხდარიყვნენ საპატრულო პოლიციის მანქანებში. სიტუაციის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, „ვეტერანთა დარბაზის“ წევრები ნებაყოფლობით ჩასხდნენ პატრულის მანქანებში და პოლიციელებმა ისინი დიდ დილომში, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოსვეს.

„ვეტერანთა დარბაზის“ წევრები დაბრუნდნენ კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე და გააგრძელეს შიმშილობა.

იმავე დღეს, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონახულეს აქციის მონაწილეები, რომელთაგანაც საპატრულო პოლიცია კვლავ აქციის შეწყვეტას ითხოვდა. თუმცა, კანცელარიასთან მისულ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბარში პოლიცი-

ელემბა უარყვეს მათი მხრიდან აქციის მონაწილეებზე ზენოლისა და აქციის დაშლისაკენ მონოდე-
ბების ფაქტი. პოლიციის თანამშრომლებმა ასევე განაცხადეს, რომ მათთვის არაფერი იყო ცნობილი
აქციის მონაწილეთა დაშლისა და ჰიპერმარკეტ „გუდვილთან“ გადაყვანის შესახებ. მოგვიანებით
„ვეტერანთა დარბაზის“ წევრებმა ერთ-ერთ მათგანში ამოიცნეს ის პიროვნება, რომელიც ხელმძღვა-
ნელობდა აქციის დაშლას და მონაწილეთა „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაყვანას.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის კანონიერ მოთხოვნაზე, დაენერა ახსნა-განმარტება
ამ საკითხთან დაკავშირებით, საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა უარი განაცხადა. უარი
განაცხადა ასევე სახელისა და გვარის დასახელებაზე, თუმცა ერთ-ერთი თანამშრომელი მას მიმარ-
თავდა სახელით, დათო. აღნიშნულმა პიროვნებამ კანცელარიის მიმდებარე ტერიტორია დატოვა
საპატრულო მანქანით, რომლის ნომერია WKW-376, გვერდითი ნომერი 7116.

1 ნოემბერს, აქციის დასრულების შემდეგ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მოშიმშილეები
საპატრულო პოლიციის მანქანებში ჩასვეს და ნარკოლოგიური შემონმების მიზნით საპატრულო პო-
ლიციის შენობაში გადაიყვანეს. აქციის მონაწილეთა კითხვაზე, თუ რატომ მიყავდათ ისინი ნარკო-
ლოგიური შემონმებაზე, პატრულის თანამშრომელმა განუცხადა, რომ კანცელარიის მიმდებარე ტე-
რიტორიაზე ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების შესახებ პატრულმა სახელმწიფო
კანცელარიიდან მიიღო შეტყობინება.

აქციის მონაწილეების ახსნა-განმარტების თანახმად, თავდაპირველად ექსპერტ-ნარკოლოგი თამუნა
მაჩიტაძე უარს ამბობდა პროცედურის დაწყებაზე იმ მოტივით, რომ ირღვეოდა კანონი და ითხოვდა
გარკვეულ ოქმს. პროცედურა დაიწყო მხოლოდ საპატრულო პოლიციის მთაწმინდის მე-2 ოცეულის
წერის, ვინმე დავით თოდუას დაყინებული თხოვნის და დაპირების შემდეგ, რომ ეს დოკუმენტები
მზადების პროცესში იყო.

დაკავებულებს არ დაუდასტურდათ ნარკოტიკების მოხმარება. ხუთ მათგანს შესაძლებლობა მიეცა
დაეტოვებინა შენობა დაკავებიდან დაახლოებით სამ საათ ნახევრის შემდეგ, ხოლო ორმა მათგანმა
შენობა დაკავებიდან დაახლოებით 4 საათში დატოვა.

■ ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს სამ საათზე
მეტ ხანს.

ნარკოლოგიურ შემონმებაზე ყოფნის დროს დაკავებულებს გამოართვევინეს მობილური ტელეფო-
ნები, ჩამოართვეს მათ ხელთ არსებული დოკუმენტაცია და პირადობის მონმობები. დაკავებულთაგან
სამი პირი იყო II ჯგუფის ინვალიდი, ერთი – I ჯგუფის, ერთი კი, ეპილეფსიით დაავადებული. როგორც
აქციის მონაწილენი აცხადებენ, შენობაში ყოფნისას სამი დაკავებული შეუძლოდ გახდა და მოით-
ხოვეს წნევის გაზომვა. ვინაიდან წნევის აპარატი არ აღმოჩნდათ, მოითხოვეს სასწრაფო დახმარების
გამოძახება, რაზეც უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ თავად უზრუნველყოფდნენ საჭირო მედიკამენ-
ტებით.

აქციის მონაწილეთა განმარტებით, პოლიციელებს არ შეუდგენიათ ადმინისტრაციული დაკავების
ოქმი, არ დაკმაყოფილდა აქციის მონაწილეთა მოთხოვნა ადვოკატზე, ისევე როგორც, არ იქნა მი-
თითებული მათი დაკავების საფუძველი. შესაბამისად, საქმე გვაქვს პოლიციელთა მხრიდან განზრახ
უკანონო დაკავებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან.

■ სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით, განზრახ უკანონო დაკავება ისჯება თავისუფ-
ლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.
თუ უკანონო ქმედებამ მძიმე შედეგი გამოიწვია, მაშინ სასჯელი იზრდება თავისუფლების აღკ-
ვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.



■ არაადამიანური მოპყრობა კი სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე III პრიმა მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6 წლამდე.

2006 წლის 2 ნოემბერს სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალა შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი ლაცაბიძეს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსა და საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ გიორგი გრიგალაშვილს. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან, აგრეთვე, გამოვითხოვეთ „ვეტერანთა დარბაზის“ წევრთა დაკავების ოქმების ასლები, ამონაწერი ჟურნალიდან, სადაც ფიქსირდება 2006 წლის 1 ნოემბერს 022-ზე სახელმწიფო კანცელარიიდან მიღებული შეტყობინება იმის თაობაზე, რომ კანცელარიის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები იმყოფებოდნენ, და ტელეფონის ნომერი, საიდანაც განხორციელდა აღნიშნული ზარი. მოვითხოვეთ საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომლის იდენტიფიცირება, რომელმაც 2006 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს უარი განუცხადა ახსნა-განმარტების მიცემაზე, საკუთარი სახელისა და გვარის დასახელებაზე, რის გამოც მის მიმართ უნდა გატარებულიყო კანონით გათვალისწინებული დისციპლინური ხასიათის ღონისძიება.

2006 წლის 8 ნოემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი მასალები საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შესასწავლად გადაეგზავნა ქ. თბილისის პროკურატურას, საიდანაც სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

ქ. თბილისის პროკურატურიდან 2007 წლის 23 იანვარს მიღებული პასუხით ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება გრძელდება, თუმცა, როგორც ირკვევა, დღემდე არ მომხდარა საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომელთა იდენტიფიცირება და დაკითხვა, რომელთაც „ვეტერანთა დარბაზის“ წევრები გადაიყვანეს ერთხელ სუპერმარკეტ „გუდვილის“ ტერიტორიაზე, ხოლო მეორედ – საპატრულო პოლიციის შენობაში ნარკოლოგიური შემონმების ჩატარების მიზნით. აღნიშნული ინფორმაციის დადგენა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. საკმარისია თუნდაც მონაცემების გადამონმება, რომლითაც დადგინდება, თუ რომელი ეკიპაჟი პატრულირებდა ინციდენტის დღეებში კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამას გარდა, სახალხო დამცველის მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის გაგზავნილ ვეტერანთა ახსნა-განმარტებებში მითითებული იყო, რომ ნარკოლოგიურ შემონმებაზე გადამყვანი ერთ-ერთი საპატრულო პოლიციის მთანმინდის მე-2 ოცეულის წევრი, ვინმე დავით თოდუა იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პასუხი საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის 2 ნოემბრის წერილზე საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან დღემდე არ მოსულა, რაც არღვევს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ვადას. შესაბამისად, 2007 წლის 22 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გაუგზავნა შეხსენება.

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 23 იანვარს მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ აღნიშნულ საქმეზე მონმის სახით დაკითხულნი არიან „ვეტერანთა დარბაზის“ წევრები ალექსანდრე (ჩიორა) ნიკლაური, მამული ჩაჩანიძე და თამაზ თევდორაშვილი, რომლებმაც დაადასტურეს მათი „გუდვილის“ ტერიტორიაზე გადაყვანის ფაქტი, თუმცა პოლიციელთა ამოცნობა არ შეუძლიათ და არ ახსოვთ საპატრულო მანქანების სახელმწიფო ნომრები.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ჩიორა ნიკლაურს. მისი განმარტებით, მან გამომძიებელს დაუსახელა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გვარი (თოდუა), რომელიც მონაწილეობდა დაკავებული ვეტერანების გადაყვანაში ნარკოლოგიური შემონმების მიზნით. ჩიორა ნიკლაურმა აგრეთვე დაადასტურა, რომ როგორც გენერალური პროკურატურიდან მიღებული 23 იანვ-

რის პასუხით გვეცნობა, ყველა ვეტერანის დაკითხვა ამჟამად ვერ ხერხდება მათი ქ.თბილისში არ-
ყოფნის გამო.

დღეისათვის მოცემულ საქმეზე გამოძიება გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებისათვის
ცნობილია მომიტინგეთა დაკავებაში მონაწილე საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გვარი, ასევე,
საპატრულო მანქანის ნომერი, დღემდე გამოძიება არასათანადოდ მიმდინარეობს და არ ტარდება
შესაბამისი ღონისძიებები დამნაშავე პირთა დასჯის მიზნით. ფაქტიდან 5 თვის გასვლის შემდეგ
გამოძიებას არ ჰყავს ეჭვმიტანილები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს გამოძიების ტენდენციურად
წარმართვის შესახებ.

„ვეტერანთა დარბაზის“ წევრებზე თავდასხმა

2006 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს კიდევ ერთხელ მიმართეს საქართველოს
ომის ვეტერანთა მოძრაობა „ვეტერანთა დარბაზის“ წევრებმა. მათი განმარტებით, ამავე წლის 3
ნოემბერს, 12 საათსა და 30 წუთზე, კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიისაკენ მიმავალ ჩიორა
ნიკლაურსა და დავით გურიელიძეს ორი უცნობი მამაკაცი დაესხა თავს და ფიზიკური და სიტყვიერი
შეურაცხყოფა მიაყენა. თავდამსხმელები მოითხოვდნენ მათგან აქციების შეწყვეტას: „აქციები შენ-
ყვიტეთ, თორემ უარესი დაგემართებათ...“ თავდამსხმელები 9 აპრილის ბაღში მიიმალნენ. მომხდარს
ადასტურებენ თვითმხილველები, ამავე მოძრაობის წევრი თამაზ თევდორაშვილი და ჩიორა ნიკლა-
ურის მეუღლე მეგი კოჭლამაზაშვილი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები საკითხის შესწავლის მიზნით იმავე დღეს გაესაუბრნენ და
ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ზემოხსენებულ ოთხივე პირს. ჩიორა ნიკლაურს სხეულის დაზი-
ანება აღენიშნება ფეხის, ხოლო დავით გურიელიძეს ხელის, კერძოდ, იდაყვის არეში.

განმცხადებელთა თქმით, მათ ამ ფაქტზე მიმართეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, რო-
მელთა დახმარებითაც ისინი გადაყვანილ იქნენ მთანმინდა-კრწანისის სამმართველოში.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი პირდაპირ უკავშირდებოდა 2006 წლის 31
ოქტომბერსა და 1 ნოემბერს მომხდარ ფაქტებს და მიმართული იყო „ვეტერანთა დარბაზის“ წევრთა
აქციების შეწყვეტისაკენ. 2006 წლის 17 ნოემბერს აღნიშნულ პირთა ახსნა-განმარტებები გადაეგ-
ზავნა საქართველოს გენერალური პროკურატურას, საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსა და ქ. თბილისის პროკურატურას.

2006 წლის 5 დეკემბერს ქ. თბილისის პროკურატურიდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ მა-
სალები ქვემდებარეობით გაიგზავნა ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის შს სამმართველოში. სადაც
მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №06063303 საქმეზე, ალექსანდრე (ჩიორა)
ნიკლაურისა და დავით გურიელიძის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე
(დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1 ნაწი-
ლით). სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით, გამოძიებას მიეცა შესაბამისი მითითება. სა-
ბოლოო შედეგი ამ დროისათვის უცნობია.

2006 წლის 31 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან „ვეტერანთა დარბაზის“
აქციის დაშლის მოთხოვნა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შეფასდა როგორც, შეკრებისა
და მანიფესტაციის უფლების დარღვევა.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებულ ერთ-ერთ
ფუნდამენტურ უფლებას, კერძოდ 25-ე მუხლის თანახმად: „ყველას გარდა იმ პირებისა, რომლებიც
არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვთ
წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.“



ამავე მუხლის III ნაწილის თანახმად: „საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ან მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

საპატრულო პოლიციელთა ზემოთ აღნიშნული ქმედება შეიძლება შეფასდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლების – აზრის გამოხატვის და შეკრების უფლების შეზღუდვად. მათი ეს ქმედებები ემსახურებოდა აქციის მონაწილეთა დაშინებას და იძულებას, შეეწყვიტათ აქცია კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„ვეტერანთა დარბაზის“ საქმეზე საყურადღებოა ფაქტი, რომელიც შეეხება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთათვის ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმას. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემომხმების ჩატარებისას საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს, მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან“. ამავე კანონის 23-ე მუხლის II ნაწილი განსაზღვრავს, რომ „შემომხმების პროცესში ის სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის პირი ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება მოწმდება, ვალდებულია სახალხო დამცველს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე“, ხოლო 27-ე მუხლის თანახმად, „ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ახორციელებენ სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით“. საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა უხეშად დაარღვია ორგანული კანონი და უარი თქვა თავისი თავის იდენტიფიცირებაზე.

რეკომენდაცია:

შს სამინისტროს:

- მოხდეს გამოძიების მიერ საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომელთა იდენტიფიცირება, რომელთა მიერ მოხდა „ვეტერანთა დარბაზის“ წევრთა გადაყვანა ერთხელ სუპერმარკეტ „გუდვილის“ ტერიტორიაზე, მეორედ კი, საპატრულო პოლიციის შენობაში ნარკოლოგიური შემომხმებისათვის.
- მოხდეს საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომლის იდენტიფიცირება, რომელმაც უარი განაცხადა სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის ახსნა-განმარტების მიცემაზე, რამაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი უხეშად დაარღვია. გატარდეს მის მიმართ დისციპლინური ხასიათის ღონისძიებები.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ აქცია

2006 წლის 27 სექტემბერს, საღამოს, „თანასწორობის ინსტიტუტის“ სამი წევრი (ლევან გოგიჩაიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, დავით დალაქიშვილი) იმის გამო დააკავეს, რომ სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასფალტზე აკეთებდნენ წარწერას: „არა ძალადობას“ და ხატავდნენ ჯვრის გამოსახულებას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უხეში ფორმით ჩასვეს ისინი მანქანებში და წაიყვანეს ჯერ ნარკოლოგიურ დისპანსერში შესამოწმებლად (სადაც დადგინდა მათი სიფხიზლე), ხოლო შემდეგ – წინასწარი დაკავების იზოლატორში.

ნარკოლოგიურ დისპანსერში დაკავებულთა შემომხმებისას, დაწესებულების ეზოში შეიკრიბნენ მათი ახლობლები (დაახლოებით 20-25 კაცი, რომელთა შორის იყო ირაკლი კაკაბაძე) და მედიის წარ-

მომადგენლები. იმის გამო, რომ პატრულის თანამშრომლები ასაიდუმლოებდნენ, თუ სად აპირებდნენ დაკავებულთა გადაყვანას, ახლობლებმა სცადეს ხელი შეეშალათ საპატრულო პოლიციის მანქანის გადაადგილებისთვის, რასაც თან ახლდა სიტყვიერი შეკამათება. ირაკლი კაკაბაძემ ხმამაღლა გამოხატა თავისი პროტესტი და პოლიციელებს მიმართა: „რატომ იქცევით საბჭოთა ძალებივით?“ შედეგად ირაკლი კაკაბაძე დააკავეს და 2006 წლის 28 სექტემბერს ირაკლი კაკაბაძე მეგობრებთან ერთად წარსდგა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წინაშე.

მოსამართლე თამარ შუშიაშვილმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, ირაკლი კაკაბაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი და დავით დალაქიშვილი სამართალდამრღვევებად სცნო და სახდელის ზომად განუსაზღვრა ჯარიმა 15 ლარის ოდენობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლში აღნიშნულია:

■ „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ექვს თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომების გამოყენება ჩაითვლება არასაკმარისად, – ადმინისტრაციულ პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე“

სასამართლომ დაადგინა, რომ „ირაკლი კაკაბაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი და დავით დალაქიშვილი, სხვა პირებთან ერთად 2006 წლის 27 სექტემბერს შეკრებილი იყვნენ სახელმწიფო კანცელარიის წინ და საღებავით შელესს მიმდებარედ არსებული სავალი ნაწილი, რაც დასტურდება თვით სამართალდამრღვევების ახსნა-განმარტებითა და წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმებით.“

„სამართალდამრღვევთა“ ადვოკატის მტკიცებით, ამ წინადადებაში რამდენიმე ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება, კერძოდ ის, რომ კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა ირაკლი კაკაბაძე; კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე ლევან გოგიჩაიშვილის, ჯაბა ჯიშკარიანისა და დავით დალაქიშვილის გარდა არ იმყოფებოდნენ „სხვა პირები“ და აღნიშნულმა სამმა პირმა ქუჩის სავალი ნაწილი კი არ „შელეს“, არამედ იქ დაწერეს მონოღება – „არა ძალადობას“. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმებით.

დადგენილების სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ: „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვა დაწესებულებებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში და მისგან 20 მეტრის რადიუსით მდებარე ტერიტორიაზე“.

ი. კაკაბაძის ადვოკატის მტკიცებით, ეს წინადადება სრულიად აბსურდულია იმ მიზეზთა გამო, რომ:

1. სამი ადამიანის შეკრება ვერ ჩაითვლება ვერც მიტინგად და ვერც მანიფესტაციად;
2. არავის გაუზომავს მანძილი ქუჩის სავალი ნაწილიდან (სადაც წარწერები გაკეთდა) კანცელარიამდე, ანუ აღნიშნული საკითხი საერთოდ არ ყოფილა გამოკვლეული.

სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში საერთოდ არ დასმულა საკითხი კანონით განსაზღვრული მანძილის (20 მეტრიანი რადიუსში მდებარე ტერიტორიის) გამოკვლევის შესახებ, რაც წარმოადგენს შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვის უმთავრეს საფუძველს (საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 9).

ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი იცავს ყველა ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას. შეკრებებისა და გამოხატვის საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული თავისუფლების განხორციელებაში ჩარე-



ვის უფლება სახელმწიფოს აქვს სამი პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში: ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით; ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისა და სხვა ღირებულებების დაცვას; ჩარევა დემოკრატიული საზოგადოების აუცილებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ევროპის სასამართლოს მიერ დაწესებული სამართლებრივი სტანდარტის მიხედვით კი, ნებისმიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა უნდა მიეცეს პირის გამოხატვის თავისუფლებას და არა სახელმწიფოს მიერ უფრო მნიშვნელოვანი ინტერესების მტკიცებას (**Sunday Times v. The United Kingdom**).

ირაკლი კაკაბაძის დაკავებას საფუძვლად დაედო მის მიერ პოლიციელების მიმართ გამონათქვამი, რაც წარმოადგენს კონსტიტუციით, საერთაშორისო ნორმებითა და საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ გარანტირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების აშკარა დარღვევას. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აზრის გამოთქმისა და გავრცელების უფლებაში ჩარევის არანაირი მართლზომიერი საფუძველი არ ყოფილა. ევროპის პრეცედენტული სამართლით განვითარდა პრაქტიკა, რომელიც ადგენს პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეთა ვალდებულებას, ითმინონ მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოების მხრიდან.

„თანასწორობის ინსტიტუტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის თეატრალიზებული აქცია“

2006 წლის 20 ოქტომბერს, პოლიციამ სახელმწიფო კანცელარიასთან „თანასწორობის ინსტიტუტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „დემოკრატიული საქართველოსთვის“, პოეტებისა და მსახიობების მიერ მოწყობილი თეატრალიზებული აქცია დაშალა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქცია სანქცირებული იყო და მისი გამართვის ადგილსა და დროს მთელი დღის განმავლობაში ავრცელებდნენ საინფორმაციო საშუალებები. ქალაქის მერიის მიერ გაცემულ ნებართვაში მითითებული იყო, რომ აქციის ორგანიზატორებს, ღამის 12 საათამდე, უფლება ჰქონდათ გაემართათ მუსიკალური აქცია. მონაწილეებმა ადგილზე დაუბრკოლებლად მიიტანეს საჭირო აპარატურა, მოაწყვეს სცენა და, მათივე თხოვნით, ამ პროცესსა და აქციის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ პერიმეტრზე განლაგებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლებიც. აქცია მშვიდად დაიწყო. თავდაპირველად მონაწილეები ლექსებს კითხულობდნენ, შემდეგ აქცია როკ-კონცერტით გაგრძელდა.

19 საათისთვის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ აქციის ორგანიზატორებთან და აქციის შეწყვეტა მოთხოვეს იმ მიზეზით, რომ ხმაურმა ადგილობრივი მოსახლეობა შეაწუხა. მონაწილეებმა მიკროფონით მიმართეს მოქალაქეებს, პირადად მათთვის მიემართათ პრეტენზიებით ან საპატრულო პოლიციას წარმოედგინა მოსახლეობის წერილობითი საჩივარი, თუმცა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ წარმოადგინეს მოსახლეობის პრეტენზიების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი და არც უკმაყოფილო მოქალაქეები გამოჩინილან. აქციის მონაწილეები დაშლას არ აპირებდნენ, მაგრამ სცენაზე ავიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, გამორთეს ენერჯის წყარო და მონაწილეებს ჩამოართვეს მიკროფონები. ამის შემდეგ, პოლიციელებთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად აქციის ორგანიზატორების მოწოდებით აქცია დაიშალა.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს თითოეული ადამიანის უფლებას გამოხატვის თავისუფლებაზე, კანონით დადგენილი ფორმების გარდა ნებისმიერი სხვა საშუალებით (რადიო-ტელევიზია, ელექტრონული მედია, ფოტოგრაფია, მუსიკა, გრაფიკა და სხვა ხელოვნება) საკუთარი არჩევანისამებრ.

სანქცირებული აქციის დაშლის მოთხოვნა საპატრულო პოლიციის მიერ, როდესაც ადგილი არ ჰქონია აქციის მონაწილეთა მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის და კანონით დადგენილი პირობების დარღვევას, წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების აშკარა და უხეშ დარღვევას. აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით.

აქცია მარნეული რაიონის სოფელ დამია-გეორარხში

საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში მოცემული იყო მარნეულის რაიონის სოფელ დამია-გეორარხში მომხდარი ფაქტი. კერძოდ, საქართველოში აკრედიტირებული აზერბაიჯანული ტელეკომპანიების „LIEDER TV“-ისა და „ANS“-ის ჟურნალისტების განმარტებით, 2006 წლის 22 თებერვალს, სოფელ დამია-გეორარხის მოსახლეობის საპროტესტო აქციის მსვლელობისას, პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით წაართვეს მათ ვიდეოკასეტები, რომელზეც აღბეჭდილი იყო აქციის დაშლის დროს სამართალდამცავი უწყებებისა და სპეცრაზმის წარმომადგენლების მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები.

აღნიშნულ ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ სახალხო დამცველმა მიმართა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორს შ.რეხვიაშვილს. მომხდარის შესახებ ვაცნობეთ საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს.

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურიდან მიღებული წერილის თანახმად, 2006 წლის 22 თებერვალს მარნეულის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №31068006 საქმეზე, მარნეულის შს რაიგანყოფილების თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით).

მიმდინარე წლის 16 იანვარს მარნეულის რაიონული პროკურატურიდან გამოვითხოვეთ დამატებითი ინფორმაცია წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. 2007 წლის 2 თებერვალს გვაცნობეს, რომ გამოძიების მიერ დაიკითხნენ მარნეულის შს რაიგანყოფილების ეროვნებით აზერბაიჯანელი თანამშრომლები: ელდარ ჯალალ ოღლი მამედოვი, შირვან ანლარ იუნუსის ძე ალიევი და მამედ ადილ ოღლი მამედოვი. მათი გამარტებით, მათთვის უცნობია, ხდებოდა თუ არა რაიმე სახის ვიდეოგადაღება სოფელ დამია-გეორარხში, ვინაიდან მათ იქ ჟურნალისტები ან პირი, რომელიც ვიდეოგადაღებას აწარმოებდა, არ უნახავთ. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მათ უშუალო კონტაქტი ჰქონდათ აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან მშობლიურ ენაზე, შეკრებილთა ნაწილს კი პირადად იცნობდნენ. ამდენად, ჟურნალისტთა ცემისა და ვიდეოკასეტის წართმევის ფაქტს ადგილი რომ ჰქონოდა, მოსახლეობა მათ აუცილებლად მიუთითებდა, რაც არ მომხდარა.

მარნეულის რაიონული პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოწმის სახით დაიკითხა მარნეულის რაიონის გამგებელი, ამირან გრიგოლის ძე შუბითიძე, რომელმაც აჩვენა, რომ 2006 წლის 22 თებერვალს იგი იმყოფებოდა სოფელ დამია-გეორარხში, სადაც შეხვდა და ესაუბრა მოსახლეობას. ადგილზე იმყოფებოდნენ ჟურნალისტები, თუმცა მათთვის ვიდეოკასეტის წართმევისა და ფიზიკური შეურაცხყოფის მოწმე არ ყოფილა და არც არავის მიუმართავს მისთვის. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტი აგრეთვე, უცნობია ტელეკომპანია „ალგეთის“ ოპერატორის ლელა აკაკის ასულ ხარშილაძისათვისაც, რომელიც აწარმოებდა სოფელ დამია-გეორარხში განვითარებული მოვლენების გადაღებას. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება.

საქართველოში აკრედიტირებული აზერბაიჯანული ტელეკომპანიების ჟურნალისტების მიერ საპროტესტო აქციის ამსახველი ვიდეოკასეტების წართმევის ფაქტი არ დასტურდება შს რაიგანყოფილე-



ბიდან მიღებული პასუხით. სახალხო დამცველის შეფასებით აღნიშნული ფაქტი რეალობას მოკლებულია, რადგან დაუჯერებელია, რომ ტელეჟურნალისტები ადგილზე ვითარების გასაშუქებლად ყოფილიყვნენ სათანადო აპარატურის (ვიდეო კასეტები) გარეშე.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების გამოყენებისა და სახელმწიფოს მხრიდან მისი შეზღუდვის საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს, საიდანაც გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რამდენი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე იქნა წარმოებული (განხილული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ) 2004-2006 წლებში შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილე პირთა მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2005-2006 წლებში შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილე პირთა მიმართ განხილული იყო 26 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

ევროპის პრაქტიკის თანახმად, მოქალაქეთა შეკრება-მანიფესტაციის სამართლებრივი შეფასება ძირითადად შეკრების თემატიკის შინაარსის მიხედვით ხდება, ანუ სახელმწიფომ შესაძლებელია შეზღუდოს ამ უფლების გამოყენება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუკი მონაწილეთა შინაარსი მიმართული იქნება საერთაშორისო სამართლით დაცული სხვა სიკეთის ხელყოფისაკენ.

შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი არის კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობები, როდესაც დაშვებულია ხელისუფლების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“. „შეკრებისა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ადგენს, რომ შეკრება და მანიფესტაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს „კანონსაწინააღმდეგო ხასიათს“, თუ ადგილი ექნება მონაწილეთა „კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ... ან ისეთ მონაწილეთა, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.

გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულებაა, რამდენადაც მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სისტემაში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1982 წლის 29 აპრილს, 70-ე სესიაზე მიღებული „გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ დეკლარაცია გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას განსაზღვრავს ისეთი პრინციპების უმთავრეს ელემენტად, როგორცაა ქვეყნის დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს ყოველი ადამიანის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების აუცილებელ პირობას. დეკლარაცია სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაიცავს პირის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას, ასევე, შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი მედიის, მრავალმხრივი მოსაზრებებისა და შეხედულებების არსებობას.

აზრის გამოხატვის უფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაანება სამართლებრივი სტანდარტი, რაც გულისხმობს ნებისმიერ ზღვარზე მყოფ საქმეში პირის გამოხატვის თავისუფლებისთვის უპირატესობის მინიჭებას, სახელმწიფოს უფრო მნიშვნელოვან ინტერესებთან მიმართებაში. მხოლოდ ძალადობის მონოძეობის შემთხვევაში ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოებს შე-

დარებით მეტი უფლება აქვთ ჩარევის აუცილებლობის განსაზღვრისას. სასამართლო თავის არაერთ გადანყვეტილებაში ახდენს გამოხატვისა და მედიისათვის მინიჭებული ძლიერი დაცვის დემონსტრირებას, რადგან საერთაშორისო სამართლით აღიარებული ეს უფლება დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად ითვლება: „დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ითმინონ კრიტიკა, თუნდაც ეს უკანასკნელი იყოს პროვოკაციული ან შეურაცხმყოფელი (Özgün Gündem v. Turkey). მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ძალიან მცირე საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ დაწესდეს შეზღუდვები პოლიტიკურ მოსაზრებებზე.

ვახტანგ კომახიძის ცემის ფაქტი

სახალხო დამცველის 2004 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღ-

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

25

საქართველოს

ნიმუში იყო ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ცემის ფაქტი. ინფორმაციის თანახმად, 2004 წლის 5 მარტს შუახვევიდან ბათუმში ავტომანქანით მიმავალი ვ.კომახიძე ხელვაჩაურის საგზაო პოსტთან გააჩერეს საგზაო პოლიციელებმა. მას თან ახლდა ბათუმელი ჟურნალისტი მზია ამალლობელი. გაჩერების შემდეგ კომახიძეს სპეცრაზმელები დაესხნენ თავს და პოლიციელთა თანდასწრებით გაუსწორდნენ. სპეცრაზმელთა ჯგუფიდან მხოლოს 2 პიროვნება იყო უნილბოდ, დანარჩენები კი, უნიფორმაში გამოწყობილები.

ვახტანგ კომახიძე ძალით გადმოიყვანეს მანქანიდან და მიაყენეს მრავლობითი დაზიანებები სახეზე, თავის არეში და მთელ სხეულზე, ჰქონდა ტვინის შერყევა.

თავდასხმის დროს ჟურნალისტებს წაართვეს აპარატურა, ვიდეოკასეტები, მობილური ტელეფონი, საათი და სხვა ნივთები.

ნაცემი კომახიძე „რუსთავი-2“-ის მანქანით ჟურნალისტმა ნანა ინკირველმა გადაიყვანა ბათუმის პირველ საავადმყოფოში, სადაც მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ინციდენტიდან დაახლოებით 1 საათში კომახიძესთან რეანომობილით მივიდა პარლამენტის წევრი გივი თარგამაძე და იგი თბილისში გადმოიყვანა.

მოხერხდა ინციდენტის ადგილზე მყოფი ერთ-ერთ საგზაო პოლიციელის, რევაზ გვარიშვილის იდენტიფიკაციის დადგენა სამსახურბრივი „ბირკის“ მეშვეობით, რომელიც მას მ. ამალლობელმა ჩამოგლიჯა. აღნიშნული პოლიციელი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციას დავალებული ჰქონდა იმ დღეს კომახიძის მანქანის გაჩერება.

კომახიძის ცემას წინ კიდევ ერთი ინციდენტი უძლოდა. თავდასხმის წინა ღამეს ბათუმში მყოფ „რუსთავი 2“-ის ოპერატორს მთელი აპარატურა ჩამოართვეს.

დაზარალებულმა ვ. კომახიძემ საქართველოს გენერალურ პროკურატურას განცხადებით მიმართა აღნიშნულ ფაქტზე, რის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ვ. კომახიძე და მ. ამალლობელი დაზარალებულად ცნეს.

საქმე გამოსაძიებლად გადაიგზავნა ბათუმის პროკურატურაში, სადაც დაზარალებულები დაკითხეს.

ვახტანგ კომახიძის განცხადებით, იმავე წლის ივნისში მას დაურეკა ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსმა და მასთან მისვლა სთხოვა. შეხვედრის შემდეგ დერეფანში გამოსულმა კომახიძემ ის 2 ადამიანი შენიშნა, რომლებიც უნილბოდ იყვნენ თავდასხმის დროს. ამის შემდეგ, ვ.კომახიძე მივიდა ბათუმის პროკურატურაში და განაცხადა აღნიშნული ორი პიროვნების შესახებ, ასევე, მიუთითა, რომ პროკურატურას უნდა გადაემოწმებინა დაზარალებულების, პოლიციელი გვარიშვილისა და იქ მყოფი პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც არ უარყოფდნენ, რომ თავდასხმა განხორციელდა.

ჟურნალისტის ცემის ფაქტიდან 3 წლის შემდეგ ჯერ კიდევ არ მომხდარა საქმის სათანადო გამოკვლევა. გამოძიების პროცესი დროში შეუსაბამოდ განელილია, არ მომხდარა დაზარალებულის მიერ დასახელებული პოლიციელის (გვარიშვილის) და უნილბოდ მყოფი თავდამსხმელების დაკითხვა და მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთის“ დირექტორი ყოფილი დეპუტატის წინააღმდეგ

2006 წლის 13 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთის“ დირექტორმა რამაზ სამხარაძემ (ლაგოდეხის რაიონი). მისი განმარტებით, გასული წლის 1 ოქტომბერს რადიოეთერის საშუალებით, საინფორმაციო ანალიტიკურ პროგრამაში „მთელი კვირა“

გავიდა რეპორტაჟი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ, რომელშიც ნახსენები იყო ყოფილი დეპუტატი დავით კაპანაძე. აღნიშნული რეპორტაჟის გასვლის შემდეგ, 2006 წლის 9 ოქტომბერს, ლაგოდეხში რამაზ სამხარაძეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დავით კაპანაძემ.

2006 წლის 12 ოქტომბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ლაგოდეხის შს რაიგანყოფილებაში, ესაუბრნენ გამომძიებელ ვია ლომიძეს. გამომძიებლის განცხადებით, იმ დროისათვის აღნიშნულ საქმეზე დანაშაული იყო წინასწარი გამოძიება (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის I ნაწილით), დაინიშნა ექსპერტიზა, დაკითხეს დაზარალებულის მიერ დასახელებული ყველა პირი.

რ. სამხარაძის განცხადება სხვა მასალებთან ერთად სახალხო დამცველის აპარატიდან გადაიგზავნა შსს ლაგოდეხის შს რაიგანყოფილებაში.

2006 წლის 11 დეკემბერს გურჯაანის რაიონული პროკურატურიდან მიღებული წერილის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა დაზარალებულის საჩივრის არარსებობის გამო.

2007 წლის 9 იანვარს სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსს მალხაზ ლულუნიშვილს, სადაც მითითებული იყო, რომ სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, რ. სამხარაძემ განცხადებით მიმართა ლაგოდეხის შს რაიგანყოფილებას, რაც დასტურდება კანცელარიაში მისი განცხადების რეგისტრაციის ნომრით. მ. ლულუნიშვილს აღნიშნული დოკუმენტი გადაეგზავნა გურჯაანის პროკურორის დადგენილებასთან ერთად. იგივე შინაარსის წერილით მიემართეთ შსს გენერალური ინსპექციის უფროსს მალხაზ ჩიკვილაძეს და შსს ადმინისტრაციის უფროსს შოთა ხიზანიშვილს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციიდან 2007 წლის 24 იანვარს მიღებული პასუხით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორის გიორგი ქოქიაშვილის მიერ სამაუწყებლო კომპანია „ჭერეთის“ დირექტორის რ. სამხარაძის სხეულის დაზიანების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება გაუქმდა და გამოძიება განახლდა. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის დადგენილებით საქმე ამოღებული იქნა ლაგოდეხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებიდან და გამოსაძიებლად გადაეცა კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს.

სახალხო დამცველის მიმართვის პასუხად საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული წერილის თანახმად, გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორის გიორგი ქოქიაშვილის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხი არ დასმულა.

გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტები სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლების წინააღმდეგ

საქართველო სახალხო დამცველს 2006 წლის 5 დეკემბერს განცხადებით მიმართა გაზეთ „ღია ბოქლომის“ რედაქტორმა ილია ჩაჩიბაიამ, რომელიც მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლების მხრიდან რწმუნებულის კაბინეტში მის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მუქარის, ცემისა და იძულების ფაქტებზე.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ჩამორთმეული ახსნა-განმარტებებიდან გაირკვა, რომ 2006 წლის 4 დეკემბერს პრეზიდენტის რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსისთვის ინფორმაციის დასაზუსტებლად მისულ ჟურნალისტ ილია ჩაჩიბაიას რამდენიმე ხანში ტელეფონით დაუკავშირდა



გუბერნატორ ზაზა გოროზიას დაცვის უფროსი დიმა მარკოიძე და შეხვედრა მოსთხოვა. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტი მოტყუებით ჩასვეს პრესმდინის მანქანაში, მიიყვანეს გუბერნატორის კაბინეტში, ჩაკეტეს და მუქარით აიძულებდნენ, დაესახელებინა მის ხელთ არსებული ინფორმაციის წყარო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის დახურვითა და ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ. როგორც დაზარალებული და ამ ინციდენტის მონაწილე ადასტურებენ, სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მთელი რიგ უკანონო ქმედებებს.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 11 უზრუნველყოფს პროფესიული საიდუმლოებისა და მისი წყაროს დაცვის უფლებას. ამავე კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ინტერპრეტირების საფუძვლები, რომლის მიხედვითაც „ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად“. რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამის მუხლებზე აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, პრეცედენტული სამართლის მაგალითები მრავლადაა იმის დასადასტურებლად, რომ „ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა პრესის თავისუფლებისათვის, როგორც ეს ასახულია მთელი რიგი მიერთებული სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პროფესიულ ქცევის კოდექსებში და განმტკიცებულია ჟურნალისტური წყაროების შესახებ რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტით. ამგვარი დაცვის გარეშე წყაროებს შეიძლება ხელი შეეშალოს, დაეხმარონ პრესას საზოგადოების ინფორმირებაში, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე“. სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნული განმარტება გაკეთებულია საქმეზე *Goodwin v. the United Kingdom*, 1996 წ. ამ საქმეზე გამოტანილ განაჩენს კი მოჰყვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(2000)7, რომლითაც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობის პრინციპის შიდა კანონმდებლობაში ასახვის შესახებ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების ხელთ არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს, საიდანაც მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გაზეთ „ღია ბოქლომის“ რედაქტორის ილია ჩაჩიბაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და მისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტისთვის საჯარო ინფორმაციის მოპოვებაში ხელის შეშლის შესახებ

დაპირისპირება რწმუნებულის აპარატის თანამშრომლებსა და გაზეთ „ღია ბოქლომის“ რედაქციას შორის ამ შემთხვევის შემდეგ კვლავ გაგრძელდა. კერძოდ, 2006 წლის 12 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა გაზეთის აღმასრულებელმა რედაქტორმა იოსებ ხოფერიამ. იგი მიუთითებდა სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლების მხრიდან ჟურნალისტების საქმიანობისთვის კიდევ ერთხელ უკანონოდ ხელის შეშლის შესახებ. კერძოდ, საქმე ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ზუგდიდში №2 საჯარო სკოლის გახსნის ცერემონიაზე, როდესაც სკოლის ეზოში საქართველოს პრეზიდენტის კომენტარის ჩასაწერად მხოლოდ გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტები არ შეუშვეს, რაც განმცხადებლის ინფორმაციით, ზ.გოროზიას პრესსამსახურის უფროსის, ლალი გელენავას მითითებით მოხდა.

ი. ხოფერიას მტკიცებით, იმის გამო, რომ გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტებმა 4 დეკემბრის ინციდენტის შემდეგ, სახალხო დამცველს დახმარებისთვის მიმართეს, განაწყენებულმა ლ. გელენავამ

ადგილზე გაატარა რეგისტრაციაში მედიის სხვა წარმომადგენლები, გარდა „ლია ბოქლომის“ ჟურნალისტებისა. ჩვენს კითხვაზე, გაზეთ „ლია ბოქლომის“ ჟურნალისტების გარდა, იყო თუ არა რაიმე შეზღუდვები დაწესებული მედიის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა მიმართ, ლ.გელენავამ უპასუხა, რომ „შეზღუდვები იყო ბექდურ მედიაზე. შენობაში შესვლის უფლება მხოლოდ 5 ტელევიზიის ოპერატორს ჰქონდა, ელექტრონული მედიის ჟურნალისტებს კი სკოლის ეზოში ყოფნის უფლება დართეს“. სამართლებრივად ყოველად დაუშვებელია მედიის წარმომადგენლების კლასიფიკაცია ამ სახით, მითუმეტეს თუკი ეს ეხება საჯარო ინფორმაციის მოპოვებას.

ხოლო სკოლის ეზოს გარედან მიმდინარე მოვლენის გაშუქების უფლება პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლებმა არ მისცეს. შედეგად კი, გაზეთი „ლია ბოქლომი“ ინფორმაციის გარეშე დარჩა.

აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოიპოვეს დაზარალებულისა და მოწმეების ახსნა-განმარტებები. სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს სპეციალისტი გიორგი დაგარგულიაც ადასტურებს ლალი გელენავას მხრიდან სატელეფონო მუქარას გაზეთ „ლია ბოქლომის“ ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის დაბლოკვისა და მათთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის შესახებ. იგი თავად იყო ი.ხოფერიასა და ლ.გელენავას სატელეფონო საუბრის მოწმე.

სახალხო დამცველის შეფასებით, პრეზიდენტის რწმუნებულის პრესსამსახურის უფროსის მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების გარეშე ცალკეული ჟურნალისტისთვის საჯარო ფაქტის გაშუქებაში ხელის შეშლით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე მუხლებითა და „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი უფლება სიტყვისა და აზრის თავისუფლების შესახებ.

აღნიშნული განცხადება თანდართული მასალებით გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას სათანადო რეაგირებისათვის.

გაზეთ „ლია ბოქლომის“ რედაქტორის ილია ჩაჩიბაიას გატაცების შესახებ

2007 წლის 17 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს ზუგდიდის წარმომადგენელს, ბაგრატ ქირიას ტელეფონით დაუკავშირდა გაზეთ „ლია ბოქლომის“ აღმასრულებელი დირექტორი, იოსებ ხოფერია და შეატყობინა ილია ჩაჩიბაიას გატაცების შესახებ.

ილია ჩაჩიბაიასთვის სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ ჩამორთმეული ახსნა-განმარტებიდან გაირკვა, რომ 17 დეკემბერს, დაახლოებით 11:00-დან 12:00 საათამდე, თავისი საცხოვრებელი ბინიდან გაზეთ „ლია ბოქლომის“ რედაქციისკენ მიმავალ ი. ჩაჩიბაიას ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე, №1 საჯარო სკოლის ახლოს, შავი ფერის „BMW“-ს მარკის ავტომანქანიდან, სანომრე ნიშნების გარეშე, მისთვის უცნობმა პიროვნებამ მანქანის კარი გაუღო და ჩაჯდომა შესთავაზა. ამაზე ი. ჩაჩიბაიამ უარი განუცხადა, რის შემდეგაც უცნობი მამაკაცი მანქანიდან გადმოვიდა და ძალის გამოყენებით ჩასვა იგი ავტომანქანის უკანა სალონში.

ი. ჩაჩიბაიამ, მას შემდეგ, რაც გააცნობიერა, რომ გატაცებული იყო, მანქანაში მჯდომი პიროვნებებისგან შეუმჩნეველად მოახერხა ი. ხოფერიასთვის SMS-შეტყობინების გაგზავნა (ტექსტით: მიშველეთ, ილია ჩაჩიბაია). მოგვიანებით, უცნობმა მამაკაცებმა ი.ჩაჩიბაიას მობილურიც წაართვეს, ისინი ტელეფონზე შემოსულ ზარებს აკვირდებოდნენ.

ი. ჩაჩიბაია მიიყვანეს ქალაქგარეთ, განცალკევებით მდებარე ხის სახლთან, საიდანაც მან გაქცევა სცადა, მაგრამ ერთ-ერთი გამტაცებელი წამოენია და იძულებით შეიყვანა სახლში, სადაც ი. ჩაჩიბაიას მიმართ განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, მას ცემით და ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ.



საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ აღნიშნულ მისამართზე, გაესაუბრნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ საეჭვო მოქმედებები არ შეუნიშნავთ, ისევე, როგორც არ დაუნახავთ უცხო მანქანა, რასაც ისინი, მათი თქმით, აუცილებლად შეამჩნევდნენ. წერილობითი ახსნა-განმარტების მოცემაზე მათ უარი განაცხადეს.

იოსებ ხოფერიას განმარტებით, შეტყობინების მიღებისთანავე მან თავისი თანამშრომლის, მარი ჩხეტის ტელეფონიდან დარეკა ი.ჩაჩიბაიას ნომერზე, რომელიც გამორთული იყო. ამის შემდგომ, ი. ხოფერია დაუკავშირდა სახალხო დამცველის რწმუნებულს ბ.ქირიას და მოუყვა მომხდარის შესახებ.

ი. ხოფერიამ დარეკა, ასევე, საპატრულო პოლიციის ცხელ ხაზზე. მისი თქმით, დაახლოებით 10-15 წუთში, მასთან მივიდა საპატრულო პოლიციის 2 ეკიპაჟი, ზუგდიდის პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლები.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ი. ხოფერია და ი. ჩაჩიბაია დაკითხა ზუგდიდის პოლიციის გამომძიებელმა პ. გვილიამ.

როგორც ი. ჩაჩიბაიას ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, მას შემდეგ, რაც მის მობილურ ტელეფონზე სახალხო დამცველის რწმუნებულის ბ.ქირიას ზარი შემოვიდა, გამტაცებლებმა იგი ჩასვეს მანქანაში და გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ გზაში გადმოსვეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ მოპოვებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გენერალური პროკურატურიდან კი, ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში. შს ზუგდიდის სამმართველოში დაინყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გაზეთ „ღია ბოქლომის“ რედაქტორის ი.ჩაჩიბაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე.

კონსტანტინე კუბლაშვილი – ეკა ბესელიას და სხვების წინააღმდეგ

2006 წლის 21 ოქტომბერს ეთიკის კომისიის საპროცესო საბჭომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის საჩივრის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ეკა ბესელიას, შალვა შავგულიძის და ზურაბ როსტიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ.

საჩივარს საფუძვლად დაედო გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც, საჩივრის ავტორის აზრით, იყო შეურაცხმყოფელი სასამართლო ხელისუფლებისათვის და პირდაპირი მოურიდებელი იერიში იყო მიტანილი სასამართლო სისტემაზე. კ.კუბლაშვილის გალიზიანება გამოიწვია ადვოკატების გამონათქვამებმა: „ხელისუფლებისა და პროკურატურის დაკვეთებს მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებს“, „ყველა სიკეთესთან ერთად მოსამართლეთა არაობიექტურობის მიზეზი მათი არაპროფესიონალიზმია.“ „მოსამართლეთა 99% ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს, ზოგი ხელისუფლების, ზოგი პროკურატურის“.

თავისთავად ცხადია, ბ-ნი კ.კუბლაშვილი საჩივრის შეტანით არ იცავდა თავის პირად უფლებებსა და თავისუფლებებს. მისი საჩივრის დაცვის ობიექტს წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლება. ასევე ნათელია ისიც, რომ ეთიკის კომისიაში ამგვარი საჩივარის შეტანა არანაირ სამართლებრივ აქტს არ არღვევს და წარმოადგენს აღნიშნული საჩივრის ავტორის უფლებას. უნდა ითქვას, რომ საერთო ფონზე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის რანგში ამგვარი ქმედება პირდაპირ ზემოქმედებს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოკიდებულებასა და მიდგომებზე გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დევნებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი შეეხება ისეთი საზოგადოებრივი აქტუალურობისა და მნიშვნელობის მქონე საკითხს, როგორიცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის აღნიშნული საჩივარი ძალიან ჰგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილ საჩივარს „ბათუმის პრეს-კლუბისა“ და ავთანდილ გადახაბაძის წინააღმდეგ. გაზეთ „ახალ ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ანონიმი ავტორი აცხადებს: „ასლან აბაშიძემ თევზის მეურნეობას ტრაქტორით გადაუარა.“ მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ერთი სიტყვიც არ იყო მოხსენიებული აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მინისტრი, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 1000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ სასამართლო სისტემის არაეფექტურობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა თუ მიუკერძოებულობის შესახებ დებატების კონტექსტში გაკეთებული განცხადებები ყოველთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის და არ უნდა დარჩეს საზოგადოებრივი განხილვის მიღმა. საქმეში „Lingens v. Austria“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად გაუსვა ხაზი პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის (Watchdog) ფუნქციას. „მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს ის ზღვარი, რომელიც დადგენილია, inter alia, სხვათა რეპუტაციის დასაცავად, ამავე დროს მას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ისე იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს სხვა სფეროში.“

„Thorgeirson v. Iceland“ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ პრეცედენტულ სამართალში არ არსებობს განსხვავება პოლიტიკურ დისკუსიასა და დისკუსიას საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სხვა საკითხს შორის. იმავე საქმეში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეფასებითი მსჯელობა არ ექვემდებარება დამტკიცების მოთხოვნას. „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეფასებითი მსჯელობა დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც შეფასებითი მსჯელობის ავტორის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან სრულ და უპირობო გათავისუფლებას ნიშნავს. ეთიკის კომისიამ თავისი გადამწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალზე: „მოსამართლეები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები საზოგადოებაში, წარმოადგენენ კრიტიკის ობიექტებს, რომელიც ყოველთვის არ იქნება სასიამოვნო მოსამენი. ზოგიერთი შენიშვნა მართლაც საფუძვლიანი შეიძლება აღმოჩნდეს, ზოგიც არასმომცემი, მაგრამ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ დაჭკნენ მწვავე და ცხელი კრიტიკისაგან.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განმხილველი კოლეგია დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლს და „ადვოკატთა როლის შესახებ ძირითადი პრინციპების“ მე-16, მე-20 და 23-ე მუხლებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალის ნორმებით დადგენილ სტანდარტებს⁷ და არ დააკმაყოფილა უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის საჩივარი.

სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის თაობაზე წარმოებული საჯარო დებატების კონტექსტში უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მსგავსი რეაგირება უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაციაზე, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლო პრაქტიკის ფორმირებაზე. კერძოდ, სასამართლოს გაუჭირდება საქმის გარემოებების გათვალისწინებით გამოხატვის თავისუფლებასა და სამართლიანი სასამართლოს დაცვის ინტერესებს შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისი თანაფარდობის დადგენა.

⁷ ჰენდისაიდი – გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1976, განაცხადი 5493/72, პ.49; სანდი-თაიმი – გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – განაცხადი 6538/74; სკალკა-პოლონეთის წინააღმდეგ №43425/98; პერნა-იტალიის წინააღმდეგ №48898/99 პ. 39; კასტელი – ესპანეთის წინააღმდეგ, ლინგენსი-ავსტრიის წინააღმდეგ.



მედიის მდგომარეობა საქართველოში

მე-10 მუხლით აღიარებული გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს *inter alia*, მედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების თავისუფლებას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო *Goodwin v. the United Kingdom*-ის საქმეზე გამოტანილ განაჩენში აღნიშნავს პრესის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი ელემენტის, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დაცვის აუცილებლობაზე. მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სამ ისეთ ასპექტზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური როლი, მეორე – მედიის მნიშვნელობა, რომელიც ემსახურება ზოგადი ინტერესის მქონე ინფორმაციის და მოსაზრებების გავრცელებას და მესამე – საზოგადოება, რომელსაც აქვს ამ ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღების უფლება.

მედიის თავისუფლების განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილია ჟურნალისტური წყაროების დაცვა, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრესის თავისუფლების წინაპირობად მიიჩნევს.

ზოგადი მდგომარეობა

სახალხო დამცველის 2006 წლის 1 ნახევრის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში მედიის მდგომარეობის შესწავლისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ანალიზის მიზნით, უკვე ორ წელზე მეტია, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენლები სისტემატურად ხვდებიან მასმედიის წარმომადგენლებს თბილისსა და რეგიონებში. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრებზე გამოიკვეთა ჟურნალისტების საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები. ამათგან უმთავრესია ინფორმაციის მიღების პრობლემა. როგორც წესი, ჩინოვნიკები უარს აცხადებენ საჯარო ინფორმაციის ან ინტერვიუს მიცემაზე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ სათანადო სამართლებრივი ბაზის მიუხედავად, რომელიც ადგენს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ჟურნალისტებს ნაკლები გარანტიები აქვთ გამოხატვის თავისუფლების დაცვის მხრივ. ანგარიშში საუბარია შემდეგ ფაქტებზეც:

2006 წლის 6 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პოპულარული გადაცემა „თავისუფალი თემის“ წამყვანმა ეკა ხოფერიამ პირდაპირ ეთერში განაცხადა ტელევიზიიდან წასვლის შესახებ. მიზეზად ჟურნალისტმა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მის პროფესიულ საქმიანობაში ჩარევა და ზეწოლა დაახელა. იმ პირების დასახელებაზე კი, ვისგანაც მოდიოდა ზეწოლა, ხოფერიამ უარი განაცხადა. ამას მოჰყვა „რუსთავი 2“-ის დირექტორის, ნიკა ტაბატაძისა და ექვსი ჟურნალისტის არხიდან წასვლა.

პრობლემას წარმოადგენს მაუწყებლობასთან დაკავშირებული სიხშირეების არათანაბრად განაწილების საკითხიც. ტელეკომპანია „თანამგზავრი“ კახეთის რეგიონში მაუწყებლობს და ფარავს თელავსა და მის გარშემო მდებარე სოფლებს. მოსახლეობის განცხადებით, იგი კონკურენციას უწევს საკაბელო ტელევიზია „გორდას“, რომელსაც სამაუწყებლო პაკეტში 22 არხი აქვს. ადგილობრივი ხელისუფლება მის ერთ-ერთ არხს „MUZ-TV“-ს იყენებს კვირაში ორჯერ (ხუთშაბათსა და შაბათს) მთავრობის მიერ რეგიონში განხორციელებული ღონისძიებების საინფორმაციო გადაცემაში გასაშუქებლად. საკაბელო ტელევიზია „გორდა“ არ რთავს თავის ქსელში ტელეკომპანია „თანამგზავრს“, რამაც მკვეთრად შეამცირა მისი აუდიტორია ქ. თელავში. ამჟამად, ეს ტელევიზია ძირითადად სოფლებში მაუწყებლობს, რადგან იქ საკაბელო არხები არ აქვთ ჩართული.

ტ/კ „თანამგზავრის“ დირექტორის, ენრი კობახიძის განცხადებით, მათი საქმიანობის უმთავრესი პრობლემა ამ დროისათვის არის საოფისე ფართის უქონლობა. დაახლოებით 9 თვეა, რაც მათ უკავიათ 2 ოთახი არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციური დაცვის ცენტრის“ ოფისში. მას შემდეგ, რაც ტელევიზიის ყოფილმა დირექტორმა და აქციების 40% წილის მფლობელმა, ზურა ქუმსიაშვილმა მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული შენობის დაცლა, აღნიშნულ ტელეკომპანიას აქვს შენობის მოძიების პრობლემა. ე. კობახიძისა და ჟურნალისტების მტკიცებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იბარებენ „თანამგზავრის“ ხელმძღვანელების მიერ შერჩეული შენობების მეპატრონეებს და დაშინებით აიძულებენ „თანამგზავრთან“ საოფისე ფართის ქირავნობის ხელშეკრულებაზე უარი განაცხადონ. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრებში შენობის მეპატრონეები არ ადასტურებენ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ამგვარ ზეწოლას.

შენობის უქონლობისა და სამუშაო ფართის არარსებობის გამო დაიხურა საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა „დილოგი“. გადაცემის დახურვამდე კი, ამ გადაცემის ავტორისა და წამყვანის, ნატო მეგუთინიშვილის თქმით, ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლას, რომ მათ არ გაეშუქებინათ მოვლენები ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. „თანამგზავრის“ ჟურნალისტებს უარს ეუბნებოდნენ ინტერვიუზე, რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მხრიდან მათ მიმართ დამამცირებელ მოპყრობას, ხოლო თელავის საკრებულოს პრესსამსახური კი, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის, გოჩა მამაცაშვილის მითითებით, მხოლოდ მათ არ აწვდიდა საჯარო ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ლონისძიებებზე. სამაუწყებლო კომპანია „თანამგზავრის“, ჟურნალისტებმა განაცხადეს. რომ ადგილი აქვს დაუფარავ მუქარას მათ მიმართ გამგეობის წარმომადგენლების მხრიდან, ხდება მუდმივი ძალის დემონსტრირება.



ანალოგიური პრობლემები აქვს ბათუმის ადგილობრივ ტელეკომპანია TV-25-ს. საქმის ვითარებაში გარკვევის მიზნით 2007 წლის 22 იანვარს სახალხო დამცველი თავის ოფისში შეხვდა ტელევიზიის დამფუძნებელს, მერაბ მერკვილაძეს. საუბრისას გამოიკვია, რომ მაუწყებლობასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშვა 2006 წლის 28 ივნისს, როდესაც ბათუმში არსებულმა ათამდე საკაბელო ტელევიზიამ შეწყვიტა თავის ქსელში ამ არხის მაუწყებლობა.

მოგვიანებით, ხუთმა საკაბელო ტელევიზიამ ჩართო TV-25-ი თავის ქსელში, ხოლო სამმა მსხვილმა საკაბელო კომპანიამ (ესენია, XXI, „ერა“ და „ბნზ“) უარი განაცხადა. ისინი TV-25-ის ხელმძღვანელობასთან პირად საუბრებში კომერციულ მიზეზს ასახელებენ, კერძოდ, ითხოვენ ანაზღაურებას იმისათვის, რომ მოხდეს TV-25-ის მათ საკაბელო ქსელში ჩართვა. ჩვეულებრივ, მიღებული პრაქტიკის თანახმად, როცა საკაბელო კომპანიები იყენებენ სხვა ტელევიზიების პროდუქციას, თავად იხდიან თანხას ამ პროდუქციისთვის. TV-25-ის ხელმძღვანელობა ამას საკაბელო კომპანიებზე ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლით ხსნის.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, TV-25-ის წარმომადგენლის განმარტებით, ინფორმაციის მოპოვებისას მათ დაბროლებას უქმნიდნენ უფრო ადგილობრივი ხელისუფლების პრესსამსახურების თანამშრომლები, ვიდრე თვით სახელმწიფო მოხელეები. ასე, მაგალითად, ზაფხულში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი იმყოფებოდა ბათუმში კინოთეატრ „ინტერნაციონალის“ გახსნაზე, აჭარის მთავრობის აპარატის პრესსამსახურის მაშინდელმა უფროსმა ცეცხლაძემ მხოლოდ TV-25-ის ჟურნალისტებს მოსთხოვა აკრედიტაცია.

აღსანიშნავია, რომ რეგიონებში საკაბელო ტელევიზიების დომინირებული მდგომარეობა მაუწყებლობის სფეროში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი ტელეკომპანიებისათვის. ამ უკანასკნელთ მოსახლეობის მხოლოდ ის მცირერიცხოვანი აუდიტორია რჩებათ, რომლებიც ვერ ახერხებენ საკაბელო ტელევიზიის ჩართვას ფინანსური პრობლემების გამო. აუდიტორიის სიმცირე



ინვესსიის სარეკლამო ბაზრის დაკარგვას, რასაც რეგიონული სამაუწყებლო კომპანიის ფინანსური პრობლემები მოსდევს ხოლმე. ამ პროცესებს კი, შესაძლოა, ადგილობრივი ტელევიზიების დახურვა მოყვეს.

საკაბელო სისტემების განვითარებას უნდა მოყვეს შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება, რომლებიც დაარეგულირებს მაუწყებლობის სფეროს და საკაბელო სისტემების მიერ პროგრამირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს გათვალისწინებული იქნება ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, აუდიტორიისა და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აშშ-ს კონგრესის 1984 წელს გამოცემული საკაბელო კომუნიკაციების აქტი, რომლის თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა საკაბელო ორგანიზაციებისათვის ოპერატორების მხრიდან სამაუწყებლო ნებართვის გაცემის ვალდებულების დადგენა. მოგვიანებით, როდესაც საკაბელო კომპანიებმა დაიწყეს პროგრამის მომხმარებელიდან პროგრამის მიმწოდებლის სახით საქმიანობა, საჭირო გახდა ფედერალურ კანონებში ცვლილებების შეტანა. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში ამ სფეროს რეგულირებას ყოველთვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ახორციელებდნენ. ამჟამად ფედერალური კანონები საკაბელო ოპერატორებს უყენებენ მოთხოვნას, ადგილობრივი სამაუწყებლო კომპანიები ჩართონ გადაცემათა პაკეტში.

კომუნიკაციების ფედერალური კომისიის მიერ საკაბელო ტელევიზიების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები შეიქმნა სამაუწყებლო ტელეკომპანიების დაცვისათვის, ვინაიდან საფრთხე იმისა, რომ საკაბელო სისტემებს შეეძლო შეემცილებინა ადგილობრივი ლიცენზირებული ტელეკომპანიების აუდიტორიები და შემოსავლები ბაზრის გარეთ არსებული მაუწყებლების საკაბელო სისტემაში ჩართვით, რეალურად წამოიჭრა. 1984 წლის კანონი „საკაბელო კომუნიკაციების პოლიტიკის შესახებ“ არ აღმოჩნდა ეფექტური ბევრი მომხმარებლისა და კონგრესის აზრით. ამის საპასუხოდ, კონგრესმა 1992 წელს გამოსცა აქტი „საკაბელო ტელევიზიისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კონკურენციის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საკაბელო სისტემებისგან ძირითადი პაკეტის დადგენისა და მასში ადგილობრივი საეთერო სამაუწყებლო ტელეარხების სავალდებულო გაშვების წესები. 1976 წლის კანონით „სავტორო უფლებების შესახებ“ კი, მონესრიგდა ადგილობრივი (რეგიონული) მაუწყებლობის ქსელში ჩართვისა და კომპენსაციების გადახდის საკითხი. ყველა ეს სამართლებრივი დოკუმენტი ადგენს საკაბელო სისტემის ვალდებულებას, თავიანთ სისტემაში ჩართონ იმ არეალში მიღებული კომერციული და არაკომერციული ტელეკომპანიები.

ამრიგად, აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებული შესაბამისი აქტებით საკაბელო მაუწყებლობისა და სავტორო უფლებების რეგულირების შესახებ, საკაბელო სისტემებს ევალებათ, ჩართონ ადგილობრივი კომერციული და არაკომერციული ტელესადგურები ან მიიღონ მათგან რეტრანსლაციის თანხმობა. ამით ადგილობრივი ტელეკომპანიები დაცულია უშუალო საკაბელო კონკურენციისგან. ვფიქრობთ, საქართველოშიც უნდა იქნეს მიღებული სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტები, რათა სამაუწყებლო სისტემაში საკაბელო ტელეკომპანიების გაძლიერებისა და არსებული მზარდი კონკურენციის პირობებში დაცული იქნეს ადგილობრივი ტელევიზიების საქმიანობის უფლება.

კახეთის რეგიონული ტელეკომპანია „თანამგზავრისა“ და ბათუმის ტელევიზია „TV-25-ის“ პრობლემების შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს, შეისწავლოს და განიხილოს ადგილობრივი ტელეკომპანიების სამაუწყებლო სივრცისა და აუდიტორიის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხები, რათა საკაბელო კომპანიების დომინირებულმა მდგომარეობამ ხელი არ შეუშალოს ადგილობრივი მაუწყებლების განვითარებასა და საქმიანობას რეგიონებში.

აღნიშნული უწყებიდან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ მაუწყებლობის ტრანზიტის განმარტოვებული პირების მიერ მათი სამაუწყებლო პაკეტების დადგენა ხორციელდება საკონტრაქტო საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომ-

დინარე, კომისია არ არის უფლებამოსილი დაავალდებულოს მაუწყებლობის ტრანზიტის განმარტების ციკლებელი პირი, უზრუნველყოს ადგილობრივი სამაუწყებლო კომპანიის გადაცემების საკუთარ სამაუწყებლო პაკეტში განთავსება. ამ კომპანიების სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია მათივე ლიცენზიებით.

საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიიდან მიღებული პასუხიდან არ იკვეთება საკაბელო კომპანიებისა და რეგიონული ტელევიზიების მაუწყებლობასთან დაკავშირებული საკითხის გადახედვისა და დარეგულირების ნება კომისიის მხრიდან.

აკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხები

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით პრესისათვის დაწესებული ორწლიანი საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადა 2006 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა. პრესა 2007 წლამდე გათავისუფლებული იყო მოგების და ქონების გადასახადისგან, ასევე, სარეკლამო მომსახურების განვითარებული მოგებისგან. არ იბეგრებოდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემით დაკავებული პირების ბალანსზე არსებული და ამ საქმიანობაში უშუალოდ გამოყენებული ქონება. საპარლამენტო უმრავლესობამ უარი თქვა ამ შეღავათების გაგრძელებაზე.

რაც შეეხება რეგიონებს, ახალი მედიასაშუალებების ხელისუფლების მხრიდან დაფინანსება სერიოზულ პრობლემებს უჩენს მოქმედ გაზეთებს – ისინი არათუ ვითარდებიან, რომ შესაძლებელი იყოს ადგილობრივ ბაზარზე მათი დამოუკიდებლად გამოყვანა, არამედ ხშირ შემთხვევაში კოტრდებიან და იხურებიან. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ რეგიონებში დამოუკიდებელი მედია რეალური საფრთხის წინაშეა.

საკანონმდებლო ბაზა, ჟურნალისტური ეთიკის საკითხები

ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აღნიშნულ სფეროს არეგულირებს, შეესაბამება ძირითად ევროპულ მოთხოვნებს – განსაზღვრულია მაუწყებლობის ფორმები, დრო, შუალედები.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილმა მაუწყებელთა ეთიკის კოდექსის პროექტმა დიდი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საზოგადოებაში. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ არსებული კანონისგან განსხვავებით, რომელიც მისაღებია და ლიბერალური, მაუწყებელთა ეთიკის პროექტი, მისი ცალკეული მუხლების სახით, მიუღებელი და, იმავდროულად, გაუგებარი აღმოჩნდა მასმედიის ბევრი წარმომადგენლისთვის.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განცხადებით, ეთიკის კოდექსის განხილვის ვადამ აპრილამდე გადაინია. მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა მაუწყებელთა ეთიკის კოდექსის ახალი ვარიანტი, რომელიც გაცილებით მცირე ზომის დოკუმენტია და თავისი არსითა და შინაარსით განსხვავდება წინამორბედი დოკუმენტისგან.

ზოგადი ეთიკის ნორმების დადგენა აუცილებელია იმისათვის, რომ ყველა ტელეკომპანიამ თანაბარი კონკურენციის პირობებში იარსებოს. მისაღებია ერთიანი ქვეყნის კოდექსი, რომელიც ზოგადად დაარეგულირებს ამ საკითხს. ლიცენზიის მქონე ორგანიზაციებმა უნდა შექმნან შიდა რეგულირების სისტემა. არსებული კანონპროექტი ზოგადად, თავისი შინაარსით არ არის მისაღები, რადგან შეუძლებელია რეალური ეთიკის ერთიანი სისტემის შემუშავება, თუმცა პროექტში არის ისეთი ნორმებიც, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება ძალზე სასარგებლო ასპექტებთან მიმართებაში.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და „ახალი



მემარჯვენეების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მომზადდა სახალხო დამცველის წინადადებები, თუმცა ამავე წლის 29 დეკემბერს პარლამენტმა №4319 კანონით დაჩქარებული წესით მიიღო მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, გიგა ბოკერიას მიერ ინიცირებული ცვლილებები.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი „ჰ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი შინაარსით: „ქცევის კოდექსი წარმოადგენს კომისიის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიის მფლობელთა მიერ მომსახურების გაწევის წესს.“ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, მაუწყებელს ეკისრება ერთადერთი ვალდებულება – ნორმატიული აქტის „ქცევის კოდექსის“ საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

აღნიშნული კანონპროექტის 59¹-ე მუხლის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლების და ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაუწყებლის შიდა რეგულირების მექანიზმების ფარგლებში. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი შეეხება მაუწყებლის მიერ არასწორი და არასრული ინფორმაციის საპასუხო განცხადების გაკეთების ვალდებულებას; 54-ე მუხლი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განსხვავებული აზრის მაქსიმალურად ფართოდ წარმოჩენის ვალდებულებას; 59-ე მუხლი – ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების საუკეთესო საეთერო დროს განთავსების ვალდებულებას.

აღნიშნულ სფეროში მაუწყებლის საქმიანობის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მოქცევა სავსებით მისასაღამებელია, მაგრამ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს 56-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების მხოლოდ მედიის შიდა რეგულირების მექანიზმებით გადაწყვეტა სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე. 56-ე მუხლის შეიცავს აკრძალვას ომის ნებისმიერი სახით პროპაგანდაზე (56.1 მუხლი), პროგრამები, რომელიც შეიცავს რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივებას ან ამ ნიშნით დისკრიმინაციას (მე-2 და მე-3 მუხლები), პორნოგრაფიის აკრძალვას და ბავშვების მავნე ზეგავლენისაგან დაცვას. არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში სახელმწიფოსათვის წარმოადგენს არანაკლები ინტერესის საგანს. სახელმწიფო თვითონ არის ვალდებული, უზრუნველყოს არასრულწლოვნების ნორმალური ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარება. აღნიშნული ვალდებულება თავის თავში მოიცავს ეფექტური სამართლებრივი პროცედურების დადგენას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სანქციების დაკისრებას იმ სუბიექტების მიმართ, ვინც სერიოზულ საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა ნორმალურ განვითარებას, ომის და ძალადობის პროპაგანდის, პორნოგრაფიული ნაწარმის გავრცელების გზით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „Müller and others v. Switzerland“ საქმეზე განაცხადა: „ნახატები ასახავს სექსუალურ ურთიერთობებს... ფართო საზოგადოებას თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი მათზე, რამდენადაც ორგანიზატორებს არ დაუწესებიათ შესვლის ფასი ან ასაკობრივი ცენზი.“ (36 პარ). შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია მე-10 მუხლის დარღვევად გამოფენის ორგანიზატორის მსჯავრდება შვეიცარიის სასამართლოების მიერ.

სახელმწიფომ, ასევე, უნდა იზრუნოს ეთნიკური, რელიგიური და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სხვა ნიშნით გამორჩეული უმცირესობების დაცვაზე. ნებისმიერი ფორმით დისკრიმინაციის აღკვეთის ვალდებულება წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგად პრინციპს, რომელიც აღიარებულია ცივილიზებული საზოგადოების მიერ. დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი არ იცავს ნაციონალური ხასიათის გამონათქვამებს, მოსაზრებებს ან ისეთი სახის პროპა-

განდას, რაც ხელს უწყობს რასობრივ დისკრიმინაციას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Kühnen v. the Federal Republic of Germany“, სადაც გერმანიის მთავრობამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა ბატონ კოჰნენს საგაზეთო პუბლიკაციისათვის, რომელიც შეიცავდა სიონისტების, უცხოელი მუშების, ერთიანი გერმანული რასობრივი სიამაყის იდეის მონინაალმდეგეთა განადგურების მოსაზრებებს. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა კონვენციის მე-17 მუხლზე, რომელიც კრძალავს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განადგურება. ნაცისტური და დისკრიმინაციული რიტორიკა, სასამართლოს განმარტებით, წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის პრეამბულურ მოთხოვნასთან ძირითად თავისუფლებათა ეფექტური დემოკრატიული პოლიტიკით განმტკიცების შესახებ. გერმანიის წინააღმდეგ მიმართული მეორე განაცხადის ავტორი იყო პირი, რომლის გამობატვის ფორმა უფრო მსუბუქი და აკადემიური იყო. სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორმა ეჭვი შეიტანა ჰოლოკოსტის არსებობაში, რასაც გარკვეული არგუმენტებით ასაბუთებდა. გერმანიის მთავრობამ პუბლიკაციის ავტორი 16 მილიარდი გერმანული მარკით დააჯარიმა. სასამართლომ სახელმწიფოს ქმედებებში კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა ვერ დაადგინა.

აღნიშნული პრაქტიკა ნათლად მეტყველებს საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებაზე, მიიღოს ეფექტური, მათ შორის, საკანონმდებლო ზომები პორნოგრაფიის აკრძალვის, ძალადობის პროპაგანდის და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღკვეთის და არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით. აღნიშნული მიზნების მიღწევა მედიის შიდა რეგულირების მექანიზმის მეშვეობით არაეფექტურია. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, „არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების კატეგორიათა მისანიჭებელი კრიტერიუმები განისაზღვრება ქცევის კოდექსით.“ შესაბამისად, ქცევის კოდექსის გარეშე ვერ მოხდება იმ სუბიექტების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ არასრულწლოვნებზე.

მიგვაჩნია, რომ ზუსტად უნდა მოხდეს იმ ურთიერთობების ვინაობა რეგლამენტაცია, რომელსაც ქცევის კოდექსი დაარეგულირებს და რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში მაუწყებელს დაეკისრება კანონით გათვალისწინებული სანქციები. ამისათვის მიგვაჩნია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „3¹³“ პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3¹³) ქცევის კოდექსი – ამ კანონის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიის მფლობელთა მიერ მომსახურების განევის წესს არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის, ომის ან ძალადობის პროპაგანდის, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, ან/და ამ ნიშნით დისკრიმინაციის, პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელების აღკვეთის სფეროში.“

ლიცენზირების საკითხი

ლიცენზირებული პროდუქციის გამოყენების საკითხი განისაზღვრა 1986 წლის ბერნის კონვენციით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ, რომელიც ადგენს მხატვრული ფილმების ლიცენზირების ჩვენების წესს. საქართველო ამ კონვენციას 1995 წლის 15 მაისს მიუერთდა. გაერთიანებული ერების ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიშის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა საქართველოში შეესაბამება ძირითად მრავალმხრივ ხელშეკრულებებს ამ სფეროში, რომელთაგან უმთავრესია ე.წ. „TRIPs“-ის ხელშეკრულება (Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights). ამ დოკუმენტის მე-9 მუხლი, ნან.2, პ.1. განსაზღვრავს ვიდეოპროდუქციაზე საავტორო უფლებების წესს და ბერნის კონვენციის 1-21 მუხლებთან მიმართებით, ადგენს სათანადო ზომებს ამ უფლების დარღვევისთვის.



საქართველოს სატელევიზიო სივრცეში აღნიშნული საკითხი სამართლებრივად არის რეგულირებული. ლიცენზირების წესის დარღვევებზე რეაგირების პრეცედენტი კი, პირველად ტელეკომპანია „იმედის“ მიერ „მზისა“ და „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ სამოქალაქო წესით წარმოებული სარჩელის სახით გვხვდება, რომლებიც მხატვრული ფილმების უკანონოდ ჩვენებას შეეხებოდა.

ტელეიმედი ტელეკომპანია „მზის“ წინააღმდეგ

ტელეკომპანია „მზე“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავისი ეთერით უნებართვოდ უშვებდა ტელეიმედის მიერ შექმნილ მხატვრულ ფილმებს. 2004 წლის 16 დეკემბერს ტელეიმედმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა „მზისგან“ საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2500 აშშ დოლარის ოდენობით. საქმე ეხებოდა ტ/კ „მზის“ მიერ 2004 წლის 05 ნოემბერს 23:45 საათზე ნაჩვენებ მხატვრულ ფილმს „თუნუქის დოლი“.

ტელეიმედის განცხადებით, აღნიშნული ფილმის საქართველოს ტერიტორიაზე საჯარო გადაცემის განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის მხოლოდ ტელეიმედს. მათ ეს უფლება შეიძინეს კომპანია „ოუ სიზი სტუდიო“-საგან („OU CP STUDIO“) 2003 წლის 25 ივნისს გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულებით ლიცენზიატს (ტელეიმედს) უფლება აქვს აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა მიერ („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

მოსარჩელის განცხადებით, ტ/კ „მზემ“ დაარღვია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი (ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები), 37-ე მუხლის 1-ლი (განსაკუთრებული ლიცენზია), 46-ე მუხლის მე-2 (მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები) და 58-ე მუხლის მე-2 პუნქტები (საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევა). შესაბამისად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ტელეიმედმა მოითხოვა მოპასუხისაგან კომპენსაციის გადახდა 2500 აშშ დოლარის ოდენობით.

საოლქო სასამართლომ 2005 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით მთლიანად დააკმაყოფილა ტელეიმედის მოთხოვნა და „მზეს“ დააკისრა აღნიშნული თანხის გადახდა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება „მზემ“ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც გაიზიარა „მზის“ ზოგიერთი მოსაზრება (ტელეკომპანია „მზე“ ამტკიცებდა, რომ მან პროგრამაში კი შეიტანა ფილმი, მაგრამ სინამდვილეში აჩვენა სულ სხვა ფილმი), გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაუბრუნა საქმე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. საქალაქო სასამართლოს დღემდე არ განუხილავს აღნიშნული საქმე.

ტელეიმედი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

2004 წლის 15 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედმა“ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა „რუსთავი 2“-ის მიერ საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ტელეიმედის განცხადებით, „რუსთავი 2“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლიცენზიის გარეშე უშვებდა „იმედის“ მიერ შექმნილ მხატვრულ ფილმებს.

ტელეიმედი თავის სარჩელში ამტკიცებდა, რომ „რუსთავი 2“-ის ეთერში ფილმის უკანონოდ გაშვების შედეგად ვერ მიიღო ის შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა, მოპასუხეს რომ არ დაერღვია მისი უფლებები. ტელეიმედს მოუნია ფილმის ჩვენების რაც შეიძლება მეტი ხნით გადავადება, რადგანაც „რუსთავი 2“-ის მიერ უკვე ნაჩვენები ფილმის მისი ეთერით გამეორება დაწვეს რეიტინგს. რეიტინგის დაწვევა კი დაუყოვნებლივ გამოიწვევს „იმედის“ სარეკლამო შემოსავლების კლებას.

საოლქო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება („რუსთავის 2“ არ გამოცხადდა პროცესზე), რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა ტელეიმედის მოთხოვნა და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს ტელეიმედის სასარგებლოდ დაეკისრა 2500 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა არ იხდოდა არც დაკისრებულ თანხას. ტ/კ „იმედმა“ მიმართა სააღსრულებო დეპარტამენტს, რის შემდეგაც „რუსთავი 2“-მა სრულად გადაიხადა გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა.

ტელეიმედის განცხადება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში „რუსთავი 2“-სთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

2004 წელს ტელეიმედმა მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რათა ტელე-კომპანია „რუსთავი 2“-სთვის დაეკისრებინა ადმინისტრაციული სახდელი, ტელეიმედის მიერ კანონიერად შეძენილი სატელევიზიო პროდუქციის სატელევიზიო ეთერით ნებართვის გარეშე გაცემის გამო.

კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მხატვრული ფილმის საჯარო ორჯერადი გადაცემის განსაკუთრებული უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ ტელეიმედს, შპს „ЕАТВ-ФИЛЬМ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა დაარღვია „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის 45¹⁰ მუხლის პირველი პუნქტის, აგრეთვე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-6 თავის შესაბამისად (კომისიის მიერ მონიტორინგისა და შემოწმების განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესები), კომისიაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება ტ/კ „რუსთავი 2“-ის მიმართ.

საქმის განხილვის შემდეგ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დააკმაყოფილა ტელეიმედის მოთხოვნა და „რუსთავი 2“-ს დააკისრა ადმინისტრაციული სახდელი, რომელიც გათვალისწინებულია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 144¹ მუხლით: „კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში [...] ლიცენზიის პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 5.000 ლარის ოდენობით“. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ „რუსთავი 2“-მა გადაიხადა ადმინისტრაციული სახდელი.

50-ე მუხლის პირველი ნაწილი აკისრებს მაუწყებელს არაპროპორციულ ვალდებულებას ახალი ამბების 1/3 დაუთმოს საარჩევნო კამპანიის გაშუქებას. იგივე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ვალდებულებას აკისრებს მაუწყებელს საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას აუდიტორიას შესთავაზოს სპეციალიზირებული საარჩევნო პროგრამები. ბუნებრივია, ასეთი გადაცემების შექმნა თავის თავში მოიცავს გარკვეული ხარჯების გაღებას. სპეციალიზირებული საარჩევნო პროგრამების ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ინტერესი მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების და მათი წინასაარჩევნო პროგრამის შესახებ. აღნიშნული ვალდებულების განსაზღვრისას არ ხდება დიფერენცირება კერძო და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის. საზოგადოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ფინანსური სახსრები აკუმულირებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშზე. შესაბამისად, უფრო უპრიანი იქნება საარჩევნო სპეციალური გადაცემების მომზადების ვალდებულების სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის დაკისრება.

მისასაღმებელია, რომ „ქცევის კოდექსის“ წარმოდგენილი ვარიანტი შეიცავს არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის ეფექტურ მექანიზმებს. მაუწყებელთა საბჭოს შეუძლია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა სანქცია დააკისროს სამაუწყ-



ყებლო კომპანიას „მაუნყებლობის შესახებ“ კანონის და „ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. იქმნება არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმების რეესტრი. წყალგამყოფამდე სიშიშვლის ჩვენება დასაშვები ხდება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის და თუ არსებობს სათანადო სარედაქციო დასაბუთება. განსაზღვრულია კონკრეტული ფილმების კატეგორია, რომელთა ჩვენების თანმიმდევრობა დასაშვებია წყალგამყოფის შემდეგ. საბავშვო გადაცემების სპეციალური საინფორმაციო გამოშვებებით შეწყვეტის შემთხვევაში, მაუნყებელს ეკისრება ვალდებულება წინასწარ გააფრთხილოს აუდიტორია სპეციალური გამოშვების ეთერში გასვლის თაობაზე, სადაც გამოყენებული იქნება არაორდინალური ძალადობის სცენები. „ქცევის კოდექსი“ სხვა საკანონმდებლო აქტებთან კავშირში მოიცავს არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის ეფექტურ მექანიზმებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს, უცხოელს, იურიდიულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია, თუ იგი არ განეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ და პირად საიდუმლოებას. ინფორმაციის მოთხოვნისას პირი ვალდებული არ არის, მიუთითოს ინფორმაციის მიღების მოტივი ან მიზანი.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე და, აგრეთვე, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე ამ დაფინანსების ფარგლებში.

საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება, რომ ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები იყოს მაქსიმალურად დაცული. საზოგადოებას დღეს აქტიურად აინტერესებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის შინაარსი, მათ მიერ გახარჯული საბიუჯეტო სახსრები, სხვადასხვა ღონისძიებები და ა.შ. გარდა ამისა, მოქალაქეთა დიდი ნაწილი უკვე კარგად ერკვევა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებში და ამიტომ მათ ყოველთვის უჩნდებათ სამართლიანი პრეტენზიები, როდესაც საჯარო დაწესებულება არღვევს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო დაწესებულებაში არსე-

ბული ნებისმიერი ინფორმაცია, თუ ის დადგენილი წესის მიხედვით არ არის გასაიდუმლოებული, საჯარო ხასიათისაა, შესაბამისად, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ წესსა და ვადებს. იმისათვის რომ პირმა მიიღოს სასურველი საჯარო ინფორმაცია, მან უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. ზ.ა.კ-ის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან კონკრეტული გარემოებების არსებობისას არაუგვიანეს 10 დღისა. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციის სწრაფი გაცემა, ამიტომ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ.

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილია არაერთი საქმე, რომელიც ეხება სწორედ ამ ვადების დარღვევას და ინფორმაციის გაცემის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ადმინისტრაციულ ორგანოთაგან ერთპიროვნულად ლიდერობს ქ. თბილისის მერია და მისი საქალაქო სამსახურები.

ზვიად კეკელიძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ზვიად კეკელიძემ. იგი აღნიშნავდა, რომ მან, როგორც სამხედრო ძალების ვეტერანმა, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების 49-ე მუხლის საფუძველზე, მიწის უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნით მიმართა ქ. თბილისის მერიას და საკრებულოს. აღნიშნულმა უწყებებმა ზ.კეკელიძის წერილი განსახილველად და გადასაწყვეტად, კომპეტენციის შესაბამისად, გადაუგზავნა ქ.თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურს. საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული სამსახურის წერილი მოქალაქისადმი, სადაც განმარტებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე, მას „უფლება აქვს უსასყიდლოდ მიიღოს მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ან საბაღე მეურნეობისათვის ქალაქის ტიპის დასახლებაში – 0,1 ჰექტარი, ხოლო, სოფლად – 0,25 ჰექტარის ოდენობით ოჯახის თითოეულ წევრზე. საქართველოს დედაქალაქი თბილისი არ წარმოადგენს ქალაქის ტიპის დასახლებას“.

მიღებული პასუხის განმარტებისათვის მოქალაქემ ხელმეორედ მიმართა ურბანული დაგეგმარების სამსახურს 2006 წლის 28 ივნისს, რაც დარეგისტრირდა ამ სამსახურის კანცელარიაში 2006 წლის 29 ივნისს №კ-264. ამ წერილის თანახმად, ზვიად კეკელიძე ითხოვდა წერილობით განმარტებას, ვრცელდება თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულება ქალაქ თბილისზე და თუ არა, სად უნდა მიეღო ბრძანებულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი. აღნიშნულზე პასუხი მას არ მიუღია კანონით დადგენილ ვადაში, რითიც დაირღვა მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლით მინიჭებული უფლება რომლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში“. ასევე დაირღვა, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ამავე კოდექსით დადგენილი ვადები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის საფუძველზე დაუყოვნებლივ ეცნობებინა ზვიად კეკელიძესთვის მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ხოლო, ამავე კანონის ამავე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა.

2006 წლის 09 დეკემბრის №3093 წერილით ცნობილი გახდა, ზვიად კეკელიძის მიერ 2006 წლის 25 აგვისტოს განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შესახებ სამსახურმა პასუხი მოამზადა კანონით დადგენილ ვადაში. ამავე წერილში უთითებენ, რომ პასუხის მისაღებად მოქალაქე თავად უნდა გამოცხადებულიყო ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ვინაიდან მათ არა აქვთ საფოსტო მომსახურება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ეს არასწორია, რის გამოც მიმართა დასახელებულ სამსახურს, რომ „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა თავად უზრუნველყოს განმცხადებლისთვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაგზავნა და მოითხოვა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

თენგიზ მიქაძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე თენგიზ მიქაძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ 2006 წლის 19 ოქტომბერს წერილობით მიმართა ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს. აღნიშნული წერილი იმავე დღეს იქნა რეგისტრირებული 2806-01/6 ნომრით. განმცხადებელი ითხოვდა საჯარო ინფორმაციას, ქ. თბილისში ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე №3 კორპუსის საკუთრებაში არსებული მიწა მიეკუთვნებოდა თუ არა გამწვანების ზოლს. როგორც თავად განმცხადებელი აღნიშნავდა, პასუხი დიდი ხნის განმავლობაში არ მიუღია, რითაც დაირღვა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის კანონით დადგენილი ვადები. მოქალაქე თენგიზ მიქაძე ამავე განცხადებაში უთითებდა, რომ დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა კეთილმოწყობის სამსახურში, რომელიც კანცელარიის თანამშრომელთა მიერ, იმავე ნომრით იქნა რეგისტრირებული, რომლითაც 19 ოქტომბრის განცხადება. ადმინისტრაციულმა ორგანომ ამჯერადაც დაარღვია ზემოაღნიშნული კოდექსის 79-ე მუხლის პირველ ნაწილში დადგენილი ნორმა, რომლის საფუძველზეც, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.“ მოქალაქე თენგიზ მიქაძეს საჩივრის წარმოებაში მიღების ან არ მიღების, წარმოების ვადებისა და სახის შესახებ პასუხი არ მიუღია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კეთილმოწყობის სამსახურმა უგულვებელყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება, რომლის შესაბამისად „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს, გადაეცა თენგიზ მიქაძისთვის მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ასევე, შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით გაენია სამართლებრივი დახმარება. ხოლო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ სამსახურს არ გააჩნია დედაქალაქის რაიონული გამგეობების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოთავსებული გამწვანების ზოლების ტექნიკური დოკუმენტაცია და მათ შესახებ ინფორმაციის მისაღებად მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის რაიონულ გამგეობას.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ვალდებული იყო განცხადებაზე პასუხი მაინც ეცნობებინა მოქალაქისათვის.

გიორგი მკურნალიძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საიპპჩმენტო ინიციატივის ცენტრის დირექტორმა გიორგი მკურნალიძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2006 წლის 28 სექტემბერს №0101 წერილით მიმართა ქ. თბილისის მერიას, რაც კანცელარიაში დარეგისტრირდა იმავე დღეს 11/15305 ნომრით. ამ წერილის თანახმად, მისი ავტორი ითხოვდა ინფორმაციას, სად რამდენი კედელი გამოყო ქ. თბილისის მერიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად. როგორც თავად განმცხადებელი აღნიშნავს, თუმცა პასუხი არ მიუღია.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია საჯარო ხასიათისაა და ვინაიდან ყველას აქვს მისი მიღების



უფლება, დარღვეული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რაც თავის მხრივ არღვევდა მოქალაქე გიორგი მკურნალიძის უფლებებს. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერიას, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცა გიორგი მკურნალიძესთვის მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

მეორე მიმართვაში გიორგი მკურნალიძე აღნიშნავდა, რომ ქ. თბილისის მერიას სხვადასხვა დროს მიმართა საჯარო ინფორმაციის მისაღებად, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, რის გამოც დაირღვა მოქალაქის კანონიერი უფლებები, მაგალითად,

1. ქ. თბილისის მერიის კანცელარიის მიერ, 2006 წლის 19 სექტემბერს 11\14463-ით რეგისტრირებული №078 19.09.06 წ. წერილით, იგი ითხოვდა როდის დაიწყო და როდის მთავრდება (პირველი ფაზა და სრული) ქ. თბილისის მერიის დასაქმების პროგრამა „დაიწყე ბიზნესი დედაქალაქის მერიის დახმარებით“, სად მდებარეობს „ბიზნესის საინფორმაციო ცენტრი“, რა იურიდიული სტატუსი აქვს მას, ვინ არის მისი ხელმძღვანელი და რა თანხით ფინანსდება თბილისის ბიუჯეტიდან.
2. 2006 წლის 19 სექტემბრის №079 წერილით, რომელიც ამავე დღესაა რეგისტრირებული კანცელარიაში 11\14465 ნომრით, გ. მკურნალიძე ითხოვდა ინფორმაციას, რა თანხა იხარჯება დედაქალაქის ბიუჯეტიდან ბუნებრივი აირის მისაღებად, პროფესორ-მასწავლებლებზე 100 ლარიანი ვაუჩერის საჩუქარად გადაცემასთან დაკავშირებით. ასევე, ქ. თბილისის მერიას ადრე თუ განუხორციელებია ან კვლავ აპირებს თუ არა მსგავსი აქციის განხორციელებას.
3. ინფორმაციას ქ. თბილისში 2006 წლის 25 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე რა ტიპის სოციალური, სპორტული და კულტურული აქცია გაიმართა, შემდგომში რა ღონისძიებებია დაგეგმილი, რა თანხებია ამ მიზნით გამოყოფილი და ათვისებული, განმცხადებელი ითხოვდა 2006 წლის 19 სექტემბრის №080 წერილით. იგი ქ. თბილისის მერიის კანცელარიაში მიღებულია 2006 წლის 19 სექტემბერს №11/14468.
4. 2006 წლის 19 სექტემბრის №081 წერილით გ. მკურნალიძე ქ. თბილისის მერიას სთხოვდა ინფორმაციას, რომელი კომპანიები ასრულებენ დედაქალაქში პარკირების მომსახურებას, რა ტიპის კონტრაქტებია მათთან გაფორმებული და რა მოსაზრებით დაწესდა 50 თეთრიანი საათობრივი გადასახადი. აღნიშნული წერილი მერიაში გატარებული იყო 11/14465 ნომრით 2006 წლის 19 სექტემბერს.
5. 2004 წელს ქ. თბილისში, პეროვსკაიას ქუჩაზე რომელმა კომპანიებმა ჩაატარეს გზის საფარის დაგება, რა სახის დაკვეთა და რა ოდენობის თანხა აუნაზღაურდათ მათ, საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრი ითხოვდა 2006 წლის 19 სექტემბერის №083 წერილით, რომელიც ამავე დღესაა რეგისტრირებული კანცელარიაში 11\14470 ნომრით.
6. გიორგი მკურნალიძე 2006 წლის 19 სექტემბრის №085 წერილით, რომელი თბილისის მერიის კანცელარიაში 11/14471 ნომრით არის გატარებული ითხოვდა დეტალურ ინფორმაციას როდის, რამდენი და რა ფასად შეიძინა მერიამ ე.წ. „ყვითელი ავტობუსები“, მოჰყვა თუ არა მათ ცნობა ტექნიკური პარამეტრების შესახებ, მუშაობს თუ არა მასში დამონტაჟებული კონდიციონერები, რა თანხა გამოიყო მათ მოსაგვარებლად, კონკრეტულად რომელი უწყება და თანამდებობის პირი აწარმოებდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენას.

განმცხადებელი აღნიშნავდა, არც ერთ მათგანზე პასუხი არ მიუღია. ამასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიის კორესპონდენციის განყოფილების წამყვანმა სპეციალისტმა, ეკა ქველაძემ სატელეფონო საუბრისას განგვიმარტა, რომ საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრის წერილები, მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსიდან გამომდინარე, გადაიგზავნა მერიის კეთილმოწყობის, სპორტისა და კულტურის, ტრანსპორტის სამსახურებში. გადაცემის შემდეგ, მათ შესრულებაზე ისინი კონტროლს აღარ ახორციელებენ და ადრესატი სამსახურები არიან ვალდებული, განმცხადებელს გასცენ სათანადო პასუხი. ამ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიამ დაარღვია და არ შეასრულა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი ვადები და ვალდებულებები.

კერძოდ, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რომლის საფუძველზე, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.“

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილში დადგენილია, რომ „საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია მერის, პრემიერისა და საკრებულოს წინაშე.“ აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის მერია ზემოაღნიშნული კოდექსის დასახლებული მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, ვალდებული იყო მასთან ანგარიშვალდებული სამსახურებიდან გამოეთხოვა გ.მკურნალიძის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და თავად გადაეცა იგი მისთვის.

ამდენად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერს, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ ეცნობებინა საიმპიჩმენტო პროცედურათა ინიციაციის ცენტრის დირექტორისთვის, გიორგი მკურნალიძისთვის მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. ხოლო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, ემსჯელა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემა.

ქ. თბილისის მერიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. საქმის სრულყოფილი შესწავლის შემდეგ, მოქალაქეს გადაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია, ხოლო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მურად ბურჭულაძის საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მურად ბურჭულაძემ. იგი აღნიშნავდა, რომ მთაწმინდა-კრწანისის გამგეობას რამდენჯერმე მიმართა თხოვნით, ნება დაერთო მისთვის, გაცნობოდა გამგეობის წევრების – საჯარო მოხელეთა პირად საქმეებს და მიეღო საჭირო დოკუმენტების ქსეროასლები.

გამგეობამ 2006 წლის 02 ივნისის №ბ-1047 წერილით „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 271 მუხლის საფუძველზე განმცხადებელს უარი უთხრა მისი თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად „პერსონალური მონაცემები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა“. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით კი „პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია“. გარდა ამისა იმავე კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.“



მოცემულ შემთხვევაში, გამგეობას არ მოუთხოვია მოქალაქისაგან იმ პირთა წერილობითი თანხმობა, ვის პირად მონაცემებსაც ითხოვდა მურად ბურჭულაძე, ამის თაობაზე არც თავად მიუმართავს წერილობით თავისი თანამშრომლებისთვის და აღნიშნულის შესახებ გამგეობის არც ერთი წევრის გადანაცვტილება არ წარმოუდგენია, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ მან საკუთარი ინიციატივით გადანაცვტიდა თავისი თანამშრომლების პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

შინაარსობრივად იგივე თემას ეხებოდა მოქალაქე გელა კვიციანი საქმე, რომელიც აღნიშნავდა, რომ ვაკე-საბურთალოს გამგეობას მიმართა განცხადებით, ეცნობებინა მათი თანამშრომლების რეგისტრაციის მისამართები. 2006 წლის 3 აგვისტოს №კ-2787 წერილით გამგეობამ უარი უთხრა განმცხადებელს მისი თხოვნის დაკმაყოფილებაზე და საფუძვლად მიუთითა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამონმებულ თანხმობას.“

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე კოდექსის 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტში დადგენილი წესის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებას აკისრია ვალდებულება „დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ“. კანონის ეს მოთხოვნა არ შეასრულა ვაკე-საბურთალოს გამგეობამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ვაკე-საბურთალოსა და მთაწმინდა-კრწანისის გამგეობებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად, ეცნობებინა თანამშრომლებისთვის მათი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ. ხოლო, საკითხთან დაკავშირებით, მათგან მიღებული პასუხის შესაბამისად განეხორციელებინა კანონით დადგენილი ღონისძიებები.

მურად ბურჭულაძის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მთაწმინდა-კრწანისის გამგეობიდან მიღებულ იქნა პასუხი, რითა გვეცნობა, რომ გამგეობა შეხვდა მოქალაქეს და ხელზე გადასცა წერილობითი განმარტება, რაც შეეხება გ.კვიციანის საქმეს, რეკომენდაციის თანახმად, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ მიმართა თავის თანამშრომლებს, რათა წერილობით დაედასტურებინათ მათი თანხმობა ან უარი საცხოვრებელი მისამართების გაცემის თაობაზე. გამგეობის თანამშრომლებმა უარი განაცხადეს პერსონალური მონაცემების გახმაურებაზე, რაც მათ კანონიერ უფლებას წარმოადგენს. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა მოქალაქეს და განემარტა, რომ ის ვერ მიიღებდა მოთხოვნილ ინფორმაციას.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის საქმე

2006 წლის 30 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2006 წლის 10 ოქტომბერს №1-257 წერილით მიმართა ქ. თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახურს, რომელიც ამ სამსახურის კანცელარიაში რეგისტრირებულია 2006 წლის 11 ოქტომბერს 228/1-03/7 ნომრით. ამ წერილის თანახმად, მისი ავტორი ითხოვდა იმ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლებს, რომელთა საფუძველზეც ხდება ქ.თბილისის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, არსებული ტექნიკისა და კონტეინერების მათ სარგებლობაში გადაცემა.

ასევე ითხოვდა ინფორმაციას, რა თანხები გაიღო ქ. თბილისის მერიამ აღნიშნული ტექნიკის შესაძენად და რა არის მათი საბალანსო ღირებულება. როგორც თავად განმცხადებელი აღნიშნავდა, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დიდი ხნის განმავლობაში არ მიუღია.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დაირღვა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რაც თავის მხრივ არღვევდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფლებებს. ამდენად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა დასუფთავების სამსახურს, უზრუნველყო განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა და დაესაჯა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რადგან მან დროულად ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული მოვალეობის განხორციელება.

დასუფთავების საქალაქო სამსახურის წერილით ცნობილი გახდა, რომ რეკომენდაცია გაითვალისწინეს და მოქალაქეს დაუყოვნებლივ გადაეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, გარდა ამისა საქმის გამოკვლევის შემდეგ დადგება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა ბრალეულობით გაჭიანურდა ინფორმაციის გაცემა.

შპს „ადათის“ საქმე

2006 წლის 17 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ასოციაცია „აქციონერთა უფლებები და კორპორაციული მართვა“-ს გამგეობის თავმჯდომარე მ. ოთარაშვილმა (იხ. აღნიშნული საქმე, აგრეთვე, საკუთრების უფლების თავში).

საქმეზე თანდართული მასალებიდან გამოირკვა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 05 მაისის №01/18-1/6-1154 წერილით თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კ. ნიქაძემ მიმართა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსს ნ.ბახტაძეს. აღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის №0605924 საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ მოხდეს ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის გამზირი №103-ში მდებარე შ.პ.ს. „ადათის“ კუთვნილი ქონების გასხვისება სხვა პირებზე.

ზემოაღნიშნული წერილის შემდეგ შ.პ.ს. „ადათის“ გენერალურმა დირექტორმა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ ამონაწერის აღების მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღო. განმცხადებლის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოხელეთა მიერ უარი დასაბუთებული იქნა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურის 2006 წლის 05 მაისის წერილით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე თავი განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების წესს, რაც მესაკუთრეს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში-აგრეთვე ქონებით სარგებლობას. ყადაღის დადება დასაშვებია სარჩელის, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებით.

2006 წლის 05 მაისის №01/18-1/6-1154 წერილი არ წარმოადგენდა ქონების გასხვისების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად იგი კანონსაწინააღმდეგოა. გარდა ამისა, წერილის შინაარსიდან გამომდინარე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოხელეთა ქმედებების შედეგად დაირღვა ადამიანის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.“



„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაცენოს ინფორმაციას დედანში.“

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის „მ“ პუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია არის „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.“

28-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.“

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია უძრავი ქონების ამონაწერის გაცემაზე მესაკუთრისათვის უარის თქმის უფლებამოსილება, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან გასაიდუმლოებას არ ექვემდებარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შეესწავლა აღნიშნული ფაქტი, უზრუნველყო საჯარო ინფორმაციის გაცემა და ემსჯელა შესაბამისი პირების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საჯარო რეესტრიდან მიღებული პასუხის თანახმად, გაირკვა, რომ რეკომენდაცია დაკმაყოფილდა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ დაავალა შესაბამის პირებს გაეცათ რეკომენდაციაში მითითებული ინფორმაცია.

პაატა გეგელიას საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე პაატა გეგელიამ, რომელმაც განმარტა, რომ მიუხედავად ქალაქის საკრებულოსა და კეთილმონყობის სამსახურისადმი არაერთგზის მიმართვისა, ვერ მიიღო საჯარო ინფორმაცია რომელი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ახორციელებენ კოკა-კოლასა და ბორჯომის გარე ვაჭრობის დროებითი სტაციონარები კომერციულ საქმიანობას ქ.თბილისის ქუჩებში.

ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ხასიათისაა და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა სათანადო რეაგირებისთვის მიმართა ქ.თბილისის მერიას.

მერიის ადმინისტრაციიდან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის ტერიტორიაზე „კოკა-კოლასა“ და „ბორჯომის“ გარე ვაჭრობის დროებითი სტაციონარების მოქმედების სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე ქ.თბილისის მერიაში ინფორმაცია არ მოიპოვება.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, წერილობით უპასუხოს მოქალაქეს მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ირაკლი ყანდაშვილის საქმე

2006 წლის 28 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა იურიდიული ფირმა „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, მიურატი და პარტნიორები“-ს ადვოკატმა ირაკლი ყანდაშვილმა. იგი

აღნიშნავს, რომ მან და ალექსანდრე ბარამიძემ, საჯარო ინფორმაციის მისაღებად 2006 წლის 20 სექტემბერს №11/14597 წერილით მიმართეს ქ. თბილისის მერიას. ამ წერილის თანახმად, მისი ავტორები ითხოვდნენ ინფორმაციას შპს „დ და გ ტექნოლოგს“ და ქ. თბილისის მერიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებების შესახებ, რომლიც შეეხებოდა მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, კოსტავას, მელიქიშვილის, ქერჩის, კალოუზნის, ირაკლი აბაშიძის, ბავშვთა ქალაქთან მისასვლელ და ვარკეთილის (ზემო პლატოს ჩათვლით) შიდა გზების სარემონტო სამუშაოებს. განმცხადებლებს, აგრეთვე, სურდათ მიეღოთ ინფორმაცია, ტენდერში რის საფუძველზე შეირჩა აღნიშნული კომპანია. ასევე, ითხოვდნენ საქმესთან დაკავშირებით არსებულ ყველა დოკუმენტის ქსეროასლებს. როგორც თავად აღნიშნავენ, მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოაღნიშნული წერილი შესასრულებლად გადაეცა ქ. თბილისის მერიის კეთილმონყობის სამსახურს, 2006 წლის 13 ოქტომბერს განცხადებით მიმართეს ამ უკანასკნელს. განცხადება აღნიშნული უწყების კანცელარიაში რეგისტრირებულია ამავე დღეს 3275-07/7 ნომრით. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია კეთილმონყობის სამსახურსაც არ გაუცია, რის გამოც, ირაკლი ყანდაშვილმა და ალექსანდრე ბარამიძემ საჩივრით მიმართეს ქ. თბილისის მერიის გენერალურ ინსპექციას. საჩივარი ადრესატს ჩაბარდა 2006 წლის 23 ოქტომბერს და რეგისტრირებულ იქნა ნომრით 840, თუმცა არც ის იქნა განხილული. ინსპექციამ რეაგირების გარეშე დატოვა ადვოკატების მიერ 2006 წლის 8 ნოემბერს წარდგენილი საჩივარიც, რომელიც შეეხებოდა 2006 წლის 23 ოქტომბრის საჩივრის რეაგირების გარეშე დატოვებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამონებული ასლი“ ხოლო, ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას“.

იმ დროისათვის მოქმედი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილში დადგენილი იყო, რომ „საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია მერის, პრემიერისა და საკრებულოს წინაშე.“ აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის მერია ზემოაღნიშნული კოდექსის დასახლებული მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, ვალდებული იყო მასთან ანგარიშვალდებული სამსახურებიდან გამოეთხოვა მოქალაქეების მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და თავად გადაეცა იგი მათთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მერიამ დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვადები, რაც თავის მხრივ არღვევს მოქალაქეთა უფლებებს. ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტების საფუძველზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ქ. თბილისის მერიას „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცა ზემოაღნიშნული მოქალაქეებისთვის მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციის ასლებთან ერთად, აგრეთვე განეხილა მათი ადმინისტრაციული საჩივარი. ხოლო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე და 79-ე მუხლე-



ბის შესაბამისად, იმსჯელებთ იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისთვის საჯარო ინფორმაციის დროულად გადაცემა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

„გურია-ნიუსის“ საქმე

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა გაზეთ „გურია-ნიუსის“

კორესპონდენტის ნატო გელაშვილის 2006 წლის 13 ივლისის განცხადებით. ჟურნალისტის ინფორმაციით, მან 2006 წლის 17 აპრილს საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოდან, თუმცა, კანონით დადგენილი ვადის გასვლის მიუხედავად, მას არც ინფორმაცია მიენოდა და არც დასაბუთებული უარი მიუღია.

ჟურნალისტს აინტერესებდა:

- გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოსათვის 2005 წელს გამოყოფილი სახსრების ოდენობისა და ხარჯვის ანგარიში;
- გურიის შს სამხარეო სამმართველოში (ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის რაიონულ განყოფილებებში) რეგისტრირებული ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლებისა და დაკავებული ნარკოტიკების მომხმარებლების და გამსაღებლების რაოდენობა;
- გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს და ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის შს რაიონული განყოფილებების დებულებები;
- ინფორმაცია, ფუნქციონირებს თუ არა გურიის რეგიონში სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი და ვინ ხელმძღვანელობს მას.

ვინაიდან გამოთხოვილი ინფორმაცია არ წარმოადგენს საიდუმლოების შემცველ მასალას, იგი საჯაროა და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გურიის შს სამხარეო მთავარ სამმართველოს და მოითხოვა ჟურნალისტისათვის საჯარო ინფორმაციის გადაცემა.

გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოდან მიღებული დოკუმენტით დასტურდება, რომ მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველი ჩაერთა აღნიშნულ საქმეში და სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებს განემარტათ საჯარო ინფორმაციის მიღების კანონით გარანტირებულ უფლებაზე (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებით), ჟურნალისტს მიენოდა მასალები გურიის მხარეში ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით, ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ და გურიის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულება.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაემატოს მუხლი, რომელიც დაადგენს თანამდებობის პირთა დაჯარიმების პირობებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის, ინფორმაციის დაბლოკვის ან თუნდაც ცალკეული ჟურნალისტისთვის ინფორმაციის მიღებაზე დისკრიმინაციულად ხელშეშლის შემთხვევაში, აგრეთვე, ინფორმაციის ვადის დარღვევით გაცემის გამო.

რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტობის დამკვიდრების კუთხით საანგარიშო პერიოდი ისევ გარკვეული წინსვლით იყო გამორჩეული, მაგრამ ზოგიერთი მიმართულებით მნიშვნელოვანი სირთულეები კვლავაც იჩენს თავს. (იხ.2004, 2005, 2006 პირველი ნახევრის ანგარიშები).

წინა პერიოდთან შედარებით, მართალია, თითქმის არ შემცირებულა ქუჩაში რელიგიურ ნიშნულზე მომხდარი ძალადობის ფაქტები, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, უფრო ადეკვატურად მოქმედებდნენ სამართალდამცავები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიურ მოტივით ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლების ჩაბმის შემდეგ მოხდა. აქედან გამომდინარე, ჯერ ისევ ძნელია სამართალდამცველი უწყებების დაბალი და საშუალო რანგის თანამშრომლების ამ კუთხით საქმიანობის დადებითად შეფასება.

სახელმწიფომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა რელიგიურ უმცირესობებთან პოზიტიური თანამშრომლობისკენ. გაიმართა გაიმართა რელიგიათა საბჭოს შეხვედრები საქართველოს პროკურორისა და შს მინისტრის მოადგილეებთან. შეხვედრებზე იმსჯელეს პრობლემურ საკითხებზე და თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე. რელიგიათა საბჭო შეხვედა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს. ამ შეხვედრების შემდეგ სახალხო დამცველის ოფისში სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ და რელიგიათა საბჭოს წევრმა კონფესიებმა ხელი მო-

ანერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს.

ძალადობა რელიგიურ ნიადაგზე

2006 წლის მეორე ნახევარში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი ძალადობის რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული. აქედან 7 შემთხვევა დაკავშირებულია იეჰოვას მოწმეების მიერ რწმენის საჯაროდ გავრცელების პრაქტიკასთან, ხოლო ერთ შემთხვევაში იეჰოვას მოწმეების კუთვნილ შენობაზე თავდასხმა განხორციელდა.

- 1. 21 ოქტომბერს ვარკეთილი 3-ის 301-ე კორპუსის სადარბაზოში იეჰოვას მოწმეები ქ. წილოსანი და ნ. ხუციშვილი. რელიგიური ლიტერატურის გავრცელებისას, ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყო ვახტანგ სოხაძემ. განცხადება შეტანილ იქნა ისანი-სამგორის შ.ს. სამმართველოში. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.



2. 26 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში იეჰოვას მოწმეებს მურმან ედიბერიძეს და ზაზა ბოჭოიძეს რელიგიური ლიტერატურის გავრცელებისას გააფრადებდნენ როგორც სიტყვიერი ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგად მ.ედიბერაძემ მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.
 3. 3 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ხიდარში ხ. ციკოლია და ხ. ბუაჩიძე მსურველებს სთავაზობდნენ რელიგიურ ლიტერატურას. იმავე სოფლის მკვიდრმა ს.დვალმა, რამდენადაც იცოდა, რომ ისინი „იეჰოვას მოწმეები“ იყვნენ, ორივეს ხელჩანთები გაუჩხრიკა, რათა რელიგიური ლიტერატურა ამოეღო. ამის შემდეგ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მათ, რასაც თან ახლდა გაუპატიურების მუქარა. ხ. ბუაჩიძეს ტვინის შერყევის დიაგნოზით დაუნიშნეს მკურნალობა. ს. დვალი დააკავეს. ეჭვმიტანილის სახით მას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **156-ე მუხლის (რელიგიური დევნა)** მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დ 2006 წლის ნოემბერს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.
 4. 7 დეკემბერს ხარაგაულში იეჰოვას მოწმე ედუარდ პალიკიანს ხარაგაულის ცენტრში დახვდა სამი პიროვნება. მათ შორის გიორგი ტაბატაძე, მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ე. პალიკიანს იმის გამო, რომ ის იეჰოვას მენშეთა აღმსარებლობისაა. განცხადება შეტანილ იქნა ადგილობრივ პოლიციაში, მაგრამ იმის გამო, რომ თავდამსხმელებმა დაზარალებულისა და პოლიციის წინაშე ბოდიში მოიხადეს და აანაზღაურეს მატერიალური ზარალი, საქმე მორიგებით დასრულდა.
 5. 2006 წლის 2 ნოემბერს იეჰოვას მოწმეების მშენებარე „სამეფო დარბაზთან“ შეიკრიბა 50-მდე პიროვნება, მათ შორის მახლობლად მდებარე სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. სკოლის მოსწავლეებმა მიტინგის მსვლელობისას ქვეტი დაუშინეს დარბაზს. შემთხვევის ადგილზე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. აქციის ორგანიზატორი რუსთავის მკვიდრი გოგიტა მელიქიძე იყო.
- ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ 2006 წლის 21 ნოემბერს საქართველოს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს საგამოძიებო დანაყოფში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გოგიტა მელიქიძის მიერ „იეჰოვას მოწმეების“ დავით მსხილაძისა და შალვა ხუციშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, გამომდინარე იქედან, რომ ორივე საქმეში ფიგურირებდა გ. მელიქიძე, საქმეები ერთ წარმოებად გაერთიანდა. 2006 წლის 4 დეკემბერს გ.მელიქიძე ბრალდებულის სახით მიეცა პასუხისგებაში საქ. სისხლოს სამართლის კოდექსის **156-ე მუხლის** მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და 2006 წლის 5 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.
6. 2006 წლის 16 ნოემბერს, დაახლოებით 22-23 საათისთვის, კ.ნინიკური, გ.ალასანია, ნ. ციხელაშვილი, შ. მოსიაშვილი და გამოძიებით დაუდგენელი კიდევ ერთი პირი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს რუსთავში იეჰოვას მოწმეთა მშენებარე ოფისზე თავდასხმა, მისი დარბევა და იქ არსებული ქონების დაუფლება. ამ მიზნით შეამტკრიეს დამხმარე სათავსოს ხის კარი, რომელშიც იმყოფებოდა დარაჯი „იეჰოვას მოწმე“ გ. ნინაშვილი, დაიწყეს მის მიმართ ქვების სროლა, შემდეგ თავისა და ტვინის არეში ცემა ხელებით და ფეხებით, დააზიანეს ოფისში არსებული ჭურჭელი, დაეუფლნენ მობილურ ტელეფონს და რამდენადაც იცოდნენ, რომ ნინაშვილი „იეჰოვას მოწმეა“ აიძულდნენ გ.ნინაშვილს, გადაესახა პირჯვარი.

სახალხო დამცველის წარმომადგენელს დარბევიდან რამდენიმე წუთში დაუკავშირდა ერთერთი იეჰოვას მოწმე, აუწყა დარბევის შესახებ და განუცხადა, რომ მათ გამოიძახეს პატრული, მაგრამ

ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აყოვნებენ რეაგირებას დარაჯის სიტყვებზე, რომელიც სამართალდამცველებს უთითებდა იმის შესახებ, რომ დამრბევები შორს არ წასულან და მათ იოლად შეეძლოთ მათი დაკავება.

ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენელმა შეძლო ეს ინფორმაცია სამართალდამცავი უწყებების მაღალი თანამდებობის პირებისთვის გადაეცა. დარბევებიდან ერთი საათის განმავლობაში დააკავეს ზემოთ ჩამოთვლილი 4 პიროვნება.

2006 წლის 16 ნოემბერს საქართველოს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს საგამოძიებო დანაყოფში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლილს სამართლის საქმეზე, იეჰოვას მონმე გ. წინაშეილის ცემისა და ძარცვის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **178 მუხლის** მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით და 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით დამრბევებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა.

7. 2006 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს მოქალაქეებმა – გიორგი დიდბერიძემ და ლევან ჩუბინიძემ. განცხადებაში ისინი განმარტავენ, რომ არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მონმეების“ წევრები. 19 დეკემბერს, როდესაც განმცხადებლები ქუჩაში ავრცელებდნენ რელიგიური ხასიათის ბროშურებს, მათ მრწამსის საფუძველზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიადგათ ერთ-ერთი მოქალაქის მხრიდან. აგრესორის ვინაობის დასადგენად თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს I განყოფილებაში მისულ გ. დიდბერიძესა და ლ. ჩუბინიძეს იგივე მოქალაქე დახვდათ პოლიციის შენობაში. ინციდენტი განმეორდა – ადგილი ჰქონდა მათ მიმართ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

პოლიციის თანამშრომლებმა გ. დიდბერიძესა და ლ. ჩუბინიძეს განუმარტეს, რომ ეს მოქალაქე გახლდათ ვინმე შალვა სანიკიძე, ე.წ. „ოურის“ უფროსი, თუმცა არავის უცდია მისი უკანონო ქმედებების აღკვეთა. პოლიციის თანამშრომლები გამოხატავენ გულგრილობას რელიგიურ უმცირესობათა უფლების დარღვევის ფაქტის მიმართ და არ რეაგირებდნენ დანაშაულებრივ ქმედებებზე, იმის მიუხედავად, რომ მოვლენები მათ თვალწინ ვითარდებოდა. პოლიციის თანამშრომლებს მოქალაქეებისათვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ. 2006 წლის 28 დეკემბერს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები – ბექა მინდიაშვილი, გიორგი გოცირიძე და თათული თოდუა იმყოფებოდნენ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს I განყოფილებაში (მის: თბილისი, თრიალეთის №50), გიორგი დიდბერიძისა და ლევან ჩუბინიძის საქმესთან დაკავშირებით. ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ განყოფილების უფროსის მოადგილეს, გელა აბესაძეს. საუბრის დასაწყისში გ. აბესაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ინციდენტის შესახებ მას არ სმენია და თავიდანვე გამორიცხა მისი არსებობის შესაძლებლობაც კი. მან ასევე მიუთითა, რომ შალვა სანიკიძეს საერთოდ არ იცნობს.

სახალხო დამცველი თანამშრომლები დაინტერესდნენ 19 დეკემბერს, დღის პირველ ნახევარში მორიგე პოლიციის თანამშრომლების ვინაობითა და მოითხოვეს მათი საკონტაქტო ინფორმაცია საქმის ვითარების შემდგომი გამორკვევის მიზნით. გამოირკვა, რომ პროტოკოლის თანახმად, დღის მანძილზე შენობაში (მისაღებში) მუდმივად იმყოფება ორი პირი: ოფიცერი და რიგითი. ისინი განთავსებულნი არიან მისაღებ ოთახში. ოთახი მდებარეობს შენობის შესასვლელში, კიბეების გვერდით. გარდა ამისა, სამუშაო დღის განმავლობაში განყოფილებაში იმყოფებიან პოლიციის სხვა თანამშრომლებიც, რომლებიც პერიოდულად გადიან გამოძახებებზე. გამოძახების დრო და გასვლის ადგილი შეაქვთ სპეციალურ ჟურნალში. აქვე ფიქსირდება, თუ კონკრეტულად რომელი პოლიციელები გავიდნენ გამოძახებაზე. 19 დეკემბერს, მისაღებში მორიგეობდნენ კვიციანი ბადრი და გურლიკაშვილი გელა, ხოლო ამავე დღეს, დღის საათებში – ტაბატაძე გიორგი, ჩიჩუა ფრიდონ, კუპრიაშვილი დავით, ჩხიტუნიძე ლაშა, გელაშვილი გელა, კახარიანი მარტინ (სულ 6 თანამშრომელი).



სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ესაუბრნენ ლაშა ჩხიტუნძეს, რომელმაც უარყო ფაქტი და აღნიშნა, რომ მსგავს ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. მან განმარტა, რომ 19 დეკემბერს, თათბირიდან გამოსვლის შემდეგ შენობაში იმყოფებოდა. თუმცა დაამატა, რომ ამავე განყოფილებაში სხვადასხვა დროს მოდიან პოლიციის სხვა განყოფილების თანამშრომლებიც. გამომდინარე აქედან, შესაძლოა სწორედ აღნიშნული პიროვნებები შესწრებოდნენ კონფლიქტს.

გ. დიდბერიძე და ლ. ჩუბინიძე განცხადებაში უთითებდნენ „საპასპორტო სამსახურს“, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ უწყებად მიიჩნიეს პოლიციელების მიერ დასახელებული „ოური“. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახური (იგივე – საპასპორტო) პოლიციის განყოფილების გვერდით მდებარეობს. აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ აღნიშნული სამსახურის უფროსს მამუკა ბუცურეიშვილს შალვა სანიკიძის პიროვნების დადგენის მიზნით. მ. ბუცურეიშვილი აღნიშნული სამსახურის უფროსია 2005 წლიდან და ამ ხნის მანძილზე მას ასეთი თანამშრომელი საერთოდ არ ჰყოლია. მეტიც, პიროვნებას აღნიშნული სახელითა და გვარით ის საერთოდ არ იცნობს. ბ-ნი მამუკაც უარყოფს 19 დეკემბერს რაიმე ინციდენტის არსებობას.

დაზარალებულებმა შემდეგ გამოარკვიეს, რომ აღნიშნული სლენგით („ოური“) მოიხსენიებენ პოლიციის განყოფილების საგამოძიებო ნაწილებს. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს I განყოფილების შესაბამისი საგამოძიებო ნაწილის უფროსია მერაბ კასპელაშვილი. გამომდინარე იქიდან, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს სათანადო კომპეტენცია არ გააჩნიათ, არ მომხდარა მ.კასპელაშვილის დაზარალებულებისათვის წარდგენა პიროვნების ამოცნობის მიზნით. ის კი ცხადია, რომ „შალვა სანიკიძე“ გამოგონილი სახელი და გვარია და ასეთი პიროვნება დასახელებულ უწყებებში არ მუშაობს. სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბარში დაზარალებულმა ლევან ჩუბინიძემ მიუთითა, რომ ის იმავე უბანში ცხოვრობს, სადაც პოლიციის განყოფილება მდებარეობს. ამიტომ მან კარგად იცის ერთ-ერთი იმ პოლიციელის მისამართი, რომელიც აღნიშნულ ინციდენტს შეესწრო, თუმცა არ იცის მისი ვინაობა.

დაზარალებულმა ლევან ჩუბინიძემ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან საუბარში განმარტა, რომ ინციდენტის დამთავრების შემდეგ მასა და მის მეგობარს, გიორგი დიდბერიძეს „ოპელის“ მარკის ავტომანქანით გზაში წამოენიათ ერთ-ერთი პოლიციელი, რომელმაც „მეგობრულად ურჩია“, არც ერთი უწყებისთვის არ მიემართათ საჩივრით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ პრობლემები შეექმნებოდათ.

სათანადო რეაგირებისათვის გ. დიდბერიძისა და ლ. ჩუბინიძის განცხადება და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახურის უფროსთან საუბრის ოქმის ასლები გადაეგზავნა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ა. გიორგაძეს.

როგორც სახალხო დამცველისადმი მიწერილ პასუხში იუნყება თბილისის პროკურორი გ. ღვინიაშვილი, საქმეზე დანესებულია კონტროლი, მიმდინარეობს გამოძიება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში, სამართლებრივი შეფასება მიეცემა კონრეტულ პირთა ქმედებს.

კამპანია ასურული კულტურის ცენტრის მშენებლობის წინააღმდეგ

2006 წლის მეორე ნახევარში საგრძნობლად გააქტიურდა დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი. 2006 წლის 15-18 სექტემბერს მათი თაოსნობით მოსახლეობის საპროტესტო აქცია გაიმართა თბილისში ქავთარაძის ქუჩაზე ასირიული კულტურის ცენტრის მშენებლობის წინააღმდეგ. პროტესტის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ მშენებლობას ასურელი კათოლიკე მღვდელი ბენიამინი ხელმძღვანელობს და, შესაბამისად, ამ ცენტრში, თითქოს, კათოლიკური

ეკლესია ამოქმედდება. ისინი მოითხოვდნენ მშენებლობის შეწყვეტას, ან შემდგომში, მღვდელ ბენი-ამინისგან შენობის სამოქალაქო მიზნით გამოყენებაზე თანხმობას. ამ მიზნით მათ საბურთალოზე მცხოვრებთა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. მშენებლობის შეწყვეტის მოთხოვნით, 17 სექტემბერს ქავთარაძის ქუჩაზე მშენებარე ობიექტის წინ დაახლოებით 150 ადამიანი შეიკრიბა. აქციის მონაწილეები კათოლიკური ტაძრის მშენებლობას აგრესიულ პროზელიტიზმად და სარწმუნოებიდან გადაბირების მცდელობად მიიჩნევდნენ, რაც მათი თქმით, საერთაშორისო პრინციპების დარღვევას წარმოადგენს.

მანამდე მოსახლეობაში გავრცელდა მიმართვა პროკლამაციის სახით. მშენებარე კულტურის ცენტრთან ახლოს მდებარე კორპუსების მცხოვრებლებს უცნობმა პირებმა ასეთი შინაარსის პროკლამაციები ჩამოურიგეს:

ფრთხილად კათოლიკური აგრესია!

ძვირფასო თანამემამულენო! საბურთალოელებო! ვატიკანი აძლიერებს აგრესიული პროზელიტიზმის სარწმუნოებრივი გადაბირების - პოლიტიკას საქართველოში და სულ უფრო აფართოებს თავის გავლენის სფეროს მართლმადიდებელი სამწყოს ხარჯზე. ამის ნათელი დასტურია უზარმაზარი კათოლიკური ტაძრის მშენებლობა ქავთარაძის ქუჩაზე. ადგილობრივი მოსახლეობის მხრივ არ არსებობს არავითარი მოთხოვნილება და საფუძვლები ამხელა ტაძრის მშენებლობისა. იგი გათვლილია არა ვატიკანის ადგილობრივ პერსონალზე, არამედ სხვადასხვა საშუალებებით გადაბირებულ მართლმადიდებელთან შექმნილ მომავალ სამწყსოზე. ვატიკანის დესპანი სიტყვით უარყოფს პროზელიტურ საქმიანობას, პროზელიტიზმი ხომ საერთაშორისო პრინციპების დარღვევაა, მაგრამ ტაძრების, ახალი სასწავლებლების გახსნა და ვატიკანის ფარდახდელი მიზანი, მოიპოვოს საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიაზე დიდი გავლენა, ამის საპირისპიროზე მეტყველებს. დედა ეკლესია გვასწავლის, რომ კათოლიციზმი, არსებითად - პაპიზმი, სულის წარწყმედი სწავლებაა, რომელიც მუდამ მტრობდა მართლმადიდებლობას. კათოლიკეები არბევდნენ ქართულ მონასტრებს, ხოცავდნენ ბერ-მონაზვნებს, ცრუ დაპირებებით „აფრანგებდნენ“ მართლმადიდებლებს. დღეს კი ანტიმართლმადიდებლური სწავლების გავრცელებასთან ერთად, შემოაქვთ ჩვენთვის ყოველად მიუღებელი ჰომოსექსუალური, იგივე მამათმავლურ-ლესბოლური ოჯახები, ცხოველთა ნათლობა-ზიარებები და ა.შ. ჩვენი მამულიშვილური ვალია, დავიცვათ თავი ვატიკანის სულიერი ექსპანსიისაგან, რათა გადავარჩინოთ მომავალი თაობა სულიერი სიკვდილისგან, ზნეობრივი და ფიზიკური გადაგვარებისგან. მოვთხოვთ ხელისუფლებას: შეწყდეს ხსენებული კათოლიკური ტაძრის მშენებლობა, გადაკეთდეს იგი სამოქალაქო, არაპროზელიტური დანიშნულების ნაგებობად, რათა არ გამწვავდეს მომავალში ურთიერთობა ორი რელიგიის წარმომადგენლებს შორის, მსგავსად სერბეთ-ხორვატიისა, დას. უკრაინისა თუ ჩრდ. ირლანდიისა. პირნათლად მოვიხადოთ ვალი დედა ეკლესიისა და მამულის წინაშე.

ცენტრის მშენებლობა 2006 წლის 18 სექტემბერს საპატრიარქოშიც გააპროტესტა:

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

როგორც მასმედით გახდა ცნობილი, ქავთარაძის ქუჩაზე შენდება რელიგიური დანიშნულების ნაგებობა, მშენებლობას აწარმოებს პადრე ბენიამინი, რომელიც არის კათოლიკური ეკლესიის ასირიელი მღვდელმსახური. ამდენად, ლოგიკურია, რომ აღნიშნული ნაგებობა კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომელი კონფესიის საკუთრებაა იგი, ეს შენობა მაინც უკანონოა, რადგან არ არსებობს ის სამართლებრივი ბაზა, რომელიც რელიგიური ორგანიზაციის ფუნქციონირებას და მათი საკულტო ნაგებობის მშენებლობას ითვალისწინებს. საინტერესოა, ვინ მისცა მათ ამის ნება, მაშინ, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიას კანონით მინიჭებული უფლებების ფონზეც კი, ზოგჯერ ექმნება გარკვეული პრობლემები. შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ასირიელი არ არის კათოლიკური სარწმუნოების



აღმსარებელი. ისინი საუკუნეების განმავლობაში მკვიდრობენ ჩვენს ქვეყანაში და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებელია. ამდენად ასირიული კულტურის ცენტრის გახსნა კათოლიკების მიერ, ანუ ასირიული კულტურის კათოლიკურად წარმოჩენა, საფუძველს მოკლებულია..

დავით აღმაშენებლის საზოგადოების განცხადების ტექსტი გაჯერებულია აგრესიული ანტიკათოლიკური სტერეოტიპებით და შუღლის ენის გამოყენების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. არის მუქარის ელემენტიც: თუ მშენებლობა გაგრძელდა, საქართველო სერბეთ-ხორვატიის მსგავს რელიგიურ კონფლიქტში შეიძლება გადასას.

საპატრიარქოს განცხადება არ შეიცავს ამგვარ პლასტებს, თუმცა მასში არის იურიდიული უზუსტობები. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა რელიგიური დანიშნულების მშენებლობის წინააღმდეგ რაიმე სახის სამართლებრივ შეზღუდვას არ იცნობს. საქართველოში მცხოვრები ასირიელების დიდი ნაწილი ნამდვილად მართლმადიდებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კათოლიკე ასირიელებს არა აქვთ კულტურის ცენტრის მშენებლობის უფლება, თუნდაც ამ შენობის ნაწილი ეკლესიად იქნეს გამოყენებული.

ასურული კულტურის ცენტრის მშენებლობის სანინააღმდეგოდ საპროტესტო აქციები დეკემბრის შუა რიცხვებშიც გაიმართა. ამჯერად აქციას მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე სასულიერო პირიც შეუერთდა. მოპიკეტეები მოუწოდებდნენ მშენებლობაში დასაქმებულებს, შეენწყვიტათ თანამშრომლობა კათოლიკე მღვდელთან, ვინაიდან ეს, აქციის მონაწილეთა აზრით, სამშობლოსა და ეკლესიის ღალატს ნიშნავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ასურული კულტურის ცენტრის მშენებლობას წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მეტიც, მშენებლობაზე გაცემული იქნა ყველა საჭირო ნებართვა და, ამდენად, ეს სრულიად კანონიერი მშენებლობაა.

„სადავო ეკლესიები“, შეუწყნარებლობა, სიძულვილის შემცველი მონოდებები

სახალხო დამცველის ანგარიშებში წლიდან წლამდე მეორდება ე.წ. სადავო ეკლესიების თემა, მაგრამ საკითხის გადაჭრა ჯერჯერობით არ ხერხდება. საერთოდ, საეკლესიო ქონების რესტიტუციის პრობლემა საქართველოში დღემდე რჩება პრობლემად.

ეკლესიებს ქონება ჩამოერთვათ საბჭოთა პერიოდში. 1991 წელს სახელმწიფომ მიიღო დადგენილება, რის საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებულია ტაძრების ჩამონათვალი და მიუხედავად იმისა, რომ ისინი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა, საპატრიარქოს უფლება მიეცა, რელიგიური დანიშნულებით გამოეყენებინა აღნიშნული ტაძრები. იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ტაძრების გადაცემა მფლობელობაში, ეკლესიის სტატუსი ფაქტობრივად განუსაზღვრელი იყო, შესაბამისად, რაიმე იურიდიული ფორმით ქონების გადაცემა შეუძლებელი ხდებოდა. პარალელურად უცვლელი დარჩა სხვა რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი მდგომარეობაც. საბჭოთა დროს ჩამორთმეული ქონების ნაწილი კვლავ სახელმწიფო მფლობელობაშია და სომეხთა სამოციქულო ეკლესიისა და კათოლიკური ეკლესიისთვის პრობლემურია ამ ქონებით სარგებლობა.

90-იან წლებში წამოიჭრა დავა ეკლესიებს შორის. კათოლიკურ ეკლესიებში ქუთაისში, ბათუმში, ახალციხის რაიონსა და გორში ამ ეტაპზე მართლმადიდებლური ეკლესიები მოქმედებს. ქუთაისში კათოლიკურმა მრევლმა გაასაჩივრა ეკლესიის მითვისება, თუმცა უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და კათოლიკური მრევლი არაუფლებამოსილ მხარედ ცნო (იხ. 2004 წლის სახ. დამცვ. ანგარიში).

სადავო ეკლესიებთან დაკავშირებულ პროცესს თან სდევს ისტორიული მემკვიდრეობის ხელყოფის ფაქტები. მაგალითად, სოფელ ივლიტაში შეიცვალა ეკლესიის ინტერიერი, გორში კედლებიდან ამოიღეს ფრესკები და ა.შ. რეალურად, ეს არის კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა, რასაც სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება არ მოყოლია.

ასევე, 2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში გვქონდა საუბარი იმაზე, რომ ახალციხის რაიონში, სოფელ წყალთბილაში, მართლმადიდებელ ეკლესიის კედლებში აშენდა სომხური ეკლესია, რაც ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო შეთანხმებას, მაგრამ ამ ფაქტს არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

რელიგიურ გაერთიანებათა ქონების სტატუსი გაურკვეველი რჩება საკანონმდებლო დონეზეც. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების თანახმად უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც აღწერს საქართველოს ტერიტორიაზე მართლმადიდებლურ ტაძრებს და სხვა ქონებას, რაც ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა და ამ ქონებას შემდეგ ეკლესიას დაუბრუნებს. ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა და ისიც არ არის ცნობილი, თუ რა მოცულობის და კონკრეტულად რა ქონება უნდა დაუბრუნდეს მართლმადიდებელ ეკლესიას.

სრულიად გაურკვეველია საკითხი სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებითაც. არ შექმნილა ავტორიტეტული შერეული კომისია, რომელიც მოამზადებს სამეცნიერო დასკვნას ეკლესიების წარმომავლობის შესახებ და ამ და სხვა პრობლემის გადასაჭრელად რეკომენდაციებს შეიმუშავებს. მუშაობა არც 2004 წელს შექმნილ კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის კომისიას დაუწყია. ამ კომისიამ მხოლოდ ერთხელ, მისი ჩამოყალიბებისას, მოახერხა შეხვედრა.

2006 წლის მეორე ნახევარში ახალციხის რაიონში, სოფელ ივლიტაში ადგილობრივ კათოლიკე და მართლმადიდებელ მოსახლეებს შორის ურთიერთობა რამდენჯერმე გამწვავდა. დაპირისპირების მიზეზი ივლიტას ყოფილი კათოლიკური ტაძარია, სადაც ამჟამად მართლმადიდებელი მღვდელი მსახურობს. 1991 წელს ივლიტის მოსახლეობამ, საერთო კრების გადაწყვეტილებით, ეკლესია დროებით ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირს დაუთმო, რადგან იმ დროს კათოლიკურ ეკლესიას არ ჰყავდა მღვდელი, რომელიც ქართულად აღასრულებდა მსახურებას. კრების გადაწყვეტილებით, მართლმადიდებელ მღვდელს ტაძარში მსახურების შესაძლებლობა ეძლეოდა მანამ, სანამ ქართულენოვან კათოლიკე სასულიერო პირს არ მოავლენდა კათოლიკური ეკლესია.

მას შემდეგ, რაც ივლიტას ეკლესიაში ქართველი კათოლიკე მღვდელი ზურაბ კაკაჩაშვილი მიავლინეს, მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. მართლმადიდებლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა წინადადება, რომ ტაძარში ორივე აღმსარებლობის სასულიერო პირებს მისცემოდათ მსახურების შესაძლებლობა.

2004 წელს, ერთი მხრივ, სოფლის კათოლიკე მოსახლეობა, კათოლიკე სასულიერო პირები და მეორე მხრივ საპატრიარქოს ახალციხის ეპარქის მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ ივლიტას ეკლესიაში და მის ტერიტორიაზე არ ჩატარდებოდა რაიმე მშენებლობა, არ შეიკვებოდა ტაძრის ფასადი და ინტერიერი. ეს შეთანხმება მას შემდეგ მოხდა, რაც ივლიტის მართლმადიდებელმა მღვდელმა იოანემ, სოფლის მოსახლეობის განცხადებით, ტაძარში ცემენტით დაფარა კათოლიკური საფლავები და ტაძრიდან გარეთ გამოიტანა კათოლიკური სარიტუალო ნივთები და ხატები.

2006 წელს, ივლიტის კათოლიკე მოსახლეობის განცხადებით, მღვდელმა იოანემ შეთანხმება დაარღვია: ჯერ გალავანში სამრეკლოს, ხოლო შემდეგ გარე გალავნის მშენებლობა წამოიწყო. ამ ფაქტის გამო აღშფოთებულმა სოფლის კათოლიკე მოსახლეობამ დახმებისთვის სახალხო დამცველს მიმარ-



თა. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა შეისწავლა ივლიტაში არსებული ვითარება. მღვდელი იოანე მართლაც აშენებდა გარე გალავანს და ეკლესიის ეზოში ტულაეტის აშენებასაც აპირებდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი დაუკავშირდა ახალციხის მთავარეპისკოპოსს. მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ საუბარში განაცხადა, რომ ყოველგვარი მშენებლობა შეჩერდებოდა. მშენებლობა მართლაც შეწყდა, ოღონდ მხოლოდ ორი თვით. ორი თვის შემდეგ მამა იოანემ ეკლესიის გალავანში ჩააშენა ტულაეტი, რამაც სოფელში დაპირისპირება განაახლა.

ამ მოვლენების პარალელურად 2006 წლის 25 ოქტომბერს თსუ ახალციხის ფილიალმა მოაწყო მღვდელ გაბრიელ ბრეგანტინისა და ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის „სიმართლისათვის ივლიტას ეკლესიაზე“ პრეზენტაცია. წიგნი პოლემიკური ხასიათისაა და შეიცავს კრიტიკულ შენიშვნებს ისტორიკოს თინა იველიშვილის ნაშრომზე, რომელიც მიზნად ისახავს ივლიტის ეკლესიის მართლმადიდებლური წარმომავლობის დამტკიცებას.

სხდომის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ დაბაზში სოფ. დიღმის წმ. მარინას სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი დავით ისაკაძე და მასთან ერთად დავით აღმაშენებლის მრევლის კავშირის წევრები გამოჩნდნენ, რომლებიც შეურაცხყოფელი სიტყვებით ცდილობდნენ სხდომის ჩაშლას. თვითმხილველების თქმით, დეკანოზი დავით ისაკაძე, აგრესიული ტონით, კათოლიკე მღვდლისგან კათოლიკური რწმენის უარყოფასა და მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების აღიარებას მოითხოვდა. **„ინკვიზიცია, ინდულიგენციები, ადამიანების კოცონზე დაწვა და ბევრი სხვა საზიზღრობა, – აი, რა არის კათოლიციზმი... აღიარებთ თუ არა, რომ ხართ ერეტიკოსი, მწვალებელი? თუ არ გინდათ, რომ ეს სახელი დაგარქვათ, ახლავე, ჩვენს წინაშე აღიარეთ, რომ სულიწმინდა მხოლოდ მამისაგან გამოდის“** – მიმართავდა დეკანოზი კათოლიკე მღვდელს.

აღნიშნული ჯგუფი ფილიალს მეორე დღესაც ეწვია. მათ სტუდენტებს შორის გაავრცელეს პროკლამაცია, რომელშიც დავით აღმაშენებლის მრევლის კავშირის თავმჯდომარე მონოდებით მიმართავს მოსახლეობას: **„ძვირფასო თანამემამულენო, მართლმადიდებლებო. ნუ დაუშვებთ პაპისთვის აგრესიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ნუ ცდუნდებით პაპისტების მიერ შეპირებული კეთილდღეობითა და პოლიტიკური მფარველობით, ნუ გაყიდით სულელებს 30 ვერცხლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთის რისხვა არ ასცება ჩვენს ქვეყანას, ქართველ ერს.“**

25 ნოემბერს ანალოგიურად წარიმართა წიგნის პრეზენტაცია ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზშიც. აქაც დავით აღმაშენებლის მრევლის კავშირის მიზანი პრეზენტაციის ჩაშლა იყო. მათგან რამდენიმემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მღვდელ გაბრიელ ბრეგანტინის. ისინი ისევ მოითხოვდნენ მღვდლისგან ორთოდოქსული მრწამსის აღიარებას და ა.შ. დავით აღმაშენებლის მრევლის კავშირის წარმომადგენლები მომხსენებელთა ხმის გადაფარვას ცდილობდნენ, თვითნებურად იგდებდნენ ხელში მიკროფონს. ცდილობდნენ ვითარება უკიდურესად გაემწვავებინათ და ფიზიკურ დაპირისპირებამდე მიეყვანათ.



ქსენოფობური, ექსტრემისტული ხასიათის აქციები და სიძულვილის შემცველი განცხადებები საქართველოს კანონმდებლობით არ იწვება. არსებული კანონმდებლობით დავით აღმაშენებლის მრევლის კავშირის ექსტრემისტული და შეურაცხყოფელი გამონათქვამები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) საქართველოს შესახებ მეორე მოხსენებაში (2006) რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას რასობრივი შეურაცხყოფა და რასისტული განცხადებების შემცველი მასალების საჯარო გახმაურება ან გავრცელება მიაკუთვნოს სისხლის სამართლის დანაშაულს.

ტოლერანტობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში გაეროს განვითარების პროგრამისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ფუნქციონირებს ტოლერანტობის ცენტრი.

ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობის მიმართულებები მრავალმხრივია. ცენტრი ხელს უწყობს ისეთ სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც საფუძვლად დაედება ეთნიკურ-რელიგიურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესს, ხელს შეუწყობს სამოქალაქო ცოდნის ამაღლებას.

აღნიშნულ ცენტრთან არსებობს მოიცავს რელიგიათა საბჭო (დაარსდა 2005 წლის 16 ივნისს) და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო (ჩამოყალიბდა 2005 წლის დეკემბერში).

2006 წელს ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა

1. 2006 წელს ტოლერანტობის ცენტრმა გამართა 3 დღიანი სემინარების ციკლი ინტეგრაციისა და ტოლერანტობის თემაზე, რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდების მონაწილეობას.

სემინარებზე განხილული იყო

- საქართველოს კონსტიტუცია. ყურადღება გამახვილდა ისეთ მუხლებზე, როგორცაა მოქალაქეობის საკითხი, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.
- გაერთიანებული ერების ძირითადი დოკუმენტები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ჩარჩო კონვენცია უმცირესობათა დაცვის შესახებ.
- ტოლერანტობის კულტურა – პრაქტიკულ მაგალითებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მონაწილეებმა იმსჯელეს საკითხებზე ტოლერანტობის, დისკრიმინაციისა და ეთნიკურ-რელიგიური სტერეოტიპების შესახებ.

სემინარების მონაწილეები ხვდებოდნენ კათოლიკური და სომხური ეკლესიების, ასევე მუსულმან და ებრაელ სასულიერო პირებს.

სემინარებმა საშუალება მოგვცეს დაწყებულიყო ახალგაზრდული ინტერკონფესიური და ინტერ-ეთნიკური ქსელის შექმნაზე მუშაობა, რომელშიც გაერთიანდებიან საქართველოში არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების აქტიური წევრები.

ანალოგიური შინაარსის სემინარების გამართვა იგეგმება 2007 წელსაც.

2. ტოლერანტობის განვითარების წარმატებულ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სახალხო დამცველისა და ტოლერანტობის ცენტრის მიერ: 1) თბილისის სკოლებში, ორგანიზებული სამხატვრო კონკურსი ტოლერანტობის თემაზე და 2) კონკურსი ტოლერანტობისა და ინტეგრაციის თემაზე საუკეთესო პუბლიკაციების გამოსავლენად ქართულ ბეჭდვით მედიაში.
3. სხვადასხვა კონფესიის ახალგაზრდების დაახლოებას კარგი წინაპირობა შეუქმნა 2006 წლის 12-17 ნოემბერს „ტოლერანტობის თასის“ ტურნირის გამართვამ მინი ფეხბურთში.



ტურნირში მონაწილეობდნენ მართლმადიდებელი, კათოლიკური, სომხური, ბაპტისტური, ლუთერული, ევანგელურ-ორმოცდაათიანური, სხვა პროტესტანტული ეკლესიების ასევე, მუსლიმების, იეზიდებისა და ებრაული თემების გუნდები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ტურნირის ჩატარების ინიციატივით სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტებმა მიმართეს ტოლერანტობის ცენტრს, რომელმაც თბილისის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და „ახალგაზრული მოძრაობა მშვიდობისა და დემოკრატიისთვის“ მხარდაჭერით ორგანიზება გაუწია საფეხბურთო ტურნირს.

ინტერრელიგიური საფეხბურთო ტურნირი მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

4. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს „სოლიდარობა“. ჟურნალში გაშუქებულია რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მოღვაწეობა საქართველოში, განხილულია ტოლერანტობის, კულტურათაშორის დიალოგის, პლურალიზმის საკითხები, საზოგადოების განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების პრობლემები.
5. ტოლერანტობის ცენტრმა განახორციელა ქართულენოვანი ბექდვითი მედიის მონიტორინგი „რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული ნეგატიური სტრუქტურები ბექდვით მედიაში“. მონიტორინგის შედეგები ცალკე თავშია წარმოდგენილი.
6. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო.

რელიგიათა საბჭოში ამ დროისათვის გაერთიანებულია 24 კონფესია. საბჭოს საქმიანობის ამოსავალი პრინციპი ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვა, ტოლერანტული სულისკვეთების გაღვივება, სამოქალაქო პროცესებში აქტიური მონაწილეობა და სოციალური, ჰუმანიტარული და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინირებული წარმართვაა. რელიგიათა საბჭოში მოქმედებს საინფორმაციო-ანალიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ჰუმანიტარული კომიტეტები, რომლებიც კონკრეტული მიმართულებებით მუშაობენ. რელიგიათა საბჭოს შეხვედრებზე, რომელიც პერიოდულ ხასიათს ატარებს, როგორც წესი, სისტემატურად განიხილება მიმდინარე აქტუალური მოვლენები სოციალურ-კულტურულ სფეროში. საბჭოს წევრები თანხმდებიან და შესაბამის სტრუქტურებს წარუდგენენ თავიანთ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვან საკითხებზე ავრცელებენ ერთობლივ განცხადებებს (იხ. დანართი)

რელიგიათა საბჭოს 2006 წლის მეორე ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ

განათლების სფეროში: კულტურულ-საგანმანათლებლო კომიტეტში ჩატარდა შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები; შემუშავდა კითხვარი სკოლებში რელიგიის სწავლების ხასიათის დასადგენად და რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით. საბჭომ გაავრცელა განცხადება განათლების სისტემის რეფორმის მხარდასაჭერად.

სოციალურ სფეროში: საბჭოს სოციალურ-ჰუმანიტარული კომიტეტმა დაიგეგმა სამოქმედო ღონისძიება პენიტენციალურ სისტემაში ბიბლიოთეკების მხარდაჭერის მიზნით, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა წიგნები სასჯელალსრულების დაწესებულებებისათვის გადასაცემად.

როგორც უკვე აღინიშნა, 2006 წლის 28 სექტემბერს რელიგიათა საბჭოსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტის შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანხმობის მემორანდუმს, რომლის მიზანს წარმოადგენს პენიტენციალურ სისტემაში რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა. გაიმართა შეხვედრები გენერალური პროკურორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებთან.

საინფორმაციო-ანალიტიკური კომიტეტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე განიხილეს ენციკლოპედიის პროექტი „რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში“. გადაწყდა, რომ 2007 წლის ბოლოსთვის გამოიცემა ცნობარის ტიპის ენციკლოპედია ორ ნიგნად. პირველი ნიგნი ასახავს საქართველოში არსებული ყველა რელიგიის საქმიანობას, ხოლო მეორე ნიგნი – ეროვნულ უმცირესობებს.

რელიგიათა საბჭომ 2006 წელს გაავრცელა მიმართვა რუსეთისა და მსოფლიო რელიგიური ლიდერებისადმი, სადაც მკაცრად იყო შეფასებული რუსეთის ტერიტორიაზე ქართული წარმომავლობის ადამიანების დევნა და დისკრიმინაცია.

2006 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო პერიოდთან შედარებით ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის, სახელმწიფო უწყებებში დასაქმების და სახელმწიფო ენის სწავლის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით განსაკუთრებული ცვლილებები არ შეინიშნება. ძირითადად შენარჩუნებულია იგივე მდგომარეობა.

ეროვნული უმცირესობები საქართველოს განათლების სისტემაში

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განათლების სისტემაში არსებული პრობლემები ძირითად დაკავშირებულია სახელმწიფო ენის სწავლებასთან, სასკოლო სახელმძღვანელოებთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირესთან და სხვა საკითხებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეროვნული უმცირესობების სკოლებში ქართულის სწავლების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა, ამ რეგიონებში მცხოვრები არაქართულენოვანი სკოლადამთავრებული ვერ ფლობს არათუ ლიტერატურულ ენას, არამედ ელემენტარულ სასაუბრო-სამეტყველო ენასაც კი. რაც ბუნებრივია, აფერხებს ამ რეგიონების ახალგაზრდობის სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ორგანიზაციების მიერ მონოღებული ინფორმაციების მიხედვით, ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ქართულ ენას რიგ შემთხვევაში ასწავლიან ადამიანები, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულს. ან პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც ქართულს ასწავლიან ეთნიკური ქართველები, რომლებმაც არ იციან ის ენა, რომელზეც მეთყველებენ ბავშვები. შედეგად ბავშვები ერთ შემთხვევაში ვერ იგებენ მასწავლებლის მიერ მხოლოდ ქართულად ახსნილ პროგრამას, ხოლო მეორე შემთხვევაში მათ ქართულს საერთოდ ვერ ასწავლიან, რადგან თვითონ მასწავლებლებმა არ იციან ქართული ენა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლსა და ჯავახეთში არის სკოლები, სადაც ქართულის გაკვეთილები შესაბამის დონეზე ტარდება, მაგრამ ამ სკოლების რაოდენობა ძალზედ მცირეა.

ეროვნული უმცირესობების განათლების სისტემაში გადადგ-

მული პოზიტიური ნაბიჯების თვალსაზრისით აღსანიშნავია ზოგადი განათლების სისტემის ერთიანი ეროვნული გეგმის მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მართალია ეს პილოტური პროექტია და ჯერ ვერ მოხერხდა ყველა კლასის ახალი სახელმძღვანელოების თარგმნა, გამოცემა და ადაპტირება, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამა საქართველოს ბიზნესის წარმომადგენელთა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისა“ და ბანკ „რესპუბლიკას“ მხარდაჭერით განხორციელდა.

განათლების სისტემაში დადებითი მოვლენაა ის ფაქტი, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობის მომზადება სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარეობს

საქართველოს სახელმწიფო უწყებებში ეროვნული უმცირესობების დასაქმების საკითხი

სახელმწიფო სამსახურში კვლავ დაბალია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებელი. ეროვნული უმცირესობების მათი კომპაქტური განსახლების რეგიონში არიან დასაქმებულნი, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების და საქართველოს სხვა რეგიონების უწყებებში ძალზედ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ეს საკითხი უდავოდ გამოსასწორებელია.

სასამართლო სამართალწარმოების დროს საქმეების ეროვნული უმცირესობებისათვის მშობლიურ ენაზე კვალიფიცირებული თარგმნის შესახებ

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატები ხშირად ჩივიან სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების წარმომადგენელთა მიერ პროცესუალური ნორმების დარღვევის შესახებ. კერძოდ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე არაკვალიფიციურად უთარგმნიან შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებს (ზოგ შემთხვევაში აზერბაიჯანული და სომხური ენის თარგმანი საერთოდ არ არსებობს). რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მათი სამოქალაქო უფლებების დარღვევას, საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლო სისტემის მიმართ უნდობლობას. რაც თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და ხელსაყრელ გარემოს ქმნის შიდა დაძაბულობის გაღვივებისთვის. სასამართლოები უზრუნველყოფილია რუსული ენის თარგმნებით, მაგრამ ქვემო ქართლისა და ჯავახეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ ფლობს რუსულს შესაბამის დონეზე, რის გამოც აუცილებელია, რომ მათ სომხურად და აზერბაიჯანულად უთარგმნონ გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტაცია.

ნინოწმინდის რაიონში მცხოვრები დუხობორების თემის მდგომარეობა

2006 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში საუბარი იყო ნინოწმინდაში მცხოვრები დუხობორების თემის შესახებ. დუხობორების თემის წინაშე არსებული უსაფრთხოების, მიწის საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის შესახებ სახალხო დამცველმა რეკომენდაციებით მიმართა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს.

ვითარების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები რამდენჯერმე იმყოფებოდნენ ნინოწმინდაში. 2006 წლის 27 ნოემბერს დუხობორთა თემის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამცხე



ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გოგა ხაჩიძემ, საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა ბაინდურაშვილმა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისა და ნინონმინდიდან ჩამოსული დუხობორთა თემის ლიდერებმა. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია დუხობორების თემის წინაშე არსებული პრობლემების – მათ შორის მიწის პრობლემისა და სოფელ გორელოვკაში მცხოვრები დუხობორების თემის კოოპერატივ „დუხობორეცის“ წინაშე არსებული 4 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანების წარმოშობის კანონიერების შესახებ.

დუხობორების მიწის საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, გადამწვდა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის შექმნა და დაიგეგმა ერთობლივი სამუშაოები. გამოიკვეთა, რომ კოოპერატივ „დუხობორეცის“ რეგისტრაციის დროს გარკვეული ხარვეზები იყო დაშვებული. როგორც გაირკვა, 4 მილიონ ლარზე მეტი სახელმწიფო დავალიანება კოოპერატივ „დუხობორეცს“ კი არ ერიცხება (როგორც ამას ნინონმინდის საგადასახადო განყოფილება ამტკიცებდა), არამედ – საბჭოთა მეურნეობა „დუხობორეცს“, რომლის ვალებსაც პერიოდულად იხდიდა სწორედ კოოპერატივი „დუხობორეცი“, რომელიც, სინამდვილეში, სრულიად სხვა ორგანიზაციაა და არ არის საბჭოთა მეურნეობის სამართალმემკვიდრე.

სახალხო დამცველის ოფისში შედგა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის სამინისტროს, საგადასახადო დეპარტამენტის, კულტურის სამინისტროსა და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის წარმომადგენლებმა. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა დუხობორების შესახებ არსებული დავის მოქალაქეთათვის სასარგებლოდ გადამწყვეტა. შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო დეპარტამენტის, იუსტიციის სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრისა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა კოოპერატივ „დუხობორეცზე“ რიცხული საგადასახადო დავალიანების საკითხის გარკვევა და დუხობორებისთვის მიწის შენარჩუნების ხელშეწყობა.

შეხვედრა ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან

25 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს წარმომადგენლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ქვემო ქართლის ადგილობრივი საარჩევნო კომისიების წევრებს შეხვდნენ.

საბჭოს წევრებსა და კომისიის წარმომადგენლებს შორის გაიმართა დისკუსია. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები ახალქალაქიდან, ნინონმინდიდან, მარნეულიდან და გარდაბნიდან.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შეხვედრისას დაისვა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საარჩევნო მასალების (ამომრჩევლის სიები, კანონმდებლობა და სხვა) უმცირესობებისთვის მშობლიურ ენაზე თარგმნის აუცილებლობის საკითხი. შედეგად, 2006 წლის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებისთვის, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წარმომადგენლებმა ქართულიდან სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნეს ამომრჩევლის სიები და საარჩევნო კომისიის წევრის სახელმძღვანელო (გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით), რაც გამოსაცემად და გასავრცელებლად ცსკოს გადაეცა.

წალკაში მცხოვრები ბერძნების შესახებ

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კრიმინოგენული ვითარება წალკის რაიონში, მაგრამ, როგორც ჩანს, წალკაში ჩასახლებული ეკომიგრანტების მხრიდან წალკის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები მოხუცებული ბერძნების მიმართ პერიოდულად ადგილი აქვს მუქარისა და შეურაცხყოფის ფაქტებს. ბერძნების განმარტებით ისინი ანგარიშსწორების შიშის გამო პოლიციას არ მიმართავენ. ეს საკითხი შესწავლის პროცესშია და მისი შედეგები სპეციალურ მოხსენებაში იქნება ასახული.

განცხადებები ეთნიკური ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის და განსხვავებული მოპყრობის შესახებ

არნოლდ სტეპანიანის საქმე

2006 წლის 18 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა „საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარემ არნოლდ სტეპანიანმა. მისი განმარტებით, მთანმინდა-კრწანისის შს სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება ზემოაღნიშნული ორგანიზაციის ოფისის გაქურდვის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილით, სისხლის სამართლის საქმე №06061883), რომელსაც იძიებდა გამომძიებელი ლ. ბადუაშვილი. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამ ფაქტთან დაკავშირებით, 2006 წლის სექტემბრის თვეში არნოლდ სტეპანიანი იმყოფებოდა დაკითხვაზე, სადაც გამომძიებელი ლ. ბადუაშვილი და სამმართველოს სხვა თანამშრომლები აიძულებდნენ ჩვენებაში ეთნიკური წარმომავლობის მითითებას. ამასთან, როგორც განმცხადებელი განმარტავდა, გამომძიებელი ლ. ბადუაშვილი და სამმართველოს სხვა თანამშრომლები აღნიშნულს კანონით აკრძალული ფორმებით ითხოვდნენ. 2006 წლის 19 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს ეცნობათ აღნიშნული ფაქტის შესახებ და ეთხოვათ მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები.

2006 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს შსს გენერალური ინსპექციიდან პასუხად გვეცნობა, რომ არნოლდ სტეპანიანის განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურას.

2006 წლის 23 ოქტომბერს ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურიდან პასუხად გვეცნობა, რომ მათ მიერ აღნიშნული ფაქტის შესწავლის შედეგად, ეთნიკური ნიშნით განმცხადებლის დისკრიმინაციის ფაქტი არ დადასტურდა. მათი განმარტებით, ამ შემთხვევაში გამომძიებელი მოქმედებდა საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, „დამკითხვამ უნდა დაადგინოს, იცის თუ არა დასაკითხმა სამართალწარმოების ენა, ან რომელ ენაზე შეუძლია და სურს ჩვენების მიცემა.“

2006 წლის 14 ნოემბერს განმცხადებელს გაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან და ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონული პროკურატურიდან მიღებული პასუხები და ეცნობა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიერ საქმის წარმოება დასრულებულია.

რომეო მურადიანის საქმე

2006 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს დაუკავშირდა მოქალაქე რომეო მურადიანი. მისი განცხადებით, აღნიშნულ დღეს ავლაზრის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანით გადაადგილებისას იგი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს. ერთ-ერთმა მათგანმა მას ეთნიკურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.



სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაუყოვნებლივ გავიდნენ შემთხვევის ადგილას. რადგან განმცხადებელი გადაიყვანეს სამედიცინო შემონმების ჩასატარებლად, იმავე დღეს წერილობითი ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ვერ მოხერხდა. მომხდარის შესახებ ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ერთ-ერთ თვითმხილველს, რომელიც შემთხვევის დროს რომეო მურადიანის მანქანაში იმყოფებოდა, გიორგი ტერჟანიანს.

27 ოქტომბერს რომეო მურადიანმა განაცხადა, რომ იგი ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა მონმის სახით დაკითხეს.

2006 წლის 6 დეკემბერს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა ქ.თბილისის პროკურორს და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2006 წლის 18 დეკემბერს პასუხად გვეცნობა, რომ 2006 წლის 26 ოქტომბერს ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება. სისხლის სამართლის №10068212 საქმეზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ რ. მურადიანის ადმინისტრაციული დაკავებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. როგორც აღნიშნული პასუხიდან ირკვევა, საქმეზე დაკითხეს რ.მურადიანი, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და შემთხვევის თვითმხილველები. ამჟამად გრძელდება გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2007 წლის 22 იანვარს წერილობით მიმართა ქ. თბილისის პროკურორს და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე გამოძიების საბოლოო შედეგის შესახებ.

პასუხი არ მოსულა.

ალბინა ზოტოვას საქმე

2006 წლის 5 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (№0830-06), მიმართა მოქალაქე ალბინა ზოტოვამ. მისი განმარტებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის ადმინისტრაციამ 2006 წლის თებერვლიდან ეთნიკურ ნიადაგზე, უსაფუძვლოდ შეუნყვიტა სახელობითი სტიპენდია.

2006 წლის ივნისში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები საქმის შესწავლის მიზნით, იმყოფებოდნენ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ უნივერსიტეტის იურისტს, ინგა სეხნიაშვილს, გაეცნენ სათანადო დოკუმენტაციასა და კანონქვემდებარე აქტებს.

2006 წლის 18 აგვისტოსა და 18 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა უნივერსიტეტს, რომელშიც ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას ითხოვდა. სახალხო დამცველის მოთხოვნას თან ერთვოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის, თ. კაკუტიას წერილი, რომლის თანახმადაც, იგი განხილვისა და სათანადო რეაგირებისათვის ალბინა ზოტოვას წერილს ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში აგზავნიდა.

2006 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტიდან მივიღეთ გამოთხოვილი დოკუმენტაცია და ნორმატიული მასალა. ამასთან, დამატებით გვეცნობა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განიხილა ალბინა ზოტოვას განცხადება. პასუხიდან და თანდართული ნორმატიული მასალიდან, კერძოდ, სახელობითი სტიპენდიის დანიშნის დებულებიდან გაირკვა, რომ სახელობითი სტიპენდია ავტომატურად არ

ენიშნება ნარჩინებულ სტუდენტს. პრეტენდენტთა კანდიდატურები განიხილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასტიპენდიო კომისიის სხდომაზე. ამისათვის, დებულების თანახმად, აუცილებელია, რომ სტუდენტმა შეიტანოს წერილობითი განცხადება დეკანის სახელზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, ალბინა ზოტოვას კანდიდატურა სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისას არ განხილულა, ვინაიდან ასეთი განცხადება განმცხადებელს არ შეუტანია.

ალბინა ზოტოვა განცხადებაში მიუთითებს, რომ არაფერი იცოდა კონკურსის შესახებ, შესაბამისად, არც განცხადება დაუწერია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით კი, კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება დეკანატთან იყო გამოკრული.

ამ ფაქტის შემონიშნება ამ ეტაპზე შეუძლებელია, ხოლო დოკუმენტაციისა და ნორმატიული მასალის შესწავლის შედეგად განმცხადებლის უფლებების დარღვევა არ დასტურდება.

2007 წლის 2 თებერვალს ალბინა ზოტოვას სახალხო დამცველმა გაუგზავნა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პასუხი და წერილობით აცნობა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის წარმოება დასრულებულია.

სახელმწიფო თუ არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლების მიერ ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფისა და არაქართული ეთნიკური წარმოშობის გამო ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლენის დამტკიცება საკმაოდ რთული საკითხია. ხოლო ის ფაქტი, რომ გამოძიებით, ხშირ შემთხვევაში, ვერ დასტურდება ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფის ფაქტები, ვერ გამოდგება იმის მტკიცებად, რომ მსგავს შემთხვევებს არ აქვს ადგილი. ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მათ, როგორც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ გამოთქმულ შეურაცხყოფებზე ხშირად მიანიშნებენ.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოში ფუნქციონირებს 4 კომისია: მედიისა და ინფორმაციის, განათლებისა და კულტურის, რეგიონული ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა. ამ კომისიების მიერ 2006 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეში განეულ იქნა ძალზედ მნიშვნელოვანი სამუშაო. საბჭოს კომისიებმა მოამზადეს რეკომენდაციების პაკეტი ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ. ეს რეკომენდაციები უახლოეს ხანებში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს წარედგინება განსახილველად.

ქართულ-ებრაული ურთიერთობების კვირეული

საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის ბატონ რაბი აბრამ მიხელაშვილის ინიციატივით დაგეგმილია უნიკალური პროგრამის განხორციელება. ებრაული დღესასწაული ხანუქის დროს ჩატარდება. სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მონაწილეობს ამ ღონისძიების მომზადებაში. ქართულ ებრაული ურთიერთობების ისტორიიდან და ამ კვირეულის მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველია, რომ სახელმწიფო უწყებები ჩაერთონ ქართულ-ებრაული მეგობრობის კვირეულის განხორციელებაში.

რეკომენდაცია:

იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს – საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების თარჯიმნებისთვის შემოღებულ იქნას სერტიფიცირებისა და ლიცენზირების სისტემა.



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო საქართველოში ბოშების მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ისტორიული მხარე

ბოშების ისტორია მუდმივი ბრძოლისა და დევნის ისტორიაა. პირველად ბოშები, ათასწელიწადზე მეტი ხნის წინ, ინდოეთის სუბკონტინენტზე გამოჩნდნენ. უცნობია, რატომ დაიწყო ბოშებმა მოგზაურობა და გაფანტვა მთელ მსოფლიოში. ევროპაში, საუკუნეების განმავლობაში, ბოშები კანონს მიღმა იყვნენ, მათ ამონებდნენ, მათზე ნადირობდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. 1856 წელს ბოშათა მონობის აკრძალვიდან დღემდე ისინი იბრძვიან თავიანთი სოციალური უფლებების დასაცავად, სურთ მათ მიმართ გულგრილად განწყობილ მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი გაუსაძლისი მდგომარეობა დაანახონ.

ბოშები ისტორიულად იყვნენ და დღესაც რჩებიან ერთ-ერთ ყველაზე დევნილ ეროვნულ უმცირესობად, რომლებსაც თითქმის ყველა ქვეყანაში ცუდად ექცეოდნენ, გამომდინარე მათი ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური კუთვნილებიდან. ბოშები საქართველოში რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ გაჩნდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა იყო ვაჭრობა, მკითხაობა და ცხენების გაყიდვა. პირველად საქართველოს ხელისუფლებამ მათ პრობლემებს ყურადღება 1921 წელს მიაქცია. გამოყოფილი იქნა სპეციალური საცხოვრებელი ადგილები, იმავე დროს შეიქმნა ბოშათა ანსამბლები, რომლებიც წარმოაჩენდა მათ ეროვნულ კულტურას და ყოფას. ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად იქცა ის, რომ ბოშებმა დაიწყეს განათლების მიღება სხვა ერების წარმომადგენელთა მსგავს დონეზე. განათლებას რუსულ ენაზე იღებდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ბოშები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბევრმა ბოშამ დატოვა ქვეყანა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თანახმად, 1989 წლის მონაცემებით, საქართველოში დარეგისტრირებული იყო სულ 1744 ბოშა. მათ შორის: თბილისში – მხოლოდ 53; აფხაზეთში – 412; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 126; ქუთაისში – 251; რუსთავეში – 32. მაგრამ ეს მონაცემები რეალობას არ შეესაბამება, საქართველოში მეტი ბოშაა. სტატისტიკის დეპარტამენტმა არ წარმოადგინა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები ბოშებზე.

სოციალურად იზოლირებული ბოშები უნდობლობით ეკიდებიან სხვებისგან დახმარებას, რაზეც საკუთარი არგუმენტები აქვთ. ისინი განიცდიან ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ იზოლირებას საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში. არიან რა მთელს მსოფლიოში მიმოფანტულნი, ბოშებს არ გააჩნიათ ის ელემენტარულიც კი, რაც აქვთ უმრავლესობა სხვა ერებს; მათ არ აქვთ საკუთარი სახელმწიფო; საკუთარი ოფიციალური ისტორია; არ ჰყავთ ეროვნული არმია; საკუთარი ენა (ენა, რომელზეც ბოშები ლაპარაკობენ არის მთელი რიგი დიალექტები); ბოშები ძირითადად იღებენ იმ სახელმწიფოს სარწმუნოებას, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობენ. ყოველივე ამის მიზეზი კი მათი მოხეტიალე ცხოვრების წესია. კვლევამ აჩვენა, რომ თბილისში მცხოვრები ბოშების უმრავლესობა აღმსარებლობით მუსულმანია, თუმცა ბოლო დროს შეინიშნება ქრისტიანობის მიღების ტენდენცია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბოშები გარიყულნი არიან საზოგადოებისგან, მოკლებულნი არიან ოფიციალურ აღიარებას როგორც უმცირესობა. როგორც ჩვენს მიერ ჩამორთმეული ინტერვიუებიდან გაირკვა, თბილისში მცხოვრები ყველა ოჯახი ცდილობს საკუთარი ეროვნული ტრადიციები თაობიდან თაობას გადასცეს და ამ გზით შეინარჩუნოს საკუთარი ეთნოკულტურის იდეალები.

დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები

დღეს საერთაშორისო თანამეგობრობაში ბოშების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და გადაუდებელ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. საქართველომ 1999 წლის 20 მაისს მოახდინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება; 1999 წლის 27 აპრილს კი საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი და იკისრა ვალდებულება, დაიცვას ეროვნული უმცირესობები, მათ შორის ბოშები. 2000 წლის 30 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის სოციალურ ქარტიას, რომელიც რატიფიცირებული იქნა 2005 წლის 8 აგვისტოს. 2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. ჩარჩო კონვენცია ევროპის პირველი მრავალმხრივი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომლის მიზანია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა და საზოგადოებაში ტოლერანტული გარემოს შექმნა. თუმცა, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ამ სფეროში ძირითადი დოკუმენტების რატიფიკაციისა, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუშუშავებია სპეციალური პოლიტიკა ამ ვალდებულებათა განსახორციელებლად და ბოშათა უფლებების დასაცავად.

ბოშებთან დაკავშირებით სპეციალური ზომების, მექანიზმისა და ინფორმაციის არარსებობა

საქართველოში ბოშებთან დაკავშირებით არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ინფორმაციის და დოკუმენტაციის ცენტრის მიერ 2003 წელს გამოქვეყნებული ერთადერთი ანგარიში. არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა მათი უფლებების დასაცავად: მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ უსახლკარობის და უკიდურესი სიღარიბის ყველაზე სერიოზული პრობლემა არის თბილისში, კერძოდ სამგორის რაიონში. ბოშები ცხოვრობენ დანგრეულ სახლებში. სიღარიბე მთელი ბოშათა საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია. ოჯახების უმეტესობა ცხოვრობს პატარა ოთახებში, სადაც 8-10 ადამიანია. ისინი აუტანელ საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან. არაფერი კეთდება ბოშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად. მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო უმეტესობა ბოშებისთვის სამედიცინო მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი. ისინი სამედიცინო დახმარებას მიმართავენ მხოლოდ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. გარდა ამისა, ბოშები ხშირად ხდებიან უკანონო დაკავების მსხვერპლნი. მათი განცხადებით, მათ არაადამიანურად ეპყრობიან. ხშირად პოლიციის თანამშრომლებს ორი-სამი დღით საერთოდ ავინყდებთ ბოშების არსებობა წინასწარი დაკავების საკნებში და ტოვებენ მათ საკვებისა და სასმელი წყლის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ბოშების უმრავლესობა თავს არიდებს საუბარს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობაზე.



დიდ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბოშები სახლებში მშობიარობენ, ექიმისა და სამედიცინო დახმარების გარეშე. აქედან გამომდინარე, არ ხდება ახალშობილთა რეგისტრაცია და სამოქალაქო სტატუსის მინიჭება. ეს ნიშნავს, რომ ბავშვები დაბადებისას არ ხდებიან საქართველოს მოქალაქეები. ბოშებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, იმ მიზეზით, რომ არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი საბუთი. იმავე მიზეზით ისინი ვერ მონაწილეობენ სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში და არ შეუძლიათ ლეგალურად გავიდნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ. ფაქტობრივად აღარ არსებობს ბოშათა ეროვნული ფოლკლორი. მათი ტრადიციული ანსამბლები, რომლებსაც თავისი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოებრივი კულტურის განვითარებაში, უკვე აღარ ფუნქციონირებს.

ბოშების მძიმე სოციალური მდგომარეობა განპირობებულია მათი უმუშევრობით. ბოშები არ მუშაობენ ოფიციალურად, დაქირავებულ სამუშაოზე. ისინი ძირითადად ვაჭრობენ და ამ გზით ინახავენ თავიანთ მრავალრიცხოვან ოჯახებს. დასაქმება ბოშების მთავარ პრობლემას წარმოადგენს. თითქმის ყველა რესპოდენტმა გამოთქვა მუშაობის სურვილი; ამას ერთვის განათლების პრობლემა. ბოშების მხოლოდ უფროს თაობას და ახალგაზრდების უმნიშვნელო რაოდენობას აქვს დაწყებითი განათლება (1-4 კლასი). ბოშების აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა – ქართული, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართულად წერა-კითხვაზე. 50 გამოკითხული ბოშადან მხოლოდ ხუთს შეუძლია რუსულ ენაზე ელემენტარული წერა-კითხვა, ეს კი გამოკითხულთა მხოლოდ 10 პროცენტია, რაც ბოშების განათლების ძალიან დაბალ დონეზე მეტყველებს. რთული ცხოვრების პირობები აიძულებს მშობლებს, გამოიყვანონ ბავშვები სკოლიდან და ამუშავონ ისინი ოჯახის მატერიალური დახმარების მიზნით. ასევე, მშობლების განცხადებით, მათ გამოჰყავთ ბავშვები სკოლიდან, რადგან არ შეუძლიათ შეიძინონ საჭირო სასკოლო ნივნები და ნივთები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითა და ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციით გაირკვა, რომ თბილისში არ არსებობს ბოშების დაცვის არანაირი მექანიზმი. ამ ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ბოშები არ ენდობიან საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებს. მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ არავის შეუძლია მათი გაუსაძლისი ცხოვრების პირობების შეცვლა. შეიძლება სწორედ ეს იყოს პასუხი იმაზე, თუ რატომ არ ამყარებენ ბოშები ურთიერთობას საქართველოს მოსახლეობასთან და ამის ნაცვლად ცხოვრობენ საკუთარ საზოგადოებაში ჩაკეტილი ცხოვრებით. თბილისის მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ბოშების პრობლემები და არავინ ცდილობს როგორმე გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა. მიღებული ინფორმაცია ნათელს ხდის, რომ ბოშების უმრავლესობას სურს, იცხოვროს, ისწავლოს, იმუშაოს და იყოს საზოგადოების სრულფასოვანი და თანასწორუფლებიანი წევრი. მაგრამ, რადგან არსებობს მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება, მათ არ შეუძლიათ მდგომარეობის შეცვლა.

კვლევიდან ასევე გაირკვა, რომ უმეტესობა თბილისში მცხოვრები ადამიანებისა, რომლებიც საზოგადოების მიერ მიჩნეულნი არიან ბოშებად, არ არიან ბოშები. ბევრი მათგანი, რომლებსაც გააჩნიათ საბუთები, დარეგისტრირებულნი არიან მოლდოველებად, შესაბამისად ეკუთვნიან მოლდოვურ ერს. სხვები კი არიან ქურთები.

კვლევამ შეაფასა და გააანალიზა სახელმწიფოს პოლიტიკის არარსებობა ბოშებთან დაკავშირებით. 2003 წელს ადამიანის უფლებათა ინფორმაციის და დოკუმენტაციის ცენტრმა შექმნა „ბოშათა დაცვის ცენტრი“. ეს იყო 2003-2005 წლებში თბილისში ბოშებისთვის არსებული ერთადერთი პროგრამა (უფასო იურიდიული კონსულტაცია). ჩვენს მიერ თბილისში ჩატარებულმა ბოშების ინტერვიუებმა (ლოტკინის დასახლება, სამგორის რაიონი) გვიჩვენა, რომ არცერთმა ბოშა რესპოდენტმა არ იცოდა იურიდიული კონსულტაციის შესახებ.

სოციალური იზოლაცია, სიღარიბის უკიდურესი ფორმა, უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, განათლების არქონა, საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული პრობლემები – ყოველივე ეს ხელს უშლის ბოშების სოციალურ ინტეგრაციას.

ქუთაისში მცხოვრებ ბოშათა პრობლემები

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებით, უკვე 3 წელია ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის ხიდთან სპეციალურად აგებულ კარვებში ცხოვრობს ბოშათა 5 ოჯახი (დაახლოებით 50 ადამიანი). იმერეთის შს მთავარი სამმართველოს მონაცემებით მათი რიცხვი 70-ს აღწევს, აქედან 30 არასრულწლოვანია. ოფიციალური ინფორმაციით, ისინი აზერბაიჯანიდან ჯერ ბათუმში ჩასახლდნენ, ხოლო სამი წლის წინ ქუთაისში გადმოვიდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებზე დაყრდნობით, ისინი გამოძევებულნი არიან ქალაქ ბათუმიდან, ვინაიდან არ იყვნენ რეგისტრირებული ქალაქის შესაბამის სამსახურებში. როგორც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებშია მითითებული, ხშირია მათი მხრიდან მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შევიწროვების ფაქტები. ხელისუფლების წარმომადგენლები პრობლემის გადაჭრას ბოშების ქალაქიდან გასახლებაში ხედავენ, რაც ამ პირების უფლებების დარღვევას წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ბოშათა დაახლოებით 5 ოჯახი მდინარის პირას, კარვებში ცხოვრობს. მათ არ გააჩნიათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, ადგილზე შექმნილია ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც შესაძლოა სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზი გახდეს. მათი უმეტესობის, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვების საქმიანობას მათხოვრობა წარმოადგენს, შესაბამისად თავს ამ გზით მიღებული თანხით ირჩენენ. ამ ადამიანებს არ აქვთ ელემენტარული სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის ჩატარების საშუალება. გამომდინარე აქედან, არსებობს დიდი რისკი, რომ ისინი სხვადასხვა ინფექციური დაავადების მატარებელი არიან.

ბოშები ძალიან ადრეულ ასაკში იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას, რაც იწვევს ფსიქოლოგიურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის პრობლემას. თითქმის ყველა მათგანი სახლში (კარვებში) მშობიარობს, რის გამოც არსებობს დიდი რისკი, რომ ამგვარ პირობებში მშობიარობა გართულებისას სავალალო შედეგით დასრულდეს. ბავშვის დაბადების რეგისტრაცია არ ხდება სათანადო ორგანოების მიერ. საბოლოოდ კი დაუდგენელია როგორც შობადობის, ისე გარდაცვალების სტატისტიკა.

ბავშვებში მასობრივად არის გავრცელებული ტოქსიკომანია, მცირეწლოვნები და არასრულწლოვნები სხვადასხვა ქიმიური საშუალებებით (მაგ: ნებო) განიცდიან თრობას. ყოველივე ამის გამო არსებობს დიდი რისკი, რომ მათი ფსიქიკური მდგომარეობა არის არასტაბილური და ეს ადამიანები საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას.

თითქმის არცერთ მათგანს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და არ არის რეგისტრირებული შესაბამის ორგანოებში, რის გამოც პიროვნების იდენტიფიცირება შეუძლებელია.

თავიანთი ცხოვრების წესიდან და პირობებიდან გამომდინარე ბავშვები მოკლებული არიან განათლების მიღების შესაძლებლობას (საბაზისო განათლება). ვერცერთი მათგანი სათანადოდ ვერ ფლობს ქართულ ენას, ასევე რუსულსაც, რის გამოც ოფიციალურ სამსახურებს საჭიროების შემთხვევაში, უძნელდებათ მათთან ურთიერთობა.

დიდია იმის ალბათობა, რომ მცირეწლოვნები და არასრულწლოვნები, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს უფროსების მეთვალყურეობის გარეშე ატარებენ, სხვადასხვა პირებმა გამოიყენონ დანაშაულის ჩადენის იარაღად (შესაძლოა ეს მოხდეს მათივე ბანაკის წევრების მიერ).

დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული პოლიტიკა ბოშების უსაფრთხოების დაცვასა და ინტეგრაცი-



აზე. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს ბოშების პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს უმცირესობათა ამ ჯგუფის განვითარებას, მათ ინტეგრაციას. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი როგორც ხელისუფლების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ბოშების დაცვას. ასევე საჭიროა თვით ბოშების მონაწილეობაც. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ბოშების განათლებაზე, მათ სამედიცინო და სოციალურ დახმარებაზე. უნდა შეიქმნას ისეთი ორგანიზაცია, სადაც შესაძლებელი იქნება რჩევისა და დახმარების მიღება. იმისათვის რომ ბოშების უფლებები იყოს დაცული, აუცილებელია მათი რეგისტრაცია, დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი მონმობის გაცემა. მნიშვნელოვანია, შეიქმნას სპეციალური პროგრამები ბოშების დასაქმებისთვის და შესაბამისად დაძლეული იყოს სიღარიბე.

ბავშვის უფლებათა კონვენცია
ოთხ ძირითად პრინციპს ეყრ-
დნობა:

ს ი ც ო ც ხ ლ ე – ბავშვებს
აქვთ სიცოცხლისა და გადარ-
ჩენის უფლება, სამედიცინო მომ-
სახურებით სარგებლობის, წყლი-
თა და სანიტარული სისტემით
უსაფრთხოდ სარგებლობის
უფლება;

გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა – ბავშვებს
აქვთ განათლების, ინდივიდუ-
ალობის განვითარების, გონებ-
რივ თუ ფიზიკურ შესაძლებ-
ლობათა სრულად გამოვლენის
უფლება;

დ ა ც ვ ა – ბავშვებს აქვთ უფ-
ლება, დაცულნი იყვნენ
ნებისმიერი სახის დისკრიმინა-
ციისა და ექსპლოატაციისაგან,
ომისა და გაჭირვებისაგან;

მ ო ნ ა ნ ი ლ ე ო ბ ა – ბავშვებს
აქვთ უფლება, გააჩნდეთ საკუ-
თარი აზრი, თავისუფლად გა-
მოხატონ თავიანთი შეხედულე-
ბანი, მიიღონ სასურველი ინ-
ფორმაცია.

ამ პრინციპებს ითვალისწინებს
ყველა ქვეყანა, რომელმაც ბავ-
შვის უფლებათა კონვენციის რა-
ტიფიკაცია მოახდინა და ვალ-
დებულია, ბავშვის ფუნდამენ-
ტურ უფლებებს ეროვნულ დო-
ნეზე იცავდეს.

ბავშვის უფლებათა კონვენცი-
ით გათვალისწინებული უფლე-
ბები თანაბრად ეხება ყველა
ბავშვს ყოველგვარი გამონაკ-
ლისის გარეშე. სახელმწიფო
ვალდებულია, დაიცვას ბავშვი
დისკრიმინაციის ნებისმიერი
ფორმისაგან და მიიღოს ყველა

ზომა მისი უფლებების დასაცა-
ვად. გაეროს კონვენციის პირ-
ველი ნაწილის პირველი მუხ-
ლის თანახმად, ბავშვად ითვ-
ლება 18 წლის ასაკს მიუღწე-
ველი პირი, თუ რომელიმე
ქვეყნის ეროვნული კანონმდებ-
ლობა არ ითვალისწინებს სრულ-
წლოვანების მიღწევას უფრო
მცირე ასაკში.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში
ბავშვის უფლებათა პრიორი-
ტეტულობა განმტკიცებულია
კონკრეტული ღონისძიებებით
საკანონმდებლო, ადმისტრა-
ციულ და აღმასრულებელ სფე-
როებში. „ბავშვის უფლებათა
კონვენცია“ კიდევ ერთხელ
ადასტურებს აღიარებულ ჭეშ-
მარიტებას, რომ ბავშვთა უფ-
ლებების დაცვა ოჯახის, საზო-
გადოების, ქვეყნის განვითა-
რებისა და უკეთესი მომავლის
უზრუნველყოფის გზაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქარ-
თველოს კანონმდებლობა უნდა
ითვალისწინებდეს კონვენცი-



ამი აღნიშნული უფლებების დაცვას, არის საკითხები, რომელთა საკანონმდებლო დონეზე ასახვა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს;

გარდა ამისა, აუცილებელია აღმასრულებელი სტრუქტურების როლის გაუმჯობესებაც – საჭიროა მათი მოვალეობების დეტალური განწერა.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე, საზოგადოების როლი ბავშვების უფლებების დაცვის საქმეში. აუცილებელია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იგრძნოს ვალდებულება იმ ბავშვების წინაშე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან.

ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტები, მიუხედავად მათი თვალსაჩინოებისა, სახელმწიფოს მხრიდან ხშირად რეაგირების გარეშე რჩება. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გამონეული არსებული კანონმდებლობის არასრულფასოვნებით, რაც შემთხვევებში კი აღმასრულებელი რგოლი ვერ ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად გამოიკვეთა ბავშვის უფლებათა დარღვევის ფაქტები, რომელთა ანალიზიც გარკვეულ ტენდენციებზე მიგვანიშნებს.

„ქუჩის ბავშვები“

შპს „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“ დაფუძნებულია ქ. თბილისის მერიის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციითა და ხელშეწყობით. ცენტრი ფუნქციონირებს 2005 წლის 1 ივნისიდან. სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს ადაპტაციის ცენტრთან.

ადაპტაციის ცენტრში სხვადასხვა კატეგორიის ბავშვები და მოზარდები ცხოვრობენ: მზრუნველობა-მოკლებული, ობოლი, მანანნალა, ძნელად აღსაზრდელი, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ტოქსიკომანი, ალკოჰოლის მომხმარებელი. მათ უმრავლესობას აღენიშნება პოსტ-ტრავმული სტრესის აშლილობისთვის დამახასიათებელი სიმპტომატიკა, შფოთვა, ნერვული დაძაბულობა, ძილის რეჟიმის დარღვევა, პედაგოგიური ჩამორჩენა, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა, ურთიერთობის კონფლიქტური სტილი, ასოციალური ქცევა და სხვა.

ცენტრი ღია ტიპის დაწესებულებაა. ამიტომ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცენტრში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მოხვედრილი ბავშვები ნაწილობრივი გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ქუჩას უბრუნდებიან. ეს განსაკუთრებით ტოქსიკომან და ალკოჰოლის მომხმარებელ მოზარდებს ეხება.

სტრუქტურის მიხედვით, აღსაზრდელმა მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში უნდა გაიაროს რეაბილიტაცია და შემდეგ გადავიდეს სხვა სპეციალიზებულ საბავშვო დაწესებულებაში. თუმცა, პრაქტიკულად ეს ვერ ხორციელდება.

განათლების უფლება

სოციალური ადაპტაციის ცენტრისა და სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებების შესწავლით გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც გამონეულია ქუჩის ბავშვების არასათანადო დაცულობით სახელმწიფოს მხრიდან. ამ კატეგორიის ბავშვებს ძირითადად ერთნაირი ბიოგრაფიები აქვთ და მათი პრობლემები მათივე ოჯახებიდან იწყება;

ყველასათვის ნათელია, რომ ქუჩის ბავშვების, როგორც ახალი სოციალური მოვლენის, არსებობა სახელმწიფოში მომხდარი მსხვილი პოლიტიკური გარდაქმნების უარყოფითი შედეგია. ქუჩის ბავშვების უმეტეს ნაწილს ისინი წარმოადგენენ, ვინც ოჯახიდან უკიდურესი გაჭირვებით გამოწვეულ ათასგვარ სოციალურ მანკიერებას გამოექცა. ცალკეული შემთხვევების შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ ასეთი ბავშვების ოჯახები ვერ ან არ აცნობიერებენ შვილების წინაშე ნაკისრ პასუხისმგებლობას; ასეთი მშობლები ბავშვებს განიხილავენ, როგორც შემოსავლის წყაროს. რაც მეტია შვილი, მით მეტია შემოსავალი ოჯახში. ყველაზე დიდ პრობლემას ამ საკითხთან დაკავშირებით კი ის წარმოადგენს, რომ ბავშვის პიროვნება მხოლოდ ასეთ არაჯანსაღ სოციალური გარემოში ყალიბდება ისე, რომ ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის საჭირო სოციალური პირობების შესახებ მის მშობლებს ელემენტარული წარმოდგენაც კი არა აქვთ, რადგან ისინი, თავის მხრივ, ხშირად ასეთივე ოჯახებში იზრდებოდნენ.

ასეთ ოჯახებში, ბავშვის ბაზისური უფლებების დარღვევის ქრილში ბევრ პრობლემას ვაწყდებით. ერთ-ერთი უმთავრესია ბავშვის განათლების უფლება. ამ ბავშვების მშობლების უმეტესობას თავად არ აქვს მიღებული არავითარი განათლება. ცენტრში მოხვედრილი 14-15 წლის აღსაზრდელების ნაწილმა წერა-კითხვაც კი არ იცის, რაც სხვა რიგ პრობლემებთან ერთად, მათი სკოლაში მიყვანის ერთერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. ბავშვები მთელ დროს ქუჩაში ატარებენ; ამიტომ, მათი ცხოვრების ნორმალურ ჩარჩოში მოქცევა ურთულესი ამოცანაა – სოციალური ადაპტაციის ცენტრში ერთხანს გაჩერებული ბავშვი უქუჩოდ დიდხანს ვერ ძლებს, რადგან პატარაობაში დამკვიდრებული ღირებულებები (უფრო სწორად, ღირებულებების არქონა) და ქცევითი ფორმები ყველაზე მკვიდრი სოციალური მოდელებია. გამოდის, რომ ეს ბავშვები თავიდანვე განწირულნი არიან ქუჩაში საცხოვრებლად; იქ არსებული უაღრესად მანკიერი მიკროკულტურა ერთადერთ სოციალურ გარემოდ რჩება მათთვის.

სოციალური ადაპტაციის ცენტრში მყოფი ქუჩის ბავშვების უფლებათა დარღვევები ნათლად მიუთითებს აღნიშნულზე:

1. ბ.ა. დაიბადა 1990 წ. 17. 01. დედა – ზ.ა.; ბ-ს სკოლაში საერთოდ არ უვლია, წლების განმავლობაში სუნთქავდა ნებოს, ცხოვრობდა დიღმის მასივის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ბ-ს ოჯახი ცხოვრობს გლდანის მასივში. მამა ამჟამად იხდის სასჯელს. მას ჰყავს ძმა მ. 10 წლის, რომელიც მართალია, სკოლაში დადის, მაგრამ ხშირად ლამის საათებში მათხოვრობს მეტროში. ზ.ა. საკუთარ სახლში თავშესაფარს აძლევს მიუსაფარ ბავშვებს, რომლებსაც იქ მიაქვთ სხვადასხვა გზით ნაშოვნი ფული და ნივთები. იქვე ყნოსავენ ნებოს. საქმის ვითარება ცნობილია ადგილობრივი პოლიციის განყოფილებისათვის. აღნიშნული საქმე რეაგირების მოხდენის მიზნით სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა გადაუგზავნა გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს.
2. და-ძმა – ლ.ა. (12 წლის) და მ.ა. (15 წლის). მათ ჰყავთ დედა, ს.ი; რომელმაც გამოიყვანა ისინი სკოლიდან. ლ. შემჩნეულია ქურდობაში და მათხოვრობაში. ის ქუჩაში გამვლელებს ჩანთებს გლეჯს, შედარებით სუსტებს ნიხლებს ურტყამს, შეურაცხყოფას აყენებს. დედა არანაირ მზრუნველობას არ იჩენს შვილების მიმართ; ის წინასაახალწლოდ გამოცხადდა სოციალური ადაპტაციის ცენტრში და ლ-ის დროებით წაყვანა ითხოვა; სურდა ბავშვის სხვა ბავშვთა დაწესებულებაში გადაყვანა. მეორე დღიდანვე ლ. ქუჩაში, რესტორნების წინ მათხოვრობდა. შორიახლოს ტრიალებდა დედა პატარა ჩვილით ხელში.

ამ შემთხვევებში, სხვა უფლებებთან, ერთად დარღვეულია ბავშვის უფლება განათლებაზე, რომელიც დაცულია საქართველოს კონტიტუციით, კანონით ზოგადი განათლების შესახებ და სხვა საერთაშორისო აქტებით. ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მსგავსი შემთხვევების შესახებ ეგზავნება შესაბამის სტრუქტურებს. თუმცა რეაგირება ხშირად ზედმეტად დიდ დროს მოითხოვს.



მშობლების ამკარა გულგრილობის გარდა, ასეთ ფაქტებს სათანადო ორგანოებიც რეაგირების გარეშე ტოვებენ. დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ქუჩაში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვანყდებით მათხოვარ, უსაქმურად მოხეტიალე ბავშვებს, მაგრამ ეს ფაქტი ყურადღების გარეშე რჩება როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. განათლება ბავშვის უფლებაა, რომლის დაცვა და უზრუნველყოფაც ევალება მის მშობელს ან სხვა პასუხისმგებელ პირს. ეს ფაქტორი ერთ-ერთი გადამწყვეტია ასეთი ბავშვების რეინტეგრაციის პროცესში.

ამ ბავშვების პედაგოგიური ჩამორჩენილობა და ელემენტარული ყოფითი და სხვა სოციალური ჩვევების უქონლობა გამოყოფს მათ დანარჩენი თანატოლებისგან და ართულებს მათ რეაბილიტაციას.

ასეთ ვითარებაში გაზრდილი ბავშვების ჩვეულებრივ სკოლებში მიყვანა სერიოზული სირთულის წინაშე აყენებს ბავშვზე პასუხისმგებელ პირს. გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს სპეციალური პროგრამების შექმნა და საგანგებოდ ამ კატეგორიასთან მომუშავე პროფესიონალების მომზადება.

მსგავსი პრობლემების მრავლად არსებობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ არ იქმნება კანონით გათვალისწინებული მექანიზმების ამუშავების შესატყვისი პირობები. გარდა ამისა, დაბალია საზოგადოების ცნობიერების დონეც ამ მიმართულებით.

გასაგებია, რომ იმ ოჯახების გამრავლება, სადაც იზრდებიან მომავალი ქუჩის ბავშვები, უკიდურესმა სიღარიბემ გამოიწვია, თუმცა ყველა მაღალი განვითარების ქვეყანა მეტ-ნაკლებად დგას ამ პრობლემის წინაშე. საკითხის გამოსწორება უნდა დაიწყოს მისი წარმოქმნის წყაროდან – ოჯახებიდან; სწორედ ოჯახის არასწორი ცხოვრების წესი ხდება მიზეზი იმისა, რომ ბავშვები წყვეტენ სკოლაში სიარულს და მიდიან ქუჩაში. ერთ-ერთი აღსაზრდელის დედამ აღნიშნა, რომ არც მას არ უვლია სკოლაში და ვერც თავისი შვილისთვის ხედავს ამის აუცილებლობას.

განათლების უფლება დაცულია ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე, 28-ე და 31 მუხლებით. ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად: „მშობლები უფლებამოსილი და მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ეკისრებათ მათ მშობლებს. მშობლების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

აღნიშნული დებულების მიხედვით ცხადია, რომ მშობელს უფლება აქვს და ვალდებულია, იზრუნოს შვილის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ განვითარებაზე. ეს მშობლის ძირითადი მოვალეობაა. აღნიშნული დებულება მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს ვალდებულებასთან, ყველა ადამიანს მისცეს დანყებითი და საბაზო განათლება. აღნიშნული ვალდებულება სახელმწიფოს არა მხოლოდ საკუთრივ აქვს დადგენილი, არამედ ვალდებულად მიიჩნევს ყველას, რათა მიიღოს დანყებითი და საბაზო განათლება (საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით „დანყებითი და საბაზო განათლება სავალდებულო“). აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება უკლებლივ ყველა მოქალაქეზე და უნდა განვიხილოთ ისეთივე ძირითად ვალდებულებად, როგორც სახელმწიფოს დაცვა ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებების შესრულება.

მშობლები მოვალენი არიან იზრუნონ შვილების განათლებაზე, რათა შესრულდეს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება. მშობლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გაგებულნი უნდა იქნას როგორც მშობლის მოვალეობის შესრულებისთვის თავის არიდება, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შეიძლება მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველი გახდეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლი შეეხება სწორედ ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობას: „მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, აგრეთვე არასრულწლოვანის მიერ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ან მათ მიერ სხვა სამართალდარღვევათა ჩადენა (საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე მათ მიერ სპირტიანი სასმელების მიღება) გამოიწვევს მშობლების ან მათ შემცვლელ პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“.

აღსანიშნავია, რომ ორგანო რომელიც აღნიშნული ქმედებისთვის აჯარიმებს მშობელს ან მათ შემცვლელ პირებს, კანონში მითითებული არ არის. თუმცა ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ მსგავს ქმედებებს არც თუ იშვიათად ვაწყდებით ბავშვების ცხოვრებაში. ასეთი ხარვეზების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ უკვე არსებული კანონით გათვალისწინებული ნორმები დაუხვეწავია და საფუძვლიან დამუშავებას მოითხოვს, რათა შესაძლებელი გახდეს მათი რეალური ამოქმედება და ცხოვრებაში რეალიზება.

ზემოთხსენებული კანონებისა და ფაქტების შეჯამების შედეგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ კანონით დაცული ცალკეული უფლებები დაუცველი რჩება, ვინაიდან არ არის შესაბამისი აღმასრულებელი ინსტრუმენტები. ამ ვითარების გამოსწორება ძალიან ბევრ პრობლემას გადაჭრიდა მისი წარმოქმნის მომენტიდან და აღარ იქნებოდა საჭირო უკვე გამოუსწორებელ პრობლემებთან ბრძოლა. ანუ როდესაც ვსაუბრობთ ბავშვების უყურადღებოდ ქუჩაში ხეტიალის და მანანწალობის პრობლემის გადაჭრაზე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ამ მოვლენის გამომწვევი და ხელშემწყობი მომენტები.

ქუჩის ბავშვების სასწავლო პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ მათი სოციალური ინტეგრაცია, რაც გაცილებით ადვილია ადრეულ ასაკში. ასეთი კატეგორიის ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობა სხვა ბავშვებთან. როგორც უკვე ცნობილია, რისკის ჯგუფის ბავშვები მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობენ და დანარჩენი თანატოლებისგან განსხვავდებიან ცხოვრების წესითა და განვითარების შესაძლებლობებით. სკოლა ამ კატეგორიების დაახლოების საშუალებას იძლევა; გარდა ამისა, სკოლაში გატარებული საათები გამოაკლდება ასეთი ბავშვების ქუჩაში ხეტიალის დროს, რაც შეამცირებს იმ რისკებს, რომელიც მათ ქუჩაში ემუქრებათ. მასწავლებლებისა თუ სოციალური მუშაკების დახმარებით შესაძლებელი გახდება რისკის ჯგუფის ოჯახების უკეთ გაკონტროლება. ბავშვი, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, ადვილი ამოსაცნობია კვალიფიცირებული პედაგოგისათვის. ბავშვებს შეექმნებათ შინაგანი რეჟიმი, გაუჩნდებათ ელემენტარული ჩვევები, რომელთა მიღებასაც ვერ ახერხებენ თავიანთი ოჯახის და მით უმეტეს, ქუჩის პირობებში. აქვე გასათვალისწინებელია რიგი საკითხებისა, რომელთაც ამ პროცესში შეიძლება წავაწყდეთ. მაგალითად: ასეთი ცვლილებების განხორციელების დროს აუცილებელია, დადგინდეს, თუ რამდენად მზადაა საზოგადოება მიიღოს ამ კატეგორიის ბავშვები სკოლაში. საჭირო იქნება სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მომზადება, რომ სწორად მოხდეს ასეთი ბავშვების ჩართვა სასწავლო პროცესში. თუმცა თუ შემდგომში აღნიშნული პრაქტიკა, რომელიც კანონის პირდაპირ მოთხოვნას წარმოადგენს, დაინერგება, საკითხიც აღარ დადგება ასე მტკივნეულად. კანონის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფასთან ერთად აუცილებელია მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაც. თითოეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს თავისი ვალდებულება იმ ბავშვების წინაშე რომელიც ე.წ. რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. როგორც ფაქტები მიგვიჩვენებს, ამჟამად აღნიშნული საკითხის მიმართ საზოგადოება გულგრილია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბავშვების უმრავლესობა, რომელიც უკვე დიდი ხანია ცხოვრობს ქუჩაში, მანანწალობს ან მათხოვრობს მთელი დღე-ღამის განმავლობაში, დგას სერიოზული პრობლემის წინაშე – მათ არ აქვთ ელემენტარული განათლება და ცოდნა. რაც, თავის მხრივ, სერიოზულად გაართულებს მათი ჩვეულებრივი სასკოლო პროგრამით სწავლების საკითხს. უმრავლეს შემთხვევაში



შეუძლებელი იქნება ბავშვების ასაკის მიხედვით კლასებში განაწილება, რადგან ქუჩის ბავშვის ცოდნა არ შეესაბამება მისი ასაკის შესაბამის სასკოლო მოთხოვნებს. ამ ბავშვების უმრავლესობა საგრძნობლად ჩამორჩება სკოლაში თანატოლების განათლების დონეს. მათი სკოლაში მიყვანა მართებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება სპეციალური პროგრამები, რომლებიც დაეხმარება ასეთი ჩამორჩენის მქონე ბავშვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მონყვლადი კატეგორია რიგი მიზეზების გამო მოკლებულია განათლების მიღების შესაძლებლობას და მათი სკოლებში ჩვეულებრივი დასწრების უზრუნველყოფა ბევრი პრობლემის წინაშე გვაყენებს, გასათვალისწინებელია უპირატესი უფლებები, რაც იმპერატიულად გულისხმობს იმას, რომ კანონის წინაშე ყველა ბავშვი თანასწორია და ყოველ მათგანს აქვს უფლება მიიღოს განათლება, ხოლო სახელმწიფო ყოველი მათგანის წინაშე ვალდებულია, უზრუნველყოს მისი ამ უფლების განხორციელება.

დღეს არ არსებობს სპეციალური პროგრამები ამ ბავშვების განათლების ხელშესაწყობად. სახელმწიფო ვერაფერს სთავაზობს ბავშვებს, რომლებმაც თვიანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქუჩაში გაატარეს, რათა ისინი შემდგომში საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბდნენ. ბავშვის რეაბილიტაციისა და გადარჩენის გზა სწორედ ესეთ საკითხებს უკავშირდება. აუცილებელია მათი დახმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რა აკლდა მას, როდესაც ქუჩაში ცხოვრობდა და მთელ დღეებს მათხოვრობაში ატარებდა.

გარდა ბავშვებისთვის შექმნილი სპეციალური პროგრამებისა, აუცილებელია გადამზადდნენ პედაგოგები, რომლებიც ასეთ ბავშვებს გაუწევენ მეთვალყურეობას.

სახელმწიფომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უნდა შეიმუშაოს კონკრეტული პოლიტიკა, რაც დღემდე არ არსებობს. კანონით დადგენილი და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას გამოუსწორებელ პრობლემებამდე მივყავართ და კონკრეტული ბავშვების ცხოვრებას უკავშირდება. შემდგომში კი წარმოშობს ფენას, რომელშიც დიდია დანაშაულების რისკი; როგორც ცნობილია, ასეთი ბავშვების დიდი ნაწილი ხშირად ებმება სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებებში და ხვდება ციხეში, სადაც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება.

ეს საკითხები საჭიროებს მთელი რიგი არსებული კანონებისა თუ აღმასრულებელი ორგანოების რეორგანიზაციასა და შეცვლას. თუმცა აღნიშნულის გადაუჭრელად დატოვება ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან ბავშვების განათლების უფლების დარღვევად, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და ბავშვის უფლებათა კონვენციას, საბოლოოდ კი ნეგატიურად აისახება არა მარტო მონყვლადი სოციალური ჯგუფების, არამედ მთელი საზოგადოების პროგრესული განვითარების პერსპექტივაზე.

რეკომენდაციები

- აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პარლამენტის განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების მიერ კანონით განსაზღვრული დანყებითი და საბაზო განათლების ვალდებულების დაცვა და აღნიშნულის განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმების გამკაცრება, ამოქმედება და დამატებითი საშუალებების შემუშავება.
- ადგილობრივი თვითმმართველობების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ უნდა დაიწყოს მონყვლადი ოჯახების აღრიცხვა და მათი მდგომარეობის შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვის სასწავლო პროცესიდან ჩამოშორების თავიდან აცილება, როდესაც ეს გამონვეულია ოჯახური პირობებით.

- უნდა განისაზღვროს სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირების მკაცრად განსაზღვრული ვადები ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში. ბავშვის ნომრალური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ რეაგირება იყოს რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური.
- საჭიროა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს (პოლიციას, რესურსცენტრებს) დაევალოს ბავშვის სასწავლო პროცესის დასწრების უზრუნველყოფა იმ შემთხვევებში, როდესაც დროის ამ მონაკვეთში ბავშვი ქუჩაში დგას და მათხოვრობს ან მანანალობს და შემდგომში უნდა მოხდეს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების მოკვლევა.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სკოლის ადმინისტრაციებმა უნდა გაუწიონ კონტროლი იმ ბავშვების სასწავლო პროცესის დასწრებას, რომლებიც მონაცვლად კატეგორიას განეკუთვნებიან და/ან რისკის ქვეშ იმყოფებიან.
- განათლების სამინისტროს მიერ უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს მონაცვლად ბავშვებს, მიიღონ დანყებითი და საბაზო განათლება.

მათხოვრობა

მშობლების ფაქტორის შესწავლის გარეშე მონაცვლადი ბავშვების პრობლემის გადაჭრა ძალიან რთულია. ცენტრში მოხვედრილი, მანანალა ქუჩის ბავშვის გამოსწორების პროცესი ისედაც საკმაოდ რთულია და მრავალ პრობლემას უკავშირდება. ამ კატეგორიის ბავშვებში ხშირია ტოქსიკომანიის და ლოთობის ფაქტები. ნებოს ყნოსვისგან დაზიანებული ჯანმრთელობის აღდგენა დიდ დროს საჭიროებს, თუმცა არის შეუქცევადი შემთხვევებიც, რომლებიც ლეტალური შედეგით სრულდება.

მაგნე ჩვევებს ბავშვები იძენენ ქუჩაში ყოფნის პერიოდში, ტკივილისა და შიმშილისგან თავის დასაღწევად. მიუხედავად ქუჩაში ცხოვრებისას არსებული რთული პირობებისა, ქუჩის ბავშვებს მაინც ახასიათებთ ცენტრებიდან გაქცევის მცდელობები; მათ უმრავლესობას, განსაკუთრებით ზაფხულოდ, ქუჩაში ცხოვრება ურჩევნია. ასეთი ბავშვებისთვის რთულია ისეთი საქმიანობის შეთავაზება, რომლითაც მათი დაინტერესება გახდება შესაძლებელი. მათი დამაგრება თავშესაფრებში თუ სხვა სამზრუნველო დაწესებულებებში ძალიან დიდ სირთულეებს უკავშირდება. „ქუჩის ბავშვისთვის“ ქუჩა მშობლიური სახლია, სადაც ის აუცილებლად იშოვის საზრდოსაც და გასართობსაც; ეს მისთვის სასვებით საკმარისია და საზოგადოების მხრიდან დაგვიანებით შეთავაზებულ მზრუნველობაზე, რომელიც, ამავე დროს, მის გარკვეულ ზნეობრივ ჩარჩოში მოქცევასაც გულისხმობს, უფრო მისაღებიც.

ასეთი ბავშვების უმრავლესობას ჰყავს მშობლები. თუმცა, ხშირად სწორედ მათ გაურბიან ბავშვები, რაც შემდგომ მათი ქუჩის ბავშვად გადაქცევის მიზეზი ხდება. ქუჩაში მოხვედრილი ბავშვების მშობლები, ხშირ შემთხვევაში ასევე განეკუთვნებიან რისკის ჯგუფს, არიან მათხოვრები, ლოთები, დაკავებულები არიან პროსტიტუციით და ა.შ.

ენ. „ქუჩის ბავშვები“ შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: 1. ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ატარებენ თითქმის მთელ დროს, სამუშაოდ ან სამათხოვროდ, მაგრამ აქვთ თავშესაფარი, სახლი, ჰყავთ მშობელი, ამიტომ ქუჩაში ცხოვრება არ უნევთ; 2. ბავშვები რომელთა ერთადერთ საცხოვრებელ და სამყოფ ადგილს ქუჩა წარმოადგენს. ასეთი ცხოვრების წესი უბიძგებს მათ კრიმინალური ქმედებებისკენ და პროსტიტუციისკენ. იზრდება იმის რისკიც, რომ ასეთი ბავშვი ძალადობის მსხვერპლი გახდეს.

ხშირ შემთხვევებში, როგორც ასეთი ბავშვებისთვის განკუთვნილი თავშესაფრების მონიტორინგმა გვიჩვენა, ბრალეულობის წილი სწორედ მათ მშობლებს მიუძღვის. ამ ბავშვებს თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით; მათი დაცვა მოძალადე მშობლებისგან ძალიან დიდ ძალისხმევას საჭიროებს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პრაქტიკა, მით უმეტეს, ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული, ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს. მშობლები აიძულებენ მათ მათხოვრობას, შემდეგ კი ართმევენ



მოპოვებულ ფულს. სწორედ ასეთი მშობლები არიან ხშირად დაინტერესებული თავიანთი შვილების სახელმწიფო ინსტიტუციიდან წამოყვანით, რადგან ბავშვი მათი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნული ინსტიტუციების ხელმძღვანელობის დიდი ძალისხმევისა, მათთვის უარის თქმა ბავშვის წაყვანაზე კანონით აკრძალულია. ასეთი შემთხვევები კი უფრო ახანგრძლივებს ბავშვის რეაბილიტაციის პროცესს და ხშირად შეუძლებელსაც ხდის მას.

1. მ.ნ-ის საქმე

დაიბადა 07.03. 1989 წ. 18 წლის. მ. ტოქსიკომანია. ის იზრდებოდა სოფ. „კაჭრეთის“ ბავშვთა სახლში, რომელიც დატოვა ისე, რომ სასწავლო პროცესი არ დაუსრულებია. მას შემდეგ პრაქტიკულად იყო ქუჩაში, სადაც მიეჩვია ქურდობას და მათხოვრობას; ჰყავს დედა, რომელიც ცხოვრობს ბავშვის დასახლებაში და თავს ირჩენს მათხოვრობით; ის ამათხოვრებს მ-ს, მის 9 წლის დას, რომელსაც არასოდეს არ უვლია სკოლაში; ოჯახი ამათხოვრებს მ-ს უფროსი ძმის შვილსაც – ერთი წლის ბავშვს. მ. ღამეს ბავშვთა ადაპტაციის ცენტრში ათევს – ქუჩიდან იქ ღამის პირველ-ორ საათზე ცხადდება; მას ტოქსიკომანიის ნიადაგზე დასცვივდა კბილები; უმძიმესი ინტოქსიკაციის გამო რამდენჯერმე მოხვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი მიხაილოვის საავადმყოფოს) რეანიმაციურ განყოფილებაში.

2. ლ. ს-ის საქმე

14 წლის. მას ჰყავს დედა, ლ.მ., რომელიც დაავადებულია ქრონიკული ალკოჰოლიზმით და მუდმივად ითხოვს შვილებისაგან ფულს. ლ. და მისი და ნ. ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ გაიზარდნენ. მათ არ უვლიათ სკოლაში. ლ. ღამითაც კი იშვიათად მიდის სახლში, რადგანაც იქ საეჭვო ქცევის მამაკაცები იკრიბებიან დედამისთან. მათ სახლში იკრიბებიან სხვა მანანალა ბავშვები და მოზარდებიც. იქ ისინი სუნთქავენ ნებოს და ინანილებენ „ნადავლს“. ლ-ს ხშირად ხედავენ მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ინფორმირებულია პოლიციის ადგილობრივი განყოფილება და საპატრულო პოლიცია.

3. გ.გ-ს საქმე

7 წლის გ., მისი 11 წლის და და 16 წლის ძმა, გ. მათ ჰყავთ ალკოჰოლიზმით დაავადებული მამა, რომელიც ბავშვებს ცემს და ქუჩაში სამათხოვროდ უშვებს. დედა ლ. ნ. არ იჩენს სათანადო მზრუნველობას შვილების მიმართ. ბავშვებს არასდროს არ უვლიათ სკოლაში. გ.-ს და გ.-ის აქვთ გონებრივი განვითარების შეფერხება. ეს ბავშვები საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს დღისა და ღამის საათებში ხშირად მოჰყავთ ცენტრში. პოლიციელების ინფორმაციით, ბავშვები ნაგავსაყრელზე იკვებებიან; მათ არც დაბადების მოწმობები აღმოაჩნდათ. დედას არ ახსოვს ბავშვების დაბადების თარიღები და სახელები, რადგან აღმოჩნდა, რომ მას გაჩენილი ჰყავს არა 5, არამედ 11 შვილი. ერთი 15 წლის ვაჟი ამჟამად სასჯელს იხდის. ქალიშვილი გათხოვილია, ხოლო დანარჩენების ბედი ჩვენთვის უცნობია. გ. და გ. განთავსდნენ მე-200 საჯარო სკოლა-პანსიონში, ხოლო გ. – საგურამოს ბავშვთა სახლში. ამ კერძო შემთხვევაში პრობლემად რჩება გ.-ს და გ.-ს დაბადების მოწმობები, რომლებიც აუცილებლად დედამ უნდა აიღოს. მას კი თავად არ აქვს მოქალაქის პირადობის მოწმობა. აღნიშნული საქმე სახალხო ბავშვის უფლებათა ცენტრმა რეაგირებისთვის გადაავსავენა გლდან-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრში.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ საქართველოში დღემდე პრობლემად რჩება ასეთი ფაქტების გამოაშკარავება და მათი აღმოფხვრის მექანიზმების გამოყენებაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთათვისაც ცნობილი გახდა არასრულ-

წლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან, ამის შესახებ შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ხოლო სახელმწიფო თავის მხრივ, ვალდებულია, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებები დეტალურად არის მოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ: „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს მშობლისათვის (მშობლებისათვის) მშობლის უფლების ჩამორთმევის ან მშობლისათვის ბავშვის ჩამორთმევის (მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე) მოთხოვნით, თუ ის თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას“.

ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულება, შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს არასურსტანლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის მათთვის ცნობილი შემთხვევის შესახებ, მართალია, კანონით განმტკიცებულია, მაგრამ კარგი იქნება, თუ კანონმდებლობით მისი შეუსრულებლობის შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც გაინერგება.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მშობლებისთვის დადგენილ ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვა. ეს დებულება მოიცავს მშობლის ვალდებულებას, მაქსიმალურად იზრუნოს შვილის მორალურ და ზნეობრივ განვითარებაზე, მისი, როგორც საზოგადოებისთვის ღირებული პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

სამწუხაროდ, საქართველოს საკანონმდებლო აქტები არ იძლევა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის ცნების განმარტებას; ეს საქმის განმხილველი ორგანოს პრეროგატივაა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალებისა და კერძო გარემოებების შესაბამისად დაადაგინოს, რა არის ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. ერთ შემთხვევაში საქმის განმხილველმა ორგანომ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობად შეიძლება ჩათვალოს მანანწალობა, მეორე შემთხვევაში საცხოვრებლის არმქონე პირის გარეთ ცხოვრება შეიძლება ასეთად არ მიიჩნიოს. ანუ საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი იქნება მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ანალიზი და გადაწყვეტილების შესაბამისად მიღება.

როგორც არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად მშობლები (ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები) აიძულებენ ბავშვებს, იმათხოვრონ და იმუშაონ. ამას ხშირად განაპირობებს მშობელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ხოლო არცთუ იშვიათად ის გარემოებაც, რომ თავად მშობლები არიან ლოთები, ნარკომანები და ტოქსიკომანები, ბავშვები კი საკუთარ არსებობას თავად უზრუნველყოფენ.

ფაქტები ცხადყოფს, რომ მშობლის მხრიდან ბავშვების უფლებათა დარღვევების ფაქტებზე სახელმწიფო სტრუქტურებს რეაგირება დღემდე არ მოუხდენიათ; **ამასვე ადასტურებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცედურა რეგულირდება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, მასში გათვალისწინებული მუხლები წლების განმავლობაში არ განხორციელებულა.** მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოებს სხვადასხვა დროს, ერთ-ერთი მშობლის მიერ უფლების ჩამორთმევის შესახებ შეტანილ სარჩელზე, სასამართლოს მოთხოვნით, საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლის საფუძველზე, გაუციათ დასკვნები, სადაც მოსარჩელე მშობლის არგუმენტაცია მოპასუხე მშობლის მიმართ ჩაუთვლიათ უსაფუძვლოდ და არასაკმარის დასაბუთებად. ეს არის ერთადერთი შემთხვევა რომლის შესახებაც სამინისტრომ შესძლო ინფორმაციის ბავშვთა უფლებების ცენტრისთვის მოწოდება. სხვა შემთხვევები „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 1198 პრიმა, 1205 და 1210 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურის სტატისტიკური მაჩვენებლების მოწოდება მათი მხრიდან არ მოხერხდა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშობლის მხრიდან ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამის სტრუქტურებს მშობლის პასუხისმგებლობის მოთხოვნით არც სასამართლოსთვის არ მიუმართავთ და მსგავსი შემთხვევა არც თავად განუხილავთ; ეს კი პირდაპირ აისახება ბავშვების ცხოვრებაზე; მშობელს, რა თქმა უნდა, არ ესმის, რომ თავისი ბავშვის საყოველთაოდ მიღებულ უფლებებს არღვევს და ამაში დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავს, ამიტომაც ამას ღიად და დაუფარავად ჩადის.



შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით უკანასკნელი 5 წლის მანძილზე სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის „არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში“ საფუძველზე, აღიძრა და დანაშაულის ფაქტზე გამოძიება დაიწყო და შემდგომში გახსნილ იქნა 36 სისხლის სამართლის საქმე. 2006 წელზე მოდის 6 სისხლის სამართლის საქმე ზემოხსენებულ დანაშაულზე.

სახელმწიფო პოლიტიკა ამ მხრივ ჩამოუყალიბებელია. პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით განერილი მექანიზმები პრაქტიკაში არ გამოიყენება, რაც განაპირობებს არასრულწლოვანის უფლებების დარღვევას; აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან ფაქტობრივად არაფერი კეთდება აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, რაზეც მეტყველებს ზემოთ აღწერილი კონკრეტული შემთხვევები.

ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შესაბამის მექანიზმებს იმ პირთა გამოსავლენად და დასასჯელად, ვინც აიძულებს არასრულწლოვანს, იმათხოვროს ან ჩაებას სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში; ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო ბაზა ნამდვილად აძლევს საშუალებას შესაბამის ორგანოებს, მიიღონ ეფექტური ზომები აღნიშნული სოციალური მანკის აღმოსაფხვრელად. მართალია, პრობლემა მხოლოდ მშობლის უფლების ჩამორთმევით ან მშობლების (ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების) დასჯით არ მოგვარდება, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში არასრულწლოვანთა მდგომარეობა ნამდვილად გააუმჯობესდება.

საჭიროა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა – აიკრძალოს ბავშვის ქუჩაში მათხოვრობა. გარდა ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით – ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა გააცნობიეროს, რომ მათხოვარი ბავშვისთვის მიცემული ფული სიკეთეს არ წარმოადგენს და ის მათხოვარი ბავშვის ასოციალურ მშობლებს ან სხვა ქუჩის დაჯგუფებებს ხმარდება; ბავშვისთვის კი ეს პირდაპირი ფსიქოლოგიური შეტყობინებაა იმისა, რომ ის დარჩეს ქუჩაში და გააგრძელოს მისთვის მიუღებელი საქმიანობა; ამ კუთხით საზოგადოების განათლებისა და კანონმდებლობის დახვეწის მიზნით გადადგმული ნაბიჯები უთუოდ შეაფერხებს რისკის ჯგუფის ბავშვების არმიის ახალი „კადრებით“ შევსების პროცესს.

სასურველია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს საზოგადოებრივი კამპანიის წარმოება და სხვა ეფექტური მექანიზმების ამუშავება ქუჩაში ბავშვთა მათხოვრობის აღმოსაფხვრელად.

სწორედ ამ პრობლემის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებამ განაპირობა ის გარემოება, რომ თბილისის სავსეა მათხოვარი ბავშვებით; მათი რეაბილიტაცია და დაცვა კი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთული ხდება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 3-ე მუხლის თანახმად : „1. ბავშვის მიმართ ყოველგვარ მოქმედებაში, მიუხედავად იმისა, ასრულებს მას სახელმწიფო თუ კერძო დანესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას“.

„2. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლების, მეურვეებისა და ამ სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონით პასუხისმგებელნი არიან მისთვის, ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის და საამისოდ ახორციელებენ ყველა სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებას.“

„3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის, მათი დაცვისათვის

პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რაოდენობრიობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.“

ქალაქობა

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობისგან დაცვის შესახებ“. პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული კანონის განხორციელებისთვის საჭირო მექანიზმები ჯერ არ ამუშავებულა. იმ სტრუქტურებმა, რომელთაც ამ კანონის თანახმად დაეკისრათ ვალდებულება დაიცვან პირი ოჯახში ძალადობისგან, უკეთ უნდა გააცნობიერონ თავიანთი როლი აღნიშნული კანონის აღსრულებაში.

ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ზემოთ ხსენებული ცენტრების დახმარებით არ არის ძნელი. იქ მოხვედრილი ბავშვების დიდი ნაწილი სწორედ რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. თუმცა მოძალადე ოჯახის წევრების პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არც ერთ შემთხვევაში არ დამდგარა.

1. მ.პ-საქმე

დაბადებული 09. 04. 1992 წ. ოჯახი ცხოვრობს ზაჰესის დასახლებაში, ბარაკის ტიპის ნანგრევებში. მას ჰყავს ძმა (12 წლის) და და (2 წლის). მამა სვამს და სცემს ცოლ-შვილს; მ-ას აღენიშნება პედაგოგიური ჩამორჩენილობა და გონებრივი განვითარების შეფერხება, სკოლაში პრაქტიკულად არ უვლია; ის ჩართულია კრიმინალურ ქმედებებში, რასაც ადასტურებს ზაჰესის პოლიციის განყოფილება; ასევე უმძიმეს მდგომარეობაშია მისი ძმა, გ.; ის ძმასთან ერთად საჭიროებს დახურული ტიპის დაწესებულებაში სასწრაფოდ გადაყვანას – ბავშვები ფიზიკური საფრთხის წინაშე იმყოფებიან; საქმე შესაწავლად გადაგზავნილია გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურს ცენტრში და ამავე რაიონის შს სამართველოში.

2. ს.ბ-ას საქმე

13 წლის, მას სკოლაში საერთოდ არ უვლია. ჰყავს დედა – ი.ბ. და მცირეწლოვანი და. ბავშვი სისტემატურად გარბის სახლიდან, გაიზარდა სხვადასხვა თავშესაფრებში (ბელურები, ადაპტაციის ცენტრი, მომავლის სახლი). ოჯახიდან მისი წამოსვლის მიზეზი დედის მძიმე მდგომარეობაა. ი.ბ. ალკოჰოლიზმით არის დაავადებული და როგორც ბავშვი აღნიშნავს, ალკოჰოლის ზემოქმედების დროს სასტიკად სცემს შვილებს; ს. ქუჩაში ყვავილებსა და ხატებს ყიდის; როდესაც სახლიდან იპარება, ცდილობს, დედას დაემალოს; თავშესაფრებიდან რეგულარულად გარბის და მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობამდე მისვლისას ბრუნდება უკან; ს-ს დედას ხშირად მიჰყავს ბავშვი ცენტრიდან; ის ჰპირდება ადმინისტრაციას, რომ იზრუნებს თავის შვილზე, თუმცა დროის გასვლის შემდეგ ს. ისევ ქუჩას უბრუნდება; ამჟამად ბავშვი მოთავსებულია ერთ-ერთ თავშესაფარში, სადაც ის სახალხო დამცველის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და დედისთვის მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

ოჯახური ძალადობის ამ და სხვა ფაქტების შესახებ, როგორც წესი, ცნობილია როგორც ამ ოჯახების გარშემომყოფთათვის (მეზობლები), ასევე ადგილობრივი პოლიციის განყოფილებებისთვისაც, მაგრამ ბავშვის უფლებათა ცენტრში ჯერ არ ჰქონიათ შემთხვევა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დღემდე რომელიმე შესაბამის სტრუქტურას რეაგირება მოეხდინოს.



„ინტერნეტკაფეები“

დღეს საქართველოში ქუჩის ბავშვების რიცხვის შემცირებასთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია; არ მოქმედებს ზემოთ აღნიშნული შესაბამისი კანონები, რომელთა სრულად ამუშავებაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვის განათლების უფლებას, დაიცავს მას მათხოვრობისგან, მანანა-ლობისგან და ოჯახური ძალადობისგან; შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კარდინალური ზომების მიუღებლობით იქმნება სრულიად გარკვეული პირობები იმისათვის, რომ ასეთმა ბავშვმა მთელი ცხოვრება ქუჩაში გაატაროს.

„ქუჩის ბავშვები“ ფულს მათხოვრობით აგროვებენ, შემდეგ ხარჯავენ ნებში ან მიაქვთ ოჯახებში ალკოჰოლიზმით დაავადებულ მშობლებთან.

ბავშვები, რომლებსაც ოჯახებში დაბრუნება არ სურთ, ადვილად პოულობენ ღამის გასათევს ქუჩაში; ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც „ინტერნეტკაფეების“ მფლობელები გარკვეული საფასურის (5 ლარი) გადახდის შედეგად აძლევენ ბავშვებს უფლებას, ღამე მათ ტერიტორიაზე გაათიონ. სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის წარმომადგენელთან საუბარში რამდენიმე ინტერნეტკაფეს მფლობელებმა ეს ფაქტი დაადასტურეს.

ინტერნეტკაფეში არ არის აკრძალული სიგარეტის მოწვევა და არც იმის კონტროლი ევალება ადმინისტრაციას, ბავშვი ტოქსიკური ზემოქმედების ქვეშაა თუ არა; სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეს ბავშვები სახელმწიფო თავშესაფარს ხშირად ინტერნეტკაფეს ამჯობინებენ.

ამ ტიპის დანესებულება ვერ იკისრებს და არც არის ვალდებული, დაიცვას ბავშვის უსაფრთხოება და იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე. „ინტერნეტკაფეები“, უბრალოდ, მზად არიან, საფასურის გადახდის შემთხვევაში შეიფარონ ბავშვები. მათ ეს კანონით არ ეკრძალებათ, ამიტომაც არც მათ რაიმე პასუხისმგებლობაზე უფიქრია ვინმეს.

იმისათვის, რომ გაიზარდოს ბავშვის დაცულობის ხარისხი და სახელმწიფოს მიეცეს რისკის ჯგუფის ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება, საჭიროა განისაზღვროს, რომელი დანესებულებები არიან უფლებამოსილი, გაათენებინონ არასრულწლოვანს ღამე. ამ პასუხისმგებლობას არ შეიძლება იღებდეს ნებისმიერი სადღეღამისო დანესებულება, რადგან ეს კიდევ უფრო ზრდის რისკის ხარისხს. ქვეყანაში, სადაც თავშესაფრებშიც კი არაა ზრუნვისა და პასუხისმგებლობის საკითხი მონესრიგებული, მიუხედავად იმისა, რომ ხდება მათი მუდმივი კონტროლი და შეფასება, შეუძლებელია ამას თავის თავზე იღებდეს ნებისმიერი სადღეღამისო დანესებულება. „ინტერნეტკაფეების“ რიცხვი დიდია, მათი საქმიანობის კონტროლის მექანიზმები კი ჯერჯერობით არ არსებობს.

საქართველოს „კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, სხვა შეზღუდვებთან ერთად ითვალისწინებს რესტორანში, ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვების შეზღუდვასა და მუშაობის აკრძალვას:

მუხლი 15. რესტორანში, ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვების შეზღუდვა და მუშაობის აკრძალვა

- აკრძალულია:
- ა) ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა დაშვება 23-დან 8 საათამდე;
 - ბ) რესტორანში, ბარსა და ღამის კლუბში არასრულწლოვანთა მუშაობა.

მუხლი 16. ბარისა და ღამის კლუბის ხელმძღვანელთა უფლება
 ბარისა და ღამის კლუბის ხელმძღვანელებს უფლება აქვთ შეამონმონ ბარსა და ღამის კლუბში შემსვლელთა ასაკი ადამიანის უფლებათა დაცვის სრული გარანტიით.

ეს შეზღუდვები, როგორც ჩატარებულმა სამუშაომ დაგვანახა, არასაკმარისია არასრულწლოვანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის – კანონით უნდა დადგინდეს უფრო ზუსტი და მკაცრი ზომები, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთესად განვახორციელოთ მეთვალყურეობისა და მზუნველობის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანის წინაშე ნაკისრი სახელმწიფო ვალდებულებები. აუცილებელია კანონით ზუსტად განისაზღვროს ის დანესებულებები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან, მშობლის (ასევე მეურვის, მზრუნველის) ნებართვის გარეშე მისცენ არასრულწლოვანს ღამის გასათევი. წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდება ბავშვების უსაფრთხოების პრობლემა და ხელი შეეშლება ქუჩის ბავშვების რეაბილიტაციის პროცესს. ამასთან, აუცილებელია ამ პროცესის მაკონტროლებელი ორგანოების ზუსტად განსაზღვრაც.

ნათელია, რომ „კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ დღეისათვის არ მოქმედებს; ამის მიზეზი კი კანონის აღმასრულებელი ორგანოების არარსებობაა.

რეკომენდაციები

- საქართველოს მთავრობას დაევალოს კანონით უკვე გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც დაიცავს ბავშვებს მშობლების მავნე ზეგავლენისაგან და სხვადასხვა სახის ძალადობისაგან; ამასთანავე აუცილებელია დაიხვეწოს რეაგირების მექანიზმები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ კონკრეტულად უნდა განსაზღვროს რეაგირების მექანიზმები და ორგანოები, რომლებიც ვალდებული არიან, დაიცვან ბავშვები მოძალადე მშობლებისგან. აქვე აუცილებელია დანესდეს რეაგირების უმოკლესი ვადები, როდესაც დანაშაული სახეზეა, ან/და არსებობს მისი არსებობის საფუძვლიანი ეჭვი;
- საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტებმა განიხილოს ბავშვთა მათხოვრობისაგან დაცვის საკითხის ეფექტური რეგულირების საჭიროების საკითხი – კანონით გათვალისწინებული ნორმები არ არის საკმარისი მათ დასაცავად.
- პარლამენტის მიერ განისაზღვროს და კანონმდებლობით განმტკიცდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი დანესებულებები არიან უფლებამოსილი, მისცენ არასრულწლოვანს ღამის გასათევი მშობლებისა თუ სხვა მეურვის ნებართვის გარეშე, რისი დარღვევისთვისაც უნდა დანესდეს მკაცრი სანქციები როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ისე სისხლის სამართლის კოდექსში. აქვე აუცილებელია კონკრეტულად განისაზღვროს, თუ რომელი ორგანო აიღებს აღნიშნული ნორმების გაკონტროლების პასუხისმგებლობას.

სახალხო დამცველთან შემოსული განცხადებების ანალიზი

სახალხო დამცველთან შემოსული განცხადებები რამდენიმე ტენდენციის გამოკვეთის საშუალებას გვაძლევს, რაც ეს 2006 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც აისახა; მოქალაქეთა საჩივრების ანალიზის მიხედვით, ყველაზე მძიმე პრობლემას ადამიანების უკიდურესი ეკონომიური სიდუხჭირე წარმოადგენს.

ნ.უ-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე ნ.უ-ემ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი ზრდის 2 მცირეწლოვან შვილიშვილს; მის ქალიშვილს კი – ერთერთი ბავშვის დედას – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები აქვს; ბავშვებს მამა არ ჰყავთ.

საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ბავშვების გამზრდელი ბებია 1-ლი ჯგუფის ინვალიდია;



ბავშვის ჯანსაღ განვითარებას ხელს შეუწყობს ინდივიდუალური ან ოჯახური ფსიქიატრიული მკურნალობა. გარდა ამისა, სასურველია ბავშვთან ფსიქოლოგმაც იმუშაოს და დაეხმაროს ოჯახს სახლში არსებული პოზიტიური სოციალური ელემენტებისა და ბავშვის ბუნებრივი სიძლიერის განმტკიცებაში; ეს შესაძლებელია როგორც ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობით, ასევე ოჯახური ფსიქოთერაპიის მეთოდის გამოყენებით. ასეთ ოჯახებში ფსიქოლოგმა უნდა იმუშაოს ბავშვის დადებითი თვით-შეფასების ამაღლებაზე, მისთვის სწავლის ძლიერი მოტივაციის შექმნასა და სკოლაში წარმატებებზე ორიენტირებაზე; გარდა ამისა, განაპირობოს ბავშვის მხარდაჭერა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან, ხელი შეუწყოს ბავშვის ჯანსაღი ინტერესების ჩამოყალიბებას, დაეხმაროს ბავშვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობებისა და მეგობრული კავშირების დამყარებაში.

საგანგებო მიდგომის გამოყენებით ბავშვზე მშობლის სულიერი ავადმყოფობის ზემოქმედების შემცირება სავსებით რეალურია.

სამწუხაროდ, ოჯახები, პროფესიონალები და საზოგადოება ასეთ შემთხვევებში არც ავადმყოფ მშობელს აქცევენ ყურადღებას და არც ბავშვს; ძალიან ხშირად ხდება ასეთ ოჯახში მყოფი ბავშვის ძირეული ინტერესების იგნორირება.

დღეს საქართველოში სახელმწიფო არ ზრუნავს ამ პრობლემის მოგვარებისთვის; აღარ ფუნქციონირებს მზრუნველობის ძველი და ჯერ არ ამოქმედებულა ახალი სისტემები; არ მოქმედებს ამ კერძო პრობლემის დასაძლევნი საგანგებო პროგრამა.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში მხოლოდ ბოლო 6 თვის მანძილზე 4 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც არასრულწლოვანს ფსიქიურად დაავადებული მშობელი ზრდის ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არანაირ ყურადღებას არ იჩენს სოციალურად ქმედუუნარო მშობლის მიმართ, არაერთ პრობლემას წარმოშობს:

- რთულია ავადმყოფი დედის (ან მამის) დარწმუნება იმაში, რომ მისი მკურნალობა არა მხოლოდ მისთვის, არამედ მისი შვილის საკეთილდღეოდაც აუცილებელია.
- ხშირ შემთხვევაში, მშობლისა და ბავშვის დაშორება აუცილებელია და ძალიან რთულია ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ მას შვილს სამუდამოდ არავინ წაართმევს.

რეკომენდაცია

სასურველია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იზრუნოს ამ პრობლემის მოგვარებაზე:

- მომზადდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს როგორც დაავადებული ადამიანის საჭიროებებს, ასევე მისი ბავშვის პრობლემებს.
- პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკების საგანგებო ჯგუფის შექმნა და მათთვის სპეციალიზებული ტრენინგების ჩატარება.
- მომზადდეს მონაცემთა ბაზა ამ პრობლემის გადასაჭრელად – ფსიქონევროლოგიური დისპანსერებიდან მოხდეს ამ ტიპის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა.

მ.ჩ-ს საქმე

სახალხო დამცველს მომართა მოქალაქე მ.ჩ-ემ. მ.ჩ-ის ქალიშვილის შვილები 5 წლის ა.კ. და 2 წლის ზ.ჩ. მამამ, ზ.კ-ემ წმინდა ბარბარეს სახელობის ზესტაფონის უდემამო ბავშვთა სახლში მიაბარა აღსაზრდელად. მ.ჩ. აღნიშნავს, რომ მისი ქალიშვილი ამჟამად იმყოფება უკრაინაში, მამამ, ზ.კ-ემ



ისე ჩააბარა მისი შვილიშვილები ბავშვთა სახლში, რომ ამის შესახებ არც მისი ქალიშვილისთვის და არც მისთვის არაფერი იყო ცნობილი. როგორც განცხადებაში იყო აღნიშნული, ბავშვებს დაბადებიდანვე ზრდიდა და უვლიდა ბებია, რომელსაც ამჟამად ბავშვების ნახვის საშუალებას არ აძლევს ბავშვთა სახლის ადმინისტრაცია. ბებია განმარტავს, რომ მას აქვს ბავშვებზე ზრუნვის პირობები და სურვილი, თავად აღზარდოს შვილიშვილები ოჯახურ გარემოში, რასაც ბავშვების მამა ეწინააღმდეგება.

საკითხის შესწავლის მიზნით, 10 იანვარს ინფორმაცია გადაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოვიდა პასუხი, რომ ზემოხსენებული საქმის შესწავლა დროს საჭიროებს, რადგან ბავშვები იმყოფებიან საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა სახლში, სადაც სამინისტროს სოციალურ მუშაკების შესვლა სირთულეებთან არის დაკავშირებული; ეს კი ხელს უშლის ბავშვებთან მუშაობის პროცესს.

20 თებერვლის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი პასუხიდან ირკვევა, რომ ამჟამად ა.კ.-სა და ზ.ჩ.-ის მშობლები ერთად ცხოვრობენ და მათ აქვთ ბავშვების დაბრუნების სურვილი. შესაბამისად, სოციალური მუშაკების მიერ უკვე მოხდა ოჯახის პირველადი შეფასება, რის საფუძველზეც ბავშვები 2007 წლის თებერვლის საბჭოზე ჩაერთვებიან „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის“ ქვეპროგრამაში, როგორც რეინტეგრაციული შემთხვევა.

სახალხო დამცველის 2006 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში იყო დასმული საკითხი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა სახლებში სახელმწიფო კონტროლისა და მექანიზმების განხორციელებასთან დაკავშირებულ სირთულეების შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული ბავშვთა სახლების მონიტორინგი ან თუნდაც კონკრეტულ ბავშვებთან შეხვედრა ხშირად შეუძლებელია; ეს კი, თავის მხრივ, ართულებს კონკრეტული შემთხვევების შესწავლას და სახელმწიფოს მხრიდან მასზე რეაგირებას. განსაკუთრებული საჭიროების ბავშვთა კეთილდღეობაზე სახელმწიფო პასუხისმგებელი; ამიტომაც დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ მას ამ მხრივ პრობლემები ექმნებოდა; ბავშვზე ზრუნვის ნებისმიერ დაწესებულებას სწორედ სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს.

ზემოთხსენებულ შემთხვევაში ერთადერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს ბავშვების კეთილდღეობასთან დაკავშირებული დავა, განათლების სამინისტროა. სხვა არცერთ სტრუქტურას აღნიშნულის განხილვის უფლება სოციალური მუშაკების დასკვნის გარეშე არ გააჩნია; მსგავსი დაბრკოლებები მიუთითებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი მექანიზმების არასრულყოფილებაზე, რაც, ცხადია, ბავშვების ყოფაზე აისახება.

197-ე სკოლის საქმე

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე ა.მ.-ემ. განმცხადებელი მიუთითებდა 197-ე საჯარო სკოლის მხრიდან მისი 12 წლის შვილის დ.ბ.-ის უფლებების დარღვევის ფაქტზე. ა.მ. აღნიშნავს, რომ სკოლის დირექტორი, ნინო ყიფიანი და სკოლის მოძღვარი, იოსებ გოგოლაძე, მის შვილს, დ.ბ.-ს გრძელი თმის შეჭრას აიძულებდნენ. ა.მ. აღნიშნულ ფაქტს უკავშირებდა იმას, რომ გასულ წელს მან ხელი მოაწერა მშობლების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის სახელზე გაგზავნილ წერილს, სადაც მშობლები მოითხოვდნენ სკოლისადმი შემოწერილი თანხის ხარჯვასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლას.

ა.მ.-ის თქმით, თმის შეჭრის მოთხოვნის მთავარი არგუმენტი სკოლის დირექტორის, ნინო კახიანის მხრიდან იყო სკოლის შინაგანანესი, რომლითაც ბიჭებს ეკრძალებათ გრძელი თმა, ხოლო გოგონებს – შარვლით სიარული.

მშობელი განცხადებაში მიუთითებს, რომ ბავშვი გაკვეთილებიდან გამოუშვეს და თმის შეჭრა მოს-
თხოვეს. გარდა ამისა, ბავშვი გაკვეთილებიდან გამოჰყავდათ და ხან სამასწავლებლოში, ხან კი სკო-
ლის ბიბლიოთეკაში ამყოფებდნენ და კლასში არ უშვებდნენ.

განცხადებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების
ცენტრმა მიმართა №197-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ნინო კახიანს და
„სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანიზაციის კანონის თანახმად, ახსნა-განმარტება ჩამოართვა მას.

197-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნინო კახიანის ახსნა-განმარტებაში აღნიშ-
ნულია, რომ წმინდა ილია მართლის სახელობის 197-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესი ეფუძნება მოს-
წავლეთა აღზრდის წესს ქრისტიანული ღირებულებების შესაბამისად, რაც იმას გულისხმობს, რომ
მოსწავლე თავისი ქცევით, სიტყვა-პასუხითა და გარეგნული იერ-სახით არ უნდა ლახავდეს გიმნაზიის
ავტორიტეტს.

როგორც დირექტორი მიუთითებს, მისი მოთხოვნით, მე-5 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით ყველმა
ვაჟმა უპრობლემოდ შეიჭრა თმა. 2006 წლის 28 ნოემბერს სანიტარული შემოწმების შედეგად გამოვ-
ლინდა სხვა მოსწავლეთა შორის დ.ბ-ის დატილიანების ფაქტი.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლის, დ.ბ-ის სკოლის ბიბლიოთე-
კაში გამოყვანის ფაქტი მას სასჯელად არ მიაჩნია და ეს მხოლოდ მოსწავლესთან თმის შეჭრის
საკითხზე გასაუბრების მიზნით მოხდა.

ნინო კახიანმა სახალხო დამცველის თანამშრომლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ მართალია,
თმის შეჭრის მოთხოვნის მიზეზი დატილიანება იყო, მაგრამ მას პირადად მიაჩნია, რომ გრძელთმიანი
ვაჟი არ შეესაბამება მათი სკოლის იერ-სახეს, რადგან სკოლა არის ქრისტიანული ღირებულებების
მატარებელი. აქვე უნდა ითქვას, რომ გრძელთმიან გოგონებს სკოლის დირექციამ არ მოსთხოვა
თმის შეჭრა, დატილიანების ფაქტის მიუხედავად.

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია დაარსდა 1992 წელს. 2005 წლის 15 სექტემბერს მას
მიენიჭა 197-ე საჯარო სკოლის სტატუსი. როგორც დირექტორმა განაცხადა, მომავალში იგეგმება
სკოლის სტატუსის შეცვლა და იგი დაარსდება, როგორც შპს „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ილია მართლის სახელობის სკოლა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სკოლას აქვს საჯარო სკოლის სტატუსი, შესაბამისად, მისი
ფუნქციონირება ხორციელდება საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. მიუხედავად
ამისა, სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში მითითებული მოთხოვნები ეწინააღ-
მდეგება აღნიშნულ კანონს. დირექტორის მხრიდან მოსწავლის მიმართ თმის შეჭრის მოთხოვნა შეიძ-
ლება ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის და საერთაშორისო სამართლით გარან-
ტირებული უფლებებისა და თავისუფლებების (გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-2 მუხლის
მეორე ნაწილის) დარღვევად. აგრეთვე, ზოგადი განათლების შესახებ კანონში პირდაპირ არის მითი-
თებული, რომ დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის,
პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. 197-ე სკოლის შინაგან-
წესი მოიცავს მოსწავლეთა მიმართ ისეთი სახის მოთხოვნებს როგორც არის, მაგალითად, სავალდე-
ბულო დილის ლოცვები; გარდა ამისა, თუ მოსწავლე უგულვებელყოფს ქრისტიანული ცხოვრებისა
და ქცევის ელემენტარულ ნორმებს, მაშინ სკოლა მოსწავლესთან წყვეტს კონტრაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას, რომელსაც აქვს საჯარო სკოლის სტატუსი, არ შეიძლება
ჰქონდეს ისეთი წესები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა პირადი თავისუფლებების შეზღუდვი-
საკენ და დისკრიმინაციულია ცალკეული ბავშვების მიმართ.



ა.მ.-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების პატიმარმა აბიზ მებტიევმა, რომელიც ითხოვდა თავისი შვილის შესახებ ინფორმაციის გაგებას. მებტიევი აღნიშნავდა, რომ იგი უკვე 13 წელია სასჯელს იხდის. მისი შვილი კი დედამ მიატოვა 6 თვის ასაკში. აბიზ მებტიევისთვის უცნობი იყო მისი შვილის ადგილსამყოფელი და საცხოვრებელი პირობები.

ბავშვის უფლებათა ცენტრის თანამშრომლებმა მოიძიეს აბიზ მებტიევის შვილის შესახებ პირველადი ინფორმაცია და მას შემდეგ, რაც გაარკვიეს, რომ ბავშვი შეიძლება ამჟამად ყოფილიყო მარნეულის რაიონის სოფელ ტაბაკენტში, თავად ჩავიდნენ და შეხვდნენ თურა მებტიევს. როგორც გაირკვა აბიზ მებტიევის შვილი თურა მებტიევი, ცხოვრობს აბიზ მებტიევის ძმის ოჯახში და თავს გრძნობს კარგად. განმცხადებელს გაეგზავნა ინფორმაცია მისი შვილის საცხოვრებელი პირობების შესახებ და თან დაერთო მისი ფოტოსურათები.

ს.ი.-საქმე

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრში შემოვიდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2005 წლის 25 ივლისს დაბადებულ გ.ი.-ს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ესაჭიროებოდა სასწრაფო მკურნალობა; ბავშვის დედა უარს აცხადებდა ბავშვის სტაციონარში გადაყვანაზე; სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის თანამშრომლები მივიდნენ ი-ების საცხოვრებელ ადგილზე და გაესაუბრენ ს.ი.-ს, ბავშვის დედას, რომელიმაც განაცხადა, რომ ბავშვი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაართულების გამო ქ. თბილისის №3 საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა. მიუხედავად ამისა, დედამ ბავშვი მაინც სახლში წამოიყვანა.

ს.ი. ცხოვრობს მუხიანის აგარაკების დასახლებაში, მისი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს პატარა ნაგებობას, არამყარი კედლებით. სახლში ანტისანიტარიისა, არა არის ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. ის არ თბება, არ არის ელექტროენერგია. ბავშვის ასეთ პირობებში დარჩენა სახიფათოა მისი ჯანმრთელობისთვის.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენელი შეეცადა, განემარტა ს.ი.-ისთვის, რომ ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა და უმჯობესი იყო მისი სტაციონარში გადაყვანა; ს. ი.-მ თანხმობა განაცხადა და დედა-შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გ.ი.-მა გაიარა 10 დღიანი სტაციონარული მკურნალობა, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ დედა-შვილის თავიანთ საცხოვრებელში უკან დაბრუნება კვლავ დაამძიმებდა ბავშვის მდგომარეობას. რაც ექიმებმაც დაადასტურეს. ამიტომ ისინი გადაყვანილ იქნენ თავშესაფარში, სადაც 3 თვე დარჩებიან; ეს კი ხელს შეუწყობს მცირეწლოვანის გამოჯანმრთელებას.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ესაჭიროება სამედიცინო დახმარება და მშობელი ამის წინააღმდეგია ან არ ასრულებს მშობლის მოვალეობას, აუცილებელია, არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვს მშობლისა თუ სხვა მზრუნველის ნებართვის გარეშე გაუწიონ დახმარება.

კანონმდებლობა მსგავსი შემთხვევებიდან გამოსავალს შემდეგი მექანიზმების ამოქმედებაში ხედავს: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ქმედება ჩაითვლება ძალადობად: „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

აღნიშნული მუხლი გულისხმობს, რომ კონსტიტუცია ცნობს ადამიანის იმ უფლებებს და თავისუფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მონაწილე არის საქართველო.

ბავშვთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად:

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის აღდგენის სისტემის უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის სხვა საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ გამოუკლებლივ ყველა ბავშვს ჰქონდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მსგავსი მომსახურებით სარგებლობის უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, მსაგვის შემთხვევები აუცილებლად უნდა გახდეს სამართალდამცავი ორგანოების მსჯელობის საგანი.

ი-ების საქმე

აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრში შემოვიდა ინფორმაცია, რომ გლდანის რაიონის სოფ. გიორგინშიდაში დედამ მიატოვა სამი მცირეწლოვანი შვილი. სიტუაციის ადგილზე შესწავლის შემდეგ გამოვლინდა, რომ ბავშვები დარჩენილი იყვნენ უპატრონოდ, ელემენტარული მზრუნველობის გარეშე. ბავშვებთან ერთად ფარდულის მსგავს ნაგებობაში ცხოვრობდა ლოგინად ჩავარდნილი ღრმად მოხუცი ქალბატონი – ბავშვების დიდი ბებია. გაირკვა, რომ ამჯერად დედამ შვილები უკვე მეორედ მიატოვა; ამიტომ მოსახლეობამ საქმის კურსში ადგილობრივი პოლიციის განყოფილება ჩააყენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 11981-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მივმართეთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (გლდანი-ნაძალადევის რაიონის რესურს ცენტრი), სახალხო დამცველის აპარატისა და რესურს ცენტრის თანამშრომლებმა ბავშვები გადაიყვანეს ჩვილ ბავშვთა სახლში.

ბავშვების დიდი ბებიაც საჭიროებდა გადაყვანას მოხუცებულთა თავშესაფარში, თუმცა თბილისში არსებულ ასეთი ტიპის არც ერთ დაწესებულებაში ადგილი ვერ გამოინახა. დახმარებისათვის მივმართეთ საქველმოქმედო ორგანიზაციას „დედა ტერეზას დები“, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს, შეეფარებინათ მოხუცი ქალბატონი, მაგრამ მოხუცის გადასაყვანად მისულებს, მეზობლებმა შეგვატყობინეს, რომ ის წინა ღამეს გარდაიცვალა.

მ.მ-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრში შემოვიდა ინფორმაცია, რომ ვარკეთილის 3-ში, მესამე მიკრო რაიონში, ცხოვრობს არასრულწლოვანი, მ.მ; რომელსაც ორივე მშობელი ჰყავს გარდაცვლილი. მ.მ. ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს უფროს ძმასთან ერთად, რომელიც დაავადებულია ტუბერკულოზით, ჩავარდნილია ლოგინად და იმყოფება უმძიმეს მდგომარეობაში. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები მივიდნენ ადგილზე და ნახეს, თუ რა პირო-



ბებში უნევს ცხოვრება ბავშვს. სახლში არ არის ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, ჩამსხვრეულია ფანჯრის მინები, გაფუჭებულია წყლის ონკანი, არ არის გამათბობელი, ბავშვი უკვე წლებია არ დადის სკოლაში და არ ჰყავს მზრუნველი, მას ასევე არ აქვს დაბადების დამადასტურებელი მონომბა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მივმართეთ ისანი-სამგორის რაიონის გამგეობასა და ამავე რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს. დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია, რომ ბავშვს აქვს საშუალება, ისარგებლოს უმწეოთათვის განკუთვნილი სასადილოთი. სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრი ზემოხსენებული სტრუქტურებისგან ელის ინფორმაციას პრობლემის მოსაგვარებლად გატარებული შემდგომი ღონისძიებების შესახებ.

გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრის თანამშრომლებმა დროულად შეასრულეს თავიანთი ვალდებულება და ი-ების ბავშვები ბავშვთა სახლში იმავე დღეს გადაიყვანეს; უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახალხო დამცველის ოფისის ბავშვის უფლებათა ცენტრის დაჭინებული თხოვნის საფუძველზე მოხდა. მ.მ-სთან დაკავშირებით კი პროცესი ჭიანურდება, ბავშვი კვლავ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, მეურვისა და მზრუნველის გარეშე; მისი მდგომარეობა ცნობილია ყველა შესაბამისი სტრუქტურისათვის; აღნიშნული ინტერულობა გამოწვეულია იმით, რომ კანონში არ არის გათვალისწინებული ვადები და რეაგირების ზუსტი საშუალებები და პროცესიც ჭიანურდება.

სახალხო დამცველის მიერ არაერთხელ აღინიშნა, რომ ბავშვზე ზრუნვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ვადებს ენიჭება და მათი დაუზუსტებლობა უმეტესად გამოუსწორებელ შედეგებს გვაძლევს.

დეპორტირების განცხადება

რუსეთის ფედერაციაში ანტიქართულ ისტერიას და საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დევნასა და დისკრიმინაციას შედეგად მოჰყვა რუსეთიდან ეთნიკური ქართველების მასობრივი დეპორტაცია. დეპორტირებულთა შორის იყვნენ მოზარდები და მცირეწლოვანი ბავშვები. რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია მიმდინარეობდა საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით. დარღვეულია საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული ადამიანის უფლებები.

მათ შორის, ჩვენთვის ცნობილი რამდენიმე შემთხვევის შესწავლის დროს გამოიკვეთა ბავშვთა მიმართ საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების იგნორირების ტენდენცია. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით რუსეთის საშუალო სკოლების დირექციებისგან ოფიციალურად გამოითხოვა მათ სკოლებში მოსწავლე ეთნიკურად ქართველი ბავშვების სიები. ერთ-ერთი განხილული ფაქტი, რომელშიც ნათლად გამოვლინდა ქსენოფობიური და დისკრიმინაციული დამოკიდებულება ეთნიკურად ქართველი ბავშვების მიმართ, იყო ის, რომ თბილისში, ახალქალაქსა და ბათუმში მდებარე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საშუალო სკოლებში სწავლა აუკრძალეს ყველა ბავშვს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. ბავშვებისათვის სწავლის უფლების ჩამორთმევა მათი ეთნიკური წარმომავლობისა თუ მოქალაქეობის გამო არღვევს მთელ რიგ საერთაშორისო ნორმებს, უპირველეს ყოვლისა ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექსტში დაირღვა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ნორმები და გაეროს კონვენცია განათლების სისტემაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ. კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული, მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარებისაგან დამოუკიდებლად“.

პრესაში და ოფიციალური უწყებების მიერ გავრცელდა რამდენიმე ცნობა, სადაც ნათლად ჩანს, რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების ცინიკური და ღირსების შემლახავი დამოკიდებულება ქართველთა მიმართ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოს ცამეტზე მეტი მოქალაქე დიპორტირებული იქნა მოსკოვიდან. მათი უმეტესობა იყო ქალი და ბავშვი. დიპორტირება ხდებოდა დამამცირებლად, ტელეკამერებისა და მედიის თვალწინ – ქალები გადაიყვანეს საავადმყოფოებში, რათა საჯაროდ შეემონებინათ სექსუალურად გადამდებ დაავადებებზე. ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში დატოვეს სხვადასხვა საავადმყოფოში მარტო, მშობლების გარეშე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულია პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება. დემოკრატიული ღირებულებების მქონე ქვეყნებში წარმოდგენილია ოჯახიდან ერთი რომელიმე წევრის დეპორტაცია ან ოჯახის წევრების დაცალკეება. დაუშვებელია ბავშვის დევნა, აგრეთვე თუ ბავშვი ლეზულობს განათლებას, აკრძალულია მისი სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება სასწავლო წლის დასრულებამდე. ბავშვის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების საკითხის ყოველი კონკრეტული შემთხვევა სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა განიხილონ ბავშვის პირადი ინტერესების გათვალისწინებით და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება უნდა განხორციელდეს უსაფრთხო პირობებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრს განცხადებით მომართეს მოქალაქეებმა, რომლებსაც მოუწიათ დეპორტაცია მცირეწლოვან შვილებთან ერთად. ოთხივე შემთხვევაში მომართვის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან დახმარების აღმოჩენის საკითხი. თუმცა საქმეების შესწავლისას გამოვლინდა, თუ რა შეუზღუდავად და დამამცირებელ ფორმებში მოხდა მათი რუსეთიდან გამოძევება.

ღია შიოშვილის საქმე⁸

სახალხო დამცველის აპარატს მომართა საქართველოს მოქალაქემ ღია შიოშვილმა. მას ჰყავს 4 მცირეწლოვანი შვილი. ლ. შიოშვილი 8 წელი ცხოვრობდა რუსეთში, პოდმოსკოვიეში. მისი ბავშვები დადიოდნენ რუსულ სკოლაში. ოჯახი, იმის გამო, რომ იყო მრავალშვილიანი სარგებლობდა გარკვეული სოციალური შეღავათებით, ბავშვები უფასოდ იღებდნენ გარკვეულ კვებასა და სამედიცინო მომსახურებას.

დედას რუსეთის ფედერაციამ შვილებთან ერთად გაუკეთა დეპორტაცია, ხოლო მისი მეუღლის ასავდასავალი ოჯახისთვის დღესაც უცნობია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღია შიოშვილი დეპორტაციის მომენტისთვის იყო ცხრა თვის ორსული. ქალთა კონსულტაციაში მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო უარი უთხრეს მიღებაზე. მან თავისი ხარჯებით დეპორტაციის შემდეგ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, თუმცა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იგი დალესტანში ჩამოსვეს ავტობუსიდან. ის ღამე მან შვილებთან ერთად სადგურში გაატარა. ამის შემდეგ იშოვეს ოთახი, სადაც შეიძლებოდა ღამის გათენება გარკვეული თანხის საფასურად. უსახსრობის გამო, ბავშვები 2 კვირის განმავლობაში ნახევრად მშვირები იყვნენ. საბოლოოდ, ღია შიოშვილმა შვილებთან ერთად მოახერხა ფეხით საზღვარის გადმოკვეთა. ბავშვები გზაში გაცივდნენ. საქართველოში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში ლ. შიოშვილმა იმშობიარა, ნაყოფი მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაცვლილი აღმოჩნდა. საფრთხის ქვეშ დადგა დედის ჯანმრთელობაც. ამჟამად ოჯახი ცხოვრობს გურჯაანის რაიონში და სილატაკის ზღვარზე იმყოფება. გურჯაანის რაიონის გამგეობამ გასცა 50 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარება. სახლი, რომელიც რუსეთში წასვლამდე ჰქონდა ოჯახს, ავარიულია.

⁸ მოქალაქემ არ ისურვა ანონიმურობის უზრუნველყოფა



გვიშიანის საქმე⁹

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე ნატო ქაჯაიამ, რომელიც თავის არასრულწლოვან შვილიშვილთან ერთად დეპორტირებული იქნა რუსეთიდან. დალესტანში ბებიას დართეს ნება, დაბრუნებულიყო საქართველოში, ხოლო მისი 12 წლის შვილიშვილი დატოვეს დალესტანში, სადაც მან გაატარა თითქმის 1 თვე, სრულიად გაუსაძლის პირობებში. აზერბაიჯანში საქართველოს კონსულის, ზურაბ ჩაფიძის ჩარევის შემდეგ მოხერხდა ბავშვის დაბრუნება საქართველოში. 12 წლის ბავშვს მოუწია სრულიად უცნობ ხალხთან და უცნობ გარემოში ყოფნა. როგორც ბებია აცხადებს, ბავშვის ფსიქიკაზე აღნიშნულმა პერიოდმა უარყოფითად იმოქმედა; ბავშვი, გადატანილის გამო, დღესაც სტრესულ მდგომარეობაშია, აქვს შიშები, ხშირად არაადექვატურად იქცევა.

ნატო ქაჯაია და მისი 12 წლის შვილიშვილი, გია გვიშიანი არიან უკუდურესად მძიმე მდგომარეობაში, არ გააჩნიათ ელემენტარული საარსებო პირობები, არ აქვთ თავშესაფარი.

გარდა აღნიშნული საქმეებისა, განცხადებები დახმარების მიღებასთან დაკავშირებით შემოტანილი აქვს კიდევ 2 მოქალაქეს. გიორგი ომანაძესა და ინგა ესებუას, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები.

ღია შიოშვილმა და ნატო ქაჯაიამ დახმარებისთვის მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ჯერჯერობით სათანადო დახმარება არ მიუღიათ.

მონიტორინგი

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის თანამშრომლებმა საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი ჩაატარეს 4 ბავშვთა სახლში:

სანატორიუმი „გაზაფხული“

2007 წლის 17 და 18 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თბილისის ბავშვთა სანატორიუმ „გაზაფხულში“ გეგმიური მონიტორინგის ჩასატარებლად.

ისინი შეხვდნენ დანესებულების დირექტორს, ლაურა ბიჭიკაშვილს და სხვა პასუხისმგებელ პირებს; დაათვალიერეს კვების ბლოკი, ბავშვების საძინებელი ოთახები, საერთო ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, იზოლაციური და სტაციონარის პალატები.

სანატორიუმი შედგება ორი, ერთმანეთისგან დაშორებული შენობისგან; ტერიტორიაზე განთავსებულია კვების ბლოკი და სათამაშო მოედანი.

სანატორიუმის ორდღიანი მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

პირველი შენობა, რომელიც პროფილის მიხედვით, სასუნთქი გზების სხვადასხვა პათოლოგიის მქონე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს; უმძიმესია ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები; სავალალო მდგომარეობაშია შენობის ყველა სველი წერტილი, დამტვრეულია და არ მუშაობს უნიტაზები და პირსაბანები, არ არის ცხელი წყალი, გათბობა, ავეჯი ძველია და დამტვრეული, საძინებელი ოთახები ცუდადაა მოწყობილი – სანოლები ძველია, ლოგინები და თეთრეული ცუდი ხარისხის;

⁹ მოქალაქემ არ ისურვა ანონიმურობის უზრუნველყოფა

სამედიცინო კაბინეტში მცირე რაოდენობით არის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები; ავადმყოფი ბავშვების დანიშნულების ჟურნალში ბოლო ჩანაწერი 2005 წლით თარიღდება; 2007 წელს მხოლოდ ერთი ჩანაწერი იყო გაკეთებული; დანიშნულებაში მითითებული მედიკამენტები სამედიცინო კაბინეტში იმ დროისთვის არ იყო; სამედიცინო კაბინეტში არ იყო ავრეთვე შოკის კარადა, არ წარმოებს ინფექციური დაავადებების აღრიცხვის ჟურნალი, ავადმყოფობის ისტორიები უხარისხოდაა ნაწარმოები და არ ხდება მათი ანალიზი; არ ინერება ყოველწლიური ანგარიში, სადაც უნდა აისახებოდეს ბავშვთა გამოჯანმრთელების მაჩვენებელი; სამედიცინო კაბინეტთან არსებული იზოლატორი სანყოფანოა ქცეული.

კვების ბლოკში არ არის საკმარისი ჭურჭელი და სხვა აუცილებელი ინვენტარი; სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია ბლოკის შენობის დიდი ხნის ურემონტობის გამო; სანყოფი მოუნესრიგებელია; არა აქვთ პროდუქტების წუნდების ჟურნალი; სანატორიუმი არ ღებულობს რძის ფხვნილსა და სხვა რძის პროდუქტს.

კორპუსი გათვლილია 50 ბავშვზე; მონიტორინგის დროს შენობაში იყო 4 ბავშვი. შემონმების დროს კორპუსის მომსახურე პერსონალი – პედაგოგები, აღმზრდელები, ძიძვები, ექთნები – აღემატებოდა იქ მოთავსებული ბავშვების რაოდენობას; პერსონალი საჭიროებს ბაზისურ ტრენინგებს. ბავშვებს არა აქვთ სათამაშოები, წიგნები. კორპუსი თავისი პროფილით არ მუშაობს, ის უფრო საბავშვო ბაღის ფუნქციებს ასრულებს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდგომარეობა დახვდა სანატორიუმში ახალ დირექტორს, ლაურა ბიჭიკაშვილს, რომლის მცდელობითაც სანატორიუმში არსებული ზოგადი ვითარება შეძლებისდაგვარად გამოსწორდა; მაგალითად, მის დანიშნულად სანატორიუმში ბავშვებს იღებდნენ უბნის პოლიკლინიკების მიერ გაცემული ფორმა №27-ის საფუძველზე. ამიტომაც, ბავშვების უმეტესობა არაპროფილური იყო. დირექტორმა ეს წესი შეცვალა და მოითხოვა, რომ საგზურები პროფილური ბავშვებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოენერა; ამან საგრძობლად შეამცირა სანატორიუმში არაპროფილური ბავშვების რაოდენობა.

ამდენად, კორპუსის სტატუსი გასარკვევია; ის აღარ პასუხობს თავის დანიშნულებას და მისი ამ მდგომარეობაში შენახვა მეტად არარენტაბელურია.

მეორე შენობა – სტაციონარული კორპუსი განკუთვნილია ძვალსახსროვანი სისტემის სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვებისთვის და ერთადერთია საქართველოში; ამდენად, მისი მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია.

შენობა შედარებით ახალია, თუმცა ისიც საჭიროებს რემონტს; მთლიანად გამოსაცვლელია ავეჯი, ინვენტარის უქონლობის გამო აღარ მუშაობს სარეაბილიტაციო ფიზკულტურის დარბაზი; აღარ ფუნქციონირებს საცურაო აუზი; ბავშვებს არა აქვთ მათთვის აუცილებელი სამედიცინო-სარეაბილიტაციო საშუალებები – ყავარჯნები არასაკმარისია და მათ მორიგეობით იყენებენ, ინვალიდის სავარძლები ძველია; მედიკამენტებს, შესაძლებლობების ფარგლებში, პაციენტები ყიდულობენ.

მონიტორინგის წევრები ესაუბრნენ სასწავლო ნაწილის გამგეს; სტაციონარში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს; მოსწავლეებს გაკვეთილები თავიანთი ასაკის შესაბამისად უტარდებათ; გარკვეული მეცადინეობები კი, შინა განაწესის შესაბამისად, სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ერთად უტარდებათ;

სასწავლო პროცესი სერიოზულ მხარდაჭერას მოითხოვს – ბავშვებს ესაჭიროებათ ახალი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ნივთები; პედაგოგები ითხოვენ სპეციალურ ტრენინგებს, რადგან ურთიერთობა აქვთ საგანგებო საჭიროების მქონე ბავშვებთან; სტაციონარში მოთავსებულ ბავშვებს აუცილებლად სჭირდებათ ფსიქოლოგი, რომელიც დაეხმარება მათ რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაში.



სახალხო დამცველმა საქართველოს სახალხო დამცველის ორგანული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ლომიას, შეესწავლა სანატორიუმ „გაზაფხულში“ არსებული მდგომარეობა და მიეღო შესაბამისი ზომები.

რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ სანატორიუმში კარდინალურ რეორგანიზაციას საჭიროებს: აუცილებელია მენეჯმენტის რეფორმა, რაც, თავის მხრივ, დასახავს სწორ გზებს იქ არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“
ბავშვთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი „ბელურები“**

2007 წლის 8 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების ცენტრის თანამშრომლებმა ცენტრის ინტერნეტთან ერთად ჩაატარეს მონიტორინგი ბავშვთა სახლში „ბელურები“ .

ცენტრი თავისუფალი ტიპის დაწესებულებაა და ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაცია „Save the Children“-ისა და „კორდაიდი“-ს მიერ.

ცენტრში ღამის გათევა სიმძლავრის მიხედვით შესაძლებელია 25 ბავშვისთვის. მონიტორინგის დროს კარანტინის გამო ცენტრში მხოლოდ 5 ბავშვი იმყოფებოდა.

„ბელურები“ ძირითადად ქუჩის ბავშვებს ემსახურება.

ცენტრში 28 საშტატო ერთეულია; აქედან 7 აღმზრდელი, 5 – არაფორმალური განათლების პედაგოგი, 3 – ძიძა მორიგეობით. სამედიცინო პერსონალი: ერთი ექიმი, რომელიც ემსახურება „ბავშვი და გარემოს“ ყველა ცენტრს. სამედიცინო შემონმბები ტარდება წელიწადში ორჯერ ბავშვთა მეორე საავადმყოფოში. მედიკამენტებით უზრუნველყოფილი არიან – ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლევა. ჰუმანიტარული დახმარება ეძლევათ გამგეობიდან.

განათლება: აღსაზრდელები დადიან 42-ე საჯარო სკოლაში. გაეროს ბავშვთა ფონდმა ცენტრს აჩუქა მანქანა, რომლითაც ბავშვები დაჰყავთ სკოლაში. უშუალოდ ცენტრში ასწავლიან ხატვას, სიმღერას, შრომას, კომპიუტერზე მუშაობას; აქვთ დრამის წრე, დგამენ სპექტაკლებს.

ცენტრს ჰყავს ორი ფსიქოლოგი. ისინი ბავშვებთან მუშაობენ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამითა და განვითარების ინდივიდუალური გეგმით (პედაგოგებსაც გავლილი აქვთ საგანგებო ტერნინგები).

ბავშვებს იკვლევენ ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდებით; შემეცნებით ფუნქციებს ამონებენ ვექსლერის, კოსის, ლურიეს, რავენის ტესტებით; ადგენენ ასაკს; მოქმედებს დასაქმების პროგრამა; 5 ბავშვი უკვე დაასაქმეს; ისინი ერთად მუშაობენ ოფიციალურად.

ბავშვთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრს „ბელურები“ ჰყავს ორი სოცმუშაკი – ერთი აგროვებს ინფორმაციას ბავშვებზე (ოჯახი, ისტორია), მეორე კი იკვლევს ოჯახებს.

ცენტრში მოქმედ სხვა პროგრამებთან ერთად იქ მოქმედებს CORDAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა – „მშობელთა დასაქმება“, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ერთი ზოგადი ტენდენცია – დამსაქმებელს არ სურს ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლისთვის სამუშაოს მიცემა.

ფსიქოლოგის მიერ აღნიშნული ძირითადი პრობლემები, რომლებიც ცენტრის ბავშვებს აქვთ შემდეგია: ბავშვების აკადემიური ჩამორჩენილობა, აგრესიის მაღალი ფონი, მისაღები ღირებულებების სისტემაზე გადასვლის სირთულე, ბავშვების დაბალი თვით-შეფასება.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი: 42-ე სკოლაში არ არსებობს ცენტრის ბავშვების სხვა ბავშვებთან ინტეგრაციის პრობლემა. არ ყოფილა დაჩაგვრის ფაქტი. ეს ნამდვილად გამორჩეული შემთხვევაა სკოლაში ძალადობისა და შეურაცხყოფის საერთო სურათის ფონზე. ეს როგორც 42-ე სკოლის, ასევე ცენტრის მუშაკების პროფესიონალიზმის მანიშნებელია.

თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლის მონიტორინგის ანგარიში

2006 წლის 13 ნოემბერს ბავშვთა უფლებების ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლის მონიტორინგზე:

სკოლაში ამჟამად 55 ბავშვია. ისინი განაწილებული არიან 14 ჯგუფში. აქვთ ერთი ჯგუფი, სადაც სწავლობენ უსინათლო და ამავე დროს, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ბავშვები.

1. დღისით სკოლაში ბავშვთა რაოდენობა 55-45-ია, ღამით – 20-25.
2. სკოლა განეკუთვნება უსინათლო ბავშვთა კატეგორიას.
3. საშტატო ერთეულები: 27 პედაგოგი, 1 მედდა, 1 თვალის ექიმი (ნახევარი საშტატო ერთეული), პედიატრის, სტომატოლოგისა და ადმინისტრატორის (3) საშტატო ერთეულები გაუქმდა.
4. ტექნიკური პერსონალი შეადგენს 40,5 ერთეულს – ძიძები, დამლაგებლები, მზარეული.
5. სამედიცინო პერსონალი: 0,5 ერთეულზე თვალის ექიმი; მოდის კვირაში ერთხელ; ერთი მედდა, რომელიც კვების ბლოკის სუპერვიზიასაც ითავსებს.
6. სამედიცინო შემონმებები: სადაზღვევო კომპანია BCI-მ მაისში ჩაუტარა ბავშვებს უფასო კომპლექსური შემონმება.
7. იზოლაციის ოთახი: 2 გოგონების და 2 ბიჭების ოთახი თავისუფალია. როგორც გვითხრეს, ამ ოთახებს საჭიროების შემთხვევაში იყენებენ.
8. მედიკამენტები საკმარისი აქვთ; გარდა ამისა, ბავშვებს აქვთ მერიის ნითელი პოლისი, რომელშიც შედის პედიატრისა და ნევროპათოლოგის შემონმებები.
9. ჰუმანიტარული დახმარება: PSP-მ მიაწოდა მედიკამენტები. მაისში ლიტვის საელჩოს საქველმოქმედო ფონდმა „სოკომ“ აჩუქა 7 კომპიუტერი, 1 პრინტერი, ელექტრო გიტარები და სხვა ტექნიკა ინსტრუმენტული ჯგუფისთვის, რომელიც სკოლაში ფუნქციონირებს.
10. ფსიქოლოგის შტატი არა აქვთ. სკოლაში იმუშავეს ფსიქოლოგმა სტაჟორებმა.
11. მენიუს წარმოება: მიეცათ უფლება, რომ ერთ ბავშვზე დღიურად დახარჯონ 3,4 ლარი.
12. აქვთ სამკურნალო ფიზიკულტურა, მუშაობენ კორექციაზე, 11-12 კლასებში ისწავლება მასაჟი. აქვთ სასიმღერო გუნდი, ინგლისურის 2 წრე, ბავშვებს ასწავლიან მუსიკას.
13. სანიტარული მდგომარეობა: არაა დამაკმაყოფილებელი – უკიდურესად სარემონტო ტუალეტები, არ არის თბილი წყალი; სამრეცხაო ოთახი კუსტარულადაა მოწყობილი, სანიტარული ტექნიკა უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია.
14. გათბობა – სკოლაში დაყენებულია ცენტრალური გათბობის რადიატორები, მაგრამ არა აქვთ გამაცხელებელი ქვაბი; საქვაბე აშენებულია და ელოდებიან დახმარებას. თუმცა, როგორც სკოლის დირექციამ აღნიშნა, სკოლის ბიუჯეტი ვერც დიზელის სანავს განვდება.

ყველაზე თვალშისაცემი პრობლემა ბავშვების ფიზიკური პირობებია; შენობა ძალიან დიდი ხნის გაურემონტებელია; სანტექნიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია; არა აქვთ ცხელი წყალი, გათბობა – შენობა ძველია, დიდი ოთახებითა და ფანჯრებით; სამრეცხაო ოთახი არაა დამაკმაყოფილებლად მოწყობილი.

1. თბილისის მე-200 საჯარო სკოლის მონიტორინგის ანგარიში

2006 წლის 16 ნოემბერს სახალხო დამცველის ბავშვთა უფლებების ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს თბილისის მე-200 საჯარო სკოლის მონიტორინგი. სკოლა გათვალისწინებულია შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ბავშვების პანსიონური მომსახურებისთვის.



სკოლაში 230 ბავშვია, რომლებიც ნაწილობრივ 20 ჯგუფად ასაკობრივი კლასების მიხედვით. სწავლა 9 კლასიანია (საბაზო განათლება). აქვთ სააღმზრდელო 4 წლის ასაკიდან ჯგუფები.

დღე სკოლაში 230 ბავშვია, ღამით – 135 (გათვალისწინებულია 150-ზე). საშტატო ერთეულები: დირექტორი მარინა უჯმაჯურიძე, 33 მასწავლებელი, 60 პერსონალი. სამედიცინო პერსონალი: 2 ექიმი, 2 მედდა, 1 ძიძა სანიტარი.

სამედიცინო შემონმებები ტარდება წელიწადში 2-ჯერ გეგმიური პროგრამით პედიატრიის ინსტიტუტში. აქვთ იზოლაციის ოთახი. მედიკამენტებს ყიდულობენ თავისი ბიუჯეტიდან. დირექტორი მიიჩნევს, რომ თანხის გაზრდა სასურველია.

სკოლას ჰყავს ორი ფსიქოლოგი 1,5 საშტატო ერთეული.

მენიუს წარმოება: ერთ ბავშვზე იხარჯება 3 ლარამდე. თვითონ აწარმოებენ.

განათლება: 9 კლასი საბაზო სავალდებულოა. დირექტორის თქმით, აქვთ ქსოვა-ქარგვის, შრომის ჯგუფები, მუსიკალური გუნდი, მაგრამ ჩვენი ვიზიტის დროს ვერაფრის დათვალიერება ვერ მოხერხდა.

სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; ტუალეტები ძველია, სუფთა, მაგრამ დგას უმძიმესი სუნი; საშინელი სუნია აგრეთვე ბავშვების საძინებელ ოთახებში, რასაც დირექტორი ბავშვების ღამის ენურეზის პრობლემით ხსნის.

საძინებლებში ყველგან ერთნაირი მდგომარეობაა: ოთახები გადავსებულია სანოლებით, დარღვეულია სანოლების დაშორების ნორმა – უმეტეს შემთხვევაში სანოლები ერთმანეთთანაა მიდგმული; გოგონების ოთახში კი ორადგილიანი სანოლები დაგვხვდა. დირექტორმა ეს ახსნა იმით, რომ ერთ-ერთმა ორგანიზაციამ აღნიშნული სანოლები მათ ჰუმანიტარული დახმარების სახით მოაწოდა.

დენსტიტუციონალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ბოლო წლის მანძილზე ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა 18 ბავშვი.

სხვადასხვა მიზეზით დაწესებულება დატოვა 7-მა ბავშვმა (ოქტომბრიდან ნოემბრის ჩათვლით). ესენი იყვნენ ნორმის ფარგლებში მყოფი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ბავშვები.

დასკვნა:

აღსანიშნავია სამი პრობლემა:

1. შენობა მოითხოვს კაპიტალურ რემონტს (განსაკუთრებით, სანტექნიკა);
2. მთელს სკოლაში არ არის გათბობა, თუ არ ჩავთვლით კლასებში დადგმულ გაზის პატარა გამათბობლებს, რომლებიც არ შეეფერება ბავშვთა დაწესებულებას – გაზის წვის პროდუქტი ოთახებში რჩება და წამლავს გარემოს, დგას გაზის მძაფრი სუნი;
3. ბავშვების ფსიქოდიანოსტიკა და მათი გონებრივი ჩამორჩენილობის დონის დადგენა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლაში ნორმალური გონებრივი შესაძლებლობის ბავშვია განაწილებული. ამ საკითხს დირექტორი დამოუკიდებლად აგვარებს. განათლებისა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა უნდა მიაქციონ ამას ყურადღება.

ფსიქოლოგების ნაკლებობის შესახებ

ბავშვთა სახლების უმეტესობაში, სადაც ცენტრის თანამშრომლებმა მონოტირინგი ჩაატარეს, არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის შტატები.

ჩვენი თვალსაზრისით, ეს ხარვეზია და უარყოფითად მოქმედებს მზრუნველობის ინსტიტუციის ფუნქციონირების ხარისხზე; ბავშვთა სახლებში იმყოფებიან ისინი, ვისაც განსაკუთრებული ზრუნვა ესაჭიროება – გაჭირვებული ოჯახების ბავშვები, გონებრივი და ფიზიკური პრობლემების მქონენი, ისინი, ვინც მშობელმა მიატოვა ან ისინი, ვისაც მშობელი არასდროს ჰყოლია.

ყველა ჩამოთვლილი ჯგუფი წარმოადგენს იმ ბავშვებს, ვისი ცხოვრებაც ნორმალურ ჩარჩოებში არ მიედინება და ვისი ერთადერთი მზრუნველიც სახელმწიფოა; სწორედ იმიტომ, რომ ამ ბავშვებს აკლიათ მშობლის სითბო და მზრუნველობა, სახელმწიფო ვალდებულია, ეს დანაკლისი ბავშვზე ზრუნვის მცოდნე პროფესიონალების მეშვეობით – ფსიქოლოგებით, სოციალური მუშაკებით და ვინრო სპეციალისტების მქონე პედაგოგებით – შეავსოს.

ბავშვთა სახლებში ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის არსებობა იშვიათობას არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენს მიერ შესწავლილი მდგომარეობა პირდაპირ მიუთითებს, რომ ბავშვებთან არ მუშაობენ: არ იკვლევენ მათ ოჯახებს, არ მოიძიებენ ბავშვის ინსტიტუციაში მოხვედრის რეალურ მიზეზებს, რაც საფრთხეს უქმნის აღსაზრდელის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და ზოგადად მის მომავალს.

რეკომენდაციები

- აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პარლამენტის განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების მიერ კანონით განსაზღვრული დანებებით და საბაზო განათლების ვალდებულების დაცვა და აღნიშნულის განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმების გამკაცრება, ამოქმედება და დამატებითი საშუალებების შემუშავება.
- ადგილობრივი თვითმმართველობების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ უნდა დაიწყოს მონაცვლადი ოჯახების აღრიცხვა და მათი მდგომარეობის შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვის სასწავლო პროცესიდან ჩამოშორების თავიდან აცილება, როდესაც ეს გამონეულია ოჯახური პირობებით.
- ბავშვის იძულებითი მათხოვრობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში უნდა დადგინდეს სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირების მკაცრად განსაზღვრული ვადები. ბავშვის ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ რეაგირება იყოს რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური.
- საჭიროა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს (პოლიციას, რესურსცენტრებს) დაევალოს ბავშვის სასწავლო პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა იმ შემთხვევებში, როდესაც დროის ამ მონაკვეთში ბავშვი ქუჩაში დგას და მათხოვრობს ან მანანალობს და შემდგომში უნდა მოხდეს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების მოკვლევა.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სკოლის ადმინისტრაციებმა უნდა გაუწიონ კონტროლი იმ ბავშვების სასწავლო პროცესზე დასწრებას, რომლებიც მონაცვლად კატეგორიას განეკუთვნებიან და/ან რისკის ქვეშ იმყოფებიან.



- განათლების სამინისტროს მიერ უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოწყვლად ბავშვებს, მიიღონ დანყებითი და საბაზო განათლება.
- საქართველოს მთავრობას დაევალოს კანონით უკვე გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც დაიცავს ბავშვებს მშობლების მავნე ზეგავლენისაგან და სხვადასხვა სახის ძალადობისაგან; ამასთანავე, აუცილებელია, დაიხვეწოს რეაგირების მექანიზმები.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ კონკრეტულად უნდა განსაზღვროს რეაგირების მექანიზმები და ორგანოები, რომლებიც ვალდებული არიან, დაიცვან ბავშვები მოძალადე მშობლებისგან. აქვე აუცილებელია, დაწესდეს რეაგირების უმოკლესი ვადები, როდესაც დანაშაული სახეზეა, ან/და არსებობს მისი არსებობის საფუძვლიანი ეჭვი;
- საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტებმა განიხილოს ბავშვთა მათხოვრობისაგან დაცვის ეფექტური რეგულირების საჭიროების საკითხი – კანონით გათვალისწინებული ნორმები არ არის საკმარისი მათ დასაცავად.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს საზოგადოებრივი კამპანიის წარმოება და სხვა ეფექტური მექანიზმების ამუშავება ქუჩაში ბავშვთა მათხოვრობის აღმოსაფხვრელად;
- პარლამენტის მიერ განისაზღვროს და კანონმდებლობით განმტკიცდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი დანესებულებები არიან უფლებამოსილი, მისცენ არასრულწლოვანს ღამის გასათვლი მშობლებისა თუ სხვა მეურვის ნებართვის გარეშე, რისი დარღვევისთვისაც უნდა დაწესდეს მკაცრი სანქციები როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ისე სისხლის სამართლის კოდექსში. აქვე აუცილებელია, კონკრეტულად განისაზღვროს, თუ რომელი ორგანო აიღებს აღნიშნული ნორმების გაკონტროლების პასუხისმგებლობას.
- სასურველია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ იზრუნოს იმ ბავშვების მდგომარეობის მოგვარებაზე, რომელთაც ფსიქიურად დაავადებული მშობლები ზრდიან; კერძოდ:
 1. მომზადდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს როგორც დაავადებული ადამიანის საჭიროებების, ასევე მისი ბავშვის პრობლემებს.
 2. პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკების საგანგებო ჯგუფის შექმნა და მათთვის სპეციალიზებული ტრენინგების ჩატარება.
 3. მომზადდეს მონაცემთა ბაზა ამ პრობლემის გადასაჭრელად – ფსიქონევროლოგიურ დისპანსერებში მოხდეს ამ ტიპის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა.

ყოველი სახელმწიფო ისწრაფვის შექმნას ისეთი პირობები, რომელიც საშუალებას მისცემს უზრუნველყოს მომავალი თაობის სრულფასოვანი განვითარება. სახელმწიფოს მიზანია, ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს, ყველა ზომას იღებს, რათა გაატაროს ღონისძიებები არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ მოქმედებებსა და დანაშაულში ჩართვის საწინააღმდეგოდ. სახელმწიფო იღებს პოზიტიურ ვალდებულებებს, აამოქმედოს ყველა შესაძლო რესურსი, არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ასევე შეიმუშაოს არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსწორების სპეციალური პროგრამები, შეამციროს კანონის მხრიდან ჩარევის აუცილებლობა და უზრუნველყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისადმი ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური დამოკიდებულება. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებიც.

2006 წელს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი იქნა კანონპროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

ცვლილებების თანახმად, საქართველოში სისხლის სამართლებრივი რეფორმების კონ-

ტექსტში, გარკვეულ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან დაიყვანება 12 წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულთა ჩადენისთვის, როგორც არის განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი), გაუპატიურება (137-ე მუხლი), ძარცვა (178 მუხლი – გარდა პირველი ნაწილისა), ყაჩაღობა (179-ე მუხლი) და 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელად დებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (238¹-ე მუხლი), სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იწყება 12 წლიდან. კანონპროექტის თანახმად, 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვანთა საქმის წარმოებას განახორ-

31

არასრულწლოვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

(საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ციელებენ საამისოდ სერტიფიცირებული მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რისთვისაც 2008 წლის 1 ივლისამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ერთად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას არასრულწლოვანთა საქმეების განმნილველ მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება; ასევე, 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განსათავსებლად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულებების მშენებლობა. კანონპროექტში მითითებულია, რომ ყველა ეს ღონისძიება განხორციელდება 2008 წლიდან.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება კიდევ უფრო დასცილდება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს.

მთელ რიგ საერთაშორისო აქტებში, როგორცაა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, თავისუფლებათა დაცვით არასრულწლოვნებთან მოპყრობის წესები („პეკინის წესები“), არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადი), ხაზგასმულია ბავშვის (არასრულწლოვანის), თუნდაც არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესების დაცვის პრიორიტეტი, აღნიშნულია, რომ 18 წლამდე პირები ითვლებიან არასრულწლოვნებად და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი თავისუფლების აღკვეთა და ისიც განსაკუთრებულ, მათ ინტერესებზე გათვლილ პირობებში, რაც არასრულწლოვანში საზოგადოების მიმართ ჰუმანური, არაკრიმინოგენული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ბატონი თომას ჰამარბერგი თავის სპეციალურ მიმართვაში აღნიშნავს, „გაეროს ბავშვთა კონვენციის მიხედვით ბავშვთა კრიმინალიზაცია აცილებულ უნდა იქნას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავე არასრულწლოვნებს ისე ეპყრობოდნენ, თითქოს მათ პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. პირიქით, არასრულწლოვნები პასუხისმგებელი არიან მათ ქმედებებზე და მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებაში. არასრულწლოვანთა გასამართლებისას არ უნდა იყოს დადგენილი სამაგიეროს მიზლის პრინციპი. მიზანი არის ის, რომ დაწესდეს პასუხისმგებლობა და ამავე დროს ხელი შეეწყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციას.“

არასრულწლოვანთა დაკავება, დაპატიმრება და ციხეში ჩასმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მათ მიაღწიეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მაგრამ გაეროს კონვენციის მიხედვით ეს ზომები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკანასკნელი ზომა და უნდა გრძელდებოდეს ხანმოკლე ვადით. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთა დანაშაულის გამეორების პროცენტს ზრდის. ბავშვების ციხეში გამოკეტვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როდესაც არ არის სხვა ალტერნატივა, რათა დავიცვათ საზოგადოება პირდაპირი რისკისგან“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე „X“ შვეიცარიის წინააღმდეგ (*X. v. Switzerland*), და „ტ“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*T. v. The United Kingdom*) სისხლისსამართლებრივ ასაკთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ტერმინ „არასრულწლოვანს“ დამოუკიდებელი კონვენციისეული მნიშვნელობა აქვს. 18 წლის ასაკს მიუღწეველი ყველა პირი შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვნად. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (72)29 რეზოლუცია რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვანების ასაკად 18 წელი იქნას დადგენილი.

საქართველოს სისხლის სამართლის 88-ე მუხლის მიხედვით:

„1. არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არა უმეტეს ათი წლის ვადით, რომელსაც ის სრულწლოვანებამდე მოიხდის აღმზრდელობით დაწესებულებაში.“

2. თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.“

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ევროპის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნებზე არ უნდა გავრცელდეს იგივე სისხლის სამართლებრივი ნორმები, რაც სრულწლოვანი დამნაშავეებისათვის არსებობს. თუმცა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა მინიმალური ასაკი არსებობს, სამაგიეროდ, ყველა ქვეყანა თანხმდება იმაში, რომ სისხლის სამართლის საერთო კანონმდებლობა არ უნდა გავრცელდეს 18 წელს მიუღწეველ პირებზე.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე

როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, უნდა განვასხვავოთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი. ერთი მხრივ, **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების მინიმალური ასაკი**, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა და მეორე მხრივ, **სისხლისსამართლებრივი სრულწლოვანების ასაკი**, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის საერთო კანონმდებლობის გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ევროკავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანაში 18 წელზეა ფიქსირებული. პორტუგალიაში კი სისხლის სამართლის კოდექსის საერთო ნორმები არ გამოიყენება 21 წლამდე ახალგაზრდების შემთხვევაში. ესპანეთში და ნორვეგიაში, სადაც სისხლისსამართლებრივი სრულწლოვანების ასაკი 16 წელია, განიხილავენ ამ ზღვარის 18 წლამდე აწევის შესაძლებლობას. გერმანიაში და ნიდერლანდებში მოსამართლეს შეუძლია, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა 21 წლამდე პირებზეც გაავრცელოს.

სისხლისსამართლებრივი სრულწლოვანების მიღწევამდე, იმ მოზარდებისათვის, რომლებმაც უკვე მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, გამოიყენება სპეციალური ნორმები, რომლებიც იმავე დანაშაულისთვის ჩვეულებრივი ნორმებისგან განსხვავებულ, ბევრად უფრო მსუბუქ სასჯელის ზომებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, განსხვავდება არასრულწლოვანთა შემთხვევაში გამოსაყენებელი პროცედურული ნორმებიც. კერძოდ, მათ საქმეს სპეციალური სასამართლო ან მოსამართლე განიხილავს.

საზოგადოდ, არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში ძალიან ცოტაა უშუალოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ზომები. 18 წლამდე პირის მიმართ ძირითადად გამოიყენება აღმზრდელობითი და დისციპლინური ღონისძიებები და/ან გამოსასწორებელი სამუშაოები, რითაც მიიღწევა არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემით დასახული მიზანი – გააღვივოს არასრულწლოვანის საზოგადოებრივი ცნობიერება, ასწავლოს მას საკუთარი ქმედებებით მიყენებული ზიანის გამოსწორება, მოახდინოს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის რესოციალიზაცია.

გერმანიის მაგალითი ასახავს ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელებულ მიდგომას არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ, რომელიც პრინციპში გამორიცხავს 18 წლამდე ახალგაზრდების წინააღმდეგ სისხლის სამართლის სასჯელის ზომების გამოყენებას. სხვა განხილულ ქვეყნებში პასუხისმგებლობის ასაკი უფრო დაბალ ზღვარზეა ფიქსირებული, თუმცა ეს კომპენსირებულია არასრულწლოვანთა შესახებ სპეციალური კანონმდებლობითა და პროცედურული მოთხოვნებით.



გერმანია

კანონმდებლობა

სისხლის სამართლის კოდექსი აბსოლუტურად გამორიცხავს 14 წლამდე არასრულწლოვნის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. 14-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოიყენება არა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, არამედ არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონი, რომელშიც მოცემულია ამ ასაკის პირების მიმართ გამოსაყენებელი სანქციები და პროცედურები. გარდა ამისა, ხსენებული კანონის მიხედვით, 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები სარგებლობენ უპასუხისმგებლობის პრეზუმფციით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება მათ მიერ საკუთარი ქმედებების გაცნობიერება, შესაძლებელი იქნება მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა. ზოგ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსამართლეს საშუალება ეძლევა, სპეციალური კანონის ნორმები გაავრცელოს 21 წლამდე ახალგაზრდაზეც.

სანქციები

არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონში მოცემულია სამი ტიპის სანქციები: აღმზრდელობითი ღონისძიებები, დისციპლინური ზომები და თავისუფლების აღკვეთა. შეეჩერდებით მხოლოდ უკანასკნელზე.

თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა, გამომდინარე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან და მოზარდის „საშიში მიდრეკილებებიდან“, პირველი ორი ტიპის ღონისძიებები არასაკმარისია.

თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობამ, რომელიც პრინციპში ექვს თვესა და ხუთ წელს შორის მერყეობს, შეიძლება 10 წელსაც მიაღწიოს იმ შემთხვევებში, როცა სისხლის სამართლის კოდექსი სრულწლოვანის მიერ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კანონი ამასთან მიუთითებს, რომ ხანგრძლივობა გათვლილი უნდა იყოს იმგვარად, რომ არ გამორიცხოს აღმზრდელობითი ეფექტის შესაძლებლობა.

არასრულწლოვნები სასჯელს იხდიან არასრულწლოვანთა ციხეში, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს ჩვეულებრივ ციხეში განცალკევებით განლაგებულ სპეციალიზებულ დაწესებულებას.

პრაქტიკაში თავისუფლების აღკვეთა თითქმის არასოდეს გამოიყენება 16 წლამდე პირების წინააღმდეგ. უფრო ზოგადად, იმ შემთხვევებში, როცა კანონი ითვალისწინებს 2 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას, სულ უფრო ხშირად გამოიყენება პირობითი მსჯავრი.

ინგლისი და უელსი

1998 წლის 31 ივლისის კანონმა „Crime and Disorder Act“ გააუქმა 10-დან 14 წლამდე მოზარდების პასუხისმგებლობის გამორიცხვის პრეზუმფცია. ამგვარად, 1998 წლიდან **ინგლისსა და უელსში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 10 წელია.** სისხლისსამართლებრივი სრულწლოვანების ასაკი არ შეცვლილა და ისევ 18 წელზეა ფიქსირებული.

პრინციპი

კანონმდებლის საერთო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ 18 წლამდე ახალგაზრდა და მით უმეტეს 15 წელს მიუღწეველი პირი ყოველთვის არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ უნდა იყოს გასამართლებული. გარდა ამისა, დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვნებსა და 12 წელზე ნაკლები

ასაკის ბავშვებს არ უნდა მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა¹⁰. ყველა შემთხვევაში გადანყვეტილება ინდივიდუალური უნდა იყოს და უნდა გამომდინარეობდეს მოზარდის განვითარების და ცნობიერების დონიდან¹¹.

15 წლამდე მოზარდს არ შეიძლება მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე გვაქვს არაერთგზის სამართალდამრღვევთან¹².

10-დან 17 წლამდე მოზარდების მიმართ ძირითადად აღმზრდელობითი და დისციპლინური სანქციები გამოიყენება. როდესაც 12 წელზე მეტი ასაკის მოზარდი, ერთი მხრივ, ჩაიდენს იმგვარ ქმედებას, რომლისთვისაც სრულწლოვანისთვის თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხრივ, მისი თავისუფლებაზე დატოვება საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, არასრულწლოვანთა სასამართლო განიხილავს მისთვის **6-დან 24 თვემდე ვადით** თავისუფლების აღკვეთის საკითხს.

გამონაკლისი

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს უნდა მიესაჯოს 2 წლით ან მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა, მან შეიძლება განიხილოს საქმის სრულწლოვანთა სასამართლოსთვის გადაგზავნის შესაძლებლობა, თუმცა, ევროსასამართლოს მიხედვით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ბრალდებულს, მისი განვითარებიდან გამომდინარე, შეუძლია სრულად აღიქვას და გაიგოს ზრდასრულ ადამიანებზე გათვლილი სასამართლო პროცედურა და საკანონმდებლო დეტალები¹³. **სწორედ ამ მიზეზით ევროსასამართლომ, საქმეში SC v UK, დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების (ევროკონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი) დარღვევა, ვინაიდან მოზარდი, მისი გონებრივი განვითარებიდან გამომდინარე, მოკლებული იყო სასამართლოს მსვლელობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას¹⁴.**

უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, 21 წლამდე ახალგაზრდა არასოდეს იგზავნება ციხეში. მათ ათავსებენ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დაწესებულებაში. როგორც წესი, სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ მათ ათავისუფლებენ და ვადის გასვლამდე უწესებენ სოციალური სამსახურებისა და ნაციონალური პრობაციული სამსახურის მეთვალყურეობას.

საფრანგეთი

კანონმდებლობა

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები 1945 წლის 2 თებერვლის N45-174 ბრძანებულებით რეგულირდება. **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიწოდებული ასაკი 13 წელია.**

ბრძანებულებაში დეტალურადაა განერილი არასრულწლოვანის დაკავების პროცედურები, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება სრულწლოვან ექვმიტანილთა მიმართ მოქმედი პროცედურული ნორმებისგან. ბრძანებულების I მუხლის მიხედვით, **არასრულწლოვნები არ შეიძლება გაასამართლოს საერთო სასამართლომ.** ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, საქმეს განიხილავს ან **ბავშვთა**

¹⁰ R v H, CA, 08.03.2004

¹¹ R (H) v Southampton Youth Court [2004] EWHC 2912 (Admin)

¹² R v Manchester City Youth Court, ex parte D (2002) Crim LR 149

¹³ T v The United Kingdom no. 24724/94; V v The United Kingdom no. 24888/94

¹⁴ საქმე ეხებოდა 11 წლის მოზარდს, რომელსაც Crown Court-მა მიუსაჯა ორნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა



სასამართლო (შედარებით მსუბუქი სამართალდარღვევები) ან **არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო** (მძიმე დანაშაული). ბრძანებულების II თავი მთლიანად პროცედურას ეხება.

პრინციპია, რომ **არასრულწლოვანის დაკავება არ შეიძლება**¹⁵. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაშვებულია არასრულწლოვნის დაკავება მისი დაკითხვის მიზნით, თუმცა ამისთვის აუცილებელია მოსამართლის წინასწარი ნებართვა. დაკავების ხანგრძლივობამ არ უნდა გადააცილოს 12 საათს, დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ გაფრთხილებულები მშობლები ან მეურვეები, დაკავების წუთიდანვე მოზარდს უფლება აქვს, გაესაუბროს თავის ადვოკატს.

13-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიესაჯოს **წინასწარი პატიმრობა**, თუ დადასტურდება ამის აბსოლუტური აუცილებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კონტროლზე აყვანა არასაკმარისი აღმოჩნდება¹⁶.

სანქციები

არასრულწლოვანთა მიმართ ძირითადად გამოიყენება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ან, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი სამუშაოები.

გამონაკლისის სახით, როცა საქმის გარემოებები და თავად არასრულწლოვნის პიროვნება ამის აუცილებლობას განსაზღვრავს, მას შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა¹⁷, თუმცა ბრძანებულების 20-2 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს იმავე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარზე მეტი.

18 წლამდე ახალგაზრდებისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები ან ციხეებში გამოყოფილი უფროსებისგან იზოლირებული ნაწილი. **ბრძანებულების მე-11 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვანებისგან განცალკევების პრინციპს.**

20-7 მუხლი ითვალისწინებს პირობითი მსჯავრის დამატებით შესაძლებლობებს – ყველა შემთხვევაში, როცა მოსამართლე ჩათვლის, რომ **არასრულწლოვნის პიროვნების განვითარების პერსპექტივა** ამის საშუალებას იძლევა. პრაქტიკაში არასრულწლოვანთა სასამართლოები ყველაზე ხშირად ამ დისპოზიციას იყენებენ და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ეუბნებიან არასრულწლოვანს უარს პირობითად გათავისუფლებაზე.

შვეიცარია

პრინციპი

შვეიცარიაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 7 წელია. არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმები. ამჟამად განიხილება ცალკე კანონმდებლობის შემუშავება არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობის ასაკი 10 წლამდე აიწევა და მოკლევადიანი თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებები ფინანსური სანქციებითა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეიცვლება.

¹⁵ მე-4 მუხლის I ნაწილის I ფრაზა
¹⁶ მე-11 მუხლი
¹⁷ მე-2 მუხლი

სანქციები

სისხლის სამართლის კოდექსის 82-88 მუხლები 7-დან 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის ითვალისწინებს აღმზრდელობითი და დისციპლინური ღონისძიებების გატარებას. **15 წლამდე მოზარდის წინააღმდეგ არავითარი სისხლის სამართლის სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული.**

15-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლის სასჯელის ფორმებია მხოლოდ ჯარიმა და ერთი დღიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

სისხლის სამართლის კოდექსის ჩვეულებრივი ნორმები პრინციპში გამოიყენება 18 წლის ზევით, თუმცა 25 წლამდე ახალგაზრდები პენიტენციური დაწესებულების მაგივრად შეიძლება მოთავსდნენ **პროფესიული განვითარების დაწესებულებებში**¹⁸, სადაც ისინი შეისწავლიან რაიმე პროფესიას ან იმუშავენ დაწესებულების გარეთ არსებულ სანარმოებში. 25 წლამდე ახალგაზრდები მხოლოდ დისციპლინის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში გადაიყვანებიან პენიტენციურ დაწესებულებაში.

ნიდერლანდები

პრინციპები

ჰოლანდიაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 12 წელია. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს 12-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოსაყენებელ სპეციფიკურ ნორმებს. ამავე კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, დანიოს სისხლის სამართლებრივი სრულწლოვანების ასაკი 16 წლამდე და პირიქით, გაავრცელოს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი სპეციფიკური დისპოზიციები 21 წლამდე ახალგაზრდაზე¹⁹.

სანქციები

აღმზრდელობით-დისციპლინური სანქციების გვერდით არასრულწლოვანთა სისხლის სამართალი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთასაც, **თუმცა მისი ხანგრძლივობა, 16 წლამდე მოზარდის შემთხვევაში, არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს. 16-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის კი არ უნდა გადააჭარბოს 2 წელს.**

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

1. საერთაშორისო ექსპერტების შეაფასება

UNICEF-ის ექსპერტის, ქეროლან ჰამილტონის აზრით, „საქართველოს სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა ძალიან უხეშია და არ ემსახურება ბავშვების მოთხოვნილებებს. სამწუხაროდ, საქართველოში თავისუფლების აღკვეთა არის პირველი და ერთადერთი ზომა და ის არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ყველანაირი ზომა უნდა იყოს მიღებული, რომ თავისუფლების აღკვეთის მაგივრად გამოყენებულ იქნას სხვა ალტერნატიული ზომები.

დაპატიმრებული ბავშვი საკმაოდ დიდ დროს ატარებს პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში და ხშირად უწევს ყოფნა სრულწლოვან დამნაშავეებთან ერთად. საკნების მდგომარეობა არაადამაკმა-

¹⁸ Maison d'éducation au travail

¹⁹ მუხლი 77b, 77c



ყოფილებელია და ისინი ენინააღმდეგება ბავშვთა ინტერესებს. საკნებში ბავშვებს არა აქვთ განვითარებისა და განათლების საშუალება. ციხე წარმოადგენს მომავალი კრიმინალისა და რეციდივისტის ჩამოსაყალიბებელ ადგილს”.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება, ექსპერტის აზრით, წამოჭრის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემებს საქართველოსთვის. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებების აღიარებასთან, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს, არამედ ასევე იმ მეთოდთან, რომლითაც სისტემა აკმაყოფილებს დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფთა და დამნაშავე ბავშვთა მოთხოვნილებებს. მთავრობას სურს, რეაგირება მოახდინოს 12 და 13 წლის ასაკის ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენაზე. ჩვენი აზრით, საკითხი სხვაგვარად უნდა დასვას: არის თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება ყველაზე ეფექტური გზა ამ ჯგუფში დანაშაულებრივი მოქმედებების შესამცირებლად და შეამცირებს თუ არა დანაშაულებრივ მოქმედებებს ამ ბავშვების კრიმინალიზება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლის ნებისმიერი განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი სისტემის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია (ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 37-ე მუხლი).

ისმის კითხვა – ასაკის შემცირება ეფექტური შემაკავებელი საშუალება იქნება 12-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის? ამ კითხვაზე ქეროლან ჰამილტონი შემდეგ პასუხს სცემს: „12 და 13 წლის ბავშვების უმეტესობას ესმის კარგისა და ცუდის ცნება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ შეუძლიათ გაიგონ შემოთავაზებული შედეგების არსი: ე.ი. თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულებრივ ქმედებას, ისინი დაკავდებიან, მათ დაეკისრებათ ჯარიმა, გაასამართლებენ და დააპატიმრებენ. ამ ასაკის ბავშვებს იშვიათად აქვთ ცხოვრების გამოცდილება ან შემეცნებითი შესაძლებლობა, გააცნობიერონ და სრულად გაიგონ მთელი რიგი ამგვარი პოტენციური შემთხვევები. შემოთავაზებები ძალიან შორეულია მცირე ასაკის ბავშვებისათვის და არ მიიჩნევა მათთვის შესაფერისად. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება ნაკლებად იმოქმედებს, როგორც შემაკავებელი საშუალება ამ ჯგუფში“.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დანაშაულზე რეაგირება არასისხლისსამართლებრივ დანესებულებაში და ბავშვის მოცილება სისხლის სამართლებრივ სამართალწარმოების სისტემისგან უფრო მეტად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენის შემცირებას, ვიდრე სისხლის სამართლებრივი დევნა.

2. მინიმალური ასაკის გადახედვის მოტივაცია

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გენერალურმა პროკურატურამ წარმოადგინა, ცხადყოფს, რომ საქართველოში იმატა არასრულწლოვანთა დანაშაულებმა, რაც, პირველ რიგში, სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობის და არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობის სპეციალური სტრატეგიის არარსებობის შედეგია. პროკურატურიდან მონოდებული ინფორმაციის მიხედვით, მხოლოდ 2006 წლის 9 თვის მონაცემებით, გამოძიება შეწყდა 184 საქმეზე, მათ შორის, 121 საქმეზე (65%) სწორედ იმის გამო, რომ პირი არ იყო მიღწეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წელი). აღნიშნული ციფრი დაახლოებით 70%-ით გაზრდილია 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, 14 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესობა მოდის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე. სწორედ ამ მოტივით ცდილობს კანონმდებელი, გაამართლოს ამ ტიპის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დადაბლება.

„სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ კანონპროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში

მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის პროცესი. მოცემულ ეტაპზე დღის წესრიგში დგას არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვისა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი, რამაც განაპირობა წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების და დამატებების მომზადება.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ „ზემოთჩამოთვლილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინალიზაციით კანონმდებელი ცდილობს ერთგვარი პრევენციული ზომების გატარებას, რათა მითითებული ასაკობრივი ჯგუფის პირთა მიერ საკუთარი ბრალეულობის გაცნობიერებით, მოსალოდნელი სასჯელის შიშით თუ სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით, სახელმწიფომ უზრუნველყოს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება“.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან არ ჩანს, თუ რა სასწრაფო გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება 12 წლიდან. კანონპროექტის განმარტებით ბარათში, კანონპროექტის მიზანი მხოლოდ ერთი ფრაზითაა ჩამოყალიბებული: „კანონპროექტი მიზნად ისახავს 12-14 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხების მონერგვას“. გარდა ამისა, კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, რომ ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება განპირობებულია „კანონიერი ბერკეტების გაძლიერების აუცილებლობით“.



საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის თანახმად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გულისხმობს არასრულწლოვანთა და ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების ახალი წესების ამოქმედებას. ეს რაც გულისხმობს არასრულწლოვანთა საქმეებზე მოსამართლეთათვის საბაზისო ტრენინგების ჩატარებას, ასევე მოსამართლეთა განსაზღვრული კონტიგენტისთვის (60 მოსამართლე) სპეციალიზებული ტრენინგების განხორციელებას და სპეციალური კურსების ჩატარებას რაიონის თითო პროკურორისთვის, რათა მათ შეძლონ არასრულწლოვანებთან მუშაობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, 2008 წლის 1 ივლისამდე უნდა მოხდეს იმ მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა, რომლებმაც უნდა განიხილონ არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეები, გადაამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება. ფაქტია, რომ დღეს მოსამართლეთა გადაამზადების პროგრამა ჯერ არ არის შემუშავებული. გადაამზადების ასეთი პროგრამის შემუშავება საკმაოდ კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რამაც უნდა მოიცავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის გამოცდილება, კერძოდ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და ფსიქიატრიის. ცხადია, რომ არასრულწლოვანთა საქმის მწარმოებელი მოსამართლეთა, გამომძიებლების და პროკურორების კორპუსის მომზადება ხანგრძლივი პროცესი იქნება და მის დასრულებამდე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის გადახედვა მნიშვნელოვან სირთულეებს გამოიწვევს.

საგულისხმოა, რომ სამოქმედო გეგმაში არაფერია ნათქვამი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწესებაზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას საერთოდ არ იდგა დღის წესრიგში.

ასევე, სასჯელალსრულების სისტემის რეფორმირების გეგმაშიც, სადაც საუბარია ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელალსრულების დეპარტამენტის შენობების და საპატიმრო დაწესებულებების მშენებლობაზე, რისი განხორციელებაც 2007-2008 წწ. პერიოდს მოიცავს, არ არის



გათვალისწინებული არასრულწლოვანთათვის სასჯელალსრულების დაწესებულების მშენებლობა. იმ დაწესებულებების არსებობა, რომლებიც ადრე სახელმწიფოს დოტაციაზე იმყოფებოდნენ და მოზარდებზე ზრუნვის მიზნით იყო შექმნილი, 2007 წლის ბიუჯეტით საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ცვლილება არ გამოიწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

2007 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისიც არ ჩანს, რომ სახელმწიფო მზადაა, ჩადოს გარკვეული რესურსები საზოგადოებაზე ორიენტირებულ პრევენციულ და დანაშაულზე რეაგირების პროგრამებში, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ სასჯელის ალტერნატიულ საშუალებების ჩამოყალიბებას. თუ ამ კუთხით ხელისუფლება არ გადადგამს გარკვეულ ნაბიჯებს, 12 და 13 წლის სამართალდამრღვევები თითქმის ავტომატურად ციხეში აღმოჩნდებიან.

UNICEF-ის მიერ შემუშავებულ პროექტში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“, რომელიც მოიცავს 2006-2010 წწ. საქართველოში განსახორციელებელ რეფორმებს, ასევე არაფერია ნათქვამი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დანევაზე.

აღნიშნულ პროექტში მითითებულია, რომ საქართველოში არ არსებობს განცალკევებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებს ბავშვების სპეციალურ მოთხოვნილებებს. დღესდღეობით არ არსებობს სპეციალიზებული მართლმსაჯულების ორგანოები, არ არიან არასრულწლოვანთა საქმეებში სპეციალიზებული მოსამართლეები ან პროკურორები და გამომძიებლები, რომელთა კომპეტენციაში შევიდოდა ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების შემოწმება. პროექტში მითითებულია, რომ ამის შედეგად მართლმსაჯულების ჩინოვნიკები არ ატარებენ სპეციალიზირებულ ტრენინგებს ბავშვების მოთხოვნილებებზე მართლმსაჯულების სისტემაში და არასრულწლოვანთა საქმეები განიხილება სრულწლოვან დამნაშავეთა სისტემაში.

არ არსებობს ასევე ცენტრალიზებული ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. სტატისტიკა არის შეზღუდული და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი.

საგულისხმოა ისიც, რომ საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა განცალკევებას სრულწლოვნებისაგან, რაც ჩანერილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. თუმცა, დღემდე არ არსებობს არასრულწლოვანი გოგონების მოსათავსებელი ცალკე დაწესებულება, რის გამოც ისინი უფროსებთან ერთად იხდიან სასჯელს და რაც სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დანევა ასევე წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამართლის სხვა დარგებთანაც (შრომის სამართალი, საოჯახო სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სხვა).

4. არასრულწლოვნების პასუხისმგებლობის საკითხისადმი დღემდე არსებული მიდგომა

სისხლის სამართლის საპროცესო და სისხლის სამართლის კანონში შესატანი ცვლილებები არ შეიძლება განიხილებოდეს განცალკევებით სხვა საკანონმდებლო ნორმებისგან, მით უფრო, რომ არასრულწლოვანთა ურთიერთობებს არაერთი ნორმა აწესრიგებს. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს არასრულწლოვანთა საკითხის გლობალური კონცეფცია და ნებისმიერ სფეროში გატარებული ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება საერთო პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად: „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირს“. იმავე კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი 18 წლის მიუღწეველ პირებს არ შეიძლება შეეფარდოთ ადმინისტრაციული პატიმრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სახდელები, მოცემულ შემთხვევაში კი ადმინისტრაციული პატიმრობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახეებთან და ზომასთან შედარებით გაცილებით უფრო მსუბუქია, კანონმდებელმა, როდესაც 18 წელს მიუღწეველი პირებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება აკრძალა, გაითვალისწინა არასრულწლოვანის სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობაც და მათდამი განსაკუთრებული მოპყრობის აუცილებლობაც, რაც გულისხმობს არასრულწლოვანის კეთილდღეობის საკითხის პირველ პლანზე წამოწევას და ამ პრინციპის განუხრელად დაცვას.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებით, წარმოიქმნება გარკვეული ურთიერთინააღმდეგობა სხვა სამართლებრივ ნორმებთან. მაშინ, როცა ნაკლებად მტკივნეული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას კანონმდებელი ითვალისწინებს და მხედველობაში იღებს პირის ასაკს, მას იგივე მიდგომა არ აქვს სისხლის სამართლის სასჯელის შემთხვევაში მაშინ, როცა ეს გაცილებით მძიმეა მოზარდის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის.

სამოქალაქო უფლება-ვალდებულებები

საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. ასევე, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ ზღუდავს მის სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. გარდა ამისა, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

აღნიშნული ნორმიდან აშკარად ჩანს კანონმდებლის ფრთხილი მიდგომა არასრულწლოვანისადმი. ნათელია, რომ მოცემული ნორმის დადგენისას მხედველობაში იქნა მიღებული არასრულწლოვანის ზნეობრივი, ფიზიკური და გონებრივი განვითარების ფაქტორები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების და დამატებების პროექტის მიზნები და შინაარსი საქართველოს შრომის კოდექსთანაც წინააღმდეგობაში მოდის. თუ მოზარდის ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების დონე არ გვაძლევს შესაძლებლობას, რათა მათ ისევე მოვეპყროთ, როგორც ზრდასრულ, სრულწლოვან პირებს და ცხადად გვაქვს გაცნობიერებული, რომ 16 წელს მიუღწეველი პირი, მისი ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების დონიდან გამომდინარე, ვერ განახორციელებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს ისე, როგორც ამას ახორციელებს ზრდასრული პირი, მაშინ რატომ ვფიქრობთ, რომ 12 წლის ასაკიდან პირს შესწევს უნარი სრულფასოვნად ჰქონდეს გაცნობიერებული კანონპროექტში ჩამოთვლილ სისხლის სამართლის დანაშაულთა ხასიათის სიმძიმე, სურდეს მათი ჩადენა და აცნობიერებდეს შესაძლო მძიმე შედეგის დადგომას?

უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-1108-ე მუხლებით განსაზღვრულია დაქორწინებისთვის აუცილებელი პირობები, რომლის თანახმად საქორწინო ასაკად დადგენილია



18 წელი, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში დაშვებულია თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.

ასევე, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა გულისხმობს პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედუნარიანობა პირს ნამოქმედობა სრულწლოვანების მიღწევის-თანავე ანუ 18 წლის ასაკიდან. შეიძლება თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი ითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანად.

თუ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები განხორციელდება, მაშინ ისინი სამოქალაქო კოდექსის ნორმებთანაც წინააღმდეგობაში მოექცევა. აქაც იგივე პრობლემებს ვაწყდებით, რასაც ზემოთ მოყვანილ ნორმებთან მიმართებაში. 18 წლის ასაკამდე პირი, გამონაკლის შემთხვევებში კი 16 წლის ასაკამდე ითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანად, რაც განპირობებულია მისი ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური განვითარების დონით.

არასრულწლოვანისადმი აღნიშნული დამოკიდებულება არ იწვევს არავითარ დავას და აზრთა სხვადასხვაობას. მაშინ იბადება ბუნებრივი შეკითხვა – რატომ გახდა ასეთი აუცილებელი სისხლის სამართლის კოდექსით არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის ასაკის 14-დან 12 წლამდე დანევა? თუ მივიჩნევთ, რომ 12 წლის ასაკიდან არასრულწლოვანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე ისეთია, რომ მან შეიძლება სრულწლოვანის მსგავსად აგოს პასუხი საკუთარი ქმედებებისთვის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია არასრულწლოვანისთვის ფიზიკური ქმედუნარიანობის 12 წლის ასაკიდან დადგენაც, რაც, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არაუმეტეს ათი წლის ვადით. ამავე კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი. 50-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი, თუ განსასჯელი (მსჯავრდებული) არასრულწლოვანია, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნახევრამდე მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა. ეს გახლავთ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ის შეღავათები, რითაც შესაძლოა ისარგებლოს არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა სასჯელის დანიშვნისას.

იმ სამართალდარღვევებიდან, რომლებისთვისაც, ცვლილებების მიხედვით, მინიმალური ასაკი 12 წელი უნდა იყოს, მხოლოდ 178-ე მუხლის I ნაწილი და 238¹-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის სახეს. ფაქტობრივად, სისხლის სამართლის კოდექსში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული ცვლილებების მიღებით, კანონმდებელი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აყენებს არასრულწლოვანს. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებში არ არის ასახული აღმზრდელი-სარეაბილიტაციო პროგრამები, რაც ქმნის საშიშროებას, რომ არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებები იქცევა ნორმად და არა განსაკუთრებულ და გამონაკლის შემთხვევებში გამოსაყენებელ ზომად. ამგვარი მიდგომა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც, **18 წლამდე ასაკის პირებისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც იმავე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საერთო კანონმდებლობისაგან განსხვავებულ, უფრო მსუბუქ ზომებს გაითვალისწინებს და მთავარ აქცენტს გააკეთებს აღმზრდელი-სარეაბილიტაციო ხასიათის ღონისძიებებზე**²⁰.

²⁰ ინგლისელი მოსამართლეების თქმით, არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც კანონი არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ უფრო ლმობიერი სასჯელის ზომებს ითვალისწინებს. პირველ რიგში, არასრულწლოვნები ნაკლებად პასუხისმგებლები არიან საკუთარ საკუთარ ქმედებებზე და აქედან გამომდინარე, სრულწლოვანებზე ნაკლებად არიან დამნაშავეები. მეორეც, მათი დასჯა პირველ რიგში მათ რეაბილიტაციას უნდა ისახავდეს მიზნად და არა სამაგიეროს მიზლვას ან პრვენციას, როგორც ეს ხდება ზრდასრულ დამნაშავეებთან მიმართებაში (R v B [2005] EWCA Crim 312).

რეკომენდაცია

1. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაგირების უფრო ეფექტური გზები, ვიდრე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ასაკის შემცირება. ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს **სახელმწიფოს სტრატეგია** არასრულწლოვანთა განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტებს ამ სფეროში და იმ მიზნებს, რომლებსაც იმავე არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ემსახურება.
2. **ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 12 წლამდე შემცირება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია** – ეს დიდ პრობლემას შეუქმნის საქართველოს არსებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, რომელიც დღევანდელი მონაცემებითაც კი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს.
3. ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი, **სპეციალური სისხლის სამართლისა და პროცედურული ნორმები და მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადების მუდმივმოქმედი სისტემა**.
4. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრების ნაცვლად უნდა შემუშავდეს **პრევენციული ღონისძიებების** მთელი სერია, უნდა დაინერგოს პასუხისმგებლობაში მიცემული მოზარდების აღზრდისა და რესოციალიზაციის ეფექტური მეთოდები.
5. უკიდურესი შემთხვევებისთვის, როცა მოზარდის იზოლაცია აუცილებელია მისი და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, ეს უნდა მოხდეს ამ მიზნებისთვის განკუთვნილ **სპეციალურ დაწესებულებებში**, სადაც არასრულწლოვანს საშუალება მიეცემა, მიიღოს თავისი ასაკისათვის შესაბამისი განათლება და არ ჩამორჩეს საერთო სასწავლო პროცესს.

32

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპის შემლახავი ცვლილება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 29 დეკემბერს შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“²¹.

სისხლის სამართალში პირი დამნაშავედ შეიძლება მიიჩნიოს მხოლოდ სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლო, გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად აფასებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, მოქმედებდა თუ არა ბრალეულად და შესაბამისად გამოაქვს განაჩენიც. სასამართლო დამნაშავედ ცნობასთან ერთად პირს უნიშნავს სასჯელს. სასჯელის დანიშვნა ხდება მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მოქმედებდა ბრა-

ლეულად. სისხლის სამართალში აღნიშნული პრინციპი ცნობილია, როგორც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

1. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ევროპისა და საერთაშორისო სამართალში

ევროპის ბევრ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი.

იტალიის კონსტიტუციის 27-ე მუხლის I პუნქტი აცხადებს, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია.“

საფრანგეთში ამ პრინციპს უკავშირებენ 1789 წლის ადამიანის უფლებების დეკლარაციას, რომელსაც ამ ქვეყნის ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციაზე მაღალი რანგი უკავია. გარდა ამისა, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-1 მუხლით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი კოდიფიცირებულია. ამ დისპოზიციის მიხედვით „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი ქმედებისთვის შეიძლება არსებობდეს.“

შვეიცარიის ფედერალური სასამართლო სასჯელის ინდივიდუალობის პრინციპს სისხლის სამართლის საზოგადო პრინციპის სტატუსს ანიჭებს.

ავსტრიის სისხლის სამართ-

²¹ სსკ-ს 42-ე მუხლის 51-ე ნაწილი

ლის კოდექსის მე-4 პარაგრაფიც ხსენებულ პრინციპს ეძღვნება და ასე ჟღერს: „მხოლოდ დამნაშავე დაისჯება.“

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაში „პროკურორი დუშკო ტადიჩის წინააღმდეგ“, §186, ნათქვამია:

„ექვეგარეშეა, რომ როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სამართლის სისტემებში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეფუძნება ინდივიდუალური ბრალეულობის პრინციპს: არავის შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ აქტებისა თუ გადაცდენებისათვის, რომლებშიც პირადად არ იყო გარეული ან რომლებშიც სხვა რაიმე ფორმით არ მონაწილეობდა (*nulla poena sine culpa*). შიდა სამართალში ეს პრინციპი განსაზღვრულია კონსტიტუციით, კანონმდებლობით ან სასამართლო გადაწყვეტილებებით. საერთაშორისო სამართალში იგი გაცხადებულია საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მე-7-1 მუხლში, რომლის მიხედვითაც:

ვინც დაგეგმა, უბიძგა, უბრძანა, ჩაიდინა ან სხვა რაიმე ფორმით დაეხმარა ან წაახალისა 2-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის დაგეგმვა, მომზადება ან შესრულება, ინდივიდუალურად პასუხისმგებელია ამ დანაშაულზე.“

სასამართლოს მიხედვით, ეს პრინციპი უფრო ხშირად იმპლიციტურია, თუმცა არის შემთხვევები, როცა იგი პირდაპირ ცხადდება. მაგ. **დიდ ბრიტანეთში**, გადაწყვეტილება **R v Dalloway (1847) 2 Cox CC 273²²**; **ბელგიის** საკასაციო სასამართლოს 1952 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილება ეფუძნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. მაგ. **BverfGE 6, 389 (439) 50 და 125 (133)**. გერმანიის ფედერალური სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაც სპეციალურად მოიხსენიებს აღნიშნულ პრინციპს. მაგ. **BGHSt 2, 194 (200)**.

მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით²³ „ამ სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირის პასუხისმგებლობა და ამ სტატუსით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდება ინდივიდუალურია.“

ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან **C-210/00 Kaserei Champignon** გამომდინარეობს, რომ ყველა სისხლის სამართლის სასჯელი უნდა იცავდეს პრინციპს *nulla poena sine culpa*. დავის საგანი იყო ნორმა, რომელიც სანქციას ანესებდა ბრალეულობის არსებობის მიუხედავად. სასამართლო აცხადებს, რომ ამ ნორმის მიერ გათვალისწინებული სასჯელი შეუსაბამო იქნება პრინციპთან ნულლა *poena sine culpa* მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სისხლის სამართლის სასჯელია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ადმინისტრაციულ სახდელს, რომლის შემთხვევაშიც არ მოქმედებს სასჯელის ინდივიდუალობის პრინციპი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სერიოზული დისკუსია მიმდინარეობს აღნიშნული პრინციპის ადმინისტრაციულ სახდელებზე გავრცელებაზეც.

დოქტრინის მიხედვით, ამავე პრინციპს ამკვიდრებს ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიც²⁴.

²² ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ბრალდებული დამნაშავეა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისმა ქმედებამ ან უმოქმედობამ გამოიწვია დანაშაულის ჩადენა. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დაუდგენლობის გამო დალოვეის მიერ უაღვიროდ ცხენის ტრეზასა და 3 წლის ბავშვის სიკვდილს შორის, დალოვეი უდანაშაულოდ გამოცხადდა.

²³ **Rome Statute of the International Criminal Court, 17 July 1998**

²⁴ იურგენ შვარცე, სახელმწიფო სამართლის პროფესორი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის დეპარტამენტი და ფრაიბურგის ევროპა-ინსტიტუტის დირექტორი, სტატიაში „ევროპის ადმინისტრაციული პროცედურების სამართლებრივი განხილვა.“



2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ქართულ სამართლებრივ სისტემაში

საქართველოს კონსტიტუციაში, მართალია, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი დეკლარირებული არ არის, მაგრამ 39-ე მუხლის თანახმად: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის 1 პუნქტით აღიარებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილებით** სასჯელის ინდივიდუალურობა ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარა და არაკონსტიტუციურად ცნო დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ“. სასამართლოს აზრით, სასჯელის ინდივიდუალობის პრინციპი ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის დებულებებიდან. საქართველოს კონსტიტუცია აცალიბებს რა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მაღალ სტანდარტს, ცხადია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზების პრინციპიც გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, ჯარიმა წარმოადგენს სასჯელის სახეს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

სსკ-ის მე-40 მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. შესაბამისად, სასჯელმა გავლენა უნდა იქონიოს უშუალოდ დამნაშავეზე, ხოლო სასჯელით სხვა პირი არ უნდა დაზარალდეს. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 51-ე ნაწილით კი სასჯელი შეიძლება დაეკისროს პირს, რომელიც არ არის ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას – ჯარიმის მშობელზე, მეურვესა და მზრუნველზე დაკისრება ვერანაირად ვერ აღადგენს სამართლიანობას, ვერც ახალ დანაშაულის ჩადენას აიცილებს თავიდან და ვერც დამნაშავის რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს, პირიქით, გამოიწვევს სხვა პირთა დასჯას, რაც ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 42-მუხლის 51 ნაწილი არაკონსტიტუციურია, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს და კონსტიტუციური სასამართლოს მიერ კონსტიტუციური პრინციპების რანგში აყვანილ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მათ მიერ სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას. მაგრამ, დეკლარირებული თანასწორობის მიუხედავად, გადანყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობა მაინც დაბალია. პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა ქვეყნის დემოკრატიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა წარმომადგენლობის შესწავლა განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად შემცირდა ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-

ებში. კერძოდ, საქართველოს ყველა საკრებულოს 1734 წევრიდან მანდატი 197 ქალმა მოიპოვა, რაც 11,47% შეადგენს (1998 წლის არჩევნების შედეგად 14%, 2002 წლის არჩევნების შედეგად 11,9%).

რეგიონი	საკრებულოს წევრთა რაოდენობა	მათ შორის ქალი	მაჟორიტარი	პროპორციული სიით არჩეული
1 თბილისი	37	4 (10,8%)	3	1
2 კახეთი	209	26 (12,4%)	6	20
3 ქვემო ქართლი	197	18 (9,1%)	9	9
4 მცხეთა-მთიანეთი	110	16 (14,6%)	7	9
5 შიდა ქართლი	122	12 (9,8%)	6	6
6 სამცხე-ჯავახეთი	148	13 (8,8%)	5	8
7 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	101	18 (17,8%)	6	12
8 იმერეთი	299	26 (8,7%)	15	11
9 გურია	98	10 (11,2%)	4	6
10 სამეგრელო და ზემო სვანეთი	242	28 (11,6%)	18	10
11 აჭარა	129	11 (8,5%)	3	8
12 ლიახვის საარჩევნო ოლქი	28	6 (21,4%)	1	5
13 ზემო აფხაზეთის საარჩევნო ოლქი	14	9 (64,3%)	2	7
სულ	1734	197 (11,47%)	85	112



პროპორციული საარჩევნო სისტემით გასულ საკრებულოს 692 წევრს შორის 112 ქალია, რაც 16%-ს შეადგენს, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს 1042 წევრიდან მხოლოდ – 85 ქალია, რაც 8,2%-ს შეადგენს.

ადგილობრივ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის ხარისხი რეგიონების მიხედვითაც განსხვავდება. მაჟორიტარული წესით არჩეული ქალები ჭარბობენ სამეგრელოში (28 არჩეული ქალიდან 18 მაჟორიტარული წესით აირჩა), იმერეთში (15 დეპუტატი 26 არჩეული ქალიდან), ქვემო ქართლში (9 დეპუტატი 18 არჩეული ქალიდან). პარტიული სიით ყველაზე მეტი ქალი გავიდა კახეთში (20 დეპუტატი 26-დან), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (12 დეპუტატი 19-დან).

აბსოლუტური მონაცემებით, ყველაზე მეტი ქალი სამეგრელო-ზემო სვანეთში აირჩიეს – 28, იმერეთსა და კახეთში 26-26 ქალს ერგო მანდატი, ხოლო ყველაზე ცოტა თბილისში – 4. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში საკრებულოს წევრთა რაოდენობა 242-ია, იმერეთში – 299, კახეთში – 209, ხოლო თბილისში – 37.

ქვეყანაში არჩეულ 69 საკრებულოში საშუალოდ დაახლოებით 3 ქალია. თუმცა ქალაქ ბათუმის, გურჯაანის, ქარელის, ვანის, სამტრედიის, ახალქალაქის რაიონების საკრებულოებში არც ერთი ქალი არ არის წარმოდგენილი. ქუთაისისა და ფოთის, ასევე მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ყაზბეგის, ასპინძის, ლენტეხის, ჭიათურის, მესტიის, ხელვაჩაურისა და ხულოს რაიონების საკრებულოებში თითო ქალია.

პროცენტული მაჩვენებლებით, ყველაზე მეტი ქალი ზემო აფხაზეთის საარჩევნო ოლქში აირჩიეს, 14-დან 9 ქალი (64,28%), შემდეგ მოდის ონის რაიონი, სადაც საკრებულოს 28 წევრიდან 8 ქალია (28,57%), ახმეტის რაიონი 25-დან 6 ქალია (24%), ყვარლის რაიონში 21-დან 5 ქალია (23,8%), თეთრიწყაროს რაიონში 30-დან 7 ქალია (23,33%). ქალაქებიდან – ქალაქი რუსთავი, სადაც დეპუტატთა შორის ყოველი მეხუთე ქალია (15-დან 3 ქალი, ანუ 20%).

რეგიონებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს (17,82%), შემდეგ მცხეთა-მთიანეთსა (14,55%) და კახეთს (12,44%), ყველაზე დაბალი – სამცხე-ჯავახეთს (8,78%) იმერეთსა (8,70%) და აჭარას (8,53%).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადანყვეტილების მიღების პროცესში თითქმის არ მონაწილეობენ ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლები (199 დეპუტატ ქალთა შორის სულ რამდენიმე ქალია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი).

ზემოთ მითითებული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში გადანყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ხმა ნაკლებად ისმის ანუ დემოკრატიამდე ჯერ საკმაოდ შორია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობაზე და მასში ქალების როლზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღემდე, რეალურად, ეფექტური თვითმმართველობა საქართველოს არ ჰქონია და მთლიანად ამ ინსტიტუტის როლი, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მინიმალური იყო. სწორედ ამიტომ, გენდერულ პრობლემასა და თვითმმართველობას დღეს საზოგადოება ერთ კონტექსტში ვერ სვამს.

სწორედ ამ ვითარებაში პოლიტიკურ პარტიებს, როგორც პოლიტიკური პროცესის უმთავრეს სუბიექტებს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ქალთა პოლიტიკური გააქტიურების საქმეში.

თვითმმართველობის დეპუტატ ქალთა უმეტესობა (176 ანუ 89,34%) ან ნაციონალური მოძრაობის წევრია ან ამ პარტიის მიერ არის დასახელებული. რაც შეეხება დანარჩენ 21 (10,65%) ქალს, 7 მათგანი ლეიბორისტული პარტიის, 6 – ბლოკ „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილის“, 3 – „თოფაძე, მრეწველების“, 1 – „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის“, 4 – საინიციატივო ჯგუფის მიერ არის წარდგენილი.

თბილისში 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 6 პარტიამ. თბილისში 130 მაჟორიტარი კანდიდატიდან 29 ქალი იყო. პარტიულ სიებში მათი რაოდენობა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

პარტიის სახელწოდება	ქალთა რაოდენობა	პროცენტული თანაფარდობა
1 ნაციონალური მოძრაობა	11 ქალი 50 წევრიდან ძირითადი - 10, სარეზერვო - 1	22% 50 - 10 (20%)
2 ლეიბორისტული	12 ქალი 50 წევრიდან ძირითადი - 7, სარეზერვო - 5	24% 50 - 7 (14%)
3 საქართველოს გზა	23 ქალი 50 წევრიდან ძირითადი - 9, სარეზერვო - 14	46% 50 - 9 (18%)
4 საარჩევნო ბლოკი - „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“	14 ქალი 50 წევრიდან ძირითადი - 7, სარეზერვო - 7	28 % 50 - 7 (14%)
5 თოფაძე, მრეწველები	12 ქალი 33 წევრიდან ძირითადი - 9, სარეზერვო - 3	36% 33 - 9 (27%)
6 საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია	1 ქალი 7 წევრიდან	14%

მნიშვნელოვანია ამავე ინფორმაციის განხილვა სიაში ქალების რიგის თვალსაზრისით. როგორც ნათლად ჩანს, სალომე ზურაბიშვილის პარტია ლიდერობს, რადგან პირველ 12 კანდიდატში 4 ქალია, საარჩევნო ბლოკში „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ - 3, ხოლო დანარჩენ პარტიებში 2 ან 1.

ნაციონალები - 50 წევრი	ლეიბორისტები - 50 წევრი	ზურაბიშვილი - საქართველოს გზა - 50 წევრი	საარჩევნო ბლოკი - „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ - 50 წევრი	თოფაძე, მრეწველები - 33 წევრი
5	8	2	2	8
12	14	4	4	13
14	15	7	12	14
16	19	12	14	15
17	29	13	15	18
18	33	17	17	21
24	37	20	19	22
26	38	22	20	26
45	39	25	23	27
48	40	27	26	28
	43	28	35	29
	49	31	37	33
		33	40	
		34	4	
		35		
		36		
		37		
		40		
		41		
		42		
		45		
		47		
		49		



საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შესწავლა გვიჩვენებს, რომ იმ პოლიტიკურ პარტიებიდან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქალები არ არიან ისე ძლიერი, რომ გავლენას ახდენდნენ პარტიის პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე.

პოლიტიკური პარტიების წევრთა 30%-ს ქალები შეადგენენ, მაგრამ მათი უმრავლესობა რიგითი წევრია, რომელთა პოტენციის გამოყენება მხოლოდ არჩევნების მზადების ან სხვა შავი სამუშაოს შესრულების დროს ხდება. საარჩევნო სიების პირველ ათეულში ისინი ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეყავთ.

ასევე აღსანიშნავია საზოგადოების პოზიცია, რომელიც პოლიტიკოს ქალებს მეტად აკვირდება და აკრიტიკებს, ვიდრე პოლიტიკოს კაცებს.

ჯერ-ჯერობით ცოტაა გენდერულად მგრძობიარე და ქალთა საკითხებზე სამუშაოდ მოტივირებული ქალები, რომლებიც შეძლებენ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ქალთა და გენდერული პრობლემატიკის წამოწევას. ქალის მონაწილეობა პილიტიკაში მას ნაკლებად ხისტს და მეტად კომპრომისულს გახდიდა, გაიზრდებოდა დიალოგის და დებატების კულტურა.

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია მიიღო, რომელიც შეიმუშავა სპეციალურად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს, გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის წევრები და სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები. გეგმა შეთანხმებული იყო ამ პროცესში ჩართულ ყველა სამინისტროსთან და წარედგინა მთავრობას. კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფს დახმარებას უწევდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), პროექტი „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“, გაეროს ქალთა ფონდი (UNIFEM), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და საერთაშორისო ექსპერტები.

კონცეფციის მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა უფლებების და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტურ განხორციელებას. იგი აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტი ადგენს: „...საქართველოს მთავრობამ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და მიიღოს „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ განხორციელების სამოქმედო გეგმა“. სამწუხაროდ, პარლამენტის დადგენილება დღემდე არ არის შესრულებული, რაც მეტყველებს სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე ამ პრობლემის მიმართ.

რეკომენდაციები:

1. მთავრობის მიერ დამტკიცდეს და განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკა (სამოქმედო გეგმა) გენდერული თანასწორობის მისაღწევად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გეგმის განხორციელებისათვის უნდა გამოიყოს ფინანსური სახსრები და დაინერგოს მისი შესრულების მონიტორინგის სისტემა;
2. პოლიტიკურ პარტიებში ჩამოყალიბდეს ქალ კანდიდატთა შერჩევის გარკვეული პროცედურა, რაც არჩევნებში მონაწილე ქალ და კაც კანდიდატთა დაბალანსებულ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და საქართველოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც პარლამენტმა 2006 წლის 25 მაისს მიიღო, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 4 თვის ვადაში დაამტკიცოს სპეციალური გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებები“.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმა, რომლის მოქმედება განისაზღვრება 2006-2008 წლებით, მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც სამთავრობო ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სამოქმედო გეგმა ძირითადად შემდეგ ამოცანებს ისახავს: ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა; საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა; მსხვერპლთა დაცვა და დახმარება; ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა.

ოთხი თვის ვადა 2006 წლის 9 ოქტომბერს ამოიწურა, მაგრამ სამოქმედო გეგმა არა თუ არ დამტკიცდა, არამედ არც არის განხილვაში. რაც ნიშნავს, რომ არამართო დაირღვა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, არამედ არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების პოლიტიკური ნება. შესაბამისად არ მოხდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პრევენციის, დაცვისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფისათვის ფინანსური სახსრების გათვალისწინება 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. შედეგად კი, ეს გეგმა კიდევ რომ დამტკიცდეს, მივიღებთ მორიგ არაქმედით დოკუმენტს. რაც, თავის მხრივ, გაართულებს მიღებული კანონის იმპლემენტაციას.

სახალხო დამცველის ოფისმა და არასამთავრობო ორგანიზაცია საკონსულტაციო ცენტრმა („სახლი“) ერთობლივად ჩაატარა საპატრულო პოლიციის თანამშრომლების და მთანმინდა

კრწანისის შს რაიონული სამმართველოს საუბნო განყოფილების უბნის ინსპექტორების საქმიანობის კვლევა, რომლის მიზანი იყო გაერკვია, კანონის მიღების შემდეგ, არსებობს თუ არა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვის რეალური მექანიზმები, გამოველინა ფაქტორები, რომელიც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდას და მიღებული კანონის იმპლემენტაციას. გასაუბრებელია და შევსებული კითხვარების მეშვეობით მიღებულმა მასალამ მოგვცა არსებული პრობლემის რეალური სურათი და გამოავლინა პრობლემები. კერძოდ:

1. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა, რაც მოძალადეს მხრიდან მსხვერპლის დამცავი, ან შემაკავებელი ორდერების დაცვაზე ზედამხედველობას გულისხმობს.

* შემაკავებელ ორდერი გამოიცემა პოლიციის თანამშრომლების მიერ ძალადობის ფაქტის დაფიქსირების, მხარეების დაშორიშორების შემდეგ და წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებით ღონისძიებას. თუმცა, ამ ორდერის დარღვევისას მოძალადეს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

* დამცავ ორდერს გასცემს სასამართლო, რომელიც ადგენს თუ რა პერიოდით ეკრძალება მოძალადეს მსხვერპლთან მიახლოება. კანონის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს. თუმცა, ხშირად ამ დარღვევის გამოვლენა და მასზე რეაგირება ვერ ხერხდება. ასევე, არის შემთხვევები, როცა მსხვერპლი (მეტწილად გაუთვითცნობიერების გამო) წინააღმდეგი არ არის მოძალადესთან კვლავ იქონიოს ოჯახური ურთიერთობები.

2. საქმეს ისიც ართულებს, რომ თითოეულ უბნის ინსპექტორი 5 ათასამდე მოსახლეზეა პასუხისმგებელი და ასეთი რაოდენობის მოქალაქეთა მომსახურება და მათი მუდმივად დაცვა თითქმის შეუძლებელია.

3. მსხვერპლს პრობლემას უქმნის ქონებრივი საკითხების გაურკვეველობაც. თანასწორობის პრინციპი, რომელსაც მიღებული კანონი აღიარებს, პირველ რიგში მატერიალურ თანასწორობას გულისხმობს. ხშირად კი მსხვერპლი მატერიალურად მოძალადეზეა დამოკიდებული და მას ოჯახში დარჩენა თავშესაფრის შენარჩუნებისათვის უწევს.

4. დღესდღეობით არ არის თავშესაფრები, სადაც მოხერხდებოდა მსხვერპლის დროებით განთავსება და დახმარების განწევა. ასევე მნიშვნელოვანია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, სადაც მოხდება მოძალადის მკურნალობა.

კანონით თავშესაფრები და სარეაბილიტაციო ცენტრები მხოლოდ 2008 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. რაც, ჩვენი აზრით, კანონის უარყოფით მხარეს წარმოადგენს.

5. მიღებული კანონი არ იძლევა კონფლიქტის მოგვარების რეალურ საშუალებას, ვინაიდან არ არსებობს მოძალადის მხრიდან დაშინების, ანგარიშსწორების მუქარის ან განმეორებითი ძალადობისაგან მსხვერპლთა დაცვის რეალური მექანიზმები.

6. პრაქტიკულად არ არსებობს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. კანონის მიხედვით მუხლი, რომელიც გულისხმობს სოციალურ მომსახურებას, 2008 წლის 1 ივლისიდან უნდა ამოქმედდეს.

7. სირთულეს წარმოადგენს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები. მართალია, დაზიანების ზედპირული შემონმება პოლიციის მიმართვის საფუძველზე უფასოა, მაგრამ, როგორც წესი, დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების დადგენისათვის სიღრმისეული სამედიცინო გამოკვლევაა საჭირო, რასაც ფინანსურად სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს. ამის გამო, საქმისათვის ისეთი აუცილებელი მტკიცებულება, როგორცაა სამედიცინო დასკვნა, აღარ არსებობს.

- 8. საზოგადოების მიღებული კანონის შესახებ ცოდნის დაბალი დონე. რაც გულისხმობს, როგორც მოსახლეობის, ასევე მოსამართლეთა, პროკურატურის და პოლიციის თანამსრომელთა, მედიცინის მუშაკთა და მედიის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის გაზრდას.
- 9. დღემდე არ მოხერხდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმის“ მიღება.

კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- შეიქმნას სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა, რომელშიც შევა ინფორმაცია ოჯახური ძალადობის შემთხვევათა შესახებ; ოჯახური ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით კვალიფიკაცია ამაღლებულ სამართალდამცავთა მონაცემები; ინფორმაცია ოჯახური ძალადობის პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ;
- კანონის სრული ამოქმედების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას ოჯახში ძალადობის პრობლემაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი;
- ჩამოყალიბდეს სპეციალური მაკოორდინირებელი საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას კანონისა და მისი იმპლემენტაციის პროცესში არსებული ხარვეზების შესახებ; შეასრულებს მედიატორის როლს მოსახლეობასა და სამართალდამცავთა შორის და იმუშავებს კანონის შემდგომ სრულყოფაზე. ამასთან, მონიტორინგს გაუწევს სახელმწიფო გეგმის შესრულებას და იმუშავებს ოჯახური ძალადობის შემთხვევათა სასამართლო რეგულირების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონოღებული ინფორმაციის თანახმად, 2005 წელს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 3254 ფაქტი (I ნახევარში – 1785, II ნახევარში – 1469), 2006 წელს – 3665 ფაქტი (I ნახევარში – 1910, II ნახევარში – 1755).

2006 წლის მეორე ნახევარში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული ფაქტები.

	VII	VIII	IX	X	XI	XII	სულ
თბილისი	212	250	214	280	129	46	1131
იმერეთი	18	8	7	12	15	23	83
კახეთი	25	–	17	6	3	3	54
შიდა ქართლი	15	12	10	32	18	13	100
ქვემო ქართლი	68	41	48	50	35	38	280
აჭარა	5	3	9	3	11	12	43
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	17	13	12	8	4	64
სულ	353	331	318	395	219	139	1755

თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, შეტყობინების შედეგად პატრულ-ინსპექტორების მიერ შემთხვევის ადგილზე შედგენილი კონფლიქტური მასალების სტატისტიკური მონაცემები რაიონების მიხედვით.



რაიონი	
გლდანი-ნაძალადევი	250
ვაკე-საბურთალო	136
დიდუბე-ჩუღურეთი	199
ისანი-სამგორი	438
მთანმინდა-კრწანისი	108
სულ	1131

აღნიშნული ციფრები პრობლემის რეალურ სურათს არ ასახავს, რადგან ოჯახური ძალადობა ჩვეულებრივ აღიქმება როგორც პირადი, ოჯახური და არა როგორც მწვავე სოციალური პრობლემა. ასევე, არსებული სურათი მოითხოვს უფრო ღრმა შესწავლას საქართველოს რეგიონების და თბილისის რაიონების მიხედვით.

მიგვაჩნია, რომ სტატისტიკის დანერგვის გზების გამონახვა, სულ ცოტა, საჭიროა იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს საზოგადოებაში ამ პრობლემის არსებობა და მისი გადაჭრის აუცილებლობა.

2006 წლის მეორე ნახევარში დაფიქსირებული ძალადობის 1755 ფაქტიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის მხოლოდ 28 საქმეზე დაიწყო. აქედან სასამართლო განაჩენი გამოტანილია 11 საქმეზე. ხოლო თბილისის საქალაქო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დამცავი ორდერის გაცემის მხოლოდ 7 განცხადება შევიდა. ამათგან, ორდერი გაცა მხოლოდ 4 განცხადების საფუძველზე, სამ საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2006 წელს არ წარმოებულა საქმეები ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. დაზარალებული ხშირად ვერც კი ხვდება, რომ მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.

რეკომენდაციები:

- კანონის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი მექანიზმი გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს“. სისხლის სამართლის კოდექსში დღემდე არ არსებობს სპეციალური მუხლი. შემუშავებულ იქნეს იგი, რათა მოხდეს აღნიშნული მოვლენის კრიმინალიზაცია.
- უზრუნველყოფილ იქნას პოლიციის თანამშრომლების, პროკურატურისა და მოსამართლეთა სავალდებულო საფუძვლიანი სწავლება. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის დებულებები გათვალისწინებულ უნდა იქნას მომზადების კურსის სასწავლო პროგრამაში.
- შესრულდეს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი და მთავრობამ დამტკიცოს სპეციალური გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებები.
- მთავრობის მიერ 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ნაწილობრივ მაინც, იქნას გათვალისწინებული თანხები მსხვერპლთა პრევენციის, დაცვის და რეაბილიტაციის უზრუნველყოფისათვის, რაც შეუძლებელია ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ხელმძღვანელობასთან იქ არსებული მდგომარეობის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით.

2006 წლის ოქტომბერში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ორმოცმა მსჯავრდებულ ქალმა. ისინი გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ 2006 წლის მარტის თვიდან შეწყვეტილია სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული „შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანი მოხდა“. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული აკმაყოფილებს კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას, სახელმწიფომაც უნდა განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით და „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რათა არ მოხდეს პატიმარსა და სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთვალდებულებების ცალმხრივად, მხოლოდ პატიმრების მხრიდან შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო-

მაც განახორციელოს მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა მიერ კანონით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობის უფლება.

2006 წელს არც ერთი ქალი პატიმარი არ არის შეწყალებული. პირობით ვადამდე გათავისუფლებულია – 6.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულება გათვლილია 220 მსჯავრდებულზე, მაშინ როდესაც რეალურად იქ იმყოფება 500-ზე მეტი მსჯავრდებული ქალი. ადმინისტრაციამ საძინებელ ოთახებად გამოიყენა დასასვენებელი ოთახი და საკუჭნაო, ვერ ხერხდება საკნების განიავება. შექმნილი ვითარება ამძიმებს აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების მდგომარეობას.

35

ქალთა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება

საქართველოს
სისხლის
სამართლის
კოდექსის
72-ე მუხლი

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასჯელალსრულებით დაწესებულებებში მრავალი ადამიანი იხდის სასჯელს, მაგრამ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან, როგორც დასჯილები და არა იმისთვის, რომ იქ დაისაჯონ – თავისუფლების აღკვეთა უკვე თავისთავად არის სასჯელი. ამიტომ სასჯელალსრულების დაწესებულების პირობები არ უნდა გადაიქცეს სასჯელის დამატებით ფორმად. მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი პატიმრობით გამოწვეული ნებისმიერი არასასურველი ზემოქმედება.

თანამედროვე მსოფლიოში პატიმრებთან მოპყრობის საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გადატანილია პატიმრების დახმარებაზე, მათი პირადი პოტენციალის განვითარებასა და საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნების საშუალების უზრუნველყოფაზე. აღნიშნული მსჯელობა ემყარება იმ იდეას, რომ დღევანდელი პატიმარი ხვალ უკვე თავისუფალი მოქალაქე იქნება.

მხედველობაში გვაქვს ის ცვლილებები, რომელიც შევიდა კანონში და რომლის შედეგად გაუქმებულია გრძელვადიანი პაემნები, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნავს იმ „ბენვის ხიდის“ დასრულებას, რომელიც აკავშირებდა პატიმარსა და იმ საზოგადოებას, რომელშიც მას მოუწევს ცხოვრება ციხიდან გამოსვლის შემდეგ.

გადაუჭრელ პრობლემად რჩება მსჯავრდებულთა დასაქმების საკითხი. თუმცა, დაწესებულების ტერიტორიაზე განლაგებულია კეთილმონყობილი სამკერვალო ობიექტი, თეჯის დამზადების საამქრო და ყვავილების სათბური, რომლებშიც შესაძლებელია მსჯავრდებულების დასაქმება. დაუსაქმებლობის მიზეზია ფინანსების და შეკვეთების არარსებობა. მსჯავრდებულ ქალთა უმეტესობა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა მათ შესაძლებლობას მისცემს, მიიღონ შემოსავალი და შეიძინონ პირველადი მოხმარების საგნები.

შრომა არის სასარგებლო გამოცდილების შექმნის ან კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება, რომელიც გათავისუფლების შემდეგ მისცემს კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას. სასარგებლო ხელობის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს ქალის დასაქმებას, რადგან ქალი, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. სასჯელალსრულების დაწესებულება ხელს უნდა უწყობდეს ადაპტაციას და შემდგომ, სასჯელმოხდელის ჩართვას ნორმალურ ცხოვრებაში.

გადაუჭრელ პრობლემად რჩება გათავისუფლებულების დასაქმების საკითხი და საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობდა განმეორებითი დანაშაულის შემცირებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (მსწ) პრინციპებში იგულისხმება პატიმრობისათვის დამახასიათებელი განსაცდელის მინიმუმამდე დაყვანა, პატიმართა ნახალისება გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილი და მატერიალურად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, საზოგადოებაში თანდათანობით დაბრუნების პროცესის შემსუბუქება და სხვა.

რეკომენდაციები:

- გათვალისწინებულ იქნეს სასჯელალსრულებით დაწესებულებაში შექმნილი ვითარება და იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრდებული აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფილ იქნეს მისი კანონით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლება.

ადამიანის ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მწვავე პრობლემად რჩება საერთაშორისო თანამეგობრობისათვის. ყოველ წელს მატულობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით. ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ემყარება სამ ძირითად მიმართულებას: ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და ტრეფიკინგის ჩამდენ პირთა (ტრეფიკიორთა) სისხლისსამართლებრივი დევნა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სამივე მიმართულებით, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში დადებითად იქნა შეფასებული.

2004 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა დამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა საქართველოს ეროვნულ უშიშროების საბჭოსთან არსებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია.

2006 წლის 1 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის №534 ბრძანებულებით დამტკიცდა მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დებულება და შემადგენლობა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ანტი-ტრეფიკინგულ ღონისძიებებს და სამთავრობო სტრუქტურ-

რებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნას.

2005-2006 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შესწავლამ ცხადყო, რომ თავისი ქმედითუნარიანობის მიუხედავად, გეგმის მიმართ არსებობს შენიშვნები, რომლებიც შეეხება როგორც გეგმის სრულყოფილ განხორციელებას, ასევე გეგმის შემსრულებელ სტრუქტურათა შორის ფუნქციების სწორად და მიზანმიმართულად განსაზღვრას.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გასატარ-



რებლად მნიშვნელოვანია არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რაც გულისხმობს ადამიანის ტრეფიკინგთან ბრძოლის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნას და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის გარდა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, 2006 წლის 25 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სხვადასხვა კანონებში, მათ შორის სისხლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და შრომის კანონთა კოდექსებში, ემიგრაციისა და იმიგრაციის კანონებში. ცვლილებების მთავარი მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომლებიც ეფექტიანი იქნება და ხელს შეუწყობს საქართველოში აღნიშნული დანაშაულის გამოვლენას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაცვას საზღვარგარეთ.

სამწუხაროდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით არ იქნა მიღებული ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობს მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტების შემუშავებას, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს სხვადასხვა ფირმის მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლების, საშუაშავლო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიებს.

რაც შეეხება ადამიანის ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების პროცესში შესრულების და პროკურატურის თანამშრომელთა ქცევის ნესების შემუშავებასა და დანერგვას, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ შემუშავებული „პოლიციის ეთიკის“ და „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის“ კოდექსები ზოგადად განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს ზემოაღნიშნული დანესებულებების თანამშრომლებს შორის ურთიერთობებს, განსაზღვრავს ქცევის ნესებს. ასევე, „პოლიციის ეთიკის“ კოდექსი განსაზღვრავს პოლიციის თანამშრომლების ურთიერთობას მოქალაქეებთან და ორგანიზაცია დენესებულებებთან და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ორივე კოდექსი არის ზოგადი და არ მოიცავს სპეციალურ მომენტებს, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება იყოს ან და ამ დანაშაულს უკავშირდებოდეს.

2006 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია.

საქართველოს გაფორმებული აქვს რეადმისიის თაობაზე ხელშეკრულებები იტალიასთან (1997), ბულგარეთთან (2002), უკრაინასთან (2004), შვეიცარიასთან (2005). მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულების გაფორმების მიზნით: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბენელუქსის ქვეყნების, ჩეხეთის რესპუბლიკის, სლოვენის რესპუბლიკის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობებთან.

რაც შეეხება მიმღებ ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულებების შემუშავებასა და ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისათვის ლეგალური შრომითი სამართლებრივი გარანტიების შექმნასა და მათ შორის სამუშაო ადგილების კვოტების გამოყოფას, გამოჩნდა, რომ აღნიშნული პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს, რადგან ქვეყნების უმრავლესობა არ გამოხატავს დაინტერესებას ამგვარი ხელშეკრულებების გაფორმებაზე. მხოლოდ იტალიასთან, როგორც მიმღებ ქვეყანასთან, შემუშავებულია და გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს მოქალაქეებისათვის ლეგალური შრომის სამართლებრივი გარანტიების შექმნისა და მათ შორის სამუშაო ადგილების კვოტების გამოყოფის შესახებ. ამავე საკითხზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროც, რომელმაც შეიმუშავა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ტიპური პროექტი „მიმღებ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისათვის ლეგალური შრომის სამართლებრივი გარანტიების შექმნის მიზნით“.

შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საკითხებზე საზოგადოების ოპერატიული ინფორმირების უზრუნველსაყოფად ყველა უფლებამოსილ სამინისტროში შექნილია და მოქმედებს „ცხელი ხაზი“. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით „ცხელი“ ხაზის ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

რაც შეეხება საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებათა დაგეგმვასა და ჩატარებას, ინფორმირებას საზღვარგარეთ მუშაობისა და სწავლის არსებული ლეგალური საშუალებების შესახებ, მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა რიგი ღონისძიებების. კერძოდ, 2006 წლის აგვისტოს გამოიცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის №209 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრის შესახებ“, რომლის თანახმადაც, საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირებს ევალებათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე სათანადო ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება ადგილსამყოფელ სახელმწიფოებში. გარდა ამისა, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები თუ საკონსულო დაწესებულებები, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტრო, მზადაა კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს მოქალაქეებს უცხო ქვეყანაში მათი ლეგალურად დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სხვა დანარჩენ უწყებებს, შს სამინისტროს განცხადებით, ისინი ჯერჯერობით მხოლოდ მზადყოფნას აცხადებენ ითანამშრომლონ განათლებისა და მეცნიერების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან აღნიშნული სტრატეგიის შესრულებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ გვანვდის ინფორმაციის აღნიშნული სტრატეგიის შესრულებისათვის განხორციელებულ საქმიანობათა შესახებ.

ასევე, არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, საქართველოს საპასპორტო-სავიზო სამსახურებში, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებსა და საკონსულო დაწესებულებებში რიგდება საინფორმაციო მასალა საზღვარგარეთ ლეგალური მუშაობის და ტრეფიკინგის თავიდან აცილების შესახებ. სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა სპეციალური ტრენინგები ჩაუტარეს მოსამართლეებს, საქართველოს გენერალური პროკურატურის, შს სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დაპარტამენტის და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს.

როდესაც ვსაუბრობთ არალეგალური შრომითი მიგრაციის და ტრეფიკინგის რისკის შემცირებაზე და ამასთან შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაზე, ხაზი უნდა გაუსვათ ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებას სასკოლო პროგრამებში, შესაბამისი პროფილის პედაგოგების მომზადება/გადამზადებას და აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

2005-2006 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შერჩეულ იქნა 100 საპილოტო სკოლა, სადაც I, VII და X კლასებში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ახალი სასწავლო პროგრამით. პარალელურად, მიმდინარეობდა ყველა საგნის, მათ შორის სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ტრენინგიც.

2006-2007 სასწავლო წლიდან, აღნიშნული პროგრამის დანეგვა დაიწყო საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაში. ასევე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები მეტად მკაფიოდ არის ასახული VIII კლასის (ისტორია, გეოგრაფიის სტანდარტში), IX კლასის (გეოგრაფიის სტანდარტში) და X-XI კლასების (სამოქალაქო განათლების სტანდარტში).

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის მამულებების შეფასებისთვის დღემდე არ მოხდა არალეგალური შრომითი მიგრაცია



ციის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებებზე დამნაშევე პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზის (საინფორმაციო სამსახურის) ფორმირება, არ არის დასრულებული საინფორმაციო ბაზის შექმნისა და გამოყენების წესისა და პირობების შემუშავება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. რაც გულისხმობს ამ ამოცანის გადაჭრაზე პასუხისმგებელ უწყებების სუსტ ძალისხმევაზე.

ტრეფიკინგის ტრანსნაციონალური ბუნების გათვალისწინებით, ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანია ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემის შემუშავება, ამ ქვეყნებთან რეგულარული კონტაქტების და თანამშრომლობის გაღრმავება, ტრეფიკინგის ფაქტების თავიდან აცილების, მსხვერპლთა წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების და მათი უსაფთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებები ინფორმაციის გაცვლის მიზნით, მართავენ შეხვედრებს ადგილსამყოფელი ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებთან (ხშირ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან) და შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შექმნას, რომლის მიზანია უზრუნველყოს კომპენსაცია ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და დააფინანსოს მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები.

2006 წლის 18 ივლისს პრეზიდენტის №437 ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო ფონდის დებულება. სახელმწიფო ფონდის საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელმაც ამ წელს უკვე გამოყო სახელმწიფო ფონდისათვის 100 000 ლარი. 2006 წლის 20 ივლისიდან ფუნქციონირებს თავშესაფარი ბათუმში, რაც შესაძლებელი გახდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ფინანსური დახმარებითა და სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით.

ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე შესაბამის სუბიექტთა ეფექტურ თანამშრომლობას, დამტკიცებულ იქნა საკოორდინაციო საბჭოს პირველ შეხვედრაზე (2006 წლის 20 ნოემბერი).

ეროვნული რეფერალური მექანიზმი შედგება სამი ნაწილისგან :

1. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიკაცია და მისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება.
2. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა.
3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია

2006 წლის მეორე ნახევარში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ამოქმედდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქო-სამედიცინო დახმარების პროგრამა, რომლის მიზანია ტრეფიკინგის (ადამიანით ვაჭრობის) იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა საჭირო სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით უზრუნველყოფა. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20 ათას ლარს. სამედიცინო დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ღირებულების დასაფარად დაწესებული ლიმიტი ერთ ბენეფიციარზე განისაზღვრა არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, რომელიც ასევე შეიძლება გაიხარჯოს თანადაფინანსების გზით.

ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელსაც მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი და რომელმაც განიცადა მორალური და მატერიალური ზიანი ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად, უფლებამოსილია მიიღოს

კომპენსაცია (1000 ლარის ოდენობით) სახელმწიფო ფონდიდან. კომპენსაციის გადახდა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე.

არასრულწლოვანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) უდიდეს პრობლემად რჩება მსოფლიოში და უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს. საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლ და პოტენციური მსხვერპლ ბავშვთა კატეგორია არსებობს. ესენი არიან: ობოლი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, მრავალშვილიანი ან მარტოხელა მშობლების ბავშვები; ბავშვები, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ სამუშაოდ მიდიან და ხშირად თავადაც ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებიან, უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები. ბავშვთა უფლებების დამცავ ორგანიზაციების მონაცემებით, სწორედ ასეთი ბავშვები ხდებიან ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მზარდი ტრეფიკინგის მსხვერპლი. ისინი ფართოდ არიან ჩართული მათხოვროვაში, წვრილმანი ნივთებით ვაჭრობაში, პორნოგრაფიული მასალის წარმოებასა და პროსტიტუციაში, ასევე შინამოსამსახურეობაში, ნარკოტიკების ვაჭრობასა და სხვადასხვა კრიმინალურ თუ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ისინი არათუ დაცულნი არ არიან სახელმწიფოს მიერ, მათი მდგომარეობის შესახებ მიახლოებითი ლეგალური სტატისტიკაც კი არ არსებობს. აუცილებელია, ბავშვთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების კვლევა. ასევე გასატარებელია რიგი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტულად ბავშვების ინტერესების დასაცავად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმოადგენს რა, მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალურ ორგანოს, წარმართავს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციასა და ბავშვთა მიტოვების პრევენციას, რომელთა უშუალო განმასხვრცილებლები სოციალური მუშაკები არიან. სწორედ ამ ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით, სოციალურ მუშაკებს უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგები. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ახორციელებს ქვეყანათაშორისი გაშვილების პროცედურებს, აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგის სამსახურთან. ამგვარი მჭიდრო თანამშრომლობა შესაძლებლობას მისცემს მეტად ეფექტურად გააკონტროლონ ქვეყანათაშორის გაშვილებას დაქვემდებარებული, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების გასვლა ქვეყნის გარეთ. ასევე, გამოავლინონ ის არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომელთაც ამ პროცესში ჩართვით, შეიძლება გაუჩნდეთ რაიმე სახის დაინტერესება.

შემუშავებულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა. საკოორდინაციო საბჭომ მოინონა 2006 წლის 22 დეკემბრის შეხვედრაზე გეგმის პროექტი. შესაბამისად, პროექტი წარედგინა პრეზიდენტს დასამტკიცებლად.

ასევე, გვიანდა ავლნიშნოთ, რომ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე საკოორდინაციო საბჭოს მიერ უნდა დადგინდეს მკაცრი კონტროლი, მოცემულ სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. უნდა გაძლიერდეს კოორდინაცია აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებს შორის.

აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მსხვერპლთან მუშაობენ. რაც შესაძლებელს გახდის ტრეფიკინგის სიტუაციის უფრო ზუსტ შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმასხვრცილებელმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ პერიოდულად (3 თვეში ერთხელ) გადაამუშავოს სამოქმედო გეგმა უკვე ჩატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით და მისი ოპტიმიზაციის მიზნით.



რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ეროვნული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისაკენ. აქცენტი უნდა გაკეთდეს დასაქმების პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი შრომის ბაზრის დაცვისა და სამუშაოს მაძიებელი ემიგრანტების რიცხვის შეზღუდვისაკენ;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუნწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ამ პრობლემაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაკეთდეს ინფორმაციის გავრცელებაზე საქართველოს რეგიონებში;
3. საკოორდინაციო საბჭომ და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა ერთობლივად შეიმუშაონ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩატარების მეთოდები და განსაზღვრონ შეფასების კრიტერიუმები;
4. საკოორდინაციო საბჭომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და მათ ჩაბმას მონიტორინგის პროცესში.

ჯ.ჯ.-ს და ო.შ.-ს საქმე

2007 წლის 8 იანვარს, სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა მოქალაქე, რომელმაც შეატყობინა, რომ სიღნაღის რაიონში, სოფ. მილორში (ალაზნის ველი) მისი მეგობარი მეუღლით და მცირეწლოვანი ბავშვით ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო. როგორც მოქალაქე აღნიშნავდა, მისი დახმარებით, 2007 წლის 4 იანვარს, მათ შეძლეს გამოპარვა სოფ. მილოროდან და ლაგოდეხში, ნაქირავებ ბინაში დაბინავება. სახალხო დამცველის წარმომადგენლები ჩავიდნენ ლაგოდეხში, საიდანაც დაზარალებულები წამოიყვანეს.

მსხვერპლთა იდენტიფიკაცია მოხდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის ზოგადი წესების (კითხვარის) და სტანდარტების შესაბამისად. მიღებული ინფორმაცია წარედგინა უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებულ მუდმივმოქმედ ჯგუფს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მსხვერპლთათვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

სტატუსის მინიჭების შემდგომ მსხვერპლნი გაგზავნილ იყვნენ თავშესაფარში, მიეცათ უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი, საკვები და ტანსაცმელი, ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება. ასევე მათ გაუწიეს როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სამართლებრივ დახმარება.

2007 წლის 9 იანვარს საქართველოს „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის (გ) ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალები გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგომი რეაგირებისათვის.

2007 წლის 11 იანვარს საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №090070041 საქმეზე, მოქალაქე ჯ.ჯ.-სა და მოქალაქე ო.შ.-ის მიმართ განხორციელებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2006 წლის სტატისტიკური მონაცემები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან დაკავშირებით

143 ¹ და 143 ²	2006
გამოძიება დაიწყო	27 სსს
ბრალდება წარედგინა	15 პირს 13 სსს-ზე
ალკვეთი ღონისძიება შესწავრა	15 პირს 13 სსს-ზე
წარედგინა სასამართლოს	13 სსს 16 პირის მიმართ
განაჩენი დადგა	16 სსს-ზე 19 პირის მიმართ

სისხლის სამართლის საქმეები ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებით, რომელზეც 2006 წელს დადგა განაჩენი:

1. 2005 წლის 19 მაისს საქართველოს შსს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №1 რეგიონალური სამმართველოს საგამოძიებო-ოპერატიულ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება ლ.ქ.-ს მიმართ განხორციელებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ თამარ ქარჩავამ უმუშევრად დარჩენილ ლ.ქ.-ს შესთავაზა თურქეთის რესპუბლიკაში მიმტანად მუშაობა, ყალბი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით გადაიყვანა საზღვარზე და ქ. ტრაპიზონში ჩასვლისას თ. ქარჩავამ ლ.ქ.-ს განუმარტა, რომ ბინის დაქირავებაში ბინის მეპატრონეს (ლ.ქ. ქირით ცხოვრობდა ნინო გაბისკირიასთან) გადაუხადა 1000 აშშ დოლარი. რის შემდეგ თ.ქარჩავამ ლ.ქ.-ს ჩამოართვა ყალბი პასპორტი და უწევდა სექსუალურ ექსპლუატაციას. მოქალაქე ლ.ქ. დაკავებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკაში პასპორტის უქონლობის გამო და დეპორტირებულ იქნა საქართველოში.

თ. ქარჩავა მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და 2006 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ თ. ქარჩავას მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. 2005 წლის 11 იანვარს თელავის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე უმუზახრატ ბლუიშვილის მიმართ, რ.ბ.-ს გაყიდვის ფაქტზე. მოგვიანებით საქმე ქვემდებარეობის მიხედვით გამოსაძიებლად გადაეგზავნა საქართველოს შსს თელავის სამმართველოს.

საქმეზე წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ უმუზახრატ ბრუიშვილმა და საიდა ათაევამ მოქალაქე რ.ბ. მოტყუებით წაიყვანეს თურქეთის რესპუბლიკაში, მეძავედ გაყიდეს თურქეთის მოქალაქეზე და ათი დღის განმავლობაში ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ აიძულებდნენ გაენია სექსუალური მომსახურება მამაკაცებისთვის. ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონის დახმარებით იგი საქართველოში დაბრუნდა.

უ. ბრუიშვილი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და 2006 წლის 29 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ხოლო, უზენაესმა სასამართლომ გასაჩივრებელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

3. 2005 წლის 8 იანვარს საქართველოს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე თამილა ლაფაჩის და მერაბ ბალაძის მიმართ, ადამიანით ვაჭრობის ფაქტზე.



საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ მ.ბალაძემ მოტყუებით, სამუშაოს შოვნის დაპირებით მოქალაქეები ე.გ., მ.გ., ლ.ჩ. და ნ.შ. გააგზავნა თურქეთის რესპუბლიკის ქ. გებზეში, სადაც მათ დახვდათ თ.ლაფაჩი. თამილა ლაფაჩმა მათ წაართვა საზღვარგარეთის პასპორტები, გარკვეული თანხის საფასურად მიყიდა თურქეთის მოქალაქეს, რომელთან ერთადაც აიძულებდა ე.გ.-ს, მ.გ.-ს, ლ.ჩ. და ნ.შ.-ს სქესობრივი კავშირის დამყარებას სხვადასხვა პირებთან. ერთ-ერთმა მსხვერპლმა აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობა თავის მეგობარს და მისი დახმარებით შეძლო საქართველოში დაბრუნება. გარკვეული პერიოდის შემდეგ დარჩენილებს დაუბრუნეს საზღვარგარეთის პასპორტები და საქართველოში დააბრუნეს.

თ. ლაფაჩი დაკავებულ იქნა საზღვრის უკანონო გადმოკვეთისას და მიცემულ იქნა პასუხისმგებში ბრალდებულის სახით. ასევე სს საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სს საქმე მიმალვაში მყოფი მ. ბალაძის მიმართ და გამოცხადდა ძებნა.

2005 წლის 15 ნოემბერს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ თ.ლაფაჩს განუსაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუცა სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის ზომა შემცირდა 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. კერძოდ, სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ თ. ლაფაჩი არ ყოფილა ადრე წასამართლავი, არის სრულიად ახალგაზრდა, შეურიგდა დაზარალებულებს და აანაზღაურა მიყენებული ზიანი. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, 2006 წლის 7 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე თ. ლაფაჩის მიმართ და უცვლელად ძალაში დატოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი.

4. 2006 წლის 6 იანვარს საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, ს.ბ.-ს მიმართ განხორციელებულ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ მოქალაქე ს.ბ. იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქ. აგჩაგოჯაში, როდესაც გამოძიებით დაუდგენელი გარიგების შედეგად ნაზირა გოჯაევამ იგი მიიყვანა საკურორტო ზონაში მდებარე კოტეჯში, სადაც ჩაკეტა ს.ბ., გამოართვა პასპორტი, აღუკვეთა თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა და 16 დღის განმავლობაში აიძულებდა ს.ბ.-ს სექსუალური მომსახურება გაენია მამაკაცებისთვის.

ნ. გოჯაევა მიცემულ იქნა პასუხისმგებში ბრალდებულის სახით და 2006 წლის 20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

5. 2005 წლის 28 სექტემბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მეხუთე სამმართველოში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე მარიამ ალფაიდის მიმართ, თ.გ.-ს და ნ.დ.-ს მიმართ განხორციელებულ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე. 2006 წლის 6 ოქტომბერს კი საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, ც.ჯ.-ს მიმართ განხორციელებულ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე. ხოლო შემდეგში საქმე ქვემდებარეობით გადაეგზავნა საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მეხუთე სამმართველოს.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ მ. ალფაიდემ ზემოთ დასახელებული მოქალაქეები ცრუ დაპირებით სხვადასხვა დროს ჩაიყვანა თურქეთის რესპუბლიკაში და თურქეთის მოქალაქეს მიყიდა მათი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით.

მ. ალფაიდე მიცემულ იქნა პასუხისმგებში ბრალდებულის სახით და 2006 წლის 29 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

6. 2006 წლის 20 აპრილს საქართველოს შსს თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოში დაინყო გამოძიება სს საქმეზე ზაზა მეტრეველის მიმართ.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ზ. მეტრეველმა განიზრახა თავისი მეუღლის ნ.კ.-ს სექსუალური ექსპლუატაციით ერჩინა ოჯახი. მან თავისი მეუღლე შვილების წართმევის მუქარით აიძულა სექსუალური მომსახურება გაენია მამაკაცებისთვის. ამავე დროს იგი თავის მეუღლეს სისტემატიურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ზ. მეტრეველი თან დაყვებოდა მეუღლეს, როგორც „სუტინიორი“ და ნ.კ.-ს სექსუალური ექსპლუატაციით მიღებულ თანხებს ისაკუთრებდა.

ზ. მეტრეველი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და 2006 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. 2004 წლის 19 აგვისტოს ბოლნისის რაიონულ პროკურატურაში აღიძრა სს საქმე ადამიანით ვაჭრობის ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ელნარა ხასმამედოვამ და მისმა დამ გულნარა ისკანდაროვამ გარიგების საფუძველზე საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში მოტყუებით წაიყვანა რ.ა. და არასრულწლოვნები – ა.პ. და გ.მ., სადაც მათ აიძულებდნენ სექსუალური მომსახურება გაენიათ მამაკაცებისთვის. რ.ა.-მ, ა.პ.-მ და გ.მ.-მ სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით შეძლეს საქართველოში დაბრუნება.

ე. ხასმამედოვას და გ.ისკანდაროვას დაუსწრებლად წარედგინათ ბრალდებები, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა და მათ მიმართ გამოცხადდა ძებნა.

ე. ხასმამედოვას ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მის მიმართ ცალკე წარმოებად გამოიყო სს საქმე. ხოლო, გ.ისკანდაროვა დაკავებულ იქნა ეჭვმიტანილის სახით, რის შემდეგ მას წარედგინა დამატებითი ბრალდება.

2006 წლის 20 ივნისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ გ. ისკანდაროვას მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრების შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

8. 2004 წლის 18 მაისს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მეორე სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ზოია ალოიანის და მარინა ხატიაშვილის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ყალბი პასპორტების დამზადებისა და საქართველოს საზღვის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ზ. ალოიანმა, მ. ხატიაშვილმა და მაია ალოევამ შექმნეს ორგანიზებული ჯგუფი ადამიანით ვაჭრობის განზრახვით. მათ გაყალბებული პასპორტების მეშვეობით ნ.ხ. და თ.პ. წაიყვანეს ქ.ერევანში, სომხეთის რესპუბლიკაში, შემდეგ კი ქ. დუბაიში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში. დუბაის აეროპორტში მათ ყალბი მონაცემები აღმოუჩინეს პასპორტებში, ნ.ხ. და თ.პ. დეპორტირებულ იქნენ საქართველოში.

ზ. ალოიანი და მ. ხატიაშვილი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. ასევე სს საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სს საქმე მიმალვაში მყოფი მ.ხატიაშვილის მიმართ და გამოცხადდა ძებნა.

2006 წლის 12 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ზ. ალოიანი და მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა.



9. 2004 წლის 10 ივნისს საქართველოს შსს თბილისის სამმართველოში აღიძრა სს საქმე, ხვიჩა ყირიმელის მიერ თ.კ.-ს და ი.ბ.-ს გაყიდვის ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ხ.ყირიმელმა თურქეთის მოქალაქეებთან ორგანიზებული ჯგუფი შექმნა ადამიანით ვაჭრობის განზრახვით. მან თავისი მოკავშირეებისგან აიღო 3000 აშშ დოლარი და ამის სანაცვლოდ უნდა ჩაეყვანა რამდენიმე ახალგაზრდა გოგონა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. ხ.ყირიმელმა სამუშაოს შოვნის დაპირებით გადაიყვანა თ.კ. და ი.ბ. თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც მათ ჩამოართვეს პასპორტები და აიძულებდნენ სქესობრივი კავშირი დაემყარებინათ მამაკაცებთან. ორი კვირის შემდეგ თ.კ.-მ და ი.ბ.-მ შეძლეს გაქცევა, სამართალდამცავებთან დაკავშირება და საქართველოში დაბრუნება.

ხ. ყირიმელი დაუსწრებლად იქნა პასუხისგებაში მიცემული ბრალდებულის სახით. ხოლო, ათ დღეში იგი დაკავებულ იქნა, წაეყვანა ბრალდება და აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლომ ხ.ყირიმელი დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

10. 2004 წლის 23 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შსს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში აღიძრა სს საქმე, მამუკა მიქელაძის მიმართ.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ მ. მიქელაძემ და ზინაიდა დარჩიძემ გულით ავადმყოფი ი.ა. თითქოსდა ოპერაციის გაკეთების მიზნით წაიყვანეს თურქეთის რესპუბლიკაში. მათ ი.ა.-ს ჩამოართვეს პასპორტი და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით მიყიდეს თურქ მამაკაცს. ერთი თვის შემდეგ ი.ა.-მ მოახერხა გაქცევა და საქართველოში დაბრუნება.

აღნიშნული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სს საქმე ზ. დარჩიძის მიმართ, ზ. დარჩიძე დაკავებულ იქნა და მის მიმართ საქმეზე განახლდა წინასწარი გამოძიება.

2006 წლის 10 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო მ. მიქელაძე და ზ. დარჩიძე. მ. მიქელაძეს მიესაჯა 11 წლით, ხოლო ზ. დარჩიძეს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

11. 2006 წლის 26 ივნისს საქართველოს შსს თელავის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, ლალი ძამუკაშვილის მიმართ.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.ძამუკაშვილმა თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიიდან მოტყუებით ქ.თელავში წაიყვანა მოქალაქე ა.დ., რომელსაც დაპირდა, რომ გარკვეულ საოფისე საქმიანობაში დახმარებისათვის მისცემდა ანაზღაურებას. ქ. თელავში ჩასვლის შემდეგ აიძულებდა სქესობრივი კავშირი დაემყარებინა ე.წ. „კლიენტებთან“, მიღებულ ანაზღაურებას კი თავად იღებდა. ა.დ.-მ მოახერხა თავის დაღწევა და დახმარებისათვის პოლიციას მიმართა.

ლ. ძამუკაშვილს წარედგინა ბრალდება და თელავის რაიონული სასამართლოს მიერ აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

2006 წლის 10 ნოემბერს ლ.ძამუკაშვილს თელავის რაიონულმა სასამართლომ მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

12. 2005 წლის 14 ივლისს საქართველოს შსს გორის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, ნანა ცხადაძის მიმართ.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ცხადაძე დაუკავშირდა ნათელა მარკიზაშვილს და დახმარება სთხოვა თავისი ახალშობილი ბავშვის გაყიდვაში. ნ. მარკიზაშვილმა ბავშვი ჩააბარა თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს ყოფილ თანამშრომელს ნათელა ბიბილაშვილს 850 აშშ დოლარად. აქედან 800 აშშ დოლარი გადასცა ნ. ცხადაძეს.

2005 წლის 14 ივლისს ნ. ცხადაძე ბრალის აღიარებით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოებში. იმავე დღეს ნ. ცხადაძე დაკავებულ იქნა და წარედგინა ბრალი, რის შემდეგ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ორ თვეში დაკავებულ იქნა ნ.მარკიზაშვილი, მას წარედგინა ბრალი და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

2006 წლის 20 ნოემბერს გორის რაიონულ სასამართლომ ნ. ცხადაძეს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ნ. მარკიზაშვილს და ბიბლაშვილს – 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

13. 2005 წლის 19 ნოემბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მეხუთე სამმართველოში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, ა.ლ.-ს და ბ.გ.-ს მიმართ განხორციელებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ინგა მაისურაძე ა.ლ.-ს და ბ.გ.-ს წაიყვანა თურქეთის რესპუბლიკის ქ.ანკარაში, სადაც საცხოვრებლად უვარგის ერთოთახიან ბინაში გამოკეტა. ი. მაისურაძე ძალადობით, საკუთარი გამორჩენის მიზნით, ეწეოდა მათ სექსუალურ ექსპლუატაციას. ი. მაისურაძემ, ყალბი პასპორტის გამოყენებით, არაერთხელ უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

ი. მაისურაძეს წარედგინა ბრალი და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ი.მაისურაძე დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ 2006 წლის 8 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

14. 2006 წლის 26 მაისს საქართველოს შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, უზბეკეთის მოქალაქის დ.რ.-ს მიმართ განხორციელებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტზე.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ დ.რ.-მ უზბეკეთში გაიცნო ვინმე „ნარგიზა“, რომელიც დაპირდა ქ. დუბაიში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, სალონის სტილისტად მუშაობას. დ.რ. ჩამოვიდა საქართველოში, თბილისში, სადაც მას დახვდა ვინმე „მარინა“. ორი კვირის შემდეგ „მარინას“ მეუღლემ დ.რ. კიდევ ორ სხვა გოგონასთან ერთად წაიყვანა აეროპორტში და ჩასვა ქ. დუბაის თვითმფრინავში, სადაც უცნობმა პიროვნებამ ჩამოართვა მათი კუთვნილი პასპორტები და გადასცა საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტები.

დ.რ.-ს ქ. დუბაიში დახვდა „მარინა“ და უცნობი ქალი, რომლებმაც იგი მიიყვანეს ვინმე „სამირასთან“, რომელმაც წაიყვანა ქ. სარჯაში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, ჩაკეტა და ნელინადნახევრის განმავლობაში ეწეოდა მის სექსუალურ ექსპლუატაციას. დ.რ.-ს არ ჰქონდა



თავისუფალი გადაადგილების და ახლობელთან დაკავშირების შესაძლებლობა. დ.რ.-მ ვინმე იასირ მალიქის დახმარებით შეძლო სექსუალური ძალადობისაგან თავის დაღწევა. ორი თვის შემდეგ იგი პოლიციის თანამშრომლებმა პასპორტის უქონლობის გამო დააკავეს; დ.რ. დეპორტირებულ იქნა საქართველოში. გამოძიებით დადგინდა, რომ „მარინა“ არის მარინა ოგანესიანი, რომელმაც გადაიკეთა გვარი და ამჟამად ჩხიკვაძის გვარით სარგებლობს.

2006 წლის 12 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მ. ჩხიკვაძე დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

15. 2005 წლის 17 თებერვალს საქართველოს სსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, ნანა ვერძაძის მიმართ.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ვერძაძემ, სამუშაოს შოვნის დაპირებით, თ.დ. ჩაიყვანა თურქეთის რესპუბლიკაში და 1200 აშშ დოლარად მიყიდა თურქ მამაკაცს მისი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. გარკვეული პერიოდის შემდეგ თ.დ.-მ მოახერხა გაქცევა და საქართველოში დაბრუნება.

ნ. ვერძაძე დაკავებულ იქნა, ბრალდებულად ცნეს და აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდეს პატიმრობა.

2006 წლის 25 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით სსკ-ის 253-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რომელიც გულისხმობს პროსტიტუციაში ჩაბმას ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, 2006 წლის 13 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ვერძაძეს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

2006 წლის 13 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რომელიც წარმოადგენს უკვე არსებული საერთაშორისო დოკუმენტების სინთეზს და წევრი სახელმწიფოებისთვის მთელ რიგ პოზიტიურ ვალდებულებებს ითვალისწინებს. კონვენცია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც 20 წევრი ქვეყნის მიერ მოხდება მისი რატიფიკაცია. კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების პროცესს თვალყურს მიადევნებს შშმ პირების უფლებების კომიტეტი, რომლის წინაშეც წევრი სახელმწიფოები ანგარიშვალდებულნი იქნებიან.

საქართველოს მიერ რატიფიცირებული ევროპის სოციალური ქარტიის მე-15 მუხლი ეძღვნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

ევროსაბჭოს 2006 წლის 5 აპრილის (2006)5 რეკომენდაციით მიღებულია სამოქმედო გეგმა შშმ პირების უფლებებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ზომების მიღებას 2006-2015 წლებში ევროპაში შშმ პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოყალიბებულია ის

ძირითადი მიმართულებები, რომლებმაც უნდა მოიცვას შშმ პირების სოციალური დაცვისა და ინტეგრაციის საკითხები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, დღესდღეობით საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები ხშირად იგნორირებულია, რაც საგრძნობლად აფერხებს მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის პროცესს. შშმ პირებთან მიმართებაში ერთი შეხედვით პარადოქსულია, რომ მათი უფლებების ტოტალური დარღვევის ფონზე ძალიან ცოტაა კონკრეტული საქმეები, რომლებიც შშმ პირების უფლებებს ეხება. თავად ეს ადამიანები სულ უფრო და უფრო იშვიათად მიმართავენ ამა თუ იმ უწყებას თავიანთი უფლებების დაცვის მოთხოვნით. ამგვარი აპათიის მთავარი მიზეზი მათი ფიზიკური და სოციალური იზოლაცია, უიმედობა და საზოგადოებისაგან სრული გარიყულობაა.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა

შპმ პირებთან მიმართებაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს კოორდინირებული და გრძელვადიანი პოლიტიკის არარსებობა, რის შედეგადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულ იზოლაციაში იმყოფებიან და ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯეროვანი მონაწილეობის მიღებას. იშვიათი გამონაკლისის გარდა, შპმ პირები მიჯაჭვულნი არიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს და არ აქვთ თავისუფლად გადაადგილებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის საშუალება.

ჩვენი აზრით, გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის რატიფიკაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ეს დოკუმენტი თავს უყრის ყველა იმ ასპექტს, რომელიც დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს შპმ პირებთან დაკავშირებით. შესაბამისად, გადავიღებთ ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას, რაც ასევე დაეხმარება სახელმწიფო უწყებებს, უკეთ დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა შპმ პირებთან მიმართებაში. ამ ტექსტის რატიფიკაციის შედეგად დასახელდება უწყება, რომელიც უზრუნველყოფს შპმ პირებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას და თვალყურს ადევნებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ ვალდებულებების შესრულებას ამ სფეროში.

ამგვარად, ხსენებული კონვენციის რატიფიკაცია, პირველ რიგში, გადაჭრის ორგანიზაციულ პრობლემებს და შედარებით ნაკლებად არის დაკავშირებული შპმ პირების ახალი უფლებების აღიარებასთან, რასაც შეიძლება გამოენჯია გარკვეული თავშეკავება სახელმწიფოს მხრიდან, გამომდინარე საქართველოს ფინანსური შესაძლებლობებიდან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ის უფლებები, რომლებსაც კონვენცია ითვალისწინებს, უკვე არის აღიარებული ქართულ კანონმდებლობაში, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა მაკოორდინირებელი და მაკონტროლებელი ორგანოს შექმნა ან დასახელება, შპმ პირებთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონვენციის უმთავრესი დანიშნულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ყველა სხვა ადამიანებთან თანასწორობის პრინციპის აღიარება და დამკვიდრებაა, რაზეც უარის თქმა ან თუნდაც გადადება, მით უმეტეს ფინანსური მოსაზრებებით, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მიუღებელი და დაუშვებელი უნდა იყოს.

გარდა ორგანიზაციული მხარისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონვენცია ხელს შეუწყობს შპმ პირების უფლებების საერთაშორისო სტანდარტების უკეთ გაგებას, შესაბამის ინტერპრეტაციას და ამ უფლებების ზუსტ განსაზღვრას ეროვნულ დონეზე.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეგვატყობინეს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართა მათ, შეისწავლონ კონვენციის ტექსტი და მიანოდონ საკუთარი დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა კონვენციის ქართული თარგმანი, რომელიც გადაეცემა როგორც ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს, ასევე ყველა დაინტერესებულ უწყებასა და ორგანიზაციას, რომლებმაც ინტერესი გამოთქვეს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. წინამდებარე ანგარიშს, დანართის სახით, ერთვის კონვენციის ქართული თარგმანი.

რეკომენდაცია: სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, უმოკლეს დროში უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურის დაწყება.

1.1. სტრატეგია

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, რომელიც ამჟამად მთავარი უწყებაა, რომლის კომპეტენციაშიც შპმ პირებთან დაკავშირებული საკითხები შედის, ისევ და ისევ არ

არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც ამ საკითხებს სათანადოდ მოაგვარებდა. როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნეთ, სამინისტროსთან შექმნილმა საკონსულტაციო საბჭომ, რომელსაც უნდა განესაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრატეგია და შემუშავებინა დებულება საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და ეროვნული საკოორდინაციო საბჭოსათვის, ან შეექმნა სხვა მაკოორდინირებელი ორგანო, ისე შეწყვიტა ფუნქციონირება, რომ მის საქმიანობას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. პრეზიდენტთან არსებული საბჭო არ გაუქმებულა, მაგრამ მის არსებობას სრულიად ფორმალური ხასიათი აქვს.

ამჟამად შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ჩანს, ჯანდაცვის სამინისტროს დარგობრივი პოლიტიკის შემუშავების სამმართველოს კომპეტენციაში შედის. როგორც სამმართველოს თანამშრომლებმა აგვისნეს, USAID-ის ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა სტრატეგია, რომლის წარდგენაც 2007 წლის ივლისში უნდა მოხდეს. თუმცა სახალხო დამცველმა ჯერ ვერ მოახერხა, გაცნობოდა ამ დოკუმენტს. შრომისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსის, ბატონი ცოტნე ბესელიას სახელზე გაგზავნილი წერილის პასუხად, რომელშიც შშმ პირებთან დაკავშირებული სტრატეგიის შემუშავების შესახებ ინფორმაციას ვითხოვდით, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა ლ. ფერაძემ მოგვწერა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მის სააგენტოს არ მოეპოვება. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა ვიკა ვასილევამ და ამავე დეპარტამენტის სოციალური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსმა, ბატონმა ცოტნე ბესელიამ, სახალხო დამცველისა და UNDP-ის წარმომადგენლებთან საუბრისას ასევე ვერ დაადასტურეს შშმ პირებთან დაკავშირებული სტრატეგიის არსებობა, თუმცა დაგვარწმუნეს, რომ ამ კუთხით მათ უწყებაში იგეგმებოდა მუშაობა და დარგობრივი პოლიტიკის შემუშავების სამმართველოს 2007 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული იყო ამ სტრატეგიის შემუშავება. ამ შეხვედრამდე იმავე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დარგობრივი პოლიტიკის შემუშავების სამმართველოს წარმომადგენელი, ბატონი ამირან დათიაშვილი ვრცლად გვესაუბრა უკვე შემუშავებულ სტრატეგიაზე, რომელიც ამჟამად უწყებრივი განხილვის სტადიაშია და დაგვარწმუნა, რომ მასში სრულადაა ასახული ყველა ის პრობლემა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებით არსებობს.

იმის გამო, რომ შშმ პირებთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის არსებობას ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მხოლოდ ზეპირ საუბარში ადასტურებენ, ხოლო წერილობით გვაცნობებენ, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ მოეპოვებათ, საბოლოოდ მაინც გაურკვეველია, არსებობს თუ არა მსგავსი დოკუმენტი ან მიმდინარეობს ან იგეგმება თუ არა მუშაობა მის შესაქმნელად.

ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის და შემდგომში, სავარაუდოდ, სამოქმედო გეგმის შემუშავება არ გახდეს საბაზი შშმ პირების მოთხოვნილებების იგნორირებისათვის, მით უმეტეს, რომ უკვე არსებული კანონმდებლობა, პირველ რიგში კი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საკმარის საფუძველს იძლევა სანყის ეტაპზე კონკრეტული ზომების გატარებისთვის ან სხვა უფრო სპეციფიკური ნორმატიული აქტების მიღებისთვის.

რეკომენდაცია: განახლდეს პრეზიდენტთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციისა და უწყებათშორისი თანამშრომლობის ორგანიზაციის თვალსაზრისით.



1.2. საკანონმდებლო ცვლილებები

2006 წლის 29 დეკემბერს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 2001 წლის 7 დეკემბრის კანონში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სულ მცირე 2007 წლის მარტამდე არცერთი ორგანო აღარაა უფლებამოსილი, ჩაატაროს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და დაადგინოს პირის შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხი. კანონის ახალი, მე-8 მუხლის მიხედვით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს ნაცვლად სამედიცინო-სოციალურ საკითხებზე დასკვნა გამოაქვთ სამედიცინო დაწესებულებებს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კანონი საგანგებოდ არ ითვალისწინებს ამ საკითხში კომპეტენტური სამედიცინო დაწესებულებების განსაზღვრას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კომპეტენტური დაწესებულებები განისაზღვრება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების პარალელურად. ფორმების დამტკიცება კი, კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უნდა მოხდეს 2007 წლის 1 მარტამდე.

ცვლილებების შედეგად დარჩა რამდენიმე თვიანი ვაკუუმი შეზღუდულობის ხარისხის დადგენის შესაძლებლობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, 2007 წლის 26 თებერვალს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა წარადგინა ზემოაღნიშნულ კანონში კიდევ ერთი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც უკვე დადგენილი შ/შ სტატუსის მოქმედება 1 მაისამდე გაგრძელდა. შესაბამისად, სულ მცირე ამ თარიღამდე არაა მოსალოდნელი აღნიშნული სტატუსის დადგენის ახალი ფორმების მიღება და ის პირები, რომელთაც ამჟამად არ აქვთ დადგენილი შ/შ სტატუსი, მოკლებულნი არიან ინვალიდობაზე დაფუძნებული პენსიის მიღების საშუალებას.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის ახალი რედაქცია აღარ ითვალისწინებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების ვალდებულებას. რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა განსაზღვრავდა პირის სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებებს. მომავალში აუცილებლად უნდა შემუშავდეს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შემცველი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შშმ პირის გამოძახების შესაძლებლობას გადამონმების მიზნით. ამასთან, იმავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „პირს, გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უჩერდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედება“. როდესაც საქმე გვაქვს შესაძლებლობაშეზღუდულ ადამიანთან, სხვადასხვა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მან შეიძლება ყოველთვის ვერ შეძლოს სააგენტოში გამოცხადება.

რეკომენდაცია:

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს სიტყვები „არასაპატიო მიზეზით“, დაზუსტდეს ვადები, რომლებშიც შშმ პირს უფლება აქვს, გადამონმებისთვის გამოცხადდეს სააგენტოში და მიეთითოს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში სააგენტოს თანამშრომლები თავად უნდა გამოცხადდნენ პირის საცხოვრებელ ადგილზე, როგორც ეს ხდება დაწესებულების მიერ შემონმების შემთხვევაში (46-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი).

მე-18 მუხლის ამოღების შედეგად, შრომითი დასახიჩრების იმ შემთხვევებში, როცა დაზარალებულს აღარ შეუძლია წინანდელი სამუშაოს შესრულება, დამსაქმებელი აღარაა ვალდებული, უზრუნველყოს მისი პროფესიული გადამზადება. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს შრომის უსაფრთხო პირობების განმსაზღვრელი არცერთი დოკუმენტი და ზემოაღნიშნული

ცვლილების შედეგად შრომითი დასახიროების შემთხვევაში დამსაქმებლის არანაირი ვალდებულება აღარ არსებობს, ნათელი ხდება, რამდენად დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან დასაქმებულები და რამდენად ბოროტად შეიძლება იქნეს გამოყენებული ეს გარემოება დამსაქმებელთა მხრიდან.

ქალბატონმა ვასილევამ და ბატონმა ბესელიამ, სახალხო დამცველისა და UNDP-ის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადეს, რომ მუშავდება პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს, შრომითი დასახიროების შემთხვევაში, დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოლაპარაკების საფუძველზე, ერთ-ჯერადი ან ყოველთვიური კომპენსაციის გაცემა.

რეკომენდაცია:

შრომითი დასახიროების შემთხვევებისათვის შეიქმნას დამსაქმებლის სრული ან ნაწილობრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მექანიზმი, რომელიც დამსაქმებელს დაავალდებულებს, იკისროს დასახიროებული პირის რეაბილიტაციასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები. ზემოხსენებული პროექტის შემუშავების ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა არა დამსაქმებლის შეხედულებისამებრ, არამედ დასახიროებულის მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს კომპენსაციის ოდენობის გადახედვის შესაძლებლობას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, თუ ეს გაუარესება დაკავშირებული იქნება იმავე ტრავმასთან, რამაც თავდაპირველი კომპენსაციის გაცემა გამოიწვია.

51-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითება, რომლის მიხედვითაც „გამონაკლის შემთხვევაში (შორეულ და ძნელად მისადგომ ადგილებში) სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ტარდება პირის დაუსწრებლად, მისი ან მისი წარმომადგენლის თანხმობით“, უნდა დაზუსტდეს. კერძოდ, უნდა მიეთითოს, რა დოკუმენტების საფუძველზე მოხდება დაუსწრებელი საექსპერტო დასკვნის მომზადება და რა ფორმებში უნდა გამოხატოს პირმა ან მისმა წარმომადგენელმა ამგვარი ექსპერტიზისადმი თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი გაურკვევლობა ბიუროკრატიული გართულებების წინაპირობა გახდება და შშმ პირების ინტერესები შეიძლება შეეჯახოს ადმინისტრაციის თვითნებობასა და ვოლუნტარიზმს.

რეკომენდაცია:

საკანონმდებლო ცვლილების ან კანონქვემდებარე ნორამტიული აქტის საფუძველზე დაზუსტდეს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი საექსპერტო დასკვნის მომზადების წესი და პროცედურები.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური უფლებები

2.1 სოციალური დაცვა

ფულადი დახმარებები და შეღავათები

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურად ეხმარებიან როგორც ფინანსებით /პენსია, დახმარება და სხვა/, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის, უზრუნველყოფენ ავტომობილებით, სავარძელ-ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალი-



ზაციით, აგრეთვე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.“

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამკურნალ-ნამლო, ტექნიკური და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურება ხორციელდება უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

შშმ პირების თქმით, მათთვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სიღარიბე და უმუშევრობა. 2006 წლამდე I ჯგუფის ინვალიდებს ეძლეოდათ 22 ლარიანი დახმარება. ასევე დანესებული იყო სოციალური შეღავათები, რომლებიც მოიცავდა კომუნალურ გადასახადებს და მუნიციპალურ ტრანსპორტში უფასოდ მგზავრობის უფლებას. 2006 წლიდან მოიხსნა სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანესებული სოციალური შეღავათები და მხოლოდ იმ შშმ პირებს, რომლებიც მოხვდებიან სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, დაენიშნებათ დახმარება. ამგვარად, შშმ პირთა სოციალური დაცვის სპეციალური პროგრამის განუახლებლობამ კიდევ უფრო გააუარესა მათი სოციალური მდგომარეობა.

გარდა ამისა, მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაფუძნებული დახმარებები, შშმ პირების შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის გათვალისწინებლად, ენიშნა შემდეგება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალურად შშმ პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებებისა და შეღავათების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხსა და პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ჯანდაცვა და რეაბილიტაცია

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მიხედვით:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფა ტექნიკური და სხვა საშუალებებით ხდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით.
2. თუ სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ მისცენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური ან სხვა საშუალებანი, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა იგი შეიძინეს საკუთარი სახსრებით, მათ ეძლევათ კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა ითვალისწინებს შშმ პირების საპროთეზო და დამხმარე საშუალებებით აღჭურვა-საც, თუმცა, როგორც სამინისტროში აგვისსნეს, სახელმწიფოს მხრიდან დამხმარე საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფა გათვალისწინებულია მხოლოდ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი შშმ პირებისათვის. დანარჩენებისთვის ამგვარი საშუალებების შეძენაზე კი თავად ოჯახებმა უნდა იზრუნონ; თუმცა ცხადია, რომ ყველა ის ოჯახი, რომელიც ვერ მოხვდა სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ვერ შეძლებს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს შშმ პირის დამხმარე საშუალებების შესყიდვა.

იგივე ეხება შშმ პირების უფასო ჯანდაცვის პოლისსაც. მხოლოდ ის პირები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგად 100 ათასზე ნაკლებ ქულას დააგროვებენ, უფასოდ იქნებიან უზრუნველყოფილი ჯანდაცვის პოლისით.

თავად შშმ პირების აზრით, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება მათ პრობლემებზე. სასურველია, ჯანდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინოს ეს მოთხოვნა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად სამკურნალო დაწესებულებების ოპტიმიზაციის გეგმაში განიხილოს ამგვარი ცენტრის დაარსების ან უკვე არსებულ დაწესებულებებში შესაბამისი განყოფილებების გახსნის საკითხიც.

შეზღუდვის ხარისხის შეფასებისათვის ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „ფუნქციონირების, უნარშეზღუდულობისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციის“ (ICF) სისტემის დანერგვა. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ICF კლასიფიკაციის შემოღების წინაპირობა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის არსებობაა. ამის გამო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებზე გადასვლა გაურკვეველი დროით გადაიდო.

რეკომენდაცია:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს შეღავათიანი სისტემა იმ შშმ პირების დამხმარე საშუალებებით აღჭურვისა და ჯანმრთელობის დაზღვევისთვის, რომლებიც ვერ მოხვდებიან ლატაკი ოჯახების მონაცემთა ბაზაში. ჩამოყალიბდეს შეზღუდვის ხარისხის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია.

2.2 დასაქმება

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად სახელმწიფომ შშმ პირებს უნდა შეუქმნას მათი შემოქმედებითი და სანარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის საჭირო პირობები. გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოსთვის ფინანსურადაც უფრო მომგებიანია, იზრუნოს შშმ პირების დასაქმებაზე და შესაბამისად, მათ ჩაბმაზე აქტიურ ცხოვრებაში, ვიდრე მათთვის სოციალური დახმარებების გაცემაზე. თავისთავად ცხადია, რომ უმთავრესი კრიტერიუმი და განმსაზღვრელი არის არა ფინანსური, არამედ სოციალური ინტეგრაცია, შშმ პირების მიერ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით შემუშავებულია იმ „დაავადებების, ანატომიური ან გონებრივი დეფექტების ნუსხა“, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაშვებულია შშმ პირთა სპეციალურ პირობებში შრომა (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N1/ნ).

შშმ პირები სხვებთან შედარებით მეტ სიძნელეებს აწყდებიან დასაქმებასთან დაკავშირებით. მათი უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია. ამის უპირველესი მიზეზი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ხელშეწყობის პირობებში ამ ადამიანების ნაწილის დასაქმება მაინც შესაძლებელი იქნება. სამწუხაროდ, 2007 წლისთვის შშმ პირების დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას არცერთი პროგრამა არ ითვალისწინებს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აგვისნესს, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები სავარაუდოდ ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციაში გადავა, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტროს ფარგლებში დასაქმებასთან დაკავშირებული პროგრამები აღარ შემუშავდება. აუცილებელია, უმოკლეს



დროში ზუსტად განისაზღვროს დასაქმების სფეროში კომპეტენტური ორგანო და შემუშავდეს შშმ პირების დასაქმების ხელშესაწყობი ღონისძიებების სქემა.

3. გარემო პირობებისა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ნორმალური ცხოვრების უმთავრეს ხელისშემშლელ გარემოებას მათ საჭიროებებზე მოურგებელი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარემო პირობების ადაპტაციას შშმ პირების ინტერესების შესაბამისად, ამ მხრივ დიდი ცვლილებები არ შეინიშნება. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შშმ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაადგილდნენ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათ გარიყულობას და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ამოვარდნას.

კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები

ევროპის სოციალური ქარტიის მე-15 მუხლის მე-3 თავი ითვალისწინებს წვერი სახელმწიფოების ვალდებულებას, ხელი შეუწყონ შშმ პირების სრულ სოციალურ ინტეგრაციასა და მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც, იმავე ტექსტის მიხედვით, მოიცავს კომუნიკაციისა და გადაადგილების სფეროში არსებული ბარიერების აღმოფხვრასა და ტრანსპორტითა და საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფას.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის II თავი მთლიანად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური ინფრასტრუქტურით შეუფერხებელი სარგებლობისათვის პირობების შექმნას შეეხება. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით „დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.“

მიუხედავად კანონის ამ მოთხოვნისა, უმეტეს შემთხვევაში ისევ არ ხდება შშმ პირების მოთხოვნილებების გათვალისწინება და ბოლო ხანებში აგებული შენობა-ნაგებობების უმრავლესობა არ არის ალჭურვილი შშმ პირების მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ქუჩებში არ არსებობს სპეციალური მონწყობილობები, რომლებიც შშმ პირებს დამოუკიდებლად გადაადგილების საშუალებას მისცემდა.

არ არსებობს რელიეფური გეგმები, რომელთა გამოყენებაც უსინათლოებს მისცემდა საშუალებას, დამოუკიდებლად გაეგნოთ გზა და გადაადგილებულიყვნენ ქალაქის თუ დასახლებული პუნქტის ქუჩებში. საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთი ხმოვანი შუქნიშანი დამონტაჟებულია ფონიჭალაში, მხედველობადაქვეითებულების კომპაქტური დასახლების ადგილას. როგორც საქართველოს უსინათლოთა კავშირში გვაცნობეს, მერიის მხრიდან არსებობდა დაპირება ათზე მეტ ხმოვან შუქნიშანზე. ამისთვის მერიის წარმომადგენლებმა თავად უსინათლოთა ასოციაციისგან მოითხოვეს სპეციალური შუქნიშნების განლაგების ყველაზე სასურველი გეგმის წარდგენა. ამგვარი გეგმის მომზადებისა და წარდგენის მიუხედავად ეს დანაპირები ჯერაც არ შესრულებულა.

ტროტუარებისა და შენობა-ნაგებობების უმრავლესობა ისევ არაა ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

არ არსებობს სპეციალური პანდუსები, ბრაილის შრიფტით ან შშმ პირთათვის სხვა ადვილად გასაგები ფორმით შესრულებული აბრები დაწესებულებების შესასვლელებთან. ხშირად იმ შენობებსაც კი, რომლებშიც შშმ პირთა ორგანიზაციებია განლაგებული, არ აქვს ლიფტები და გადაადგილების გამა-ადვილებელი სხვა საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შენობა, რომელშიც სახალხო დამცველის აპარატი განლაგებული, ასევე არ არის ადაპტირებული შშმ პირების გადაადგილებისათვის, რის გამოც ამ ადამიანებისაგან არაერთი საყვედური მიგვიღია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სახალხო დამცველი აღნიშნულ შენობას ქირაობს მწერალთა კავშირისგან, რომელსაც, თავის მხრივ, შენობის კუთვნილებაზე დავა აქვს კულტურის სამინისტროსთან, შენობის კუთვნილების საკითხების საბო-ლოო გარკვევამდე ჩვენი უწყება არ არის უფლებამოსილი, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს მისი ადაპტაციის საკითხები.

უსინათლოები გამოთქვამენ სურვილს, ავტობუსებს გვერდიდან, შესასვლელ კართან დიდი ციფრე-ბით დაენეროს ნომრები, რათა იმათთვის, ვისაც აქვს ნარჩენი მხედველობა, ავტობუსის ნომრის დადგენა სხვების დახმარების გარეშე გახდეს შესაძლებელი. უსინათლოებისთვის ტრანსპორტით დამოუკიდებლად სარგებლობისთვის ასევე აუცილებელია, სალონებში დამონტაჟდეს მარშრუტის და გაჩერებების ხმამაღლა გამოცხადების მონყობილობა.

მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების შემდგომი შესყიდვის პირობებში უნდა ჩაიდოს მოთ-ხოვნა, რომელიც გაითვალისწინებს მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვას, რომ-ლებიც სპეციალური ასასვლელებითაა ეკიპირებული. ამგვარად იმ შშმ პირებს, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან, საშუალება მიეცემათ, დაუბრკოლებლად და სხვის დაუხმარებლად ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა კონსტრუქციების ადაპტაცია შშმ პირებისათვის დაპროექტების სტადიაშივე მოხდეს. ამ შემთხვევაში ამგვარი ადაპტაცია არ იქნება დაკავშირებული რაიმე განსაკუთ-რებულ ხარჯებთან, რასაც ვერ ვიტყვით მათ შემდგომ გადაკეთებაზე.

სანქციები

როგორც წინა მოხსენებაში აღვნიშნეთ, კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის ერთ-ერთი მიზეზი სანქციების მექანიზმის არაეფექტურობაა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178¹ მუხლის მიხედვით შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება ისჯება 300-დან 500 ლარამდე ჯარიმით. იმავე კოდექსის 178² მუხლი ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნების გაუთვალისწინებლობისთვის 500-დან 800 ლარამდე ჯარიმას აწესებს. კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის მიხედვით კი 178¹-178² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

კანონის კონკრეტული მითითებების მიუხედავად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში ჯერაც ვერ დასახელდა ვერცერთი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ამ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენაში. შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სანქციები არასოდეს ყოფილა გამოყენებული. თუმცა, ყველა შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ 300-დან 800 ლარამდე ჯარიმა ეფექტური აღმოჩ-ნდეს, მით უმეტეს დიდმასშტაბიანი მშენებლობის დროს.



ამგვარად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოს დასახელების გარდა, სასურველია, დაწესდეს უფრო ეფექტური სანქციები შშმ პირების უფლებების დარღვევისათვის, რაც რეალურს გახდის ამ უფლებების განხორციელებას.

რეკომენდაცია:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 45-ე პუნქტის თანახმად, დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური სამსახური ან დაევალოს რომელიმე უკვე არსებულ ორგანოს იმავე კოდექსის 1781 და 1782 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციების შესრულება.

მომზადდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები შშმ პირისათვის კანონით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდებისთვის განსაზღვრული ჯარიმის გაზრდისა და განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევაში დამატებითი სანქციების დაწესების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიეთითოს, რომ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დაკისრებული ვალდებულებისაგან.

4. განათლების უფლება

ინკლუზიის პროგრამა

2006 წლის დეკემბრიდან განათლების სამინისტროში ხორციელდება 18-თვიანი საპილოტო პროგრამა განათლების სამინისტროსა და ნორვეგიის მთავრობის ერთობლივი დაფინანსებით, რომლის მიზანია თბილისის 10 სკოლაში ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა. სკოლები შერჩევა მოხდა, ერთის მხრივ, გეოგრაფიული კრიტერიუმით, ხოლო, მეორეს მხრივ, ბავშვების რაოდენობის მიხედვით (დიდკონტინგენტიანი სკოლები). პროგრამა ითვალისწინებს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ეტაპობრივ შეყვანას სკოლებში შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის მიხედვით.

პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- შერჩეული სკოლების ფიზიკური ადაპტაცია – პანდუსების დამონტაჟება, სველი წერტილების მოწყობა, სპეციალური სასკოლო ავტობუსებით მომსახურების დანერგვა;
- პედაგოგების გადამზადება – აქ იგულისხმება როგორც უკვე არსებული პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური პედაგოგის შტატის დამატება;
- ტრენინგები მშობლებთან – საგულისხმოა, რომ ტრენინგებს საჭიროებენ შშმ ბავშვების მშობლებიც, რომლებიც ხშირად არასწორად აღიქვამენ საკუთარი ბავშვის მდგომარეობას, რითაც თავისდა უნებურად ხელს უშლიან მათ ინკლუზიას.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება – ამისთვის მომზადდება სპეციალური სატელევიზიო პროგრამები, სარეკლამო რგოლი და ა.შ.
- პედაგოგებისთვის სახელმძღვანელო შექმნა რეკომენდაციებით იმის თაობაზე, როგორ უნდა წარიმართოს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობა და როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროგრამის ადაპტაცია ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.

პროგრამის ფარგლებში იმუშავებს მულტიდისციპლინარული საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს მიზანია, შეიმუშაოს ძირითადი მიმართულებები ინკლუზიური განათლების სფეროში, ჩამოაყალიბოს ინკლუზიური განათლების სახელმწიფო კონცეფცია.

საბჭოს გარდა შეიქმნა მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც კოორდინატორის გარდა შედიან ფსიქოლოგები, ლოგოპედები, ნევროლოგები, ოკუპაციური თერაპევტები. ეს გუნდი შეასრულებს მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციას. სწორედ ამ გუნდის კომპეტენცია იქნება ბავშვის ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვის გადანყვეტილების მიღება, მისთვის სკოლაში სიარულის ინტენსივობის განსაზღვრა და უფრო ზოგადად, პროგრამის შესრულების მეთვალყურეობა.

სმენა და მხედველობადაქვეითებული ბავშვების ინკლუზია

როგორც განათლების სამინისტროში გვაცნობეს, ზემოაღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს სმენა და მხედველობადაქვეითებული ბავშვების ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვას.

რაც შეეხება სმენადაქვეითებულ ბავშვებს, ამის მიზეზად სახელდება ის, რომ სურდოპედაგოგის სკოლის შტატში აყვანა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ხოლო რადგან განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ვაუჩერები არ ითვალისწინებს ზედმეტ ხარჯებს, ამისთვის სკოლას საკმაო სახსრები არ გააჩნია. ამ პედაგოგებს ამზადებს ყრუთა კავშირი და მხოლოდ ერთ სმენადაქვეითებულ ბავშვს, მე-60 სკოლაში, ჰყავს ასეთი პედაგოგი, რომლის ანაზღაურებაც უცხოური გრანტიდან ხდება. სასურველია, შემდგომში სახელმწიფომაც იზრუნოს სმენადაქვეითებული ბავშვების ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე, მით უმეტეს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ჟესტების ენის გამოყენებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ბავშვებისთვის დროდადრო იბეჭდება სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, თუ ამგვარი სახელმძღვანელოების გამოცემა უფრო რეგულარულ სახეს მიიღებს და ამას დაემატება სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ქართული ვერსიებიც, რომლებიც ბავშვებს საშუალებას მისცემს, სხვების მსგავსად ისარგებლონ თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სწავლების მეთოდებით.

ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის აუცილებელი ზომები

ეს პროგრამა წინგადადგმული ნაბიჯია ინკლუზიის სფეროში, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პროგრამა მხოლოდ წელიწადნახევარი გაგრძელდება და მხოლოდ თბილისის 10 სკოლას შეეხება. იმედს ვიტოვებთ, რომ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სახელმწიფო სტრატეგია გაითვალისწინებს უფრო ფართო და გრძელვადიან ღონისძიებებს ინკლუზიური განათლების თვალსაზრისით, რომლებიც მოიცავს მთელი საქართველოს ტერიტორიას.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა შეიქმნას განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვების იდენტიფიკაციის მექანიზმი და არა მარტო გარკვეული პროგრამების ფარგლებში, არამედ ნორმატიული აქტის სახით ჩამოყალიბებული. ასევე ნორმატიული აქტის სახე უნდა მიეცეს პედაგოგების გადამზადების პროცესის რეგულირებას. შედეგად უფრო გაადვილდება ადეკვატური სამოქმედო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ბავშვების განათლებასაც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოახერხებენ საერთო სასწავლო პროცესში ჩაბმას. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი ეხება სწორედ შშმ ბავშვთა შინ აღზრდასა და სწავლებას და ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო დანესებულებების დახმარებას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს მშობლის ან შემცველი პირის მატერიალური უზრუნველყოფა და შეღავათები, თუმცა დღესდღეობით მსგავსი ნორმატიული აქტი არ არსებობს.



ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ინკლუზიური განათლების ფარგლებში საერთოდ არ მოიაზრება პროფესიული განათლება, თუმცა შშმ პირის შემდგომი სოციალური ინტეგრაციისთვის ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს შშმ მოზარდებისთვის განკუთვნილი საშუალო-პროფესიული განათლების სისტემა, მოზარდის სურვილის და მისი შესაძლებლობების სრული გათვალისწინებით.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, სამინისტროში გვაცნობეს, რომ მიმდინარეობს საგამოცდო სისტემის განსხვავებული შესაძლებლობების მოზარდებისათვის ადაპტაცია. ამ მიზნით გამოცდებისა და შეფასების ცენტრი გამოყოფს შესაბამის სახსრებს. განათლების სამინისტროს ცნობით, ამჟამად ექვსი მხედველობადაქვეითებული მოზარდი იღებს უმაღლეს განათლებას. სასურველი იქნებოდა, თუ სმენადაქვეითებული მოზარდებისათვისაც შეიქმნებოდა უმაღლესი განათლების მიღებისათვის შესაბამისი პირობები.

5. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება

ინფორმაციის მისაწვდომობა

შშმ პირებისთვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც მოკლებულია საშუალებას, დამოუკიდებლად გადაადგილდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის დროულ მიღებას და საინფორმაციო საშუალებების მისაწვდომობას.

უსინათლოთა ასოციაციის დაკვეთით ითარგმნა სპეციალური ხმოვანი პროგრამა, რომელიც უსინათლოებს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ კომპიუტერით, ინტერნეტით, გაეცნონ გაზეთებს ან ელ-გამოცემებს. ამჟამად მიმდინარეობს ამ პროგრამის დახვეწა და ქართულ ენაზე ადაპტაცია. სასურველი იქნებოდა, ამ პროცესში სახელმწიფოსაც მიეღო მონაწილეობა, რაც პროგრამის ფართო მოხმარებაში დანერგვის პროცესს უფრო დააჩქარებდა.

უსინათლოები ასევე ჩივიან, რომ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ან ხმოვანი სახელმძღვანელოების გვერდით ხელი არ მიუწვდებათ სპეციალურ ლიტერატურაზე, როგორცაა საკანონმდებლო კრებულები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეკუთვნის, რომელმაც 40-იანი ტირაჟით გამოსცა ბრაილის შრიფტით შესრულებული საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

რაც შეეხება სმენადაქვეითებულ პირებს, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას, ტელევიზიის საშუალებით გაეცნონ ახალ ამბებს. სასურველი იქნებოდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა საინფორმაციო გამოშვება სურდო თარგმანით მომზადებულიყო, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა შესტების ენის დანერგვისა და გამოყენების ხელშეწყობაში.

სამოქალაქო უფლებების განხორციელება

შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ სამოქალაქო უფლებების განხორციელების უზრუნველყოფას. თავად შშმ პირების უმთავრესი მოთხოვნაა, რომ მათი წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განათლების სამინისტრო ცდილობს, შშმ ბავშვების წარმომადგენლები ჩართოს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე. ვიმედოვნებთ, რომ საერთო სტრატეგია შშმ პირებთან მიმართებაში გაითვალისწინებს ისეთი მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნას, რომელშიც შშმ პირებისა და მათი წარმომადგენლების აზრს სათანადო მნიშვნელობა მიენიჭება.

შპმ პირების ინტეგრაციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ საარჩევნო უფლების სრულყოფილად და მაქსიმალურად დამოუკიდებლად განხორციელებას. საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ავალდებულებს, მხედველობაშეზღუდული ამომრჩევლებისთვის უზრუნველყოს ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების შესაძლებლობა. ამ ვალდებულების მიუხედავად, 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები საკმარისი რაოდენობით არ მომზადებულა.

როგორც თავად შპმ პირები აღნიშნავენ, საზოგადოება ძირითადად კეთილგანწყობილია მათ მიმართ, თუმცა მოქალაქეების არაინფორმირებულობას და შპმ პირების პრობლემების გაუთვითცნობიერებას უნდა დავაბრალოთ ამ თანაგრძნობის ხშირად შემანუხებელ და შეურაცხმყოფელ ფორმებში გამოხატვა, რაც შპმ პირს საზოგადოებისგან გარიყულად აგრძნობინებს თავს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საინფორმაციო და განმანათლებელი ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც, ერთის მხრივ, დაეხმარება შპმ პირებს, საზოგადოების სრულყოფილ წევრებად იგრძნონ თავი და მეორეს მხრივ, მიაჩვევს დანარჩენ მოქალაქეებს მათთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ურთიერთობას.

ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილმა მონიტორინგის საზოგადოებრივმა საბჭომ, რომელიც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს, შეისწავლა საქართველოში არსებული შედეგი ფსიქიატრიული დაწესებულება. თითოეულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები აისახა საბჭოს მიერ მომზადებულ მოხსენებებში და საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წ. საპარლამენტო მოხსენებებში.

მონაცემთა ანალიზმა მონიტორინგის საზოგადოებრივ საბჭოს საკითხებისა და პრობლემების განზოგადების საშუალება მისცა.

მონიტორინგის შედეგები:

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ:

- ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფცია უკიდურესად სუსტად არის განვითარებული;
- უხეშად ირღვევა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პაციენტთა უკლებლივ ყველა უფლება (ინფორმაციის მიღების უფლება; ხარისხიანი, მისაღები და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უფლება; გარე სამყაროსთან კავშირის უფლება; ღირსების პატივისცემის უფლება; იძულებითი შრომისგან, სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობისგან დაცვის უფლება; საკუთრების უფლება; პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება; საარჩევნო უფლება; დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება; საჩივრის შეტანის უფლება).
- უმეტეს საავადმყოფოებში მედპერსონალი და პაციენტები იმყოფებიან გაუსაძლის ყოფით პირობებში;
- საავადმყოფოებს აქვთ მწირი რესურსები (როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური) ეფექტური მენეჯმენტის განსახორციელებლად;
- არ არსებობს პროფესიული გადამზადების პროგრამები ფსიქიატრიის მედდებისათვის. არ არის განვითარებული სოციალური მუშაკის სამსახური;
- პაციენტების უმრავლესობა მკურნალობს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე რეალურად ესაჭიროება, რადგან პრობლემები, რომელიც პაციენტის გაწერასა და შემდგომ მკურნალობას უკავშირდება, მოუნესრიგებელია;

- მოუწესრიგებელია პაციენტთა არანებაყოფლობითი მკურნალობის სამართლებრივი მხარე;
- იძულებითი მკურნალობის მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიული საავადმყოფო უკიდურესად მოუწესრიგებელია, როგორც დაცვის სამსახურის გამართული მუშაობის, ასევე სამკურნალო მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით;
- საავადმყოფოები მოკლებულია საზოგადოებრივ კონტროლს და პაციენტთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას.

კანონმდებლობის ზოგიერთი ხარვეზი:

- ფსიქიატრიული დახმარების საკანონმდებლო უზრუნველყოფა

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 14 ივლისს მიიღო კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის გარდამავალ დებულებებში, კერძოდ 28-ე მუხლში, იმპერატიულად განისაზღვრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ვალდებულება, 2007 წლის 1 იანვრამდე შეემუშავებინა და გამოეცა მთელი რიგი ნორმატიული აქტები. მათი საერთო რაოდენობა ათ ერთეულს შეადგენს, რაც გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად მასიური სამართლებრივი ბაზაა შესაქმნელი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის სრულყოფილი და ეფექტური განხორციელებისათვის. ამასთან, 28-ე მუხლი ერთადერთია კანონში, რომელიც ამავე აქტის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

დღეისათვის, როდესაც კანონი ფორმალურად ძალაშია შესული, საფრთხე ექმნება მის ეფექტურ ამოქმედებას მთელი რიგი ბაზისური აქტების არარსებობის გამო. გაურკვეველია, ასევე, იმ სამედიცინო პერსონალის ბედი, რომელიც სამართლებრივი ხარვეზების მიუხედავად ვალდებულია აღასრულოს კანონი ჯერ კიდევ არარსებული ინსტრუქციებისა და წესების შესაბამისად.

აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის დაუყოვნებლივ გამოსწორების მოთხოვნით 2007 წლის 22 იანვარს წერილობით მივმართე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ლადო ჭიპაშვილს, თუმცა აღნიშნული უწყებიდან პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

- ქორწინების უფლების განხორციელება

2007 წლის 12 თებერვალს წერილობით მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს და ვთხოვე შესაბამისი პროცედურების დანყება, რათა ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, „დაქორწინება არ დაიშვება იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.“

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება ცნოს ქმედუუნაროდ. ასეთ შემთხვევაში, ქმედუუნარო პირს ავტომატურად ერთმევა ყველა იურიდიული უფლება (დადოს ხელშეკრულებები, გადაიხადოს გადასახადები, მისცეს ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო ჩარევაზე, განკარგოს ქონება და სხვ.). აღნიშნული უფლებების რეალიზება ხორციელდება ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოს მიერ დანიშნული მეურვის საშუალებით. თუმცა, ისეთი სამოქალაქო უფლება, როგორიცაა უფლება ოჯახზე (ქორწინებაზე), სხვა პირის (კანონიერი წარმომადგენლის) მხრიდან ვერ განხორციელდება.

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა



განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-12 მუხლით, გარანტირებულია ქორწინების უფლება ქორწინების ასაკს მიღწეული ქალებისა და მამაკაცებისათვის. ამ უფლების შეზღუდვის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს ასაკი, სხვა შეზღუდვა დაუშვებელია და სახელმწიფოები ვალდებული არიან ქვეყნის კანონების შესაბამისად უზრუნველყონ ამ უფლების რეალიზება.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან, შესაბამისად ის უნდა შეიცვალოს. დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში ქმედუუნარობებს ქორწინების უფლება აქვთ, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი უფლება ჯერ კიდევ შეზღუდულია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოსაყვანად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ აწესებს შეზღუდვას ქორწინების უფლებაზე ქმედუუნარობის საფუძველით.

მიმაჩნია, რომ ქმედუუნაროდ აღიარებული პირების მიერ ქორწინების უფლების რეალიზებამ არ შეიძლება ზიანი მოუტანოს თავად ამ პირის და სხვათა კანონიერ ინტერესებს. მეურვის ინსტიტუტის არსებობა კი გარანტიაა იმისა, რომ ანგარებითი მიზნით დაქორწინების შემთხვევები მაქსიმალურად გამოირიცხოს. ოჯახური გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და საშუალებაა ასეთი პირების რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. მითუმეტეს, როდესაც ქმედუუნარობა არ არის სამუდამო სტატუსი და ის შეიძლება გაუქმდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში.

– სამოქალაქო კოდექსის ტერმინოლოგია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს საკმაოდ არაკორექტულ ტერმინოლოგიას ფსიქიატრიული სერვისის მომხმარებლებისა და გონებრივ განვითარებაში შეფერხების მქონე სხვა პირების მიმართ, როდესაც მათ უწოდებს „სულით ავადმყოფს“ და „ჭკუასუსტს“. სულით ავადმყოფობა ისტორიული ტერმინია და დიდი ხანია მედიცინაში არ გამოიყენება, რაც შეეხება ჭკუასუსტობას, მასაც გააჩნია უფრო კორექტული და თანამდეროვე ტერმინოლოგიური ექვივალენტი. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია ამ კუთხით ბევრად პოზიტიური და შემწყნარებლურია. მათგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინები მსგავსი სამედიცინო პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ შეიძლება შეფასდეს როგორც ღირსების შემლახავი, რისი საკანონმდებლო დონეზე კონსტატირებაც მიუღებელია. მიმაჩნია, რომ აუცილებელია აღნიშნული დამოკიდებულების შეცვლა, რის მისაღწევადაც, WHO-ს დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციისა (ICD) და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის შესაბამისად, „სულით ავადმყოფობა“ უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით „ფსიქიკური აშლილობა“, ხოლო „ჭკუასუსტობა“ – ტერმინით „გონებრივი განვითარების შეფერხება“.

– აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზება

მონიტორინგის საზოგადოებრივმა საბჭომ განახორციელა კონტროლი პაციენტთა საარჩევნო უფლების რეალიზებაზე. მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმარ-

თველობების ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას, საავადმყოფოებში პაციენტთა საარჩევნო უფლება შეიზღუდა, რადგან მათ საშუალება არ მიეცათ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა.

2006 წლის 5 ოქტომბერს, სახალხო დამცველის წარმომადგენლები და სახალხო დამცველთან არსებული ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ შემდეგ 4 დაწესებულებაში:

- ქ. თბილისის ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში;
- ხელვაჩაურის რაიონის დაბა კახაბერში მდებარე „შპს რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში“;
- სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში;
- ხონის რაიონის სოფელ ქუტირში მდებარე „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“.

როგორც მონიტორინგის შედეგად დადგინდა, ამომრჩევლებმა საკუთარი უფლების რეალიზება მხოლოდ ხონის რაიონის სოფელ ქუტირში მდებარე „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ შეძლეს, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა მიიტანეს გადასატანი ყუთი და პაციენტებმა პროპორციული წესით მისცეს ხმა, თუმცა აღნიშნული პროცედურაც კანონის უხეში დარღვევით წარიმართა. სიის დანართის მომზადების პროცესში, სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული სია არასრულყოფილი იყო, რადგანაც ეს უკანასკნელი არ შეიცავდა პირადობის მონომობის ნომრებს. ასევე ხმის მიცემის პროცესში უხეშად იქნა დარღვეული კანონი, რადგან ამომრჩევლებს, რომლებიც გადასატანი ყუთით აძლევდნენ ხმას, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნდათ.

რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს: ბათუმში, ხელვაჩაურის რაიონის დაბა კახაბერში მდებარე „შპს რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს“ ადმინისტრაციას ხმის მიცემის უფლების მქონე პაციენტთა სია (სპეციალური სია) საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საერთოდ არ მოუმზადებია და შესაბამისად პაციენტები ვერც ამომრჩეველთა სიის დანართში აღმოჩნდნენ. სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, ანალოგიური სია მისგან საოლქო საარჩევნო კომისიას არ მოუთხოვია და შესაბამისად მისთვის არ მიუწოდებია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიის როგორც მომზადება, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიისათვის მიწოდება, დაწესებულებას კანონით ევალებოდა.

ასეთივე სიტუაცია იყო სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც, სადაც ადმინისტრაციას სპეციალური სია საერთოდ არ მოუმზადებია, რის გამოც პაციენტებმა საარჩევნო უფლების განხორციელება ვერ შეძლეს.

თბილისის ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სიის გადაცემის ვადის ამონურვამდე რამდენიმე დღით ადრე, საოლქო საარჩევნო კომისიამ მიმართა და შეახსენა, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად დაწესებულება ვალდებული იყო მოემზადებინა სპეციალური სია და გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის არჩევნებამდე 6 დღით ადრე. სია მომზადდა და გადაეგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიას, თუმცა აღნიშნულ სიაში შეყვანილი იყო ყველა პაციენტი, რომელიც მკურნალობას გადიოდა აღნიშნულ დაწესებულებაში და რომელთა საერთო რაოდენობა 300 პირს აღწევდა. როგორც ქუტირის შემთხვევაში, აღნიშნული სია არ შეიცავდა პირადობის მონომობის ნომრებს. ამ შემთხვევაში კი საოლქო საარჩევნო კომისიამ ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა.

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას პირდაპირ ზღუდავს ის სისტემური შეცდომა, რომელიც დაშვებულია, მაგალითად, ქ.თბილისის მ.ასათიანის სახელობის საავადმყოფოში –



პაციენტთა ჰოსპიტალიზება არ მოითხოვს მათი ან მათი მეურვეების მხრიდან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას, რაც პირდაპირ ხელს უშლის საავადმყოფოებისათვის საარჩევნო (სპეციალური) სიების ფორმირებას.

2006 წლის 9 ოქტომბერს, აღნიშნულ სისტემურ პრობლემებზე სამუშაო შეხვედრის მოსაწყობად წერილობით მიმართეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გურამ ჩალაგაშვილს. 2007 წლის 7 მარტს მიღებული პასუხით, აღნიშნულმა უწყებამ დაადასტურა საკუთარი მზადყოფნა, რათა მონაწილეობა მიიღოს ამ საკითხების განხილვაში.

რეკომენდაციები

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ მიუხედავად ფსიქიატრიული საავადმყოფოების დაფინანსების ზრდის ტენდენციისა, დღეს არსებული დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები ვერ უზრუნველყოფს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ადამიანის უფლებათა დაცვას და ხარისხიან, ხელმისაწვდომ სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს პარლამენტს:

საქართველოში ფსიქიატრიული სერვისის მომხმარებლები წარმოადგენენ რისკ ჯგუფს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისათვის. გაეროს „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ“ კონვენციის ფაქულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად უნდა შეიქმნას დახურული ინსტიტუციების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და შესაბამისი მუხლი დაემატოს კანონს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ. თუმცა, აღნიშნული წინადადების განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოყალიბდეს დახურული ინსტიტუციების კონტროლის ეროვნული მექანიზმი, როგორც ეს ამავე დოკუმენტითაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის შექმნაზე მუშაობა ჩვენი ინიციატივით შეჩერებულია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე. ეს ხელს შეუწყობს უფლებამოსილების უფრო ზუსტად გაიმიჯვნას და თავიდან აგვაცილებს ფუნქციების შესაძლო დუბლირებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს:

ა) დამოუკიდებლად:

საავადმყოფოებში არსებული ყოფითი პირობები პირდაპირ არღვევს პაციენტების და სამედიცინო პერსონალის უფლებებს. საჭიროა სამედიცინო მომსახურების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა გააუმჯობესოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არსებული ყოფითი პირობები.

ბ) ფსიქიატრიული საავადმყოფოების დირექციებთან ერთად:

იმ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები იძულებით მკურნალობას გადიან, საჭიროა მოეწყოს დაცვის თანამედროვედ აღჭურვილი სისტემა, შეიქმნას თერაპიული გარემო და გაფართოვდეს სამკურნალო-სარეაბილიტაციო მეთოდები. ასევე, აუცილებელია ასეთ დაწესებულებებში პაციენტთა „მოძრაობის“ (ე.წ. რეჟიმის) შეცვლა, ახალი სტანდარტების შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ობიექტური და დროული სასამართლო პროცესების ჩატარება, რაც პაციენტებს თავიდან ააცილებს ამა თუ იმ საავადმყოფოში წლობით დაყოვნებას.

იმისათვის, რომ ფსიქიატრიული სერვისი გახდეს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი და მიწოდებული იქნეს პაციენტის ღირსებისა და უფლებების დაცვით, საჭიროა მკურნალობის და რეაბილიტაციის სტანდარტების შექმნა, ახალი სერვისების (თემზე დაფუძნებული დიფერენცირებული მომსახურება) მიწოდება და ადამიანური რესურსების (მენეჯერთა, ექიმთა, მედდების, სოციალური მუშაკების, ასევე, იძულებითი მკურნალობის შემთხვევაში – დაცვის პერსონალის) პროფესიული ცოდნის და უნარების ზრდა – ადამიანის უფლებების უნივერსალური პრინციპების გათვალისწინებით.

ფსიქიატრიული საავადმყოფოების დირექციებს:

განახლებას საჭიროებს ფსიქიატრიული საავადმყოფოების შიდა მენეჯმენტი, საჭიროა შემუშავდეს მოქმედი და ეფექტური შიდა განაწესები, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მედპერსონალის მონესრიგებულ მუშაობას, ასევე პაციენტების უფლებების დაცვას.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ადამიანის და პაციენტთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაიგეგმოს და რეგულარულად მოხდეს სამედიცინო პერსონალის და პაციენტთა გაცნობიერება უფლებრივ საკითხებში.

საავადმყოფოებმა ხელი უნდა შეუწყოს საჩივრის გამჭვირვალე და ქმედითი პროცედურის დანერგვას.

ეთხოვით არასამთავრობო ორგანიზაციებს და დონორებს:

ხელი შეუწყონ პაციენტთა იმ ჯგუფებს, რომლებიც თავად იბრძობებენ საკუთარი და სხვა პაციენტების უფლებების დასაცავად.

აუცილებელია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ ახალი კანონის გაცნობა სასამართლო სისტემის, პროკურატურის, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის. საზოგადოებაში არსებული სტიგმის დასაძლევად, ფსიქიატრიული სერვისის მოხმარებლებისადმი არსებული განწყობის და წარმოდგენების შესაცვლელად საჭიროა განხორციელდეს მედია კამპანია. უნდა დაიგეგმოს შემეცნებითი კამპანია მასმედიასთან, ახალი კანონის და ფსიქიატრიის სფეროში ადამიანის უფლებების მართებული გააზრებისთვის.




სამართალდარღვევები სამედიცინო მომსახურების დროს

(2005-2006 წლების მონაცემების შედარება)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2006 წლის მუშაობის ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ მენარმის შემონმების შესახებ შუადგომლობით პირველი ინსტანციის სასამართლოებს მიმართა 166 შემთხვევაში (აქედან 2 შემთხვევა დაფიქსირებულია 2007 წელს). სასამართლოში წარდგენილი იქნა შუამდგომლობა თბილისის 81 სამედიცინო დაწესებულების შემონმების შესახებ (მაღალი მაჩვენებელი აღინიშნებოდა შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში: 7 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 18 სამკურნალო ცენტრი, 27 სტაციონარული დაწესებულება, 10 სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო სამსახური და ა.შ.) მათ შორის რეგიონის 76 სამედიცინო დაწესებულების მიმართ (11 სამკურნალო ცენტრი, 31 სტაციონარული დაწესებულება, 22 ამბულატორია, დისპანსერი და პოლიკლინიკა და ა.შ.) აღსანიშნავია, რომ 157 შემთხვევაში შუადგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო 7 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. 2005 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მიხედვით შუამდგომლობა აღიძრა 158 შემთხვევაში. რეალურად მაჩვენებელი უცვლელია.

ბით პირველი ინსტანციის სასამართლოებს მიმართა 166 შემთხვევაში (აქედან 2 შემთხვევა დაფიქსირებულია 2007 წელს). სასამართლოში წარდგენილი იქნა შუამდგომლობა თბილისის 81 სამედიცინო დაწესებულების შემონმების შესახებ (მაღალი მაჩვენებელი აღინიშნებოდა შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში: 7 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 18 სამკურნალო ცენტრი, 27 სტაციონარული დაწესებულება, 10 სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო სამსახური და ა.შ.) მათ შორის რეგიონის 76 სამედიცინო დაწესებულების მიმართ (11 სამკურნალო ცენტრი, 31 სტაციონარული დაწესებულება, 22 ამბულატორია, დისპანსერი და პოლიკლინიკა და ა.შ.) აღსანიშნავია, რომ 157 შემთხვევაში შუადგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო 7 შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა. 2005 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მიხედვით შუამდგომლობა აღიძრა 158 შემთხვევაში. რეალურად მაჩვენებელი უცვლელია.

მენარმის საქმიანობის შემონმების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოებისა და შუამდგომლობებით მიმართვა



2006 წლის განმავლობაში, №269 ბრძანების საფუძველზე, სააგენტომ შეისწავლა 289 სამედიცინო დაწესებულებაში სხვადასხვა სახის დარღვევების საკითხი. აქედან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე შემონმბულია 157 სამედიცინო დაწესებულება (84 სამედიცინო დაწესებულება თბილისში, რეგიონში კი 73 სამედიცინო დაწესებულება), ხოლო 2005 წელს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე შემონმდა 153 სამედიცინო დაწესებულება.

მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე ჩატარებული სამედიცინო დაწესებულებების შემონმბვა




მოსამართლის ბრძანების გარეშე უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობის ფაქტები შესწავლილი იქნა: 132 სამედიცინო დაწესებულება (თბილისში 67 სამედიცინო დაწესებულება: 3 სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი, 8 სამკურნალო ცენტრი, 21 სტაციონარული დაწესებულება, 19 ამბულატორია, დისპანსერი და პოლიკლინიკა, 7 დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულებები და ა.შ., ხოლო რეგიონში 65 სამედიცინო დაწესებულება: 6 სამკურნალო ცენტრი, 23 სტაციონარული დაწესებულება, 18 ამბულატორია, დისპანსერი და პოლიკლინიკა, 6 სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილება). რეალურად აღინიშნება მატების უმნიშვნელო ტენდენცია.

2006 წლის განმავლობაში სააგენტომ განეული სამედიცინო დახმარების ხარისხი სულ 114 შემთხვევაში შეისწავლა. მათ შორის 96 მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, აქედან, 45 შემთხვევაში განმცხადებელი თავად პაციენტი იყო. სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს კონკრეტულად რა ინდიკატორების გამოყენებით ჩატარდა შემონმბვა და რა პრობლემები გამოვლინდა.

2005-2006 წლების სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2006 წლის საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა უკანონო საექიმო საქმიანობის 25 ფაქტი (თბილისსა და რეგიონში ერთად: 7 სტაციონარული დაწესებულება, 7 ამბულატორია, დისპანსერი, პოლიკლინიკა და 3 სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილება და ა.შ.). 2005 წ. შედარებით ეს მაჩვენებელი 43,2% შემცირდა.




უკანონო საექიმო საქმიანობის გამოვლენილი შემთხვევები




ასევე 90%-ით შემცირდა უკანონო სამედიცინო საქმიანობის ფაქტები (1 – სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურე, 1-დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დანესებულება და 1-სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება, სულ 3 შემთხვევა, ხოლო 2005 წელს 30).

შემოწმების დროს გამოვლენილი უკანონო სამედიცინო საქმიანობათა რაოდენობა




2006 წლის განმავლობაში უკანონო საექიმო და უკანონო სამედიცინო საქმიანობის შესახებ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 28 ოქმი. აქედან, 8 შემთხვევაში მოსამართლემ დააჯარიმა უკანონო საქმიანობის განმასხვავებელი პირი, 8 შემთხვევაში – არ დააჯარიმა, ხოლო 12 შემთხვევაში განხილვის შედეგი ცნობილი არ არის (უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობის ფაქტები გამოვლენილ იქნა თბილისში – 20 სამედიცინო დანესებულებაში, რეგიონში კი 8 სამედიცინო დანესებულებაში). თუ შევადარებთ წინა წლის მონაცემებს (2005 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 164 ფაქტი დაფიქსირდა), ეს მაჩვენებელი დაახლოებით 83%-ით შემცირდა.

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები



2006 წლის საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმების საფუძველზე, სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე 358 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა (2005 წელს კი 228 შემთხვევა), წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 56,7%-ით გაიზადა.


უმაღლესი და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე დასმული ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხები




2006

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს აღინიშნებოდა უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობის ფაქტების მკვეთრი შემცირება, გაიზარდა საბჭოს მიერ გაცემული ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის სანქციათა რიცხვი. მათ შორის წერილობითი გაფრთხილება მიეცა 248 ექიმს (2005 წელს შედარებით 55,9% გაიზარდა) – თბილისში 139 ექიმს, რეგიონში კი 68 ექიმს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სტაციონარულ დაწესებულებებში დაფიქსირდა. სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა 71 ექიმს (2005 წელს 18 შემთხვევა დაფიქსირდა) – თბილისში 43 ექიმს, რეგიონში კი 19 ექიმს. სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე სასამართლოში აღიძრა საკითხი 4 რეგიონის ექიმის მიმართ, (2005 წელს კი სერტიფიკატი გაუუქმდა 8 ექიმს).


წერილობითი გაფრთხილება



სერტიფიკატის შეჩერება




სართიფიკატის გაუქმების შუამდგომლობა



2005 წელთან შედარებით, 2006 წლის საანგარიშო პერიოდში 25%-ით შემცირდა სამედიცინო დანესებულების ხელძღვანელების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი (2005 წელს 30 შემთხვევა, ხოლო 2006 წელს 10 შემთხვევა, აქედან თბილისში – 6, რეგიონში კი 4).

სამედიცინო დანესაბუღების ხელკვანალების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი



საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ 115 სახეობაში, 56 სამედიცინო დანესებულებაზე გასცა ლიცენზია; ლიცენზიის გაცემაზე უარი ეთქვა 46 დანესებულებას, 64 სახეობაში; ლიცენზია გაუუქმდა (პირადი განცხადების საფუძველზე) 3 დანესებულებას 9 სახეობაში. შემონმების შედეგად 2006 წლის



II კვარტალში ლიცენზია გაიცა თბილისის 25 სამედიცინო დაწესებულებაზე სხვადასხვა საქმიანობაში (3 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 7 სამკურნალო ცენტრი, 4 სტაციონარული დაწესებულება, 4 დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება და ა.შ.), ლიცენზიის გაცემაზე უარი ეთქვა 13 სამედიცინო დაწესებულებას (3 სტაციონარულ დაწესებულება, 2 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი და ა.შ.) ხოლო 2 სამედიცინო დაწესებულებას გაუუქმდა ლიცენზია (1 – რეგიონის სტაციონარულ დაწესებულება, 1 – თბილისის დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება). ამასთანავე, რეგიონში ლიცენზია გაიცა 29 სამედიცინო დაწესებულებაზე (12-სტაციონარულ დაწესებულება, 9 სამკურნალო ცენტრი და ა.შ.), 34 სამედიცინო დაწესებულებას კი უარი ეთქვა ლიცენზიის მიღებაზე (14 სტაციონარულ დაწესებულება, 5 სამკურნალო ცენტრი და ა.შ.). III კვარტალში ლიცენზიის მიღების მიზნით შემომწა თბილისის 4 სამედიცინო დაწესებულება (1 სამკურნალო ცენტრი, 1 სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილება, 2 დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება), რეგიონში კი 6 სამედიცინო დაწესებულება (2 სამკურნალო ცენტრი, 2 სტაციონარული დაწესებულება, 1 დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება და 1 სტომატოლოგიური დაწესებულება). 2006 წლის IV კვარტალში ამავე მიზნით შემომწა თბილისის 5 სამედიცინო დაწესებულება (1 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2 სამკურნალო ცენტრი, დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება და 1 პოლიკლინიკა), რეგიონში კი 20 სამედიცინო დაწესებულება (3 სამკურნალო ცენტრი, 5 სტაციონარული დაწესებულება, 2 სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სამსახური და ა.შ.)

საანგარიშო პერიოდში სააგენტოში შემოვიდა 11 მოქალაქის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა კანონით დადგენილ ვადებში.

ზემოთ აღნიშნული ფაქტების ანალიზის საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების სფეროში სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირების კუთხით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა უკანონო საექიმო საქმიანობათა რაოდენობა, ასევე შემცირდა გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფაქტები, საგრძნობლად იმატა სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დასმის რაოდენობამ. მათ შორის: „წერილობითი გაფრთხილება“ – გაიზარდა 55,9%-ით, „სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება“ – 72,6%-ით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მომსახურების სფეროში დარღვევათა მაღალი მაჩვენებელი სტაციონარულ დაწესებულებებში აღინიშნებოდა. მოსამართლის ბრძანების საფუძველზე შემონმბულ დაწესებულებათა შორის უმეტესწილად სტაციონარი გამოირჩეოდა.

ინფორმაცია ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის (ლიცენზიის გაუქმება) შესახებ

საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ არეგულირებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს. კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობა არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. იმავე კანონის შესაბამისად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სახეებია: ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება; გ) სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება; დ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ალკოჰოლის შემცველი მედიკამენტების გამოწერის შეზღუდვა; და ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სხვა ზომები. „ა“, „ბ“, და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი და საშუალო

სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭო, ხოლო რაც შეეხება პროფესიული პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრ ფორმას – სერტიფიკატის გაუქმებას, საბჭოს მიმართვის საფუძველზე საკითხს განიხილავს სასამართლო. გარდა ამისა, საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება პირმა შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში.

2006 წლის განმავლობაში, საბჭომ 3 შემთხვევაში მიმართა შესაბამის სასამართლოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისათვის სერტიფიკატის გაუქმების შუამდგომლობით. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსს, ბატონ გია თვალავაძეს გაეგზავნა წერილი (№225/01 12.02.07.), რათა სააგენტოს წარმოედგინა ინფორმაცია ზემოთ დასახელებული 3 შემთხვევის შესახებ. 2007 წლის 27 თებერვალს, სააგენტოს უფროსის მიერ გამოგზავნილი საპასუხო წერილით (პრს- 017/32-4440) ირკვევა, რომ სერტიფიკატის გაუქმების შუამდგომლობით საბჭომ სასამართლოს მიმართა შემდეგ ფაქტებთან დაკავშირებით:

1. შპს „ქუთაისის რეგიონულ სისხლის ბანკში“ სალიცენზიო პირობების დაცვის მდგომარეობის, საქართველოს კანონის „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორების შესახებ“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.08.01. წლის №299/6 ბრძანების „სანარმოო ტრანსფუზიოლოგიის დაწესებულებებისადმი წაყენებული სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ შესრულების მდგომარეობისა და გაზეთ „ქრონიკაში“ (2005 წლის 17-25 ოქტომბერი №41 206) გამოქვეყნებულ სტატიაში – „ხუთ ადამიანს შიდასით დაინფიცირება დაუდასტურდა“ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებული საკითხების, ასევე პაციენტ მარიამ კინწურაშვილის ჰემოტრანსფუზიის შედეგად, აივ ინფექცია/შიდასით დაავადების შემთხვევის შესწავლის შედეგების შესახებ (ექიმი მირიან კვირიკაძე);
2. შპს „ასურეთი-ჯორჯიაშვილის საექიმო ამბულატორიაში“ 2005-2006 წლებში ლიცენზიის პირობების დაცვისა და სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით პაციენტებისათვის განეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლის შედეგების შესახებ (ექიმი მიხეილ თეთრუაშვილი);
3. ქიათურის ს/ს „აკად. გ. მუხაძის სახ. ქალაქის საავადმყოფოში“ გარდაცვლილი პაციენტ თ. კურტანიძისათვის განეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლის შესახებ (ექიმი ნათელა ბროლაშვილი).

სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ასევე უმაღლესი და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭო

სხდომის ოქმები, რომლის მიხედვითაც ირკვევა შემდეგი:

- საბჭოს 06.03.06 №1 სხდომის გადაწყვეტილებით, დაისვა საკითხი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წინაშე, შპს „ქუთაისის რეგიონული სისხლის ბანკის“ ყოფილი დირექტორის, მირიან კვირიკაძის სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე საექიმო სპეციალობაში – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ორგანიზაცია“;
- საბჭოს 19.10.06 №9 სხდომის გადაწყვეტილებით, დაისვა საკითხი თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს წინაშე, შპს „ასურეთი-ჯორჯიაშვილის საექიმო ამბულატორიის“ დირექტორის, მიხეილ თეთრუაშვილის სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე საექიმო სპეციალობაში – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ორგანიზაცია“;
- საბჭოს 19.10.06 წ. №9 სხდომის გადაწყვეტილებით, დაისვა საკითხი ქიათურის რაიონული სასამართლოს წინაშე, ქიათურის ს/ს „აკად. გ. მუხაძის სახელობის ქალაქის საავადმყოფოს“ ექიმის ნათელა ბროლაშვილის სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე საექიმო სპეციალობაში – „ზოგადი პედიატრია“;



ქუთაისის, ჭიათურისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოებიდან აღნიშნულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიღებული არ არის. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის იანვრიდან, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ორგანიზაცია“ ამოღებულია საექიმო სპეციალობათა ნუსხიდან, შესაბამისად ამ დარგში საექიმო საქმიანობის სახელმწიფო სერტიფიკატის ქონა სავალდებულო აღარ არის, რის გამოც პროფესიული პასუხისმგებლობის ზემოთ მოყვანილ 2 შემთხვევაში, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტების მიმართ გატარებული სანქციები არაეფექტურად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ალბათ უნდა იმსჯელოს თუ რა სახის სანქციები შეიძლება გატარდეს სამომავლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთა ადმინისტრაციული და საორგანიზაციო საქმიანობის მიზეზით პაციენტს ზარალი მიადგება.

სასჯელალსრულების დაწესებულების სისტემაში გარდაცვლილი პაციენტის საკითხის შესწავლის პირველი პრეცედენტი ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის დარგობრივი რეგულირების სააგენტოს საქმიანობაში 2006 წელს დაფიქსირდა პირველი პრეცედენტი, როდესაც სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი ავადმყოფი პაციენტის (ოვლეგ კ.) გარდაცვალების ფაქტის გამო სააგენტომ შეისწავლა პაციენტისათვის განუხლები სამედიცინო დახმარება. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სამედიცინო საქმიანობის დარგობრივი რეგულირების სააგენტომ არაეფექტურად შეაფასა პაციენტი ოლეგ კ.-სთვის განუხლები სამედიცინო დახმარების ხარისხი; არასაკმარისად შეფასდა პაციენტი ოლეგ კ.-სთვის განუხლები სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია; პაციენტი ოლეგ კ.-სთვის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხი შეფასდა არაადამაკმაყოფილებლად.

დაისვა საკითხი იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციის, შპს „ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის 03-ის“ დირექტორის (მ. ძონენიძე), სს „ძონენიძის სახელობის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს“ გენერალური დირექტორის (კ. ხელაძე), შპს „ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო რეგიონული კლინიკური ცენტრის“ დირექტორის (ა. აბულაძე) და სს „იმერეთის სამხარეო ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის“ დირექტორის (შ. ბემკენაძე) წინაშე:

- განიხილონ კომისიის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად;
- გაატარონ მკაცრი ხასიათის დისციპლინური ღონისძიებები იმ პირთა მიმართ, რომელთა ქმედებებმა გამოიწვია კომისიის შემოწმების მასალებში დაფიქსირებული დარღვევა-ნაკლოვანებები.

სააგენტოს კომისიის მიერ მოკვლეული მასალები ინფორმაციის სახით, შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეგზავნა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორს (მ. ჩოგოვაძე). მოხსენებითი ბარათი წარედგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ვარლამ მოსიძეს; ხოლო შესწავლის შედეგები მოხსენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ვლადიმერ ჭიპაშვილს.

საქართველოს სახალხო დამცველი დაინტერესდა პაციენტ ოლეგ კ.-ს გარდაცვალების მიზეზებით, რის გამოც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილ იქნა 54 წლის გარდაცვლილი პაციენტის, ოლეგ კ.-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. როგორც ირკვევა, გვამის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილება გამოტანილია იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს გამოძიებლის მ.

სანიკიძის მიერ 31.07.2006. ექსპერტიზა ჩაატარა (ექსპერტის დასკვნა №97) სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა – ი. გრიგორაშვილმა (მუშაობის სტაჟი – 26 წ.). დოკუმენტზე გაკვეთის ადგილი არ არის აღნიშნული. საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზა დაინიშნა 31 ივლისს, 2006, 16 სთ 30 წთ, ხოლო დასრულდა 6 სექტემბერს, 2006 წ. როგორც საექსპერტო დასკვნაში მოყვანილი საქმის გარემოებიდან ირკვევა, 2006 წლის 31 ივლისს 00 სთ-ზე მსჯავრდებული მოულოდნელად შეუძლოდ გახდა, დაეცა არტერიული წნევა, რასაც დაერთო ლებინების შეგრძნება და დიარეა და სასწრაფო ბრიგადის მიერ გადაყვანილი იქნა 02 სთ-ზე ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს რეანი-მაციულ განყოფილებაში. 10 სთ-ზე მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა იმის გამო, რომ იუსტიციის სამინისტროს აღნიშნულ საავადმყოფოსთან მომსახურებაზე ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული, საავადმყოფოს ადმინისტრაციის მოთხოვნით ავადმყოფი მსჯავრდებული ოლეგ კ. გადაიყვანეს ქუთაისის შპს ო.ჩხობაძის სახ. ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო სარეაბილიტაციო რეგიონულ კლინიკურ ცენტრში. დაახლოებით 11.30 სთ-ზე ავადმყოფისათვის ინტოქსიკაციის სავარაუდო დიაგნოზის დასმის მოტივით გადაიყვანეს ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც 30 წთ-ის შემდეგ წინასწარი მონაცემებით გულის უკმარისობით გარდაიცვალა 12.05 სთ-ზე.

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, მძიმე კორონარო-სკლეროზი, მიოკარდიუმის კეროვანი პოსტინფარქტული ნაწიბურები. ბრონქოპნევმონია, კეროვანი ემფიზემა, ღვიძლის ციროზი, ნეფროსკლეროზი.

გარეგანი გამოკვლევა – გვამი ხელის შეხებით ცივია (?). გვამური გაშეშება კარგად გამოხატული სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში (?).

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. სამედიცინო დოკუმენტაციას განხილულ იქნეს საკითხი სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო.
2. სიკვდილიდან 4-5 საათში საექსპერტო, რომ გვამი ხელის შეხებით უკვე ცივი იყოს და გვამური გაშეშება კარგად იყოს გამოხატული სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში.
3. აღწერილობით ნაწილში არ არის მითითებული ფილტვების ზომები; თირკმლების ზომები მითითებულია ერთად.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ „სიკვდილის მიზეზია გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. მძიმე კორონარო-კარდიოსკლეროზი. მიოკარდიუმის კეროვანი პოსტინფარქტული ნაწიბურები. ბრონქოპნევმონია, კეროვანი ემფიზემა, ღვიძლის ციროზი, ნეფროსკლეროზი. მიუხედავად ამისა ბუნდოვანია თუ რამ გამოიწვია (მიოკარდიუმის ინფარქტმა ???) ის კლინიკური ნიშნები, რომლებიც ცადმოცემულია ავადმყოფის სამედიცინო ჩანაწერებში და რაც დეტალურადაა აღწერილი სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ დასკვნაში. ანუ პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რატომ გახდა აუცილებელი დროის მცირე მონაკვეთში ავადმყოფის რამდენიმე (4) სამედიცინო დაწესებულებებს შორის „მოგზაურობა“; დადასტურდა თუ არა ინფექციური პათოლოგია (ექსპერტს ამ შეკითხვას საერთოდ არ უსვამენ)?; და რამ გამოიწვია შოკური მდგომარეობა?. წინააღმდეგ შემთხვევაში კორონარო-კარდიოსკლეროზის ფონზე განვითარებული გულის უკმარისობით შეუძლებელია აიხსნას ერთობლივად დაფიქსირებული ტემპერატურის მატება, წნევის დაცემის ეპიზოდები, ფაღარათი, ტოქსიკოინფექციის სურათი და ა.შ. საინტერესოა თუ ინფექციური დაავადება არ არსებობდა, რატომ გადაიყვანეს პაციენტი ინფექციურ სტაციონარში? და თუკი ვერ გატარდა დიფერენციული დიაგნოზი ინფექციურ პათოლოგიას, ინტოქსიკაციასა და მიოკარდიუმის ინფარქტს (?) შორის, მაშინ რატომ არ არის საუბარი საექსპერტო შეცდომაზე?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის დარგობრივი რეგულირების სააგენტო, 2006 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ჩვენს მიერ გაგზავნილ შეკითხვებსა



და წერილებზე დროული, სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღება, რაც მეტად მნიშვნელოვანია „ჯანმრთელობაზე – ადამიანის უფლების“ ეფექტური მონიტორინგისა და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებშიც სააგენტოს მხრივ თანამშრომლობა უფრო აქტიურ ეტაპზე გადასვლას მოითხოვს. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს გაეგზავნა წერილი, სადაც აღწერილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალ-სრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში შექმნილი მდგომარეობა, რაც მეტად საგანგაშო და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა მოსთხოვა სააგენტოს უფროსს დაეწყო შესწავლა ზემოთ აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებაში პაციენტებისათვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების ხარისხის და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ პასუხის მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა უკვე კარგა ხანია ამოიწურა, არანაირი ინფორმაცია ან რეაგირება სააგენტოს მხრიდან არ მომხდარა.

პაციენტ მურმან ო.-ს საქმე

2006 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ქეთევან ჩ.-მ, რომელიც ითხოვდა მისი მეუღლის, მურმან ო.-ს საქმეში გარკვევასა და სათანადო რეაგირებას.

როგორც თანდართული მასალებიდან ირკვევა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი მიწერილ 2000 წლის 13 სექტემბრის №05/35-101 წერილის საფუძველზე მოქ. ქ. ჩანტლაძე ითხოვდა კომისიური წესით შეესწავლათ მისი მეუღლისთვის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში განეული სამედიცინო დახმარების ხარისხისა და მკურნალობისათვის გადა-რიცხული თანხების მიზნობრივი გამოყენება. აღნიშნული საკითხი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა 2000 წლის 28 ივლისს შეისწავლა.

ავადმყოფ მურმან ო.-ს სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 1999 წლის 2 დეკემბერს ავადმყოფმა მიმართა უროლოგიის ეროვნულ ცენტრს დიზურიული მოვლენების გამო, წინასწარი დიაგნოზი – შარდკენჭოვანი დაავადება. ჩატარებული კლინიკო-დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგად, 1999 წ. 7 დეკემბერს დაუდგინდა ძირითადი დაავადება – „თირკმლის კავერნოზული ტუბერკულოზი; თანხმლები დაავადება – მარცხენა თირკმლის ქვედა სეგმენტის კენჭი“.

ანამნეზიდან ირკვევა, რომ ავადმყოფმა მურმან ო.-მ 1996 წელსაც მიმართა იმავე კლინიკას, სადაც დაუდგინდა საშარდე გზების ტუბერკულოზი და გაგზავნილ იქნა სპეციალიზირებულ კლინიკაში.

1999 წლის 9 დეკემბერს ავადმყოფს კონსულტაცია გაუწია პროფესორმა ლ. მანაგაძემ და უროლოგიის ეროვნულ ცენტრში მონვევით მყოფმა გერმანელმა პროფესორმა რ. ჰოპენფელერმა. დიაგნოზის საბოლოოდ დადგენის მიზნით, ავადმყოფს დაენიშნა ურეტეროციტოსკოპიის, ტურბოფსიის და ურეტერორენოსკოპიის ჩატარება.

აღნიშნული ოპერაცია, პერიდურალური გაუტიკივარებით, ავადმყოფს ჩაუტარდა 1999 წლის 13 დეკემბერს. ოპერაციის შემდეგ დადასტურდა კლინიკური დიაგნოზი: „თირკმლის კავერნოზული ტუბერკულოზი, მარცხენა თირკმლის ქვედა სეგმენტის კენჭი“. 20 დეკემბერს ავადმყოფს განმეორებით გაუწია კონსულტაცია პროფესორმა ლ. მანაგაძემ, ხოლო 23 დეკემბერს ფტიზიატრმა ვ. კაციტაძემ. დიაგნოზი იგივე. ანტიტუბერკულოზური მკურნალობა შეთანხმდა ფტიზიატრთან. 2000 წლის 18 იანვარს ავადმყოფს გაუკეთდა პერკუტანული ნეფროსტომია. 25 იანვარს გაენერა ბინაზე.

ნეფროსტომის ამოვარდნის გამო ავადმყოფმა კლინიკას განმეორებით 23 თებერვალს მიმართა, იმავე დღეს გაუკეთდა ნეფროსტომია და გაენერა 28 თებერვალს.

ავადმყოფმა კლინიკას მესამედ 2006 წ. 22 მაისს მიმართა. 28 მაისს მას კვლავ გაუნია კონსულტაცია პროფესორმა ლ. მანაგაძემ და პროფესორმა რ. ჰოპენფელერმა. კონსულტაციის შედეგად გადაწყდა, რომ ავადმყოფს დაენიშნოს ანტიტუბერკულოზური მკურნალობა შემდგომი 9 თვის განმავლობაში და 29 მაისს ის კლინიკიდან გაენერა.

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფი ამ პერიოდში პარალელურად ირიცხება და მკურნალობს ფტიზიატრიისა და პულმონოლოგიის ს/კ ინსტიტუტში 2000 წლის 6 მარტიდან 12 ივლისამდე დიაგნოზით: მარჯვენა თირკმლის ფიბროკავერნოზული ტუბერკულოზი, ნეფროსკლეროზი, ურეტროჰიდრონეფროზი, შარდსანვეთის ობლიტერაცია, მარჯვენამხრივი ნეფროსტომია, მარცხენა თირკმლის კავერნოზული ტუბერკულოზი, პიელონეფრიტი, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა-სუბკონპენსირებული. აქ მას უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა და შემდგომი კონსერვატიული მკურნალობისთვის გადაიგზავნა III ტუბდისპანსერში მომდევნო 2 თვის განმავლობაში. ამასთან მიეცა რჩევა-დარიგება, რომ შემდგომ გაკეთდებოდა საკონტროლო რენტგენოლოგიური-უროლოგიური გამოკვლევები, რის შედეგადაც გადაწყდებოდა ოპერაციული ჩარევის საკითხი.

უროლოგიის ეროვნულ ცენტრში კვლევისა და მკურნალობის ხარჯმა სულ 1716,75 ლარი შეადგინა. აქედან – დახარჯული მედიკამენტების ხარჯი – 96,75 ლარი

- კლინიკური ანალიზი — 252,00 ლარი
- ოპერაციული ხარჯები — 1008,00 ლარი
- ხელფასი დანარიცხებით — 359,25 ლარი

ავადმყოფის მეუღლეს კლინიკის ბუღალტერიამ დაუბრუნა შეძენილი მედიკამენტების საფასური – 66 ლარის ოდენობით.

სხვადასხვა პერიოდში, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიიდან და თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურიდან ავადმყოფის მკურნალობისათვის გადაერიცხა 1437 ლარი, რომელიც ცენტრში განეულ ხარჯებზე 345,75 ლარით ნაკლებია. აქედან, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიიდან გადაირიცხა 937,00 ლარი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ წარდგენილი ანგარიშის №440 28.12.2000 წ.-ის მოთხოვნის საფუძველზე (ოპერაცია: პიელოლითოტომია). ხოლო თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურიდან იგივე ცენტრის მიერ წარდგენილი ანგარიშით №68 25.02.006. გადაირიცხა 500 ლარი ცისტენოსტომისათვის.

უნდა ითქვას, რომ ავადმყოფ მურმან ო.-ს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში გაენია კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, კლინიკო-დიაგნოსტიკური გამოკვლევების საფუძველზე დაუდგინდა დიაგნოზი, დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა, თუმცა ამ პროცესში ხარვეზებიც აღინიშნა:

- ავადმყოფი კლინიკაში 2 დეკემბერს შევიდა – შარდკენჭოვანი დაავადების დიაგნოზით. 7 დეკემბერს დაუდგინდა თირკმლის კავერნოზული ტუბერკულოზი. ფტიზიატრის მიერ კონსულტირებულია და შესაბამისი მკურნალობა შეთანხმებულია მხოლოდ 23 დეკემბერს. ავადმყოფი საბოლოო დიაგნოზის დადგენის შემდეგ უნდა გადაყვანილიყო სპეციალიზებულ კლინიკაში (მსგავსად 1996 წლისა). მან კი ამ კლინიკაში 54 საწოლ/დღე გაატარა. მით უფრო, რომ უროლოგიის ეროვნულ ცენტრს ტუბერკულოზურ დაავადებათა მკურნალობისთვის ლიცენზია არ გააჩნია (ინფორმაცია: 18.09.00 – სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).



- თუ მკურნალობის პროცესში ყურადღება იყო გამახვილებული შარდ-კენჭოვან დაავადებაზე, უროლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ წარდგენილი ანგარიში №440 – 937 ლარი პიელოლითოტომიისთვის, გაგზავნილია საკმაოდ დაგვიანებით, 28 დეკემბერს. ეს ოპერაცია ავადმყოფს არ ჩატარებია ისევე, როგორც ცისტენოსტომია – რისთვისაც ასევე უროლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ წარდგენილი იყო ანგარიში №68 25.02.006. – 500 ლარი.

თუ თანხის მოთხოვნის მოტივაცია დასაბუთებული იყო და შემდგომ მკურნალობის ტაქტიკა შეიცვალა, ამ ცვლილების შესახებ ავადმყოფის ან მისი პატრონისთვის სამედიცინო პერსონალს ინფორმაცია უნდა მიენიჭებინა. სწორედ თანხების ხარჯვასა და ინფორმაციას შორის ასიმეტრიამ გამოიწვია პაციენტისა და მისი პატრონის განაწყენება და პროტესტი. უნდა ითქვას იმ ხარვეზებზეც, რომელიც აღმოჩნდა ავადმყოფ მურმან ო.-ს სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებულ მედიკამენტოზურ მკურნალობაშიც.

სამედიცინო ბარათში (№1622) მითითებული დანიშნულებისა და ფაქტიურად | უროლოგიური განყოფილებიდან ავადმყოფზე გაცემული მედიკამენტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ დანიშნული მედიკამენტების 59% არ არის დაწესებულების შიდა ავთიაქიდან გაცემული. მათ შორისაა ისეთი მედიკამენტები, რომლებიც აღნიშნული კლინიკისთვის არის ესენციალური (კერძოდ: ლიდოკაინი, გლუკოზა, სტრეპტომიცინი).

ავთიაქის სააღრიცხვო ჟურნალებისა და | უროლოგიური განყოფილების აღრიცხვის ჟურნალების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რიგი მედიკამენტებისა (ვიტამინები, გლუკოზა, ერთჯერადი ნემსები, ნოშპა), რომლებიც ავადმყოფის პატრონს მიერ იქნა შექენილი (შემოტანილი), კლინიკას აღნიშნულ პერიოდში გააჩნდა.

შემოწმდა ავადმყოფ მურმან ო.-ზე გაცემული სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტის – დიმედროლის (ამპ.) ხარჯვის შესაბამისობა სააღრიცხვო ჟურნალთან:

- დანიშნულების ფურცლის მიხედვით ავადმყოფზე დახარჯული დიმედროლის (ამპ.) რაოდენობა არის 7, ხოლო | უროლოგიური განყოფილების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით ავადმყოფზე გაიცა 9 ამპ. დიმედროლი (თანხა მოთხოვნილია 7 ამპ.-ზე)
- ისტორიის კურსუსებში არსად არ არის დაფიქსირებული დიმედროლის ხარჯვა
- დარღვეულია ასევე ნარკოტიული სამკურნალო საშუალების – მორფინის ჰიდროქლორიდის მიღების, შენახვისა და ხარჯვის წესები. კერძოდ: ავადმყოფს მორფინი გაუკეთდა 02.1299 წ.-ს და 24.12.99 წ.-ს, ხოლო განყოფილებას აღნიშნული მედიკამენტი ჰქონდა ოქტომბრის თვეში (ამდენად, დარღვეულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის №361/ო ბრძანების მე-6 პუნქტი).
- განყოფილებაში არ წარმოებს ნარკოტიული და სპეც. კონტროლის დაქვემდებარებული მედიკამენტების გადაბარების ჟურნალი (ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებების გადაბარების ჟურნალი წარმოებდა 11.99 წ.-მდე).
- ავადმყოფ მურმან ო.-ზე გაცემულ მედიკამენტებს შორის არის ჰუმანიტარული დახმარების მედიკამენტი „ფლოქსანი“. აღნიშნული მედიკამენტი განაცხადში არ არის გაფასებული. წამლისა და ფარმაცევტული დეპარტამენტის მონაცემებით მედიკამენტი „ფლოქსანი“ არარეგისტრირებულია (ინფორმაცია წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტიდან 19.09.00წ. №1401/922)
- ავადმყოფ მურმან ო.-ს დანიშნულების ფურცლის მიხედვით მედიკამენტების 50%-ის მოხსნა არ არის დაფიქსირებული. ამდენად, გაურკვეველია თუ რა რაოდენობით იქნა ის დახარჯული.
- სააღრიცხვო ბარათში მედიკამენტებისთვის მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 76,13 ლარი, რაც ფაქტობრივად (გარდა დიმედროლის 2 ამპულისა) შეესაბამება ავადმყოფ მურმან ო.-ზე დაწესებულიდან გაცემული მედიკამენტების ღირებულებას.
- ავადმყოფი მურმან ო. უროლოგიის ს/კ ინსტიტუტში განმეორებით მოთავსდა 23.02.00 წ.-28.02.00

ნ. – სამედიცინო ბარათი №234. დიაგნოზი: საშარდე გზების ტუბერკულოზი. ჩაუტარდა მედიკამენტოზური მკურნალობა. სურათი ანალოგიურია: მედიკამენტების 50% არ არის გაცემული დაწესებულების შიდა აფთიაქიდან. ავადმყოფს დაენიშნა დამედროლი 24.02-დან 28.02.-მდე (4 აბ.) აღნიშნული მედიკამენტი არ არის გატარებული კურსსუბში.

■ ავადმყოფი სტაციონარში მესამედ შევიდა 22.05.00-დან 29.05.00-მდე. სამედიცინო ბარათი №683, დიაგნოზი: საშარდე გზების ტუბერკულოზი. მედიკამენტოზური დანიშნულება სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება.

გამოვლინდა აგრეთვე სხვა ნაკლოვანებებიც, რომელიც ადგილზე იქნა გასწორებული და კლინიკის ხელმძღვანელობას მიეთითა მომავალში მეტი ყურადღება დაუთმოს სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას, რათა უზრუნველყო ექსპერტიზის ჩატარება. ამავდროულად დაეწყო მოკვლევა ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით, რაზეც საუბარი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელის ღირა თოფურაძის მოხსენებით ბარათში. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, ცისტენოსტომისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 500 ლარი, ხოლო პიელოლითოტომისათვის – 937 ლ., თუმცა ავადმყოფს არც ერთი ოპერაცია არ ჩატარებია. ჩნდება დასაბუთებული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა აღნიშნული თანხის მითვისებას ან გაფლანგვას. ღირა თოფურაძის მოხსენებით ბარათში ასევე მითითებულია: „ავადმყოფზე გაცემული მედიკამენტების შედარებისას, აღმოჩნდა რომ დანიშნული მედიკამენტების 59% არ არის გაცემული დაწესებულების შიდა აფთიაქიდან, არამედ ისინი ავადმყოფის მეუღლემ საკუთარი სახსრებით შეიძინა. ბევრი მედიკამენტი იმ დროისათვის იყო დაწესებულების შიდა აფთიაქში. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას ყურადღება არ გაუმახვილებია აღნიშნული გარემოებაზე. ისანი-სამგორის რაიონული პროკურორის მოადგილე მერი გოგლიძე მიუთითებს, რომ „გამოკვლეული მასალებით ავადმყოფ მურმან ო.-ს გაენიჭა კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის №01/20-08-484-07 წერილში აღნიშნულია, რომ „უროლოგიის ეროვნულ ცენტრში მ.ოდიაშვილის მკურნალობის ხარჯმა შეადგინა 1716 ლარი და 75 თეთრი, რომელშიც შედის მედიკამენტის, კლინიკური ანალიზის, ოპერაციის და ხელფასის დანარიცხის ღირებულებები“.

სახალხო დამცველის 30.01.07. წერილს თან დაერთო სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში ორი ერთდროულად შედგენილი ავადმყოფობის ისტორიის ასლები. კერძოდ უროლოგიის ეროვნული ცენტრის მურმან ო.-ს ისტორია №683 და ფტიზიატრიის და პულმონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ამონაწერი ამბულატორიულ, სტაციონარული ავადმყოფობის ისტორიიდან. უროლოგიის ეროვნული ცენტრის ავადმყოფობის ისტორიის მონაცემებით, აღნიშნულ დაწესებულებაში მურმან ო მკურნალობდა 2000 წლის 22-29 მაისს. ხოლო, ფტიზიატრიის და პულმონოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ამონაწერის მონაცემებით, მურმან ოდიაშვილი მკურნალობდა 2000 წლის 06 მარტიდან 12 ივნისამდე. ამგვარად, ერთი დაწესებულებიდან განერის გარეშე, ერთსა და იმავე დროს მურმან ო. მკურნალობდა ორ სხვადასხვა დაწესებულებაში. 2000 წლის 15 ნოემბერს ამ გარემოებას პირველად ყურადღება ისნის რაიონის პროკურორის მოადგილემ ვ. გრიგალაშვილმა მიაქცია. ამ უკანასკნელმა დავალება მისცა ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსს მ. მეტრეველს შეესწავლა აღნიშნული საკითხი და გაერკვია, რომელ სამკურნალო დაწესებულებაში შედგა ყალბი ავადმყოფობის ისტორია. 30.01.07. წერილით, ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურისა და სამმართველოსაგან ვითხოვდით აღნიშნული დავალების შესრულების შესახებ ინფორმაციას, მიუხედავად ამისა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურის (13/02/2007 №01/20-08.484.07) პასუხი ამის თაობაზე ინფორმაციას არ შეიცავდა. სახალხო დამცველის წერილს (30.01.07) თან ერთვოდა სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის №45 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ამავე დეპარტამენტის ექსპერტიზის პოლიტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს დალი პაპულაშვილს №50 სამარშუტო ტაქსში წაართვეს საფულე და საქალაქო, სა-



დაც იყო მურმან ო.-ს ავადმყოფობის ისტორია. იქვე მითითებულია, რომ აღნიშნული დანაშაულის თაობაზე დალი პაპულაშვილმა აცნობა გალდანი-ნაძალადევის IV განყოფილებას. სახალხო დამცველის წერილს ასევე დაერთო გალდანი-ნაძალადევის მე-4 განყოფილების №55/1-640 წერილი, რომლითაც არ დასტურდება დალი პაპულაშვილის მიერ განცხადების გაკეთების ფაქტი.

სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე, უზრუნველყოფილი მურმან ო.-სთვის ექსპერტიზის ჩატარება, ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურის (13/02/2007 №01/20-08.484.07) წერილში მითითებულია, რომ 2007 წლის 5 თებერვალს ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს მიერ გაიგზავნა წერილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე სპეციალისტების გამოყოფის დაჩქარების თაობაზე. გაუგებარია რატომ ითხოვს გამოძიება სპეციალისტების გამოყოფას სამინისტროსაგან, მაშინ როცა სპეციალისტებით უზრუნველყოფა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კომპეტენციაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ ავადმყოფი მურმან ო. ამა წლის 31 იანვარი – 4 თებერვალი იწვა შპს ვია-ვიტა და დიალიზის ნეფროლოგიის და ეფერენტული მეთოდებით მკურნალობის ცენტრში, სადაც მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც ძალიან მძიმე, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა (ტემინალური სტადია) – ჰემოდიალიზი აქვს დანიშნული კვირაში სამჯერ. ცხადია ასეთ მდგომარეობაში ავადმყოფისათვის ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო რეაგირება მნიშვნელოვანია პაციენტის რელური დახმარებისთვის.

ამგვარად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია. გამოძიება უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამომძიებელი და პროკურორი არ არიან დაინტერესებული საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენით. გამოძიებამ ამ ეტაპზე ვერ გასცა პასუხი კითხვებს, თუ რატომ არსებობდა ერთსა და იმავე დროს ორი ავადმყოფობის ისტორია, რომელი მათგანია ყალბი, რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა სახელმწიფო სახსრები, რომელიც მურმან ო.-ს სამკურნალოდ იყო გამოყოფილი. ასევე გაურკვეველი ექსპერტიზის გაჭიანურების ფაქტი.

მომხმარებელთა უფლებები

(კვების პოლიტიკა და არსებული სიტუაცია)

1992 წელს, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩაატარებულ კონფერენციაზე შემუშავდა დეკლარაცია და კვების საკითხებზე მოქმედების გეგმა. დეკლარაციის მიღებით ყველა წევრი ქვეყნის მთავრობამ (მათ შორის საქართველოს) აიღო ვალდებულება, უმოკლეს ვადებში შეიმუშაოს მოქმედების ეროვნული გეგმა და უმოკლესი გზები ამ გეგმის განსახორციელებლად.

ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი სახელმწიფოებისთვის მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისკენ მიმართული კვების პოლიტიკის შემუშავება შედარებით ახალი ფენომენია, კონფერენციამ კვების მოქმედების გეგმაში წარმოადგინა სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქმედების ეროვნული გეგმის მომზადებას. ეს სტრატეგიებია:

- კვების მიზნების შეტანა განვითარების პროგრამებსა და პოლიტიკის სფეროში;
- კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების საშუალებით მომხმარებლის დაცვა;
- ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- დახმარების განწევა ძუძუთი კვებაში;
- უსახლკაროთა და სოციალურ-ეკონომიკურ ქრილში სამიზნე ჯგუფების მოვლა;
- კონკრეტული სახეობის საკვები მიკროელემენტების უკმარისობის პროფილაქტიკა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესისა და კვების სწორი რაციონების ხელშეწყობა;

- კვების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, ანალიზი და მონიტორინგი.

დღეისათვის ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანაში კვების პოლიტიკა ჩამოყალიბებულია და მიმდინარეობს მისი წარმატებული განხორციელება ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგია მოქმედებაშია, თუმცა გასული საუკუნის მინურულს ჯანდაცვის სისტემის რეფორმასთან ერთად ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკის, კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი და სახელმწიფო სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმირების ინსპექცია, რომელთაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ კვებაში სწორი პოლიტიკის შემუშავების საქმესა და ამ სფეროში არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენებაში.



შემუშავდა ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამა (1999-2005 წ.წ.), რომლის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა სწორი კვების ჩვევების დანერგვა. აღნიშნული ითვალისწინებდა:

- კვების რაციონის ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებას;
- ქვეყანაში წარმოებულ კვების პროდუქციაზე ქიმიური შემადგენლობისა და ენერგეტიკული შემცველობის მითითებას;
- ბროშურებისა და მასალების შემუშავებას ჯანსაღი კვების რაციონის შესახებ.

პროგრამაში ჩადებული მიმართულებები ნაწილობრივ შესრულებულია. რადგან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული აქტებისა და სტანდარტების შემუშავება პერმანენტულად უნდა ხდებოდეს, მუდმივად იცვლება ს/პ წარმოების ტექნოლოგიები, იქმნება ახალი პროდუქტები, იცვლება ადამიანის ყოფის პირობები, შესაბამისად – იცვლება ცალკეული კვებითი ინგრედიენტების ნორმები და ა.შ., შესაბამისად, ქვეყანაში უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს მათი შემუშავება და ცვლილებებისა და ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით მათი განახლება, რაც უკვე ორი წელია შეჩერებულია (დაუფინანსებლობის გამო);

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში მოიცავს (მიზანი 1) უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას, ხოლო კონკრეტულ ამოცანაში კი მითითებულია 2000-2015 წლისათვის დაუბალანსებელი საკვები რაციონის მქონე მოსახლეობის რიცხვის განახევრება. აღნიშნული მიზნის მიღწევის ინდიკატორებად მიჩნეულია:

- წონადაკარგული ბავშვების რიცხოვნება (ხუთ წლამდე ბავშვებში);
- უმწეოთა მიერ საკვები ენერგიების მოხმარების მაჩვენებელი;
- რეკომენდირებულ დღიურ ნორმასთან მიმართებით მიკროელემენტების მოხმარება;
- შინამეურნეობის საკვებზე გაწეული დანახარჯების წილი.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგის ერთ-ერთ მიზანს კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება წარმოადგენს.

ამ მიზნით საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში მუშავდებოდა სახელმწიფო პროგრამა „იოდის და სხვა მიკროელემენტებით გამოწვეული დარღვევათა პროფილაქტიკისთვის“. აღნიშნული პროგრამის შესრულებისას ჩვენი მოსახლეობის კვებაში გამოვლინდა რიგი დარღვევები, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას (იოდის დეფიციტი, რკინა-დეფიციტური ანემია, რიგი ვიტამინების დეფიციტი და ა.შ.). სამწუხაროდ, რიგი ობიექტური მიზეზების გამო (წყვეტილობა დაფინანსებაში და სხვა) პროგრამამ ვერ მოახერხა ყველა იმ დარღვევების გამოვლენა, რომელიც დღესდღეობით არსებობს ჩვენი მოსახლეობის კვებასა და ყოფიერებაში.

მოგვიანებით, 2005 წლის მარტში კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების ჭრილში ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად ჯანმო-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) საკვების უსაფრთხოების ევროპის პროგრამის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან და ირლანდიის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა სემინარი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო დონეზე საკვების უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შექმნას. ამ ჯგუფში უნდა შესულიყვნენ საკვების უსაფრთხოების საკითხებში ჩართული ყველა სამინისტროსა და ინსტიტუტის წარმომადგენლები, იგულისხმებოდა, რომ მომზადდებოდა ქვეყნის პროფილი (ქვეყანაში არსებული სიტუაციის და საჭიროებათა გამოკვეთის მიზნით) და საკვების უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია. 2006 წელს კანონის შესაბამისად შეიქმნა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური“.

ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობაა, რომელიც ძირითადად სრულდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ.

რაც შეეხება ქვემოთ ჩამოთვლილ სტრატეგიებს, როგორცაა დახმარების განევა ძუძუთი კვებასა და უსახლკაროთა და სოციალურად დაუცველთა მოვლა, საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს და გაეროს ბავშვთა ფონდის), პედაგოგიური სამსახურების და ჰუმანიტარული საზოგადოების ხელშეწყობით ხორციელდება;

ვერ ვიტყვი, რომ უყურადღებოდაა დარჩენილი სტრატეგია – კონკრეტული სახეობის საკვები მიკროელემენტების უკმარისობის პროფილაქტიკა; ამ მიმართულებით, იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით, ქვეყანაში საკმაოდ დიდი შრომაა განეული.

მიმდინარეობს კვლევები საქართველოს მოსახლეობაში რკინის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა გამოვლენისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებისათვის, მაგრამ სასურველია, რომ კვლევები ამ ქრილში უფრო ღრმა და მასშტაბური იყოს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით სასიკეთო ძვრები მაინც არის. არასამთავრობო ორგანიზაციის „გაუმჯობესებული კვლევის ალიანსი საქართველოში“ ინიციატივით საქართველოს პარლამენტში ჩატარდა ანემიის დაძლევის ეროვნული პროგრამის პრეზენტაცია.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წელია არაფერი კეთდება ისეთი სტრატეგიების განვითარებისათვის, როგორცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესისა და კვების სწორი რაციონების ხელშეწყობა; კვების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, ანალიზი და მონიტორინგი.

დღეისათვის სწორი კვების ასპექტში (კვების პოლიტიკის სწორად წარმართვის საკითხებში) ბევრი რამ არის გასაკეთებელი. შესაქმნელია ეკონომიკური, საკანონმდებლო და მატერიალური ბაზა.

- მართალია, დაწყებულია მუშაობა საკვები პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში ნორმატიული ბაზის სრულყოფის მიზნით, შემუშავებულია ნორმატიული დოკუმენტები, მაგრამ განეული მუშაობა არ არის საკმარისი. დღეს ქვეყანას არა აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტებისა, რომელთა გარეშე შეუძლებელია დასახული ეფექტების მიღწევა. პარალელურად, ახალი დოკუმენტების შემუშავებასთან ერთად, პერმანენტულად უნდა ხდებოდეს არსებული ბაზის სრულყოფა.
- მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პირობები გავლენას ახდენს მოსახლეობის კვებასა და ჯანმრთელობაზე. მიღებულია, რომ სახელმწიფოში 5-6 წელიწადში ერთხელ უნდა ხდებოდეს მოსახლეობის ფაქტობრივი კვებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა არსებული დარღვევების გამოვლენის, კვების სტრუქტურის გაუმჯობესების, მასობრივი მოხმარების პროდუქტების წილის გაზრდის ან შემცირების მიზნით. ასეთი მასშტაბური კვლევები უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჩვენთან არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ერთეულ პილოტურ გამოკვლევებს (საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელშეწყობით). ამ ტიპის კვლევები საშუალებას მოგვცემს, გამოვალინოთ საკვები ნივთიერებების დეფიციტის დონე; შევიმუშავოთ სწორი კვების რეგიონული პროგრამები, გავაუმჯობესოთ კვების სტრუქტურა, გავზარდოთ მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების მქონე პროდუქტების წარმოება და გამოყენება.
- კვების ნორმების შემუშავების მიზნით შესასწავლი და დასამუშავებელია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კვების საკითხები (ასაკობრივი და პროფესიული დატვირთვის ქრილში: საჯარისო ნაწილები, ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფები, პენიტენციული სისტემა და სხვა);



- არანაკლებ მნიშვნელოვანია საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულის ხარისხსა და უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, ჯანმო და მსოფლიოს სასურსათო ორგანიზაცია) რეკომენდაციები და მოთხოვნები;
- ცვლილებები საკვები პროდუქტების მოხმარების სტრუქტურაში საკმაოდ სწრაფად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ბავშვთა და მოზარდთა ანთროპომეტრიულ (ზრდა-განვითარების) მაჩვენებლებზე. დღეს ჩვენ არა გვაქვს ქვეყნის მასშტაბით ანთროპომეტრიული კვლევების მაჩვენებლები არა მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულის, არამედ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. დროა ეს ხარვეზიც ამოვივსოთ და შეიქმნას ჩვენი მომავალი თაობის ანთროპომეტრიული მაჩვენებლების მონაცემთა ბაზა, რათა შემდეგში მაინც მოხერხდეს მათი შედარება;
- აუცილებელია შეიქმნას ლაბორატორია, სადაც გენური ინჟინერიით გამოყვანილ და შექმნილ საკვებ პროდუქტებსა და ნედლეულს გააკონტროლებენ. საკვებმა პროდუქტებმა არ უნდა მიაყენოს ზიანი ადამიანის ჯანმრთელობას;
- გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა კვების ნორმების შემუშავება, ამ ტიპის დანესებულებებში შესაბამისი ნორმატიული აქტების სრულყოფა კვების სწორი ორგანიზაციის მიზნით;
- ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქვეყნის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დანესებულებებში დიეტური კვების ორგანიზაცია. არსებული სიტუაციის შესწავლის მიზნით გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ სტანდარტირებისა და ნორმირების სამმართველოს ხელშეწყობით ჩატარებული იქნა გამოკვლევები და შედეგი სავალალოა, ერთეული გამონაკლისის გარდა (სამკურნალო კომბინატი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრი) ყველა სამკურნალო დანესებულებაში აღსადგენია დიეტური კვება და საშტატო ერთეულები კვალიფიცირებული პერსონალითაა დასაკომპლექტებელი.

აღნიშნული სტრატეგიების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მართვის სხვადასხვა სექტორის, საერთაშორისო დანესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეალური მდგომარეობა (მომხმარებელი და სურსათის უვნებლობის საკითხები საქართველოში)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსამბლის მიერ 1991 წელს მიღებული იქნა რეზოლუცია „სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად“, რომელიც მოიცავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რვა ძირითად პრინციპს:

- უსაფრთხოების უფლება;
- ინფორმირების უფლება;
- მოსმენის უფლება;
- არჩევანის უფლება;
- ანაზღაურების უფლება;
- განათლების უფლება;
- ჯანსაღი გარემოს უფლება;
- ძირითად მოთხოვნათა უფლება.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სწორედ ამ რვა ძირითადი პრინციპით ხორციელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე მომხმარებელთა უფლებები დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონებით „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „სტანდარტიზაციის შესახებ“, „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებით.

წლების განმავლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და პროდუქციის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობას ახორცილებდნენ საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური, საქსტანდარტი, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახური, გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტრო და ზოგიერთი სხვა სტრუქტურა. 2003 წლამდე საქსტანდარტში გაერთიანებული იყო სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, მეტროლოგიის, სერტიფიკაციისა და კონტროლისა და ზედამხედველობის სამმართველოები. ეს უწყება აწესებდა სტანდარტებს, აკრედიტაციას უწევდა ლაბორატორიებს, ახორცილებდა მეტროლოგიური ხელსაწყოების ტიპის დადგენასა და დამონმებას და ახორცილებდა სამომხმარებლო ბაზრის ზედამხედველობასა და კონტროლს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და ევროგაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, საქსტანდარტი უნდა გათავისუფლებულიყო ყველა სხვა ფუნქციისაგან და დაკავებული ყოფილიყო მხოლოდ სტანდარტების განახლებით, მათი გამოცემით, მომხმარებელთაგან მათი დაყვანითა და სტანდარტების რეესტრის წარმოებით, რისი მიღწევაც ვერ მოხერხდა, ამ სამსახურის გაუქმების გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩამოყალიბებული სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური კურორებს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სფეროს. ენერგეტიკისა და კავშირის სფეროებს – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) და საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში შექმნილი მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურები. თუმცა, როგორც აღინიშნა, ბევრ სფეროში არ ჩამოყალიბებულა ერთიანი საზედამხედველო ორგანო. მაგალითად, სამრეწველო-საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, ბავშვთა სათამაშოებისა და ტანსაცმელის და სხვა მრავალი საქონლის ან მომსახურების სფეროში მომხმარებელის უფლებები სრულიად დაუცველია.

2005 წლის დეკემბრის თვეში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად: „კანონის მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა, მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათთან მიმართებაში შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით“.

არასამთავრობო ორგანიზაციის „კავშირი XXI საუკუნის“ მიერ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ჩატარებული სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგის შედეგების მიხედვით შემონმებული 50 სახეობის პროდუქციიდან, მხოლოდ სამი აკმაყოფილებდა ყველა მოქმედ მოთხოვნას. გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევები: შენახვისა და რეალიზაციის პირობები, შესაბამისი სტანდარტებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დარღვევა; რიგი პროდუქცია იყო ვადაგასული ან შეუძლებელი იყო მისი გამოშვების თარიღის დადგენა; რიგ პროდუქციას არ გააჩნდა ქართულენოვანი ეტიკირება (კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, 6-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევა).

თუ მონიტორინგის წლებანდელ და 2004 წლის მონიტორინგის შედეგებს შევადარებთ, სავალალო სურათს მივიღებთ:



	2004 წელი	2005 წელი
შესაბამობის სერტიფიკატი ან უვნებლობის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა	13%	0
რეალიზაციის პირობების დარღვევა	87%	60%
ქართულენოვანი ეტიკეტი	20%	42%
ვარგისიანობის ვადის დარღვევა	27%	34%

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთადერთი გაუმჯობესება რეალიზაციის პირობების დარღვევათა შემცირებაში აღინიშნება (87%-დან 60-მდე), რაც მომრავლებული მარკეტების შედეგია, სადაც რეალიზაციის პირობები მეტ-ნაკლებად დაცულია.

ეტიკეტირება

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის თანახმად „დამამზადებელი გამყიდველი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ“ (პუნქტი 1) და „ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიენოდოს ქართულ ენაზე“ (პუნქტი 2). იმის სადემონსტრაციოდ თუ რა მდგომარეობაა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე, საკმარისია მონიტორინგის შედეგების გაანალიზება.

კანონის მოთხოვნის მიუხედავად არაქართულენოვანი ეტიკეტის პირობებით გაჯერებული სამომხმარებლო ბაზარი. შეიძლება ვინმე შეგვედაოს, რომ ახლადდამატებული 361 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „2008 წლის 1 ივნისამდე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით“, მაგრამ რას ნიშნავს ეს „განსაკუთრებული შემთხვევები“, ან რა ითვლება „განსაკუთრებული შემთხვევებად“?

მონიტორინგის ჩატარებისას სუპერმარკეტებში შეძენილი 24 დასახელების პროდუქციის არაქართულენოვანი ეტიკეტირება „განსაკუთრებული შემთხვევაა“ (ნებისმიერ სუპერმარკეტებში შესვლისას დარწმუნდებით, რომ იმპორტირებული პროდუქციის 80%-ზე მეტს არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტირება). ყველაზე თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ 2004 წელთან შედარებით (როდესაც ნაწილობრივ მაინც მუშაობდა საზედამხედველო ორგანოები) 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა სამომხმარებლო ბაზარზე არაქართულენოვანი პროდუქციის რაოდენობა. გასათვალისწინებელია, რომ მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ კვების პროდუქტებზე. თუ გადავხედავთ სამრეწველო-საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, ბავშვთა სათამაშოებს და ტანსაცმელს და სხვა საქონელს, მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშოა. ქართულენოვანი ინფორმაციას თითქმის ვერ ნახავთ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე და სხვა საქონელზე, რაც სავალდებულოა. ე.ი. სახეზეა საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის დარღვევა.

სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ მე-19 მუხლის თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა შეემუშავებინა სურსათის ეტიკეტირების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც დღემდე არ შემუშავებულა.

შესაბამისობის სერტიფიკატი

საქართველოს კანონის „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ 361 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია: „საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 1 თებერვლამდე დაადგინოს სურსათისა და

სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესი და უზრუნველყოს აღნიშნული სისტემის ამოქმედება“, რომლის თანახმადაც საქართველო გადადის ტარის ჰიგიენურ სერტიფიცირებაზე. სამწუხაროდ, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ეს იქნება შესაბამისობის სერტიფიკატი, თუ განაცხადი-დეკლარაცია, მომთხოვნი სახელმწიფო ორგანიზაცია არ არსებობს.

რეალიზაციის პირობები

მონიტორინგმა მოიცვა თბილისის, რუსთავისა და მარნეულის ბაზრობები და რამდენიმე მსხვილი მარკეტი. რეალიზაციის პირობების მიხედვით მარკეტები ძირითადად აკმაყოფილებს რეალიზაციის პირობებს (თუმცა აღსანიშნავია შეუფუთავი პურის ხელთათმანის გარეშე რეალიზაციის არაერთი ფაქტი), რასაც ვერ ვიტყვით ბაზრობებზე.

ყველა ბაზრობაზე იდენტური სურათია. იქ სრული ანტისანიტარიაა. დარღვეულია ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძის ნაწარმის, თევზის, კრემიანი ნაწარმის, კვერცხის რეალიზაციის პირობები. კვების პროდუქტები ძირითადად იყიდება ღია ცის ქვეშ. ერთმანეთის გვერდით იყიდება ისეთი პროდუქტები, რომლის ერთად ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზება დაუშვებელია. მაგალითად, საკვები პროდუქტი და სარეცხი საშუალებები და ა.შ. საკვები პროდუქტები დაუცველია მტვრისა და სხვა დამაბინძურებელი ფაქტორებისგან. მრავალი დასახელების პროდუქციის გამოშვების ვადის დადგენა შეუძლებელია; ან ვადაგასულია, გაჯერებულია ემულგატორებით და სხვა სახის ხელოვნური დანამატებით.

მეტროლოგიური სამსახურების მუშაობა ფაქტიურად არ ხორციელდება. პროდუქციის რეალიზაციისას გამოყენებული სასწორები დაუმონებულა.

საკვებდანამატები

საკვებდანამატები არის ბუნებრივი შენაერთები ან ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც მცირე რაოდენობით ემატება საკვებ პროდუქტებს, მისი საკვები ღირებულების, გარეგნული სახის თუ შენახვის ხანგრძლივობის გასაუმჯობესებლად. ამ დადებით თვისებებთან ერთად, ზოგიერთ საკვებდანამატს გააჩნიათ უკუქმედებანი, რაც ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა სახის დაავადებების პროვოცირებას იწვევს. ამიტომ, მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ მუდმივად მიმდინარეობს კვლევა ამ მიმართულებით.

შედგენილია ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში იმ საკვებდანამატების სია, რომლებმაც შეიძლება პროვოცირება გაუკეთოს სხვადასხვა დაავადებას. საქართველოში აკრძალულია ექვსი საკვებდანამატის გამოყენება, თუმცა, ეტიკეტის მიხედვით შეუძლებელია პროდუქციაში შემავალი საკვებდანამატების არსებობის დადგენა.

კომენტარები საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ცვლილებებზე სურსათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

საქართველოს კანონში „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმად გადავადებულია საქართველოს კანონში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ დეკლარირებული დებულებების მოქმედება და 361-ე მუხლში მითითებულია კონკრეტული ვადები – მუხლი 22, 23 და 30 ამოქმედებისათვის 2009 წლის 1 იანვარი.

ზემოაღნიშნული მუხლები ეხება ინსპექტირებას, მის ზოგად პრინციპებსა და სამსახურის წლიურ ანგარიშსა და გეგმას. კანონპროექტით მითითებული იყო გადავადება 2009 წლის 1 იანვრამდე, ხოლო



შეტანილი ცვლილების მიხედვით (29.12.2006) გადავადება მოხდება 2008 წლის 1 ივნისამდე. ასევე 361 მუხლის 3 პუნქტში მითითებული იყო, რომ 2009 წლის პირველ იანვრამდე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით. შეტანილი ცვლილებების მიხედვით (29.12.2006) გადავადდა 2008 წლის N1 ივნისამდე.

მუხლი 36. მე-8-ე პუნქტში მითითებულია მიკლვევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერილების სისტემის დანერგვის განხორციელება (29.12.2006), რაც ცვლილების მიხედვით გადავადდა 2010 წლის 1 იანვრამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ მიღებული იქნა ერთი წლის წინ, 2005 წლის 28 დეკემბერს და პრაქტიკულად გარკვეული მუხლების ამოქმედება გადავადდა.

დღეისათვის, როცა საქართველოს ბაზარი გაჯერებულია გაურკვეველი წარმოშობის პროდუქტით, რომლის მოკვლევადობისა და საფრთხის ანალიზი პრაქტიკულად შეუძლებელია, მოსახლეობის უსაფრთხო საკვებით უზრუნველყოფის მიზნით სასურველი იქნებოდა ვადების შემცირება. ამასთან, საქართველოს კანონში „ბიოლოგიური აგრონარმოების განხორციელების შესახებ“ (მიღებულია 2006 წლის 25 ივნისს, ძალაში უნდა შევიდეს 2007 წლის 1 მარტს) საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია კანონპროექტი ცვლილებების შეტანის თაობაზე. ცვლილება ეხება მე-18-ე მუხლს, რათა კანონის ამოქმედება 2007 წლის 1 მარტის ნაცვლად, გადავადდეს 2007 წლის 1 ოქტომბრამდე.

მე-13-ე მუხლი:

1. სახელმწიფო სერთიფიკატი არის კერძო ვეტერინარული საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს კერძო ვეტერინარული საქმიანობის ფარგლებსა და ვადას.
2. სახელმწიფო სერთიფიკატის ფორმას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

განმარტებით ბარათში მითითებული იყო, რომ ბიოლოგიური აგრონარმოების „შემფასებელი ორგანოს აკრედიტაცია, საკმაოდ სრული და გრძელვადიანი პროცესია და ექსპერტების ვარაუდით, ეს პროცესი შეიძლება დასრულდეს მარტისა და აპრილის თვეში, ხოლო ბიომეურნეობის ჩამოყალიბების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონს და შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც ასევე დაუშვებელია პროცედურების ხანგრძლივობის გამო; ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული კანონის ამოქმედების ვადის გადაწევა 2007 წლის 1 მარტიდან 2007 წლის 1 ოქტომბრამდე“.

მნიშვნელოვანია საკვებზე ბიოლოგიური აგროსანარმოების დასკვნა და ამ სანარმოს სრულყოფა, მაგრამ გაუგებარია, კანონი ნაჩქარევად რატომ მიიღეს; ასევე გაურკვეველია განმარტებით ბარათში ერთის მხრივ მითითებული ფრაზა, რომ „ექსპერტების ვარაუდით“ ხდება გადავადება და ამავე ბარათის ბოლოს კი მითითებულია რომ „კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ“.

მიგვაჩნია, რომ ოქტომბრის თვემდე კანონის ამოქმედების გადაწევა გამოიწვევს კიდევ ერთი აგრარული წლით ბიოლოგიური აგრონარმოების პროდუქტებზე პრაქტიკულად ზედამხედველობის არარსებობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელი იყო ექსპერტებისა და ამ დარგის პროფესიონალების უფრო აქტიური ჩართვა ერთიანი ეროვნული აკრედიტაციის ცენტრის ფორმირებაში.

ზემოთაღნიშნულ ორ კანონში ცვლილებებს ნაწილობრივ უკავშირდება ასევე ცვლილებები საქართველოს კანონში „ვეტერინარ ექიმთა სახელმწიფო სერთიფიცირების წესის შესახებ“. (მიღებულია 2004

ნლის 24 ოქტომბერს, შესულია ძალაში 2005 წლის 1 აპრილიდან). ამ კანონის 49-ე მუხლის თანახმად გამოიცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის შენდები ბრძანებები:

1. „ვეტერინარ ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო კურსების პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
2. „ვეტერინარ ექიმთა სასერტიფიკატო საბჭოს შექმნის შესახებ“;
3. „კერძო ვეტერინარულ სპეციალობათა და სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი ვეტერინარული სასწავლებლების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნულმა კანონქვემდებარე აქტებმა შექმნეს სამართლებრივი საფუძველი ვეტერინარ ექიმთა სერტიფიცირებისათვის. როგორც მასში მითითებულია, „ტექნიკურად ვერ მოხერხდა 2006 წლის 31 დეკემბრამდე ყველა ვეტერინარ ექიმთა სერტიფიცირება, წარმოდგენილი პროექტით სერტიფიცირების ვადა 2007 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა და 2008 წლის 1 იანვრიდან კერძო ვეტერინარული საქმიანობა აეკრძალა ყველა იმ ვეტერინარ ექიმს, რომელსაც არ ექნება კერძო ვეტერინარულ საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი“.

როგორც ირკვევა, კიდევ ერთი წლის განმავლობაში, საკვები პროდუქტების ვეტერინარული შეფასების საკითხი ვერ იქნება სრულყოფილი და კანონით დარეგულირებული. მოსახლეობის ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა, კი ჯანმრთელობაზე მათი კონსტიტუციური უფლების ხელყოფას უქმნის საფრთხეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი უცხოური თუ სამამულო უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში პროდუქციის გასაღების ბაზარს წარმოადგენს და საუბარიც კი ზედმეტია მოქალაქეთა კონსტიტუციითა თუ სხვა ნორმატიული აქტებით დეკლარირებული უფლებების დაცვაზე (კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336, 342-248 მუხლები, კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და ა.შ.).



სიკვდილობის სპექტრი და მიზეზები
საქართველოს პენიტენციურ სისტემაში
(2006 წლის 2-ე ნახევრის მონაცემების ანალიზი)

ცხრილი 1. შემთხვევათა საძიებელი

№	დასკვნის №	გარდაცვლილი	სიკვდილის დრო	ექსპერტი	შენიშვნა
1	613	გიორგი ა.	17 ივლისი	ჯიბლაძე	
2	603	მერაბ ბ.	15 ივლისი	გრიგოლაშვილი	
3	630	მიხეილ თ.	23 ივლისი	გრიგოლაშვილი	
4	632	თენგიზ ბ.	24 ივლისი	ჯიბლაძე	
5	646	მურად მ.	28 ივლისი	გოგიტაური	
6	645	ხვიჩა ლ.	28 ივლისი	ჯიბლაძე	
7	97	ევლოგი კ.	31 ივლისი	გრიგორაშვილი	
8	655	გელა გ.	1 აგვისტო	მალრაძე	
9	657	კუკური მ.	4 აგვისტო	ჯიბლაძე	
10	658	ჯაბა ჯ.	4 აგვისტო	ზანკალიანი	
11	1299/1-გ	ანზორ ჩ.	7 აგვისტო	აბაშიძე	
12	670	კახა ბ.	7 აგვისტო	მალრაძე	
13	671	ვეფხია შ.	8 აგვისტო	მალრაძე	
14	678	კახაბერ შ.	8 აგვისტო	ზანკალიანი	
15	677	თეიმურაზ ჩ.	9 აგვისტო	ზანკალიანი	
16	679	ილიკო ი.	9 აგვისტო	ზანკალიანი	
17	682	მოგელი ც.	11 აგვისტო	ზანკალიანი	
18	708	მერი ჯ.	18 აგვისტო	მალრაძე	
19	720	ოთარ მ.	22 აგვისტო	ახალკაციშვილი	
20	744	რევაზ ნ.	1 სექტემბერი	გრიგოლაშვილი	
21	742	პაატა ლ.	1 სექტემბერი	ზანკალიანი	
22	749	ზვიად ი.	3 სექტემბერი	გრიგოლაშვილი	
23	745	გელა ნ.	2 სექტემბერი	გრიგოლაშვილი	
24	750	იზბერ თ.	4 სექტემბერი	გრიგოლაშვილი	
25	760	ედიშერ ე.	10 სექტემბერი	ზანკალიანი	
26	771	ვანო ჩ.	12 სექტემბერი	ახალკაციშვილი	
27	31	გელა ბ.	13 სექტემბერი	ფეტელავა	
28	784	აბდულა ი.	13 სექტემბერი	კიკაბიძე	
29	795	თეიმურაზ ფ.	19 სექტემბერი	მალრაძე	

ექსპერტის დასკვნის შეფასება 1-29

გვარი და სახელი – გიორგი ა.

ასაკი – 24 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ (გვარი არ არის) 18.07.2006

ექსპერტის დასკვნა №613

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – პ. ჯიბლაძე (მუშაობის სტაჟი – 22 წ.)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სასექციო

ექსპერტიზა დაიწყო – 18 ივლისი, 2006, 13.00 სთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 7 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 17 ივლისს დახლოებით 07 სთ. 30 წთ-ზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპყრობილეს სპეცკოორპუსის №3 საკანში ნანახი იქნა მსჯავრდებულის გვამი, შავი თასმით ჩამოკიდებული სარკმლის რკინის გისოსზე.

გარეგანი გამოკვლევა – ხელის შეხებით ყველა მიდამო ცივია. გვამური გაშეშება გამოხატულია სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში. გვამური ლაქები მოიხსნა-მოლურჯო, უხვად არის გამოხატული სახის, სხეულის უკანა და გვერდით ზედაპირებზე, თითის დაჭერით ფერმკრთალდებიან და აღიდგენენ პირვანდელ ფერს 1,5 წუთის გასვლის შემდეგ. კისერზე აღწერილია მოძრავი ატიპური მარყუჟით განვითარებული სტრანგულაციური ღარი კვანძის გვერდითი მდებარეობით, „ქვემოდან ზემოთ მარჯვნიდან მარცხნივ“ მიმართული, „რომელიც იკვრება კისრის ზემო მესამედში მარცხენა გვერდით ზედაპირზე“. მარჯვენა წინამხრის ზემო მესამედში ორი სწორკიდეებიანი ერთმანეთისაგან 4 სმ-ით დაშორებული პირლია ქრილობა, ზომით 3,5X0,5 სმ და 3,6X0,5 სმ. დაზიანებულია კანი, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი და რბილი ქსოვილები.

შინაგანი გამოკვლევა – აღწერილია მექანიკური ასფიქსიის შესაბამისად. ფილტვების და თირკმლების ზომები გაერთიანებულია და მოყვანილია ერთად.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია მარყუჟზე ჩამოკიდებით.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. აქტის აღწერილობით ნაწილში სტრანგულაციური ღარის მდებარეობა არის „ქვემოდან ზემოთ მარჯვნიდან მარცხნივ მიმართული“, ხოლო დასკვნით ნაწილში გამოტანილია საპირისპირო – „ქვემოდან ზემოთ მარცხნიდან მარჯვნივ“.
2. აქტის აღწერილობით ნაწილში არ არის აღწერილი მარცხენა მტევნის I-II თითებს შორის ხელ-ზურგის ზედაპირზე არსებული ნაჭდევი, ხოლო დასკვნით ნაწილში ჩნდება აღნიშნული დაზიანება.
3. დასკვნაში მითითებულია, რომ მარჯვენა წინამხრის ზემო მესამედში არსებული სწორკიდეებიანი ქრილობები განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე დროის უახლოეს პერიოდში, მაგრამ აქტის აღწერილობითი ნაწილიდან გაუგებარია, როგორ დაადგინა ექსპერტმა ამ დაზიანებების სიცოცხლისდროინდელი და ხანდაზმულობა.
4. აღწერილობით ნაწილში წყვილი შინაგანი ორგანოების – ფილტვებისა და თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად, ხოლო ზოგიერთი შინაგანი ორგანოს ზომა სულ არ არის მითითებული.
5. დადგენილებაში დასმულ კითხვაზე, როდის დადგა გიორგი ა.-ს სიკვდილი, ექსპერტი დასკვნით ნაწილში მიუთითებს, რომ „სიკვდილის დადგომიდან გვამის გამოკვლევამდე გასულია არანაკლებ 4 და არაუმეტეს 6 საათისა“. როგორც საქმის გარემოებიდან ირკვევა, გიორგი ა.-ს გვამი 2006



წლის 17 ივლისს დახლოებით 07 სთ 30 წთ-ზე აღმოაჩინეს, ხოლო ექსპერტიზა დაიწყო 18 ივლისს 13.00 სთ-ზე, ე.ი. შემთხვევის ადგილზე გვამის აღმოჩენიდან დაახლოებით 29-30 საათის შემდეგ. ასევე შეუძლებელი იყო აღწერილობით ნაწილში ექსპერტს ენახა ისეთი გვამური ლაქები, რომლებიც „თითის დაჭერით ფერმკრთალდებიან და აღიდგენენ პირველად ფერს 1,5 წთ-ის გასვლის შემდეგ“, რადგან 30 საათის გასვლის შემდეგ გვამური ლაქები ზენოლით ფერს აღარ იცვლის. ჩვენი მოსაზრებით, სიკვდილის თარიღი საქმის გარემოებებში არასწორადაა მითითებული და გიორგი ა.-ს გვამი ნანახი უნდა ყოფილიყო არა 17 ივლისს, არამედ 18 ივლისს დილის 7 სთ 30 წთ-ზე.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 2-28

გვარი და სახელი – მერაბ ბ.

ასაკი – არ არის მითითებული (32 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის ა. ნეფარიძის მიერ 15.07.2006

ექსპერტის დასკვნა №603

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. გრიგოლაშვილი (მუშაობის სტაჟი – 6 წ.); ნ. კიკაბიძე (მუშაობის სტაჟი – 12 წ.)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურა

ექსპერტიზა დაიწყო – 15 ივლისი, 2006, (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 17 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 15 ივლისს, დახლოებით 11 სთ. 45 წთ-ზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული მერაბ ბ.

დასკვნითი ნაწილი: მერაბ ბ.-ს სიკვდილის მიზეზია ფილტვების ორმხრივი კავერნოზული ტუბერკულოზი.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. ფილტვების და თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
2. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული მერაბ ბ.-ს ასაკი და ექსპერტიზის დაწყების საათი.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 3-27

გვარი და სახელი – მიხეილ თ.

ასაკი – მითითებული არ არის (31 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის შერაზადაშვილის მიერ 23.07.2006

ექსპერტის დასკვნა №630

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. გრიგოლაშვილი (მუშაობის სტაჟი – 6 წ.); ნ. კიკაბიძე (მუშაობის სტაჟი – 12 წ.)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურა

ექსპერტიზა დაიწყო – 23 ივლისი, 2006 (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 24 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – პატიმართა ჩვენების მიხედვით, 2006 წლის 23 ივლისს, თავის საკანში მიხეილ თ.-ს 14 სთ. 05 წთ-ზე დენმა დაარტყა.

გარეგანი გამოკვლევა – ხელის შეხებით ყველგან თბილია. გვამური გაშეშება გამოსატყული არ არის. გვამური ლაქები გამოსატყული არ არის. დაზიანებები: მარცხენა ტერფის არეში I და II თითების შიგნითა ზედაპირებზე აღენიშნება 0,7X0,5 და 0,6X0,8 სმ ზომის უბნები მოყვანისფრო-მოყვითალო ფერის, კანის ზედაპირიდან მცირედ დაბლა მდებარე, მორგვისებურად შემალღებული კიდეებით, ალაგ აღნიშნულ უბნებზე ეპიდერმისი აშრევებულია ქვემდებარე დერმისაგან.

შინაგანი გამოკვლევა – თირკმლები ჩვეულებრივი ფორმის და მოყვანილობის, ზომებით 11X6X4 სმ. **დასკვნითი ნაწილი** – სიკვდილის მიზეზია ელექტროტრავმა.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული მიხეილ თ.-ს ასაკი და ექსპერტიზის დაწყების საათი.
2. აღწერილობით ნაწილში ფილტვების და თავის ტვინის ზომები არ არის მითითებული; თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
3. დადგენილებიდან ირკვევა, რომ მიხეილ თ. მოკვდა 23.07.2006, 14 სთ. 05 წთ-ზე. გვამის გარეგნული დათვალიერებით ექსპერტი აღნიშნავს, რომ „ხელის შეხებით ყველგან თბილია, გვამური გაშეშება გამოსატყული არ არის, გვამური ლაქები გამოსატყული არ არის“ და არსად არ არის აღწერილი სიკვდილის დამადასტურებელი უტყუარი ნიშნები. როგორც ცნობილია, გვამური ლაქები ოთახის ტემპერატურაზე სიკვდილიდან 2-4 საათში ვითარდება, ხოლო გვამი გაიკვეთა ივლისში და მალაღი ტემპერატურის გამო გვამური ლაქები უფრო ადრე უნდა განვითარებულიყო. გაუგებარია, როგორ და ვის მიერ მოხდა სიკვდილის კონსტატაცია და რატომ გაიკვეთა გვამი ასე მალე.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 4-26

გვარი და სახელი – თენგიზ ბ.

ასაკი – 52 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის დ. შერაზადაშვილის მიერ 24.07.2006

ექსპერტის დასკვნა №632

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – პ. ჯიბლაძე (მუშაობის სტაჟი – 22 წ.)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სასექციო

ექსპერტიზა დაიწყო – 24 ივლისი, 2006, 14-15 სთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 22 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 24 ივლისს, დაახლოებით 02 სთ-ზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი თენგიზ ბ.

გარეგანი გამოკვლევა – „... სპინქტერები დახურული“ (რომელი სპინქტერები?).

შინაგანი გამოკვლევა – ფილტვები ზომებით 25X15X8,5 სმ.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა განვითარებული გულის ქრონიკული იშემიური ავადმყოფობის გამწვავების ფონზე.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. აღწერილობით ნაწილში თავის ტვინის ზომები არ არის მითითებული; ფილტვების ზომები მოყვანილია ერთად.



ექსპერტის დასკვნის შეფასება 5-25

გვარი და სახელი – მურად მ.

ასაკი – 40 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის კ. ქართველიშვილის მიერ 28.07.2006

ექსპერტის დასკვნა №646

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – მ. გოგიტაური (მუშაობის სტაჟი – 13 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 28 ივლისი, 2006 წ., 18 სთ. 30 წთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 13 სექტემბერი, 2006 წ.

საქმის გარემოება – 2006 წლის 28 ივლისს სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 15 სთ. 20 წთ-ზე გარდაიცვალა პატიმარი მურად მ. კლინიკური დიაგნოზი – უცნობი ეტიოლოგიის კომატოზური მდგომარეობა, გულ-ფილტვის მწვავე უკამარისობა.

გარეგანი გამოკვლევა – გვამური გაშეშება არათანაბრად გამოსატყული კუნთების ჯგუფებში (რომელ ჯგუფებში?).

შინაგანი გამოკვლევა –

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია მწვავე ნარკოტიკული ინტოქსიკაცია გამონეწეული ჰეროინით. მურად მ.-ს აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები, რომლებიც სიკვდილთან კავშირში არ არის.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. აღწერილობით ნაწილში თავის ტვინის, ფილტვების და თირკმლების ზომები არ არის მითითებული.
2. გვამი გაიკვეთა სიკვდილიდან სამ საათში, რატომ?
3. გაურკვეველია არათანაბარი გაშეშება რომელი ჯგუფის კუნთებშია გამოსატყული და როგორ.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 6-24

გვარი და სახელი – ხვიჩა ლ.

ასაკი – 38 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის ა. ნეფარიძის მიერ 28.07.2006

ექსპერტის დასკვნა №645

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – პ. ჯიბლაძე (მუშაობის სტაჟი – 22 წ.)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სასექციო

ექსპერტიზა დაიწყო – 28 ივლისი, 2006, 13 სთ. 30 წთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 18 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 28 ივლისს დაახლოებით 01 სთ-ზე სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი ხვიჩა ლ.

გარეგანი გამოკვლევა – „... სპინექტრები დახურული“ (რომელი სპინექტრები?).
შინაგანი გამოკვლევა – ფილტვები ზომით 23X14X8,5 სმ, თირკმლები ზომებით 12X7,5X4 სმ.
დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზის ფონზე განვითარებული სუნთქვის და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. აღწერილობით ნაწილში თავის ტვინის და ლეიძლის ზომები არ არის მითითებული, მით უფრო, რომ ჰისტოლოგიურ დიაგნოზში გამოტანილია „ციროზი“.
2. ფილტვების და თირკმლების ზომები მითითებულია ერთად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 7-23

გვარი და სახელი – ევლოგი კ.

ასაკი – 54 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის მ. სანიკიძის მიერ 31.07.2006

ექსპერტის დასკვნა №97

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ი. გრიგორაშვილი (მუშაობის სტაჟი – 26 წ.)

გაკვეთის ადგილი – არ არის აღნიშნული

ექსპერტიზა დაიწყო – 31 ივლისი, 2006, 16 სთ. 30 წთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 6 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 31 ივლისს 00 სთ-ზე მსჯავრდებული მოულოდნელად შეუძლოდ გახდა, დაეცა არტერიული წნევა, რასაც დაერთო ლებინების შეგრძნება და დიარეა, 02 სთ-ზე სასწრაფომ ევლოგი კ. ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანა. 10 სთ-ზე მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო იმის გამო, რომ იუსტიციის სამინისტროს აღნიშნულ საავადმყოფოსთან მომსახურებაზე ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული. საავადმყოფოს ადმინისტრაციის მოთხოვნით ავადმყოფი მსჯავრდებული ევლოგი კ. ქუთაისის შპს ო. ჩხოზაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო სარეაბილიტაციო რეგიონულ კლინიკურ ცენტრში გადაიყვანეს. დაახლოებით 11:30 სთ-ზე ავადმყოფისათვის ინტოქსიკაციის სავარაუდოდ დიაგნოზის დასმის მოტივით ის ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 30 წთ-ის შემდეგ, წინასწარი მონაცემებით გულის უკმარისობით გარდაიცვალა 12:05 სთ-ზე.

გარეგანი გამოკვლევა – გვამი ხელის შეხებით ცივია (?). გვამური გაშეშება კარგად გამოხატული სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში (?).

შინაგანი გამოკვლევა – თირკმლები ზომით 11X5X3 სმ.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. მძიმე კორონაროკარდიოსკლეროზი.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემები ერთმანეთთან შეუსაბამოა.
2. ექიმთა ასოციაციამ შესაძლებელია განიხილოს საკითხი სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო.
3. სიკვდილიდან 4-5 საათში საექვოა, რომ გვამი ხელის შეხებით უკვე ცივი იყოს და გვამური გაშეშება კარგად იყოს გამოხატული სხეულის ყველა ჯგუფის კუნთებში.
4. აღწერილობით ნაწილში არ არის მითითებული ფილტვების ზომები; თირკმლების ზომები მითითებულია ერთად.



ექსპერტის დასკვნის შეფასება 8-22

გვარი და სახელი – გელა გ.

ასაკი – 42 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის ზ. ლასარეიშვილის მიერ 2.08.2006

ექსპერტის დასკვნა №655

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – გ. მაღრაძე (მუშაობის სტაჟი – 8 წ.)

გაკვეთის ადგილი – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 2 აგვისტო, 2006, 12 სთ. 30 წთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 5 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 1 აგვისტოს, დაახლოებით 23 სთ-ზე თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა პატიმარი გელა გ. ამავე საავადმყოფოს ავადმყოფობის ისტორია №14-89-ის მიხედვით, გელა გ. კლინიკაში 16.07.2006. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან მიიყვანეს. შემოსვლის დიაგნოზი: უცნობი ეტიოლოგიის კომა. 1.08.2006. გარდაიცვალა გულსისხლძარღვთა სისტემის მწვავე უკმარისობა.

გარეგანი გამოკვლევა – სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი, სხვადასხვა ზომის ჩირქოვანი ანთებითი უბნები.

შინაგანი გამოკვლევა – შუასაბჯინის გუმბათის დგომა მარჯვნივ VI და მარცხნივ V ნეკნების დონეზე. გულის სარქველების სიგანეა 8,5 სმ, სამკარიანი სარქველის სიგანეა 2,5 სმ (?); „შარდ-სასქესო ორგანოების სისტემები: თირკმლები ჩვეულებრივი მოყვანილობის, 12,1X7,3X6,2 სმ... შარდსანვეთები შარდისთვის გამავალია ძნელად (?)... წინამდებარე ჯირკვალი შედარებით ელასტიური (?)... თირკმელზედა ჯირკვლები განაკვეთზე მორუხო-მოყვითალო-მოვარდისფრო ელფერის, წვრილმარცვლოვანი შენების, საზღვარი შრეებს შორის ნაშლილია(?)“.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რომელიც განვითარდა უცნობი ეტიოლოგიის ინტოქსიკაციის შედეგად.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. აღწერილობით ნაწილში არ არის მითითებული თავის ტვინის და ფილტვების ზომები; თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად;
2. აღწერილობით ნაწილში გაუგებარია დიაფრაგმის სკელეტოტოპია და გულის სარქველების ზომები;
3. ჰისტოლოგიური გამოკვლევებისათვის არ არის აღებული მასალა თირკმელზედა ჯირკვლიდან, როდესაც „საზღვარი შრეებს შორის ნაშლილია“;
4. ექსპერტის დასკვნა ხელმოუწერელია და ბეჭდის გარეშეა.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 9-21

გვარი და სახელი – კუკური მ.

ასაკი – 49 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის დ. ფხალაძის მიერ 4.08.2006

ექსპერტის დასკვნა №657

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – პ. ჯიბლაძე (მუშაობის სტაჟი – 22 წ.)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სასექციო

ექსპერტიზა დაიწყო – 4 აგვისტო, 2006, 13-14 სთ
ექსპერტიზა დამთავრდა – 23 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 4 აგვისტოს დაახლოებით 05 სთ 30 წთ-ზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი კუკური მ.

გარეგანი გამოკვლევა – სპინქტერები დახურული.

შინაგანი გამოკვლევა – ფილტვების ზომები 13X14X7 სმ.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია კიბოსმიერი ინტოქსიკაცია.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. არ არის მოყვანილი სამედიცინო დოკუმენტების მონაცემები;
2. აღწერილობით ნაწილში წყვილი შინაგანი ორგანოების – ფილტვებისა და თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად, არ არის მითითებული თავის ტვინის და პროსტატის ზომები;
3. ფილტვების ზომები ძალიან მცირეა;
4. არ არის აღწერილი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები;
5. დასკვნაში არ ჩანს, რას ეყრდნობა კიბოს დიაგნოზი, არ არის გაკეთებული ჰისტოლოგიური გამოკვლევა.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 10-20

გვარი და სახელი – ჯაბა ჯ.

ასაკი – 16 წლის

დადგენილება გამოტანილია – თბილისის ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ 4.08.2006 (გვარი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №658

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (მუშაობის სტაჟი – 9 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 4 აგვისტო, 2006 (საათი მითითებული არ არის)

ექსპერტიზა დამთავრდა – 15 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – ბორჯომის რაისაავადმყოფოს ისტორია №589-ის ქსეროასლიდან ირკვევა, რომ ჯაბა ჯ. საავადმყოფოში 2006 წლის 21 ივლისს, 03.30 სთ-ზე სასწრაფომ მიიყვანა. ახლობლების გადმოცემით, დანაშაულებრივი ქმედების დროს ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს მძიმე დაზიანება. ვიზუალურად: მარცხენა ბეჭის არეში აღენიშნება სისხლმდენი შემავალი ცეცხლსასროლი ჭრილობა 2X2 სმ; ჭრილობაში არის ტანსაცმლის ნაწილები, რომელიც ამოღებული იქნა. მარჯვენა მხრის ზედა მესამედში 2X1სმ აღენიშნება გამომავალი ჭრილობა; უცხო სხეული, რომელიც ამოღებული იქნა („პიფი“); ორივე ჭრილობა დატამპონდა. დიაგნოზი: გულმკერდის მარცხენა ბეჭის არეში შემავალი და მარჯვენა მხრის ზემო მესამედში გამომავალი ჭრილობები. მარჯვენა ფილტვის საეჭვო დაზიანება, ჰემოთორაქსი, ჰემოაგიული შოკი. გაკეთდა სასწრაფო ოპერაცია – მარჯვენა წინა გვერდითი თორაკოტომია. ჭრილობა შემავალია გულმკერდის უკანა ზედაპირზე IV ნეკნთაშუა სივრცეში, გამომავალია ასევე IV ნეკნთაშუა სივრცეში ილლიის შუა ხაზზე. მარჯვენა ფილტვის მეორე სეგმენტი გამჭოლად დაზიანებული და სისხლმდენი. გაკეთდა სეგმენტექტომია.

ქ. თბილისის სასწრაფო გადაუდებელი საავადმყოფოს შპს „ალს“ ავადმყოფობის ისტორია №165-დან, მოქ. ჯაბა ჯ. კლინიკაში შესულა 2006 წლის 22 ივლისს 01.30 სთ-ზე. ავადმყოფი გადმოყვანილია ქ. ბორჯომის საავადმყოფოდან კატასტროფის მედიცინის ცენტრის მიერ. რენტგენოსკოპიით – გულმკერდის IV და V მალეების ფრაგმენტული მოტეხილობა. 26.07.06. მდგომარეობა რჩება კრიტიკული. იმყოფება მართვით სუნთქვაზე. მარცხენა პლევრის ღრუში დაფიქსირდა პნევმოთორაქსის



არსებობა. 4.08.2006 04:30 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. დიაგნოზი: გულმკერდის ცეცხლნასროლი ჭრილობა; ორმხრივი პნევმოთორაქსი; ტრავმული ჰემორაგიული შოკი III ხარისხის; ანემია; მარჯვენა ფილტვის II სეგმენტის დაზიანება; გულმკერდის IV მალის რკალისა და მორჩების მოტეხილობა; მარჯვენამხრივი თორაკოტომიის და სეგმენტექტომიის შემდგომი მდგომარეობა; სრული პარაპლეგია.

გარეგანი და შინაგანი გამოკვლევა – მონაცემები მოყვანილია ავადმყოფობის ისტორიებიდან.
დასკვნითი ნაწილი – „სიკვდილის უშუალო მიზეზია სუნთქვის მწვავე უკმარისობა განვითარებული გულმკერდის მიდამოში გამჭოლი ცეცხლნასროლი დაზიანების შედეგად, გამონვეული მარჯვენა ფილტვის და მარცხენა პლევრალური ღრუს დაზიანების გამო. ჯაბა ჯ.-ს გვამს სხეულზე აღენიშნება ცეცხლნასროლი ჭრილობის შესავალი ხვრელის სახით მარჯვნივ მხრის ზემოთა მესამედში, გამოსავალი ხვრელის სახით მარცხნივ გულ-მკერდის უკანა ზედაპირზე (ლოკალიზაცია იხილეთ აღწერილობით ნაწილში)“.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. არ არის მითითებული გვამის გაკვეთის დრო;
2. აღწერილობით ნაწილში შინაგანი ორგანოების ზომები არ არის მითითებული;
3. აქტის დასკვნით ნაწილში ექსპერტი ადგენს, რომ შემავალი ხვრელი არის მარჯვენა მხრის არეში, ხოლო გამომავალი – მარცხნივ გულმკერდის მიდამოში. სამედიცინო დოკუმენტებში ქირურგები მიუთითებენ პირიქით. ექსპერტს არ ჩაუტარებია რაიმე სპეციფიკური გამოკვლევა, რის მიხედვით შეცვალა ჭრილობის მიმართულება.
4. მკურნალ ექიმებს გამორჩათ მარცხენა პლევრის ღრუს დაზიანება!

ექსპერტის დასკვნის შეფასება 11-19

გვარი და სახელი – ანზორ ჩ.

ასაკი – არ არის მითითებული (46 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს მიერ 6.08.2006 (გვარი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №1299/1-ბ

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. აბაშიძე (მუშაობის სტაჟი – 18 წ.)

გაკვეთის ადგილი – აჭარის რეგიონული ექსპერტიზის სამსახურის შენობა

ექსპერტიზა დაიწყო – 7 აგვისტო, 2006, (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 19 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 7 აგვისტოს 14 სთ-ზე გვამი მოტანილი იქნა ბათუმის №3 საპყრობილედან. როგორც სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, ანზორ ჩხაიძე მანამდე არ ავადმყოფობდა და უეცრად გარდაიცვალა, რის გამოც საეჭვო გარდაცვალების მიზეზი.

გარეგანი გამოკვლევა – „ორივე სასუნთქი მილები თავისუფალი... მარცხენა ყურიდან სდის მუქი მონითალო ფერის სითხე (სისხლი)...“

შინაგანი გამოკვლევა – „რბილი გარსის აცლის შემდეგ მისი ლორწოვანი ღია მორუხო-მოვარდისფრო ფერის. ორივე მხარეს მარჯვნივ და მარცხნივ, შუბლისა და თხემის საზღვრებთან აღენიშნება მომრგვალო ფორმის სისხლნაჟღენთი, თითოეული ზომებით 1X1 სმ და 1,5X1 სმ... თავის ტვინი ზედმეტად სველი... ღვიძლი განაკვეთზე იძლევა ხმაურს... თირკმლის მენჯი სველი, მორუხო ფერის, შარდისთვის კარგად გამავალი, მათი ლორწოვანი მოვარდისფრო ფერის... ელენთის კაფსულა სცილდება იოლად...“

ჰისტოლოგიური გამოკვლევა – „ფილტვებში დიფუზური სისხლჩაქცევები, სისხლსავსეობით... თავის ტვინი... ალაგ ლოკალურად (მცირე ზომის) სისხლჩაქცევით...“

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი: გულის-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. მიოკარდიული მწვავე იშემია, სისხლის არათანაბარი გადანაწილება მიოკარდიუმში. გამონეწეული სისხლის მიმოქცევის შეგუბებით მცირე წრეში. ფილტვებში მკვეთრად გამოხატული სისხლსავსეობა და სისხლჩაქცევები. თავის ტვინის შეშუპება. ფილტვებში მწვავე ანთებითი პროცესი. თავის ტვინის გარსების სისხლსავსეობა, თავის ტვინის კანზე ეპითელიუმის გასქელებით. შინაგანი ორგანოების სისხლსავსეობა, ფილტვებში, თირკმელებში, ღვიძლში, ელენთაში, შინაგანი სერეციის ჯირკვლებში.

დასკვნითი ნაწილი: „1. ანზორ ჩ.-ს გვამზე აღენიშნება მარცხენა ყურის სასმენი აპკის დაზიანება. (დაზიანება აქტივი აღწერილი არ არის). 2. ანზორ ჩ.-ს სიკვდილის უშუალოდ გამომწვევი მიზეზია ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობით განვითარებული სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში შეგუბებით, რამაც გამოიწვია გულ-სისხლძარღვთა მწვავე იშემიური დაავადება“ (კომენტარი ზედმეტია!)... 3. ანზორ ჩ.-ს გარდაცვალებამდე ჰქონდა თუ არა მიღებული ალკოჰოლი ან თუ იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. პასუხი შეგიძლიათ მიიღოთ ნარკოლოგიურ განყოფილებაში, რომელსაც გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ჩატარებული აქვს გამოკვლევები ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე“.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული ანზორ ჩ.-ს ასაკი, დადგენილების გამომტანის გვარი და ექსპერტიზის დაწყების საათი.
2. ფილტვების და თირკმელების ზომები მოყვანილია ერთად.
3. ჰისტოლოგიურად გამოკვლეულია კანი, მაგრამ უბანი მითითებული არ არის.
4. სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი არ გამომდინარეობს აქტის აღწერილობითი ნაწილიდან და ჰისტოლოგიური დიაგნოზიდან (!).
5. დოკუმენტის სამედიცინო ტერმინოლოგიაში და დიაგნოზში არის უხეში შეცდომები.
6. სიკვდილის მიზეზი აბსოლუტურად გაუგებარია.
7. დასკვნით ნაწილში | კითხვაზე დაზიანებების შესახებ ექსპერტი პასუხობს: გვამზე აღენიშნება მარცხენა ყურის სასმენი აპკის დაზიანება, რომელიც აქტივი აღწერილი არ არის. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ ადგენს ამ დაზიანების ხანდაზმულობას.
8. არ არის შესრულებული გამოძიების დავალება ალკოჰოლისა და ნარკოტიკების არსებობაზე და მითითებულია უსაფუძვლო მიზეზი.
9. არ უკეთებს ინტერპრეტაციას თავის არეში ორ სისხლჩაქცევას, ფილტვებში და თავის ტვინში სისხლჩაქცევებს, ღვიძლის პათოლოგიურ გადაგვარებას, ხოლო ამავე დროს რას ეყრდნობა დიაგნოზში მოყვანილი „თირკმელებში მწვავე ანთებითი პროცესი“, აბსოლუტურად გაუგებარია.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 12-18

გვარი და სახელი – კახა ბ.

ასაკი – 32 წლის

დადგენილება გამომტანილია – თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამოძიებლის გ. არველაძის მიერ 8.08.2006 №27/21/3-14

ექსპერტის დასკვნა №670

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – გ. მალრაძე (მუშაობის სტაჟი – 8 წ.)

გაკვეთის ადგილი – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 8 აგვისტო, 2006, 15.00 სთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 30 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 7 აგვისტოს, დაახლოებით 15.20 სთ-ზე ქ. თბილისში ტუბსაავადმყოფოში გარდაიცვალა მსჯავრდებული კახა ბ.



გარეგანი გამოკვლევა –

შინაგანი გამოკვლევა –

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია ზოგადი მწვავე ინტოქსიკაცია განვითარებული რღვევის ფაზაში მყოფი ფილტვების ტუბერკულოზური პნევმონიით, გართულებული თავის ტვინის ტობერკულოზური ლეპტომენინგიტით.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. აქტს აკლია მე-4 გვერდი, არ არის შინაგანი გამოკვლევის ნაწილი და დამატებითი გამოკვლევის მონაცემები.
2. არ არის აღნიშნული თავის ტვინის ზომები, ფილტვების და თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
3. სიკვდილის მიზეზი არ არის სტანდარტის მიხედვით.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 13-17

გვარი და სახელი – ვეფხია შ.

ასაკი – 32 წლის

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის გ. გელოვანის მიერ 8.08.2006

ექსპერტის დასკვნა №671

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – გ. მალრაძე (მუშაობის სტაჟი – 8 წ.)

გაკვეთის ადგილი – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 8 აგვისტო, 2006, 12.30 სთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 25 აგვისტო, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 8 აგვისტოს დაახლოებით 06 (05?) სთ-ზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი ვეფხია შ. კლინიკური დიაგნოზი: ღრმა კომატოზური მდგომარეობა უცნობი ეტიოლოგიის. გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, ფილტვების მწვავე უკმარისობა.

გარეგანი გამოკვლევა – გაშეშება შედარებით ხისტად არის განვითარებული კუნთების ჯგუფებში.

შინაგანი გამოკვლევა – ეპიკარდიუმის ქვეშ ნერტილოვანი სისხლჩაქცევები მონითალო ფერის; ტრაქეა და მთავარი ბრონქების სანათურში ქაფიანი სითხე დიდი რაოდენობით, მისი ლორწოვანი მოვარდისფრო, ოდნავ შესიებული. ორივე ფილტი ხელით გასინჯვისას გამკვრივებული. განაკვეთის ზედაპირიდან გადმოედინება ქაფიანი სითხე და სისხლი დიდი რაოდენობით.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია ჰემორაგიული ბრონქოპნევმონია.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. არ ჩანს გვამური გაშეშება კუნთების რომელ ჯგუფებშია განვითარებული.
2. არ არის აღნიშნული თავის ტვინის და ფილტვების ზომები (მით უმეტეს აღწერს ფილტვებში ცვლილებებს), თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 14-16

გვარი და სახელი – კახაბერ შ.

ასაკი – არ არის მითითებული (41 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის ა. ნეფარიძის მიერ 8.08.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (მუშაობის სტაჟი – 10 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დანესებულების შენობა

ექსპერტიზა დაიწყო – 9 აგვისტო, 2006, (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 6 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 8 აგვისტოს დაახლოებით 23 სთ-ზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი კახაბერ შ.

გარეგანი გამოკვლევა – გვამური გაშეშება განვითარებულია არათანაბრად.

შინაგანი გამოკვლევა – „მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის სისქეში აღინიშნება შედარებით მუქი მონითალო ფერის უბანი, ზომით 2,5X1,5 სმ, რომლის კიდეები უფრო მუქი ფერისაა, ხელის შეხებით შედარებით მომკვრივო... შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები ხილული პათოლოგიის გარეშე...“

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია გულის იშემიური დაავადების ფონზე განვითარებული პოსტინფარქტული მიმე კარდიოსკლეროზი და მის შედეგად გამონეული გულის უკმარისობა.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული კახაბერ შ.-ს ასაკი, დადგენილების ნომერი, გვამის გაკვეთის დრო, არ არის მოყვანილი სამედიცინო დოკუმენტების ჩანაწერები.
2. აღწერილობით ნაწილში არ ჩანს გვამური გაშეშება კუნთების რომელ ჯგუფებშია განვითარებული; რას ნიშნავს „გვამური გაშეშება განვითარებულია არათანაბრად“.
3. არ არის აღნიშნული თავის ტვინის და ფილტვების ზომები, თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
4. არ არის აღწერილი კუჭქვეშა ჯირკვალი.
5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები მოყვანილია ერთად.
6. სიკვდილის მიზეზი ფორმულირებულია უაღრესად დაბალკვალიფიციურად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 15-15

გვარი და სახელი – თეიმურაზ ჩ.

ასაკი – არ არის მითითებული (54 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის ზ. ლასარეიშვილის მიერ 9.08.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №677

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (მუშაობის სტაჟი – 10 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დანესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 9 აგვისტო, 2006, (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 6 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით 13.35 სთ-ზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში თბილისის მე-5 საპრობილედან შემოტანილ იქნა პატიმარი თეიმურაზ ჩ.-ს გვამი.

გარეგანი გამოკვლევა –

შინაგანი გამოკვლევა – „პლევრალურ ღრუებში აღინიშნება მოყვითალო-მომღვრიო ბლანტი ექსუდაციური სითხე უპირატესად ქვემოთა წილებში... ფილტვები განაკვეთზე მორუხო-მონითალო ელფერის, აღინიშნება შეშუპება(?)... ღვიძლის ზედაპირი ოდნავ ტალღოვანი, მოყვითალო ელფერის...“



დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის უშუალო მიზეზია ორმხრივი ბრონქოპნევმონია განვითარებული პეპტიკის ფონზე.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული თეიმურაზ ჩ.-ს ასაკი, დადგენილების ნომერი, გვამის გაკვეთის დრო.
2. აღწერილობით ნაწილში არ არის აღნიშნული გვამური გაშეშება, გვამის სიგრძე.
3. გვამი გაკვეთილია სიკვდილიდან 12 საათის გასვლამდე.
4. არ არის აღნიშნული თავის ტვინის ზომები და აღწერილობა მოცემულია მწირად.
5. არ არის მოყვანილი არც ერთი შინაგანი ორგანოს ზომები.
6. არ არის აღწერილი კუჭქვეშა ჯირკვალი.
7. სისხლმბადი ორგანოები და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები მოყვანილია ერთად „პათოლოგიის გარეშე“.
8. სიკვდილის მიზეზი ფორმულირებულია დაბალკვალიფიციურად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 16-14

გვარი და სახელი – ილიკო ი.

ასაკი – არ არის მითითებული (71 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის ზ. ლასარეიშვილის მიერ 9.08.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №679

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (მუშაობის სტაჟი – 10 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დანესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 9 აგვისტო, 2006, (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 6 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება —ავადმყოფობის ისტორიის თანახმად, ილიკო ი. სამკურნალო დანესებულებაში 2006 წლის 10 მაისს მოთავსდა ჩივილებით: საერთო სისუსტე და სიარულის გაძნელება. შემოვიდა მე-7 საპყრობილედან მწვავე ნაწლავური ინფექციის დიაგნოზით. კლინიკური დიაგნოზი: ზოგადი ათეროსკლეროზი, ენცეფალოპათია, თავის ტვინში მრავლობითი დარბილების კერები, ინსულტის ნარჩენი მოვლენები. აღნიშნება პერიოდული უნებლიე შარდვა და დეფეკაცია. 8.08 – კონტაქტში შემოდის ძნელად, ზედაპირული სუნთქვა. 9.08 – უკიდურესად დამძიმდა, კონტაქტში არ შემოდის. 12.30 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

გარეგანი გამოკვლევა – მწირია.

შინაგანი გამოკვლევა – ელენთის კაფსულა სცილდება იოლად. (დაბალკვალიფიციურია).

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი — „გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა. ფილტვების და ღვიძლის ადენოკარცინომა /კიბო/. კორონაროათეროსკლეროზი. კარდიოსკლეროზი. წვრილი და მსხვილკეროვანი პოსტინფარქტული ნაწიბურები მიოკარდიუმში. მრავლობითი კიბოს მეტასტაზები გულმკერდის და მუცლის ღრუში. ნეკროზული და ათელექტაზური უბნები ფილტვებში. შინაგან ორგანოთა სისხლსაესეობა.“

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის უშუალო მიზეზია გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა ფილტვებისა და ღვიძლის ემბრიონული კიბოს – ადენოკარცინომის შედეგად გამოწვეული ინტოქსიკაციის ფონზე.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული ილიკო ი.-ს ასაკი, დადგენილების ნომერი, გვამის გაკვეთის დრო.
2. პაციენტი იყო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში (საყურადღებოა ექიმთა ასოციაციისთვის და ომბუდსმენისთვის).
3. აღწერილობით ნაწილში არ არის აღწერილი გვამური მოვლენები, გვამის სიგრძე.
4. გვამი გაკვეთილია სიკვდილიდან 12 საათის გასვლამდე.
5. არ არის აღნიშნული თავის ტვინის ზომები და აღწერილობა მოცემულია მწირად.
6. არ არის აღნიშნული ფილტვების ზომები, თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
7. არ არის აღწერილი კუჭქვეშა ჯირკვალი.
8. სიკვდილის მიზეზი ფორმულირებულია დაბალკვალიფიციურად. დიაგნოზის შედგენისას არ ასხვავებს ძირითად ავადმყოფობას, გართულებებს, თანმხლებ და ფონურ ავადმყოფობებს.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 17-13

გვარი და სახელი – მოგელი ც.

ასაკი – არ არის მითითებული (24 წლის)

დადგენილება გამოტანილია – ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლის გ. მინაშვილის მიერ 12.08.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №682

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (მუშაობის სტაჟი – 10 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დანესებულება

ექსპერტიზა დაიწყო – 12 აგვისტო, 2006, (საათი არ არის მითითებული)

ექსპერტიზა დამთავრდა – 10 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 11 აგვისტოს, 20.45 სთ-ზე ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში მიყვანილ იქნა მე-5 საპრობილეს პაციმარი მოგელი ც., რომელიც 23.30 სთ-ზე გარდაიცვალა. ავადმყოფობის ისტორიიდან ირკვევა, რომ კლინიკაში შემოსვლისას მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ტემპერატურა აღწევს 42 ცელსიუსით, უგონოდაა, დაეწყო ტრანსფუზიოთერაპია, გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვაზე. ანამნეზით ტრავმა გამორიცხულია. დიაგნოზი: ენცეფალიტი, კომა III-IV ხარისხის, ბრონქოპნევმონია.

გარეგანი გამოკვლევა –

შინაგანი გამოკვლევა – „პლევრალურ ღრუებში აღინიშნება მოყვითალო-მომღვრიო ბლანტი სითხე უპირატესად უკანა და ქვემოთა წილებში... აორტისა და ფილტვის არტერიების ინტომა აჭრელებული (?) ფილტვები ღრუბლისებური, ჭრელი შესახედაობის, ფილტვის ქსოვილზე გამოხატულია ნეკროზის სილუეტი, განაკვეთზე მორუხო-მონითალო ელფერის, ჭრელი შესახედაობის. პლევრალურ ღრუებში აღინიშნება ჩირქოვანი ექსუდატი. ღვიძლის ზედაპირი მოყვითალო ელფერის, ტალღოვანი... გვამიდან აღებულია შინაგანი ორგანოთა ნაჭრები ჰისტოლოგიური გამოკვლევისათვის – არქივისათვის“.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა განვითარებული ბრონქოპნევმონიის ფონზე.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული მოგელი ც.-ს ასაკი, დადგენილების ნომერი, გვამის გაკვეთის დრო.
2. აღწერილობით ნაწილში არ არის აღწერილი გვამის გაციებისა და გაშეშების ნიშნები, გვამის სიგრძე.



3. არ არის აღწერილი თავის ტვინის გარსები, ზომები, ეპენდიმა, ნათხემი და მოგრძო ტვინი, მაშინ, როცა დიაგნოზში გამოტანილია ენცეფალიტი.
4. არ არის აღნიშნული შინაგანი ორგანოების ზომები.
5. არ არის აღწერილი მუცლის ფარი, კუჭქვეშა ჯირკვალი.
6. სიკვდილის მიზეზი ბუნდოვანია და პისტოლოგიური გამოკვლევა არ არის ჩატარებული – მასალა გაგზავნილია არქივში.
7. დადგენილებაში მითითებულია, რომ გამოკვლევა უნდა ჩატარებულიყო ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე, მაგრამ მასალა ექსპერტის მიერ არ იქნა აღებული გამოკვლევისათვის.
8. დადგენილებაში არსებულ მესამე კითხვაზე – გარდაცვლილს გარდაცვალებამდე ხომ არ ჰქონდა მიღებული რაიმე ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერება, პასუხი გაცემული არ არის.
9. დიაგნოზი და სიკვდილის მიზეზი ფორმულირებულია უაღრესად დაბალკვალიფიციურად. დიაგნოზის შედგენისას ვერ ასხვავებს ძირითად ავადმყოფობას, გართულებებს, თანმხლებ და ფონურ ავადმყოფობებს.
10. ექსპერტის დასკვნა გაცემულია გვამის გაკვეთიდან ორი თვის შემდეგ, როდესაც არ არის ჩატარებული არანაირი დამატებითი გამოკვლევა.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 18-12

გვარი და სახელი – მერი ჯ.

ასაკი – 60 წლის

დადგენილება გამოტანილია – ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა მესამე განყოფილების გამომძიებლის ი. ცაგურიას მიერ 18.08.2006 №27/30/5/3

ექსპერტის დასკვნა №708

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – გ. მალრაძე (მუშაობის სტაჟი – 8 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის შენობაში

ექსპერტიზა დაიწყო – 19 აგვისტო, 2006, 10.30 სთ-ზე

ექსპერტიზა დამთავრდა – 5 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 18 აგვისტოს დაახლოებით 21.10 სთ-ზე ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გინეკოლოგიის განყოფილებაში გარდაიცვალა მოქ. მერი ჯ. სამედიცინო დოკუმენტების მონაცემებით, საავადმყოფოში მოთავსდა 4 აგვისტოს. კლინიკური დიაგნოზი: საშვილოსნოს ტანის კიბო III სტადია. ოპერაციის საშვილოსნოს ტოტალური ექსტირპაციის, დიდი ბადექონის რეზექციის შემდგომი მდგომარეობა; შექნილი გულის მანკი: ორკარიანი სარქველის ნაკლოვანება და სტენოზი (მანკი კომპენსირებულია), პიელონეფრიტი, ელემენტოზი. ფარისებრი ჯირკვლის ადენომა. სიკვდილის სავარაუდო მიზეზი: ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიით გამოწვეული მწვავე გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა.

გარეგანი გამოკვლევა – .

შინაგანი გამოკვლევა –

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. თირკმლის ზომები მოყვანილია ერთად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 19-11

გვარი და სახელი – ოთარ მ.

ასაკი – 29 წლის

დადგენილება გამოტანილია – ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ 23.08.2006 (გვარი და ნომერი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №720

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – კ. ახალკაციშვილი (მუშაობის სტაჟი – 17 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 23 აგვისტო, 2006, 8 სთ.

ექსპერტიზა დამთავრდა – 20 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 22 აგვისტოს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თსსუ ცენტრალურ კლინიკაში გადაყვანილ იქნა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოთარ მ. ავადმყოფობის ისტორიის მიხედვით, კლინიკაში შევიდა 14.40 სთ-ზე. წინასწარი დიაგნოზი: პოსტჰიპოქსიური ენცეფალოპათია, ასპირაციული სინდრომი, ორმხრივი ბრონქოპნევმონია, მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია(?). 22 აგვისტოს 23.40 სთ-ზე გარდაიცვალა. დიაგნოზი: სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ასპირაციული სინდრომი, ორმხრივი ბრონქოპნევმონია.

გარეგანი გამოკვლევა – .

შინაგანი გამოკვლევა – „ღიაფრაგმის მდებარეობა მარჯვნივ მე-6 და მარცხნივ მე-4 ნეკნების დონეზე...“.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია სუნთქვის უკმარისობა მძიმე ექსუდაციური დესტრუქციული ბრონქიტებისა და პერიბრონქიტების ფონზე განვითარებული ბრონქოპნევმონიის შედეგად.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული დადგენილების ნომერი და გამომძიებლის გვარი.
2. აღწერილი გვამური მოვლენების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ გვამი გაიკვეთა არა დილის 8 სთ-ზე, არამედ საღამოს 8 სთ-ზე (20 სთ).
3. ღიაფრაგმის გუმბათების სკელეტოტოპია არასწორად არის მითითებული.
4. არ არის მითითებული თავის ტვინის ზომები, თავის ტვინი სრულფასოვნად არ არის აღწერილი.
5. ფილტვების და თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
6. არ არის აღწერილი კუჭქვეშა ჯირკვალი.
7. ტექსტში დაშვებულია მექანიკური შეცდომები, რაც მიუთითებს იმას, რომ ექსპერტს აქტს ხელს აწერს საბოლოო ტექსტის ნაუკითხავად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 20-10

გვარი და სახელი – რევაზ ნ.

ასაკი – არ არის მითითებული (57 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის დ. შერაზადაშვილის მიერ 1.09.2006 №26/01-29

ექსპერტის დასკვნა №744

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. გრიგოლაშვილი (მუშაობის სტაჟი – 6 წ.); ნ. კიკაბიძე (მუშაობის სტაჟი – 13 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულების პროექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 2 სექტემბერი, 2006, (საათი არ არის მითითებული).

ექსპერტიზა დამთავრდა – 11 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 1 სექტემბერს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული რეზო ნ. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, კლინიკაში შესულა 3 ივნისს. შემოსვლის დიაგნოზი: უცნობი ეტიოლოგიის ტემპერატურული ცხელება. 22 ივნისს მოთავსდა ქირურგიულ განყოფილებაში, დიაგნოზით: ქრონიკული დეკომპენსირებული ტონზილიტი. 1 სექტემბერს ჩაუტარდა ოპერაცია – ორმხრივი ტონზილექტომია, ოპერაციის მსვლელობაში სისხლდენა ზომიერი, შეჩერდა ელექტროკოაგულაციით, ოპერაცია დამთავრდა გართულების გარეშე. 13.00 – უჩივის სისხლიან გამონადენს. 14.00 მოგვმართა ყელიდან ძლიერი სისხლდენის ჩივილით. ობიექტურად – ნახველთან ერთად აღინიშნება ალისფერი სისხლი და კოლტები დიდი რაოდენობით. არტერიული წნევა 80/40 მმ ვნს. 15.30 – ნაკერის დადებით სისხლდენა შეუჩერდა. 17.30 დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

გარეგანი გამოკვლევა –

შინაგანი გამოკვლევა – საყლაპავი მილის ზემო მეოთხედში აღინიშნება 1X1 სმ ზომის უბანი სისხლჩაქცევის სახით. კუჭის შიგთავსს წარმოადგენს 1000 მლ-მდე მუქი მონითალო-მოშავო ფერის სისხლის კოლტები. ნვრილი ნაწლავების სანყის ნაწილში თხიერი სისხლი... ღვიძლის საკუთარი კაფსულა ადვილად სცილდება პარენქიმას.

ჰისტოლოგიური გამოკვლევა – საყლაპავი მილის კედელში ლორწოვანში, სუბლორწოვანში და კუნთოვან შრეში აღინიშნება დიფუზური სისხლჩაქცევა, უკანასკნელის არსებობის გამო გლუვი კუნთოვანი ბოჭკოები გათიშულია ერთმანეთისაგან.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა განვითარებული ორმხრივი ტონზილექტომიის შემდგომი სისხლდენის შედეგად.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული რევაზ ნ. ასაკი და გვამის გაკვეთის დრო.
2. უსაფუძვლოდ დაირღვა ექსპერტიზის ჩატარების დრო – 30-დღიანი ვადა (დამატებითი გამოკვლევის მონაცემები მზად იყო 18 სექტემბერს).
3. არ არის მითითებული თავის ტვინის, ფილტვების და გულის ზომები, თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
4. კუჭქვეშა ჯირკვალი აღწერილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთან ერთად.
5. საყლაპავი მილის დაზიანების ინტერპრეტაცია არ არის დასკვნაში.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 21-9

გვარი და სახელი – პაატა ლ.

ასაკი – არ არის მითითებული (34 წლის)

დადგენილება გამოტანილია – დიდუბე-ჩუღურეთის შსს მე-4 განყოფილების გამომძიებლის ი. ხატიაშვილის მიერ 2.09.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №742

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (მუშაობის სტაჟი – 10 წ.)

გაკვეთის ადგილი – არ არის მითითებული

ექსპერტიზა დაიწყო – 2 სექტემბერი, 2006, (საათი არ არის მითითებული).

ექსპერტიზა დამთავრდა – 12 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 1 სექტემბერს 17 სთ-ზე შევიდა ციხის საავადმყოფოდან 03-ის რენანიმობილით ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, დიაგნოზით: ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი. 23.00 დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. სიკვდილის მიზეზი: ტვინის შეშუპება, ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი.

გარეგანი გამოკვლევა – მწირია.

შინაგანი გამოკვლევა – ღვიძლისზედაპირი ოდნავ ტალღოვანი (?).

ჰისტოლოგიური გამოკვლევა – თავის ტვინის რბილი გარსების ტუბერკულოზური ანთება, რომელიც გადადის თავის ტვინის ნივთიერებაზეც.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის რბილი გარსების ტუბერკულოზური ანთება, ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული პაატა ლ.-ს ასაკი, დადგენილების ნომერი, გაკვეთის ადგილი და დრო.
2. უსაფუძვლოდ დაირღვა ექსპერტიზის ჩატარების დრო – 30-დღიანი ვადა.
3. გარეგნულ დათვალიერებაში არ არის მითითებული გვამის სიგრძე, არ არის აღწერილი გვამური ნიშნები.
4. არ არის მითითებული თავის ტვინის ზომები, არ არის აღწერილი თავის ტვინის გარსები, პარაკუჭები, ეპენდიმა, მოგრძო ტვინი და ა.შ, როცა სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის შეშუპება.
5. არ არის მოყვანილი ფილტვების, გულის, ელენთის ზომები, თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
6. კუჭქვეშა ჯირკვალი არ არის აღწერილი.
7. დადგენილებაში არსებულ მე-3 კითხვაზე, ხომ არ ჰქონდა სიკვდილის წინ მიღებული ალკოჰოლი ან ნარკოტიკული ნივთიერება, პასუხი გაცემული არ არის.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 22-8

გვარი და სახელი – ზვიად ი.

ასაკი – არ არის მითითებული (31 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის დ. ფხალაძის მიერ 3.09.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

ექსპერტის დასკვნა №749

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. გრიგოლაშვილი (მუშაობის სტაჟი – 6 წ.)

გაკვეთის ადგილი – სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტიზა დაიწყო – 4 სექტემბერი, 2006, (საათი არ არის მითითებული).

ექსპერტიზა დამთავრდა – 29 სექტემბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 3 სექტემბერს 16.10 სთ-ზე თბილისის პირველ საპყრობილეში კარცერში კონტროლიორის მიერ აღმოჩენილ იქნა მსჯავრდებული ზვიად ი.-ის გვამი, რომელიც ჩამოკიდებული იყო გისოსზე.

გარეგანი გამოკვლევა – ორივე წინამხარზე აღინიშნება მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები; თვალბუდის მოდამოებში მონითალო-მოლურჯო ფერის უსწორო ფორმის სიხლნაჟღენთები. წელის მიდამოში მარცხნივ აღინიშნება ნაჭდევი. „კისრის წინა ზედაპირზე ფარისებრი ხრტილის დონეზე“ აღინიშნება სტრანგულაციური ღარი კვანძის ტიპიური მდებარეობით.

შინაგანი გამოკვლევა – „სტრანგულაციური ღარის შესაბამისად კისრის რბილ ქსოვილებში აღინიშნება მუქი ნითელი ფერის სისხლჩაქცევები, ენისქვეშა ძვლის მარცხენა ტოტის არეში აღინიშნება



პათოლოგიური მოძრაობა – მოტეხილია, ფარისებრი ხრტილი ტრავმული დაზიანების გარეშე“.

ჰისტოლოგიური გამოკვლევა – „კანი – ეპიდერმისის ზიგზაგისებური შენება ნაშლილია, გადასწორებულია, ალაგ მთლიანობა დარღვეულია, დერმაში ადგილი აქვს შემავრთებელქსოვილოვანი ბოჭკოების გაფაშრებას, ალაგ დაწყვეტას.“

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – სტრანგულაციური ღარი კისრის ზედა მესამედში, სისხლჩაქცევები ეპიკარდიუმის ქვეშ, ფილტვის მფარავი პლევრის ქვეშ, ნილთაშორის ზედაპირებზე, სისხლჩაქცევები კისრის რბილ ქსოვილებში, სტრანგულაციური ღარის შესაბამისად. შეუდედებელი სისხლი მარჯვენა გულში. ფილტვების შეშუპება, შინაგანი ორგანოების სისხლსავსეობა, ელენთის შეჭმუხვნა. სისხლნაჟღერებელი ორივე თვალბუდის არეში, ნაჭდევები წელის არეში, ენისქვეშა ძვლის მოტეხილობა მარცხენა ტოტის არეში, ნაკვეთი ქრილობების ორივე წინამხრის წინა ზედაპირზე.

დასკვნითი ნაწილი – სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია ზემო სასუნთქი გზების მარყუჟით გადაკეცივით.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული ზვიად ი.-ის ასაკი, დადგენილების ნომერი, გაკვეთის დრო.
2. ანატომიურად ინის ძვალს გააჩნია არა ტოტები, არამედ რქები.
3. აღწერილობით ნაწილში ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის ზომები მოყვანილი არ არის, ფილტვების ზომები მოყვანილია ერთად.
4. შეუსაბამობაა მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ აღწერილობებს შორის: სტრანგულაციური ღარიდან (სავარაუდოდ!) აღებულ კანის ნაჭერში მიკროსკოპული გამოკვლევით სისხლჩაქცევები ან სიცოცხლიდროინდელი დაზიანებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სურათი აღწერილი არ არის.
5. სხეულზე არსებული დაზიანებების ხანდაზმულობა დასკვნაში მითითებული არ არის.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 23-7

გვარი სახელი – გელა ნ.

ასაკი – არ არის მითითებული (40 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის, ა. ნეფარიძის მიერ. 2 სექტემბერი № 26/01-430

გაკვეთის თარიღი – 02/09/2006 (საათი არ არის მითითებული).

გაკვეთის ადგილი – სად-ის სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტის დასკვნა №745

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. გრიგოლაშვილი (სტაჟი 6 წ.),

ნ. კიკაბიძე (სტაჟი 13 წ.)

ექსპერტიზა დაიწყო – 02/09/2006

ექსპერტიზა დამთავრდა – 10/10/2006

საქმის გარემოება – როგორც დადგენილებიდან ირკვევა, მსჯავრდებული გელა ნ. 2006 წლის 2 სექტემბერს, დაახლოებით 2 საათზე გადაყვანილ იქნა ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში.

გარეგანი დათვლიერების განსაკუთრებული ნიშნები – მუცელი – მრგვალი, მდებარეობს გულმკერდის დონეზე, შებერილია, მისი პალპაციით შეიგრძნობა მუცლის ღრუში თავისუფალი სითხის არსებობა.

გვამის შინაგანი გამოკვლევა – ორივე პლევრის ღრუში აღინიშნება თითო ლიტრი მღვრიე, მოყვი-თალო-მორუხო ფერის, რამდენადმე მწებავი სითხე, პარიეტალური პლევრის ფურცლები შემღვრე-

ული, მორუხო ფერის, დაფარულია ასეთივე ფერის მწებავი მასების ნადებებით. ორივე ფილტვის მწვერვალოები იმყოფება პარიესულ შეხორცებებში. ნაწლავთა მარყუხები შებერილი, თავისუფლად მოძრავი, ალაგ ნაწლავებზე აღინიშნება ერთეული შეხორცებები. მუცლის ღრუში აღინიშნება თავისუფალი სითხის არსებობა 3000 მლ-ის ოდენობით. ფილტვების მფარავი პლევრა მორუხო, მკვრივი კონსისტენციისაა, ჭრელი შეხედულების – მორუხო და მოვარდისფრო უბნების მონაცვლეობით. განაკვეთებზე უპირატესად ზედა და შუა ნილებში აღინიშნება კავერნოზული ღრუები, დაახლოებით 2,5-2,8 სმ ზომის, უსწორო კიდეებით და ფსკერებით. ამოვსებულია მორუხო-მოყვითალო ფერის, შედარებით ბლანტი ჩირქოვანი მასებით. კავერნოზული ღრუების გარშემო ფილტვის ქსოვილი გამკვრივებულია. ღვიძლის ზედაპირი სადა, ერთგვაროვანი. ელენთა – გადიდებულია, კაფსულა გადაჭიმულია. კარისა და რეგიონული ლიმფური კვანძები გადიდებულია.

სასამართლო ჰისტოლოგიური დიაგნოზი – თავის ტვინის ზომიერად გამოხატული შეშუპება. გული – კარდიომიოციტების გავრცელებული, პარენქიმულ-ცილოვანი დისტროფია, კარდიოსკლეროზი, სტრომის შეშუპება. ფილტვები – მათში აღინიშნება ტუბერკულოზური ლიმფოიდური და ეპითელიოიდური უჯრედებისაგან, ცენტრში კაზეოზურ-ნეკროზული უბნებით. ალაგ-ალაგ აღინიშნება პნევმონიური და ათეროსკლეროზული უბნები. თირკმლები – პიელონეფრიტი, აუტოლიზი. ღვიძლი – ჰეპატიტი, ამილოიდოზი. ელენთა – პულპის, განსაკუთრებით ლიმფური ფოლიკულების ჰიპერპლაზია, აუტოლიზი.

სასამართლო-ქიმიური დასკვნა – სისხლში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული, ასევე ალკოჰოლური ნივთიერებების კვალი.

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – ფილტვების ორმხრივი კავერნოზული ტუბერკულოზი, რღვევის ფაზაში, კაზეოზური პნევმონია, ორმხრივი ფილტვების პარიესულ-პლევრული შეხორცებები, თავისუფალი სითხე გულმკერდისა და მუცლის ღრუებში 2000 და 3000 მლ-ის ოდენობით. თავის ტვინის ზომიერად გამოხატული შეშუპება, კარდიოსკლეროზი, პიელონეფრიტი, ჰეპატიტი, სპლენომეგალია, კახექსია, ელენთის ამილოიდოზი.

სიკვდილის მიზეზი – ზოგადი მწვავე ინტოქსიკაცია განვითარებული ფილტვების ორმხრივი კავერნოზული ტუბერკულოზის შედეგად.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული გელა ნ.-ს ასაკი, გვამის გაკვეთის დრო.
2. აღწერილობით ნაწილში თავის ტვინის და ღვიძლის ზომები მოყვანილი არ არის, თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
3. კუჭქვეშა ჯირკვალი აღწერილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში.
4. დიაგნოზში ელენთის ამილოიდოზის გამოტანის საფუძველი აღწერილობით ნაწილში მიკროსკოპულად და მაკროსკოპულად არ ჩანს.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 24-6

გვარი სახელი – იზბერ თ.

დაბადების თარიღი – 1949 წლის 1 იანვარი

ასაკი – არ არის მითითებული (57 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის გ. გელოვანის მიერ, 4/09/2006 №26/10-09-443

გაკვეთის თარიღი – 4 სექტემბერი (საათი არ არის მითითებული).

გაკვეთის ადგილი – სად-ის სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა.

ექსპერტის დასკვნა №750

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ზ. გრიგოლაშვილი (სტაჟი – 6 წ.)



ექსპერტიზა დაიწყო – 4 სექტემბერი

ექსპერტიზა დამთავრდა – 2 ოქტომბერი

საქმის გარემოება – როგორც დადგენილებიდან ირკვევა, 2006 წლის 4 სექტემბერს, დაახლოებით 14 სთ. და 20 წუთზე, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული იზბერ თ.

გარეგანი დათვალელების განსაკუთრებული ნიშნები – გვამი ხელის შეხებისას ყველგან თბილია, გვამური გაშეშება გამოხატული არ არის. გვამური ლაქები მოიხსნება – მოვარდისფრო ფერის, ლოკალიზებული არიან სხეულის უკანა ზედაპირებზე, გარდა იმ უბნებისა, რომლითაც გვამი უშუალოდ ეხება სასექციო მაგიდის ზედაპირს, ხელის დაჭერისას ქრებიან და აღიდგენენ პირვანდელ ფერს 5-10 წმ-ში. მარცხენა ტერფის ზურგზე აღინიშნება 0,7 სმ ზომის, უსწორო ფორმის, კანის დონიდან დაბლა მდებარე, მონითალო, ნოტიო ზედაპირიანი ნაჭდევი.

გვამის შინაგანი გამოკვლევა – მარცხენა ფილტვი იმყოფება პარიეტულ შეხორცებებში, რომელთა გათიშვა შესაძლებელია საკმარისო ძალისხმევით. პერიკარდიუმის ღრუ შეიცავს 10-მლ-მდე ოდენობით თავისუფალ, გამჭირვალე, მოყვითალო სითხეს. ფილტვის ქსოვილის ნაჭერი, წყლიან ჭურჭელში ჩაგდებისას სწრაფად იძირება – ფილტვის სინჯი დადებითია. აღინიშნება სპლენომეგალია (?). ელენთის ზომები – 11X8X6 სმ. „ღვიძლის კაფსულა ძნელად სცილდება“ (?) „თავის ტვინისა და ნათხემის შრეებს შორის საზღვარი ნაშლილია“ (?).

დამატებითი გამოკვლევის შედეგები – თავის ტვინის ნივთიერების და რბილი გარსების შემუშება. ფილტვები – ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქების კედლების მკვეთრი გასქელებით, სანათურის დაინფორმაციით, ალბანო ბრონქიოლების გაგანიერებით, პნევმოსკლეროზი, ბრონქოპნევმონია. გული – კარდიომიოციტების ჰიპერტროფია, სუსტად გამოხატული კარდიოსკლეროზი, სტრომის შემუშება. ღვიძლი – სტრომის შემუშება, სანაღვლე გზების ქრონიკული ანთება. თირკმლები – პიელონეფრიტი, სტრომის შემუშება. ელენთა – პულპის, განსაკუთრებით ლიმფური ფოლიკულების ჰიპერპლაზია.

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – ორმხრივი ბრონქოპნევმონია, ქრონიკული ბრონქიტი, პნევმოსკლეროზი. თავის ტვინის ნივთიერების მკვეთრად გამოხატული შემუშება, კარდიომიოციტების ჰიპერტროფია, სუსტად გამოხატული კარდიოსკლეროზი. ღვიძლისა და თირკმლის სტრომის შემუშება, ქრონიკული ქოლანგიტი, პიელონეფრიტი. მარცხენა ფილტვის შეხორცებები, ნაჭდევი მარცხენა ფეხის ტერფის ზურგზე. სამედიცინო მანიპულაციის – მარცხენამხრივი სუბკლავიის შემდგომი მდგომარეობა.

სიკვდილის მიზეზი – სუნთქვის მწვავე უკმარისობა, განვითარებული ორმხრივი ბრონქოპნევმონიის შედეგად.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული იზბერ თ.-ს ასაკი, გვამის გაკვეთის დრო.
2. არ არის მოყვანილი სამედიცინო დოკუმენტების მონაცემები.
3. აღწერილობით ნაწილში ფილტვების, გულის, ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის ზომები მოყვანილი არ არის, თირკმლების, ზომები მოყვანილია ერთად.
4. გაუგებარია, საიდან დაისვა თავის ტვინის მკვეთრი შემუშების დიაგნოზი, რაც მიკროსკოპულად და მაკროსკოპულად აღწერილი არ არის.
5. აღწერილობით ნაწილში მითითებულია სპლენომეგალია, რაც მიკრო- და მაკროსკოპული აღწერილობით დადასტურებული არ არის.
6. ღვიძლის კაფსულა ორგანოს არ უნდა სცილდებოდეს და არც ექსპერტი უნდა ცდილობდეს ამას!
7. „თავის ტვინისა და ნათხემის შრეებს შორის საზღვარი ნაშლილია „ — ალბათ ექსპერტი გულისხმობს რუხ და თეთრ ნივთიერებებს, მაგრამ ჰისტოლოგიურად არ არის აღწერილი ისეთი პათოლოგიური ცვლილებები, რაც მაკროსკოპულად გამოინგვედა რუხ და თეთრ ნივთიერებებს შორის საზღვრის ნაშლას.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 25-5

გვარი სახელი – ედიშერ ე.

დაბადების თარიღი –

ასაკი – არ არის მითითებული (31 წლის)

დადგენილება გამოტანილია – იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის ი. ჩახნაშვილის დადგენილებით 10/09 2006 წ. (ნომერი არ არის მითითებული)

გაკვეთის თარიღი – 2006 წლის 10 სექტემბერი (საათი არ არის მითითებული).

გაკვეთის ადგილი – სად სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა

ექსპერტის დასკვნა №760

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ა. ზანკალიანი (სტაჟი 10 წ.)

ექსპერტიზა დაიწყო – 2006 წლის 10 სექტემბერი

ექსპერტიზა დამთავრდა – 2006 წლის 2 ოქტომბერი

საქმის გარემოება – 2006 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 04 სთ. და 30 წთ, სად-ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების რეანიმაციის განყოფილებაში მოთავსებული ედიშერ ე. გარდაიცვალა. ავადმყოფობის ისტორია №883-ის თანახმად, ავადმყოფი სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ იქნა 30/07/06, ჩივილებით: ზოგადი საერთო სისუსტე, ტკივილი მუცლის ღრუში. ავადმყოფის გადმოცემით, აღენიშნება სისხლიანი ამონალები, შავი ფერის განავლის არსებობა. პულსი 82, რითმული, საშუალო ავსების. არტერიული წნევა 120/80. მუცელი პალპაციით მტკივნეული, ღვიძლი სცილდება ნეკნთა რკალს. კუჭის მოქმედება გაძნელებულია. პერიოდულად აღენიშნება ღებინება სისხლიანი მასებით. 24/08/06 ავადმყოფს ჩაუტარდა ფიბროგასტროდუოდენოსკოპია, რომლის შედეგადაც დადგინდა კუჭის სხეულის წყლული, რომლის ხასიათის განსაზღვრისათვის საჭიროა ბიოფსია. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან დამძიმდა. აღენიშნება ძლიერი კახექსია. 09/09 – იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში. გარეგან გალიზიანებაზე რეაგირებს მიმიკით. სუნთქვა ზერედე, არტერიული წნევა 70/30. ავადმყოფს უტარდება ტრანსფუზიოთერაპია. ჰემოდინამიკური მაჩვენებლები არ გამოსწორდა და ავადმყოფი გარდაიცვალა 10/09/06 04 სთ და 30 წთ. დიაგნოზი: კუჭის მალიგნიზებული წყლული, სიმსივნური ინტოქსიკაცია, კახექსია, ანემია, გასტროდუოდენური სისხლდენის შემდგომი პერიოდი, ფილტვ-გულის უკმარისობა.

გარეგანი დათვლიერების განსაკუთრებული ნიშნები – გამოხატულია ძლიერი კახექსია. რაიმე ფიზიკური დაზიანების ნიშნები სხეულზე არ აღინიშნება.

გვამის შინაგანი გამოკვლევა – აღინიშნება თავის ტვინის სუსტად გამოხატული შეშუპება. პლევრები ალაგ შეხორცებაშია. პლევრების ღრუებში მოყვითალო ელფერის ბლანტი მასა მცირე რაოდენობით. მუცლის ღრუში აღინიშნება 200 მლ-მდე მომღვრიო-მოყვითალო ფერის თავისუფალი სითხე. ბადექონი და ჯორჯალი შეხორცებაშია. ნაწლავთა მარყუჟები შეხორცებაშია. კუჭის ლორწოვანი თითქმის მთლიანად გამკვრივებულია, წარმოდგენილია მოთეთრო-მოყვითალო მორუხო ელფერის მკვრივი მასის სახით. მთლიანად მეტასტაზებშია, რომლებიც ვრცელდება ღვიძლზე და მოიცავს თითქმის ღვიძლის მთელს ზედაპირს. განაკვეთზე ღვიძლი მომკვრივო კონსისტენციის, ვრცელი მეტასტაზებით. პანკრეასი გამკვრივებულია, განაკვეთზე მარცვლოვანი შესახედაობის, მოცულია მეტასტაზებით.

დამატებითი გამოკვლევის პასუხები – თავის ტვინის ნივთიერების სუსტად გამოხატული შეშუპება. ბრონქოპნევმონია, კეროვანი ემფიზემა. ღვიძლზე სიმსივნის მეტასტაზები, ჰეპატოციტების პარენქიმულ-ცილოვანი დისტროფია. კუჭის ადენოკარცინომა, სიმსივნე ინფილტრირებულია კუჭის მთელს კედელში. სიმსივნური უბნის ირგვლივ გამრავლებულია შემაერთებული ქსოვილი.

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის მწვავე უკმარისობა. ადენოკარცინომა. მრავლობითი მეტასტაზები კუჭზე და ღვიძლზე. სიმსივნური ინტოქსიკაცია, ანემია, კახექსია, ბრონქოპნევმონია.

სიკვდილის მიზეზი – კუჭის ავთვისებიანი სიმსივნე - ადენოკარცინომა და მის მიერ გამოწვეული ორგანიზმის ზოგადი ინტოქსიკაცია.



ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული ედიშერ ე.-ს ასაკი, დადგენილების ნომერი, გაკვეთის დრო.
2. გვამური მოვლენები აღწერილი არ არის.
3. აღწერილობით ნაწილში არ არის მითითებული შინაგანი ორგანოების ზომები, გარდა კუჭქვეშა ჯირკვლისა, რომელიც აღწერილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში.
4. დადგენილებაში დასმულ შეკითხვაზე, როდის დადგა ედიშერ ე.-ს სიკვდილი, დასკვნაში პასუხი გაცემული არ არის.
5. დადგენილებაში დასმულ შეკითხვაზე, გარდაცვალებამდე იმყოფებოდა თუ არა ედიშერ ე. ალკო-ჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, დასკვნაში პასუხი გაცემული არ არის. ამ საკითხის გასარკვევად დამატებითი ქიმიური გამოკვლევისათვის მასალა აღებული არ არის.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 26-4

გვარი სახელი – ვანო ჩ.

დაბადების თარიღი –

ასაკი – არ არის მითითებული (46 წლის)

დადგენილება გამოტანილია – საქ. იუსტიციის სამინისტროს დადგენილებით 13/09/2006 № 26/0-470

გაკვეთის თარიღი – 13 სექტემბერი, 2006, 13 სთ. 30 წთ. (დაიწყო)

გაკვეთის ადგილი – ციხის რესპ. საავადმყოფოს პროზექტურა.

ექსპერტის დასკვნა №771

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – კ. ახალკაციშვილი (სტაჟი 17 წ.)

ექსპერტიზა დაიწყო – 13 სექტემბერი, 2006

ექსპერტიზა დამთავრდა – 9 ოქტომბერი, 2006

საქმის გარემოება – 2006 წლის 12 სექტემბერს 15 საათზე, სად-ის ტუბერკულოზით დაავადებულთა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული ვანო ჩ.

გარეგანი დათვალიერების განსაკუთრებული ნიშნები –

შინაგანი დათვალიერების ნიშნები – ორივე ფილტვის ქსოვილი შედარებით შებერილი. პლევრალური ღრუები შეხორცებული. ფილტვების ზედაპირებზე უმნიშვნელოდ აღინიშნება ნექსების რელიეფის ღარისებური ჩაღრმავება. ორივე პლევრის ღრუში აღინიშნება 80 მლ-მდე სპეციფიკური სუნის მქონე სითხე. კუჭი და ნაწლავების მარყუჟი შედარებით შებერილი. ღვიძლი მკვეთრად გადიდებული. მუცლის ღრუში აღინიშნება მოყვითალო ფერის სითხე 1200 მლ-მდე. ფილტვების მფარავი პლევრა მორუხო შესახედაობის. ფილტვები ჭრელი შესახედაობის, მორუხო მოვარდისფრო უბნების მონაცვლეობა განაკვეთზე. უპირატესად ზედა და შუა ნილებში აღინიშნება კავერნოზული ღრუები, რომლებიც ამოვსებულია მორუხო მოყვითალო მოვარდისფრო ფერის შედარებით ბლანტი ჩირქოვანი მასე-ბით. კავერნოზული ღრუების გარშემო ფილტვის ქსოვილი მკვეთრად დარბილებულია. ალაგ აღინიშნება ნეკროზული უბნები. ღვიძლი მკვეთრად გადიდებული. განაკვეთზე ღია მოყვითალო, შედარებით ჭრელი შესახედაობის, რბილი კონსისტენციის.

სასამართლო ჰისტოლოგიური დიაგნოზი – თავის ტვინში – რბილი გარსებისა და ტვინის ნივთიერე-ბის ზომიერად გამობატული შეშუპება. ფილტვები – მათში აღინიშნება მრავლობითი ტუბერკულო-ზური ხორკლი, ხორკლის ცენტრალური ნაწილი კაზეოზურ-ნეკროზულია, ხოლო პერიფერიაზე არის ეპითელიოიდური, ლიმფოციტური და გიგანტური უჯრედები. ხშირად აღინიშნება ვრცელი ტუბერკუ-ლოზური ანთებითი უბნები, ალაგ-ალაგ შემაერთებული ქსოვილის უხვი გამრავლება. პნემომოსკლე-როზი. კეროვანი ემფიზემური უბნები. პლევრა გასქელებულია ალაგ ანთებადი ინფილტრაციებით.

გული – კარდიომიოციტების გავრცელებული პარენქიმულ-ცილოვანი დისტროფია. ალაგ – დესქვა-
მაციით. სანათურში აღინიშნება ერთოციტების დიაპედეზი. ელენტა – წითელი პულპის სისხლსა-
სეობა, ლიმფური ფოლიკულების ჰიპერპლაზია.

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – ფილტვების ტუბერკულოზი, ნეკროზული უბნები, ანთებადი
უბნები პნევმოსკლეროზი, ღვიძლის პარენქიმულ-ცილოვანი დისტროფია, თავის ტვინის შეშუპება,
ელენტის და თირკმლის დისტროფიული ცვლილებები.

სიკვდილის მიზეზი – ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, განვითარებული ორივე ფილტვის ტუბერ-
კულოზის შედეგად.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული ვანო ჩ.-ს ასაკი.
2. არ არის მოყვანილი სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემები.
3. აღწერილობით ნაწილში თავის ტვინის ზომები მოყვანილი არ არის, ფილტვების და თირკმელების
ზომები მოყვანილია ერთად.
4. არ არის აღწერილი კუჭქვეშა ჯირკვალი.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 27-3

გვარი სახელი – გელა ბ.

დაბადების თარიღი – 1971

ასაკი – 35 წლის

დადგენილება გამოტანილია – საქ. იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასა-
ვლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის, თ. ჭკადუას დადგენილებით,
13.09.2006 №კ/02-01171

გაკვეთის თარიღი – 13/09 (საათი არ არის მითითებული).

გაკვეთის ადგილი – ზუგდიდის რაი საავადმყოფოს პროზექტურის შენობა

ექსპერტის დასკვნა – №31

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – ფეტელავა როინი (სტაჟი 33 წ.)

ექსპერტიზა დაიწყო – 13/09

ექსპერტიზა დამთავრდა – 14/09

საქმის გარემოება – 2006 წლის 13 სექტემბერს, ზუგდიდის მკვს ქირურგიულ განყოფილებაში, 07 სთ.
და 30 წთ. რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა გელა ბ. იგი მოყვანილ იქნა 11/09 2006 წ.
საავადმყოფოში გასტროდუოდენური სისხლდენით. ჰემორაგიული შოკი 1-2 ხარისხის. ავ. ისტორიის
№1829/929/186 მიხედვით ირკვევა, რომ ავადმყოფი შემოყვანილია საავადმყოფოში 11/09/2006 13
სთ-ზე ციხის თანამშრომლების მიერ. აღენიშნება სისხლიანი ლეზინება, რომელიც დაიწყო წინა დღით,
დაახლოებით 3 სთ. დაფარულია ცივი ოფლით, არტერიული წნევა 80/40, პულსი – 100. თავბრუსხვევა.
აღენიშნება შავი ფერის განავალი. წინასწარი დიაგნოზი – გასტროდუოდენური სისხლდენა. ავადმ-
ყოფს დაეწყო სისხლის შემცვლელების და ერთ მასის გადასხმა, სათანადო მკურნალობა. გადაყვანილ
იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში. 12/09, 11 სთ. და 10 წუთზე, ჩატარებული რეანიმაციული ღონის-
ძიებების მიუხედავად ავადმყოფი გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზია გულ-სისხლძარღვთა და სუნთ-
ქვის მწვავე უკმარისობა, პოსტჰემორაგიული შოკი, საყლაპავიდან სისხლის დენა, ვარიკოზული ვენის
გაფართოვება საყლაპავზე. ღვიძლის უკმარისობა. ავადმყოფი ანამნეზში აღნიშნავს A, B და C ჰე-
პატიტებს. ღვიძლის ფუნქციის ძლიერ დაქვეითებას. ნარჩენი აზოტი შარდში მომატებულია.

კლინიკური დიაგნოზი – ღვიძლის უკმარისობა, საყლაპავის ვენების ვარიკოზული გაგანერება,
სისხლის დენა საყლაპავიდან, პოსტჰემორაგიული შოკი 2-3 ხარისხის.

გარეგანი დათვალიერების განსაკუთრებული ნიშნები – გვამს უკეთია პამპერსი, რომელიც დას-
ვრილია მუქი შავი ფერის ფეკალური თხიერი მასით. ოდნავ დასვრილია სისხლიანი გამონადენით



ცხვირის ხვრელი. პირის ღრუდან აღინიშნება სისხლიანი გამონადენი. უკანა ტანი დახურული, მის ირგვლივ დასვრილია ფეკალური მასით შავი ფერის, თხიერი. ორივე იდაყვის შიგნითა ზედაპირზე აღინიშნება ნანემსრები, სამედიცინო მანიპულაციის ნიშნები და ორივე მტევნის მიდამოზე ანალოგიური ნიშნები. სხვა რაიმე დაზიანების ობიექტური ნიშნება არ აღინიშნება

შინაგანი დათვალიერება – თავის მიდამოებზე რბილი ქსოვილებში რაიმე დაზიანების ნიშნები არ აღინიშნება. თავის ტვინის ნაოჭიანობა კარგად არის განვითარებული. თავის ტვინის სისხლძარღვები განიცდის სისხლნაკლოვნებას. „თავის ტვინის პარაკუჭებში გამჭირვალე ფერის სითხე. ორივე ნათხემები და მოგრძო ტვინი პათ. გარეშე“. მუცლის ღრუში მომღვრიო ფერის სითხე 3 ლიტრამდე. ბადექონი მოხირცებულია მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოზე. ღვიძლის მთლიან ზედაპირზე მოშორების შემდეგ აღმოჩნდა მთლიანად მკვრივი კონსისტენციის, ხორკლიანია. ნაწლავები და კუჭი გადასებულია მუქი ფერის სითხით (სისხლით). ბადექონი შეხორცებაში ღვიძლთან. ენა დაფარულია მოშავო ფერის მასით, საყლაპავი მილი მკრთალი ფერისაა. საყლაპავი მილის ქვედა (კარდიულ) ნაწილში აღინიშნება ვენების ვარიკოზული გაფართოება და მის ირგვლივ ლორწოვანის ჰიპერემია. ჰიპერემია გადადის კუჭში. აღინიშნება საყლაპავი მილის ვენის გასკდომა. კუჭი გადასებულია სისხლით, დაახლ. 1,5 ლ. მისი ლორწოვანი ჰიპერემირებულია. ნაწლავები გადასებულია მოშავო ფერის მასით. თხიერი, მძაფრი სუნით სისხლიანით /მელენა/. მოშავო ფერის სისხლიანი სითხის გადასება იწყება კუჭიდან და მთავრდება სეორი ნაწლავის გამოსასვლელთან. ფეკალური მასა თხიერია, სისხლნარევიანია. ბადექონი დიდი მიხორცებულია ღვიძლთან. ჯორჯალი პათოლოგიის გარეშე. მუცლის ღრუში 3 ლ სითხე. ღვიძლი – შეხორცებაშია ბადექონთან, დიაფრაგმასთან და ნაწლავთან. მოშორების შემდეგ ღვიძლის ზომაა 26X19X14X7სმ. დაპატარავებულია ღვიძლის ზედაპირი, ხორკლიანია, მკვრივი კონსისტენციისაა, შეხორცებშია. განაკვეთზე განიხდის სისხლნაკლოვანებას. ღვიძლი ღია ყავისფერია. ლიმფური კვანძები ყველგან გადიდებულია. განსაკუთრებით ბიფურკაციასთან, ჯორჯლებთან, ღვიძლთან, თირკმელთან. შარდის ბუშტი გადასებულია, შეიცავს დაახლოებით 400 მლ მომღვრიო ფერის სითხეს. პანკრეასის ირგვლივ ლიმფური კვანძები გადიდებულია.

„სასამართლო მედიკური დიაგნოზი“ – კლინიკური დიაგნოზი – ღვიძლის ციროზი, ღვიძლის უკმარისობა, საყლაპავი მილის ვენების გაგანიერება ვენების დაზიანებით, ასციტი, სპლენომეგალია, ლიმფური კვანძების გადიდება, შინაგანი ორგანოების მწვავე სისხლნაკლოვანება. კუჭში, ნაწლავებში სისხლსავსეობა.

დასკვნა – გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გამოკვლევის დროს მოქ. გელა ბ.-ს აღენიშნება შემდეგი დაავადებები: ღვიძლის ციროზი, განვითარებულია შინაგანი სისხლის დენა. საყლაპავი მილის ვარიკოზული ვენების გაგანიერება დაზიანებით. კუჭში, ნაწლავებში სისხლსავსეობით, ასციტი/ მუცლის ღრუში სითხე. ელენთის გადიდება / სპლენომეგალია / ლიმფური კვანძების გადიდება, შინაგანი ორგანოების მწვავე სისხლნაკლებობა. იდაყვზე და მტევნებზე სამედიცინო მანიპულაციის კვალის ნიშნები.

სიკვდილის მიზეზი – მოქალაქე გელა ბ.-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია შინაგანი სისხლის დენა, რომელიც გამოიწვია ღვიძლის ციროზის შედეგად საყლაპავი მილის ვარიკოზული ვენების გაგანიერებით, ვენების დაზიანებით...”

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული გვამის გაკვეთის დრო.
2. აღწერილობით ნაწილში ფილტვების და თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
3. კუჭქვეშა ჯირკვალი აღწერილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში.
4. აღწერილობის მონაცემები გაუგებარია, ტექსტი შედგენილია უაღრესად დაბალკვალიფიციურად და გაუმართავია.
5. დადგენილებაში დასმული შეკითხვების თანმიმდევრობა დარღვეულია დასკვნაში: დასკვნის პირველი და მეორე პუნქტი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილების შესაბამის კითხვას, ხოლო დასკვნის მესამე პუნქტი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილების პირველ და მეორე კითხვას.

სასამართლო-ქიმიური დასკვნა – გვამიდან აღებული სისხლის სასამართლო ქიმიური გამოკვლევით არ აღმოჩნდა მეთილის, ეთილის და პროპილის სპირტები, თუმცა მიღებულ შედეგზე დაყრდნობა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან აბდულა ი.-ს საავადმყოფოში მოხვედრიდან სიკვდილამდე გასულია თითქმის ორი დღე

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმა სისხლჩაქცევებით ქალას ღრუში მაგარი გარსის ქვეშ (მოცულობით მარცხნივ 100-120 მლ-მდე, მარჯვნივ – 50-70 მლ-მდე), რბილ გარსებსა და თავის ტვინის ნივთიერებაში. თავის ტვინის მკვეთრი შეშუპება ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით, სისხლჩაქცევა რბილი საფარის ქვეშ. ზედაპირული, შედარებით უსწორო კიდეებიანი ჭრილობა მარჯვენა წინამხრის არეში შეხორცების სტადიაში. ტრეპანაციის შემდგომი მდგომარეობა, ინიექციების შემდგომი მდგომარეობა.

დასკვნა – მოქ. აბდულა ი.-ს სხეულზე აღინიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ვრცელი სისხლჩაქცევები ქალას ღრუში მაგარი გარსის ქვეშ, რბილი გარსებისა და თავის ტვინის ნივთიერებაში, თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპებით, ღეროს დისლოკაციით, რაც გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვეთრი ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო და რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი. გარდა ამისა, აბდულა ი.-ს მარჯვენა წინამხრის არეში აღინიშნებოდა შედარებით უსწორო კიდეებიანი ზედაპირული ჭრილობა შეხორცების სტადიაში, რომელიც განვითარებული უნდა იყოს რაიმე მკვეთრი ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად, ატარებს მსუბუქი დაზიანების ნიშნებს და არ იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული აბდულა ი.-ს ასაკი.
2. არ არის მოყვანილი სამედიცინო დოკუმენტების მონაცემები.
3. აღწერილობით ნაწილში ფილტვების ზომები მოყვანილი არ არის, თირკმლების ზომები მოყვანილია ერთად.
4. კუჭქვეშა ჯირკვალი აღწერილია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთან ერთად.

ექსპერტის დასკვნის შეფასება 29-1

გვარი სახელი – თეიმურაზ ფ.

დაბადების თარიღი – 1979 წ. (27 წლის)

დადგენილება გამოტანილია – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის ი. ჩახნაშვილის მიერ 19.09.2006 (ნომერი არ არის მითითებული)

გაკვეთის თარიღი – 2006 წლის 19 სექტემბერი, 11.30 სთ.

გაკვეთის ადგილი – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების პროზექტურა

ექსპერტის დასკვნა №795

სასამართლო სამედიცინო ექსპერტი – გ. მალრაძე (მუშაობის სტაჟი 8 წ.)

ექსპერტიზა დაიწყო – 19 სექტემბერს

ექსპერტიზა დამთავრდა – 11 ოქტომბერს

საქმის გარემოება – როგორც დადგენილებიდან ირკვევა, 2006 წლის 19 სექტემბერს, №5 საპყრობილის 96-ე საკანში, 08.35 სთ-ზე გარდაიცვალა პატიმარი თემურ ფ.

გარეგანი დათვალიერების განსაკუთრებული ნიშნები – გვამი ხელით შეხებით თბილია, გვამური გაშეშება სუსტადაა განვითარებული კუნთების ჯგუფებში (?) შუა კუბიტალური ვენების პროექციაზე მრავლობითი ნაჩხვლეტი ჭრილობები მრგვალი ფორმის, დიამეტრით 1-2 მმ - ინიექციის კვალი. რაიმე სხვა ობიექტური დაზიანების ნიშნები გვამზე არ აღინიშნება.

შინაგანი გამოკვლევა – „გულის კუნთი ელასტიური კონსისტენციის“ (?)

სასამართლო ჰისტოლოგიური დიაგნოზი – თავის ტვინის ნივთიერების გამობატული შეშუპება. ფილტვები – კრუპოზული პნევმონია, კეროვანი ემფიზემა. გული – კარდიომიოციტების გავრცელებული პარენქიმული ცილოვანი დისტროფია, სუსტად გამობატული კეროვანი კარდიოსკლეროზი. თირკმელი – საშარდე მილაკების ამომფენი ეპითელიუმის პარენქიმულ-ცილოვანი დისტროფია, ალამ მათი დესქვამაცია. ელენთა – პულპისა და ლიმფური ფოლიკულების მკვეთრად გამობატული ჰიპერპლაზია, ისე რომ ლიმფური ფოლიკულების კონტურები არ ისახება.

სასამართლო-ქიმიური დასკვნა – შარდში, თირკმელსა და საინიექციო არიდან აღებულ კანში აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი – დიაცეტილმორფინი. შარდში და თირკმელში აღმოჩნდა ბარბიტურის მჟავას ნაწარმი – ლუმინალი.

სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი – მწვავე ნარკოტიკული ინტოქსიკაცია გამონეწული ჰეროინით.

ექსპერტის დასკვნის მიმართ შენიშვნები:

1. შესავალ ნაწილში არ არის მითითებული დადგენილების ნომერი.
2. არ ჩანს, რომელი ჯგუფის კუნთებშია გამობატული გვამური გაშეშება.
3. აღწერილობით ნაწილში არ არის მითითებული ფილტვების, თირკმელების, თავის ტვინის, კუჭ-ქვეშა ჯირკვლის ზომები.
4. ჰისტოლოგიურ დიაგნოზში არსებული კრუპოზული პნევმონია სასამართლო სამედიცინო დიაგნოზში შეცვლილია კეროვანი ბრონქო-პნევმონიით, რაც სრულიად სხვა პათოლოგიაა.
5. სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი შედგენილია დაბალკვალიფიციურად.

სახალხო დამცველის აპარატის
სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	2745	
2. მართლმსაჯულების სფეროში შემავალი საკითხები	1606	
– წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული პროცესუალური სამართალდარღვევები	35	
– დასრულებული სასამართლო პროცესები, გადაწყვეტილებები	63	
– სხვა დარღვევები (საკითხები)	1491	
3. სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საკითხები	824	
– სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოება	73	
– საპენსიო საკითხები და სოციალური დახმარებები	88	
– შრომითი უფლებები	169	
– საკუთრების უფლებები	119	
– საბინაო პრობლემები	157	
– მიწის დავები	38	
– განათლების უფლება	27	
– სამედიცინო საკითხები (პაციენტის უფლებები)	109	
– საბანკო-საფინანსო საკითხები	5	
– ბავშვთა უფლებები	40	
4. თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხები	201	
– რწმენის თავისუფლება	29	
– ეთნიკური უმცირესობის უფლებები	15	
– სექსუალური უმცირესობის უფლებები	1	
– პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები	57	
– სიტყვის თავისუფლება	7	
– გამოხატვის თავისუფლება	12	
– შემოქმედებითი თავისუფლება	2	
– ქალთა უფლებები	3	
– ლტოლვილთა თავისუფლება	2	
– იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები	60	
– უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა უფლებები	3	
– შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები	9	
5. ადმინისტრაციული სამართლის საკითხები	144	
– საჯარო ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები	23	
– სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მოქალაქეთა მიმართვებზე არასათანადო რეაგირების საკითხები	34	
– სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების გაჭიანურებასთან დაკავშირებული საკითხები	54	
– სხვა საკითხები	33	
6. გასული წერილების საერთო რაოდენობა	3804	100.00
სახალხო დამცველის რეკომენდაციები	135	3,55
აყვანილია კონტროლზე	1195	31,41
გადაგზავნილია ქვემდებარეობისამებრ	82	2,16
გადაგზავნილია შუამდგომლობა	13	0,34

**სასაღსო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების
რაოდენობა წლების მიხედვით**

წელი	რაოდენობა
2006 წელი	2745
აქედან:	+
II ნახევარი	1491
I ნახევარი	1254
	= 3467 (მთლიანად)
ქუთაისი	722
აქედან II ნახ.	339
I ნახ.	383
2005 წელი	2254
2004 წელი	1280
2003 წელი	1564
2002 წელი	1625

**სასაღსო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე**

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	2745
ვის უჩივიან:	
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას	6
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს	0
საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატს	3
საქართველოს პარლამენტის აპარატს (ფრაქციებს, კომიტეტებს)	14
სამინისტროებს:	1226
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	40
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	5
- ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	9
- თავდაცვის სამინისტრო	36
- იუსტიციის სამინისტრო	312
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	152
- პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია	57
- სხვა სტრუქტურული ერთეული	98
- კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	0
- სახელმწიფო ახალგაზრდული დეპარტამენტი	0
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	31
- საგარეო საქმეთა სამინისტრო	6
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1
- ფინანსთა სამინისტრო	57
- საბაჟო დეპარტამენტი	43
- ფინანსური პოლიცია	7



- საგადასახადო დეპარტამენტი	2
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	43
- შინაგან საქმეთა სამინისტრო	687
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი	86
- უშიშროების ორგანოები	2
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	2
- საპატრულო პოლიცია	46
- პოლიციის განყოფილებები (ქვეგანყოფილებები)	310
- ქალაქის სამმართველოები	134
- ენერგეტიკის სამინისტრო	0
პროკურატურა	319
- რაიონული პროკურატურა	148
- საქალაქო პროკურატურა	59
- თბილისის პროკურატურა	38
- გენერალური პროკურატურა	74
მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები	152
- ქალაქის მერია	79
- ქალაქის საკრებულო	1
- რეგიონალური მმართველობის ორგანოები	57
- რწმუნებულები, გამგებლები	15
სასამართლო ხელისუფლება	469
- საერთო საქალაქო (რაიონული) სასამართლო	269
- სააპელაციო სასამართლო	114
- უზენაესი სასამართლო	83
- საკონსტიტუციო სასამართლო	5
სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები	109
არასახელმწიფო ორგანიზაციები	97
ფიზიკური პირები	88
ითხოვს დახმარებას (შუამდგომლობას)	426

სახალხო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	1254	
მათ შორის თბილისიდან	836	66,67
გურიიდან	13	1,04
იმერეთიდან	108	8,61
კახეთიდან	39	3,11
მცხეთა-მთიანეთიდან	23	1,83
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთიდან	2	0,16
სამეგრელო-ზედა სვანეთიდან	52	4,15
სამცხე ჯავახეთიდან	11	0,88
ქვემო ქართლიდან	72	5,74
შიდა ქართლიდან	49	3,91
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან	41	3,27
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან	0	0,00
2. გადმოგზავნილია		
- პირადად	1254	100,00
- მისაღებიდან	0	0,00
- არასამთავრობო ორგანიზაცია	0	0,00
- სასჯელაღსრულების დანესებულებიდან	0	0,00
- სასამართლოდან	0	0,00
- პარლამენტიდან	0	0,00
3. უფლებამწიკდიანი ფიზიკური პირები	1254	100,00
მათ შორის მამრობითი	909	72,49
მდედრობითი	332	26,48
ეროვნული უმცირესობა	93	7,42
უცხო ქვეყნის მოქალაქე	19	1,52
მოქალაქეობის არ მქონე პირი	3	0,24
ეჭვმიტანილი	5	0,40
ბრალდებული	211	16,83
განსასჯელი	171	13,64
მსჯავრდებული	154	12,28
იძულებით გადაადგილებული	31	2,47
ლტოლვილი	2	0,16
რელიგიური უმცირესობა	14	1,12
უმუშევარი	147	11,72
სახელმწიფო მოხელე	9	0,72
სამხედრო მოსამსახურე	4	0,32
ინვალიდი	40	3,19
უგზო უკვლოდ დაკარგული	0	0,00
გარდაცვლილი	0	0,00
ფსიქიკურად დაავადებული	3	0,24
ბავშვი	11	0,88

2006
9

**სახალხო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე**

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	1254	
2. მართლმსაჯულების სფეროში შემავალი საკითხები	732	
- წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული პროცესუალური სამართალდარღვევები	28	
- დასრულებული სასამართლო პროცესები, გადაწყვეტილებები	43	
- სხვა დარღვევები (საკითხები)	661	
3. სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საკითხები	388	
- სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოება	55	
- საპენსიო საკითხები და სოციალური დახმარებები	37	
- შრომითი უფლებები	97	
- საკუთრების უფლებები	48	
- საბინაო პრობლემები	49	
- მიწის დავები	16	
- განათლების უფლება	9	
- სამედიცინო საკითხები (პაციენტის უფლებები)	66	
- საბანკო-საფინანსო საკითხები	4	
- ბავშვთა უფლებები	9	
4. თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხები	62	
- რწმენის თავისუფლება	16	
- ეთნიკური უმცირესობის უფლებები	5	
- სექსუალური უმცირესობის უფლებები	0	
- პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები	6	
- სიტყვის თავისუფლება	3	
- გამოხატვის თავისუფლება	3	
- შემოქმედებითი თავისუფლება	0	
- ქალთა უფლებები	1	
- ლტოლვილთა თავისუფლება	2	
- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები	16	
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა უფლებები	2	
- შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები	8	
5. ადმინისტრაციული სამართლის საკითხები	72	
- სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მოქალაქეთა მიმართვებზე არასათანადო რეაგირების საკითხები	23	
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების გაჭიანურებასთან დაკავშირებული საკითხები	31	
- სხვა საკითხები	8	
6. გასული წერილების საერთო რაოდენობა	1882	100.00
სახალხო დამცველის რეკომენდაციები	85	4,52
აყვანილია კონტროლზე	580	30,82
გადაგზავნილია ქვემდებარეობისამებრ	42	2,23
გადაგზავნილია შუამდგომლობა	3	0,16

მოქალაქეთა მომართვისა და მიღების დეპარტამენტი
სტატისტიკური ანგარიში
01.01.2006-01.07.2006 პერიოდში

1. დახურული განცხადებათა რაოდენობა	1604	100.00
2. დახურვის საფუძველი		
იურისდიქციაში არ ექცევა	390	24,31
აშკარად უსაფუძვლოა	3	0,19
დაუსაბუთებელია	0	0,00
საჩივარი გაიტანა	3	0,19
კონტაქტი დაიკარგა	18	1,12
საჩივარი ხანდაზმულია	0	0,00
ქვემდებარეობისამებრ	637	39,71
შეთავაზებულია რეკომენდაცია	32	2,00
განხილვაშია	30	1,87
გაიზიარეს	1	0,06
არ გაიზიარეს	1	0,06
რეაგირების გარეშე	0	0,00
შუმდგომლობა	4	0,25
განხილვაშია	3	0,19
გაიზიარეს	0	0,00
არ გაიზიარეს	0	0,00
რეაგირების გარეშე	0	0,00
საკონსტიტუციო სარჩელი	0	0,00
მიეცა განმარტება (გაენია კონსულტაცია)	10	0,62
გაეგზავნა პასუხი	179	11,16
საკითხი გადაწყვეტილია	14	0,87
სხვა	314	19,58

2009

**სახალხო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე**

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	1254
ვის უჩივიან:	
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას	4 0,3%
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს	0 0,0%
საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატს	2 0,2%
საქართველოს პარლამენტის აპარატს (ფრაქციებს, კომიტეტებს)	8 0,6%
სამინისტროებს:	629 50,2%
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	25 2,0%
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	4 0,3%
- ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	4 0,3%
- თავდაცვის სამინისტრო	17 1,4%
- იუსტიციის სამინისტრო	132 10,5%
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	34 2,7%
- პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია	41 3,3%
- სხვა სტრუქტურული ერთეული	48 3,8%
- კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	0 0,0%
- სახელმწიფო ახალგაზრდული დეპარტამენტი	0 0,0%
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	7 0,6%
- საგარეო საქმეთა სამინისტრო	4 0,3%
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო	0 0,0%
- ფინანსთა სამინისტრო	32 2,6%
- საბაჟო დეპარტამენტი	0 0,0%
- ფინანსური პოლიცია	24 1,9%
- საგადასახადო დეპარტამენტი	5 0,4%
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	22 1,8%
- შინაგან საქმეთა სამინისტრო	381 30,4%
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი	52 4,1%
- უშიშროების ორგანოები	0 0,0%
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	1 0,1%
- საპატრულო პოლიცია	27 2,2%
- პოლიციის განყოფილებები (ქვეგანყოფილებები)	153 12,2%
- ქალაქის სამმართველოები	68 5,4%
- ენერგეტიკის სამინისტრო	0 0,0%
პროკურატურა	135 10,8%
- რაიონული პროკურატურა	69 5,5%
- საქალაქო პროკურატურა	18 1,4%
- თბილისის პროკურატურა	11 0,9%
- გენერალური პროკურატურა	37 3,0%

მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები	55	4,4%
- ქალაქის მერია	31	2,5%
- ქალაქის საკრებულო	0	0,0%
- რეგიონალური მმართველობის ორგანოები	14	1,1%
- რწმუნებულები, გამგებლები	10	0,8%
სასამართლო ხელისუფლება	198	15,8%
- საერთო საქალაქო (რაიონული) სასამართლო	114	9,1%
- სააპელაციო სასამართლო	41	3,3%
- უზენაესი სასამართლო	43	3,4%
- საკონსტიტუციო სასამართლო	0	0,0%
სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები	50	4,0%
არასახელმწიფო ორგანიზაციები	47	3,7%
ფიზიკური პირები	22	1,8%
ითხოვს დახმარებას (შუამდგომლობას)	103	8,2%

**მოქალაქეთა მომართვისა და მიღვის დეპარტამენტი
სტატისტიკური ანგარიში**

01.07.2006-31.12.2006 პერიოდში

1. დახურული განცხადებათა რაოდენობა	2104	100.00
2. დახურვის საფუძველი		
იურისდიქციაში არ ექცევა	693	32,94
აშკარად უსაფუძვლოა	7	0,33
დაუსაბუთებელია	5	0,24
საჩივარი გაიტანა	1	0,05
კონტაქტი დაიკარგა	29	1,38
საჩივარი ხანდაზმულია	5	0,24
ქვემდებარეობისამებრ	739	35,12
შეთავაზებულია რეკომენდაცია	10	0,48
განხილვაშია	10	0,48
გაიზიარეს	0	0,00
არ გაიზიარეს	0	0,00
რეაგირების გარეშე	0	0,00
შუამდგომლობა	8	0,38
განხილვაშია	4	0,19
გაიზიარეს	0	0,00
არ გაიზიარეს	0	0,00
რეაგირების გარეშე	0	0,00
საკონსტიტუციო სარჩელი	0	0,00
მიეცა განმარტება (გაენია კონსულტაცია)	48	2,28
გაეგზავნა პასუხი	328	15,59
საკითხი გადაწყვეტილია	76	3,61
სხვა	155	7,37



**სახალხო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 ივლისიდან 31 დეკემბრამდე**

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა		1528
მათ შორის თბილისიდან	1000	65,45
გურიიდან	12	0,79
იმერეთიდან	133	8,70
კახეთიდან	36	2,36
მცხეთა-მთიანეთიდან	19	1,24
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთიდან	3	0,20
სამეგრელო-ზედა სვანეთიდან	64	4,19
სამცხე-ჯავახეთიდან	18	1,18
ქვემო ქართლიდან	135	8,84
შიდა ქართლიდან	55	3,60
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან	47	3,08
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან	1	0,07
2. გადმოგზავნილია		
- პირადად	1528	0,00
- მისაღებიდან	0	0,00
- არასამთავრობო ორგანიზაცია	0	0,00
- სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან	0	0,00
- სასამართლოდან	0	0,00
- პარლამენტიდან	0	0,00
3. უფლებაშელახული ფიზიკური პირები		1528 100,00
- მათ შორის მამრობითი	970	63,48
მდედრობითი	411	26,90
ეროვნული უმცირესობა	54	3,53
უცხო ქვეყნის მოქალაქე	12	0,79
მოქალაქეობის არ მქონე პირი	4	0,26
ექვმიტანილი	10	0,65
ბრალდებული	155	10,14
განსასჯელი	176	11,52
მსჯავრდებული	284	18,59
იძულებით გადაადგილებული	75	4,91
ლტოლვილი	0	0,00
რელიგიური უმცირესობა	6	0,39
უმუშევარი	126	8,25
სახელმწიფო მოხელე	3	0,20
სამხედრო მოსამსახურე	1	0,07
ინვალიდი	13	0,85
უგზო უკვლოდ დაკარგული	0	0,00
გარდაცვლილი	30	1,96
ფსიქიკურად დაავადებული	7	0,46
ბავშვი	30	1,96

სახალხო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები
2006 წლის 01 ივლისიდან 31 დეკემბრამდე

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	1491	
2. მართლმსაჯულების სფეროში შემაჯავლი საკითხები	862	57%
– წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული პროცესუალური სამართალდარღვევები	7	0,5%
– დასრულებული სასამართლო პროცესები, გადაწყვეტილებები	20	1,3%
– სხვა დარღვევები (საკითხები)	819	54,9%
3. სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საკითხები	423	28,4%
– სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოება	16	1,1%
– საპენსიო საკითხები და სოციალური დახმარებები	50	3,4%
– შრომითი უფლებები	72	4,8%
– საკუთრების უფლებები	66	4,4%
– საბინაო პრობლემები	107	7,2%
– მინის დავები	22	1,5%
– განათლების უფლება	17	1,1%
– სამედიცინო საკითხები (პაციენტის უფლებები)	42	2,8%
– საბანკო-საფინანსო საკითხები	1	0,1%
– ბავშვთა უფლებები	31	2,1%
4. თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხები	137	9,2%
– რწმენის თავისუფლება	13	0,9%
– ეთნიკური უმცირესობის უფლებები	10	0,7%
– სექსუალური უმცირესობის უფლებები	1	0,1%
– პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები	50	3,4%
– სიტყვის თავისუფლება	4	0,3%
– გამოხატვის თავისუფლება	9	0,6%
– შემოქმედებითი თავისუფლება	2	0,1%
– ქალთა უფლებები	2	0,1%
– ლტოლვილთა თავისუფლება	0	0,0%
– იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები	44	3,0%
– უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა უფლებები	1	0,1%
– შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები	0	0,0%
5. ადმინისტრაციული სამართლის საკითხები	69	4,6%
– საჯარო ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები	13	0,9%
– სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მოქალაქეთა მიმართებზე არასათანადო რეაგირების საკითხები	9	0,6%
– სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების გაჭიანურებასთან დაკავშირებული საკითხები	22	1,5%
– სხვა საკითხები	25	1,7%
6. გასული წერილების საერთო რაოდენობა	1922	100,00
სახალხო დამცველის რეკომენდაციები	50	2,60
აყვანილია კონტროლზე	615	32,00
გადაგზავნილია ქვემდებარეობისამებრ	40	2,08
გადაგზავნილია შუამდგომლობა	10	0,25



სახალხო დამცველის აპარატის სტატისტიკური მონაცემები

2006 წლის 01 ივლისიდან 31 დეკემბრამდე

1. შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობა	1491	
ვის უჩივიან:		
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას	2	0,1%
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს	0	0,0%
საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატს	1	0,1%
საქართველოს პარლამენტის აპარატს (ფრაქციებს, კომიტეტებს)	6	0,4%
სამინისტროებს:	535	35,9%
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	16	1,1%
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	1	0,1%
- ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	5	0,3%
- თავდაცვის სამინისტრო	19	1,3%
- იუსტიციის სამინისტრო	160	10,7%
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	108	7,2%
- პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია	15	1,0%
- სხვა სტრუქტურული ერთეული	39	2,6%
- კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	0	0,0%
- სახელმწიფო ახალგაზრდული დეპარტამენტი	0	0,0%
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	22	1,5%
- საგარეო საქმეთა სამინისტრო	3	0,2%
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1	0,1%
- ფინანსთა სამინისტრო	23	1,5%
- საბაჟო დეპარტამენტი	17	1,1%
- ფინანსური პოლიცია	2	0,1%
- საგადასახადო დეპარტამენტი	2	0,1%
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	20	1,3%
- შინაგან საქმეთა სამინისტრო	268	18,0%
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი	23	1,5%
- უშიშროების ორგანოები	2	0,1%
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი	1	0,1%
- საპატრულო პოლიცია	18	1,2%
- პოლიციის განყოფილებები (ქვეგანყოფილებები)	138	9,3%
- ქალაქის სამმართველოები	65	4,4%
- ენერგეტიკის სამინისტრო	0	0,0%
პროკურატურა	163	10,9%
- რაიონული პროკურატურა	65	4,4%
- საქალაქო პროკურატურა	37	2,5%
- თბილისის პროკურატურა	23	1,5%
- გენერალური პროკურატურა	38	2,5%

მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები	85	5,7%
- ქალაქის მერია	38	2,5%
- ქალაქის საკრებულო	1	0,1%
- რეგიონალური მმართველობის ორგანოები	41	2,7%
- რწმუნებულები, გამგებლები	5	0,3%
სასამართლო ხელისუფლება	239	16,0%
- საერთო საქალაქო (რაიონული) სასამართლო	142	9,5%
- სააპელაციო სასამართლო	60	4,0%
- უზენაესი სასამართლო	35	2,3%
- საკონსტიტუციო სასამართლო	4	0,3%
სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები	52	3,5%
არასახელმწიფო ორგანიზაციები	42	2,8%
ფიზიკური პირები	66	4,4%
ითხოვს დახმარებას (შუამდგომლობას)	296	19,9%

2009

www.ombudsman.ge

სამართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. 11

ტელ.: 92 24 70, 92 24 77 ფაქსი: 92 24 70

ცხელი ხაზი: 99 58 98

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge